ლეო ჩიქავა

# განვლილი ცხოვრების მცირეები

თბილისი
2008

**ლეო ჩიქავა: განვლილი ცხოვრების შტრიხები, გვ. 552.**
**საგამომცემლო სახლი „ინოვაცია“, თბილისი, 2008.**

წინამდებარე წიგნი მნიშვნელოვანწილად მემუარული ჟანრის ნაწარმოებია. მასში ასახულია წიგნის მთავარი მოქმედი პირის – საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორეს-პონდენტის **ლეო ჩიქავას** მიერ დასაბამიდან დღემდე განვლილი ცხოვრების ძირითადი შტრიხები: ბავშვობა, ყრმობა, სტუდენტობა, ასპირანტობა, დოქტორანტობა, ხოლო შემდეგ – მრავალფეროვანი შემოქმედებითი მეცნიერულ-პედაგოგიური და საზოგადოებრივი მოღვაწეობა. ნაშრომის გაცნობა მკითხველს ნათელ წარმოდგენას შეუქმნის იმაზე, თუ რათდენ ინტენსიური მუშაობა დასჭირდა ამ ჩვეულებრივ ქართულ ოჯახში დაბადებულ და აღზრდილ, მაგრამ ნიჭიერებითა და შრომისმოყვარეობით გამორჩეულ პიროვნებას ესოდენ თვალსაჩინო წარმატებების მისაღწევად.

წიგნში თავმოყრილი და გაანალიზებულ-განზოგადებული მდიდარი ფაქტობრივი მასალა სრულ საფუძველს იძლევა იუბილარის მიერ განვლილი ცხოვრების გზისა და მეცნიერული კელევა-ძიების საფუძველზე მიღებული შედეგების განსასჯელად. იგი ამავე დროს შესანიშნავი მაგალითია იმათთვის, ვისაც გადაწყვეტილი აქვს მთელი თავისი ძალისხმევა გარე სამყაროს ჯერ კიდევ ამოუხსნელ საიდუმლოებათა გამოკვლევას მიუძღვნას.

ეს წიგნი მისი მთავარი შემოქმელის ერთგვარი ანგარიშგებაა საზოგადოების წინაშე, რომლის განსჯა და შეფასება მკითხველის პრეროგატივაა.

**რედაქტორები:** **მიხეილ ჯიბუტი**
ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი, საქართველოს ეკონომიკურ
მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი

**გიორგი შუბლაძე**
ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი, საქართველოს ეკონომიკურ
მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოს-მდივანი

**ISBN 99940-0-411-22**

# რედაქტორებისგან

წინამდებარე ნაშრომი წარმოადგენს ქართველ სწავლულ ეკონომისტთა თაკკაცის – საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტის, ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტის, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის, პროფესორ **ლეო ჩიქავას** დაბადებიდან 80 და მეცნიერულ-პედაგოგიური და საზოგადოებრივი მოღვაწეობის 60 წლისთავისადმი (ასევე, წინასაიუბილეო თარიღებისადმი) მიძღვნილი მასალების კრებულს, მისი არქიტექტონიკა ასეთია: იწყება იუბილარის მიერ საოცარი გულმოდგინებითა და მოკრძალებით შედგენილი ვრცელი ავტობიოგრაფიული ნარკვევით, რომელიც მკითხველს საკმაოდ სრულ და ნათელ წარმოდგენას უქმნის ამ არაორდინარულ პიროვნებაზე, იმაზე, თუ რანაირი იყო მისი ბავშვობა და ყრმობა, შემდეგ – სტუდენტობა, ასპირანტობა და დოქტორანტობა. ნარკვევში დეტალურად, მაგრამ ძალიან მიმზიდველადაა გადმოცემული ის, თუ ჯერ კიდევ 40 წელს მიუღწეველ ახალგაზრდას რაოდენ კოლოსალური ძალისხმევის გამოვლენა დასჭირდა ხელოვნურად აღმართული დაბრკოლებების გადასალახავად, რათა თსუ-ის ეკონომიკის ფაკულტეტის გაერთიანებული სამეცნიერო საბჭოს მიერ (10 საათიანი საჯარო პაექრობის საფუძველზე) ერთხმად მინიჭებოდა ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხი. გასული საუკუნის 70-იან წლებამდე ყოველი ასეთი დაცვა, მეცნიერების თითოეული დარგის განვითარების თვალსაზრისით, საგანგებო მნიშვნელობის მოვლენად ითვლებოდა, რაც ერთხელ კიდევ მიგვანიშნებს, განათლებისა და მეცნიერების დარგში „რაციონალური რეფორმების“ ეგიდით, მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხთან გათანაბრების სრულ უსაფუძვლობასა და გაუმართლებლობაზე.

იუბილართან შეთანხმებით, კრებულში რუბრიკით – **„უახლეს ნაფიქრალ-ნააზრევთაგან“**, შეტანილია მისი გამოუქვეყ-

ნებელი ნაშრომი – **„თანამედროვეობის აქტუალური დემოგრაფიული პრობლემები“** და 2007 წელს შვედეთში გამოქვეყნებული სტატია – **„სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში დემოგრაფიული განვითარების ტენდენციები და პერსპექტივები“**, რომლებშიც ღრმამეცნიერულადაა გაანალიზებული დღეისთვის საქართველოში შექმნილი უაღრესად მწვავე დემოგრაფიული ვითარება და ამ მიმართულებით მდგომარეობის რამდენადმე ნორმალიზების უგრუნველსაყოფად დასახულია ქმედითი ღონისძიებები.

საიუბილეო კრებულში შესულია ასევე: ჟურნალისტთა მიერ აქტუალურ პრობლემებზე იუბილარისგან სხვადასხვა დროს აღებული ცალკეული ინტერვიუები; იუბილარის მიერ გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომების ბიბლიოგრაფია; იუბილარის ნაშრომებზე მისი კოლეგების მიერ გამოქვეყნებული რეცენზიები და ამ პიროვნების დაბადებიდან 70, 75 და 80 წლის საიუბილეო თარიღებთან დაკავშირებული სხვა მასალები.

ჩვენი ღრმა რწმენით, წინამდებარე კრებულის გამოცემას აქვს არა მარტო შემეცნებითი, არამედ ფრიად დიდი პრაგმატული (აღმზრდელობითი) მნიშვნელობაც, რამეთუ მისი მთავარი გმირის – ბატონი ლეოს მიერ განვლილი ცხოვრებისეული გზა როგორც საკუთარი შთამომავლობის (შვილების, შვილიშვილების და ა.შ.), ისე ნებისმიერი ახალგაზრდისთვის ნათელი (ცოცხალი) მაგალითია იმისა, თუ რანაირად ძალუძს ალალმართალ, მუყაით, ბეჯით და მიზანმიმართულ შრომას ჩვეულებრივ ქართულ ოჯახში აღზრდილი ადამიანი აღამაღლოს საყოველთაოდ აღიარებული და ყოველმხრივ პატივსაცემი პიროვნების დონემდე.

# ავტობიოგრაფიული ნარკვევი

## 1. ბავშვობა და ყრმობა

დავიბადე 1928 წლის 20 თებერვალს საქართველოს ერთ-ერთ ულამაზეს და უმშვენიერეს მხარეში – კოლხეთში, უფრო ზუსტად, ზუგდიდის რაიონის სოფ. კოკში, რომელიც მდებარეობს მდ. ენგურის პირას, ქ. ზუგდიდიდან მეთოთხმეტე კილომეტრზე. ჩემი სოფლიდან შავ ზღვამდე სულ ოციოდე კილომეტრია.

მშობლების გარდაცვალებისა და ოჯახის სხვა წევრების მუდმივ საცხოვრებლად ქალაქში გადასვლის მიუხედავად, მშობლიური კარ-მიდამო დღესაც შენარჩუნებულია. მას თითქმის არ დაუკარგავს ის ხიბლი და მიმზიდველობა (პეწი), რაც ჩემი გამრჯე მშობლების სიცოცხლეში ჰქონდა. ჩვეული სიამაყით გამოიყურება მრავლისმეტყველი, ჩემზე ოდნავ უხნესი ასაკის, მაგრამ მაგარი ხის ფიცრებისგან ნაგები ოთხოთახიანი ოდა სახლი და სამოთახიანი, საკმაოდ მხარბეჭიანი სამზარეულო სახლი (სამზადი), თავისი ინფრასტრუქტურით. ამ მამაპაპეულ ეზო-კარში თითოეული ხეც ძვირფასია ჩემთვის, რამეთუ იგი მახსენებს ჩემს ბავშვობასა და ყრმობას, სოფელში ჩემს თანატოლებთან გატარებულ საუკეთესო წლებს. აი, რატომ მივიჩქარი ხოლმე ჩვენი დიდი ოჯახის ფუძის (კერიის) მოსანახულებლად, როგორც კი ოდნავ თავისუფალი დრო და თუნდაც მცირეოდენი შესაძლებლობა გამომიჩნდება (ჩვენს სახლში ამჟამად, ჩვენივე თანხმობით, სოხუმიდან დევნილი ოჯახის წევრები ცხოვრობენ).

მამა – ლეონტი (იგივე ლავრენტი) ჩიქავა სოფ. კოკის შვიდწლიანი (არასრული საშუალო) სკოლის ჯერ დაწყებითი კლასების, ხოლო შემდეგ რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი იყო. რამდენიმე წელიწადი ამ სკოლის გამგედაც მუშაობდა. მას დამთავრებული ჰქონდა ზუგდიდის სამოქალაქო სასწავლებელი და სპეციალური ერთწლიანი კურსები ქ. ქუთაისში. მამა მახსოვს როგორც იმდროისთვის საკმაოდ

განათლებული, მრავალი ჭირნახული, დარბაისელი და მთელ ჩვენს სოფელში ჭკუის საკითხავი პიროვნება. მას ხშირად მიმართავდნენ ოჯახური კონფლიქტების თუ სხვა პრობლემების დროს დახმარებისთვის, რასაც იგი გულთან მიტანით ხვდებოდა და ყველაფერს აკეთებდა საკითხის დადებითად გადაწყვეტისთვის. მეზობელი სოფლებიდანაც არაერთხელ მოსულან იმისთვის, რომ მამაჩემი დასმარებოდა განცხადებების, მიმართვების, განმარტებების და ა.შ. რუსულ ენაზე შედგენაში.

მამა, გონებრივთან ერთად, ფიზიკურ შრომასაც ეწეოდა. იგი დგებოდა დილაადრიან და გაკვეთილების დაწყებამდე (9 საათამდე) საოჯახო სამუშაოებს ასრულებდა, შემდეგ გაკვეთილებს ჩაატარებდა და დღის მეორე ნახევარში ისევ ძირითადად საოჯახო სამუშაოების შესრულებით იყო გართული. ადრე დასნეულდა (ინსულტით), რამდენიმე წელი იყო სარეცელს მიჯაჭვული და 1947 წელს (61 წლის ასაკში) გარდაიცვალა.

დედა – ანეტა ნარმანია-ჩიქავა ჩვენი დიდი ოჯახის ნამდვილი ბურჯი იყო. ამაში მას, ოჯახისადმი უსაზღვრო სიყვარულთან, ერთად, ხელს უწყობდა საღი გონება, ღრმად გააზრებული მოქმედება, უშრეტი ენერგია და საოცარი შრომისმოყვარეობა. იმდროინდელი ცხოვრების წესის თანახმად (დედა იყო მღვდლის შვილი), მას კლასიკური განათლება არ მიუღია, მაგრამ ამას თითქმის არ შეუშლია ხელი იმისთვის, რომ თავისი (და ოჯახისა მთლიანად) ცხოვრება გონივრულად და მიზანსწრაფულად წარემართა. ამის დასტური იყო თუნდაც ის, რომ დედაჩემის ბოსტანი ყოველთვის დუღდა და გადმოდუღდა, ყველა სახეობის ბოსტნეული თუ ბაღჩეული იმდენი მოჰყავდა, რომ მეზობლებსაც უნაწილებდა. ძირითადად დედაჩემის თაოსნობით ოჯახში გვყავდა თითქმის ყველა სახეობის შინაური ფრინველი (ქათმები, იხვები, ბატები, ინდაურები, ფარშევანგები, მტრედები, თანაც ბლომად), ფუტკარი, ასევე შინაური ცხოველები (ძროხები, კამეჩები, ცხენი, თხები, ცხვრები, ღორები, კურდღლები და სხვ.). მამაჩემთან ერთად, მისი ხელით გასული საუკუნის 20-იანი წლების დასაწყისში 1 ჰექტარ ფართობზე გაშენებული თხილნარი ამჟამადაც მოსავლიანია და წელიწადში 1,5-2 ტონამდე თხილს იძლევა.

დედა არა მარტო ნათელი გონების პატრონი მანდილოსანი, არამედ უიზიკურადაც ძალიან ძლიერი და ფრიად სიმპათიური პიროვნება იყო. მახსენდება ჩვენი ოჯახის უახლოესი ადამიანების მონათხრობი – ერთი საინტერესო ეპიზოდი მისი ცხოვრებიდან. მე სულ ორიოდე წლისა ვყოფილვარ, როცა ჩემი ბიძაშვილი გათხოვილა გალელ გვარიშვილობითა და ვაქკაცობით გამორჩეულ პიროვნებაზე – მ. ლაკირბაიაზე. პატარძლის მაყრიონში დედაჩემიც ყოფილა, რომელიც მჯდარა „სედლოთი“ (ქალის სპეციალური უნაგირი) შეკაზმულ ცხენზე. ქორწილი იმ დროს, ტრადიციისამებრ, გვიან ღამით იწყებოდა და დილამდე გრძელდებოდა, რათა მექორწილეებს საშუალება ჰქონოდათ დღის სინათლეზე უვნებლად დაბრუნებულიყვნენ რამდენიმე ათეული კილომეტრით დაშორებულ თავიანთ ოჯახებში.

გათენებულზე, როცა პატარძლის მაყრიონი უნდა გამომშვიდობებოდა მასპინძლებს და ყველა თავის ცხენზე იყო ამხედრებული, სიძის ბიცოლას – ფრიად წარმოსადეგ და მჭერმეტყველ ქალბატონს მოზრდილი (სამი თუ ოთხჭიქიანი) ყანწით ხელში ღია ცისქვეშ წარმოუთქვამს სადღეგრძელო, გზა დაულოცნია მოყვრებისთვის, შეუსვამს ღვინო და „ალავერდს“ დედაჩემთან გადასულა. ჩვეულების თანახმად, უარის თქმა თურმე დამარცხების ტოლფასი ყოფილა, ამიტომ, თანაგუნდელების თხოვნით, დედაჩემსაც ბოლომდე შეუსვამს ღვინო, თანაც, ამ წინადადების ინიციატორზე უფრო სწრაფად და ცარიელი ყანწი ყველას თვალწინ მერიქიფისთვის დაუბრუნებია. ორი მაყარი თავიანთი ცხენებით გვერდებში ამოდგომია (იმის შიშით, რომ ვაითუ ღვინო მოერიოს და ცხენიდან გადმოვარდესო), მაგრამ არცკი შეტორტმანებულა და სრულიად ნორმალურად დაუფარავს ჩვენს სოფლამდე 30 კილომეტრიანი გზა. როცა ამ ეპიზოდს გავახსენებდით, დედა იტყოდა ხოლმე: „ეს იყო ერთადერთი შემთხვევა ჩემს ცხოვრებაში და ახლა უფრო მიკვირს, როგორ გავბედე ასეთი რამ. ალბათ, ახალგაზრდულმა ენერგიამ შემაძლებინაო“.

დედაჩემი საოჯახო საქმიანობითა და საკარმიდამო ნაკვეთის დამუშავებით არ იფარგლებოდა. იგი აქტიურად მონაწი-

ლეობდა საკოლმეურნეო შრომაშიც. არჩეული იყო ბრიგადირად და კოლმეურნეობის გამგეობის წევრად. როგორც „შრომის დამკვრელს“, წლების განმავლობაში მოჰყავდა აბრეშუმის პარკის სარეკორდო მოსავალი, რისთვისაც 1939 წელს, საქართველოს დელეგაციის სხვა წევრებთან ერთად, მიავლინეს მოსკოვში სახალხო მეურნეობის მიღწევების გამოფენაში მონაწილეობის მისაღებად.

დედა, დაქვრივების შემდეგ, თითქმის ნახევარი საუკუნის მანძილზე სალ კლდესავით მარტოდმარტო სასელოვნად იდგა ჩვენი ოჯახის სადარაჯოზე და მაღალ დონეზე წარმართავდა შინამეურნეობის საქმეებს, კარმიდამოს სისტემატურად მატებდა შნოსა და ლაზათს. აღესრულა თითქმის 96 წლის ასაკში (1996 წ.).

ბუნებრივია, შვილები ვაფასებთ და უდიდეს პატივს მივაგებთ ჩვენი არაორდინარული დედიკოს ფასდაუდებელ ამაგს, მაგრამ ეს ზღვაში წვეთია იმასთან შედარებით, რაც მან ჩვენ გაგვიკეთა.

იმის საილუსტრაციოდ, თუ როგორ ეცდილობდით შვილები სათანადოდ შეგვეფასებინა დედის მიერ ჩვენდამი არაჩვეულებრივი დედობის გაწევა, გავიხსენებ ერთ ეპიზოდს. ზემდგომი ორგანოების დავალებით, მე და ჩემი კოლეგა, პროფ. ოთარ მაღლაფერიძე ლექციების ჩასატარებლად მიგვავლინეს ხობის რაიონში. ჩვენი ძირითადი მოვალეობის შესრულების შემდეგ მიგვიწვიეს სადილზე. ეუთხარი, „დიდი მადლობელი ვარ პატივისცემისთვის, მაგრამ რამდენიმე თვის უნახავი დედა მინდა მოვინახულო და უნდა დაგტოვოთ-მეთქი“. შემპირდნენ, სულ ერთი საათით წავიხემსოთ და გაგიშვებთო. მომერიდა და დავთანხმდი. ქართული სუფრის ტრადიციამ (რომელიც ჩემთვის უცხო არ იყო) მაინც თავისი გაიტანა და, გამგზავრების თაობაზე ჩემი არაერთი მცდელობის მიუხედავად, შეცვაგვიანდა, უკვე დაღამდა. კიდევ ერთხელ შეხსენებისას, მასპინძლებმა მითხრეს, ახლა სულ მალე დავამთავრებთ და შეგიძლიათ წახვიდეთო. ვუპასუხე: „უკვე არსად მეჩქარება, ასე რომ, ჩემთვის არანაირი მნიშვნელობა არა აქვს იმას, თუ როდის დამთავრდება ეს ჩვენი შეხვედრა-მეთქი“. ყველას გაუკვირდა,

განსაკუთრებით ჩემს კოლეგას. აეუხსენი რაშიც იყო საქმე: „დედა, რომელიც 90 წელს გადაცილებულია, უკვე დაძინებული იქნება. მოულოდნელად რამდენიმე თვის განმავლობაში უნახავ შვილს რომ დამინახავს, მოჭარბებული სიხარულისგან აფორიაქდება, აღელვდება, ძილი დაუფრთხება და მეორე დღეს უქეიფოდ იგრძნობს თავს, ამიტომ ჯობია დილამდე არ ვეახლო-მეთქი". ამ მგრძნობიარედ ნათქვამმა სიტყვებმა ძალიან დააფიქრა ჩემი კოლეგა (ალბათ, სხვებიც), რაც შემდეგ არაერთხელ გაიხსენა მან.

მე ვარ ჩემი მშობლების მეოთხე შვილი — ნაბოლარა. როგორც ბიცოლაჩემის ნათქვამიდან ვიცი, ჯერ კიდევ დაბადებამდე ჩემი მოცილების მცდელობას ჰქონია ადგილი, მაგრამ ჩვენი სოფლის ექიმის, ახლო ნათესავის დასაბუთებულ, არგუმენტირებულ რჩევას გადავურჩენივარ ბარბაროსული მეთოდის გამოყენებით ფიზიკური ლიკვიდაციისგან. ჩემი დედმამის შვილებიდან ყველაზე უფროსია **იოსები — ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი**. ჰყავს ორი შვილი, ოთხი შვილიშვილი და სამი შვილთაშვილი. მეორე გახლდათ **ნათელა**, რომელიც დაავადდა იმდროისთვის უკურნებელი სენით (ტუბერკულოზით) და 1942 წელს 18 წლის ასაკში გარდაიცვალა. მესამეა **მზია — ექიმ-პედიატრი**, რომელიც ცხოვრობს ქ. ზუგდიდში. ჰყავს სამი შვილი და შვიდი შვილიშვილი.

ჩემი ბავშვობა თითქმის არაფრით ყოფილა განსხვავებული ათასობით და ათეული ათასობით სხვა ბავშვების ცხოვრებისგან, თუ არ გავითვალისწინებთ იმას, რომ მასში გარკვეული სპეციფიკური შტრიხი შეიტანა მეორე მსოფლიო ომით გამოწვეულმა სიძნელეებმა.

ალბათ, იმის გამო, რომ მამაჩემი ჩვენი სოფლის სკოლის მასწავლებელი იყო, მშობლებს გადაუწყვეტიათ, „თვალის გატეხვის" მიზნით, 6 წლის ასაკიდან (1934 წლის 1 სექტემბრიდან) მეელო სკოლაში თავისუფალი მსმენელის რანგში ანუ მოხალისედ (ჩვეულებრივ ღებულობდნენ 7 წლის ასაკისას).

როგორც შემდეგ მითხრეს, კლასში იმთავითვე გამომიჩენია თავი და დავწინაურებულვარ, ამიტომ პედსაბჭოს გადაწყვეტილებით, ოფიციალურად ჩავურიცხივართ პირველ კლასში. იქიდან მოყოლებული თითქმის ყოველთვის ხუთიანებს ვღებულობდი სასწავლო საგნებში და ფრიადი შეფასებით გადავდიოდი კლასიდან კლასში.

ვერ ვიტყვი, რომ ვიყავი არაჩვეულებრივი ნიჭის პატრონი — ე.წ. „ვუნდერკინდი". თუმცა, ვერც იმას უარეყოფ, რომ ამ მხრივ ჩემი თანატოლების უმრავლესობისგან აშკარად გამოვირჩეოდი. მიუხედავად ამისა, ამთავითვე მინდა ვთქვა, რომ ჩემი შემდგომი წარმატებები ძირითადად მუყაითმა, მიზანსწრაფულად მიმართულმა და შეუპოვარმა, დაძაბულმა შემოქმედებითმა შრომამ განაპირობა. ასეთი შრომა კი, შემიძლია არაორაზროვნად ვთქვა, რომ ჩემი საქმიანობის თანამგზავრად ბავშვობის წლებიდანვე იქცა.

1937 წელს მთელმა ჩვენმა ოჯახმა (მამაჩემის გამოკლებით, რომელიც ოჯახის მომვლელად დარჩა) დაბა წაღვერის თაიგულივით ულამაზეს გარეუბან მზეთამზიაში დაისვენა. ახლაც თვალწინ მიდგას და ტკბილ მოგონებად დამრჩა იქაური განუმეორებელი ბუნება, თვალწარმტაცი მიდამოები, „მყავე წყალი", რომელიც ყოველდღიურად, მთის მწვერვალის გადალახვით, თითქმის სამი კილომეტრის სიშორიდან მომქონდა. მიუხედავად იმისა, რომ იმ დროისთვის სულ ცხრა წლისა ვიყავი, თითქმის ყოველთვის მე მაგზავნიდნენ არა მარტო „მყავე წყლის", არამედ, აგრეთვე, ყველანაირი სურსათ-სანოვაგის (პური, ყველი, რძე, ხორცი, კარაქი, შაქარი, მარილი და სხვ.) მოსატანად. სეზონის დამთავრებისას დედაჩემმა თურმე ხუმრობით თქვა: „რაც ფული გვქონდა, მთლიანად ლეომ დახარჯაო". ეს ნათქვამი პირდაპირი მნიშვნელობით ყავიგე და გავებუტე. ძლივს მომიყვანეს ხასიათზე.

ეს იყო ჩვენი ოჯახის წევრების (მამაჩემის გამოკლებით) ერთობლივად შეხმატკბილებულად დასვენების ერთადერთი, მაგრამ დაუვიწყარი, მდიდარი შთაბეჭდილებებით აღსავსე სეზონი.

პატარაობიდანვე ვეხმარებოდი მშობლებს არა მარტო

წერილმანი საოჯახო სამუშაოების შესრულებაში, არამედ, აგრეთვე, თხილის კრეფაში, სიმინდის გარჩევაში, საქონლის საკვების დამზადებაში, ძროხების ძოვებაში, თოხნაში, ბარვაში და ა.შ. მიყვარდა თევზაობა, სოკოს, მაყვლისა და ეკალას შეგროვება, ხეებზე ასული იზაბელას ყურძნის მოკრეფა, ზღვისა[1] და მდინარის წყლებში ბანაობა, ცხენით ჯირითი. ვხედავდი რა იმას, რომ ჯანმრთელობის შერყევის გამო, მამაჩემს უჭირდა ფიზიკური შრომა, დედა კი მარტოდმარტო (უფროსი ძმა სწავლობდა ჯერ ზუგდიდში, შემდეგ თბილისში, ხოლო 1941 წლიდან მთელი ოთხი წლის განმავლობაში ფრონტზე იმყოფებოდა) ვერ აუდიოდა შინამეურნეობის მრავალფეროვან, უკიდეგანო საქმიანობას, თანდათან ჩემს თავზე ავიღე მძიმე, ე.წ. მამაკაცური სამუშაოების (ხვნა, ფარცხვა, თესვა, მარგვლა, სიმინდის აღება-დაბინავება, ზამთრისთვის შეშის მომარაგება, ღობეების გაკეთება და სხვ.) შესრულების სადავეები.

გასული საუკუნის 40-იან წლებში, ომით განპირობებულ სიძნელეებთან დაკავშირებით, ქალაქის მაცხოვრებელთა გარკვეულ კატეგორიას (ძირითადად მეცნიერებს, კულტურისა და ხელოვნების ცნობილ მუშაკებს) დროებითი სარგებლობისთვის

---

[1] ერთხელ, როცა ვისვენებდი წითელ შუქურაში (სოხუმის განაპირა დასახლება), ნათესავის ოჯახში, შევედი ზღვაში საბანაოდ. ზედაპირზე რაღაც ტივტივებდა, რომელსაც გამობმული ჰქონდა თოკები. ჩემი გამოუცდელობით ერთ-ერთი თოკი მოვიგდე მხარზე და განვაგრძე ცურვა. ხელის ყოველ შემოტრიალებაზე იგი (ანუ თევზის საჭერი ბადე) თურმე მეხვეოდა, მაგრამ თავდაპირველად, როცა ადვილად მომყვებოდა, ამას ვერ ვგრძნობდი. შემდეგ კი, როცა მჭიდროდ შემომეხვია, ძირს ჩაძირვა დამიწყო. ხელი ვერაფრით ვერ გავინთავისუფლე. ნათესავმაც სცადა დახმარება, მაგრამ იმასაც ფეხებში შემოებლანდა ბადე და გაჭირვებით უშველა თავს. თითქოს გარდაუვალი იყო კატასტროფა. გარედან დახმარების არავითარი იმედი არ ჩანდა. კიდევ რამდენიმე წუთი და ზღვის ფსკერზე აღმოვჩნდებოდი.

ისევ გაეუკეთე თავს მობილიზება, ვიფიქრე, ან თოკი გაწყდება ან ხელი მომწყდება-მეთქი და თოკი გამოვწიე ზებუნებრივი ძალით (ალბათ, დახრჩობის შიშით). როგორც ჩანდა, მოწყალების თვალით გადმომხედა უფალმა ჩემი უცოდველობის გამო და მიხსნა განსაცდელისგან. თითი ძლივს შევყავი იმ ადგილას, სადაც თოკი მქონდა შემოხვეული და გავწიე მთელი ძალით, რომელმაც მკლავის განთავისუფლების საშუალება მომცა. აი, ასე გადავრჩი დახრჩობას. ზღვიდან ამოსვლის შემდეგ მთელი ორი საათი ვიწექი ნაპირას ცოცხალმკვდარი გაუნძრევლად და მხოლოდ მერე მოვედი გონს.

(0,4 ჰა ფართის ოდენობით) სოფლად უყოფდნენ საყანე მიწის ნაკვეთებს. მათ დამოუკიდებელად ამ ნაკვეთების დამუშავება არ შეეძლოთ, ამიტომ 50 %-იანი წილის პირობით დასამუშავებლად ამ ნაკვეთებს აძლევდნენ სოფლის მაცხოვრებლებს. მეც (ოჯახის წევრებთან ერთად) აქტიურად ვმონაწილეობდი ამ კონტრაქტებში და ვიწყებდი სიმინდის უსვ მოსავალს. ასე რომ, საყოველთაო გაჭირვების მიუხედაეად, ჩვენი ოჯახი საკვებით უზრუნველყოფილი იყო სურსათ-სანოვაგით.

უნდა ითქვას, რომ ამის მიღწევა ადვილი როდი იყო. დიდ სიძნელეებს ქმნიდა ცოცხალი გამწევი ძალისა და მიწის დამუშავებისთვის საჭირო ინვენტარის (მექანიკური საშუალებების) დეფიციტი. ამიტომ იძულებულნი ვიყავით მიგვემართა უკიდურესი ზომებისთვის. მახსენდება ერთი ასეთი ეპიზოდი. ერთ-ერთ მთვარიან ღამეს, მარტოდმარტო, დაახლოებით 14-15 წლის ასაკში წავედი ტყეში, რომელიც მდებარეობდა ჩემი სახლიდან დაახლოებით ორ კილომეტრზე, იქიდან გამოვრეკე ორი ხარკამეჩი, ნათხოვი გუთანი ზურგით გადავიტანე მდინარის მეორე ნაპირას (წყლის სიღრმე იქნებოდა ერთ მეტრამდე, ხიდი წყალს ჰქონდა წაღებული) და თითქმის გათენებამდე ვიმუშავე. დღევანდელი თვალსაწიერიდან თვითონვე მიკვირს, როგორ გავბედე ღამით ტყეში მარტომ შესვლა და ასეთი საქმის გაკეთება. გულახდილად უნდა ვთქვა, რომ ამჟამად, ალბათ, ვერ შეეძლებ ამის გამეორებას, ღამით ტყეში თუნდაც უბრალოდ შესვლას, დათვალიერებას და უკან დაბრუნებას.

წინათ სოფლად სიმინდის დაფქვის ერთადერთი საშუალება წყლის წისქვილი იყო. როგორც ყველაზე უმცროსს, თანაც ვაჟიშვილს, საფქვავი წისქვილში უფრო ხშირად მე დამქონდა ზოგჯერ ზურგზე შემოდებული სახით, ზოგჯერ კი – ცხენით. ერთხელ უბელო (უუნაგირო) ცხენით დასაფქვავად წავიღე სიმინდი, რომლის წონა იქნებოდა არანაკლებ 40 კილოგრამისა. მაშინ ვიყავი 12-13 წლისა და ტომარა თითქმის მთლიანად მიფარავდა თვალებს. წისქვილი მდინარის გადაღმა მდებარეობდა, ჩვენი სახლიდან 1,5-2 კილომეტრზე. ხიდი საცალფეხო იყო, ასე რომ, მდინარეში უნდა გავსულიყავი. წისქვილიდან

უკან მობრუნებისას ცხენი ძალიან მოწყურებული ყოფილა და მდინარეში ჩასვლისთანავე დაქანებულზე სრულიად მოულოდნელად დაეწაფა წყალს. ფქვილით სავსე ტომარა ვერ შეეიკავე და მდინარეში ჩამივარდა. ძალიან შეეწუხდი. სასწრაფო გადაწყვეტილების მიღება გახდა საჭირო. იმაზე ვფიქრობდი, მარტოდმარტოს როგორ უნდა მომეხერხებინა ასეთი სიმძიმის ცხენის კისერზე შემოდება, შემდეგ შეჯდომა და გზის გაგრძელება. იმის მეოხებით, რომ წყალში მძიმე ტვირთიც მსუბუქი ასაწევია, ტომარა მიეაცურე ხიდთან და დიდი წვალებით საცალფეხო ხიდზე შემოვდევი, ირგვლივ ნაფოტები შემოვუწყვე რომ არ წაქცეულიყო. შემდეგ ცხენზე შევჯექი, ტომრის გასწვრივ დავდექი და ტომარა ჩემკენ გადმოვაპირქვავე, კინაღამ ისევ ჩამივარდა, მაგრამ როგორც იქნა გადავრჩი. სახლში მიველი ძალიან შეწუხებული, მოვუყევი ჩემი თავგადასავალი და ვთქვი, რომ ფქვილი, ალბათ, გაფუჭებული იქნება, მაგრამ ღორებისა და საქონლის საკვებად მაინც გამოდგება-მეთქი. მამაჩემმა მითხრა: „არა შვილო, წყალი ფქვილში ვერ შეაღწევდა, მხოლოდ მცირე ფენა თუ იქნება დასველებული, იმას მოვაცილებთ, დანარჩენი კი საღი იქნებაო“. მართალი უნდა ვთქვა, ასეთი რამ მანამდე არ ვიცოდი და ეს ერთი გამოცდილებაც მივიღე.

მეზობლები, ნათესავები, ნაცნობები, არანაცნობებიც კი, მიწონებდნენ ადრეულ ასაკში სრულ შრომით ფერხულში ჩაბმას და სასიამოვნო ეპითეტებით მამკობდნენ, მაგრამ ყველა როდი იყო ასეთი. ზოგი გამოირჩეოდა უცნაურობებით. მახსენდება ერთი ასეთი შემთხვევა. ჩვენს სოფელში თავისუფალი საძოვარი ადგილები თითქმის არაა, ამიტომ საქონელს ზაფხულობითაც ბალახი პატრონმა უნდა მოუმარაგოს. ამ საქმეშიც აქტიურად ვიყავი ჩართული. ბალახს ვთიბავდი საკოლმეურნეო ყანებში და მხარზე შემოდებული მიმქონდა სახლში. ეს ყანები საცხოვრებელი სახლიდან დაახლოებით 1-1,5 კილომეტრით იყო დაშორებული. ამ უკაცრიელ ადგილას ბალახის მოთიბვითა (მოჭრით) და შეგროვებით გართულს (მაშინ ვიქნებოდი, ალბათ, 10-11 წლისა) თავზე დამადგა უცნაური გამომეტყველების ბანჯგელიანი კაცი (მერე გავიგე, რომ ჩვენი

შორეული მეზობელი ყოფილა), ხელი მომკიდა ყურზე, დანა ამოიღო და მითხრა, ასლა ყური უნდა მოგაჭრაო. არ შემშინებია-მეთქი, რომ ვთქვა, სწორი არ ვიქნები. ერთ მომენტში გადავწყვიტე, ნამგალს ჩავარტყამ და გავიქცევი-მეთქი, მაგრამ მივხვდი, რომ ამხელა მუტრუკს (იქნებოდა 40 წლამდე ასაკის) ვერ მოვერეოდი და გადავიფიქრე. ბოლოს, როგორც იქნა, დამანება თავი და დათრგუნული დაებრუნდი სახლში. მითხრეს, რომ ის გაგეხუმრებოდაო, მაგრამ ასეთი „ხუმრობა" როგორ შეიძლება ადამიანს ნორმალურ ქცევად ჩაეთვალოს? ჩემი აზრით, ამ მანიაკს ბევრი არაფერი უკლდა დანისთვის ოდნავ ჩამოეკრა ხელი და ჩემი ყური ძირს დავარდნილიყო. ასლაც მჯერა, რომ შემთხვევით გადავურჩი. რომ წამოვიზარდე იმის შემდეგაც ამ შეურაცხადი ტიპის (სხვას ვერაფერს დავარქმევ მის უცნაურ მოქმედებას) დანასვა ყოველთვის ისეთ შეგრძნებას იწვევდა ჩემში, როგორსაც შსამიანი გველის – კობრას დანახვა იწვევს.

სხვათაშორის, ამ უხსენებელთანაც მქონია უშუალო შეხების ფრიად უსიამოვნო განცდა. ძროხისთვის ბალახი უნდა მომეტანა. წავედი კოლმეურნეობის ყანაში და შევუდექი ნამგლით ბალახის მოჭრას. ბალახის გარკვეულ მასას ხელი შემოვაელე და სანამ ნამგალს მოვუსვამდი ჩემი მუჭიდან ამოსრიალდა დაახლოებით 80 სმ-ის სიგრძის გველი და მოკურცხლა. ნამგლის მოსმა რომ მომესწრო, მას სსეულს დავუბიანებდი და უეჭველად მიკბენდა, მაგრამ რაღაც ღვთისნიერმა ძალამ გადამარჩინა. ამან ჩემგე – 12 წლის ასაკის ბავშვზე ძალიან იმოქმედა და იმ დღეს ბალახის გარეშე ძალიან შეწუხებული დაებრუნდი სახლში.

მოგიერთს არა მარტო არ ეშინია ქვეწარმავლის, არამედ თავისუფლად იჭერს კიდეც მას და შეუძლია ხელზე ან კისერზე შემოიხვიოს. პირადად მე ძალიან მაღიზიანებს მისი შორიდან დანახვაც კი. ასეთ უსიამოვნო შეგრძნებას ჩემს შორიახლოს მგლის გამოჩენაც არ იწვევს.

ბავშვობისას კლინიკური სიკვდილიც მაქვს განცდილი. ეს ასეთნაირად მოხდა. ჩვენ გვედგა სიმინდის საშრობი 3,5-4 მეტრის სიმაღლის ნაგებობა. მისი მეორე სართული სავსე იყო

სიმინდის ნაქურჩალითა და თიეით. მე და მეგობლის ბავშვები ვერთობოდით იმით, რომ თვალდახუჭულები ვხტებოდით მარცხნივ, ნაქურჩალ-თიეიან მსარეგე. არ ვიცი თავბრუ დამეხვა თუ ბავშვმა მკრა ხელი, თვალდახუჭული გადავსტი მარჯვენა მხარეს და დავენარცხე ქვაფენილზე. გრძნობა დამიკარგავს, დედაჩემს მკვდარი ვგონებივარ და კივილი მოურთავს. უამრავ მეგობელს მოუყრია თავი. ბიძაჩემი (მამიდის ქმარი) ჩვენი სახლიდან ცხენზე ამხედრებული ახალი წასული ყოფილა. მას დაახლოებით ერთი კილომეტრის სიშორეზე კივილი გაუგონია, უცვნია დედაჩემის ხმა და ცხენის ჭენებით მოვარდნილა, სადაც ამისთანა ტრაგიკული სურათის მოწმე გამხდარა. გარკვეული ხნის შემდეგ თვალები გამიხელია და მოვუსულიერებივართ.

როგორც ჩანს, მაშინ (6 წლის ასაკში) რაღაც ზებუნებრივმა ძალამ თუ ბედიღბალმა გადამარჩინა. რომ არ გადავერჩინე, ახლა კარგა ხნის დავიწყებული მიცვალებული ვიქნებოდი და მკითხველო არც თქვენ მოგიწევდათ ამ ჩემი მოგონებების გასაცნობად დროის დაკარგვა.

სოფ. კოკის ჩემდროინდელი სკოლის პედკოლექტივი დაკომპლექტებული იყო მაღალი ზნეობისა და კულტურის, მაგრამ საშუალო კვალიფიკაციის კადრებით. მათგან თითო-ოროლას თუ ჰქონდა უმაღლესი განათლება. დანარჩენებს ძირითადად პედაგოგიური ტექნიკუმი ჰქონდათ დამთავრებული. მიუხედავად ამისა, პედაგოგთა უმრავლესობა დიდი პასუხისმგებლობით ეკიდებოდა დაკისრებული მოვალეობის შესრულებას და როგორც პედაგოგიურ წრეში, ისე მოსწავლე ახალგაზრდობაში დიდი პატივისცემით სარგებლობდა.

კოკის სკოლის პედაგოგებიდან აშკარად გამოირჩეოდა ალგებრის მასწავლებელი – ქალბატონი მინადორა როგავა, რომელიც, სკოლაში მუშაობის პარალელურად, დაუსწრებლად სწავლობდა ქუთაისის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში ფილოლოგიის ფაკულტეტზე. ამ სპეციალობის მიღების შემდეგ, ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლად განაგრძო მუშაობა. იგი ყველანაირ ხერხსა და საშუალებას მიმართავდა იმისთვის, რომ მოსწავლისთვის გასაგები გაეხა-

და შესასწავლი მასალა, ასევე კარგად დამამახსოვრდა პედაგოგები — **ამბაკო ცხაკაია** (გარკვეული ხნის განმავლობაში სკოლის დირექტორიც იყო), **აქვსენტი ეხვაია, მიშა შონია, მელენტი ნაყოფია, შოთა ოდიშარია, ფენია დგებუაძე** (მასწავლიდა პირველ კლასში). გასული საუკუნის 30-იანი წლების დასასრულსა და 40-იანი წლების დასაწყისში სკოლის დირექტორი იყო **კლიმენტი კალანდია** — მეზობელი სოფლის მაცხოვრებელი, საკმაოდ განსწავლული ინტელიგენტი, რომელიც დიდი სამამულო ომის დაწყებისთანავე გაიწვიეს არმიაში და ფრონტზე დაიღუპა.

რაც შეეხება მამაჩემს, გასაგები მიზეზების გამო, ვერ შევუდგები მის დახასიათებას. თუმცა, მისი გარემოცვისთვის კარგად იყო ცნობილი, რომ, როგორც პედაგოგი, იგი გამოირჩეოდა მაღალი მომთხოვნელობითა და სიმკაცრით. თუმცა, ეს თვისებები ოპტიმალურად იყო შეხამებული თითოეული მოსწავლისადმი თბილ და კეთილ დამოკიდებულებასთან. მახსოვს, თუ როგორ ემადლიერებოდნენ ყოფილი მოსწავლეები და რაოდენ ნანობდნენ იმას, რომ თავის დროზე სრულად ვერ გამოიყენეს ესოდენ კეთილისმსურველი მასწავლებლის გონივრული რჩევა-დარიგებები.

ჩემი მშობლიური სოფლის სკოლის ღირსეული პედკოლექტივის შემადგენლობაში, სამწუხაროდ, უღირსებიც ერია. ასეთი იყო, მაგალითად, ჩემი ფიზიკის მასწავლებელი (კარის მეზობელი), რომელიც ერთხანობა ამავე სკოლის დირექტორის მოვალეობასაც ასრულებდა. მეორე მსოფლიო ომის დროს იგი ჯარში გაწვევას ემალებოდა და ხალხში არ გამოდიოდა. უახლოესმა მეზობელმა მანდილოსანმა თავისი 9 წლის გოგონა მისი დირექტორის სახლში გააგზავნა საცერის სათხოვნელად. როცა სამზადსა და ეზოში ვერავინ ნახა, ბავშვი უნებლიედ ოდა სახლში შევიდა. აქ კი ეს დეზერტირი იმალეობდა. ჩაპუტკუნებული გოგონა რომ დაინახა, მამაკაცურმა გრძნობამ იმძლავრა, მსეცურად ეცა და გაუპატიურება მოუნდომა. ბავშვი ხელიდან გაუსხლტდა და ტირილით დედისკენ გაიქცა (მამა უკვე უგზოუკელოდ იყო დაკარგული ფრონტზე). დედამ, დაინახა რა გაუპატიურების მცდელობის უტყუარი მამხილებელი

ნიშნების კვალი, გადაწყვიტა დანით აეკუწა ეს გარეწარი და გამოეკიდა, მაგრამ მან გაქცევით უშველა თავს.

ამ ფაქტთან დაკავშირებით მთელი სოფელი შეიყარა. თვითმხილველთა შორის იყვნენ მამაჩემი, ჩემი და და ბიცოლა, რომლებმაც ჩვენს სოფელშივე საჯაროდ გამართულ სასამართლო პროცესზე (რომელსაც თავადაც ვესწრებოდი) დაადასტურეს ამ დანაშაულის ჭეშმარიტება. განსასჯელს მიუსაჯეს 3,5 წლით პატიმრობა (მაშინდელი კანონმდებლობა მეტს არ ითვალისწინებდა). სოფელმა ამ ოჯახს ბოიკოტი გამოუცხადა და იზოლაციაში მოაქცია.

მსჯავრდებულის მამამ, შურისძიების მიზნით, დააყაჩაღებინა ჩვენი ოჯახი (რაც კი გვებადა და რისი წაღებაც შეიძლებოდა, ყველაფერი ტომრებში ჩაალაგეს, ჩემს მშობლებს ზურგზე აჰკიდეს და მეზობელი სოფლის საზღვრამდე – მთელი სამი კილომეტრი აზიდვინეს. მე ჩაის საკრეფად ვიყავი წაყვანილი, ჩემი და კი ჩაკეტეს სახლში და გააფრთხილეს, თუ გარეთ გამოხვალ, იარაღიანი კაცი დაგხვდება და მოგკლავსო. მოგვიანებით გაიხსნა ეს საქმე. ერთი ყაჩაღი დაკავებისას მოკლეს, მეორეს კი 10 წლით პატიმრობა მიუსაჯეს).

ამასთან დაკავშირებით საინტერესოა ერთი ასეთი დეტალი. ეს უკანასკნელი, გამოძიების მიერ თითქმის ყველანაირი მეთოდის გამოყენების მიუხედავად, არ აღიარებდა ჩადენილ დანაშაულს, მაგრამ ორმა უტყუარმა გარემოებამ აშკარად ახადა ფარდა მის ბოროტმოქმედებას: ჯერ ერთი, დედაჩემს სასამართლო პროცესზე აღუნიშნავს: „როგორც ნივთმტკიცება, თქვენს ხელთაა ამ ავაზაკების მიერ წაღებული ჩემი ქალიშვილების ზუსტად ერთნაირი ჯემპრები, იცით, რომ წაღების შემდეგ არცერთ მათგანს ახლოსაც არ გავკარებივარ. გადმოაბრუნეთ და თუ ერთ-ერთი მათგანის მარჯვენა სახელურზე აღმოჩნდება ფერადი ძაფით დადებული ნიშანი, შეგიძლიათ ირწმუნოთ, რომ ჩემია, თუ არადა, ეს ვაჟბატონი იქნება მართალიო“. თურმე იქვე ნახეს და ჩვენება მთლიანად დადასტურდა. ასეთი ნიშანი დედაჩემს იმიტომ დაუდვია, რომ ქალიშვილებს არ შეშლოდათ თავიანთი ჯემპრის ამოცნობა, რამეთუ ერთ-ერთი მათგანი მძიმე გადამდები სენით იყო და-

ავადებული; და, მეორე, საბოლოო დაპირისპირებისას მამაჩემს ბრალდებულისადმი ასეთი სიტყვებით მიუმართავს: „როცა სიბნელეში სიმინდის დაბურულ ყანებში გზა აგვებნა, შენ არ მითხარი, ამას განზრახ აკეთებ, გინდა გათენებამ მოგვისწროს, ასლავე სასწრაფოდ გაგვიყვანე გზაზე, თორემ შუბლს გაგიხვრიტავო და იარაღი შუბლთან მომადევი?“ ამ მომენტს აუფორიაქებია ბოროტმოქმედი და მას უნებლიედ წამოსცდენია: „ნეტავ მაშინ რომ გამომეკრა ჩახმახისთვის თითი, ახლა თავისუფალი ვიქნებოდიო“.

აღნიშნული სამარცხვინო ფაქტი იმიტომ გაეიხსენე, რომ ამ ვანდალურმა მოქმედებამ არა მარტო მორალურად იმოქმედა, არამედ ფიზიკურადაც შეარყია ჩემი მშობლების ჯანმრთელობა და დააჩქარა მამაჩემის სიკვდილი.

ასლანდელ მოსწავლეთა უმრავლესობისგან განსხვავებით, სკოლა ჭეშმარიტად მიყვარდა და იგი ჩემი მეორე ოჯახი იყო. გაკვეთილების არასაპატიო მიზეზით გაცდენა აბსოლუტურად გამორიცხული იყო. მეტიც, როცა, ავადმყოფობის გამო, მშობლები არ მიშვებდნენ სკოლაში, ძალიან განვიცდიდი, მიტირია კიდეც. იმისთვის, რომ თავიდან ამეცილებინა გაკვეთილების გაცდენა, ზოგჯერ ვმალავდი შეუძლოდ ყოფნას (სიცხის აწევას), რაც, არცთუ იშვიათად, ავადმყოფობის გართულების შედეგად, მეცადინეობების უფრო მეტი ოდენობით გაცდენის საფუძველი გამხდარა. მახსოვს, ერთხელ დილით, გაკვეთილების დაწყებამდე, დედაჩემმა გარდაცვლილი მეზობლის ოჯახში, ტრადიციისამებრ, სურსათ-სანოვაგე გამატანა. ეს ოჯახი საკმაოდ მოშორებით ცხოვრობდა და დამაგვიანდა, გზაშივე მომესმა სკოლის ზარის ხმა და გარკვეული იყო, რომ მეცადინეობის დაწყებას ვერ მივუსწრებდი. შევწუხდი, გავბრაზდი და მიცვალებული უკადრისი სიტყვებით მოვიხსენიე, რაზედაც დედამ მისაყვედურა.

ალბათ, მამაჩემის გავლენით, იმთავითვე მივეჩვიე გაკვეთილების დროულად მომზადებას, თუმცა, არსებული მძიმე ვითარება და რთული გარემო არ იძლეოდა იმის საშუალებას, რომ დღისით დავმჯდარიყავი სამეცადინოდ, რადგან ოჯახში უამრავი გადაუდებელი სამუშაო იყო შესასრულებელი, განსა-

კუთრებით გაბაუხულსა და შემოდგომაზე. ვხედავდი რა ყოველივე ამას, ძალდაუტანებლად ვესმარებოდი მშობლებს. გაკვეთილებს კი ვამზადებდი შებინდების შემდეგ. ერთი პერიოდი (ომის წლები) ნავთიც არ იშოვებოდა (ელექტროენერგიით განათებაზე ოცნებაც ნაადრევი იყო), ამიტომ ბუხრის შუქზე მიწევდა მეცადინეობა.

არ მახსოვს გაკვეთილების მოუმზადებლად თუ წავსულვარ სკოლაში. როცა მოწადინებულია ადამიანი და დროის ბიუჯეტს რაციონალურად გამოიყენებს, ყველაფრის მოსწრება შეიძლება. საოჯახო საქმეებით დატვირთვის მიუხედავად, პირადად მე არა მარტო სკოლის დავალებების შესრულებაში არ მქონია ჩამორჩენა, არამედ კლასგარეშე ლიტერატურის გასაცნობადაც ვპოულობდი დროს. სწორედ მოსწავლეობის პერიოდში წაეიკითხე ისეთი მნიშვნელოვანი ნაწარმოებები, როგორებიცაა: ვეფხისტყაოსანი, მთვარის მოტაცება, დიდოსტატის მარჯვენა, არსენა მარაბდელი, ჯაყოს ხიზნები (მაშინ არც ვიცოდი, რომ მ. ჯავახიშვილის ეს ნაწარმოებები აკრძალული იყო), კაცია ადამიანი?!, თქმულება ნიბელუნგებზე, უთავო მხედარი და სხვ. შეიძლება ითქვას, რომ ეს იყო ჩემი ჰობი, რომელმაც ცოდნის საკმაოდ საგრძნობი მარაგი შემიქმნა, გამივარჯიშა გონება და რამდენადმე გამიადვილა მომდევნო ეტაპების გავლა.

ვინაიდან ჩვენს სოფელში სრული საშუალო სკოლა არ არსებობდა, სწავლა გავაგრძელე მეზობელი სოფლის – ორსანტიის საშუალო სკოლაში. იგი ჩემი საცხოვრებელი სახლიდან ორი კილომეტრით იყო დაშორებული. მიუხედავად იმისა, რომ ამ მანძილის დღეში ორჯერ ფეხით გაელა ადვილი არ იყო (განსაკუთრებით ზამთარსა და ავდარში), არ მახსოვს გაკვეთილებზე დამეგვიანებინოს. სკოლის მიმდებარე ტერიტორიაზე მცხოვრებ მოსწავლეებს კი ხშირად აგვიანდებოდათ.

ახალ სკოლაში ადაპტირების პროცესი სწრაფად გავიარე და იმთავითვე მივიქციე პედაგოგების ყურადღება. ყოველგვარ დავალებას ვასრულებდი პირნათლად და მაქსიმალური მონდომებით. შედეგმაც არ დააყოვნა. ვსწავლობდი ფრიადებზე და, ასევე, აქტიურად ვმონაწილეობდი სკოლის ცხოვრება-

ში.

ნუ დაგვავიწყდება, რომ ეს არის გახურებული მსოფლიო ომის პერიოდი, მტერი მომდგარია დიდი კავკასიონის ქედს, იბომბება საქართველოს ცალკეული სტრატეგიული პუნქტები და რეალურია საქართველოს ტერიტორიაზე ფაშისტური არმიის შემოჭრის საშიშროება. აუცილებელი გახდა სკოლის შენობის დაცლა და ჯარის ნაწილებისთვის დათმობა. სკოლამ დროებით სოფლის მაცხოვრებელთა სახლებში დაიდო ბინა.

ასეთი არაორდინარული ვითარების შექმნის მიუხედავად, სკოლა შესაძლებლობის მაქსიმუმს (ზოგჯერ შეუძლებელსაც კი) აკეთებდა იმისთვის, რომ სწავლის პროცესი არ შეფერხებულიყო და თითოეულ კლასს მისთვის განკუთვნილი პროგრამა დაეძლია. ამაში, როგორც იტყვიან, ლომის წილი შეჰქონდა ერთ მუჭად შეკრულ სკოლის პედკოლექტივს, რომელსაც სათავეში ედგა ვაქკაციერი ენერგიული და საუკეთესო ორგანიზატორი, სკოლის დირექტორი, ქალბატონი **მავრა ჯოლოგუა**. იგი ამავე დროს გამორჩეული პედაგოგიც იყო, გვასწავლიდა ქიმიას. შეიძლება ითქვას, რომ ჩვენთვის, როგორც მოსწავლეებისთვის, საყვარელი პედაგოგები იყვნენ: **პოლიკარპე ნაჭყებია** (რუსული ენა და ლიტერატურა), **ეკატერინე გვილია** (ქართული ენა და ლიტერატურა), **მატუშა ანთელავა** (მათემატიკა), **ილიკო კიკავა და ალექსანდრე ბასილაია** (ისტორია), **გული ხაზალია** (გერმანული ენა), **ემელიანე ნაჭყებია** (სამხედრო საქმე) და სხვ. სამწუხაროდ, დღეისთვის არცერთი არაა ცოცხალი.

საგანგებოდ მინდა ხაზი გავუსვა ისტორიის მასწავლებლის ბ-ნი **ილიკო კიკავას** განსაკუთრებულ როლს მომდევნო ეტაპებზე ჩემი სპეციალობის განსაზღვრასა და წარმატებების მოპოვებაში. ეს იყო უაღრესად ნიჭიერი, ღრმად განსწავლული და თავის სპეციალობაზე – ისტორიულ მეცნიერებაზე უზომოდ შეყვარებული ადამიანი, რომელმაც ჩვენც შეგვაყვარა არა მარტო ისტორია, არამედ საზოგადოებრივი მეცნიერებები საერთოდ. ამის ნათელი დადასტურება იყო ის, რომ ცალკეულმა მოსწავლეებმა დავიწყეთ ჰეგელის, ფოიერბახის, მარქსის, ენგელსის ნაწარმოებების შესწავლა. მართალია, გვიჭირდა

შინაარსში სრულად წვდომა, მაგრამ გვეამაყებოდა, რომ ვკითხულობდით ამ უუძემდებლურ ნაწარმოებებს.

ჯერ კიდევ იმ დროს მე და ჩემმა თანაკლასელმა – აწ განსვენებულმა **კოტე თორიამ** პრაქტიკული ნაბიჯებიც გადავდგით საკუთარი წიგნადი ფონდის შესაქმნელად. სოფ. ორსანტიის კოლმეურნეობის ბიბლიოთეკა მოთავსებული იყო გამგეობის შენობის ვესტიბიულში (ჰოლში), რომლის კარადების თითქმის ყველა შუშა ჩამსხვრეული იყო. არავინ იყო მისი პატრონი. ჩვენ ორნი ამ ბიბლიოთეკის ხშირი სტუმრები ვიყავით. დაუკითხავად ვიღებდით წიგნებს და უბეგატენილები მივდიოდით სახლებში. ახლაც ამშვენებს ჩემს წიგნსაცავს ამ ბიბლიოთეკიდან წამოღებული ცნობილი ფილოსოფოსების კანტის, ჰეგელის, ფოიერბახის ნაწარმოები, რომლებიც ძალიან გამომადგა სტუდენტობისა და ასპირანტობის პერიოდებში.

ორსანტიის საშუალო სკოლაში ყველაზე ცუდად მათემატიკური საგნების სწავლება იყო დაყენებული. მთელი სამი წლის განმავლობაში, ე.ი. მერვე, მეცხრე და მეათე კლასებში სულ სამიოდე თვე თუ გვყავდა მათემატიკის მასწავლებელი. ამის მიზეზი იყო სპეციალისტების არმიაში გაწვევით გამოწვეული დეფიციტი კადრებისა.

საშუალო სკოლა დავამთავრე 1944 წელს. დირექცია ძალიან მოწადინებული იყო, რომ, როგორც ფრიადოსან მოსწავლეს, ოქროს მედალი მიმეღო. იგი უმაღლეს სასწავლებელში უგამოცდოდ ჩარიცხვის უფლებას იძლეოდა. სკოლის ხელმძღვანელობის ასეთი კეთილშობილური სურვილის მიუხედავად, მედალი ვერ მივიღე, იმიტომ, რომ საგამოცდო ბილეთის კითხვებიდან ერთ-ერთი მაგალითი ვერ ამოვხსენი, სამწუხაროდ, ვერც მასწავლებელმა ამოსსნა (იგი ინჟინერი იყო და ძლივს დაითანხმეს შეთავსებით მათემატიკის მასწავლებლად მუშაობაზე).

ჩემი თანაკლასელებიდან რაიმე მნიშვნელოვან წარმატებას ვერც ერთმა ვერ მიაღწია, გარდა **პიმენ დარასელიასი,** რომელმაც მოსკოვში დაამთავრა იურიდიული ფაკულტეტი და იქვე გახდა ერთ-ერთი რაიონის პროკურორი. ამჟამად პენსიონერია.

1944 წელს შემისრულდა 16 წელი. მოქმედი კანონის თანასმად, სამხედრო კომისარიატმა ორთვიან შეკრებაზე გამიწვია ანაკლიაში. ახლაც არ ვიცი ბანაკის ხელმძღვანელობისთვის საიდან გახდა ცნობილი მონაცემები ჩემი გარკვეული თეორიულ-პოლიტიკური მომზადების შესახებ. ასეულის მეთაურისგან ჩემთვის სრულიად მოულოდნელად მივიღე წინადადება გერმანია-საბჭოთა კავშირის ფრონტზე წითელი არმიის მიერ მოპოვებული წარმატებებისადმი მიძღვნილი კონფერენციის (თუ სხდომის) მუშაობაში მონაწილეობის თაობაზე. უარი ვერ ვუთხარი. ეს იყო ჩემი პირველი საჯარო გამოსვლა დაახლოებით ასკაციანი აუდიტორიის წინაშე. ცხადია, ეღელავდი და დიდი განცდებიც მქონდა. მოვიკრიბე ძალა და სათანადო არგუმენტების მოშველიებით შევეცადე დამესაბუთებინა წითელი არმიის ძლევამოსილების კანონზომიერება და ფაშისტურ გერმანიაზე საბოლოო გამარჯვების გარდუვალობა. აუდიტორიამ მქუხარე ტაშით დამაჯილდოვა.

ეს იყო ჩემი პირველი სერიოზული გამოცდა, რომელიც წარმატებით ჩავაბარე. მეორე დღესვე დამნიშნეს ბანაკის კედლის გაზეთის რედაქტორად და გამათავისუფლეს სამწყობრო მომზადებისგან. თუმცა, საკუთარი ინიციატივით მაინც დილაადრიან ვდგებოდი და ჩემთვის ვვარჯიშობდი.

ახლაც მახსოვს ომის მძიმე პერიოდი. დღე არ გავიდოდა, რომ სოფელში ერთი ან ორი ოჯახი არ ატირებულიყო ფრონტზე გაგზავნილების დაღუპვის გამო. ბუნებრივია, დიდ განცდებში იყო ჩვენი ოჯახიც, რამეთუ თითქმის მთელი ოთხი წლის (1941-1945 წწ.) განმავლობაში იბრძოდა ჩემი უფროსი ძმა – იოსები. დედაჩემის და მთლიანად ჩვენი ოჯახის ერთადერთი მანუგეშებელი იყო მის მიერ გამოგზავნილი სამკუთხა წერილები, რომელთაც ყოველდღიურად თუ არა, ყოველ მეორე დღეს მაინც ვღებულობდით.

ჩემს ერთ-ერთ საგანგებო მოვალეობას დანიშნულ დროზე ფოსტაში მისვლა და წერილების წამოღება წარმოადგენდა. თითქმის ყველა წერილი დიდი ოპტიმიზმითა და მტერზე გამარჯვების დაუოკებელი წყურვილით იყო გამსჭვალული. ოდნავი ბზარი დაეტყო ჩვენი ჯარის ნაწილების მიერ (რომელ-

შიც იოსებიც ირიცხებოდა) რუმინეთის საზღვრების გადალახვის დღეს დაწერილ წერილს. იგი წერდა: „მტერი უკან ისევს, ჩვენი არმია სულ უფრო მნიშვნელოვან წარმატებებს აღწევს, ფაშისტების დღეები დათვლილია, უკან მოვიტოვეთ სსრ კავშირის ტერიტორია“. ტექსტი მთავრდებოდა ასეთი ფრაზით: „ამის შემდეგ ჩემი წერილის მიმტანს საჩუქარი ეკუთვნის“.

ამან ყველა აგვაფორიაქა, განსაკუთრებით – დედაჩემი. მამაჩემს იმისი შიშიც კი გაუჩნდა, თავის თავს რამე არ დამართოსო. ჩუმად გამაფრთხილა: „შენ მაინც სამეცადინო გაქვს და ყურადღებით იყავი, მე ცოტას წავიძინებ და პირველი საათის შემდეგ თვალს მიყადევნებო“. მომდევნო ეტაპებზე ყველაფერი კარგად წარიმართა, მხოლოდ ერთხელ დაიჭრა და ისიც მსუბუქად. ომის დამთავრების მომენტისთვის ავსტრიის ტერიტორიაზე იმყოფებოდა, ფაშისტებისგან ვენის განთავისუფლების მონაწილეა.

# 2. სტუდენტობის წლები

ჩემი მომავალი სპეციალობა წინასწარ მოფიქრებული, დაგეგმილი და მტკიცედ განსაზღვრული არ ყოფილა. ერთი კია, რომ მამაჩემის რჩევაზე, შევსულიყავი საქართველოს ინდუსტრიულ ინსტიტუტში (დღევანდელი ტექნიკური უნივერსიტეტი მაშინ ასე იწოდებოდა), ფესი ავიორიე და საბუთების შეტანაზე თავი შევიკავე, ამიტომაც გამიცდა ერთი წელი. ეს, ალბათ, იმან განაპირობა, რომ, როგორც ფსიქოლოგიურად, ისე შინაარსობრივი თვალსაზრისით (ჩემი თვითგანვითარებით), რომელიმე საზოგადოებრივი მეცნიერების სპეციალობაზე სწავლის გაგრძელებისთვის უფრო ვიყავი მომზადებული.

სხვათაშორის, როგორც დედაჩემმა მითხრა, ჩემი მომავალი პროფესიის თაობაზე მამაჩემის თავდაპირველი ვერსია სულ სხვა ყოფილა. მას სურდა, რომ დამემთავრებინა პედაგოგიური უმაღლესი სასწავლებელი და როგორც საცხოვრებლად, ისე სამუშაოდ დავბრუნებულიყავი ჩემს მშობლიურ სოფელში. მაშინ ამ სურვილის პრაქტიკული მხარე სრულად არ მქონდა გაცნობიერებული. იგი, როგორც ირკვევა, იმას ისახავდა მიზნად, რომ ერთ-ერთი შვილი მაინც დამკვიდრებულიყო მამაპაპისეულ ოჯახში და მშობლების გარდაცვალების შემდეგ სახლის კარები არ გამოკეტილიყო. ამ სურვილისა და რჩევის მიუხედავად, იგი ჩემს მიერ არ იქნა გაზიარებული, რაშიც გადამწყვეტი როლი დედაჩემის პოზიციამ შეასრულა. მან გარკვევით თქვა: „ლეომ უნდა ისწავლოს იქ, სადაც მას სურს და არა იქ, სადაც ჩვენ გვინდა“.

ამრიგად, 1945 წელს საბუთების შესატანად თბილისში ჩამოსვლას მხოლოდ ზოგადად იყო მონიშნული ჩემი მომავალი სპეციალობა. ეს უნდა ყოფილიყო იურიდიული, ფილოსოფიის ან ისტორიის ფაკულტეტი. ამ ორჭოფულ მომენტში შევხვდი ჩემს ბიძაშვილს – **გიორგი ჩიქავას**, რომელიც თბილისის სახელმწიფო უნიეერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტზე სწავლობდა და მისი რჩევით მივიღე გადაწყვეტილება ეკონომი-

კის ფაკულტეტზე სწავლის გაგრძელების თაობაზე. ეს არჩევანი სავსებით გამართლებულად ჩავთვალე მას შემდეგ, რაც მოვისმინე ბ-ნი იოსებ ბაჯაძის ღრმაშინაარსიანი ლექციები პოლიტიკურ ეკონომიაში. იმთავითვე ვიგრძენი, რომ ამ საგნის სახით „აღმოვაჩინე" ჩემი მომავალი სამოღვაწეო სფერო. თუმცა, ეს ჯერჯერობით მსოლოდ პირველი შეგრძნება იყო და მეტი არაფერი.

სოფლიდან თბილისში ჩამოსულმა და გამოუცდელმა აბიტურიენტმა ხეირიანად ისიც არ ვიცოდი, თუ სად მდებარეობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ამიტომ პირველი ნაბიჯების გადასადგმელად ვინმეს ჩემთვის მეგზურობა უნდა გაეწია. ეს მისია შეასრულა ჩემი ძმის მეგობარმა, შემდგომში ცნობილმა ისტორიკოსმა და დიპლომატმა, პროფ. **ილია ტაბაღუამ**. დღევანდელი დღესავით მახსოვს, თუ როგორ მიმიყვანა მან ეკონომიკის ფაკულტეტის მდივანთან – ქ-ნ მაყვალა ფაშალიშვილთან და როგორ მომცა რეკომენდანცია მის წინაშე. ბ-ნმა ილიამ ასე წარმადგინა: „ქ-ნო მაყვალა, ეს ყმაწვილი ფრონტზე მყოფი ჩემი უახლოესი მეგობრის უმცროსი ძმაა, დარწმუნებული ვარ, რომ ის კარგი სტუდენტი იქნება, ამიტომაც ვშუამდგომლობ თქვენს წინაშეო". ქ-ნმა მაყვალამ მოფერებით და დაყვავებით დაიტოვა ჩემი საბუთები და დამარიგა, თუ როდის უნდა მივსულიყავი მისაღები გამოცდების ჩასაბარებლად.

გამოცდების ჩაბარება სრულებით არ გამჭირვებია. 20 შესაძლებლიდან 18 ქულა დავაგროვე (ორი საგანი ჩავაბარე ხუთიანებზე, მეორე ორი კი – ოთხიანებზე). გამსვლელი იყო 17 ქულა. პირველი გამოცდის წინადღეს, სრულიად მოულოდნელად, ჯარიდან დაბრუნდა ჩემი ძმა – იოსები. ცხადია, ამით გამოწვეულმა უსაზღვრო სიხარულმა ამაფორიაქა, მაგრამ გამოცდების წარმატებით ჩაბარებისთვის ამას ხელი არ შეუშლია.

დღევანდელი გადასახედიდან რომ ვაფასებ მაშინდელ მისაღებ გამოცდებს, ასეთი დასკვნები გამომაქვს: ჯერ ერთი, ჩემი მომზადება სავსებით საკმარისი აღმოჩნდა იმდროისთვის აბიტურიენტისადმი წაყენებული მოთხოვნების დასაკმაყოფი-

ლებლად: და, მეორე, მაშინ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი მართლაც ცოდნის მიღების საოცრად უწმინდეს, სათაყვანებელ კერას წარმოადგენდა.

აი, ასე და ამრიგად გავხდი ამ საოცნებო უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტი. 1945 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტზე მიღებულ ნაკადში თავი მოიყარა 250-მდე ახალგაზრდამ, რომელთა შორის იყვნენ ჯარიდან დემობილიზებულებიც.

უწინარეს ყოვლისა, მინდა გამოვხატო ჩემი ღრმა შთაბეჭდილება იმ პროფესორ-მასწავლებელთა მიმართ, რომლებიც მასწავლიდნენ. მითქვამს და კიდევ გავიმეორებ: ჩემი თაობის წარმომადგენლებს საკუთრივ რომც არაფერი წვლილი შეგვეტანა ეკონომიკური მეცნიერების საგანძურში, საამაყოდ ისიც გვეყოფოდა, რომ ვიყავით ლეგენდარული თაობის, ბრწყინვალე კოჰორტის სახელოვანი წარმომადგენლების მოწაფეები. ამგვარი შეფასების დასტურად მკითხველისთვის, ალბათ, მათი სახელების ჩამოთვლაც საკმარისია: აკადემიკოსები – **პაატა გუგუშვილი, ირაკლი მიქელაძე, ვასილ ჩანტლაძე; პროფესორები – გიორგი გეხტმანი, ნიკოლოზ ქოიავა, კოტე ბაქრაძე, იოსებ ბაჯაძე, გიორგი გამყრელიძე, სერგო ბერაძე, ნიკოლოზ იაშვილი, ლუარსაბ კარბელაშვილი, არჩილ გოკიელი, შალვა ხიდაშელი, კასიანე მეგრელიძე, ვალია ბახტაძე, ერმილე ბურჭულაძე, გივი კიღურაძე, დავით გვრიტიშვილი, კირილე აქუბარდია** და სხვ. ესენი არა მარტო ჩვენთვის, არამედ მთელი საზოგადოებისთვის სანიმუშო და მისაბაძნი იყვნენ როგორც მეცნიერული კვლევის შედეგებით, ისე ზნეობრივად, თავიანთი სიდარბაისლით, პატიოსნებით, სამშობლოსადმი თავდადებითა და გარემოცვის მიმართ უაღრესად თბილი, კეთილი დამოკიდებულებით.

იმის გამო, რომ შესაბამისი (სრულყოფილი) სახელმძღვანელო თითქმის არცერთ საგანში არ არსებობდა, მთელი ჩვენი ყურადღება გადატანილი იყო ლექციებზე. ყველა საგანში ვახდენდით ჩანაწერების გაკეთებას, მაგრამ ეს არ იყო კარნახი. თუ რომელიმე სტუდენტი ჩამორჩებოდა, კი ვერ თხოვდა ლექტორს გაიმეორეთო, ე.ი. ყურადღებით უნდა გესმინა ლექტო-

რისთვის და მისი მონათხრობიდან რასაც გაიგებდი, ის უნდა ჩაგენიშნა რვეულში. ეს არ იყო ადვილი სამუშაო, მაგრამ უკეთესი ალტერნატივა არ არსებობდა.

ლექციური ჩანაწერები სახელმძღვანელოს ფუნქციას კი არ ასრულებდა, არამედ მიმართულებას გვაძლევდა იმაზე, თუ რა მთავარი საკითხები უნდა გაშუქებულიყო თითოეულ თემაში. დანარჩენი დამოუკიდებელი მუშაობით უნდა შეგვევსო. სემინარულ მეცადინეობებზე გვაწერინებდნენ სემინარებზე განსახილველი თემების საკითხებს და მათ დასამუშავებლად გამოსაყენებელ ლიტერატურულ წყაროებს. სემინარები ტარდებოდა ყველა ძირითად საგანში, იგი ყველაზე მაღალ დონეზე იყო დაყენებული პოლიტიკურ ეკონომიაში, რომელსაც უაღრესად დიდი პასუხისმგებლობითა და მაღალი მომთხოვნელობით წარმართავდა ბ-ნი იოსებ ბაჯაძის ასისტენტი სერგო ინწკირველი. უნდა გენახათ, თუ როგორი მონდომებით ვმუშაობიდით სტუდენტები და რაოდენ საინტერესო დისკუსიები იმართებოდა თითოეული პრობლემატური საკითხის გარშემო. ცალკეულ შემთხვევებში კამათი მოწინავე სტუდენტებს შორის სემინარული მეცდინეობების დამთავრების შემდეგაც გრძელდებოდა. ეს იყო მომავალი ახლაგაზრდა მეცნიერთა კადრების წრთობის შესანიშნავი სკოლა, რომელმაც თავი იჩინა ქართული ეკონომიკური მეცნიერების განვითარების მომდევნო ეტაპებზე.

ჩარიცხვის მომენტიდანვე მაქსიმალური მონდომებითა და მთელი სერიოზულობით დავიწყე მეცადინეობა ყველა სასწავლო დისციპლინაში. განსაკუთრებით ინტენსიურად ვმუშაობდი იმ საგნებში, რომლებშიც სათანადო ცოდნა ვერ მომყვა სკოლიდან. ასეთი იყო, მაგალითად, ეკონომიკური გეოგრაფია. ჩემს გეოგრაფიის მასწავლებელს ერთხელაც არ შემოუტანია გაკვეთილზე რუკა, თანაც, მოსწავლეთა მიერ გაკვეთილის მოყოლისას იგი გაზეთების კითხვით იყო გართული და როცა მოსწავლე იტყოდა, მასწავლებელო, უკვე დავამთავრეო, სხვას გამოიძახებდა. ასეთი დონე რას გაუძლებდა ცნობილი მეცნიერისა და მოგზაურის პროფ. გ. გეხტმანის მიერ გამოსაცდელი სტუდენტებისადმი წაყენებულ მოთხოვნებს.

თქვენ წარმოიდგინეთ, სისტემატური ინტენსიური მუშაობით ეს ხარვეზი ნახევარ წელიწადში თითქმის გამოვასწორე და პროფ. გ. გესტმანთან ეკონომიკური გეოგრაფიის პირველ ნაწილში თუ ოთხიანი მივიღე, მეორე ნაწილში მან სიამოვნებით დამიწერა ფრიადი და დიდი წარმატებებიც მისურვა ჩემს შემდგომ მუშაობაში. სხვათაშორის, საგამოცდო ბილეთის კითხვებზე ჩემი პასუხების მოსმენის შემდეგ, რომელიც ჩანდა რომ მოსწონდა, მკითხა, საიდან ბრძანდებითო. ზუგდიდის რაიონიდან-მეთქი. აბა, თუ მეტყვით, რომელი ცნობილი მწერალი და საზოგადო მოღვაწე ცხოვრობდა ქ. ზუგდიდის მახლობლადო? მე წამიერად დავფიქრდი. მას ეუხერხულა და თვითონვე მითხრა, ბ-ნი იონა მეუნარგია მყავდა მხედველობაშიო. ამასთან დაკავშირებით მივუგე: „ბატონო პროფესორო, იმიტომ კი არ დავფიქრდი, რომ ბ-ნი იონა მეუნარგია არ მახსოვდა, არამედ ოღნავ იმიტომ დავაყოვნე, რომ ვიხსენებდი, ნეტავი კიდევ სხვაც ხომ არ იყო ვინმე ასეთივე გამოჩენილი პიროვნება-მეთქი“. შემდეგ ჩამოვუთვალე ბ-ნი იონას ნაწარმოებები, რომლებიც წაკითხული მქონდა, და არც იმის აღნიშვნა დამვიწყნია, რომ არსებობს „ვეფხისტყაოსნის“ მეუნარგიასეული ფრანგული თარგმანი.

როცა შევატყვე, რომ დიდი ინტერესით მისმენდა და მზად იყო კიდევ სხვა რამეც მოესმინა ჩემგან, განვაგრძე: „რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, სამეგრელოს მთავრის დაეით დადიანის მემკვიდრემ ნიკო დადიანმა 1885 წელს მამისეული უნიკალური ბიბლიოთეკა საჩუქრად გადასცა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას. ამ ბიბლიოთეკის გადაცემასთან დაკავშირებით სამეგრელოში ჩავიდა კომისია ილია ჭავჭავაძის ხელმძღვანელობით (ეს იყო ილიას პირველი სტუმრობა სამეგრელოში). კომისიის წევრები ბ-მა იონა მეუნარგიამ მიიწვია თავის ოჯახში სოფ. ცაიშში. ნადიმზე თამადად თავადიშვილი ბეხუ ჟორდანია ყოფილა. ილიას, სხვა ყველაფერთან ერთად, ძალიან მოსწონებია ჩონგურზე შესრულებული მეგრული სიმღერები და უთქვამს — „სამეგრელოში ჩამოვედი და საქართველო ვისილეო“.

ბ-ნ გიორგის ყოველივე ეს ძალიან გაუხარდა, დარწმუნდა,

რომ ამ საკითხებში კარგად ვიყავი გათვითცნობიერებული და ქება-დიდებით გამომიშვა.

ქრონოლოგიურად თუ განვიხილავთ, ეს სტუდენტის სტატუსით ჩემს მიერ უნივერსიტეტში ჩაბარებული მეორე გამოცდა იყო. პირველი გამოცდა ჩავაბარე ქართული ეკონომიკური მეცნიერების პატრიარქად აღიარებულ პიროვნებას – ბ-ნ პაატა გუგუშვილს. წინასწარ მეუბნებოდნენ, გამოცდაზე გოგონებთან ერთად შესულ ვაჟს ეგრევე ჭრის და გარეთ უშვებსო. არადა, სიით იძახებდნენ და სწორედ ოთხ გოგონასთან ერთად შევედი. ამ გოგონებიდან ერთ-ერთი – ელენე ღაღანიძე გამოირჩეოდა სილამაზით. ბ-ნმა პაატამ შეხედა, თავის მკერდზე მიიდო ხელები და უთხრა: „ღა-ღა-ღა, ფიზიკურად ყოჩაღად გამოიყურები, ხოლო საგანი თუ როგორ მოამზადე, ამას ახლა ვნახავო“. შემდეგ ჩემსკენ მობრუნდა და მეუბნება, „შენ რა, ამ გოგონების მწყემსვა დაგავალესო?“ მაშინათვე მივუგე: „არა, ბ-ნო პროფესორო, სიით გამომიძახეს, მაგრამ ახლავე ჩაგაბარებთ და წავალ-მეთქი“. იმ მომენტში ისე ვღელავდი, რომ თვითონვე მესმოდა ჩემი გულისცემა.

საგანი საგანგებოდ მქონდა მომზადებული, მაგრამ გამოუცდელობამ დამაზარალა. საპასუხოდ მართლაც პირველი დავჯექი და ბილეთის პირველ კითხვაზე მოყოლა ძალიან შორიდან დავიწყე. მინდოდა ჩემი ერუდიციის გამოვლენა და იმის დამტკიცება, რომ ჩემს საკითხთან კავშირში მყოფი ბევრი სხვა საკითხიც ვიცოდი. გამომცდელი მეუბნება: „პირველი საკითხი არ იცით, გადადით მეორეზეო“. ელდა მეცა, მაგრამ ვერაფერი გავუბედე (ხომ უნდა გამეთვალისწინებინა, რომ იგი ყოველდღიურად ჩემნაირ ათეულობით სტუდენტს უსმენდა და მობეზრებული ჰქონდა ეს პროცედურა). მეორე და მესამე საკითხებზე, უკვე ჭკუანასწავლმა, კონკრეტული და ზუსტი პასუხები გავეცი, რაც მოეწონა და ოთხიანი დამიწერა. სულ აი ეს ორი ოთხიანი მიეიღე უნივერსიტეტში სტუდენტად ყოფნის მთელი ხუთი წლის განმავლობაში, დანარჩენი – ყველა ფრიადი.

თავდაპირველად ეფიქრობდი, რომ ჩვენს მრავალრიცხოვან ნაკადში სოფლიდან ჩამოსული პატარა ბიჭი ვერასოდეს

და ვერაფრით ვაესდებოდი გამორჩეული. მაგრამ ეს ვარაუდი სწორი არ გამოდგა. ერთი პატარა დეტალი: პოლიტიკური ეკონომიის პირველივე სემინარულ მეცადინეობაზე (1945 წ. 1 სექტემბერი), რადგანაც ჯერ დავალება მიღებული არ გვქონდა, გვესაუბრებოდა სემინარის ხელმძღვანელი ბ-ნი სერგი ინწკირველი. მან კ. მარქსის გარდაცვალების თარიღად, რატომღაც (ალბათ მექანიკურად) 1884 წელი დაასახელა, მე აუდიტორიის სულ უკანასკნელ მერხზე მჯდომმა, თანაც, იმ დროისთვის ტანად შედარებით პატარამ, უნებლიედ წამოვიძახე – „1884-ს კი არა, 1883 წელს გარდაიცვალა-მეთქი". მასწავლებლისთვის ეს რეპლიკა საკმარისი აღმოჩნდა, რათა პირველივე თემაზე მომხსენებლად გამოვეყავი. აქედან მოყოლებული, ჩემი სიბეჯითე არც სხვებს დარჩენიათ შეუმჩნეველი. ჯერ კიდევ მეორე კურსის სტუდენტს ეკონომიკის ფაკულტეტის პოლიტიკური ეკონომიის სტუდენტთა სამეცნიერო წრის თავმჯდომარედ რეკომენდაცია მომცა მეოთხე კურსის სტუდენტმა, შემდგომში ჩემმა ძვირფასმა მეგობარმა, პროფ. თ. დემეტრაშვილმა (ვვარაუდობ, რომ ჩემს შესახებ ინფორმაცია მან ბ-ნი ს. ინწკირველისგან მიიღო). წრის მეცნიერ-ხელმძღვანელი იყო ღვთისნიერი პიროვნება დოც. **გივი გურგენიძე**.

ასეთი ნდობის გამოცხადება, ცხადია, გამიხარდა, მაგრამ თავდაპირველად ძნელად შესასრულებლად მომეჩვენა. გულმოდგინებამ და მოწადინებამ ეს ეჭვი მალე გამიფანტა და წრის საქმიანობა წარმატებულად წარიმართა. იგი აერთიანებდა ფაკულტეტის საუკეთესო ძალებს, ფრიადოსან სტუდენტებს, რომლებიც დაინტერესებას იჩენდნენ ცალკეული ეკონომიკური პრობლემების ღრმად და საფუძვლიანად შესწავლაში.

ერთი წლის შემდეგ, მიზანშეწონილად ჩავთვალეთ ეკონომიკის ფაკულტეტზე კიდევ ერთი – დარგობრივი ეკონომიკის სტუდენტთა სამეცნიერო წრის ჩამოყალიბება. ამ ორი წრის ბაზაზე შეიქმნა ფაკულტეტის სტუდენტთა სამეცნიერო საბჭო, რომლის თავმჯდომარედ თავად ამირჩიეს. ამავე დროს ამირჩიეს მთლიანად უნივერსიტეტის სტუდენტთა სამეცნიერო საზოგადოების საბჭოს წევრად (თავმჯდომარე იყო თავდაპირველად ბ-ნი ამირან ავალიანი, ხოლო შემდეგ ქ-ნი მზექალა შანიძე).

1949 წელს, როგორც სტუდენტთა სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარემ, თხოვნით მივმართე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ერთ-ერთ დამაარსებელს, დიდ მეცნიერსა და ცნობილ საზოგადო მოღვაწეს, ლაიფციგის (გერმანია) უნივერსიტეტის კურსდამთავრებულს, პროფ. ფილიპე გოგიჩაიშვილს იმის თაობაზე, რომ გამოსულიყო სტუდენტთა წინაშე და მოეთხრო თავისი ღრმაშინაარსიანი ცხოვრების საინტერესო ეპიზოდებზე. მან სიამოვნებით მიიღო ჩემი თხოვნა და ფრიად შთამბეჭდავ გამოსვლაში, ბევრ სხვა საინტერესო მომენტთან ერთად, აღნიშნა: „ვსწავლობდი რა ლაიფციგის უნივერსიტეტში, თავდაპირველად, ძირითადად ენის ბარიერის გამო, ძალიან გამიჭირდა სავალდებულო პროგრამის დაძლევა. დავუმეგობრდი ერთ-ერთ გერმანელ ძალიან ნიჭიერ და ბეჯით კურსანტს (სტუდენტს). ჩვენ ერთად ვამზადებდით საგამოცდო საგნებს. თავისი განათლებითა და მომზადების დონით, შეიძლება ითქვას, იგი ჩემზე მთელი თავით მაღლა იდგა და ფაქტიურად ჩემი მასწავლებლის როლში გამოდიოდა. მიუხედავად ამისა, ერთ-ერთ გამოცდაზე პროფესორმა მას უარყოფითი ნიშანი დაუსვა, მე კი ადვილად ჩავაბარე. ამან საოცრად გამაკვირვა, მაგრამ რეალური მიზეზის დასადგენად შეკითხვის დასმა ვერ გავბედე. როცა უნივერსიტეტი დავამთავრე, დიპლომი ავიღე და სამშობლოში უნდა გამოვმგზავრებულიყავი, გამომშვიდობებისას ამ პროფესორს მივმართე: „ბატონო პროფესორო, გთხოვთ, გამოცანად ნუ გამატანთ თქვენს იმდღევანდელ ჩემთვის სრულიად აუხსნელ მოქმედებას – ჩემზე უკეთ მომზადებული სტუდენტი რატომ ჩაჭერით და მე რატომ ჩამაბარებინეთ?“ მან მიპასუხა: „სრულიად მარტივი მიზეზის გამო. თქვენ შორეული ქვეყნიდან ჩამოსული ბრძანდებით, ამიტომ გერმანიისთვის არავითარი მნიშვნელობა არა აქვს იმას, საგანი თქვენ კარგად გექნებათ მომზადებული თუ არა. ის ყმაწვილი კი გერმანელია. დავრწმუნდი მის მაღალნიჭიერებასა და დიდ პოტენციურ შესაძლებლობებში, მაგრამ, რაღაც გარემოებათა გამო (ამას ჩემთვის მნიშვნელობა არა აქვს), ზოგიერთი საკითხი შეუსწავლელი დარჩენია. მისთვის დადებითი ნიშანი რომ დამეწერა, გამოტოვებულ საკითხებს არ მიუბრუნდებო-

და და თავის ქვეყანას,, მშობლიურ ერს სრულად ვერ მოუტანდა იმ სიკეთეს, რისი მოტანაც თავისუფლად შეუძლია. აი, ხელმეორედ, ორი კვირის შემდეგ რომ გამოვცადე, ყველა საკითხი, წვრილმანიც კი ბრწყინვალედ იცოდა და დავრწმუნდი, რომ ასეთი ცოდნით თავის ქვეყანას უკეთ გამოადგებოდა. აი, რატომ მოვიქეცი პირველ გამოცდაზე ასეთნაირად".

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ძნელი მისახვედრი როდია, ბ-ნი ფილიპე თუ რატომ იჩენდა სტუდენტებისა და ასპირანტებისადმი მაღალ მომთხოვნელობას და რატომ ჰქონდა მას „მკაცრი მასწავლებლის" სახელი. სინამდვილეში მისი „სიმკაცრე" უცოდინარობის არპატიებისა და პრინციპულობის აღსაზრდელებისადმი ობიექტურ და კეთილ დამოკიდებულებასთან ოპტიმალურ შეხამებაში მდგომარეობდა, რაც სავსებით ნორმალური და კანონზომიერია.

ბ-ნი ფილიპე წლების განმავლობაში თავმჯდომარეობდა ეკონომიკის ფაკულტეტზე სახელმწიფო საგამოცდო კომისიას და მახსოვს დამამთავრებელი კურსის სტუდენტები თუ როგორი მონდომებით მეცადინეობდნენ მნიშვნელოვანწილად სწორედ იმიტომ, რომ სხვანაირად ვერ გადალახავდნენ „მიუკარებელი და მოუსყიდავი" თავმჯდომარის სახით აღმართულ ბარიერს. ერი და ქვეყანა გადაგვარებას მაშინ გადაურჩება, როცა ძირფესვიანად აღმოვფხვრით პროტექციონიზმს, საერთოდ ყოველგვარ კორუფციას და ყველანი ბ-ნი ფილიპესნაირად მივუდგებით ამ საშვილიშვილო საქმეს.

დღევანდელი სტუდენტებისგან განსხვავებით, რომელთა მნიშვნელოვან ნაწილს ეზარება მოსმენა თავიანთი სავალდებულო ლექციებისაც კი და სისტემატურად აცდენს მათ, ჩემი თაობის სტუდენტები (ყოველ შემთხვევაში, მათი გარკვეული ნაწილი) ვესწრებოდით არასავალდებულო ლექციებსაც სხვა ფაკულტეტებზე, რომლებსაც კითხულობდნენ საყოველთაოდ აღიარებული მეცნიერები და საზოგადო მოღვაწეები. ერთ-ერთი ასეთი არაორდინარული პიროვნება გახლდათ აკად. შალვა ნუცუბიძე – თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამაარსებელთა თანაგუნდელი. რაოდენ პარადოქსულადაც უნდა ეღერდეს, ერთხელ მას ლექცია დაუსტენოგრამეს (ჩაუწერეს)

და უარყოფითად შეუფასეს იმ მოტივით, რომ თითქოს პროგრამით გათვალისწინებულ კითხვებს (პროგრამა კი მაშინ დოგმად იყო მიჩნეული) არ პასუხობდა. არადა, სინამდვილეში ბ-ნი შალვა გახლდათ არაჩვეულებრივი ორატორული ნიჭით დაჯილდოებული პიროვნება, რომელიც ხიბლავდა მსმენელთა აუდიტორიას. მისი ლექციებიდან ნათლად ჩანდა ფართო ერუდიცია, მოზღვავებული ინფორმაციის განზოგადებისა და მსოფლიო მასშტაბის მოვლენების ღრმად გააზრების საოცარი უნარი. აი, რატომ არ შეეძლო მას პროგრამაში ჩამოთვლილი საკითხების თანამიმდევრულობის დაცვით ლექციის წაკითხვა.

კარგად მახსოვს ბ-ნი შალვას საჯარო გამოსელა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, რომელიც მიეძღვნა „ვეფხისტყაოსნის“ მისეულ რუსულ თარგმანს. იგი გასული საუკუნის 30-იანი წლების მეორე ნახევარში, ბევრ სხვა უდანაშაულო ქართველ ინტელიგენტთან ერთად, „ხალხის მტრის“ იარლიყით ყოფილა დაპატიმრებული. გარკვეული ხნის შემდეგ, სპეციალური დავალებით, ერთ-ერთ ჩეკისტს მიუმართავს მისთვის წინადადებით, რუსულ ენაზე „ვეფხისტყაოსნის“ გადათარგმნა თუ შეგიძლიათო. მას უპასუხნია, შემიძლია, მაგრამ ეს ვის რაში სჭირდებაო. საბოლოოდ დათანხმებულა, მოუთხოვია ამ ნაწარმოების ყველა არსებული გამოცემა და შედგომია საქმეს. თურმე ყოველკვირეული ნათარგმნი მასალა მიჰქონდათ სისტემატურად და ასევე სისტემატურად უბრუნებდნენ სათანადო კომენტარებით. მაშინ ჯერ კიდევ არ ვიცოდი, რომ ეს დიდი მოკრძალებით გაკეთებული კომენტარები ი. სტალინს ეკუთვნოდაო. მან აუდიტორიას გააცნო სტალინის მიერ შეთავაზებული ალტერნატიული ვარიანტი ერთ-ერთი კუპლეტისა მინაწერით: „ნახეთ, იქნებ ასე ჯობდეს. თუ მოგეწონებათ, შეგიძლიათ გამოიყენოთ. ჩემი ხსენება საჭირო არაა“. რა თქმა უნდა, მთარგმნელს ეს ვარიანტი მოსწონებია და ჩაურთავს კიდეც ტექსტში.

როცა პატიმრობიდან გამანთავისუფლეს, – აღნიშნა ბ-მა შალვამ, – სტალინმა მიმიღო, თარგმანზე მადლობა მითხრა და მკერდზე მეამბორა, ამ მკერდით კი ახლა მთებს გადავაბრუნებ, ხალხნო, გაიწიეთო.

სხეათაშორის, ციხიდან გამოსელის შემდეგ ლ. ბერიას მისთვის უკითხავს: „ამსანაგო შალვა, ციხეში ყოფნისას როგორ გრძნობდით თავს?“ ბ-ნ შალვას უპასუხნია: „ისე როგორც ჩიტი გალიაშიო“.

ბ-ნი შალვას წიგნის – **„Руставели и восточный ренессанс“** – განხილვა მოეწყო მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის თბილისის ფილიალის შენობაში, სადაც, სხვებთან ერთად, კრიტიკული შენიშვნებით გამოვიდა ამ ნაშრომის რედაქტორი აკად. კორნელი კეკელიძე. ამასთან დაკავშირებით ბ-ნმა შალვამ თქვა, „ამან ქრისტეს უღალატა (ბ-ნი კორნელი აღრე ეპისკოპოსი ყოფილა) და მე რომ მიღალატოს რა გასაკვირიაო“.

ბევრჯერ მსმენია სტუდენტთან ბ-ნი შალვას ერთი ასეთი უცნაური დიალოგის თაობაზე. მან სტუდენტებს აუხსნა, რომ „მეცნიერებისა და ტექნოლოგიების განვითარება ისეთი სწრაფი ტემპებით ხდება, რომ თანდათან სასწაულების მომსწრენი ვხდებით. მაგალითად, ჩიკაგოში წარმოების ისეთი ტექნოლოგია გამოიყენება, რომ აქედან ღორებს შერეკავენ, ხოლო იქიდან „კალბასი“ გამოდისო“.

ერთ-ერთმა სტუდენტმა ლექტორის „ჩაჭრა“ განიზრახა და მას ასეთი შეკითხვა დაუსვა: „პატივცემულო, ისეთი ტექნოლოგია თუ არსებობს სადმე, რომ „კალბასი“ შევიდეს და ღორი გამოვიდესო“. ბ-ნი შალვა ასეთ რამეებზე არ იბნეოდა ხოლმე და ექსპრომტად უპასუხა: „როგორ არა, ასეთი ტექნოლოგია უფრო ძველია. მაგალითად, მამათქვენის მეოხებით, თქვენ სწორედ ასეთი ტექნოლოგიის შედეგად ხართ გაჩენილიო“.

მკითხველო, მაპატიეთ ასეთი ლირიკული, თანაც არაეთიკური გადახვევისთვის, მაგრამ თუ ცოტა იუმორი არ ჩავურთე, შეიძლება ამ, ალბათ, არცთუ დიდად საინტერესო მოგონებების წაკითხვა შეწყვიტოთ კიდეც.

მსმენელთა მოზღვავება იყო ხოლმე აკად. პეტრე შარიას ლექციებზეც. ამის მოწმე, ფილოსოფიის ფაკულტეტის სტუდენტებთან ერთად, არაერთხელ ვყოფილვართ ეკონომიკის ფაკულტეტის სტუდენტებიც, რომლებიც სტუმრის რანგში ვესწრებოდით. ეს პატარა ტანის, ფიზიკურად არაფრით გამორჩეული

პიროვნება, ისეთი ბრძენკაცი იყო, რომ კათედრაზე დადგებოდა თუ არა, როგორც იტყვიან, ცეცხლს ანთებდა.

ბ-ნი პეტრე გასლდათ წევრი საქართველოდან წარგზავნილი იმ დელეგაციისა, რომელიც მონაწილეობდა მოსკოვში ფილოსოფიის ინსტიტუტის მაშინდელი დირექტორის აკად. ალექსანდროვის წიგნისადმი — „დასავლეთ ევროპის ფილოსოფიის ისტორია“ — მიძღვნილ დისკუსიაში. დისკუსია ორგანიზებული იყო სკკპ ცენტრალური კომიტეტის მიერ. სხდომას თავმჯდომარეობდა ცენტრალური კომიტეტის მდივანი იდეოლოგიის დარგში ანდრია ჟდანოვი.

ჩვენი დელეგაციის თბილისში დაბრუნების შემდეგ დისკუსიის შედეგებზე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პირველი კორპუსის 86-ე აუდიტორიაში მოხსენება გააკეთა პროფ. კ. ბაქრაძემ. მიუხედავად იმისა, რომ ამ უკანასკნელს აკად. პ. შარიასთან სისტემატური მეცნიერული კამათი ჰქონდა, შეკითხვაზე, „როგორი შეფასება მიეცა ჩვენი წარმომადგენლის (ე.ი. პ. შარიას) გამოსვლას“, უპასუხა: „ვინ როგორ გამოვიდა, ამის პირდაპირი შეფასება არ ყოფილა, მაგრამ ბ-ნი პეტრეს ფრიად საინტერესო და გამორჩეულ გამოსვლაზე მიუთითებს ის ფაქტი, რომ სხდომის მონაწილეთა მქუხარე ოვაცია სიტყვით გამოსულთა შორის მხოლოდ ორმა ორატორმა დაიმსახურა, მ.შ. ერთი ანდრია ჟდანოვი იყო, ხოლო მეორე პეტრე შარიაო“.

გასული საუკუნის 50-იანი წლების დასაწყისში ბ-ნი პეტრე ლ. ბერიას თანაშემწედ მუშაობდა. ამ უკანასკნელის, შეთითხნილი ბრალდებების საფუძველზე, დახვრეტის შემდეგ, აკად. პ. შარია ციმბირში გადაასახლეს, სადაც ესპანური და იტალიური ენები შევისწავლეო — იტყოდა ხოლმე (რუსული, ინგლისური, ფრანგული და გერმანული ენები მანამდეც იცოდა, თანაც, საკმაოდ სრულყოფილად).

ძალიან მეამაყება ის, რომ თავისი ცხოვრებისა და მოღვაწეობის უკანასკნელ წლებში ეს ბუმბერაზი მეცნიერი და საოცარი პიროვნება ჭეშმარიტ მეგობრობას ავლენდა ჩემდამი და ჩემი ოჯახისადმი. მის მაღალ კულტურაზე მეტყველებს თუნდაც ის უმნიშვნელო დეტალი, რომ, როცა დარეკავდა ჩვენთან

ოჯახში, იკითხავდა: „ბ-ნ პროფესორს თხოვეთ, თუ ისევნებს სხვა დროს დავრეკავო“.

ჩემი სტუდენტობისდროინდელი მოვლენებიდან განსაკუთრებით დამამახსოვრდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში 1947 წელს გამართული გრანდიოზული ეკონომკური დისკუსია, რომელიც მიეძღვნა პ. გუგუშვილისა და პ. კუჭაიძის მიერ შედგენილ „ეკონომიკის ტერმინოლოგიას“. ეს ღონისძიება მიმდინარეობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პირველი კორპუსის 86-ე აუდიტორიაში (სადაც მოსვედრა ძალიან ძნელი იყო) მთელი ორი თვის განმავლობაში, თუმცა, სრულად არც შემდეგ ჩამცხრალა. დისკუსიამ დიდი გამოხმაურება ჰპოვა ეკონომისტთა (და არა მარტო ეკონომისტთა) წრეში.

ამ დისკუსიაზე ბ-ნი პაატა ჰგავდა გამძვინვარებულ დათვს, რომელიც ყველა მხრიდან შემოსეული მგლების ხროვას იგერიებს. ერთმნიშვნელოვნად შეიძლება ითქვას, რომ ეს დაძაბული მეცნიერული პაექრობა მან თავის ოპონენტებს სუფთად მოუგო. მანამდე არნახული მასშტაბისა და დიაპაზონის ამ დისკუსიამ, სხვებთან ერთად, ჩვენზეც — იმდროინდელ სტუდენტობაზე უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა და ეკონომიკური მეცნიერების ღრმად დაუფლების დაუოკებელი სურვილი აღგვიძრა.

ცალკეული ხარვეზებისა და ნაკლოვანებების მიუხედავად, აღნიშნულ ნაშრომს საეტაპო მნიშვნელობა ჰქონდა ქართული ეკონომიკური მეცნიერების განვითარებაში. სწორედ მან მისცა დასაბამი მთელ რიგ მეცნიერულად დასაბუთებულ და შინაარსობრივად კარგად მორგებულ ახალ ქართულ ტერმინებს, რომელთა ნაწილი (მაგალითად, „ეკონომიკური“, ნაცვლად „ეკონომიურისა“) მყარად და უცილობლად დამკვიდრდა ცხოვრებაში, ნაწილი კი (კერძოდ, „აღწარმოება“ — „воспроизводство“, „შრომის მწარმოებლურობა“ — „производительность труда“, „მწარმოებლური ძალები“ — „производительные силы“, „წარმოებრივი ურთიერთობანი“ — „производственные отношения“, „მეურნეობრივი“ — „хозяйственный“, „საქონლური“ — „товарный“ და სხვ.) შედარებით ნელა, მაგრამ თანმიმდევრულად მკვიდრდება.

ერთხელ, ლექციების დამთავრების შემდეგ, საღამოს დაახლოებით 10 საათზე, უნივერსიტეტის ეზოდან რომ გამოვდიოდი, ჩემს მეგობართან ვიქტორ პავლიაშვილთან ერთად, წამოგვეწია ჩვენი ფაკულტეტის დეკანი, გერმანიის უნივერსიტეტებში განათლებამიღებული, მრავალმხრივ განსწავლული (გერმანულ და რუსულ ენებს მრწყინვალედ დაუფლებული), მაღალი კულტურისა და ზნეობის მეცნიერ-ეკონომისტი პროფ. ნიკო ქოიავა და გვითხრა, თქვენ ორივემ ჩემს სახლამდე უნდა მიმაცილოთო. იგი ცხოვრობდა ნიკოლაძის ქუჩაზე, ყოფილ ვერის ბაზართან ახლოს. რა თქმა უნდა, უსიტყვოდ დავთანხმდით. შემდეგ სახლში შეგვიპატიჟა. უკვე თერთმეტის ნახევარია. მეუღლე დაწოლილი აღმოჩნდა, რომელსაც ხმამაღლა მიმართა: „სასწრაფოდ წამოდექი, სტუმრად მოვიყვანე სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე და მისი მეგობარი, უნდა გავუმასპინძლდეთო. ქალბატონი შეწუხდა, ალბათ, იფიქრა, ამ შუღამისას ასეთი საპატიო სტუმრები, ისიც გაუფრთხილებლად, როგორ მოიყვანაო. მერე დასძინა, ჰო, მართლა, სტუდენტთა სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარეზე გეუბნებიო“. ამან ცოტათი განმუხტა დაძაბულობა.

სუფრა გაიწყო. ბ-ნმა ნიკომ გვითხრა, „აქეთ დაჯდება ჩიქავა, იქით — პავლიაშვილი. იცოდეთ, ვინც კერძს არ შეჭამს, იმას წვენს არ დავუსხამო“. კი გვშიოდა, მაგრამ იმ შემთხვევაში ლუკმა ყელში არ გადაგვდიოდა. როგორც იქნა გავუძელით ამ მოულოდნელ, იძულებით სტუმრობას და დაახლოებით 12 საათზე წამოვედით.

ჰო, მართლა, ბ-ნ ნ. ქოიავას შვილები არ ჰყავდა და ხუმრობა-ხუმრობაში არაერთხელ უთქვამს ჩემთვის: „უნდა გიშვილო, ოღონდ ყვარი უნდა გამოიცვალოო“. მე კი ვეუბნებოდი, მართალია, ამილასვარი არა ვარ, მაგრამ ჩემს გვარს იმდენად ვცემ პატივს, რომ მის გამოცვლაზე თანახმა არ ვიქნები-მეთქი“. მაშინ ჩემი წინადადება უკან მიმაქვსო, მითხრა. ასე უშედეგოდ დასრულდა ეს არაერთგზის ხუმრობანარევი შემოთავაზება.

ბ-ნ ნიკოსთან ჩემი ურთიერთობის ისტორიიდან კიდევ ერთი დეტალი: სოფლიდან შემომითვალეს, რომ მამა ძალიან

ცუდადაა, შენი ნახვა სწყურია და თუ შესძლებ ჩამოსვლას, გაუხარდებაო. პირველი მაისის წინადღეები იყო. გადავწყვიტე უქმე დღეების გამოყენება და თხოვნით მივმართე მას, როგორც ფაკულტეტის დეკანს, ორი დღით განთავისუფლების შესახებ. მიუხედავად იმისა, რომ წასვლის მიზეზის თაობაზეც ვუთხარი, მან სასტიკი უარით მომიშორა. თან დააყოლა, ყველას რაღა მაინცდამაინც სადღესასწაულო დღეებში გიხდებათ ავად ოჯახის წევრებიო.

როგორც წესრიგის მოყვარული სტუდენტი, დავემორჩილე დეკანის ნებას, მაგრამ გული დამწყდა იმაზე, რომ ამხელა პიროვნებამ ტყუილი და მართალი ვერ გაარჩია ერთმანეთისგან. ამ მომენტიდან ერთი კვირაც არ იყო გასული, რომ შემატყობინეს, მამა გარდაიცვალაო. ბ-ნ ნიკოს ბინაზე მივაკითხე და ვუთხარი, არც ახლა გამანთავისუფლებთ-მეთქი? მიხვდა თავის შეცდომას, ძალიან შეწუხდა. მომისამძიმრა, ბოდიში მომიხადა, მომეფერა და დასძინა, „ვერ მიპატიებია ჩემი თავისთვის ის, რომ თქვენს ნათქვამში ეჭვი შეეიტანე და მომაკვდავი მამის უკანასკნელად ნახვის საშუალება არ მოგეცი. ეს ჩემთვის კიდევ ერთი საგულისხმო გაკვეთილიაო“.

აღნიშნული შემთხვევა მეც ჭკუის სასწავლ გაკვეთილად დამრჩა. წესიერებასა და პატიოსნებასაც აქვს საზღვარი. რაკი ასეთი რამ გავიგე, რას მივდიოდი დეკანატში, მაშინვე უნდა გავმგზავრებულიყავი სოფელში. ბოლოსდაბოლოს სახელობით სტიპენდიანტ სტუდენტს ამის გულისთვის უნივერსიტეტიდან ხომ არ გამრიცხავდნენ?

სტუდენტობის წლებში და შემდეგაც ძალიან ახლო მეგობრობა მქონდა ჩემს თანაჯგუფელებთან – ვიქტორ პავლიაშვილთან, შალვა ლეგაშვილთან და დიმიტრი გელაშვილთან. შ. ლეგაშვილს ერთი პატარა ოთახი ჰქონდა მცხეთის ქუჩაზე, გზისპირას, სადაც დასახელებული მეგობრები ვიკრიბებოდით და ვემზადებოდით სესიებისთვის. მორიგეობით ცალკეულ საკითხებზე მოყოლისას ერთმანეთის მიმართ ისეთი მკაცრი მომთხოვნნი ვიყავით (ისეთ დეტალებსაც კი ვეკითხებოდით ერთმანეთს), რომ ლექტორებთან გამოცდების ჩაბარება ძალიან იოლი გვეჩვენებოდა.

ვ. პაელიაშვილი გავიცანი სტუდენტობის პირველ დღესვე — 1945 წლის 1 სექტემბერს, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პირველი კორპუსის ეზოში, ლექციების დამთავრებისთანავე. მან მითხრა, „ტყვიავიდან ვარ, სოფელში უნდა წავიდე ორი დღით და რომ ჩამოვალ ხომ შეიძლება შენი კონსპექტიდან გადავიწერო ლექციური მასალაო". ცხადია, არა მარტო თანხმობა მივეცი, არამედ გამიხარდა კიდეც, რომ ნდობა გამომიცხადა უცნობ ადამიანს. იმ დღიდან მოყოლებული ჩვენ განუყრელი მეგობრები ვართ. სხვათაშორის, ჩვენი თანაკურსელებიდან ბევრს უთქვამს ჩემთვის, ეს კოლხი კაცი ამ ჯიუტ გორელთან როგორ მეგობრობო. მე ვპასუხობდი: ეს თქვენთვისაა, ალბათ, მძიმე ხასიათის, თორემ ჩვენ ძალიან კარგად ვუგებთ ერთმანეთს-მეთქი. ისე, არც იმის უარყოფა შეიძლება, რომ ახასიათებს სიჯიუტე. თუ იტყოდა, მაგალითად, მაწონი შავი ფერისააო, ვერაფრით გადაათქმევინებდი, რომ შავი კი არა, თეთრი ფერისაა. ერთხელ, მოსკოვში ერთად ყოფნისას დროის თაობაზე მოგვივიდა კამათი. მისი საათი ჩამორჩებოდა, მაგრამ ვერაფრით ვერ ვაღიარებინე. მეორე დღეს, როცა წითელ მოედანზე მავზოლეუმთან მოვხვდით, ეუთხარი, ვიქტორ, შეხედე კრემლის საათს, ახლა მაინც არ დაიჯერებ, რომ შენი საათი ტყუის-მეთქი. წარბშეუხრელად მიპასუხა, ჩემი კი არა, კრემლის საათი ტყუისო.

გულახდილად უნდა ვთქვა, რომ ვიქტორი ბუნებრივი ნიჭით უხვად დაჯილდოებული ადამიანია. თანაც, ერთ სპეციალობაში ჩაკეტილი კი არა, ფართოდ ერუდირებული. მახსოვს, თუ როგორ საოცარ მომზადებას ავლენდა ეკონომიკურ გეოგრაფიაში. ახლაც რომ ჰკითხონ, მაგალითად, ჩამოთვალეთ ნიგერიის წიაღისეული სიმდიდრეები ან მდინარეების სახელები, დარწმუნებული ვარ, არ ჩაიჭრება.

მას საუკეთესო ნაწარმოებები ჰქონდა მხატვრობაში. საკმაოდ მიმზიდველად შესრულებული მისი მხატვრული ნაწარმოებები (მ. შ. სტალინის პორტრეტები) უხვადაა გამოფენილი მის საცხოვრებელ სახლში ქ. გორში. გამოქვეყნებული აქვს მაღალი გემოვნებით დაწერილი ლექსების კრებულის ორი ტომი. მიღწევები ჰქონდა სპორტშიც (იყო მოჭიდავე). მის ბი-

ნაში (ძირითადად ერთად მეცადინეობის გამო) ისე ხშირად მიხდებოდა ყოფნა, რომ მეზობლებს უჭირდათ მისი ოჯახის წევრებისგან ჩემი გამორჩევა.

სტუდენტურმა ცხოვრებამ ბევრი რამ მასწავლა ისეთი, რაც მომდევნო ეტაპებზე გამომდგომია და მადგება დღესაც. მხედველობაში მაქვს საჭმლის მომზადება, გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღება, თვითშენახვითი ქცევის გამომუშავება, სხვისგან მიღებული სიკეთის დაფასება, საქმის გაკეთების სხვისთვის არგადაკისრება და სხვ.

ვერ ვიტყვი ყველანაირი საჭმლის გაკეთება შემიძლია, მაგრამ საკმაოდ დაოსტატებული ვიყავი მჭადის გამოცხობაში, ღომის, სოუზის, „სალიანკის", აჯაფსანდალის გაკეთებაში, ტაფამწვარის სახელდახელო მომზადებაში, კომბოსტოს, კიტრის, კეჟერა ფხალის დამწნილებაში და სხვ. ყველაფერ ამას ისეთ სანელებლებს (ძირითადად დედაჩემის მიერ გამოგზავნილ არომატულ აჯიკას) ვუკეთებდი ხოლმე, რომ არამარტო თავად, არამედ ჩემს მეგობრებსაც ძალიან მოსწონდათ და დიდი სიამოვნებითაც მიირთმევდნენ.

როგორც აღვნიშნე, სტუდენტობისა და ასპირანტობის წლებში ჩემი მთავარი საზრუნვი ცოდნის გაღრმავება და აკადემიური წარმატებების მოპოვება იყო, მაგრამ ეს სრულებითაც არ ნიშნავს იმას, რომ ვიყავი კარჩაკეტილი და მოწყვეტილი ყველა სხვა სფეროს – კულტურას, ხელოვნებას, სპორტს და ა.შ. არ შემიძლია არ გავიხსენო ჩემი თაობის დამოკიდებულება სპორტისადმი, განსაკუთრებით ქართული ფეხბურთისადმი. 1945 წლიდან 1985 წლამდე თბილისის „დინამოს" თითქმის არც ერთი საკავშირო თუ საერთაშორისო პირველობისადმი მიძღვნილი მატჩი არ გამომიტოვებია. ეს იყო ჩვენი ცხოვრების ორგანული ნაწილი, გაცილებით მეტი, ვინემ სპორტი. ამაში ვაქსოვდით პატრიოტიზმს, მშობლიური ერისა და ქვეყნისადმი უსაზღვრო სიყვარულს, სიამაყის გრძნობას, ვაჟკაცობის გამოვლინებასა და საკუთარი ღირსების დაცვას. საყოველთაოდ იყო აღიარებული, რომ თბილისის „დინამო" მაშინაც კი, როცა შეხვედრას აგებდა, არაორდინარულ, ლამაზ ფეხბურთს თამაშობდა. ცხადია, იყო გამონაკლისი შემთხვევებიც.

ფესბურთი ჩემი ძირითადი საქმიანობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან წამახალისებელ და მაორგანიზებელ ძალას წარმოადგენდა. მისაროდა არა მარტო მაგჩის მოგება, არამედ განრიგით დანიშნული ასპარეზობისთვის შესახვედრად მზადებაც. ვთქვათ, ორი თუ სამი კვირის შემდეგ თბილისში დანიშნული იყო შეხვედრა მოსკოვის „სპარტაკთან". ამ დღისთვის ყველა დავალება (კონფერენციისა თუ სემინარისთვის მოხსენების მომზადება, გამოცდისთვის მზადყოფნა და ა.შ.) შესრულებული უნდა მქონოდა, რომ ყოველგვარი საღარდებლისგან განთავისუფლებულს სრულად აღმექვა ფესბურთის მაგჩის ხილვით განცდილი სიხარული.

დინამოს სტადიონი 103 ათ. მაყურებელს იტევდა. მეტწილად გავსებული იყო. ერთსანობა ბილეთებს პარტიის ცენტრალურ კომიტეტში, თბილისის საქალაქო კომიტეტებში, რაიკომებში, მინისტრთა საბჭოსა და სხვა ზემდგომ ორგანოებში თუ იშოვიდი. სტადიონზე, ნამდვილ გულშემატკივრებთან ერთად, მიტმასნილი ელემენტებიც მინახავს, რომლებიც ჯერ კიდევ თამაშის დაწყებამდე აფრქვევდნენ თავიანთ „ბრძნულ" აზრებს, მაგალითად, ასეთს: „ჩვენი დინამოელები – ეს დამპლები ღღეს წააგებენ შეხვედრას". გვერდით მსხდომნი – ნამდვილი გულშემატკივრები მიმართავდნენ: „თქვე კაი ხალხნო, რაღა ჩვენც წინასწარ გვიწამლავთ გუნება-განწყობილებას. თანაც, თუ დარწმუნებულნი ხართ იმაში, რომ წააგებენ, საყურებლად აქ რაღას მოდიოდითო". ასეთი წუწუნი და წინასწარ ფარ-ხმალის დაყრა გაუმართლებელია არა მარტო სპორტულ შეჯიბრებაში, არამედ, ასევე, ბიზნეს-საქმიანობაში და ნებისმიერ სხვა სფეროშიც.

ჩემთვის, ისე როგორც ჩემი მეგობრებისა და კოლეგებისთვის, საერთოდ გულშემატკივრებისთვის, არაერთხელ მიუნიჭებია სიამოვნება თბილისის „დინამოს" სხვადასხვა თაობის ისეთ ბრწყინვალე წარმომადგენლებს, როგორებიც იყვნენ: ბორის პაიჭაძე, აკაანდილ ღოღობერიძე, მიხეილ მესხი, სლავა მეტრეველი, ვლადიმერ ბარქაია, ვიქტორ პანიუკოვი, გოგი ანთაძე, ვლადიმერ მარღანია, ანზორ კავაზაშვილი, სერგო კოტრიკაძე, მანუჩარ მაჩაიძე, ოთარ გაბელია, გაიოზ ჯეჯე-

ლაეა, მურთაზ ხურცილავა, ალექსანდრე ჩიკაძე, ვლადიმერ გუცაევი, ნიაზ ძიაპშპა, ვიტალი დარასელია, დავით ყიფიანი, კახი ასათიანი, გივი ჩოხელი, შოთა იამანიძე, ავთანდილ ჭკუასელი, ილია დათუნაშვილი, გიეი ხოჭოლავა, თემურ ქეცბაია და სხვ., რომელთა წინაშე ქედს ვიხრი, მაგრამ ყველას ჩამოთვლა პრაქტიკულად შეუძლებელია.

მახსოვს, თუ როგორ განიცდიდა ქართველი მაყურებელი არაობიექტურ მსაჯობასა და ჩვენი „დინამოს" წინსვლის ხელოვნურად შეჩერებას, რომელიც, სამწუხაროდ, იშვიათობას როდი წარმოადგენდა. ერთი ფაქტი: „სსრ კავშირის პირველობაზე გადამწყვეტი მატჩი მოსკოვში თბილისის „დინამოს" მოსკოვის „ტორპედოსთან" 1960 წელს ძალით წააგებინეს. ჩვენების მიერ მოგებული მატჩის შედეგი გაასაჩივრეს, გააუქმებინეს, ხელახლა ათამაშეს და მსაჯების დახმარებით „ტორპედოს" მოაგებინეს. თბილისის დინამოელები შოკირებულნი ჩასულან გასახდელში. როცა მათ მეორე ადგილის დაკავების დამადასტურებელი სიგელის მისაღებად მოედანზე გამოსვლა შესთავაზეს, ვლ. ბარქაიას უთქვამს: „ტუალეტში ახლა ვიყავით და ქაღალდი არ გვჭირდებაო".

თბილისის დინამოელებმა 1964 წელს (ნეიტრალურ სტადიონზე, ქ. ტაშკენტში), მოსკოვის ტორპედოელებთან ორთაბრძოლაში, როგორც იქნა მოიგეს გადამწყვეტი მატჩი და, პირველად ფეხბურთის ისტორიაში, სსრ კავშირის ჩემპიონის საპატიო ტიტულთან ერთად, ოქროს მედლების მფლობელები გახდნენ. ამან უსაზღვროდ აღაფრთოვანა მათი გულშემატკივრები და თავიანთ სამოღვაწეო ასპარეზზე თითოეულ მათგანს დიდი იმპულსი მისცა.

1981 წელს უეფას თასების მფლობელთა თასის „კარლ ცაისთან" (გერმანია) მატჩის მოგების შემდეგ, მოსკოვში დაბრუნებულებს, შერემეტიევოს აეროპორტში დავხვდით ქართველი გულშემატკივრები. ეს იყო არაჩვეულებრივი სანახაობა — ტრიუმფალური ზეიმი. ფეხბურთელები სულ ხელისგულზე ატარეს ბიჭებმა. იმ პერიოდში ვცხოვრობდი ლომონოსოვის სახ. მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის საერთო საცხოვრებელში. ამ ფაქტთან დაკავშირებით ჩემს ოთახში მოსალოცად

შემოვიდა ოცამდე კოლეგა, დავლიეთ 16 ბოთლი შამპანური. როგორც გადმომცეს, ამ გამარჯვების აღნიშვნას განსაკუთრებული სიბლი მაინც თბილისში ჰქონდა.

თითქმის ყოველთვის განსაკუთრებულ აყიოტაჟს თბილისის „დინამოსა“ და ერევნის „არარატის“ შეხვედრები იწვევდა. თბილისის „დინამო“ გაცილებით უფრო მაღალი კლასის გუნდი იყო, ამიტომ გაწბილებული მეტწილად ერევნის „არარატის“ გულშემატკივრები რჩებოდნენ. სენსაციური გამოდგა საკავშირო პირველობაზე ამ გუნდების ერთ-ერთი შეხვედრა ერევანში „რაზდანის“ სტადიონზე, სადაც „არარატის“ კარში 27 წუთის განმავლობაში 5 მშრალი გოლი გაიტანა დინამოელმა ილია დათუნაშვილმა და ამით თავისებური საფეხბურთო რეკორდი დაამყარა.

მინდა დავუბრუნდე იმდროინდელ ჩემს ძირითად საქმიანობაზე თხრობას.

სტუდენტთა სამეცნიერო წრეში ჩემი მუშაობის მთავარი მიზანი, მისი ორგანიზაციული მართვა კი არა, მეცნიერული ცოდნის გაღრმავება იყო. ამიტომ ყოველწლიურად ვამუშავებდი ჩემს მიერ შერჩეულ და მეცნიერ-ხელმძღვანელთან[1] შეთანხმებულ თემას, რომელიც გამქონდა ჯერ ფაკულტეტის, ხოლო შემდეგ საუნივერსიტეტო (ძირითადად იურისტებთან ერთად) კონფერენციაზე. როგორც წესი, ქვეყნდებოდა მოხსენებათა თეზისები. პირველი ასეთი თეზისები დაისტამბა 1948 წელს — მესამე კურსზე ყოფნის დროს, მეორე — 1949 წელს, ხოლო

[1] ჩემს პირველ სამეცნიერო მოხსენებაზე მუშაობისას მეცნიერულ ხელმძღვანელობას მიწევდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პოლიტიკური ეკონომიის კათედრის იმდროინდელი გამგე, პროფ. ს. ბერაძე. მან კათედრაზე დამიბარა, რათა გაგვესწორებინა ჩემი მოხსენების გამოსაქვეყნებლად წარსადგენი თეზისები. მუშაობა დავამთავრეთ საღამოს დაახლოებით 11 საათზე. ორივეს ერთი გზა გვქონდა, მაგრამ გამახსენდა რომ კაპიკიც არ მედო ჯიბეში და ტრამვაიში 10 კაპიკს ვერ გადავიხდიდი. ამიტომ მოვიმიზეზე რაღაც საქმესთან დაკავშირებით მოპირდაპირე მიმართულებით წასვლის საჭიროება და დავემშვიდობე. როცა ბ-ნი სერგი ჩაჯდა ტრამვაიში, მე ფეხით წავედი ბინაში (ბინამდე იყო დაახლოებით 1 კილომეტრი).

მართალია, ასეთი რამ იშვიათად ხდებოდა, მაგრამ გამონაკლისებს მაინც ჰქონდა ადგილი. — სამწუხაროდ, ერთ-ერთი ასეთი გამონაკლისი აღნიშნულ კრიტიკულ მომენტს დაემთხვა.

მესამე – 1950 წელს. აი, ეს, დამამთავრებელ წელს შესრულებული ნაშრომი – „სსრ კავშირის ეკონომიკური საფუძველი“ – კომპეტენტური საუნივერსიტეტო ჟიურის მიერ რეკომენდებულ იქნა სრული ტექსტის სახით გამოსაქვეყნებლად. იგი დაიბეჭდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა სამეცნიერო შრომების კრებულის მეხუთე ტომში (კრებული ამ სტატიით იხსნება). ეს ჩემი პირველი, მეცნიერული ნაშრომი ძალიან მეამაყებოდა არა მარტო მაშინ, როდესაც იშვიათობას წარმოადგენდა ასეთი რამ (იგი ჩემი სტუდენტობის დროის ეკონომიკის ფაკულტეტზე უპრეცედენტო შემთხვევა იყო), არამედ მეამაყება ამჟამადაც, როცა ჩემს მიერ გამოქვეყნებული ნაშრომების საერთო რიცხოვნობა 160-ს აღემატება.

1949 წლის დასასრულს ეკონომიკის ფაულტეტის ოთხი ფრიადოსანი სტუდენტი – ვიქტორ პაელიაშვილი, დიმიტრი ცისკარიშვილი, გიორგი ადეიშვილი და ამ სტრიქონების ავტორი იმდროინდელი ლეგენდარული რექტორის, აკად. ნიკო კეცხოველის მხარდაჭერით ორი თვით მიგვავლინეს ქ. მოსკოვში წინასადიპლომო პრაქტიკის გასავლელად. მოსკოვში ჩასვლისთანავე გამოვცხადდით სსრ კავშირის უმაღლესი განათლების სამინისტროში. ჩემი მეგობრების წინადადებით, მე მერგო წილად უნივერსიტეტების სამმართველოს უფროსისთვის მომეხსენებინა მოსკოვში ჩვენი ჩასვლის მიზნის შესახებ და მეთხოვა დროებით სადმე ჩასახლება. მან დასედა მიმართვას და თქვა: „დიახ, ხელმოწერა ნამდვილად ნიკოლოზ ნიკოლოზის ძისაა, მაგრამ გაკვირვებული ვარ იმაზე, თუ როგორ მოხდა წინასწარ შეუთანხმებლად თქვენი გამომგზავრება. ასეთ შემთხვევაში უკან დაბრუნება გეკუთვნით, მაგრამ ბ-ნი ნიკოს ავტორიტეტს ვერ შევლახავთო“. მოგვათავსეს ლომონოსოვის სახ. მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის ძველ საერთო საცხოვრებელში და პრაქტიკაც ნორმალურად გავიარეთ.

ჩვენი წინასადიპლომო პრაქტიკა დაემთხვა ი. სტალინის დაბადების 70 წლისთავის გრანდიოზულად აღნიშვნასა და ამასთან დაკავშირებით მოსკოვში მაო ძე დუნის ორთვიან ვიზიტს. წარუშლელი შთაბეჭდილება დატოვა ჩემზე ამ დიდმნიშვნელოვანი თარიღის აღსანიშნავად მსოფლიოს ყველა

კუთხიდან გამოგზავნილმა ნაირნაირმა საჩუქრებმა (სუვენირებმა), რომელთა უმრავლესობა დღეისთვის, სამწუხაროდ, მიმოფანტული და განადგურებულია.

ი. სტალინი უდაოდ კონტრასტული ფიგურა იყო. იგი არაორდინარულად გამოიყურება თავისი როგორც დადებითი, ისე უარყოფითი მხარეებით, მაგრამ, ჩემი აზრით, ერთი რამ უტყუარი ჭეშმარიტებაა: ის გახლდათ მსოფლიო მასშტაბის ისეთი განუმეორებელი ფენომენი, მართლაც ფოლადივით მტკიცე არსება, რომელმაც შეუძლებელიც კი შესძლო და, ჯერ ერთი, კაეის რუსეთი ატომის რუსეთად აქცია და, მეორე, ფაშისტურ ურჩხულთან თითქმის წაგებული ომი სსრ კავშირის ძლევამოსილი გამარჯვებით დააგვირგვინა, რაც საოცრების ტოლფასია. აი, რატომ მიმაჩნია უხეშ შეცდომად ამ სიცოცხლეშივე ლეგენდად ქცეული პიროვნების უკიდეგანო მოღვაწეობის ცალმხრივი და მიკერძოებული შეფასება.

მინდა აღვნიშნო, რომ მოსკოვში გავლილ პრაქტიკას პროფესიული თვალთახედვით იმდენი სარგებლობა არ მოუტანია ჩვენთვის, რამდენიც ცხოვრებისეული გამოცდილების სახით შეგვძინა. სწორედ ამ პერიოდში შევაღეთ პირველად ლენინის სახ. სახელმწიფო ბიბლიოთეკის კარები და ვისარგებლეთ მისი უმდიდრესი წიგნადი ფონდით, დავათვალიერეთ მუზეუმები, სხვა ღირსშესანიშნაობები, დავესწარით სამეცნიერო კონფერენციებს სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკის ინსტიტუტში (ვოლხონკა, № 14), კონტაქტები დავამყარეთ სხვადასხვა პროფესიის ადამიანებთან და საგრძნობლად გავგარდეთ ჩვენი ცოდნის მარაგი. ყოველივე ამან ძალიან შეგვიწყო ხელი ჩვენი მომავალი ცხოვრების კონკრეტული კონტურების მონიშვნაში.

1950 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტი 211-მა სტუდენტმა დაამთავრა. ნაკადი საკმაოდ ძლიერი აღმოჩნდა. მას სახელი და დიდება მოუტანეს: ლენინური პრემიის ლაურეატმა, საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარემ, ყველასათვის საყვარელმა და უნიჭიერესმა მწერალმა, **ნოდარ დუმბაძემ**, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პრორექტორმა, პროფ. **გივი ჭანუყვაძემ**,

საქართველოს კომპარტიის სიღნაღის რაიკომის პირველმა მდივანმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა დიმიტრი გელაშვილმა, საქართველოს კომპარტიის საგარეჯოს რაიკომის პირველმა მდივანმა **ოთარ საბაშვილმა**, საქართველოს დამზადების მინისტრმა **ლონგინოზ ზაქაიძემ**, საქართველოს ფინანსთა მინისტრის პირველმა მოადგილემ ბენო ჯაფარიძემ; პროფესორებმა **გიორგი ადეიშვილმა, დიმიტრი ცისკარიშვილმა, ვიქტორ პავლიაშვილმა,** ამ სტრიქონების ავტორმა; აკადემიურმა დოქტორებმა **პავლე გარუჩავამ, სერგო სოსელიამ, შალვა შელიამ, დურსუნ დიასამიძემ, გიორგი გველესიანმა, ილია მაცაბერიძემ, მარლენ დარჩიამ, დიმიტრი მარგალიტაძემ, ზაქრო მაისურაძემ** და სხვ.

# 3. ასპირანტურა და საკანდიდატო დისერტაციის დაცვა

უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ უმრავლესობა მიღებული სპეციალობის შესაბამისად დასაქმდა და პრაქტიკულ საქმიანობას მოკიდა ხელი, ნაწილმა კი საქმიანობის სამეცნიერო სარბიელზე გაგრძელება დაისახა მიზნად. მათ შორის მე, ჩემი მონაცემებით, ერთ-ერთი პირველთაგანი ვიყავი, მაგრამ მაწუხებდა ერთი გარემოება. ჩემმა ძმამ, არმიიდან დემობილიზაციის შემდეგ, 1946 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტი წარჩინებით. პროფ. ალექსანდრე ნამორაძემ, მსოფლიო ისტორიის ცნობილმა სპეციალისტმა, მას ასპირანტურაში დარჩენა შესთავაზა, მაგრამ იძულებული გახდა უარი ეთქვა ამ კეთილშობილურ წინადადებაზე იმის გამო, რომ მამა ლოგინად იყო ჩავარდნილი, მე და ჩემი და სტუდენტები ვიყავით, მარტო დედა ვერ აუდიოდა უამრავ საოჯახო საქმეს. მან მუშაობა დაიწყო საქართველოს კომპარტიის ბუგდიდის რაიკომში და მაქსიმალურ დახმარებას გვიწევდა, რათა არ შეგვეწყვიტა სწავლა.

როცა უნივერსიტეტი დავამთავრე, ჩემს ძმას შევთავაზე ასპირანტურაში სწავლის გაგრძელება და ვუთხარი, ოჯახს ახლა მე მივხედავ-მეთქი. მან არგუმენტირებულად უარყო ჩემი წინადადება და თქვა: „რკინა მაშინ უფრო კარგად იჭედება, როცა გახურებულიაო“, ე.ი. ჯობიაო ხელიდან არ გაუშვა შანსი, რომელიც გაქვს, მე კი მოგვიანებით მოვკიდებ ხელს ამ საქმესო. ეს გადაწყვეტილება საბოლოო აღმოჩნდა და დავიწყე მზადება ასპირანტურაში გამოცდების ჩასაბარებლად.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ეკონომიკის ფაკულტეტზე ასპირანტურაში პოლიტიკური ეკონომიის სპეციალობით (სხვა სპეციალობებზე ადგილები საერთოდ არ გამოყოფილა) გამოიყო ოთხი ადგილი, რომლებზეც პრეტენზიას აცხადებდა შვიდი კურსდამთავრებული, მაგრამ ნუ დაგავიწყდებათ, თითქმის შვიდივე დარწმუნებული იყო იმაში, რომ პირველ ოთხეულში მოხვდებოდა. ესენი იყვნენ: გივი ჭანუყვაძე,

შალვა შელია, პავლე გარუჩავა, გიორგი ადეიშვილი, დიმიტრი ცისკარიშვილი, ვიქტორ პაველიაშვილი და ამ სტრიქონების ავტორი. ერთი პატარა დეტალი: კონკურსში მონაწილეებს გვევალებოდა, სხვა მასალებთან ერთად, ეკონომიკის ერთ-ერთ პრობლემატურ საკითხზე რეფერატის წარდგენა. პირადად ჩემთვის, როგორც გამოქვეყნებული ნაშრომის ავტორისთვის, ასეთი რეფერატი არ მოუთხოვიათ.

ასპირანტურაში მისაღები გამოცდების შედეგად, 20 შესაძლებლიდან გივი ჭანუყვაძემ მოაგროვა 20 ქულა[1], პაველ გარუჩავამ — 19, შალვა შელიამ (რომელიც სტუდენტობის დროს უაკულტეტზე იყო ერთადერთი სტალინური სტიპენდიანტი) და ლეო ჩიქავამ — 18-18, დიმიტრი ცისკარიშვილმა და ვიქტორ პაველიაშვილმა — 16-16, ხოლო გიორგი ადეიშვილმა — 15 ქულა.

კარგად გაერკვა რა ჩარიცხულთა მიღმა დარჩენილი პრეტენდენტების მონაცემებში, უნივერსიტეტის რექტორმა, აკად. ნ. კეცხოველმა თავის თავზე აიღო ეს საქმე და ისინიც ჩარიცხა. ამ გადაწყვეტილებას პირველ ოთხეულში მოხვედრილებიც დიდი კმაყოფილებით შეეხვდით. ჩვენი კურსდამთავრებულთა ნაწილი (სერგო სოსელია, გიორგი გველესიანი, დურსუნ დიასამიძე) საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკის ინსტიტუტის ასპირანტურაში ჩაირიცხა.

1948 წლიდან დამკვიდრებული ტრადიციისამებრ, ასპირანტურაში ახალჩარიცხულებს სწავლა უნდა გაგვეგრძელებინა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკის ინსტიტუტში, მაგრამ ეს საქმე ჩაიშალა. ამ მიზეზის გამო, ასპირანტურას თავი დაანება შ. შელიამ (იგი, რამდენიმე საპასუხისმგებლო თანამდებობაზე მუშაობის შემდეგ, მოგვიანებით მიუბრუნდა მეცნიერებას), დანარჩენები კი აქვე — თბილისში შევუდექით

[1] არ გამოვრიცხავ, რომ გ. ჭანუყვაძის მიერ ქულების მაქსიმუმის მოგროვებაში მისმა თანამდებობრივმა მდგომარეობამაც (უნივერსიტეტის პარტკომის მდივნად მუშაობამაც) შეასრულა გარკვეული როლი, მაგრამ ის ამ ყურადღებას ნამდვილად იმსახურებდა როგორც ნიჭიერი, ფართოდ ერუდირებული და შრომისმოყვარე პიროვნება. ხომ გასათვალისწინებელი იყო ისიც, რომ იგი, ჩვენგან განსხვავებით, რაოდენ კოლოსალურ ენერგიას და დროს ახმარდა ორგანიზაციულ მუშაობას.

ჩვენი ინდივიდუალური სამუშაო გეგმების განხორციელებას.

მაშინდელი ასპირანტების მუშაობის გრაფიკი არსებითად განსხვავდებოდა დღევანდელისგან, როცა წელიწადში ერთხელ თუ გამოიელის ასპირანტი თავის მეცნიერ-ხელმძღვანელთან. ჩვენს სპეციალობაში – პოლიტიკურ ეკონომიაში საკანდიდატო მინიმუმის საგნების მოსამზადებლად ხელმძღვანელობას გვიწევდა კათედრის გამგე, პროფ. ი. ბაჯაძე. მისთვის კვირაში ერთხელ უნდა ჩაგვებარებინა თითო თემა, თანაც, დაწერილი სახით, რომელშიც გამოყენებული უნდა ყოფილიყო ამ თემაზე არსებული და ჩვენთვის ხელმისაწვდომი ყველა წყარო. გასაუბრება მიმდინარეობდა ზეპირად. ეს ძალიან შრომატევადი გამოდგა. გ. ადეიშვილმა ყველა ჩვენთაგანის სახელით ასეთი თხოვნით მიმართა ბ-ნ იოსებს: „ყველა თემას მოვამზადებთ და ჩაგაბარებთ, მაგრამ კონსპექტების სახით გაფორმებას ნუღარ მოგვთხოვთო“. ამაზე სასტიკი უარი მივიღეთ. მოგვიანებით მივხვდით, თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ამ „წესის“ დაცვას მისი შედეგების მომავალ ეტაპზე გამოყენების თვალსაზრისით.

როგორც კი ჩავაბარეთ საკანდიდატო მინიმუმის გამოცდები, ყველა ასპირანტი ასისტენტის რანგში შეგვიშვეს სტუდენტთა აუდიტორიებში სემინარების ჩასატარებლად, ცხადია, სათანადო ანაზღაურებით. როცა მივმართე კათედრის გამგეს თხოვნით, რომ მირჩევნია დისერტაციის საქმე წავწიო წინ, ვინემ სემინარები ვატარო მეთქი, მიპასუხა, „ეს თქვენი პროფესიული დახელოვნებისთვის არის აუცილებელი და არა მატერიალური უზრუნველყოფისთვისო“. თუ რაოდენ სწორი და წინდახედული გამოდგა ამ საკითხში ბ-ნი იოსების კურსი, ამას მოგვიანებით მივხვდი.

დამევალა სემინარული მეცადინეობების ჩატარება ფილოსოფიის ფაკულტეტის ისეთი ძლიერი ჯგუფის სტუდენტებთან, როგორებიც იყვნენ (ზოგიერთები არიან დღესაც): საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, აკად. გურამ თევზაძე, ამავე აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ედუარდ კოდუა, პროფ. ვახტანგ კვარაცხელია, გამოჩენილი მწერალი რევაზ ჯაფარიძე და სხვ. ისტორიის ფაკულტეტზე ჩე-

მი სასემინარო იყო, აგრეთვე, ჯგუფი, რომელიც დაამთავრეს მომდევნო ეტაპებზე საზოგადოების წინაშე სახელოვნად წარმოჩენილმა ადამიანებმა: საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა კიაზო ფიცხელაურმა, ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორებმა, პროფესორებმა: ლაშა ჯანაშიამ, ნანა ხაზარაძემ, იაზონ კიკვიძემ, დურმიშხან ცინცაძემ, მედეა ქანთარიამ, ჯანრი ბოცვაძემ, ნანა ცაგარეიშვილმა, ნოდარ ასათიანმა, თ. საყვარელიძემ, გ. გაბრიჩიძემ და სხვ.

ახლა მიკვირს ის, თუ როგორ ვბედაედი 22-23 წლის გამოუცდელი ყმაწვილი ასეთი უნიჭიერესი და მომზადებული ახალგაზრდებით დაკომპლექტებულ ჯგუფებში მეცადინეობების ჩატარებას. მათთან თითოეული შეხვედრა იყო უაღრესად საინტერესო, რამდენადაც იმართებოდა მწვავე დისკუსიები თითქმის ყველა პრობლემატურ საკითხზე და ჩემი როლი ამ დისკუსიების შეჯამებით შემოიფარგლებოდა.

მახსენდება ცალკეული გამონაკლისებიც. სემინარებზე რამდენიმეჯერ გამოვიძახე ბ-ნი რევაზ ჯაფარიძე (იგი 5 წლით უფროსი იყო ჩემზე, მაგრამ ჯარში სამსახურის გამო, გვიან ჩაირიცხა უნივერსიტეტში) და ყოველთვის უარი განაცხადა სასემინარო მასალის მოყოლაზე. მესამედ თუ მეოთხედ უარის თქმისას გავუჯავრდი და დავტუქსე, თუ ასე გააგრძელებთ თქვენს საკითხს დეკანატში დავსვამ-მეთქი, ვუთხარი. თანაჯგუფელებმა ჩუმად ჩაილაპარაკეს, ბ-ნო, ის წერს და არ სცალიაო. ვიკითხე, რას წერს-მეთქი? — მოთხრობებსო. მერედა, მოთხრობები რაღაც იდეების მატარებელი უნდა იყოს, ამისთანა ზარმაცის დაწერილს კი რა იდეები შეიძლება ჰქონდეს-მეთქი.

კანონზომიერებიდან ასეთი გადახვევის შემთხვევები იშვიათია. მოგვიანებით ბ-ნი რევაზის ვაქმა, რომელიც ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტში ჩვენი თანამშრომელი იყო, საკანდიდატო დისერტაცია დაიცვა მოსკოვში. ამის აღსანიშნავად ბ-ნი რევაზის სახლში ძალიან ვიწრო წრისთვის სადილი გაიმართა, სადაც მეც ვიყავი მიწვეული. სუფრის ხელმძღვანელობა ბ-ნ გრიგოლ აბაშიძეს სთხოვეს. იქ გავიხსენეთ ეს კური-

ოზული შემთხვევა. ვაღიარე, რომ ამ კონკრეტულ შემთხვევაში, როგორც ჯერ კიდევ გამოუცდელმა პედაგოგმა, დავუშვი შეცდომა, თუმცა, ჩემი მოთხოვნა სავსებით გამართლებული იყო. პრინციპში სწორად მოქცევის მიუხედავად, ჩემი ეს შემთხვევა შეცდომად ვაღიარე მას შემდეგ, რაც გავეცანი ბ-ნი რევაზის შესანიშნავ ნაწარმოებებს – „ჯარისკაცის ქვრივს", „მძიმე ჯვარს", „ენების კვირას" და სხვ.

ასპირანტურის პერიოდში, საკანდიდატო დისერტაციის მოსამზადებლად, კათედრამ მე და დიმიტრი ცისკარიშვილს მეცნიერ-ხელმძღვანელად აკად. პ. გუგუშვილი გამოგვიყო. ამით, შეიძლება ითქვას, უდიდესი ბედნიერება გვხვდა წილად, რამეთუ მაშინ სწორედ ამან მოგვცა საშუალება დავახლოვებულიყავით პიროვნებასთან, რომელიც მეცნიერების ჭეშმარიტი რაინდის ტიტულს იმსახურებდა.

იგი, როგორც წესი, თავის საცხოვრებელ სახლში, ხუთშაბათობით, საღამოს 9 საათზე გვინიშნავდა შეხვედრებს და გვაცნობდა თავის შენიშვნებს ჩვენი საკვალიფიკაციო ნაშრომის ცალკეულ თავებსა თუ პარაგრაფებზე. მეცნიერული კვლევაძიებითა და საგოგადოებრივი საქმიანობით გადატვირთულობის მიუხედავად, არ ყოფილა შემთხვევა რომ ეთქვას: „დაკავებული ვიყავი, ვერ მოვასწარი წაკითხვა და სხვა დროს მოდითო". იგი, ჩვენი ნაშრომის ცალკეულ ხარვეზებზე მინიშნების პარალელურად, გვაძლევდა მიმართულებებს, თუ როგორ უნდა გაგვეუმჯობესებინა ტექსტი. მნიშვნელოვანწილად ჩემს მეცნიერ-ხელმძღვანელს უნდა ვუმადლოდე იმას, რომ ასპირანტურის კურსის დამთავრებისთანავე წარვადგინე საკვალიფიკაციო ნაშრომი დასაცავ თემაზე – **„მანქანა-ტრაქტორთა სადგურების როლი საკოლმეურნეო წარმოების განვითარებასა და განმტკიცებაში (გორის რაიონის მტს-ბის მაგალითზე)"**.

ბ-ნი პაატა, როგორც მეცნიერ-ხელმძღვანელი, ჩემი ნაშრომის თაობაზე სამეცნიერო საბჭოში წარდგენილ დახასიათებაში წერდა: „თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პოლიტიკური ეკონომიის კათედრის ასპირანტის ლეო ჩიქავას ნაშრომი დაწერილია თემის გარშემო არსებული ლიტერატურული წყაროების, აგრეთვე, ავტორის მიერ საკვლევ რეგიონში სან-

ვრძლივი დაკვირვებით მოპოვებული მდიდარი ფაქტობრივი მასალის ღრმამეცნიერული გაანალიზებისა და განზოგადების საფუძველზე. იგი თავისი მეცნიერული დონით, ლიტერატურული გაფორმებითა და თემის აქტუალურობით სავსებით იმსახურებს ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატის ძიებულ სამეცნიერო ხარისხს, ამიტომ მიზანშეწონილად მიმაჩნია არსებული წესის მიხედვით მიეცეს მას შემდგომი მსჯელობა".

დაცვა შედგა 1954 წლის 12 მარტს. ფარული კენჭისყრის შედეგად, სამეცნიერო საბჭოს მხოლოდ ერთი წევრი აღმოჩნდა წინააღმდეგი. მივსვდი, ჩემი მეცნიერ-ხელმძღვანელის მიმართ შურისძიების გამო, თუ ვინ არ მომცა ხმა, მაგრამ ამის გამჟღავნებას არავითარი პრაქტიკული მნიშვნელობა არ ჰქონდა და არაფერი მითქვამს. სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე პროფ. ნ. ქოიავა მომიახლოვდა და ჩუმად მითხრა, „გამორიცხული არაა, რომ წაგშალათ არა იმან, ვიზედაც ეჭვობთ, არამედ სულ სხვამ, რომლისგანაც ამას საერთოდ არ მოელოდით, ამიტომ თავის შეკავება ჯობიაო". რომ დავუკვირდი, ნამდვილად გონიერული რჩევა იყო და მეც გავჩუმდი.

ჩემი დისერტაცია აღმოჩნდა პირველი ეკონომიკის ფაკულტეტის 1950 წლის კურსდამთავრებულთა 250-კაციანი ნაკადის წარმომადგენელთა შორის. ამით ერთხელ კიდევ გაესვა ხაზი მუყაითი, მტკიცე ნებისყოფიანი, მუხლჩაუხრელი, ინტენსიური და დაძაბული შრომის გადამწყვეტ როლს წარმატებების მოპოვებაში[1]. რაიმე სხვა უპირატესობა ან პრივილეგია მე არ მქონია. პირიქით, ალბათ, ბევრ ჩემს თანაკურსელთან შედარებით გაცილებით ცუდ პირობებში ვცხოვრობდი. სტუდენტობის პირველი კურსიდან მოყოლებული ასპირანტურის დამთავრებამდე ელბაქიძის დაღმართზე 3/5 ნომერში (მელიკ აბარიანის სასახლის ეზოში) ქირით მეკავა ხუხულასავით მიშენებული და სამზარეულოდ გათვალისწინებული 5-6 კვადრატულმეტრიანი ოთახი. ძნელი დასაჯერებელია, მაგრამ ფაქტია: ამ ე.წ. ოთახში იდგა ორი საწოლი, ერთი მაგიდა, რომელიც უნივერსალუ-

[1] ედისონი, რომელსაც არავითარი სპეციალური განათლება არ ჰქონდა, მაგრამ ათასზე მეტი გამოგონების ავტორი იყო, წერდა: „ტალანტი ეს არის 1 პროცენტი შთაგონება და 99 პროცენტი ოფლი".

რად იყო გამოყენებული, შეშის ღუმელი, ნავთქურა, ოთხი სკამი; კედლებზე ჩამონტაჟებული იყო წყლის ონკანი და წიგნების კარადა, საღაც თეფშებსა და ჭიქებსაც ვინახავდით. ტანისამოსი კედელზე გვეკიდა. ზოგჯერ გაჭირვებულ სტუმარსაც ეღებულობდით (იატაკზე ვაწვენდით).

ნავთის შოენა ძალიან გვიჭირდა. ზოგჯერ მთელი ღამეები გვითენებია მის რიგში. ხანდახან ნავთის ბალონებს მივუდგამდით ერთმანეთს და ისე ვტოვებდით მთელი ღამე (თქვენ წარმოიდგინეთ, ნავთის ჭურჭლის დაკარგვის არცერთი შემთხვევა არ მახსოვს, რაც იმდროინდელ წესრიგსა და დისციპლინაზე მიგვანიშნებს). შეშა ტომრებში ჩალაგებული სამგზავრო მატარებლით რამდენჯერ ჩამომიტანია 350 კილომეტრით დაშორებული ჩემი მშობლიური სოფლიდან. უნდა გენასათ, თუ როგორ ვუფრთხილდებოდით ასეთი წვალებით ჩამოტანილი შეშის შენთებას.

რაც შეეხება სურსათ-სანოვაგეს, 1947 წლის ფულის რეფორმამდე ტალონებით (ჩვენი ნორმის ფარგლებში) ვღებულობდით პურს, მაკარონს, ვერმიშელს, ლობიოს, კვერცხის გულს (კუს კვერცხს ეძახდნენ), ზოგჯერ ყველსა და ხორცსაც. ყველით, შაშხით, კუპატებით, ქათმებით, გოჭებით, შესაძლებლობის ფარგლებში, ძირითადად დღესასწაულებზე, ვმარაგდებოდით სოფლიდანაც. ასე რომ, მოშიებული არასოდეს ვყოფილვარ. მთავარი საარსებო წყარო მაინც სტიპენდია იყო. თანაც, როგორც ფრიადოსანი, გაძლიერებულ სტიპენდიას ვღებულობდი, ერთხანობა სახელობითსაც.

ცალკეულ შემთხვევებში პროფკავშირიც გვეხმარებოდა. მახსოვს, როგორც მოწინავე სტუდენტს, პროფკავშირმა ჯილდოს სახით ორდერი გამომიყო და ამ ორდერით უფასოდ შარვალი ავიღე. მართალია, დღევანდელი ახალგაზრდები იმნაირ შარვალს შავ სამუშაოზეც არ ჩაიცვამენ (და გასაკვირი ამაში არაფერია, რამდენადაც დღეს სრულებით სხვა დონე და ვითარებაა), მაშინ კი ისე გამისარდა, რომ ჩემი ბინისკენ მიმავალი ყარამან ყანთელიევით მივაბიჯებდი და საოცრად ბედნიერად ვგრძნობდი თავს.

# 4. შრომითი საქმიანობის პირველი ნაბიჯები

ასპირანტურის კურსის დამთავრებისა და საკანდიდატო დისერტაციის დაცვის შემდეგ დაიწყო ჩემი ცხოვრებისა და მოღვაწეობის სრულიად ახალი – შრომითი საქმიანობის ეტაპი. თუმცა, ამ ეტაპზე გადასვლა არ მომხდარა უმტკივნეულოდ.

ასპირანტურის დამთავრებამდე არაერთი შემოთავაზება მქონდა სამსახურის დაწყების თაობაზე, მაგრამ იმის შიშით, რომ მას შეიძლებოდა ხელი შეეშალა საკვალიფიკაციო ნაშრომის დროულად დასრულებისთვის, თავი შევიკავე. დაცვის შემდეგ კი, რატომღაც გაქრა ვაკანსიები და ძალიან გაჭირდა შრომითი მოწყობა. სამეცნიერო ხარისხის მქონე კადრების ერთგვარი დეფიციტის მიუხედავად, ეს განსაკუთრებით შეეხო ვაკანსიებს საზოგადოებრივ მეცნიერებებში (მ.შ. პოლიტიკურ ეკონომიაში), რომელიც პარტიის ცენტრალური კომიტეტის ნომენკლატურას წარმოადგენდა.

ამ საკითხთან დაკავშირებით ხშირი სტუმარი ვიყავი საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეცნიერებისა და კულტურის განყოფილებისა, რომლის გამგე იყო ბ-ნი ვალიკო (ვალერიან) მელქაძე, ხოლო მისი მოადგილე – ბ-ნი ემილ სეხნიაშვილი. საკმაოდ ხანგრძლივი დროის განმავლობაში უშედეგო ვიზიტების შემდეგ, ვეახელი რა კიდევ ერთხელ, მისი კაბინეტიდან გამოსელისას ბ-მა ვალიკომ უნებლიედ გადმოაფრქვია ასეთი „მარგალიტები“: „კაცმა რომ თქვას, ეკონომიკის ინსტიტუტში კი შეიძლებოდა თქვენი მოწყობა, მაგრამ მეგრელებით გადატვირთვის საშიშროება მაწუხებსო“.

ამ უტაქტო ნათქვამმა ამაფორიაქა და იქვე მივახალე: „ყველაფერს ვიფიქრებდი, მაგრამ ვერაფრით წარმოვიდგენდი იმას, რომ XX საუკუნის 50-იან წლებში ცენტრალური კომიტეტის განყოფილების გამგე ინსტიტუტებში მეგრელების, იმერლების, გურულების და ა.შ. დათვლით თუ იქნებოდა დაკავებუ-

ლი. აფსუს, როგორ დამიკარგავს დრო აქ სიარულში, მეტი აქ მომსელელი არა ვარ-მეთქი“ და კარები მოეაჯახუნე. თვითონაც მიხედა, რომ დაუკრეფავში გადაკიდა, ამიტომ ვერაფერი მიპასუხა და ჯაოგნებული დავტოვე[1].

ასე იყო, თუ ისე, ბ-ნმა ეალიკომ (თუ ყოველისშემძლე ცკ-მა) შეისრულა თავისი განზრახვა მ. გორკის სახ. სოხუმის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში სამუშაოდ ჩემი განწესების თაობაზე (ამის შესახებ არაერთხელ მელაპარაკა წინასწარ) და 1954 წლის 1 სექტემბერს საგზურით ხელში გამოვცხადდი სოხუმში. ძალიან კარგად მიმიღო ინსტიტუტის დირექტორმა დოც. ნიკა ხურციძემ, რომელიც იქვე პოლიტიკური ეკონომიის კათედრასაც განაგებდა. მან პირველ დღესვე დამასწრო თავის მეთოდურად (და შინაარსობრივადაც) ძალიან საინტერესოდ წაკითხულ ლექციაზე და შემდეგ სადილად თავის სახლში მიმიპატიჟა, რომელსაც წინასწარ მოუმზადებლობისა არაფერი ეტყობოდა.

შესანიშნავად ჩავერთე ინსტიტუტის ცხოვრებაში. აქ პირველად დავიწყე პოლიტიკური ეკონომიის კურსის დამოუკიდებლად წაყვანა, რომელიც სრულებით არ გამჭირვებია, ალბათ, იმ მარტივი გარემოების გამო, რომ არაჩვეულებრივი ფილტრი მქონდა გაელილი ჩემს მკაცრ და მაღალმომთხოვნ მასწავლებლებთან — პ. გუგუშვილთან, ს. ბერაძესთან და ი. ბაჯაძესთან.

კათედრა ძალიან მცირერიცხოვანი იყო. სულ სამი კაცისგან შედგებოდა. მესამე გახლდათ ადგილობრივი კადრი, კარგი სპეციალისტი და შესანიშნავი პიროვნება ბ-ნი შალვა ხუბუტია. პოლიტიკური ეკონომიის კაბინეტს განაგებდა უნიჭიერესი, მუდამ მოუსვენარი ახალგაზრდა იური ნორაკიძე, რომელიც იმავე დროს სემინარულ მეცადინეობებს ატარებდა პოლიტიკურ ეკონომიაში (სამწუხაროდ, იგი აფხაზეთში დატრიალებული ტრაგედიის მსხვერპლი გახდა).

---

[1] იმ მომენტში რას იფიქრებდა, რომ 17 წლის შემდეგ მოუწევდა ჩემს კარებთან დგომა თხოვნით მის სადისერტაციო ნაშრომზე რეცენზიის წარდგენის დაჩქარების შესახებ.

ამ პერიოდში ინსტიტუტში კონტაქტში შეევედი და საქმიანი ურთიერთობები დავამყარე ისეთ მეცნიერებთან და პედაგოგებთან, როგორებიც იყვნენ ქალბატონები: ცაცა ფირცხალავა, ნუცა არდაშელია, ნათელა შენგელაია, ნათელა ჯოლოგუა; ბ-ნები: გიორგი სოსელია, შოთა ბასილაია, ერასტი ახობაძე, ხუტა საბახტარაშვილი, ირაკლი ახალაია, ივანე (ბუხუტი) ჭკუასელი, აკაკი ჩხიკვაძე, ვალერიან ჭანია, კლიმენტი შელია, ხუტა შენგელია, ვახტანგ ადამია, შოთა მისაბიშვილი, აკაკი ჩხარტიშვილი, ანტონ ადლეიბა, ვარლამ ანთია, ოთარ ვახანია, არჩილ ბარამიძე, ალიოშა კაკულია, რაჟდენ ფაჩულია და სხვ.

რაოდენ ტკბილად მოსაგონარია ეს პერიოდი ქართველების აფხაზებთან შეხმატკბილებული ურთიერთობის თვალსაზრისითაც. ეს იგრძნობოდა არა მარტო ინტელიგენციის წრეში, არამედ საერთოდაც. მახსენდება 1955 წელი, როდესაც სტუდენტები გავიყვანეთ ოჩამჩირის რაიონში ჩაის მწვანე ფოთლის მოკრეფაში დახმარების გასაწევად. მე მოვხვდი სტუდენტთა იმ რაზმის ხელმძღვანელად, რომელიც მიმაგრებულ იქნა სოფ. კოჩარაში. პირადად დამაბინავეს ადგილობრივი მკვიდრი აფხაზის ოჯახში. ამ ოჯახმა საოცარი სტუმართმოყვარეობა გამოავლინა. მისი ყველა წევრი ყოველნაირად ცდილობდა მაქსიმალურად ეცა პატივი ჩემთვის. რაც მთავარია, აშკარად ეტყობოდა, რომ ამას აკეთებდნენ არა მოვალეობის მოსახდელად, არამედ სულითა და გულით. უდიდეს უხერხულობას ვგრძნობდი და არ ვიცოდი რა მექნა, როგორ გამომეხატა უღრმესი მადლიერება.

დღევანდელი თვალსაწიერიდან რომ ვუყურებ, გაკვირვებული ვარ, თუ როგორ შეძლო ვერაგული ხერხების გამოყენებით რუსეთის აგენტურამ ამ ბუნებით კეთილი ადამიანების გონების დაბინდვა — დახშობა და ქართველებისადმი ფიზიოლოგიური ზიზღით განწყობა. მახსენდება უბადრუკი ნიკიტა ხრუშჩოვის სიტყვები: „ქართველებო, ჭკუით იყავით და მოიქეცით ისე, როგორც გარიგებთ, თორემ აფხაზებს აგიჯანყებთ, კალიებივით შემოგისევთ და შერე ნახეთ, რაც მოგივათო“. როგორც, ჩანს, ის, რისი გაკეთებაც ნიკიტასა და

მის ხროვას არ დასცალდა, რუსების მომდევნო თაობებმა რეალობად აქციეს. თუმცა, მაქვს იმედი, რომ საბოლოოდ მაინც გაიმარჯვებს ჯანსაღი აზრი და მოიძებნება გამოსავალი ამ ჩიხიდან. ასეთი გამოსავალია ქართველებისა და აფხაზების, როგორც ტრადიციულად მეგობარი ეთნოსების, წარმომადგენლების მიერ დაშვებული შეცდომების აღიარება, ჩადენილ დანაშაულობათა ურთიერთშენდობა და ჩაგეხილი ხიდის აღდგენა.

აფხაზეთში მუშაობის დაწყებისთანავე დამამტკიცეს საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტთან არსებული ლექტორთა ჯგუფის წევრად და იმ დღესვე განიხილეს ჩემი ლექციის ტექსტი. რეცენზია წარმოადგინა ბ-ნმა ნ. ხურციძემ. მასალა ძირითადად მოიწონეს, მაგრამ რამდენიმე შენიშვნა მომცეს. არცერთი მათგანი არ იყო სამართლიანი და დავასაბუთე მათი უსაფუძვლობა. გართულდა საქმე, დაიძაბა ვითარება. ბ-ნმა ხ. საბახტარაშვილმა ყურში ჩამჩურჩულა, აქ დამკვიდრებული წესის მიხედვით, ოქმში უნდა დაფიქსირდეს ორი-სამი შენიშვნა მაინც, ამიტომ არ მოგეშვებიან და ჯობია შენიშვნა თვითონ დაგვისახელოო. ამან თვალები ამიხილა და შევეპირდი ოქმში ჩასაწერად შენიშვნებს თვითონ მივაწოდებდი. ამით კმაყოფილებმა ჩემი ლექციის ტექსტი ერთხმად მოიწონეს.

როგორც სამეცნიერო ხარისხის მქონე ახალგაზრდა სპეციალისტს, შემომთავაზეს შეთავსებით, მარქსიზმ-ლენინიზმის საღამოს უნივერსიტეტში მუშაობა, რომელიც ძალიან საინტერესო და მიმზიდველი გამოდგა. აქ კვალიფიკაციას იმაღლებდნენ პარტიული და საბჭოთა ორგანოების პასუხისმგებელი მუშაკები — მინისტრები, მათი მოადგილეები, სამმართველობის უფროსები და ა.შ.

ბინის პრობლემა არ მქონდა, ეცხოვრობდი ჩემი ძმის სიმამრის — ბ-ნი ალექსანდრე ჯანჯღავას ყვავილებით დამშვენებულ ეზოიან სახლში, რომელიც მდებარეობდა ქალაქიდან დაახლოებით სამ კილომეტრზე — დასახლება წითელ შუქურაში. მიუხედავად ამისა, ინსტიტუტის საერთო საცხოვრებელში (ქალაქის ცენტრში, ზღვის პირას) გამომიყვეს ოთახი, რომე-

ლიც ნაყოფიერი სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობისთვის შესაბამის პირობებს ქმნიდა.

ყველაფერი ეს ერთი სასწავლო წლის განმავლობაში მოხდა. შეებულებაში ჯერ კიდევ არ ვიყავი გასული, რომ გადმომცეს ინფორმაცია, ცენტრალურ კომიტეტში ბ-ნი ვ. მელქაძე სასწრაფოდ გიბარებსო. ჩავედი თბილისში და წინასწარ მოვინახულე განყოფილების ინსტრუქტორი — ჩემი მეგობარი გ. ჭანუყვაძე. მან გამარკვია საქმის ვითარებაში: „სოხუმის ინსტიტუტში ადგილს თსოულობს პოლიტიკური ეკონომიის სპეციალობის ერთ-ერთი მოსკოველი გავლენიანი პირი, რომელსაც სკკპ ცენტრალური კომიტეტის შუამდგომლობა აქვს. თბილისში შენი გადმოყვანის გარეშე ეს საქმე ვერ მოგვარდება, ამიტომ შეგიძლია ეს მომენტი გამოიყენოო“. შეეედი ბ-ნ ვ. მელქაძესთან, რომელმაც მითხრა: „მახსოვს, რომ ძლივს გადაგაწყვეტინეთ სოხუმში გადასვლა, ახლა შეგვიძლია დაგაბრუნოთ. გთავაზობთ მოსკოვის სტატისტიკის ინსტიტუტის თბილისის ფილიალში უფროსი მასწავლებლის თანამდებობასო“. ამ წინადადებაზე არ დავთანხმდი იმ მოტივით, რომ შეიძლება ეს ფილიალი ერთ-ორ წელიწადში დაიხუროს და ისევ უადგილოდ დავრჩები. თანახმა ვიქნები, თუ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ან საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში გადმომიყვანთ-მეთქი. არ ესიამოვნა, მაგრამ იმ დღეს ასე დავშორდით ერთმანეთს.

რამდენიმე დღეში დამიბარეს და შემომთავაზეს სპი-ს პოლიტიკური ეკონომიის კათედრაზე გადმოსვლა, ამ კათედრის უფროსი მასწავლებლის ილია მაცაბერიძის, როგორც იმ დროისთვის სამეცნიერო ხარისხის არმქონე ლექტორის, ასისტენტად ჩამოქვეითებით გამონთავისუფლებულ ადგილზე. ამ წინადადებაზეც უარი ვთქვი, იმიტომ, რომ ი. მაცაბერიძე ჩემი თანაკურსელი და მეგობარი იყო და ასეთი მანიპულაციის შემდეგ მისთვის თვალებში როგორ უნდა შემეხედა, ეს ჩემს მხრივ ხომ არაეთიკური საქციელი იქნებოდა. გაცოფებულმა მითხრა, ახლავე დამიწერე, რომ არც ამ წინადადებაზე ხარ თანახმაო. ცხადია, არ დავუწერე. ეს ყველაფერი გაუგია ჩემს

მეგობარს ი. მაცაბერიძეს, თვითონვე მეახლა და ასეთი რამ მითხრა: „ჩემი დროებით ჩამოქვეითების შესახებ ბრძანება, ჩემივე თანხმობით, უკეე დაწერილია, შენ თუ არ დათანხმდები, სხვას მოიყვანენ იმ ადგილზე, ამიტომ შენი მოსვლა მირჩევნია, ერთად ვიქნებითო". იძულებული გავხდი დავთანხმებულიყავი (სხვათაშორის, სულ ხუთიოდე თვეში აღადგინეს ი. მაცაბერიძე თავისივე თანამდებობაზე, რომელმაც მეც გამომიყვანა უსერხულობიდან).

ასე და ამგვარად, 1955 წლის 1 სექტემბრიდან გავხდი სპი-ს პოლიტიკური ეკონომიის კათედრის უფროსი მასწავლებელი. კათედრამ, რომელსაც განაგებდა ზედმიწევნით პატიოსანი, მომთხოვნი, მაგრამ ობიექტური და საგნის კარგი მცოდნე დოც. რაფიელ მელაძე, კარგად მიმიღო და მეც ძალიან მალე ჩავერთე საერთო ფერხულში.

ერთი სემესტრის შემდეგ, ე.ი. 1956 წლის 1 თებერვლიდან, ზემდგომი ორგანოების გადაწყვეტილებით, ხუთი თვით მიმავლინეს ტ. შევჩენკოს სახ. კიევის სახელმწიფო უნივერსიტეტთან არსებულ საზოგადოებრივ მეცნიერებათა მასწავლებლების კვალიფიკაციის ამაღლების ინსტიტუტში. ეს იყო ხანგრძლივი ვადით (თუ მოსკოვში ორთვიან წინასადიპლომო პრაქტიკას არ მივიღებთ მხედველობაში) ჩემი საქმიანი გასვლა საქართველოს ფარგლებს გარეთ, რომელმაც არა მარტო თეორიული ცოდნა გამიღრმავა, არამედ პრაქტიკული გამოცდილების თვალსაზრისითაც ბევრი რამ შემძინა.

საქართველოდან, ჩემთან ერთად, იყვნენ: ბიძინა ლუტიძე, შოთა გაბილაია, ევგრაფ კანდელაკი, იოსებ კოდუა, ილია ყაჭიური, ივანე მაილიანი, გრიგოლ კიკაჩეიშვილი და სხვ. შესანიშნავი მეცნიერი და სასიამოვნო პიროვნება — აი, როგორი შთაბეჭდილება დაგოვა ბიძინა ლუტიძემ. ფრიად ორიგინალური პიროვნება აღმოჩნდა ბ-ნი შოთა გაბილაია. იგი იყო უნიჭიერესი პიროვნება, მაღალი რანგის ფილოსოფოსი. მარტო იმის გახსენება რად ღირს, რომ ეს პიროვნება ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც სამეცნიერო ხარისხი არ ჰქონდა, სპეციალური მიწვევით სპეცკურსებს კითხულობდა ლომონოსოვის სახ. მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტში. მას ჰქონდა შესანიშნავი

ლოგიკა, არაორდინარული მეტყველება, შეეძლო ნაწყვეტები ემღერა თითქმის ყველა ცნობილი კინოფილმიდან, რითაც აჯადოებდა თავის გარშემო მყოფთ, განსაკუთრებით მანდილოსნებს. ამ მხრივ მისნაირ მამაკაცს არ შევხვედრივარ. თავისი ამ თვისებებით მოხიბლა მან ერთ-ერთი ულამაზესი ქმარშვილიანი ქალბატონი კიევის უნივერსიტეტთან არსებული კვალიფიკაციის ამაღლების ინსტიტუტის სწავლულ ეკონომისტთა წრიდან – ოლია კლიუშნიჩენკო და ცოლად შეირთო. მისგან შეეძინა ორი შესანიშნავი ვაჟიშვილი.

კვალიფიკაციის ამაღლების ინსტიტუტი დაკომპლექტებული იყო ყურადღებიანი, გულისხმიერი, კეთილი ადამიანებით. დღესაც თვალწინ მიდგანან დირექტორი ლ. გარკუშა, მოადგილე – ა. ფინოგეევი, ჩემი მეცნიერ-ხელმძღვანელი – ა. გორელიკი და სხვ. ამ უკანასკნელმა ჩემს მიერ წარდგენილ რეფერატს ძალიან მაღალი შეფასება მისცა და მეცნიერულ სარბიელზე თვალსაჩინო წარმატებები მიწინასწარმეტყველა. ამასთან ერთად, რუსული ენის კიდევ უფრო ღრმად დაუფლების უგრუნველსაყოფად ფრიად გონივრული რჩევები მომცა. წლების განმავლობაში მქონდა მასთან მიმოწერა.

ინსტიტუტში აღმოჩდნენ ცალკეული ფეხის ხმას აყოლილი ცრუპენტელებიც. მხედველობაში მყავს პროფესორ-მასწავლებლებს შორის ის თანამშრომლები, რომლებმაც მხარი აუბეს ნ. ხრუშჩოვის ნაბოდვარს ი. სტალინის ე.წ. კულტთან დაკავშირებით და ამ უკნასკნელის მეცნიერული მემკვიდრეობა ეჭვქვეშ დააყენეს. ჩვენ (თანაც, არა მარტო ქართველებმა) საკადრისი პასუხი გავეცით და, რბილად რომ ვთქვათ, ძლიერ უხერხულ მდგომარეობაში ჩავაყენეთ ასეთი „კრიტიკოსები“.

კიევი ულამაზესი ქალაქია. იგი განუმეორებელია თავისი კრეშჩატიკით, შევჩენკოს ბულვარით, მღვიმეებით, უამრავი სხვა ღირსშესანიშნაობებით, განსაკუთრებით კი სინდის-ნამუსით გამორჩეული და კეთილშობილებით აღსავსე ადამიანებით. კიევში ტკბილად გატარებულ დღეებს ნახევარ საუკუნეზე მეტი ხნის შემდეგაც მახსენებს იქ შეძენილი და საკმაოდ ორიგინალური საღილის სერვიზი.

ამასობაში უკვე მიეუკაკუნე 30 წელს. ჩემი თანატოლების უმრავლესობა დაოჯახებული იყო და შვილებს ზრდიდა. მე კი მარტოხელა ვიყავი. სხვათაშორის, ამ წლებში ვცხოვრობდი შესანიშნავ, გამართულ სამოთახიან ბინაში (ჭავჭავაძის პროსპექტზე, № 17-ში, პუშკინის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის წინ), რომელიც ეკუთვნოდა ჩემს ბიძაშვილს, გვარში გამორჩეულ, უჭკვიანეს და დარბაისელ პიროვნებას – ვარლამ ჩიქავას. იგი სამუშაოდ გადაიყვანეს ზუგდიდის რაიონში და ოჯახიც თან წაიყვანა.

ბ-ნი ვარლამი იმდენად კეთილშობილი პიროვნება გახლდათ, რომ მითხრა: „ვიცი შენ და ბექირბი ხასიას ძალიან გიყვართ ერთმანეთი, შესთავაზე ამ ბინაში გადმოსვლა და ერთად იცხოვრეთო“. ეს წინადადება, ცხადია, მოეწონა ჩემს მეგობარსაც და რამდენიმე წელი ერთად გავატარეთ. ჩვენ ორნი შრომასა თუ დროის ტარებაში იმდენად ახლოს ვიყავით ერთმანეთთან, რომ ჩვენს სამეგობროში გაიკვირვებდნენ ხოლმე, თუ ცალ-ცალკე დაგვინახავდნენ.

ჩემს დაუოჯახებლობას განსაკუთრებით დედაჩემი განიცდიდა. ჩემი ძმა, რომელიც იმ დროს საქართველოს კომპარტიის ზუგდიდის რაიკომის მეორე მდივნად მუშაობდა, მივლინებით ჩამოვიდა თბილისში და ცოლის შერთვაზე დამიწყო საუბარი – დედისგან საგანგებო დავალება მაქვსო მიღებული. გამომკითხა, ნუთუ არავინ გყავს კანდიდატურა, ერთად გვენახაო. იმ მიზნით, რომ იმედები საერთოდ არ გადამეწურა და ასეთი დაძაბულობა განმემუხტა, ვუპასუხე: „კანდიდატურა თითქოს არის მონიშნული, მაგრამ საკითხი გადაწყვეტილების მიღების დონემდე არაა მიყვანილი, ამისთვის ჯერ კიდევ დრო მჭირდება-მეთქი“. მას თან ახლდა განუყრელი მეგობარი, როგორც გარეგნულად, ისე შინაარსით ნამდვილი ვაჟკაცი – გიგლა ჯვებენავა. მისი თანდასწრებით მითხრა, მოსაფიქრებლად დრო საღამოს 5 საათამდე გეძლევაო. თავდაპირველად ასეთი ულტიმატუმი ხუმრობად ჩავთვალე, მაგრამ საღამოს ფაქტის წინაშე აღმოვჩნდი. ჩვენ სამივენი თითქმის გაუფრთხილებლად ვეახელით ჩემი მომავალი მეუღლის – თამარ (თალიკო) კვეკვესკირის ოჯახს. სახლში თამარის

დედა – ქალბატონი ლუნა (უკეთილშობილესი[1] პიროვნება) და ძმა დაგვხვდნენ, მამა – ბ-ნი ვანო მოსკოვში იმყოფებოდა ხანგრძლივი მივლინებით. იგი საკმაოდ კარგად მიცნობდა (სპი-ში ერთად მუშაობით) და როგორც ჩანდა, მასთან ეს საკითხი წინასწარ ყოფილა შეთანხმებული, თუკი მოვლენები სერიოზულად განვითარდებოდა.

ერთი სიტყვით, გაოგნებული ვიჯექი სახელდახელოდ გაშლილ სუფრასთან და ჩემს მაგივრადაც ეს ჩემი თანმხლები პირები ლაპარაკობდნენ. რა თქმა უნდა, პრინციპში საკითხის დადებითად გადაწყვეტის წინააღმდეგი არ ვიყავი, ოღონდ მოვლენების ასეთი ელვისებური ტემპებით განვითარება მაღელვებდა. ჩემმა უფროსმა ძმამ, როგორც უფრო გამოცდილმა კაცმა, ეს ხელსაყრელი მომენტი ხელიდან არ გაუშვა და მისი ინიციატივით, ბუნებრივია, ჩემი თანხმობით, ხელის მოწერის ცერემონიალი დანიშნა.

ასე და ამრიგად, გავხდი ცოლიანი.

დღევანდელი თვალსაწიერიდან რომ ვუყურებ, არ ვნანობ ამ ნაბიჯის გადადგმას. მეუღლეებმა კარგად გავუგეთ ერთმანეთს და ნორმალურად წარვმართეთ ოჯახური ცხოვრება. შეგვეძინა ჯერ ვაჟიშვილი – გიორგი, რომელიც ეკონომიკის სპეციალობით აკადემიური დოქტორია და მუშაობს საქართველოს ეროვნული ცენტრალური ბანკის დეპარტამენტის უფროსის მოადგილედ. ჰყავს მეუღლე – დალი ბერულავა, მედიცინის სპეციალობით აკადემიური დოქტორი, რომელიც გამოირჩევა გამჭრიახობით, გულისხმიერებითა და გარემოცვის მიმართ

[1] ეს სიტყვა შემთხვევით არ მიხმარია. იგი განსხვავებული სიდედრი იყო. დღედაღამეს ასწორებდა იმისთვის, რომ ესიამოვნებინა მთელი მისი გარემოცვა, განსაკუთრებით, „სიძე ბატონი". გარდაიცვალა 51 წლის ასაკში. ერთი წელი ჯიბით ვატარე მისი სურათი, მაგრამ იმისთვის კი არა, რომ, ინგლისის სტადიონზე ჩატარებული გათამაშებისამებრ, რაიმე პრიზი მომეგო.

ამ თემაზე (ე.ი. წუნკალ სიდედრებზე) იუმორით დაჯილდოებული კოლეგისგან – ბ-ნი როსტომ წულუკიძისგან ასეთი მონათხრობი მომისმენია: „ჩემს მეგობარს მოულოდნელად სიდედრი გარდაეცვალა, სამძიმარზე რომ მივედით, გარდაცვალების მიზეზი ვიკითხეთ, სიძემ გვითხრა, სკამიდან გადმოვარდა, ვერაფერი ვუშველეთ და დაგვეღუპაო. მაშინათვე ჩუმად ყურში ჩავჩურჩულე, ის სკამი ხომ არ გადაგიგდია, ცოტა ხნით მათხოვე და აუცილებლად დაგიბრუნებო".

თბილი, ყურადღებიანი დამოკიდებულებით. შემდეგ შეგვეძინა ქალიშვილი – მედეა, რომელიც არის მედიცინის დარგის აკადემიური დოქტორი და მუშაობს აკად. პ. გუგუშვილის სახ. უნივერსიტეტში ექიმ-პედიატრის თანამდებობაზე. ჰყავს მეუღლე – ალიკო სიჭინავა, ეკონომიკის დარგის აკადემიური დოქტორი. მშობლებს ძალიან გვისარია ის, რომ ორივენი შეხმატკბილებულად შრომობენ და შვილებს თანამედროვე მოთხოვნების ღონეზე ზრდიან.

მყავს ხუთი შვილიშვილი – დათო (რომელმაც დაამთავრა მოსკოვის ფიზიკა-ტექნიკის სახელმწიფო ინსტიტუტის მაგისტრატურა), ზაზა (სწავლობს ამავე ინსტიტუტში) და ცოტნე სიჭინავები ქალიშვილისგან, ხოლო თამუნა (იესემის პირველი კურისის სტუდენტი) და პატარა ლეო ვაეიშვილისგან. ხუთივე კარგად სწავლობს, დღევანდელი მოთხოვნების ღონეზე ფლობენ კომპიუტერულ ტექნიკას (ინტენსიურად სარგებლობენ ინტერნეტით), ასევე უცხო ენებს და მჯერა, რომ ასახელებენ თავიანთ ერს და ქვეყანას.

# 5. დოქტორანტურა და სადოქტორო დისერტაციის დაცვა

მაშინ მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, საქართველოს პოლიტექნიკურმა ინსტიტუტმა ეკონომიკის სპეციალობით 1962 წელს სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროდან მიიღო ერთი დოქტორანტის ვაკანსია (ხანგრძლივობა ორი კალენდარული წელი, ლექციური დატვირთვისგან განთავისუფლებით, თვიური ანაზღაურება 250 მანეთი, ნაცვლად ხელფასის სახით დადგენილი 320 მანეთისა).

კათედრამ იმსჯელა, ყველაზე უფრო შესაფერისად ჩემი კანდიდატურა ჩათვალა და რეკომენდაცია მომცა. ცსადია, ასეთი შემოთავაზება სიამოვნებით მივიღე და დავიწყე მიზანდასახული, მაქსიმალურად დაძაბული (ინტენსიური), შემოქმედებითი მეცნიერული კვლევა-ძიებითი საქმიანობა. გადავედი 14-საათიან სამუშაო დღეზე ანუ 98-საათიან სამუშაო კვირაზე. ოჯახმა გამათავისუფლა ყოველგვარი სხვა დატვირთვისგან. ჩემი თითქმის ერთადერთი საზრუნავი საკვლევი პრობლემის ღრმამეცნიერულად დამუშავება გახდა. ოჯახის წევრები ისე შეეჩვივნენ ჩემს იზოლირებულად (ცალკე ოთახში) ყოფნასა და მუშაობაში ჩაფლულობას, რომ ეგონათ, მხოლოდ წიგნთან ურთიერთობისთვის ვიყავი გაჩენილი და სხვა არაფრის უფლება არ მქონდა. ერთხელ, ჩემმა გოგონამ (იგი მაშინ სამი წლისა თუ იქნებოდა), როცა დამინახა ტელევიზორთან მჯდომი, გაიკვირვა და მკითხა, მამა, შენც უნდა უყუროო?

დოქტორანტურაში ჩარიცხვამდე საკვალიფიკაციო თემა არა მარტო დამტკიცებული, შერჩეულიც არ მქონდა, მაგრამ ამას არ დავუბრკოლებივარ. მალე შევარჩიე თემა, რომელიც პასუხობდა მოთხოვნებს როგორც აქტუალურობის, ისე დისერტაბელურობის თვალსაზრისით: **„საქართველოს კვების მრეწველობის ტერიტორიული სპეციალიზაციისა და ეკონომიკური ეფექტიანობის საკითხები“**. მის ოფიციალურად დამტკიცებას სერიოზული კამათი არ გამოუწვევია, იმიტომ, რომ ამ კომპ-

ლექსურ პრობლემას ჰქონდა (და აქვს დღესაც) რიგი როგორც ზოგადი თეორიულ-მეთოდოლოგიური, ისე კონკრეტულ-პრაქტიკული ხასიათის ასპექტებისა, რომლებიც სადისკუსიოა და ჩაღრმავებულ მეცნიერულ გამოკვლევას საჭიროებდა.

ჩემს უპირველეს ამოცანას შეადგენდა, ჯერ ერთი, საკელევი თემის გარშემო არსებული წყაროების დეტალურად გაცნობა და პრობლემების შესწავლის დონის დადგენა; და, მეორე, შესაბამისი ფაქტობრივი მასალის მოპოვება- თავმოყრა, გაანალიზება, განზოგადება და ამის საფუძველზე შესაბამისი დასკვნების გაკეთება.

ამ ამოცანების გადაწყვეტის სათანადო კონდიციამდე შისაყვანად აუცილებელი იყო მაკროეკონომიკური ხასიათის მონაცემები, ე.ი. ფაქტობრივი მასალა, როგორც მთლიანად სსრ კავშირის, ისე ცალკე მოკავშირე რესპუბლიკების მიხედვით. ასეთი მასალის მოპოვება მხოლოდ ცენტრალურ ორგანოებში იყო შესაძლებელი. ამიტომ დოქტორანტურით გათვალისწინებული დროის დაახლოებით ნახევარი მოსკოვში გავატარე. თეორიული ნაწილი დავამუშავე ლენინის სახ. სახელმწიფო ბიბლიოთეკასა და სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკის ინსტიტუტში, ხოლო სტატისტიკური მასალა მოვიპოვე სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებულ ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოში. ეს უკანასკნელი იმდენად მდიდარი, მრავალფეროვანი და უნიკალური გამოდგა, რომ არსებითად ამან გახადა შესაძლებელი საკელევი პრობლემის შესწავლით დასახული მიზნის წარმატებით მიღწევა.

ჩემს საკვალიფიკაციო პრობლემატიკაზე მოსკოვში სასარგებლო კონსულტაციებს ვღებულობდი მნიშვნელოვანი გამოკვლევების მქონე ავტორებთან: აკად. ტ. ხაჩატუროვთან; პროფესორებთან – ლ. ბერთან, ლ. იტინთან, ლ. ოპაცკისთან, ე. პრობსტთან, ა. ხეიმანთან და სხვ. უფრო ზუსტად რომ ვთქვა, მათთან ჩემი შეხვედრის მთავარ მიზანს წარმოადგენდა, ეკონომიკურ ლიტერატურაში დამკვიდრებული შეხედულებებისგან განსხვავებული, ჩემი ორიგინალური მოსაზრებების პრეზენტაცია და აპრობაცია (ექსპერტირება), ანუ იმის წინასწარ მოსინჯვა, თუ როგორ მიიღებდა მათ სწავლულ ეკონომისტთა წრე.

დისერტაციის ტექსტის წერისა და მისი ცალკეული ნაწილების გამოქვეყნების პროცესი პარალელურად მიმდინარეობდა. გარდა იმისა, რომ სადისერტაციო თემის გარშემო 1962-1967 წლებში გამოვაქვეყნე 9 სამეცნიერო სტატია, 1964 წელს ჩემი ავტორობით გამოვიდა ნაშრომი – **„შრომის საზოგადოებრივი დანაწილება სოციალიზმის დროს“**, 4,7 ნაბეჭდი თაბახის მოცულობით. ამ პრობლემაზე ჩემმა მთელმა რიგმა მოსაზრებამ სათანადო ასახვა ჰპოვა ჟურნალ „Вопросы философии“-ს ფურცლებზე (იხ. „К дискуссии о разделении труда и всестороннем развитии личности“. Журн. „Вопросы философии“. 1964, № 6, сс. 160-144).

ტერიტორიულ ჭრილში წარმოების ეკონომიკური ეფექტიანობის რეალური სურათის მისაღებად ამ სტრიქონების ავტორის მიერ შემოთავაზებული კრიტერიუმები, კონკრეტული მაკროეკონომიკური მაჩვენებლები და მათი გაანგარიშების თაობაზე მეთოდური მითითებები საკმაოდ ნათლადაა წარმოდგენილი საკავშირო ჟურნალ „Плановое хозяйство“-ში გამოქვეყნებულ სტატიაში – “Эффективность территориальной специализации” (იხ. ჟურნ. „Плановое хозяйство“, 1965, № 11, сс. 74-75).

1965 წელს დაისტამბა ჩემი ერთ-ერთი მთავარი მონოგრაფიული გამოკვლევა – **„საქართველოს კვების მრეწველობის ადგილი და როლი შრომის საერთო-საკავშირო დანაწილებაში“**, 27 ნაბეჭდი თაბახის მოცულობით, რომელმაც როგორც სპეციალისტთა (პროფ. ნ. იამვილი, პროფ. ა. ნუცუბიძე და სხვ.), ისე მკითხველთა ფართო წრის ყურადღება მიიქცია (ზოგიერთი გამოხმაურება შეტანილია წინამდებარე კრებულში).

სხვათაშორის, დასახელებული მონოგრაფიის ავტორს სპეციალური წამუშავებაც კი არ დამჭირვებია იმისთვის, რომ ამომწურავი პასუხები გამეცა 1965 წელს გაზ. „სოფლის ცხოვრების“ რედაქციის მიერ მოწყობილი ვიქტორინების კითხვებზე. ჟიურის გადაწყვეტილებით, მომენიჭა „ჩაის ვიქტორინის“ პირველი პრემია (ტრანზისტორული მიმღები) და „ყურძნისა და ღვინის“ ვიქტორინის მეორე პრემია – ფოტოაპარატი (პირველი პრემია რატომღაც არავისთვის მიუნიჭებიათ. გაზ. „სოფ-

ლის ცხოვრების“ ის ნომერი, რომელშიც ეს ინფორმაციაა გამოქვეყნებული, ჩემს პირად არქივში ინახება).

1967 წლის 10 თებერვალს სადისერტაციო ნაშრომი – **„საქართველოს კვების მრეწველობის ტერიტორიული სპეციალიზაციისა და ეკონომიკური ეფექტიანობის საკითხები“**, აკინძული ორ ტომად, 748 გვერდის მოცულობით (მაშინ გვერდების ოდენობა არ იყო განსაზღვრული), ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად, ოფიციალურად გადავეცი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტის სამეცნიერო საბჭოს. იმ პერიოდში ეს იყო ერთადერთი სამეცნიერო საბჭო, რომლსაც ჰქონდა, საჯარო პაექრობის საფუძველზე, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მინიჭების უფლება. ამიტომ იგი დაკომპლექტებული იყო თბილისის უმაღლესი სასწავლებლებისა და მეცნიერულ-კვლევითი ინსტიტუტების მაღალკვალიფიციური სპეციალისტებისგან: თავმჯდომარე – პროფ. ირაკლი მიქელაძე, მისი მოადგილე – პროფ. გივი ჭანუყვაძე, სწავლული მდივანი – დოც. ნიკო დგებუაძე, წევრები – პროფესორები: გიორგი ბაქრაძე, ვალერიან ბახტაძე, სერგო ბერაძე, კოკი (კონსტანტინე) გაბუნია, გიორგი გველესიანი, არჩილ გოკიელი, პაატა გუგუშვილი, ავთანდილ გუნია, ნიკოლოზ იაშვილი, ლუარსაბ კარბელაშვილი, იოსებ კოდუა, ნიკოლოზ ლაჭყეპიანი, გაბრიელ მეგრელიშვილი, კასიანე მეგრელიძე, პეტრე ეღენტი, ნიკოლოზ ტყემელაშვილი, არჩილ ფანცხავა, ვასილ ჩანტლაძე; დოცენტები: შოთა ბერაძე, ვალერიან მელქაძე, ვლადიმერ ტრაპაიძე, კანდიდ ჩარკვიანი, შოთა ჩოგოვაძე (სამწუხაროდ, ჩემი ყველა ზემოთ ჩამოთვლილი უფროსი კოლეგა წასულია ამქვეყნიური ცხოვრებიდან. დიდი მოკრძალებით მინდა პატივი მივაგო მათ ნათელ ხსოვნას), თენგიზ ჭიაბრიშვილი და გაიოზ ნადირაშვილი (პარტიული ორგანიზაციის წარმომადგენელი).

პროცედურის გავლას (აპრობაცია, კათედრაზე წინასწარი განხილვა და ა.შ.) დასჭირდა რამდენიმე თვე. სამეცნიერო საბჭომ იენისში ჩემი საკვალიფიკაციო ნაშრომის ოფიციალურ ოპონენტებად დაამტკიცა: ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტო-

რი, პროფესორი კოკი გაბუნია, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ავთანდილ გუნია და სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი პეტრე ყღენტი.

როგორც იტყვიან ხოლმე, ეს ე.წ. „ტაიმ-აუტი“ გამოვიყენე სადისერტაციო ნაშრომის ავტორეფერატის საბოლოო ვარიანტის მოსამზადებლად. მაშინ მისი მოცულობა ინსტრუქციით არ იყო განსაზღვრული და თითქმის 100 გვერდამდე გამოვიდა. ცნობილია, რომ ავტორეფერატის თითოეული ფრაზაც კი უნდა იყოს მეცნიერულად გამართულ-დასაბუთებული და ზუსტი, რაც ღრმად დაფიქრებასა და ყოველმხრივ გააზრებას საჭიროებს. ამიტომ როგორც სადისერტაციო ნაშრომზე, ისე მის ავტორეფერატზე ფიქრი დაწოლის შემდეგაც გრძელდებოდა. ზოგჯერ ისეთი კარგი აზრი მომსვლია დაძინების წინ, ლოგინში, რომ უმალვე ავმდგარვარ და ჩამინიშნავს.

ჩემს საცხოვრებელ ბინაში (მოსაშვილის ქ. № 1) აი, ასეთ დაძაბულ მუშაობაში მყოფს დამიტოვეს ჩემი გოგონა 5 წლისა და მასზე ოდნავ უმცროსი, მისი დეიდაშვილი, რათა ყურადღება მიმექცია ჩემი მეუღლის მოსელამდე. ბავშვებმა მთხოვეს, ჩვენ ქვემოთ, ეზოში ვითამაშებთო. დავთანხმდი. ვცხოვრობდით მეორე სართულზე. იქიდან რამდენიმეჯერ გავსულდე და მშვენივრად თამაშობდნენ. შემდეგ ისე ღრმად ჩავეფლე ფიქრებში, რომ ბავშვები დამავიწყდა. როცა გამახსენდა (ალბათ, ერთი საათის შემდეგ), ბავშვები ადგილზე არ აღმოჩნდნენ. აქეთ ვეცი, იქეთ ვეცი, ირგვლივ ბუჩქებიც დავათვალიერე, მაგრამ ჩამიჩუმი არაა. ნახევრად გაოგნებულმა ვიფიქრე (თუ რატომ, ახლაც არ ვიცი) იმ დეიდაშვილ გოგონას სახლში სომ არ წავიდნენ-მეთქი და გავეშურე იქითკენ (ბარნოვისა და ჯანაშიას ქუჩების კუთხის სახლთან). ვსედავ ეზოში ორიევნი ჭყუმპალაობენ. გაგიეებულმა ორივეს ლოყები ავუწითლე, უფროსებს გაუკვირდათ, რა მოხდაო. იმათ ჰგონებიათ, რომ ეზოს კარებამდე ჩვენ მივიყვანეთ და ისე შევიდნენ ეზოში.

დაუჯერებელია, მაგრამ ფაქტია: შეთანხმებულან წასვლაზე, ძველი სტუდქალაქის კორპუსების მოპირდაპირე მხარეზე ჩამჯდარან ტროლეიბუსში, ამ ციცქნა ბავშვებმა როგორ მოახერხეს არ ვიცი, მაგრამ ჩამოსულან სასტუმრო „საქართვე-

ლოსთან", ფესით აპყოლიან ჯანაშიას ქუჩას და ასე მისულან კუთხის სახლამდე. ძნელი წარმოსადგენი არაა, თუ რა დღეში ვიქნებოდი მაშინ.

ახლანდელი „კონვეირული სისტემისგან" განსხვავებით, იმ დროს თითო-ოროლა თუ იცავდა დისერტაციას, განსაკუთრებით სადოქტოროს. რატომღაც მუსირებდა შეხედულება, რომ მეცნიერებათა დოქტორის ხარისხი შეიძლება დაიცვას არა ახალგაზრდა სპეციალისტმა, არამედ ხანდაზმულმა პიროვნებამ. თქვენ წარმოიდგინეთ, ასე ფიქრობდა ბ-ნი ნიკო ქოიავაც — ეს არისტოკრატი ინტელიგენტი. მან, იცოდა რა ვიყავი დოქტორანტურაში და ვემზადებოდი დაცვისთვის, ერთხელ, ვითომ ხუმრობით, მითხრა: „ლეო, თქვენზე ამბობენ, სადოქტოროს იცავსო, მაგრამ ჯერ თეთრი წვერები რომ არ ამოგსვლია? (თვითონ დაიცვა 50 წლის ასაკში, მე ვიყავი 38 წლის). ექსპრომტად ის კი ვუპასუხე: „არა მგონია ამ საქმისთვის მარგო თეთრი წვერები იყოს საკმარისი-მეთქი", მაგრამ ეს უაღრესად საგულისხმო მინიშნება იყო, რაც მოვლენების შემდგომმა განვითარებამაც დაადასტურა.

არასოდეს მყოლია მომდურავი, მით უმეტეს, მტერი. საერთოდ არ ვარ კონფლიქტური პიროვნება და ყოველთვის ვცდილობ ჩემს გარშემო მყოფებთან დავამყარო თბილი, კეთილი ურთიერთობა. მაგრამ, როგორც ჩანს, არიან ბუნებით ბოროტი, შურიანი ადამიანები, რომლებიც ვერ იტანენ სხვის წარმატებებს. სწორედ ასეთი შავბნელი ძალების გავლენის ქვეშ მოექცა ჩემი პირველი ოფიციალური ოპონენტი, პროფ. კ. გაბუნია, რომელსაც რვა თვე ჰქონდა ჩემი ნაშრომი სარეცენზიოდ. ალბათ, კიდევ დიდხანს არ წარმოადგენდა დასკვნას, რომ არ შემეთვალა კატეგორიული მოთხოვნა: „თუ მიზანშეწონილად თვლით, თქვენ შეგიძლიათ წარმოადგინოთ უარყოფითი რეცენზია, მაგრამ სადისერტაციო ნაშრომის უსასრულოდ სახლში დების უფლება თქვენ არა გაქვთ-მეთქი". ამან გაჭრა და რვა თვის თავზე წარმოადგინა, სხვათა შორის, სავსებით ნორმალური რეცენზია.

რაღაცნაირი ძალების ზემოქმედება იმიტომ ვახსენე, რომ ოფიციალურ ოპონენტად დამტკიცების პირველ დღეს ბ-ნ კო-

კის კათედრაზე უკითხავს, ერთ თვეში რომ წარმოვადგინო რეცენზია, დაგვიანებად ხომ არ ჩამეთვლებაო? ამის შემდეგ, ბუნებრივია, ისმის კითხვა: რამ განაპირობა ერთი თვის რვად ქცევა? უცნაურად მეჩვენა გარკვეულ ეტაპზე მისი შემოთავაზებაც იმის თაობაზე, რომ მთელ რიგ პრინციპულ საკითხებზე რადიკალურად შემეცვალა ჩემეული (ავტორისეული) მიდგომა და გადავსულიყავი ჩემს მიერ ნაშრომში გაკრიტიკებულ, ანუ საწინააღმდეგო პოზიციაზე. ამაზე ვუპასუხე: „ჯერ ერთი, კატეგორიულად იკრძალება დასაცავად წარდგენილ ნაშრომში ცვლილებების შეტანა (რაც ოპონენტს უნდა სცოდნოდა); და მეორე, თქვენ მეუბნებით ვამტკიცო ის, რასაც ვაკრიტიკებ. ვთქვათ, დაგიჯერეთ. მერე, სხვები რომ შემომედავებიან, როგორღა დავიცვა ეს, ჩემი ღრმა რწმენით, მიუღებელი შეხედულებები? ასეთ შემთხვევაში არგუმენტად, ალბათ, მხოლოდ ისღა დამრჩება, რომ ვთქვა, მეც თქვენსავით ვფიქრობ, მაგრამ ოფიციალურმა ოპონენტმა ასე მირჩია და უარი ვერ ვუთხარიმეთქი. ეს ხომ ნონსენსი იქნებოდა?“

სადისერტაციო ნაშრომისადმი ოფიციალური ოპონენტის ასეთმა საეჭვო დამოკიდებულებამ გარეთაც გაჟონა. გავიგე, რომ საბჭოს წევრს, ფრიად ავტორიტეტულ და ობიექტურობით ცნობილ სწავლულ ეკონომისტს, პროფ. გ. გველესიანს, რომელიც პირადად საერთოდ არ მიცნობდა, რბილად რომ ვთქვა, არასასურველ კონტექსტში ვუხსენებივარ, რაც ცუდი სიმპტომი იყო. დავინტერესდი და ბინაში ვეახელი. კარები თვითონ გამიღო. როცა გაიგო ვინ ვიყავი, ძალიან ცივად შემხვდა და კატეგორიულად მითხრა, თქვენთან არაფერი მაკავშირებს და არც საუბარი მსურსო. ვუთხარი, რომ თქვენთან რაიმე სათხოვარზე და პროტექციაზე კი არ მოვსულვარ, არამედ როგორც მეცნიერთან ორიოდე საკითხზე აზრის გაცვლა მსურს და თუ დამთანხმდებით, დიდად დამავალებთ-მეთქი. ღია კარებში ვიდექი და ჯერ კიდევ უარზე იყო, მაგრამ უნებლიედ წამოეიწყე მსჯელობა ერთ-ერთ საკვანძო საკითხზე, რაც მისი პროვოცირების საფუძველი გახდა. გავაგრძელე საუბარი, მისმინა-მისმინა და უკვე ჰოლში დაჯდომა შემომთავაზა, კარები მიხურა. დაახლოებით ერთი საათი ვისაუბრეთ და მეუბნება: „კინაღამ

რა ცოდვა ჩავიდინე. თქვენ რომ მაშინვე გაბრუნებულიყავით, ვერაფრით ვერ გავერკვეოდი რეალურ ვითარებაში. ზოგიერთმა ჩვენმა კოლეგამ თქვენი პიროვნება რატომღაც ისეთ შავ ფერებში დამიხასიათა, რომ თვალების ახელისთვის არ შემიძლია დიდი მადლიერება არ გამოვხატო. ახლა ნამდვილად გამიჩნდა ინტერესი თქვენი მონოგრაფიის საფუძვლიანად გაცნობისა, ჩემს სათქმელს კი მერე ვიტყვიო". დაცვის დღეს მან ჩემს სადისერტაციო ნაშრომზე ცხრაგვერდიანი, უმაღლეს სააატესტაციო კომისიაში გასაგზავნად გამზადებული, ბრწყინვალე დასკვნა მოიტანა (იგი ინახება ჩემს პირად არქივში, ალბათ, უნივერსიტეტის არქივშიც). თანაც, კამათში პირველი გამოვიდა და ნაშრომს მაღალი შეფასება მისცა (ქვემოთ მოტანილია ნაწყვეტები ამ დასკვნიდან).

მეცნიერული სიახლეების შემცველ ჩემს მთელ რიგ მოსაზრებებზე რეაგირების დაზუსტების მიზნით შევხვდი სამეცნიერო საბჭოს კიდევ ერთ წევრს – ბ-ნ ვ. მელქაძეს, რომელიც მაშინ საქართველოს სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან არსებული ეკონომიკისა და დაგეგმვის მეცნიერულ-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორად მუშაობდა. უაღრესად ნიჭიერი და განათლებული კაცი იყო, ამიტომ ძალიან სწრაფად შეეძლო პრობლემების არსში ჩაწვდომა. სამსჯელოდ შერჩეულმა საკითხებმა და მის გადაწყვეტაში ჩემმა ორიგინალურმა მიდგომამ იმდენად დააინტერესა, რომ ჩვენი კამათი ორ საათზე მეტ ხანს გაგრძელდა. რაღაც საკითხზე შემოსულ თანამშრომელს დიმიტრი ბაქრაძეს ბ-ნმა ვალიკომ ხელით ანიშნა, თუ გინდა ჩამოჯექი და მოგვისმინეო. ისიც დირექტორის დიდი კაბინეტის ერთ-ერთ კუთხეში მოკალათდა, დიდხანს გვისმინა, ბოლოს ვეღარ მოითმინა და ბოდიშის მოხდით თქვა: „რაზედაც თქვენ ესოდენ ცხარედ კამათობთ, ძალიან დეტალურადაა განხილული ერთ საინტერესო ნაშრომში, რომელიც სულ ახლახან შევიძინე. სამწუხაროდ, წიგნის ავტორის გვარი არ მახსოვსო". ბ-ნმა ვალიკომ უთხრა, აი, ეს კაცია იმ საინტერესო ნაშრომის ავტორიო.

ჩემი კვლევის შედეგების კურსში ბ-ნი ვალიკოსთანა პიროვნების ჩაყენებას, დაცვის წინ საზოგადოებრივი აზრის შექმნის

თვალსაზრისით, საკმაოდ დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, რამეთუ სამეცნიერო საბჭოში ბევრნი იყვნენ ისეთები, რომლებისთვისაც თითქმის გადამწყვეტი იყო მისი პოზიცია.

მახსენდება ერთი კურიოზული მომენტიც. ჩემი სტუდენტობის პერიოდში ეკონომიკის ფაკულტეტის დეკანის მოადგილედ, ბ-ნ შოთა ბერაძესთან ერთად, მუშაობდა ბ-ნი კოტე ნიკოლაიშვილიც, რომელსაც განათლება საზღვარგარეთ ჰქონდა მიღებული, მაგრამ ძლიერ და ანგარიშგასაწევ სპეციალისტად არავინ თვლიდა. მას არც დოქტორის სამეცნიერო ხარისხი ჰქონდა და არც პროფესორის წოდება (იყო დოცენტი, სამეცნიერო ხარისხი კი, რამდენადაც ვიცი, საერთოდ არ ჰქონდა), მაგრამ იმისთვის, რომ ესიამოვნებინათ, ზოგიერთები პროფესორად მოიხსენიებდნენ. დაცვამდე ავტორეფერატი მივართვი ბინაში, როგორც კი დახედა წარწერას (სადაც დოცენტად იყო მოხსენიებული), თავი კინაღამ ჭერს მიარტყა. მე დოცენტი კი არა, პროფესორი ვარ და შენ ამათ თუ ერთმანეთისგან ვერ ანსხვავებ, დისერტაციას როგორღა დაიცავ. ეს უსაფუძვლო გაკიცხვა არ მესიამოვნა, მაგრამ ბოდიში მოვუხადე და წამოვედი. მეორე დღეს მივართვი კიდევ ერთი ავტორეფერატი წარწერით – „პროფ. კ. ნიკოლაიშვილს“ და ვუთხარი, ბ-ნო კოტე, საზოგადოებაში ხან დოცენტად მოგიხსენიებენ, ხან კი – პროფესორად, მეც ავტორეფერატები მოგართვით ორივენაირი წარწერით, თქვენ რომელიც გნებავთ და გაწყობთ, ის გამოაჩინეთ-მეთქი.

კიდევ კარგი, რომ ბ-ნი კოტე ჩემს დაცვამდე ამოიღეს სამეცნიერო საბჭოს შემადგენლობიდან, თორემ ერთი უარყოფითი ხმა გარანტირებული მექნებოდა.

აი, ასეთი მოთელვები უძღოდა წინ საჯარო პაექრობას, რომელიც დაინიშნა 1968 წლის 20 მარტს, თსუ-ის პირველი კორპუსის სააქტო დარბაზში. იგი ძლივს იტევდა დამსწრე საზოგადოებას. სამეცნიერო საბჭოს სხდომას 28 წევრიდან 27 ესწრებოდა. სწავლულმა მდივანმა საბჭოს წევრებს გააცნო დადებითი გამოხმაურებები სადისერტაციო ნაშრომის 6,1 ფორმიან ავტორეფერატზე, რომელთაც ხელს აწერდნენ: საქართველოს სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე,

მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, ე.მ.დ., პროფესორი ირ. მიქელაძე; საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე მ. დოლაბერიძე, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, ს.მ.მ.დ. პროფესორი თ. ბადრიშვილი; საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ვახუშტი ბაგრატიონის სახ. გეოგრაფიის ინსტიტუტის ეკონომიკური გეოგრაფიის განყოფილების გამგე, ე.მ.დ., პროფესორი გ. გველესიანი; საქართველოს კვების მრეწველობის მინისტრი, ვ. ვადაჭკორია, „საქჩაის" ტრესტის მმართველის მოადგილე, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, პროფესორი ივ. ხოჭოლავა; საქართველოს მეცნიერებისა და ტექნიკის დამსახურებული მოღვაწე, ტ.მ.დ., პროფესორი ვ. ბერიძე; თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სახალხო მეურნეობისა და ეკონომიკურ მოძღვრებათა ისტორიის კათედრის გამგე, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, პროფ. ს. ბერაძე; საქართველოს სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან არსებული ეკონომიკისა და დაგეგმვის მეცნიერულ-კვლევითი ინსტიტუტის მსუბუქი და კვების მრეწველობის განყოფილების გამგე, ე.მ.კ. ნ. სანთელაძე; საქართველოს კვების მრეწველობის მეცნიერულ-კვლევითი ინსტიტუტის წარმოების ეკონომიკისა და ორგანიზაციის განყოფილების გამგე, ე.მ.კ. გ. პაპავა; თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარული ფაკულტეტის პოლიტიკური ეკონომიის კათედრის სახელით, დოცენტი, ე.მ.კ. თ. დემეტრაშვილი; სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან არსებული მწარმოებლურ ძალთა შემსწავლელი საბჭოს ამიერკავკასიისა და ჩრდილოეთ კავკასიის სექტორის გამგე, გ.მ.კ. ე. სილაევი; სსრ კავშირის კვების მრეწველობის სამინისტროს საგეგმო-ეკონომიკური სამმართველოს უფროსი, კოლეგიის წევრი, ე.მ.კ. გ. შვარცი; უკრაინის მეცნიერებათა აკადემიის მწარმოებლურ ძალთა შემსწავლელი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, სსრ კავშირის სამხრეთის ეკონომიკური რაიონის ეკონომიკური პრობლემების განყოფილების გამგე, ე.მ.კ. ვ. შვარცი; ოდესის სახალხო მეურნეობის ინსტიტუტის სტატისტიკის კათედრის გამგე ფ. დოლგუშევსკი.

სამივე ოფიციალურმა ოპონენტმა მაღალი შეფასება მისცა სადისერტაციო ნაშრომს და იმუამდგომლა სამეცნიერო საბ-

ჭოს წინაშე მისი ავტორისთვის ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორის ძიებული სამეცნიერო ხარისხის მინიჭების შესახებ. რამდენადაც, როგორც ზემოთ აღვნიშნე, პირველ ოფიციალურ ოპონენტთან ჰქონდა ერთგვარ გართულებებს ადგილი, სწორედ მის მიერ წარმოდგენილი რეცენზიის დასკვნითი ნაწილიდან მოვიტან მცირეოდენ ნაწყვეტს: „სარეცენზიო ნაშრომის საერთო შეფასების მიზნით, შეიძლება აღინიშნოს, რომ იგი დაწერილია მდიდარი მასალების ღრმად შესწავლის და ცოდნის საფუძველზე, სადისერტაციო ნაშრომში განსაკუთრებით მაღალმეცნიერულ დონეზეა წარმოდგენილი ის ნაწილი, რომელიც შეეხება ცალკეული პრობლემების პოლიტეკონომიურ ასპექტში განხილვას. აქ ავტორი აშკარად ამჟღავნებს თავის ღრმა მომზადებას, ფართო ერუდიციას, მეცნიერული მსჯელობისა და მართებული დასკვნების გაკეთების უნარს. რაც შეეხება ნაშრომის იმ ნაწილს, სადაც საკითხების კვლევა წარმოებს კონკრეტული ეკონომიკის თვალსაზრისით, მიუხედავად ჩვენს მიერ მითითებული ზოგიერთი სერიოზული სასიათის ნაკლის და ჩრდილოვანი მსარისა, შეიძლება აღინიშნოს, რომ დისერტანტის მიერ აქაც გაკეთებულია რიგი საყურადღებო დასკვნები, მოცემულია პრაქტიკული წინადადებები და რეკომენდაციები, რომელთა თუნდაც ნაწილის რეალიზაციას შეუძლია მოგვცეს დადებითი სამეურნეო ეფექტი.

გამომდინარე ამ დასკვნიდან, ვმუამდგომლობ ეკონომიკის ფაკულტეტის სამეცნიერო საბჭოს წინაშე, რათა დოც. ლეო ჩიქავას მიანიჭოს ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხი“ (ყველა ოფიციალური თუ არაოფიციალური ოპონენტის რეცენზიის სრული ტექსტი ინახება ამ სტრიქონების ავტორის პირად არქივში).

გაიმართა კამათი, რომელშიც მონაწილეობა მიიღო რვა პიროვნებამ (გამოსვლის ტექსტი შემოკლებულია).

**პროფ. გ. გველესიანი:** დოც. ლეო ჩიქავას კვლევის შედეგებმა ჩემზე ძალიან კარგი შთაბეჭდილება მოახდინა, რაც შეღარებით სრულად ავსახე ოფიციალურად გამოგზავნილ ვრცელ გამოხმაურებაში. მიუხედავად ამისა, მინდა ზოგიერთ მომენტზე ყურადღება გავამახვილო აქაც.

უწინარეს ყოვლისა, საბჭოს წევრების საყურადღებოდ მინდა ვთქვა, რომ ტერიტორიულ ჭრილში ჩაის, ღვინის, კონსერვისა და თამბაქოს მრეწველობის ეკონომიკური ეფექტიანობის განსაზღვრას დისერტანტი რამდენადმე ორიგინალურად უდგება.

როგორც ცნობილია, მეცნიერთა გარკვეული წრე წარმოების ტერიტორიული ორგანიზაციის ეკონომიკური ეფექტიანობის განსაზღვრისთვის მთავარ მაჩვენებლად თვლის პროდუქციის თვითღირებულებას. დისერტანტი, ფაქტობრივ მასალაზე დაყრდნობით, მართებულად აკრიტიკებს ამ მოსაზრებას. თვითღირებულება სწორ წარმოდგენას მხოლოდ მაშინ იძლევა, როდესაც სხვადასხვა რაიონში წარმოებული ხარისხითა და ასორტიმენტით ერთგვაროვან პროდუქციას შევადარებთ ერთმანეთს. სხვადასხვა რაიონებსა და რესპუბლიკებში წარმოებული ჩაის, ღვინის, კონსერვისა და თამბაქოს პროდუქცია ხარისხობრივი მაჩვენებლითა და ასორტიმენტით მკვეთრად განსხვავდება ერთმანეთისგან, რაც თვითღირებულებაში არ აისახება. ქართული ღვინის თვითღირებულება გაცილებით მაღალია, ვინემ მოლდავური, უკრაინული ან შუა აზიის რესპუბლიკებში წარმოებული ღვინისა. ამიტომ მარტო ამ მაჩვენებლის მიხედვით მსჯელობა უსათუოდ მიგვიყვანს დასკვნამდე — მევენახეობისა და მეღვინეობის განვითარება საქართველოში ეკონომიკურად თითქოს გაუმართლებელია. მაგრამ ქართული ღვინო ხომ საყოველთაოდ განთქმულია თავისი მაღალი ღირსებებით, ბევრი მათგანი საერთოდ უნიკალურია. პროდუქციის ასეთი უნიკალური თვისებები მაღალი თვითღირებულების არა მარტო კომპენსირებას ახდენს, არამედ დიდ პერსპექტივებსაც უსახავს მისი წარმოების შემდგომ გაფართოებას.

დოც. ლ. ჩიქავას მიერ სადისერტაციო თემის გარშემო გამოქვეყნებულ შრომებსა და ავტორეფერატში ნათლადაა ნაჩვენები წარმოების ტერიტორიული ორგანიზაციის ეკონომიკური ეფექტიანობის განსაზღვრის თვალსაზრისით მოქმედი საბითუმო ფასების გამოყენებით გაანგარიშებული მაჩვენებლებისთვის დამახასიათებელი ნაკლოვანი მხარეები. ასეთი მაჩვენებ-

ლებია: მთლიანი პროდუქცია ერთ მომუშავეზე, მთლიანი პროდუქცია ძირითადი წარმოებრივი ფონდების ღირებულების ერთეულზე, 1 მანეთ საქონლურ პროდუქციაზე დანახარჯები და სხვ.

ჩვენი აზრით, დისერტანტს სწორი პოზიცია უჭირავს, როდესაც ტერიტორიულ ჭრილში წარმოების ეკონომიკური ეფექტიანობის გაანგარიშებისთვის შედარებით სრულყოფილ მაჩვენებლად რენტაბელობას თვლის. ამასთან, რენტაბელობის დონის გაანგარიშების გავრცელებული მეთოდისგან განსხვავებით, იგი მრიცხველში იღებს არა მხოლოდ საწარმოს წმინდა შემოსავალს (მოგებას), არამედ მოცემული სახეობის პროდუქციის წარმოებით შექმნილ მთელ წმინდა პროდუქციას. ამით იგი თავიდან იცილებს გაუგებრობას, რომელიც შეიძლება მოჰყვეს სხვადასხვა რესპუბლიკასა და ეკონომიკურ რაიონში დიფერენცირებული საბითუმო ფასების დაწესებას და ამის შედეგად მოგებად და ბრუნვის გადასახადად წმინდა შემოსავლის არაპროპორციულ განაწილებას.

დისერტანტის ასეთ ორიგინალურ მიდგომას ვეთანხმები. თუმცა, შენიშვნის სახით მინდა აღვნიშნო, რომ მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული მოცემულ რაიონში ამა თუ იმ სახეობის პროდუქციის წარმოების რენტაბელობა არა იზოლირებულად, არამედ მასთან დაკავშირებულ სხვა სახეობათა პროდუქციის წარმოების ეკონომიკურ ეფექტიანობასთან კავშირში, ე.ი. კომპლექსში.

საზოგადოებრივი წარმოების ეკონომიკური ეფექტიანობის საკითხები არასაკმაოდ დამუშავებულ პრობლემათა რიცხვს განეკუთვნება, ამიტომ, ზოგიერთი საკამათო მოსაზრების მიუხედავად, დოც. ლ. ჩიქავას სადოქტორო დისერტაცია უაღრესად სასარგებლო ნაშრომს წარმოადგენს და აღნიშნული მიმართულებით მეცნიერული კვლევის დარგში იგი მნიშვნელოვანი წინგადადგმული ნაბიჯია.

თავისი ახალგაზრდული ასაკის მიუხედავად, დისერტანტი წარმოგვიდგა როგორც ჩამოყალიბებული მეცნიერ-მკვლევარი. მან სავსებით გამოავლინა თავისი მეცნიერული სიმწიფე, ამიტომ სამეცნიერო საბჭოს სრული საფუძველი აქვს ერთსუ-

ლოვანდ დაუჭიროს მხარი მისთვის ძიებული ხარისხის მინიჭებას.

**პროფ. ლ. კარბელაშვილი:** დღეს ჩვენ მოწმენი ვართ მაღალმეცნიერულ დონეზე შესრულებული დისერტაციის დაცვისა. დოც. ლ. ჩიქავამ უკანასკნელი ათეული წლის განმავლობაში ინტენსიურად და ნაყოფიერად იმუშავა საქართველოს კვების მრეწველობის საერთო-საკავშირო სპეციალიზაციის დარგთა განვითარებისა და ეკონომიკის საკითხებზე, რომლის შედეგებსაც დღეს ვიხილავთ.

დისერტანტი, შრომის საზოგადოებრივი დანაწილების თეორიულ საკითხებთან ერთად, დიდძალი ფაქტობრივი მასალის მეცნიერული გაანალიზების საფუძველზე, დარგობრივი ეკონომიკის საკითხთა ღრმა ცოდნით განიხილავს საქართველოში მეჩაიეობის, მევენახეობის, მეთამბაქოეობის და მათ მიერ მიწოდებული ნედლეულის გადამამუშავებელი მრეწველობის დარგთა განვითარებას, წარმოების ეკონომიკური ეფექტიანობით საქართველოს ადგილს მოკავშირე რესპუბლიკებს შორის და წარმოების რენტაბელობის ამაღლების რეზერვებს. პრობლემის ასეთი კომპლექსური და მონოგრაფიული შესწავლა მისასალმებელია.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს მიმდინარე წელს უსრულდება დაარსებიდან 50 წელი. მე, როგორც ამ უნივერსიტეტის პირველ სტუდენტს, № 1 სტუდბილეთის მფლობელს, განსაკუთრებით მიხარია, რომ უნივერსიტეტის ნახევარსაუკუნოვანი ისტორიის მანძილზე ბევრი რამ გაკეთდა და მის საიუბილეო წელს ჩვენ ვისმენთ მესამე თაობის ერთ-ერთი ბრწყინვალე წარმომადგენლის — ლ. ჩიქავას მიერ ნიჭიერად შესრულებული საფოქტორო დისერტაციის დაცვას.

კარგად მახსოვს, რომ ეკონომიკის ფაკულტეტის 1950 წლის გამოშვების 250-ზე მეტკაციანი ნაკადიდან, ლ. ჩიქავამ პირველმა წარმატებით დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია. მისი პირველი ოფიციალური ოპონენტი მე გახლდით. ეს იყო 1954 წელს. მას შემდეგ თვალყურს ვადევნებ ამ ახალგაზრდის საქმიანობას, მის მეცნიერულ ზრდას. იგი ძალიან შრომისმოყვარე და ნაყოფიერი მეცნიერ-მუშაკია. ავტორია ცალკე წიგნად

გამოქვეყნებული რამდენიმე მონოგრაფიული გამოკვლევის და საჟურნალო სტატიისა, რომელთა მეცნიერული ღირებულებების შესახებ არაერთხელ აღნიშნულა პრესაში.

დისერტანტს უნდა ვუსაყვედურო ერთი რამ. მას ნაშრომში მოტანილი აქვს საკუთრივ მის მიერ მოპოვებული მასალების გადამუშავებით შედგენილი საინტერესო ცხრილები, მაგრამ რატომღაც არა აქვს გაკეთებული დიაგრამები და კარტოგრამები. შრომის საერთო-საკავშირო დანაწილებაში საქართველოს კვების მრეწველობის მაპროფილებელ დარგთა ადგილისა და როლის ამ მეთოდითაც ჩვენება ნაშრომს კიდევ უფრო მიმზიდველს გახდიდა.

კიდევ ერთხელ გამოვხატავ ჩემს დიდ კმაყოფილებას დღევანდელი დისერტაციის დაცვის გამო და მხარს ვუჭერ წინადადებას დოც. ლ. ჩიქავასთვის ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მინიჭების შესახებ.

**პროფ. ნ. ტყეშელაშვილი:** ჩემთვის აქამდე ცნობილი იყო, რომ დოც. ლ. ჩიქავა თეორიული პოლიტიკური ეკონომიის ჩინებული სპეციალისტია. უკანასკნელ პერიოდში მის მიერ გამოქვეყნებული შრომებისა და სადოქტორო დისერტაციის ავტორეფერატის გაცნობამ დამარწმუნა, რომ ის შესანიშნავად არის დაუფლებული დარგობრივი ეკონომიკის საკითხებსაც.

თემა მეტად აქტუალურია. შრომის ტერიტორიული დანაწილების საკითხებზე არა მარტო საქართველოში, არამედ საერთოდაც ცოტა იწერება. თანაც, ამ პრობლემისადმი მიძღვნილი ზოგიერთი ნაშრომი სერიოზულ ხარვეზებს შეიცავს.

მისასალმებელია, რომ დოც. ლ. ჩიქავას სადოქტორო დისერტაცია ნათელ წარმოდგენას იძლევა ჩაის, ღვინის, კონიაკის, ხილბოსტნეულის კონსერვის, თამბაქოს პროდუქციის წარმოებით, ხარსხობრივი მაჩვენებლითა და ეკონომიკური ეფექტიანობით საქართველოს ადგილსა და როლზე შრომის საერთო-საკავშირო დანაწილებაში.

განსახილველი დისერტაციის დიდი ღირსება ისაა, რომ მასში საკუთრივ დისერტანტის მიერ მოპოვებული მდიდარი ფაქტობრივი მასალის მეცნიერული გაანალიზებით სათანადო მეცნიერულ დონეზე პირველადაა გაშუქებული ოთხი უმნიშვ-

ნელოვანესი დარგის — ჩაის, ღვინის, კონსერვისა და თამბაქოს მრეწველობის განვითარებისა და ეკონომიკის საკითხები შრომის საერთო-საკავშირო დანაწილების ასპექტში. დისერტაციაში ბევრია საკამათო, საღისკუსიო საკითხები, რაც ნაშრომს კიდევ უფრო საინტერესოს და მიმზიდველს ხდის. ოპონენტების მიერ გაკეთებული შენიშვნების უმრავლესობა აიხსნება საკითხების სირთულით და არა განსახილველი გამოკვლევის დაბალი დონით.

მოსაწონია ნაშრომის მეცნიერული ლაბორატორია. მასში მდიდარი სტატისტიკური მასალაა გამოყენებული და მეცნიერულ ბრუნვაში პირველად გაშვებული. თანაც, ეს პირველადი მასალები შეეხება არა მხოლოდ საქართველოს, არამედ სხვა მოკავშირე რესპუბლიკებსაც, რომლის მოპოვება კოლოსალურ ენერგიას მოითხოვდა. დისერტანტი არ შეუშინდა ამ სიძნელეებს და სწორედ ამიტომ გამოვიდა მისი ნაშრომი ესოდენ საინტერესო და სასარგებლო.

ჩვენ კათედრის სხდომაზე განვიხილეთ დოც. ლ. ჩიქავას დისერტაციის ავტორეფერატი, რომლის მაღალ ღირსებებთან ერთად, აღინიშნა ზოგიერთი ხარვეზიც. მაგალითად, დისერტანტი მისი საკვლევი ოთხი დარგიდან ყველაზე უფრო გატაცებულია ჩაის მრეწველობით, რაც ერთგვარ ჩრდილს აყენებს სპეციალიზაციის მაპროფილებელ სხვა დარგთა ეკონომიკის საკითხების გაშუქებას. საერთოდ, წარმოდგენილი ნაშრომი მაღალ შეფასებას იმსახურებს, მისი ავტორი კი უდაოდ ღირსია ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მინიჭებისა.

**პროფ. ა. გოკიელი:** დოც. ლ. ჩიქავას სადოქტორო დისერტაცია რომ დადებით შეფასებას იმსახურებს, ამაზე ორი აზრი არ შეიძლება იყოს. ამიტომ შრომის ღირსებებზე არ ვილაპარაკებ.

მინდა შევეხო ერთ საკამათო საკითხს. გამოვთქვამ ჩემს მოსაზრებას, იქნებ შემდეგომ მუშაობაში გამოადგეს იგი დისერტანტს. ტერიტორიულ ასპექტში ჩაის, ღვინის, კონსერვისა და თამბაქოს წარმოების ეკონომიკური ეფექტიანობის განსაზღვრისთვის დისერტანტი გვთავაზობს ფორმულას, რომლის

მრიცხველი, ბრუნვის გადასახადსა და მოგებასთან ერთად, კოლმეურნეობათა საშემოსავლო გადასახადსაც მოიცავს. ეს მოსაზრება არ მიმაჩნია მართებულად.

როგორც ცნობილია, ბრუნვის გადასახადის მეშვეობით სდება წმინდა შემოსავლის გადანაწილება დარგთა შორის. მაგალითად, კვების მრეწველობის მანქანათმშენებლობაში შექმნილი წმინდა შემოსავლის ნაწილი ბრუნვის გადასახადის სახით აისახება ჩაის, ღვინის, კონიაკის, შამპანურის, თამბაქოს ნაწარმის და სხვა მსგავს პროდუქტთა საცალო ფასებში. ამის გამო საქონლის ღირებულება და ფასი სცილდება ერთიმეორეს. მაშასადამე, საზოგადოების წმინდა შემოსავალს, რომელსაც მოგების ნაცვლად იღებს დისერტანტი, ვერ დავემყარებით წარმოების დარგთა ეკონომიკური ეფექტიანობის განსაზღვრისას.

ასეთი ხარვეზის მიუხედავად, ტერიტორიულ ჭრილში წარმოების ეკონომიკური ეფექტიანობის გაანგარიშების პრობლემისადმი დისერტანტის ორიგინალური მიდგომა ყურადღებას იქცევს. მის მიერ შემოთავაზებული ფორმულა შეიძლება მისაღები გახდეს მომავალში, ფასების საზოგადოებრივად აუცილებელ დანახარჯებთან მიახლოებასთან დაკავშირებით.

ვამთავრებ იმით, რითაც დავიწყე — დისერტანტი ღირსია ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორის ძიებული ხარისხისა.

**დოც. მ. ასათიანი:** საქართველოს კვების მრეწველობის ცალკეულ დარგთა განვითარების საკითხებზე არსებობს ნაშრომები, მაგრამ დოც. ლ. ჩიქავას სადოქტორო დისერტაცია პირველი სერიოზული მეცნიერული გამოკვლევაა, რომელიც კომპლექსურად და შრომის საზოგადოებრივი დანაწილების ასპექტში აშუქებს საქართველოს წარმოებრივი მიმართულების განმსაზღვრელი დარგების — ჩაის, ღვინის, კონსერვისა და თამბაქოს მრეწველობის განვითარებისა და ეკონომიკის საკითხებს. ავტორი უდაოდ დიდ შრომისუნარიანობასა და მაღალ ერუდიციას ამჟღავნებს. ნაშრომი ნამდვილად დგას თანამედროვე მოთხოვნების დონეზე და სასარგებლო მონოგრაფიულ გამოკვლევას წარმოადგენს. ეს არაერთხელ აღნიშნულა რესპუბლიკურ და საკავშირო ჟურნალ-გაზეთებში მისი კვლევის შედეგების შეფასებასთან დაკავშირებით.

მინდა ყურადღება გავამახვილო დისერტანტის, ჩემი ღრმა რწმენით, ერთ არასწორ პოზიციაზე ღვინის ჩამომსხმელი ქარხნების გაადგილების საკითხთან დაკავშირებით. იგი ასაბუთებს მოხმარების მსხვილ რაიონებში ღვინისა და კონიაკის ჩამოსხმის მიზანშეწონილობას და გამოდის საქართველოში ღვინის ჩამომსხმელი ახალი ქარხნების აგების წინააღმდეგ. დისერტანტის ასეთი თვალსაზრისი გაუმართლებლად და მიუღებლად მიმაჩნია.

ღვინო უნდა ჩამოვასხათ აქვე — საქართველოში და იგი ბოთლებით უნდა ვზიდოთ რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ, მიუხედავად იმისა, რომ ამით ტრანსპოტირების ხარჯები გაცილებით მაღალია, ვიდრე ცისტერნებით და კასრებით გადაზიდვის დროს. ვისაც თავისი სამშობლო უყვარს და ქართულ მეღვინეობას პატივს სცემს, იგი არასოდეს არ დაუჭერს მხარს მოხმარების რაიონებში ღვინის ჩამოსხმას.

ერთი სიტყვით, დისერტანტმა როგორი არგუმენტიც არ უნდა მოიყვანოს და როგორი დასაბუთებაც უნდა მისცეს, ვერ გავიზიარებ იმ მოსაზრებას, რომ ქართული ღვინო და კონიაკი ჩამოისხას მოხმარების რეგიონებში.

ცხადია, მეც ვუერთდები იმ აზრს, რომ დისერტანტი სავსებით იმსახურებს ძიებული სამეცნიერო ხარისხის მინიჭებას.

**პროფ. ი. მელქაძე:** ისტორიკოსი ვარ და ჩემს თავს ნებას ვერ მივცემ თქვენს წინაშე მსჯელობა გავმართო აქ დასმული წმინდა ეკონომიკური ხასიათის რთული პრობლემების გარშემო, თუმცა კარგად ვიცნობ დისერტანტის მიერ ამ თემაზე გამოქვეყნებულ კაპიტალურ მონოგრაფიას და ვრცელ ავტორეფერატს. ჩემი გამოსვლის მიზანია მოკლედ მაინც გამოვხატო ის უდიდესი სიამოვნება, რომელიც მივიღე დღეს ლეო ჩიქავას მიერ სადოქტორო დისერტაციის ასე ბრწყინვალედ დაცვასთან დაკავშირებით. შვიდ საათზე მეტია დაძაბულად და ყურადღებით ვუსმენ ოფიციალურ ოპონენტებთან მის პაექრობას და დაღლილობას მაინც ვერ ვგრძნობ, იმდენად საინტერესოდ მიმდინარეობს დაცვა. მისარია, რომ გვეზრდება ასეთი კარგი ახალგაზრდობა, რომელიც საიმედოდ გააგრძელებს სახელოვან ქართველ მეცნიერთა დიდ ტრადიციებს.

დოც. ლ. ჩიქავა არ არის მარტო ეკონომიკურ მეცნიერებაში ჩაკეტილი პიროვნება, ის მეცნიერების მრავალ სხვა დარგშიც განსწავლული და ფართოდ ერუდირებული ადამიანია. მახსენდება ერთი ასეთი შემთხვევა. ეს იყო 1954 წელს. ვიხილავდით ისტორიული ხასიათის ნაშრომს. ბევრ სხვა გამომსვლელთან ერთად, განხილვაში მონაწილება მიიღო ლ. ჩიქავამაც, რომელიც მტკიცედ ჩამებეჭდა მეხსიერებაში, იმიტომ, რომ ყველაზე უფრო საფუძვლიანი და ჭკვიანური შენიშვნები სწორედ მან გააკეთა.

ყოველი სადოქტორო დისერტაციის დაცვა მეცნიერების მოცემული დარგის გამდიდრებაა. მითუმეტეს, ლ. ჩიქავას მიერ დისერტაციის ასე ბრწყინვალედ დაცვა ქართული ეკონომიკური მეცნიერების დიდი გამარჯვებაა. მომავალში მისგან, როგორც მზარდი და ნიჭიერი მეცნიერისგან, კიდევ უფრო მეტს მოველით. მჯერა, რომ ის ბევრჯერ გაგვახარებს თავისი ახალ-ახალი გამოკვლევებით.

**პროფ. ნ. იაშვილი:** დოც. ლ. ჩიქავას კვლევის შედეგების დადებით მხარეებზე აქ ბევრი ითქვა. მე მათ არა მარტო ვუერთდები, არამედ სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ, რომ ეს მხოლოდ ნაწილობრივი შეფასებაა ამ ორიგინალური და ღრმამეცნიერულად დაწერილი ნაშრომისა, რომლის ავტორი ჩვენი დღევანდელი დისერტანტი გახლავთ.

ჯერ კიდევ 1965 წელს გამოაქვეყნა მან 450 გვერდიანი მონოგრაფია – **„საქართველოს კვების მრეწველობის ადგილი და როლი შრომის საერთო-საკავშირო დანაწილებაში“** – რომელშიც მოცემულია მისი დისერტაციის ძირითადი შინაარსი. ლ. ჩიქავას მამინვე შეეძლო წარმოედგინა ეს ნაშრომი ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად. მაგრამ მან თავისთავს გაზრდილი მოთხოვნები წაუყენა, კიდევ სამი წელი ინტენსიურად იმუშავა, ნაშრომი გაამდიდრა ახალი მასალებით, გააძლიერა არგუმენტაცია თავის შეხედულებათა დასასაბუთებლად, დაუმატა თავები და პარაგრაფები ახალი ეკონომიკური რეფორმისა და წარმოების დარგთა განვითარების პერსპექტივების შესახებ და ორტომეულის სახით წარმოადგინა იგი.

ზემოდასახელებული მონოგრაფიის პირველი ოფიციალური შემფასებელი მე ვიყავი. ვრცელი რეცენზია გამოვაქვეყნე ჟურნ. „საქართველოს ეკონომიკაში“ (1965 წ., № 11). მაშინ გარკვევით ეთქვი, რომ დოც. ლ. ჩიქავას ნაშრომი მაღალ მეცნიერულ დონეზეა დაწერილი-მეთქი. ამ აზრს კიდევ უფრო მტკიცედ ვამბობ ახლა. გაკვირვებულიც ვარ იმაზე, თუ როგორ შესძლო ერთმა პიროვნებამ ასეთი სიმძიმის აწევა, მოკავშირე რესპუბლიკების მიხედვით უზარმაზარი ფაქტობრივი მასალის მოპოვება, დაჯგუფება-დამუშავება, მეცნიერული გაანალიზება და განზოგადება. მას ყველაფერში ვეთანხმები, გარდა ერთი საკითხისა. ამ ერთ საკითხში კი ჩვენ დიამეტრალურად საწინაღმდეგო პოზიციებზე ვდგავართ.

მხედველობაში მაქვს მეორადი მეღვინეობის საწარმოთა გაადგილების საკითხი. ამის გარშემო ბევრჯერ მიკამათია დისერტანტთან, მაგრამ იგი რატომღაც სრულებით არ ითვალისწინებს ჩემს შენიშვნებს და მტკიცედ იცავს თავის შეხედულებას. მან დღეს ბევრი დამატებითი არგუმენტი მოიყვანა. ამან კიდევ უფრო ამაღელვა და არ შემიძლია ამ საკითხზე ჩემი მოსაზრება უფრო დეტალურად არ გავაცნო სამეცნიერო საბჭოს.

ის საუკეთესო თვისებები, რაც აქვს ღვინოს და, ზომიერი მოხმარებისას, რითაც სარგებლობა მოაქვს მას ადამიანისთვის, სოფლის მეურნეობაში იქმნება. მრეწველობის ამოცანაა ამ ძვირფასი თვისებების შენარჩუნება. თუ საქართველოშივე განვახორციელებთ ღვინის არა მარტო დაწურვას, დადღებასა და დაძველებას, არამედ ჩამოსხმასაც და შუშის ჭურჭლით გავიტანთ მას რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ, ღვინის ხარისხობრივ თვისებებს უკეთ შევინარჩუნებთ. კატეგორიული წინააღმდეგი ვარ ღვინო-მასალის გაზიდვისა, ვინაიდან იგი უვიცი ადამიანების, არასპეციალისტების ხელში ექცევა, აკეთებენ მრავალნაირ კუპაჟს, ასამუალოებენ ხარისხს და ზოგჯერ ფალსიფიცირებასაც ახდენენ.

სხვას რაში აინტერესებს ქართული ღვინის პრესტიჟის დაცვა. ეს ჩვენ – ქართველებმა უნდა გავაკეთოთ. ამიტომ დისერტანტის არგუმენტი – ტრანსპორტის ხარჯების გაზრდის,

შუშის ტარის ნაკლებობისა და სხვა რესპუბლიკებიდან მისი შემოზიდვის აუცილებლობის შესახებ, არ იძლევა საკმაო საფუძველს იმისთვის, რომ ვამტკიცოთ ჩამოსხმული სახით ღვინისა და კონიაკის გაზიდვის მიზნაშეუწონლობა. ამით, მართალია, ხარჯები გაიზრდება, მაგრამ მომხმარებელმა კეთილი ინებოს და მეტი გადაიხადოს. ქართული ღვინო უფრო ძვირი უნდა იყოს, ვიდრე ახლაა. დისერტანტს ამ პოზიციიდან უნდა განეხილა საკითხი[1].

ამ ერთ კონკრეტულ საკითხში ჩვენი უთანხმოება სრულებით არ უშლის ხელს იმას, რომ დოც. ლ. ჩიქავას ნაშრომი შევაფასო ობიექტურად. წარდგენილი დისერტაცია უდაოდ იმსახურებს მაღალ შეფასებას, მისი ავტორი კი — ძიებულ ხარისხს.

**პროფ. ირ. მიქელაძე:** სხდომის ესოდენ გაჭიანურების მიუხედავად, არ შემიძლია განსახილველ ნაშრომზე ჩემი აზრი მოკლედ მაინც არ მოვახსენო ჩემს კოლეგებს.

ოფიციალურ ოპონენტებსა და კამათში გამოსულ სწავლულ ეკონომისტებს მთლიანად ვეთანხმები დოც. ლ. ჩიქავას სადოქტორო დისერტაციის დადებითად შეფასებაში. ნაშრომის მაღალი ღირსებები ჩემთვის ცნობილი გახდა ჯერ კიდევ 1964 წელს, როდესაც ხელნაწერში გავეცანი გამოსაქვეყნებლად გამზადებულ მის მონოგრაფიულ გამოკვლევას. მე და დოც. ლ. ჩიქავას ბევრჯერ გვისაუბრია მისი საკვლევი პრობლემების ცალკეულ საკითხებზე და გულახდილად უნდა მოგახსენოთ, რომ ყოველთვის კმაყოფილი დავრჩენილვარ მისი მსჯელობითა და არგუმენტაციით.

---

[1] პროფ. ნ. იაშვილმა — ამ ღვთისნიერმა, ყოველმხრივ განსწავლულმა და მომხიბვლელად მოსაუბრე პიროვნებამ დაცვის წინა დღეს გამაფრთხილა, ხვალ თქვენს დაცვაზე გამოსვლას არ ვაპირებ, იმიგომ, რომ ჩემთან დაპირისპირებულმა პირებმა შეიძლება ჯავრი თქვენზე იყარონო. მგონი ისედაც კარგად იცით თქვენი როგორი გულშემატკივარი ვარო.

მან სხდომის მსვლელობის დროს მაინც ვერ შეიკავა თავი, გამოვიდა კამათში და იმდენად შეიჭრა როლში, რომ ერთ საათზე მეტ ხანს ილაპარაკა. საბჭოს თავმჯდომარემ მოთმინების უნარი დაკარგა, სამჯერ სცადა სხდომის მიტოვება, მის გვერდით ვიჯექი და ჩუმად ვეხვეწებოდი: „ბატონო ირაკლი, მე დამდეთ პატივი და არ წახვიდეთ, თორემ ყველაფერი წყალში ჩაიყრება-მეთქი". დამიჯერა და, როგორც იქნა, ორატორმაც დაამთავრა თავისი გამოსვლა.

წარმოდგენილი ნაშრომი დაწერილია საქმის ღრმა ცოდნით და უდაოდ დგას მეცნიერების თანამედროვე მოთხოვნების დონეზე. მას აქვს კარგი მეცნიერული აპარატურა. დისერტანტს მოპოვებული და გაანალიზებული აქვს მდიდარი ფაქტობრივი მასალა, გაკეთებული აქვს სათანადო განზოგადებანი. ყურადღებას იქცევს ნაშრომში წამოყენებული მთელი რიგი ორიგინალური მოსაზრებები, რომელთა უმრავლესობა კარგადაა არგუმენტირებული. სწორად ითქვა, რომ ეს დისერტაცია საქართველოს კვების მრეწველობის ძირითადი დარგების ეკონომიკის საკითხების შრომის ტერიტორიული დანაწილების ასპექტში გაშუქებისადმი მიძღვნილი პირველი სერიოზული ნაშრომია. მას დიდი მეთოდური დახმარების გაწევა შეუძლია იმ ავტორებისადმი, რომლებიც ანალოგიურ პრობლემებზე იმუშავებენ.

დისერტანტის მოსაზრება სწორად და დასაბუთებულად მიმაჩნია ჩაის საწონი და თამბაქოს ფაბრიკების, აგრეთვე, ღვინის ჩამომსხმელი ქარხნების უმთავრესად მოხმარების მსხვილ რაიონებში გაადგილების შესახებ. ზოგიერთი აქ გამოსული კოლეგის მიერ ამ ნაწილში გაკეთებული შენიშვნების მიღება არ შეიძლება. დისერტანტმა ამაზე დამაჯერებლი პასუხი გასცა პროფესორებს ა. გუნიასა და პ. ქღენტს, რასაც მხარს ვუჭერ მთლიანად.

ძალიან სასიამოვნოა, რომ ჩვენი კურსდამთავრებული, რომელიც ორიოდე ათეული წლის წინათ სტუდენტის მერხზე იჯდა, ჩვენს ლექციებს ისმენდა, დღეს ჩამოყალიბებული მეცნიერ-მკვლევარის სახით წარმოგვიდგა და ეკონომიკური მეცნიერების ღრმა ცოდნა გამოავლინა. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ მას საუწყებო ორგანოებში არ უმუშავია, სამეურნეო მუშაობის სტაჟი არა აქვს და ასე კარგად ერკვევა როგორც სამრეწველო, ისე სასოფლო-სამეურნეო წარმოების ტექნიკის, ტექნოლოგიისა და ეკონომიკის საკითხებში.

როგორც წარმოდგენილი დისერტაციაა მაღალ მეცნიერულ დონეზე შესრულებული, ისე მაღალ დონეზე ჩატარდა ჩვენი დღევანდელი სხდომაც. 8 საათის განმავლობაში ჩვენ მოწმე

შუშის ტარის ნაკლებობისა და სხვა რესპუბლიკებიდან მისი შემოზიდვის აუცილებლობის შესახებ, არ იძლევა საკმაო საფუძველს იმისთვის, რომ ვამტკიცოთ ჩამოსხმული სახით ღვინისა და კონიაკის გაგზიდვის მიზნაშეუწონლობა. ამით, მართალია, ხარჯები გაიზრდება, მაგრამ მომხმარებელმა კეთილი ინებოს და მეტი გადაიხადოს. ქართული ღვინო უფრო ძვირი უნდა იყოს, ვიდრე ახლაა. დისერტანტს ამ პოზიციიდან უნდა განეხილა საკითხი[1].

ამ ერთ კონკრეტულ საკითხში ჩვენი უთანხმოება სრულებით არ უშლის ხელს იმას, რომ დოც. ლ. ჩიქავას ნაშრომი შევაფასო ობიექტურად. წარდგენილი დისერტაცია უდაოდ იმსახურებს მაღალ შეფასებას, მისი ავტორი კი — ძიებულ ხარისხს.

**პროფ. ირ. მიქელაძე:** სხდომის ესოდენ გაჭიანურების მიუხედავად, არ შემიძლია განსახილველ ნაშრომზე ჩემი აზრი მოკლედ მაინც არ მოვახსენო ჩემს კოლეგებს.

ოფიციალურ ოპონენტებსა და კამათში გამოსულ სწავლულ ეკონომისტებს მთლიანად ვეთანხმები დოც. ლ. ჩიქავას სადოქტორო დისერტაციის დადებითად შეფასებაში. ნაშრომის მაღალი ღირსებები ჩემთვის ცნობილი გახდა ჯერ კიდევ 1964 წელს, როდესაც ხელნაწერში გავეცანი გამოსაქვეყნებლად გამზადებულ მის მონოგრაფიულ გამოკვლევას. მე და დოც. ლ. ჩიქავას ბევრჯერ გვისაუბრია მისი საკვლევი პრობლემების ცალკეულ საკითხებზე და გულახდილად უნდა მოგახსენოთ, რომ ყოველთვის კმაყოფილი დავრჩენილვარ მისი მსჯელობითა და არგუმენტაციით.

---

[1] პროფ. ნ. იაშვილმა — ამ ღვთისნიერმა, ყოველმხრივ განსწავლულმა და მომხიბვლელად მოსაუბრე პიროვნებამ დაცვის წინა დღეს გამაფრთხილა, ხვალ თქვენს დაცვაზე გამოსვლას არ ვაპირებ, იმიტომ, რომ ჩემთან დაპირისპირებულმა პირებმა შეიძლება ჯაერი თქვენზე იყარონო. მგონი ისედაც კარგად იცით თქვენი როგორი გულშემატკივარი ვარო.

მან სხდომის მსვლელობის დროს მაინც ვერ შეიკავა თავი, გამოვიდა კამათში და იმდენად შეიჭრა როლში, რომ ერთ საათზე მეტ ხანს ილაპარაკა. საბჭოს თავმჯდომარემ მოთმინების უნარი დაკარგა, სამჯერ სცადა სხდომის მიტოვება, მის გვერდით ვიჯექი და ჩუმად ვეხვეწებოდი: „ბატონო ირაკლი, მე დამდეთ პატივი და არ წახვიდეთ, თორემ ყველაფერი წყალში ჩაიყრება–მეთქი“. დამიჯერა და, როგორც იქნა, ორატორმაც დაამთავრა თავისი გამოსვლა.

ტის დიდმა საბჭომ დაამტკიცა (ფარული კენჭისყრით) ფაკულტეტის სამეცნიერო საბჭოს გადაწყვეტილება და აღძრა შუამდგომლობა სსრ კავშირის უმაღლესი საატესტაციო კომისიის წინაშე ამ გადაწყვეტილების დამტკიცების თაობაზე. უმაღლეს საატესტაციო კომისიას ჩემი სადისერტაციო ნაშრომის ავტორეფერატი სარეცენზიოდ გადაუცია (როგორც მოგვიანებით გავიგე, თავისი სიმკაცრითა და მომთხოვნელობით ცნობილი მეცნიერისთვის) პროფ. ლ. ვ. ოპაცკისთვის, რომელსაც უმოკლეს დროში წარუდგენია ასეთი შინაარსის დასკვნა:

„Диссертация Л.Л. Чикава посвящена актуальной проблеме, недостаточно разработанной как в отношении отдельных теоретических вопросов, связанных с данной проблемой, так и в практической постановке ее применительно к условиям Грузии.

В первой главе, посвященной территориальному разделению труда и отраслевой структуры пищевой промышленности республики, диссертант критически рассматривает показатели, предлагавшиеся различными авторами для характеристики уровня специализации хозяйства республик и экономических районов.

Во второй и третьей главах дается анализ условий развития профилирующих отраслей пищевой промышленности республики в дореволюционный и советский пе2риод. а также их места в межрайонном разделении труда. Диссертант дает анализ этих вопросов на основе обширных статистичестих и литературных источников с глубоким знанием специфики рассматриваемых отраслей промышленности.

Рассмотрев в четвертой главе, завершающей первую часть диссертации, территориальное размещение потребления продукции, рассматриваемых в диссертации отраслей пищевой промышленности и их значение в удовлетворении потребности советского народа, диссертант переходит к центральной части своего исследования, посвященной вопросам сравнительной экономической эффективности производства в Грузии чая, вина, консервов, табака и анализу резервов повышения рентабельности производства этих продуктов.

Особый интерес представляет глава V, в которой рассматри-

вается экономическое значение развития и сравнительная экономическая эффективность профилирующих отраслей пищевой промышленности.

Чикава Л.Л. предложил определить экономическую эффективность производства в различных районах на основе данных о чистом доходе общества в целом, включая налог с оборота. Такой подход к оценке экономической эффективности территориального разделения труда применяется, насколько мне известно, впервые, и это следует признать серьезной заслугой диссертанта, тем более, что он позволит более точно определить народнохозяйственную эффективность специализации республик и экономических районов.

Две главы диссертации – шестая и седьмая - посвящены всестороннему анализу путей снижения себестоимости сырья, а также затрат, связанных с промышленной его переработкой.

Рассматривая резервы снижения себестоимости продукции на промышленных предприятиях, тов. Чикава с полным основанием уделяет много внимания вопросам концентрации производства, специализации и кооперации предприятия. Проведенный диссертантом анализ выявил возможность снижения себестоимости на предприятиях пищевой промышленности путем их укрупнения, а также экономически обоснованной специализации и кооперирования.

Третья часть диссертации, состоящая из двух глав – восьмой и девятой, - посвящена перспективам развития профилирующих отраслей пищевой промышленности республики.

В VIII главе рассмотрены предпосылки дальнейшего развития этих отраслей и перспективы расширения их сырьевой базы.

Полемизируя с экономистами, утверждающими, что высокая рентабельность производства этих культур достигется в республике за счет необоснованно высоких заготовительных цен, диссертант приводит ряд фактов, свидетельствующих, что уровень рентабельности в Грузии не выше рентабельности производства ряда культур, на которых специализируются другие республики

и экономические районы. Не оспаривая в целом выводы диссертанта, следует, однако, отметить, что некоторые из приведенных им показателей вызывают сомнение. Так, данные о среднегодовых денежных доходах на один колхозный двор (стр. 86) относятся, по-видимому, лишь к доходам от общественного хозяйства колхозов и не включают денежных доходов от личных подсобных хозяйств колхозников, которые в Грузинской ССР играют значительно большую роль, чем в ряде других республик.

Недостаточно обоснованы и некоторые данные, касающиеся перспектив развития отдельных отраслей.

В последней главе рассматриваются перспективы развития профилирующих отраслей пищевой промышленности Грузии. Следует отметить правильный народохозяйственный подход диссертанта к решению вопросов размещения табачных и чаеразвесочных фабрик, а также заводов вторичного виноделия. Правильно критикуя местнический подход к решению этих вопросов, учитывающий интересы лишь одного района, без анализа народнохозяйственной эффективности различных вариантов размещения, Л. Чикава обосновывает необходимость, в целях экономии транспортных расходов, размещения таких предприятий в районах потребления их продукции.

Рецензируемая диссертация, как показывает рассмотрение автореферата, представляет собой самостоятельное оригинальное исследование, в котором даются ценные теоретические обобщения, продвигающие вперед разработку рассматриваемой в диссертации проблемы, а также дается хорошо обоснованное решение актуальных хозяйственных вопросов. Все это свидетельствует, что диссертация Л. Чикава Л.Л. отвечает требованиям, предъявленным к докторским диссертациям и позволяет согласиться с решением Ученого совета Тбилисского государственного университета о присуждении Л. Чикава ученой степени доктора экономических наукЭ.

2 октября 1968 г. Экспертная комиссия по отраслевым экономикам, постановила:

„Диссертация т. Чикава Л.Л. представляет собой оригинальное научное исследование в области повышения экономической эффективности пищевой промышленности Грузинской ССР.

На основе обобщения и глубокого анализа большого фактического материала, диссертант раскрывает пути и методы наиболее рационального размещения и специализации пищевой промышленности Грузии.

Работа автора имеет большое практическое значение.

Учитывая изложенное, а также положительный отзыв рецензента ВАК, проф. Опацкого Л.В., рекомендовать ВАК присудить Л. Чикава Л.Л. ученую степень доктора экономических наук.

**Ст. инспектор ВАК В. Ларионов**

სსრ კავშირის უმაღლეს საატესტაციო კომისიას თავის მორიგ სხდომაზე 1968 წლის 18 ოქტომბერს მიუღია გადაწყვეტილება ჩემთვის ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო სარისხის მინიჭების შესახებ, რაც იმავე ღამის 1 საათზე ტელეფონით მოსკოვიდან შემატყობინა პროფ. ივ. ჯაშმა – უმაღლესი საატესტაციო კომისიის წევრმა საქართველოდან, რომელიც თვითონვე ყოფილა მონაწილე ამ პროცედურისა. ასე სწრაფად (ზოგიერთი ჩემი კოლეგა რამდენიმე წელი ელოდებოდა უმაღლესი საატესტაციო კომისიიდან პასუხს) და მოულოდნელად ამგვარი ინფორმაციის მიღებამ უსაზღვრო სიხარული გამოიწვია არა მარტო ჩემში, არამედ ჩემს გარშემო მყოფ კეთილისმსურველებს შორისაც. აი, ასეთი გრძელი, რთული და საკმაოდ ეკლიანი გზის გავლა დასჭირდა, როგორც იტყვიან, ტაძრამდე მისვლას.

მკითხველს ბოლიშს მოვუხდი დაცვის პროცედურის ასეთი დეტალური გადმოცემისთვის, მაგრამ ამას თავისი გამართლება აქვს. რომ არა საქართველოს დღევანდელი ხელისუფლების ნიჰილისტური, გაუბრალოებული დამოკიდებულება ესოდენ სიმწრით (ძალიან ბევრის მიერ კიდევ უფრო მეტი წვა-

ლებით) მოპოვებული უმაღლესი სამეცნიერო ხარისხისადმი და მისი გათანაბრება მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხთან, თავს შევიკავებდი ე.წ. ნიუანსების გახსენებისგან, მაგრამ ვინც არ დაიზარა ამ შორი და ხშირ შემთხვევაში დახლართული გზის გავლასთან დაკავშირებული პერიპეტიების სიღრმეში ჩაწვდომა, იგი, ალბათ, დამეთანხმება იმაში, რომ ყველაფერს აქვს თავისი ზომა, პეწი და ფასი. ფასეულობათა ერთმანეთში აღრევას მხოლოდ ზიანის მოტანა შეუძლია საზოგადოებისთვის. დროა მოვეშვათ უცხოეთის ცალკეულ ქვეყნებში დამკვიდრებული პრაქტიკის, ადგილობრივი სპეციფიკური პირობების გაუთვალისწინებლად, მექანიკურ გადმოტანასა და დანერგვას. ასეთ გაუაზრებელ ქმედებათა უარყოფითი შედეგები უკვე ჩანს, კიდევ უფრო ნათლად გამოჩნდება მომავალში, მაგრამ მოგვიანებით მათი გამოსწორება უფრო ძნელი იქნება, თუ საერთოდ შეუძლებელი არა.

# 6. კათედრის გამგედ მუშაობის პერიოდი

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის (სპი) პოლიტიკური ეკონომიის კათედრის მრავალრიცხოვან თანამშრომელთა შორის პირველმა დაეცავი სადოქტორო დისერტაცია, სწრაფად შემზადდა წანამძღვრები სამუშაოდ (თუმცა, დროებით) სხვა უმაღლეს სასწავლებელში ჩემი გადასვლისთვის. ასეთი გადაწყვეტილების მიღებას ხელი შეუწყო შემდეგმა გარემოებებმა: ჯერ ეროი, სპი-ს ხელმძღვანელობის მიერ ინსტიტუტისთვის ჩემნაირი კადრის საჭიროების შეუფასებლობამ. სხვა რა შეიძლება ეწოდოს იმას, რომ დაცვის დღიდან დაახლოებით სამი კვირის შემდეგ დამიბარა რექტორმა – პროფ. იოსებ ბუაჩიძემ და, როგორც კი ფეხი შეედგი მის კაბინეტში, უხეშად მომმართა: „თქვენ, ჩემთან შეუთანხმებლად, შეთავსებით მუშაობა დაგიწყიათ სხვა ინსტიტუტში. ეს დიდი დარღვევაა. ახლავე წახვალთ, ბრძანებას გააუქმებთ და მის ასლს წარმოგვიდგენთ ან საერთოდ წახვალთ ჩენი ინსტიტუტიდანო". ჩემი პასუხი ასეთი იყო: „ბატონო იოსებ, სადოქტორო დისერტაციის დაცვით მეგონა არა მარტო პირადად ჩემთვის, არამედ ინსტიტუტისთვისაც კარგი საქმე გავაკეთე და ვიფიქრე იმისთვის მიბარებდით, რომ ეს წარმატება მოგელოცათ. როგორც ჩანს, მწარედ შევცდი. ახლა ჩემთვის ყველაფერი გასაგებია. იქ დაწერილი ბრძანების გაუქმებას მირჩევნია თქვენგან წასვლა და განცხადების ახლავე დაგიწერთ-შეთქი". ასეთ პასუხს, ალბათ, არ ელოდა, ცოტათი შეცბა კიდეც და სასწრაფოდ კათედრის გამგე დოც. რ. მელაძე გამოიძახა. ამ უკასასკნელმა, როცა საქმის კურსში ჩააყენეს, რექტორს ურჩია არ ანქარებულიყო ჩემი საკითხის გადაწყვეტაში. ვინაიდან ეს ინსტიტუტისთვის, განსაკუთრებით კი პოლიტიკური ეკონომიის კათედრისთვის, დიდი დანაკლისი იქნებოდა. საკითხი „მოგვარდა" შეთავსების შესახებ ბრძანების გაუქმებით. შემდეგ ოფიციალურად ყველა ინსტანციაში შეთანხმებითა და თავიდან ახალი ბრძანების გაფორმებით. მაგრამ ჩემსა და ინსტიტუ-

ტის ხელმძღვანელობას შორის ურთიერთობა ხომ გაიბზარა; მეორე, ვინც შემხვდებოდა, უმრავლესობა მეკითხებოდა, რ. მელაძის ნაცვლად კათედრის გამგედ როდის გნიშნავენო, რაც უხერხულ მდგომარეობაში მაყენებდა; და მესამე, ი. ჭავჭავაძის სახ. თბილისის უცხო ენათა სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ხელმძღვანელობამ შემომთავაზა, „თუ თანახმა იქნებით კათედრის გამგედ გადმოსელაზე, პოლიტიკური ეკონომიის დამოუკიდებელ კათედრას შევქმნითო". ეს წინადადება გადამწყვეტი გამოდგა და 1969 წლის დეკემბერში დავიწყე მუშაობა ამ ინსტიტუტის პოლიტიკური ეკონომიის კათედრის გამგედ. კათედრა სულ 7 კაცისგან შედგებოდა. ჩემს გარდა, პოლიტიკური ეკონომიის კურსს კითხულობდნენ პროფ. ნიკოლოზ გვიშიანი, დოცენტები: შოთა არახამია, ელადიმერ ახალაია, დავით ხანთაძე, ხოლო ქვეყანათმცოდნეობის კურსს — რემი სიკინჭილაშვილი და დევი დუმბაძე. კათედრა მუშაობდა ძალიან შეხმატკბილებულად და დიდი პასუხისმგებლობით ასრულებდა დაკისრებულ მოვალეობას.

ჩემი მისვლის შემდეგ, ძალიან მალე, სრულიად მოულოდნელად გარდაიცვალა ინსტიტუტის რექტორი, დოც. ვახტანგ ქოჩორაძე. ამ თანამდებობაზე დაინიშნა დოც. ირაკლი შენგელია — დასავლეთ ევროპული ენების (ინგლისური, ფრანგული, გერმანული) ბრწყინვალე მცოდნე, უაღრესად კეთილშობილი და კრისტალური პატიოსნების განსახიერება.

ინსტიტუტში წლების განმავლობაში ურთიერთგაგებაზე დამყარებული და საქმიანი ურთიერთობა მქონდა ისეთ პიროვნებებთან, როგორებიც იყვნენ: კათედრის გამგეები — ვლადიმერ მაჭავარიანი, ალექსანდრე ქუთელია, პროკოფი ჯანელიძე, ირინე პეტროვა, მედეა კრავეიშვილი, პროფესორ-მასწავლებლები — ვლადიმერ ჭანუყვაძე, კლიმენტი შელია, ლუსიანე ნაჭყებია, მამია ყოლბაია, ველა ბოჭორიშვილი, კოტე ლომინაძე, გრიშა აბულაძე და სხვ.

იმის გამო, რომ მაშინ შედარებით ცოტანი ვიყავით ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორები, განსაკუთრებით სრულ სამუშაო ფორმაში მყოფნი, ხშირად მიწევდა დისერტაციების ოპონირება. ჩემი შუამდგომლობით მარტო 1969 წელს 6, ხო-

ლო 1971 წელს 8 დისერტანტს მიენიჭა ძიებული სამეცნიერო ხარისხი. ჩემი ოპონირებით ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხი მიენიჭათ: ნიკოლოზ გვიშიანს, ფარნაოზ მენთეშაშვილს, ალექსანდრე კუჭუხიძეს, ვალერიან მელქაძეს, გიორგი ადეიშვილს, ოთარ გიორგობიანს, შოთა არახამიას, როზეტა ასათიანს, ვალიკო ისმაილოვს, გიორგი მშვილდაძეს, ნუგზარ პაიჭაძეს, დიმიტრი ცისკარიშვილს, გიორგი შუბლაძეს, ლარისა ყორღანაშვილს, ზიგფრიდ გრიგოლაშვილს, იოველ ასათიანს, ვახტანგ სართანიას, მანანა ნანიტაშვილს, მურმან ცარციძეს, ჯემალ პაჭკორიას, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორისა კი – გერასიმე ფირცხალავას, აკაკი მეტრეველსა და ალექსანდრე ბრეგვაძეს. ასევე, ოპონირება გავუწიე 26 საკანდიდატო დისერტაციას.

უცხო ენათა სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში მუშაობის პერიოდში (1971 წ.) დამევალა ხელმძღვანელობა ტურისტული ჯგუფისა, რომელსაც უნდა დაეთვალიერებინა ჩეხოსლოვაკიისა და უნგრეთის მთავარი ქალაქების (პრაღა, ბრატისლავა, ბუდაპეშტი, ბრნო და სხვ.) ღირსშესანიშნაობანი. ჩვენი ყოველდღიური პროგრამა ისე იყო დაძაბული და გაღატვირთული, რომ საღამოს დაღლილ-დაქანცულები ვბრუნდებოდით სასტუმროებში. ნომერში ჩემთან ერთად მცხოვრები კოლეგა – შოთა არახამია რომ დაწვებოდა, იმის შემდეგ ვიწყებდი მუშაობას. ბ-ნი შოთა დაინტერესდა იმით, თუ რას ვაკეთებდი და როცა გაიგო, რომ, როგორც ოფიციალური ოპონენტი, ვეცნობოდი სარეცენზიოდ გადმოცემულ ბ-ნ ვ. მელქაძის სადოქტორო დისერტაციას, გაიკვირვა და მითხრა: „შე კაი კაცო, ჯერ ერთი, აქ რამ წამოგაღებინა სარეცენზიოდ ნაშრომი და მეორეც, არაერთხელ მსმენია, რომ ბ-ნ ვალიკოს მაინცდამაინც დიდი დამსახურება არ მიუძღვის თქვენს წინაშე და როგორღა დათანხმდი ოპონენტობასო“. მას მოვუყევი ამ საქმის ისტორია: ნაშრომი იმიტომ წამოვიღე, რომ თუ ძალიან რაციონალურად არ გამოვიყენებ დროს, სხვა სამუშაოებთან ერთად, ვერაფრით ვერ მოვახერხებ წელიწადში 8-9 დისერტაციის ოპონირებას. რაც შეეხება იმას, თუ როგორ გავხდი ოფიციალური ოპონენტი. მართალია, პირად ურთიერთობაში

ბ-ნი ვალიკოსგან, როგორც ზემოთაც აღვნიშნე, უსიამოვნო მომენტებიც მახსოვს, მაგრამ ეს არამცდაარამც არ უნდა აისახოს მეცნიერულ კამათსა და თანამშრომლობაში.

ცხადია, საკმაოდ დიდი პრესტიჟის მიუხედავად, ჩემთვის სასურველი არ იყო ბ-ნი ვალიკოს ნაშრომის ოფიციალურ ოპონენტად გამოსვლა, რამდენადაც შეიძლებოდა იგი ჩემს სასიქადულო მასწავლებელს – აკად. პაატა გუგუშვილსა და მის თანამოაზრეებს სხვანაირად გაეგოთ და საწყენად დარჩენოდათ, მაგრამ ეს ხომ ჩემს ნება-სურვილზე არ იყო დამოკიდებული. სამეცნიერო საბჭოს (რომლის წევრებიც ორივენი ვიყავით) სხდომის დაწყების წინ ბ-ნმა ვალიკომ მთხოვა, რომ დღეს, სხვებთან ერთად, ალბათ, თქვენც დაგასახელებენ ჩემი ნაშრომის ოფიციალურ ოპონენტად და უარს ნუ მეტყვიო. მოვიმიზეზე ის, რომ ხუთი დისერტაცია მედო მაგიდაზე და თუ მეექვსესაც მომცემდნენ, მისი რეცენზირება ძალიან დაგვიანდებოდა, მაგრამ თავის დასაღწევად ეს არგუმენტი საკმარისი არ აღმოჩნდა.

დაველაპარაკე ჩემს ახლო მეგობარს, პროფ. გ. ჭანუყვაძეს და, როგორც სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარეს, ვთხოვე აეცილებინა ჩემთვის ეს საჭოჭმანო დავალება. მან მითხრა, საბჭოს წევრებიდან თუ ვინმე შემოიტანს წინადადებას, მხარს დაუჭერო. წინასწარ შევამზადე ნიადაგი და როცა, მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის პოლიტიკური ეკონომიის კათედრის გამგის, პროფ. ნიკო ცაგოლოვისა და აკად. ირაკლი მიქელაძის კანდიდატურებთან ერთად, ჩემი კანდიდატურაც დაასახელეს, პროფ. ი. კოდუამ განაცხადა: „საწყენად არ ვამბობ, მაგრამ პროფ. ლ. ჩიქავა რატომაა ასეთი შეუცველელი? უბრალოდ უხერხული და ჩვენთვის შეურაცხმყოფელია ის, რომ კაცს, რომელსაც ხუთი ნაშრომი უდევს მაგიდაზე სარეცენზიოდ, კიდევ ახალი ნაშრომი გადავცეთო“. თავმჯდომარემ დაადასტურა ასეთი შენიშვნის მართებულობა. სანაცვლოდ დასახელებულ იქნა პროფ. გაბრიელ მეგრელიშვილის კანდიდატურა, რომელსაც, ვიწრო სპეციალობით შეუფერებლობის გამო, თვითონ დისერტანტმა მისცა აცილება. თანაც, კიდევ ეროხელ დაბეჯითებით სთხოვა სამეცნიერო საბჭოს ოფიცია-

ლურ ოპონენტად ჩემი გამოყოფის შესახებ იმ მოტივით, რომ ჩემს საკვლევ პრობლემატიკაზე ნაშრომები სწორედ მას აქვს და უმაღლესი საატესტაციო კომისია ამას დიდ ყურადღებას აქცევსო (როგორც პროფ. დ. ძნელაძემ მოგვიანებით მიამბო, ეს საკითხი წინასწარ ყოფილა შემზადებული, რამდენადაც იმ რთულ სიტუაციაში ყველაზე უფრო ოპტიმალურად ჩემი კანდიდატურა მიუჩნევიათ). უყარეს კენჭი და გადაწყდა, რომ მე უნდა ვყოფილიყავი ერთ-ერთი ოფიციალური ოპონენტი. საბჭოს რამდენიმე წევრმა სხდომის მერე მითხრა, კი თხოულობდი განთავისუფლებას, მაგრამ მაინც არ მეჯერა და შენს წინააღმდეგ ხელი ვერ ავწიეო[1].

1972 წელს, ზემდგომი ორგანოების რეკომენდაციით, საზოგადოება „ცოდნის" ხაზით, ლექციების წასაკითხად ორი კვირით მიმავლინეს გერმანიაში (გდრ). წინასწარ მომთხოვეს ლექციის ტექსტი რუსულ ენაზე, რომელიც გავაგზავნე მოსკოვში. როგორც კი ჩავედი ბერლინში, დამახვედრეს ჩემი ლექციის გერმანული ვარიანტიც. მმასპინძლობდა გდრ-ის საზოგადოება „ურანიას" პრეზიდიუმი. მიმიღეს ძალიან კარგად, მომათავსეს საუკეთესო სასტუმრო „ბერლინში" და გამაცნეს სამუშაო პროგრამა. ჩანდა, რომ ყველაფერი ორგანიზებული იყო ძალინ მაღალ დონეზე.

ჩავატარე სულ 8 ლექცია, ძირითადად უნივერსიტეტებში, ინსტიტუტებსა და პარტიულ სკოლებში. თარჯიმანი 45 წუთის განმავლობაში ჩემი ლექციის გერმანულ ტექსტს აცნობდა აუდიტორიას (თავადაც ასე თუ ისე ვფლობ გერმანულ ენას,

---

[1] სხვათაშორის, ყველაზე მკაცრი ჩემი რეცენზია გამოდგა, რომელიც საგანგებოდ აღინიშნა კიდეც დაცვის დროს. დისერტანტმა განაცხადა, ახლა ვხედავ პროფ. ნ. იაშვილის ნათქვამის სისწორეს იმის თაობაზე, რომ ახალგაზრდა დოქტორი ოპონენტის როლში ყოველთვის უფრო სახიფათოა, რამდენადაც ის ნაშრომის არცერთ ნაკლს არ დატოვებს სათანადო რეაგირების გარეშეო.

ბევრი არსებითი ხასიათის შენიშვნის მიუხედავად (ერთ-ერთ მათგანზე დისერტანტმა პირდაპირ განაცხადა, რომ ამ საკითხზე საერთოდ არ მიფიქრია და დღეს პასუხს ვერ გავცემო), ნაშრომს მთლიანად, სავსებით დამსახურებულად, მაღალი შეფასება მივეცი და ვიშუამდგომლე სამეცნიერო საბჭოს წინაშე მისთვის ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორის ძიებული სამეცნიერო ხარისხის მინიჭების შესახებ.

მაგრამ ეს საკმარისი არ იყო გერმანული აუდიტორიის წინაშე გამოსასვლელად), შემდეგ იწყებოდა განხილვა, ე.ი. შეკითხვები და მათზე პასუხები, რომელიც მიმდინარეობდა თარჯიმნის მეშვეობით რუსულ ენაზე. აუდიტორია ძალიან აქტიურობდა; დამისვეს სულ 87 შეკითხვა, რომლებზედაც პასუხი დიდ განცდებს იწვევდა ჩემში. ასეთი განცდები დაკავშირებული იყო იმასთანაც, რომ მსმენელები შეკითხვებს იძლეოდნენ არა მარტო კონკრეტულად ჩემი თემის გარშემო, რომელიც თავისთავად გლობალურ საკითხს ეხებოდა – **„კაპიტალიზმის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების თავისებურებანი თანამედროვე ეტაპზე“**, – არამედ საერთაშორისო ხასიათის ნებისმიერ (პოლიტიკურ, სოციალურ, ეკონომიკურ, ეკოლოგიურ და ა.შ.) პრობლემაზეც.

პირველი ლექცია დაინიშნა ბერლინის უმაღლეს პარტიულ სკოლაში, სადაც ესწრებოდა არანაკლებ 250 მსმენელისა. ამან ძალიან დამაფიქრა. ჩვენთან საზოგადოება „ცოდნის“ ხაზით ლექციებს, ჩვეულებრივ, 15-20 კაციან აუდიტორიაში ვატარებდით ხოლმე. ყურადღება მიიქცია არა მარტო იმან, რომ აბსოლუტური სიჩუმე იყო და დიდი მონდომებით ისმენდნენ, არამედ განსაკუთრებით იმან, რომ მნიშვნელოვანი ნაწილი ჩანაწერებსაც კი აკეთებდა.

ლექციის მოსმენის შემდეგ დამისვეს 13 შეკითხვა, მ.შ. ერთი ასეთი შინაარსისა: „ამ მომენტისთვის რა ვითარებაა ჩილეში და როგორია სსრ კავშირის პოზიცია იქ მომხდარი ამბების მიმართ?“ ბერლინში გამგზავრების წინა დღეს მოსკოვში გავიგე პინოჩეტის თანამოაზრეთა ქმედებით ჩილეში მომხდარი გადატრიალებისა და ალიენდეს მთავრობის დამხობის შესახებ. ამის შემდეგ გავიდა თითქმის სამი დღე (გაზეთ „პრავდასაც“ ვერ მივუსწარი და ისიც არ მქონდა წაკითხული). ასე, რომ ამ საკითხზე ძალიან მცირე ინფორმაციას ეფლობდი. არადა, მოვლენები ელვისებურად იცვლებოდა, ყოველ საათში ასალი ინფორმაცია მოდიოდა. ასე რომ, აუდიტორიაში იჯდა ხალხი, რომელთა უმრავლესობას სხვადასხვა ევროპულ ენაზე ჟურნალ-გაზეთებიც ჰქონდა წაკითხული და ინფორმაციის სხვა საშუალებებიც მოსმენილი. უცბად მოვიფიქრე და ექსპრომტად

ასეთი პასუხი გავეცი: „გარდა ოფიციალური წყაროების მიერ მოწოდებულისა, რაიმე არსებითი ხასიათის ინფორმაცია, სამწუხაროდ, არც მე მაქვს, ხოლო ეიერში გადაცემული და პრესაში გამოქვეყნებული ინფორმაციის ასეთ მაღალკვალიფიციურ აუდიტორიაში განმეორება ზედმეტად მიმაჩნია-მეთქი". ჩემთვის ესოდენ უსერსულ შეკითხვაზე (რომელიც, ალბათ, სახეზეც მეტყობოდა) რამდენადმე მოსერხებული პასუხით თავის დაღწევა, როგორც ჩანდა, აუდიტორიამ დადებითად შეაფასა და ოვაცია გამიმართა.

ლექციები ჩავატარე, ასევე, შვერინისა და როსტოკის მსარეებში (ჩრდ. გერმანია). როსტოკი გერმანიის მხრიდან ბალტიის ზღვისპირა ქალაქია. იგი განთქმულია გემთმშენებლობით. როსტოკში ფუნქციონირებს 1419 წელს დაარსებული უნივერსიტეტი. ჩემი ლექცია დაინიშნა ამ უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტის 1 კურსის სტუდენტებთან, რომელსაც ესწრებოდა 140-მდე სტუდენტი და 30-მდე პროფესორ-მასწავლებელი. ლექციის შემდეგ ერთ-ერთმა პროფესორმა დამისვა შეკითხვა: „ცხოვრების დონე საქართველოშია უფრო მაღალი თუ გდრ-ში?". მე დავახასიათე მოსახლეობის ცხოვრების დონის განმსაზღვრელ მაჩვენებელთა სისტემა და ვთქვი, რომ ამ მაჩვენებელთა მხოლოდ კომპლექსური გაანალიზებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე შეიძლება დასმულ კითხვაზე სწორი პასუხის გაცემა. მაგალითად, ხელფასი ორი ქვეყნიდან შესაძლებელია პირველში უფრო დაბალი იყოს, ვინემ მეორეში, მაგრამ ამ უკანასკნელში მოხმარების საგნებზე საცალო ფასები, ბინის ქირა, სამედიცინო მომსახურების ხარჯები და ა.შ. თუ მკვეთრად უფრო მაღალია, ცხოვრების დონე, პირველთან შედარებით, მეორეში ვერ იქნება მაღალი. რაც შეეხება საქართველოსა და გდრ-ის მოსახლეობის ცხოვრების დონეთა შორის შედარებას, ეს მაჩვენებელი გდრ-ში უფრო მაღალია, მაგრამ არა იმ ზომით, რა ზომითაც განსხვავებულია ნომინალური ხელფასის დონე ამ ქვეყნებში. ამას აპირობებს ის გარემოება, რომ საქართველოსთან შედარებით, გდრ-ში მოხმარების საგნებზე საცალო ფასების დონე გაცილებით მაღალია.

დიდი კმაყოფილება მომგვარა ამ ქვეყნის ღირსშესანიშნა-

ობების (რაისსტაგის, ბრანდერბურგის კედელი, ტელეანძა[1], მუზეუმები და სხვ.) დათვალიერებამ, საქმიან ადამიანებთან შესვედრებმა, ზნე-ჩვეულებების ახლოს გაცნობამ. სადილობის დროს ერთ-ერთმა მასპინძელმა მეორეს გადაუჩურჩულა, ჩვენს სტუმარს, ალბათ, პური ენდომებოდა, ჩვენ კი იგი არ შეგვიკვეთიაო. ამას ყური მოვკარი და ვიუარე, არა, პური არ მინდამეთქი. ცსადია, იმ მომენტში პური კი მინდოდა, მაგრამ თეთრი ყვავის როლში რომ არ გამოვსულიყავი, თავი შევიკავე. დაახლოებით ორი კვირის შემდეგ უკვე აღარ მქონდა პურის უჭმელობით დაუკმაყოფილებლობის გრძნობა: ჯერ ერთი, გარემოს ზემოქმედების შედეგად და მეორე, იმის გამო, რომ თვით კერძები იყო გაჯერებული კარტოფილის პიურეთი, ბოსტნეულით, მაკარონით, ვერმიშელით, მოხარშული ცომის მასით და ა.შ.

გერმანიის მთელ რიგ დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში, სადაც ლექციები წავიკითხე, მრავალ სხვა მომენტთან ერთად, ჩემი ყურადღება მიიქცია სასადილოების შესასვლელთან კედელზე გამოკრულმა მენიუმ თითოეული კერძის კალორიულობის ზუსტი ჩვენებით. ეს საშუალებას აძლევს მომხმარებელს საუზმობის, სადილობის თუ ვახშმობის დროს მიიღოს კვების პროდუქტები კილოკალორიებში არაუმეტეს ფიზიოლოგიური ნორმებით დადგენილისა. ე.ი. თუ პირველი კერძი მაღალკალორიული აიღო, მეორე კერძი და დესერტი შედარებით დაბალკალორიული უნდა შეარჩიოს, რომ დაიცვას საერთო ნორმა.

ყოველივე ეს კვების კულტურისა და საერთოდ ადამიანის თვითშენახვითი ქცევის დონის საკმაოდ მკაფიო მაჩვენებელია. ამ მოთხოვნის ყველგან და ყოველთვის ჯეროვან დაცვას საკმაოდ დიდი სარგებლობის მოტანა შეუძლია, როგორც მთლიანად საზოგადოებისთვის, ისე მისი ყველა წევრისთვის.

---

[1] ტელეანძა საოცრად მიმზიდველი ნაგებობაა. ზუსტად არ მახსოვს, მაგრამ, როგორც იტყვიან, ადამიანი თვალს, რომ ვერ მიაწვდენს ისეთ სიმაღლეზე მასში მოთავსებულია მბრუნავი რესტორანი იმისთვის, რომ კარგად დაათვალიერო მთელი ბერლინი. როცა დავჯექით რესტორანში გაწყობილ სუფრასთან, მითხრეს, რომ თქვენს განკარგულებაშია 45 წუთი, შემდეგ ძირს უნდა დაეშვათო. რესტორანი 45 წუთში აკეთებდა ერთ წრეს. ტელეანძის ემბლემა, რომლითაც დამაჯილდოვა საზოგადოება „ურანიის“ პრეზიდიუმმა, ჩემს პირად არქივს ამშვენებს.

სამწუსაროდ, იგი ჯერჯერობით მეტნაკლებად ყველგან ირღვევა. ალბათ, არ შევცდები თუ ვიტყვი, რომ ამ მხრივ საქართველო არავის დაუთმობს პირველობას.

გერმანელმა მასპინძლებმა შემომთავაზეს ლექციის ჩასატარებლად დასავლეთ ბერლინში გადასვლა, მაგრამ არ დავთანხმდი იმის გამო, რომ მოსკოვიდან ასეთი არც დავალება მქონდა და არც რწმუნება. ამასთან დაკავშირებით მითხრეს, თქვენ ნუ ღელავთ, საზღვარზე საელჩოს მანქანით გადაგიყვანთ, მას არავინ გააკონტროლებსო. ამან კიდევ უფრო შემაშფოთა, კატეგორიული უარი ვთქვი და, როგორც მოსკოვში დავაზუსტე დაბრუნების შემდეგ, სწორადაც მოვქცეულვარ.

ბერლინში ჩემგან ინტერვიუ აიღო გერმანიის ნაციონალურ-დემოკრატიული პარტიის გაზეთის **„Heuerte hachrichten"**-ის კორესპონდენტმა ჰ. რუსოვსკიმ, რომელიც გამოქვეყნდა ამ ორგანოს 1972 წლის 15 აპრილის ნომერში სათაურით: „15 ენა თბილისის უმაღლეს სასწავლებელში" (გაზეთის ეს ნომერი ჩემს პირად არქივში ინახება). საუბარი ეხებოდა ძირითადად იმას, თუ რომელი უცხო ენები ისწავლება თბილისის უცხო ენათა სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში, რა თანამედროვე მეთოდები და საშუალებები გამოიყენება მათი საფუძვლიანი დაუფლებისთვის, როგორია ინსტიტუტის კავშირი გდრ-ის უმაღლეს სასწავლებლებთან და როგორ უწყობს იგი ხელს გერმანული ენის სწავლების გაუმჯობესებას.

ინტერვიუ გამოქვეყნდა მისი აღებიდან ზუსტად ერთი თვის თავზე, ამიტომ საჭირო გახდა ფოსტით მისი გამოგზავნა თბილისში. საქალაქო პრესის ბერლინის ბიუროდან მივიღე გაზეთი ასეთი წერილის თანხლებით:

ბატონ პროფესორ დოქტორ **ლეო ლეონტის ძე ჩიქავას** –
თბილისის უცხო ენათა სახელმწიფო პედაგოგიური
ინსტიტუტის პოლიტიკური ეკონომიის კათედრის გამგეს

**დიდად პატივცემულო ბატონო პროფესორო ჩიქავა!**

როგორც დაგპირდით, გიგზავნით ერთ-ერთ ჩვენს გაზეთს, რომელშიც დაბეჭდილია თქვენი ინტერვიუ (მეშ-

ვიდე გვერდზე). იმედი მაქვს, რომ თქვენ ამით დაკმაყოფილდებით. ალბათ, გამიზიარებთ თქვენს აზრს ღია ბარათით თქვენი ქალაქის ლამაზი ხედით.

გისურვებთ პირადად თქვენ და თქვენს ოჯახს ყოველივე კარგს. მუდამ თქვენი კეთილის მსურველი, გულთბილი სალმით

თქვენი **ჰ. რუსოვსკი**
ბერლინი, 15.05.1972.

კორესპონდენციის მიღებისთანავე ბერლინში გავაგზავნე ასეთი შინაარსის წერილი:

ღრმად პატივცემულო ქალბატონო **ჰერტრუდ რუსოვსკი**!

უაღრესად დიდ მადლობას გიხდით გაზეთის გამოგზავნისთვის, რომელშიც დაბეჭდილია ჩემი ინტერვიუ. სტატიამ, რომელმაც გერმანელ მკითხველს ზოგიერთი საინტერესო მონაცემი მიაწოდა თბილისის უცხო ენათა სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის შესახებ, ჩვენი კოლექტივის სამართლიანი კმაყოფილება გამოიწვია.

გდრ-ში მოგზაურობამ და ფრიად მაღალკვალიფიციური აუდიტორიების წინაშე ლექციებით გამოსვლამ ჩემზე მდიდარი შთაბეჭდილება მოახდინა. თქვენს ქვეყანაში ახალი ცხოვრების მშენებლობის სწრაფი ტემპებით მიმდინარეობის, საერთოდ, გერმანელი ხალხის შემოქმედებითი ნიჭისა და უნარის, მისთვის დამახასიათებელი პუნქტუალობისა და სიზუსტის, აგრეთვე, მრავალი სხვა დადებითი თვისების შესახებ ჩემი შთაბეჭდილებები ფართოდ გაეუზიარე მეგობრებსა და კოლეგებს.

სახსოვრად გიგზავნით ალბომს საქართველოს ცალკეული საინტერესო ადგილების ხედებით. ვიმედოვნებთ, რომ თქვენში იგი აღძრავს სურვილს პირადად იხილოთ ეს ორიგინალური ქვეყანა.

კეთილი სურვილებითა და თქვენდამი ღრმა პატივისცემით,

პროფესორი **ლეო ჩიქავა**

ჩემთან მომაგრებულმა გიდმა მითხრა, რომ ქართველები საოცარად კარგი ხალხი სართ, იშვიათად შემხვედრია თქვენნაირი განათლებული, კულტურული და ორგანიზებული ადამიანებიო. ვკითხე, საიდან იცით-მეთქი. მომიყვა, რომ რამდენიმე თვის წინ ჩვენთან ბრძანდებოდა თქვენი ცნობილი კომპოზიტორი, ბატონი ოთარ თაქთაქიშვილი და ამ პიროვნების მიხედვით ვაკეთებო ასეთ დასკვნას. ამ სიტყვების მოსმენის შემდეგ კიდევ ერთხელ დავრწმუნდი იმაში, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს უცხო ქვეყანაში ჩასული თითოეული ადამიანის ქცევასა და მოქმედებას თავისი ერისა და ქვეყნის ნამდვილი სახის წარმოსაჩენად. იქ შენ, ერთი ქართველი, ფაქტიურად მთელი საქართველო ხარ, რამეთუ მოცემულ კონკრეტულ შემთხვევაში შენზე დაკვირვებით მსჯელობენ მთელ ერზე, მის ბნე-ჩვეულებებზე, ადათზე, კულტურაზე, ინტელექტზე, წესიერებაზე, ტაქტიანობასა და ადამიანებთან ურთიერთობაზე. ძალიან გამიხარდა ბ-ნი ო. თაქთაქიშვილის პიროვნების შესახებ ასეთი სასიამოვნო დახასიათების მოსმენა და ჩემი მხრივ დავსძინე:

მას, კაცმა რომ თქვას, მორალური უფლებაც არ ჰქონდა სხვანაირად წარმოედგინა მარიამ ღვთისმშობლის წილხვედრი, სამიათასწლიანი კულტურის მქონე ქვეყანა, რომელსაც აქვს მსოფლიოში ცნობილი 14 დამწერლობიდან ერთ-ერთი ორიგინალური, გამორჩეულშრიფტიანი დამწერლობა და რომლის წარსულს ამშვენებდნენ ისეთ გოლიათთა სახელები, როგორებიც იყვნენ ვახტანგ გორგასალი, დავით აღმაშენებელი, თამარ მეფე, შოთა რუსთაველი, გიორგი ბრწყინვალე, ილია ჭავჭავაძე, 300 არაგველი, 9 ძმა ხერხეულიძე და მრავალი სხვ. ნებისმიერ ერს დაამშვენებდა თუნდაც პროფ. იოსებ ჟორდანიას – ამ ცნობილი გინეკოლოგის მიერ არცთუ შორეულ წარსულში გამოვლენილი საოცრად მაღალჰუმანური, დიდსულოვანი საქციელი. მან, საერთაშორისო კონგრესიდან უკან დაბრუნებისას, ოკეანის თაგზე კატასტროფისთვის განწირულ ბოინგის სისტემის თვითმფრინავში უყოყმანოდ და ოპერატიულად (რამდენიმე წამში) მიიღო არაორდინარული გადაწყვეტილება. პირადად მისთვის განკუთვნილი მაშველი ჟილეტი

ავიალაინერში უბილეთოდ შეყვანილი და უქილეტოდ დარჩენილი უცნობი უცხოელი გოგონასთვის გადაცემის თაობაზე, რომლითაც თავისთავს სასიკვდილო განაჩენი გამოუტანა. სომ ნიშანდობლივია ის, რომ თვითმფრინავში მყოფი ასეულობით მგზავრიდან (რომელთა შორის, ალბათ, გოგონას მშობლებიც იყვნენ) ასეთი უმძიმესი გადაწყვეტილების მიღება და სისრულეში მოყვანა მხოლოდ ერთადერთმა ქართველმა კაცმა შესძლო.

შევატყვე, რომ ჩემმა მონაყოლმა გიდზე საკმოდ შთამბეჭდაეი გავლენა მოახდინა. დარწმუნებული ვარ, რომ ამ საუბრის შინაარსი მას დიდხანს (ან იქნებ მუდამ) ემახსოვრება.

არ ვიცი ვისი ინიციატივით (ალბათ, საქართველოს უმაღლესი განათლების სამინისტროს რეკომენდაციით) 1973 წელს მონაწილეობა მიეიღე საბჭოთა და იტალიელ ეკონომისტთა ერთობლივ სიმპოზიუმში, რომელიც ჩატარდა ქ. ლუინოში (იტალია). ეს პატარა ზღვისპირა, ძალიან ლამაზი ქალაქი მილანიდან დაახლოებით 20 კმ-ზე მდებარეობს. სხდომები მიმდინარეობდა 10 დღის განმავლობაში. მუშაობაც იყო ნაყოფიერი და დასვენებაც.

დელეგაციის შემადგენლობაში ჩემთან ერთად იყო მოსკოველი ქართველი — ლევან მინდელი (სამთო მრეწველობის ცნობილი სპეციალისტის ბ-ნ ელიზბარ მინდელის ვაჟიშვილი). ჯგუფის საერთო ხელმძღვანელობა დავალებული ჰქონდა აკად. ჯერმენ გვიშიანს (სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის, პოლიტბიუროს წევრის ბ-ნ ა. კოსიგინის სიძეს), რომელიც დიდხანს სსრ კავშირის მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის პირველ მოადგილედ მუშაობდა.

ჩემი მოხსენება თემაზე — **„საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების აქტუალური პრობლემები“** — საკმაოდ დიდი ინტერესით იქნა მოსმენილი და მეორე დღეს გაზეთმა „უნიტამაც“ შედარებით ვრცლად მიმოიხილა. სხვათაშორის, მომხსენებლების ვინაობის შესახებ ინფორმაციის თანხლებით, სულ სამი მოხსენება იყო გაანალიზებული, მ.შ. ჩემიც (გაზეთი ჩემს პირად არქივში ინახება).

როგორც ცნობილია, მარქსისტული ეკონომიკური მოძღვრების თანახმად, კაპიტალისტი ლუარსაბ თათქარიძესავით უქნარა, გაბარმაცებული და მუქთახორა ტიპია, რომელსაც დაქირავებულ მუშაკთა ექსპლუატაციის მეტი არაფერი აღარ-ღებს და აბრზე არაა, თუ რა ხდება მის ბიზნესში. ამ ზღაპ-რებისა ნაკლებად გვჯეროდა მაშინაც, მაგრამ ვალდებულნი ვიყავით ასე გვესწავლებინა სტუდენტებისთვის.

რეალური სურათის თვალნათლივ დანახვის საშუალებას კი „კარჩაკეტილი ცხოვრების" პოლიტიკის თანმიმდევრული გატარება არ იძლეოდა. აი, პირველად მომეცა იმის შესაძ-ლებლობა, რომ ჩემი თვალებით მეხილა „ფუქსავატი" კაპიტა-ლისტი, თუ როგორ ერთობოდა ჭერზე ბუზების თვლით. ჩვენ მოგვათავსეს ერთ პატარა (20-ნომრიან) კერძო სასტუმროში, სადაც მისი მეპატრონე ძირითადად მომარაგების საქმიანო-ბით იყო დაკავებული (სახლში მოდიოდა ღამის 2-3 საათზე და სახლიდან მიდიოდა გათენებამდე), ამიტომ ორი კვირის განმავლობაში სულ ორჯერ ვნახეთ, ისიც რამდენიმე წუთით. მისი მეუღლე სამზარეულოში ტრიალებდა და მთელი დღის განმავლობაში კლიენტებს უმასპინძლდებოდა. 13-14 წლის ერ-თადერთი ქალიშვილი კი მორიგე-ადმინისტრატორის ფუნქცი-ას ასრულებდა და ოპერატიულად მართავდა სასტუმროს მიმ-დინარე საქმეებს. დაქირავებული ჰყავდათ სულ ხუთი ადამი-ანი, ესეც იმიტომ, რომ მარტო ვერ უმკლავდებოდნენ უამრავ საქმეს. ამრიგად, აქ ვერ განასხვავებდით ერთმანეთისგან დამქირავებელსა და დაქირავებულს, ე.წ. ექსპლუატატორსა და ექსპლუატირებულს. არცერთი მათგანის სამუშაო არ იყო რეგლამენტირებული, ყოველ შემთხვევაში, მეპატრონეებისა, რამდენადაც მათი ბიზნეს-საქმიანობის შედეგები უშუალოდ იყო დამოკიდებული მათ გარჯასა და მონდომებაზე.

კიდევ ერთი დეტალი: ჩვენი დელეგაციის წევრები ამ სას-ტუმროში ვსაუზმობდით და ვვახშმობდით, მაგრამ ვსადილობ-დით სასტუმროსთან ახლოს გაადგილებულ პატარა რესტო-რანში. ერთ-ერთი სადილობისას მაგიდებზე დაგვხვდა ღვინო საკმაოდ უხვად, ისე რომ არ შეგვიკვეთია (საამისო ფულს მაშინ საბღვარგარეთ ვინ გაგატანდა). გაგვიკვირდა. როცა

ვიკითხეთ, თუ რას ნიშნავდა ასეთი სიურპრიზი, გვიპასუხეს: „ეს სასტუმროს პატრონმა მოგართვათ მადლიერების ნიშნად, იმასთან დაკავშირებით, რომ თქვენი სტუმრობის მეოხებით ამ დღეებში მნიშვნელოვნად მოიმატა კლიენტთა რაოდენობამ და გაიზარდა ბრუნვა, ე.ი. მოგებაც“. აი, როგორია ნამდვილი ბიზნესის ეთიკა.

მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, ხუთ წელიწადში ერთხელ კვალიფიკაცია უნდა აემაღლებინა სსრ კავშირის მასშტაბით საზოგადოებრივ მეცნიერებათა სფეროში მომუშავე ყველა პროფესორ-მასწავლებელს. ამისთვის შექმნილი იყო სპეციალური სასწავლებლები მოსკოვში, ლენინგრადში, კიევში და ა.შ. სწავლის ხანგრძლივობა იყო ხუთი თვე. ეს ეხებოდა კათედრის გამგეებსაც, ამიტომ თბილისის უცხო ენათა სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში მუშაობის პერიოდში, 1974 წლის 1 თებერვლიდან, მიმავლინეს ლომონოსოვის სახ. მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტთან არსებულ საზოგადოებრივ მეცნიერებათა მასწავლებლების კვალიფიკაციის ამაღლების ინსტიტუტში. მაშინ ამ სასწავლებელს ხელმძღვანელობდა უკეთილშობილესი ადამიანი, ქართველების დიდი მოსიყვარულე და პატივისმცემელი პიროვნება – პროფ. ივ. მარინკო. მას ძალიან აინტერესებდა საქართველოში ჩამოსვლა, ამიტომ ჩემი ერთ-ერთი ასპირანტის – გელა გოგოლაძის საკანდიდატო დისერტაციის ოფიციალურ ოპონენტად მოვიწვიეთ თბილისში. თბილისურმა თბილმა შეხვედრებმა, მასთან ერთად, დიდი სიამოვნება მოგვანიჭა ჩვენც. ცოტა მოგვიანებით ივ. მარინკოს შესახებ ჩვენმა ერთმა თანამემამულემ, იმ დროისთვის კათედრის გამგემ, ასეთი რამ მიამბო: „კვალიფიკაციის ამაღლების ინსტიტუტში მსმენელად ყოფნისას დირექტორმა ივ. მარინკომ გამომიძახა და დამავალა ხელმძღვანელობის გაწევა ჯგუფისთვის, რომელიც ექსკურსიაზე უნდა წასულიყო ლენინგრადში. მისი დიდი პატივისცემის მიუხედავად, უარი ვუთხარი იმ მოტივით, რომ რუსულად ძლივს ვლაპარაკობ და უხერხული იქნება ჩემი „დამტვრეული რუსულით“ ვინმეს შენიშვნა მივცემეთქი. ამასთან დაკავშირებით მან თქვა, რომ ამ კონკრეტულ შემთხვევაში მთავარია არა რუსული ენის ცოდნა, არამედ

საქმის ორგანიზაციის უნარი, რომლითაც თქვენ, როგორც ქართველი კაცი, ჩემი ღრმა რწმენით, ყველაზე უკეთ ხართ დაჯილდოებული. ეს საქმე რუსი ეროვნების ადამიანს რომ დავაკისრო, ადვილი შესაძლებელია დათვრეს, თავისი მოვალეობა დაივიწყოს, ამას ტრაგიკული შედეგი მოყვეს და მეც თან გადამიყოლოსო. ამგვარი არგუმენტაციის მოსმენამ აზრი შემაცვლევინა, დავთანხმდი და ყველაფერმა ნორმალურად ჩაიარაო".

კვალიფიკაციის ამაღლების ინსტიტუტში ეკონომიკის სპეციალობით, ჩემთან ერთად, იმყოფებოდა თელავის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის პოლიტიკური ეკონომიის კათედრის გამგე, პროფ. ნიკო მალუძე. კარგი დრო გავატარეთ. შრომაშიც გვქონდა წარმატებები და დროის გატარებაშიც. ძალიან დასანანია, რომ ადრეულ ასაკში წავიდა ამქვეყნიური ცხოვრებიდან.

კვალიფიკაციის ამაღლების ინსტიტუტში ბევრი საინტერესო ლექცია მოვისმინე, სემინარებიც საინტერესოდ (ცხარე მეცნიერული კამათის ვითარებაში) ტარდებოდა. მთავარი მაინც დამოუკიდებელი მუშაობა იყო, ამიტომ ხშირი სტუმარი ვიყავი ლენინის სახელობის სახელმწიფო ბიბლიოთეკისა. იქ დაეწერე და თბილისში დაბრუნების შემდეგ ცალკე წიგნად გამოვაქვეყნე ნაშრომი, რომელიც ეძღვნება საკუთრების პრობლემატიკას.

ვცხოვრობდი ლენინის ვორაზე, ლომონოსოვის სახ. მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის საერთო საცხოვრებელში, იზოლირებულ ოთახში, თავისი სათავსოებით, რომელიც ნორმალური იყო მეცნიერული მუშაობისთვის.

მოსკოვში ყოფნისას გავიცანი და ახლო ურთიერთობა მქონდა ცნობილ მეცნიერებთან: ნიკოლოზ ფედორენკოსთან, ივანე ლუკინოვთან, აბელ აგანბეგიანთან, ლევ იტინთან, ნიკოლოზ ცაგოლოვთან, ნიკოლოზ კოლესოვთან, ვიქტორ ჩერკოვეცთან, ირაკლი ჯორჯაძესთან, ვსევოლოდ კულიკოვთან, ივანე სტოლიაროვთან და სხვ.

კვალიფიკაციის ამაღლების ინსტიტუტის დამთავრებამდე ორი თვით ადრე მოსკოვში ჩამოსულმა საქართველოს უმაღ-

ლესი განათლების მინისტრის პირველმა მოადგილემ ბ-ნმა ზურაბ ფორაქიშვილმა დამირეკა და მთხოვა შევხვედროდით ერთმანეთს. მან გადმომცა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ხელმძღვანელობის (ინსტიტუტის რექტორის, აკად. არჩილ ძიძიგურისა და პრორექტორის, პროფ. კოტე ბარამიძის) თხოვნა იმის თაობაზე, რომ მეყარა კენჭი ამ ინსტიტუტის პოლიტიკური ეკონომიის კათედრის გამგის თანამდებობის დასაკავებლად. თან დასძინა, არჩევნები ახლავე, თქვენი თბილისში დაბრუნებამდე უნდა ჩატარდეს, ამიტომ ამჯერად ისინი თქვენგან ელოდებიან მხოლოდ ორიოდე სიტყვით ასეთ შეტყობინებას: „თანახმა ვარ კენჭი ვიყარო პოლიტიკური ეკონომიის კათედრის გამგის თანამდებობის დასაკავებლად“.

ასეთი საპატიო, მაგრამ ამავე დროს უაღრესად საპასუხისმგებლო თანამდებობის დაკავების შესახებ წინადადება ჩემთვის სრულიად მოულოდნელი იყო და მოფიქრებისთვის ერთი დღე ვითხოვე. თანხმობის მიცემა გადამაწყვეტინა იმან, რომ გავიგე ეს წინადადება მოდიოდა არა უშუალოდ ინსტიტუტის ხელმძღვანელობისგან (ისინი პირადად არც მიცნობდნენ), არამედ კათედრის კოლექტივისგან, რომლის წევრებს ერთსულოვანი სურვილი გამოუთქვამთ ამის თაობაზე.

ამრიგად, 1974 წლის 1 სექტემბრიდან სამუშაოდ ისევ პოლიტექნიკურ ინსტიტუტში დავბრუნდი, ოღონდ ამჯერად უკვე კათედრის გამგის რანგში. ეს იყო ერთ-ერთი უმსხვილესი (70-მდე საშტატო ერთეულით) კათედრა არა მარტო საქართველოში, არამედ მის ფარგლებს გარეთაც. ჩემი მისვლის მომენტისთვის კათედრის საქმიანობა იყო არეულ-დარეული, ინტრიგებისა და კინკლაობის მორევში მოქცეული, კათედრის ყოფილ გამგესა და ცალკეულ წევრებს შორის ურთიერთობა უკიდურესად დაძაბული, ასე, რომ ვითარების ნორმალიზებისთვის აუცილებელი იყო ქმედითი ღონისძიებების გატარება.

დღევანდელი გადასახედიდან რომ ვუყურებ, შეიძლება თავისუფლად ითქვას, სრულებით არ გამჭირვებია კათედრის საქმიანობის აწყობა. ამაში ხელი შემიწყო იმ საგანგებო წრთობამ, რომელიც ჩემი სასიქადულო, მაღალმომთხოვნი მასწავლებლების ხელში გავიარე. კათედრის წევრებისთვის

ანგარიშგასაწევ ძალას წარმოვადგენდი არა მარტო იმიტომ, რომ ვხელმძღვანელობდი კათედრას და მეცნიერებათა დოქტორის ხარისხი ჩემს გარდა მხოლოდ ერთ თანამშრომელს ჰქონდა, არამედ განსაკუთრებით იმიტომ, რომ კათედრის წევრებთან (ყოველ შემთხვევაში, მათ უმრავლესობასთან) შედარებით უკეთ ვფლობდი სასწავლო დისციპლინას — პოლიტიკურ ეკონომიას. ეს ფაქტორი იყო ჩემი მთავარი კოზირი. ალბათ, პლუს ისიც, რომ ობიექტურობის პრინციპებიდან არასოდეს გადამიხვევია.

კათედრის სხდომა ტარდებოდა ორ კვირაში ერთხელ. ასევე, ორ კვირაში ერთხელ ტარდებოდა თეორიული ან სასწავლო-მეთოდური მუდმივმოქმედი სემინარის მეცადინეობა. კათედრის სხდომაზე, წინასწარ შედგენილი გრაფიკის მიხედვით, ვიხილავდით არა მარტო მეცნიერულ-კვლევითი მუშაობის გეგმით შესრულებულ წლიურ ნაშრომებს, არამედ, ასევე, სასწავლო პროცესთან დაკავშირებულ საკითხებს. ამ სფეროში განსაკუთრებით მაღალ დონეზე გვქონდა დაყენებული ლექცია-სემინარებზე ურთიერთდასწრება და მისი შედეგების საჯარო განხილვა. როგორც კათედრის გამგე, დამოუკიდებლად ან კათედრის რომელიმე წევრთან ერთად, სისტემატურად ვესწრებოდი თანამშრომელთა ლექციებსა და სემინარებს. დასწრების შედეგების ღრმად და საფუძვლიანად განხილვამ კათედრის წევრთა ძალისხმევის მაქსიმალურ მობილიზებას შეუწყო ხელი. მასხოვს, ერთ-ერთი საკმაოდ გამოცდილი კოლეგა როგორ აფორიაქდა მის ლექციაზე ჩვენი დასწრების გამო. მას ძალიან გაუჭირდა თავის ხელში აყვანა, ხელები აუკანკალდა, მაგრამ ნერვიულობა მაინც აშკარად ეტყობოდა. დაძაბულობა კიდევ უფრო ძლიერდებოდა მაშინ, როცა რაიმეს ჩავინიშნავდი უბის წიგნაკში (არადა, ვინიშნავდი ხოლმე არა მარტო ნაკლოვანებებს, არამედ დადებით მომენტებსაც).

ერთხელ კათედრის წევრმა დოც. ლამარა მდივანმა მკითხა: „ბატონო ლეო, როდის აპირებთ ჩემს ლექციაზე დასწრებას?“ ზუსტად ვერ გეტყვით, მაგრამ რატომ კითხულობთ-მეთქი. იმიტომ, რომ ღამეები არ მძინავს ამის მოლოდინში და თუ დამესწრებით, ცოტა ხანს მაინც ვიქნები მშვიდადო. ამაზე ასეთი

პასუხი გავეცი: „ეს რა კარგი საშუალება ყოფილა ყველა სალექციო თემის საუკეთესოდ მოამზადებისა და ჩატარებისთვის. ამიტომ ახლა უფრო არ გეტყვი, თუ როდის დაგესწრებით-მეთქი“.

ასეთივე პასუხისმგებლობით ვეკიდებოდი წლიური მეცნიერულ-კვლევითი ნაშრომების განხილვასა და მიღებას. ზოგიერთ ნაშრომს წინასწარ, ოფიციალური რეცენზენტის პარალელურად, ვეცნობოდი და მისი ავკარგიანობის შესახებ ჩემს შთაბეჭდილებებს ვახსენებდი კათედრას, ზოგიერთს კი სხდომის მსვლელობისას (სანამ რეცენზენტი გაგვაცნობდა თავის რეცენზიას) ვათვალიერებდი და იქვე ვპოულობდი უამრავ ნაკლს, რაც დიდ უხერხულობაში აგდებდა როგორც ავტორს, ისე რეცენზენტს. ყოველივე ამის გათვალისწინება, ბუნებრივია, ხელს უწყობდა კვლევითი ნაშრომების მეცნიერული დონის ამაღლებას. ასეთი განხილვის შემდეგ არაერთხელ მომისმენია კოლეგების ჩალაპარაკება– „აწი მომავალ წლამდე არ მომიწევს ასეთი განცდების გადატანაო“.

კათედრაზე ერთ-ერთ მთავარ საზრუნავს მაღალკვალიფიციური კადრებით მისი შევსება და თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლება შეადგენდა. კათედრის გამგედ ჩემი არჩევის მომენტისთვის თუ მხოლოდ ორი მეცნიერებათა დოქტორი ვიყავით კათედრაზე (ამ დროისთვის უმაღლესი სამეცნიერო ხარისხი უკვე მოპოვებული ჰქონდა ბ-ნ ევგრაფ კანდელაკსაც, რომელიც ჩემთან ერთად ჩაირიცხა დოქტორანტურაში), უმოკლეს დროში მის კოლექტივს შეემატნენ პროფესორები მიხეილ (ვახტანგ) კასეთელიძე და ოთარ ტატიშვილი. ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად დისერტაცია დაიცვა, აგრეთვე, ერთმა თანამშრომელმა – შოთა ყიზილაშვილმა. ასე რომ 5 მეცნიერებათა დოქტორითა და 30-ზე მეტი მეცნიერებათა კანდიდატით საკმაოდ ძლიერი ბირთვი შეიქმნა კათედრაზე. შედეგმაც არ დააყოვნა. კათედრა ჩადგა ინსტიტუტის სტაბილურად მოწინავე უჯრედების რიგში. კათედრის გამგედ ჩემი მუშაობის 9 წლის განმავლობაში თავისი საქმიანობის შედეგებით ჩვენი კათედრის კოლექტივი თითქმის ყოველწლიურად პირველ ადგილს იკავებდა საზოგა-

ღოებრივ მეცნიერებათა კათედრებს შორის. რამდენადაც მახსოვს, მეორე ადგილი სულ ორჯერ დავიკავეთ.

დიდი დატვირთვის მიუხედავად, დაღლა არ მეტყობოდა, რამდენადაც ვგრძნობდი, რომ კათედრის მიღწევებითა და მასში ჩემს მიერ შეტანილი წვლილით კმაყოფილები იყვნენ კათედრის წევრები. ამის საკმაოდ ნათელი გამოსატულება იყო დაბადებიდან 50 წლისთავზე (1978 წ. 20 თებერვალი) კათედრის კოლექტივის მიერ ჩემთვის მორთმეული ადრესის ერთ-ერთ აბზაცში, შეიძლება რამდენადმე გაზვიადებულად, მაგრამ უთუოდ გულწრფელად ნათქვამი სიტყვები: „თქვენი კოლეგები და სტუდენტები თქვენში ხედავენ ალალმართალ, ყოველმხრივ განსწავლულ, ტაქტიან და გულისხმიერ მეცნიერსა და პედაგოგს, სულით მაღალ, მომთხოვნ, მაგრამ სამართლიან ადამიანს, უაღრესად სპეტაკ, კეთილშობილ პიროვნებას, აღზრდითა და სიდარბაისლით გამორჩეულ ინტელიგენტს, ბრწყინვალე მოქალაქეს".

ალბათ, ძნელია ხელმძღვანელმა მისი თანამშრომლებისგან ამაზე უკეთესი შეფასება ინატროს.

კიდევ ერთი საგულისხმო დეტალის შესახებ. ჩვენი შრომითი კოლექტივის სამ ფრიად დამსახურებულ წევრს, კათედრის მუშაობის მდიდარი გამოცდილების განზოგადების მიზნით, ჩემთან შეუთანხმებლად, ასეთი შინაარსის წერილი გაუგზავნია რესპუბლიკის ზემდგომ პარტიულ ორგანოში (მოგვიანებით გამიმხილეს და მითხრეს: „თქვენ წინასწარ იმიტომ არ ჩაგაყენეთ საქმის კურსში, რომ უარის თქმის შეგვეშინდაო):

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის
კანდიდატს, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური
კომიტეტის პირველ მდივანს ამხ. **ე. ა. შევარდნაძეს**

(წინადადება საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მომავალი პლენუმისთვის, რომელიც მიეძღვნება საკადრო პოლიტიკის სტილისა და მეთოდების სრულყოფის საკითხებს)

ჩვენ, სამამულო ომისა და შრომის ვეტერანები, პარტიული აპარატის ყოფილი მუშაკები, საქართველოს

პოლიტექნიკური ინსტიტუტის პოლიტიკური ეკონომიის კათედრის დოცენტები: ა. დოჭვირი, ი. ლალაშვილი და ა. ჯაფარიძე გულითადად ვიწონებთ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მიერ უკანასკნელ წლებში განხორციელებულ დიდ სასარგებლო და საჭირო ღონისძიებებს. კერძოდ, კმაყოფილებით აღვნიშნავთ ამა თუ იმ უბანზე ხელმძღვანელი კადრების შერჩევისას მოცემული კოლექტივის აზრის გათვალისწინებას, რომლის დადებითი შედეგების შესახებ ჩვენი კათედრის მაგალითზე გვსურს მოკლედ მოგახსენოთ.

ამ ხუთიოდე წლის წინათ პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა (პირადად ამხ. ე. ა. სეხნიაშვილმა) ყურად იღო სპი-ს პოლიტიკური ეკონომიის კათედრის საკმაოდ მრავალრიცხოვანი კოლექტივის (70-მდე კაცი) ერთსულოვანი თხოვნა კათედრის გამგედ პატიოსანი, ნიჭიერი და მზარდი ახალგაზრდის, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ ლ. ჩიქავას მოწვევის შესახებ და დააკმაყოფილა იგი. ლ. ჩიქავამ რესპუბლიკის ხელმძღვანელი ორგანოების, ინსტიტუტის ხელმძღვანელობისა და კათედრის წევრთა მიერ მის მიმართ გამოცხადებულ ნდობასა და აღიარებას გაორკეცებული ენერგიით, მუყაითი შრომით, ბევრი სასარგებლო ინიციატიის წამოწყებითა და განხორციელებით უპასუხა. მოკლე დროში იგი ჩამოყალიბდა როგორც აღიარებული მეცნიერ-ეკონომისტი, პედაგოგი და აღმზრდელი, ერუდირებული ხელმძღვანელ-ორგანიზატორი. მან რამდენიმეჯერ საესებით სამართლიანად დაიმსახურა ქვეყნის ხელმძღვანელი ორგანოების მადლობა. გასულ (1978) წელს ჩვენი ინსტიტუტიდან მას პირველს მიენიჭა სსრ კავშირის უმაღლესი სკოლის წარჩინებული მუშაკის საპატიო წოდება, ხოლო საქართველოს უმაღლესმა საბჭომ ნაყოფიერი სამეცნიერო და პედაგოგიური მოღვაწეობისთვის საპატიო სიგელით დააჯილდოვა.

თავიანთი არჩევანით კმაყოფილმა კათედრის წევრებმა მხარი აუბეს კათედრის გამგეს, არ დაიშურეს უნა-

რი და ენერგია კათედრის წინაშე მდგარი ამოცანების დროულად და მაღალხარისხოვნად შესრულებისთვის.

შრომითი კოლექტივისა და ხელმძღვანელის ასეთმა ოპტიმალურმა ურთიერთმორგებამ, ურთიერთნდობამ და საქმიანმა დამოკიდებულებამ ფრიად ხელსაყრელი ატმოსფერო შექმნა ნაყოფიერი სამეცნიერო და პედაგოგიური მუშაობის გაშლისა და სტუდენტთა შორის სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის გაუმჯობესებისთვის, რაც ამჟამად საყოველთაოდ აღიარებულია არა მარტო ჩენი ინსტიტუტის მასშტაბით (კათედრა ოთხი წელია ზედიზედ იმარჯვებს საერთო-საინსტიტუტო კათედრებს შორის გაშლილ შეჯიბრებაში და ჯილდოვდება სათანადო ვიმპელით), არამედ მთელი რესპუბლიკისა და ცალკეულ შემთხვევებში მის ფარგლებს გარეთაც (მოსკოვი, ლენინგრადი, პრაღა და ა.შ.).

აი, უმოკლეს ვადაში როგორი თვალსაჩინო წარმატებები შეიძლება მიღწეულ იქნეს კოლექტივის აზრის გათვალისწინებით მისი ხელმძღვანელის შერჩევისას. ამიტომ, ვფიქრობთ, განზოგადება-გავრცელებას საჭიროებს იგი.

პატივისცემით: **(დოჭვირი ა.)**
**(ლალაშვილი ი.)**
**(ჯაფარიძე ა.)**
1979 წლის 5 თებერვალი.

ასეთი ინიციატივა კათედრის წევრებს არ მოვუწონე, მაგრამ გულის სიღრმეში არ მესიამოვნა-მეთქი რომ ვთქვა, მართალი არ ვიქნები.

პოლიტექნიკურ ინსტიტუტში პოლიტიკური ეკონომიის კათედრა ჩავიბარე ძალიან საინტერესო ისტორიის მქონე პიროვნებისგან – ალექსანდრე (საშა) პაპავასგან, რომელიც დროებით (დაახლოებით ერთი წლის განმავლობაში) ასრულებდა მისი გამგის მოვალეობას.

ბ-ნი ალექსანდრე გასული საუკუნის 30-იან წლებში ყოფილა

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეცნიერებისა და კულტურის განყოფილების გამგე, რომელიც თურმე აშკარად გამოდიოდა ხელისუფლების მიერ გატარებული მთელი რიგი (საზოგადოებისთვის ზიანის მომტანი) ღონისძიებების წინააღმდეგ. იგი არაერთხელ დაპირისპირებია თვით ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს ლავრენტი ბერიას. ამ უკანასკნელს გაუფრთხილებია: „სამა, თავი დაანებე ასეთ გამოსელებს, თორემ დაიღუპები. შენი მაღალი ნიჭიერებითა და მგზნებარებით თუ გვერდში დაგვიდგები, არ წააგებო". ბ-ნ ალექსანდრეს, როგორც მისი ბიოგრაფიიდან ჩანს, თავისი მრწამსისთვის მაინც არ უღალატნია და ხელისუფლების წინააღმეგ მწვავე გამოსელები გაუგრძელებია. ამისთვის ცენტრალური კომიტეტის განყოფილების გამგეობიდან გაუთავისუფლებიათ, გადაუყვანიათ ჯერ კონსერვატორიის, ხოლო შემდეგ — ქუთაისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის რექტორად, ცოტა ხნის შემდეგ კი პირდაპირ ციმბირის გზაზე გაუყენებიათ. გადასახლებაში გაუტარებია ოცი წელი. თავიდან ამდენი არ ჰქონია მისჯილი, მაგრამ თურმე როგორც კი მოიხდიდა სასჯელს, რაღაც შარს მოსდებდნენ და ხელახლა უსჯიდნენ. გადასახლებიდან დაბრუნდა 1956 წელს. თავდაპირველად გაუჯანჯლეს, მაგრამ შემდეგ როგორც იქნა დართეს მუშაობის უფლება და შეუდგა ლექციების კითხვას საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის პოლიტიკური ეკონომიის კათედრაზე.

ალექსანდრე პაპავა იყო განათლებული და ფართოდ ერუდირებული პიროვნება, გარეგნული აღნაგობით მიმზიდველი კაცი, ინტელიგენტი ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით. მასთან უბრალოდ შეხვედრა და საუბარიც კი დიდ სიამოვნებას გვრიდა ადამიანს. მახსენდება შესანიშნავი, საოცრად ლამაზი და შინაარსით აღსავსე შეხვედრები ბ-ნი ალექსანდრეს აქტიური მონაწილეობით. მან არაჩვეულებრივი მოლხენა იცოდა, ამიტომ ხშირად ვირჩევდით სუფრის თამადად. ბ-ნმა ალექსანდრემ ერთხელ თავისი წარსული ცხოვრებიდან ერთი ასეთი ეპიზოდი გაიხსენა: „ვისვენებდი რა კისლოვოდსკში, რუსი ეროვნების ერთ მშვენიერ მანდილოსანთან ერთად შევედი რესტორან „ვერაგობა და სიყვარულში". არსად გვეჩქარებოდა და დიდხანს ვიჯე-

ქით სუფრასთან. ჩვენთვის საკმარისი ყველაფერი გვქონდა, მაგარმ ოფიციანტმა სრულიად მოულოდნელად მოგვართვა შამპანურები, მწვადები, შოკოლადები და საუკეთესო სურვილები. რომ ვიკითხეთ, საიდან, ვისგანო? გვითხრეს, თავისი ვინაობის შესახებ არაფერი უთქვამს, ეს შეუკვეთა და გეთხოვა თქვენთვის მოგვერთმიაო. ცხადია, ჩვენ ამდენი სასმელის ამთვისებლები არ ვიყავით, ნაწილი გვერდით მსხდომებს მივართვით, ნაწილი ოფიციანტს ვაჩუქეთ. როცა ანგარიშის გასწორების დრო დადგა, ოფიციანტმა მოგვასსენა, ნუ შეწუხდებით, ყველაფერი რიგზეა, იმ თქვენმა მეგობარმა გადაიხადაო.

ამაზე ჩემი თანამესუფრე ქალბატონი გადაირია, ცხოვრებაში ბევრი რამ მინახავს, მაგრამ ასე ინკოგნიტოდ (ვინაობის გაუმხელად) ადამიანმა სხვას ამდენი პატივი სცეს, პირველად ვნახეო. ასეთი რამ, ალბათ, მხოლოდ ქართველებს თუ შეუძლიათო".

ბ-ნმა ალექსანდრემ ეს ამბავი მეგობრობისა და მეგობრების სადღეგრძელოს მოაყოლა და აღნიშნა, რომ აი, ზემოთ ჩემს მიერ მოთხრობილია ნამდვილი მეგობრობის ნიმუში და არა ის, რომ ერთი ადამიანი მეორეს სიკეთეს გაუკეთებს მომავალში უკეთესი სამაგიეროს მიღების მიზნითო.

ჩემი პირადი გამოცდილებითაც ვადასტურებ ასეთი დასკვნის სრულ ჭეშმარიტებას.

პოლიტექნიკურ ინსტიტუტში კათედრის გამგედ მუშაობის მთელი ცხრა წლის განმავლობაში ჩემი მარჯვენა ხელი იყო უაღრესად ნათელი გონების პიროვნება, კეთილშობილებით გამორჩეული და უღალატო ადამიანი — ვალერი ქირია. იგი წინადადების დამთავრებამდე ხვდებოდა სათქმელის არსსა და მნიშვნელობას, ოქმს აფორმებდა სხდომის დამთავრებამდე, დადგენილების ნაწილიც ყოველთვის სანიმუშოდ ჰქონდა ჩამოყალიბებული, როცა გადავწყვიტეთ მის ლექციაზე კოლექტიური დასწრება, ცოტათი ვშიშობდი, ვაითუ როგორც საჭიროა ისე არ გამოუვიდეს-მეთქი. ასეთი სიფრთხილის საფუძველს მაძლევდა მისი არასაბაზო (არაეკონომიკური) განათლება (მას დამთავრებული აქვს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სამშენებლო ფაკულტეტი, მაგრამ არის ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატი). სინამდვილემ ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა, ლექცია წაიკითხა

ბრწყინვალელ. საინჟინრო საბაზო განათლებამ მას არა მარტო არ შეუშალა, არამედ, პირიქით, დიდად შეუწყო ხელი ეკონომიკური თეორიის საკითხების მომავალი ინჟინრებისთვის გასაგებად და საინტერესოდ ახსნასა და გადაცემაში.

პოლიტექნიკურ ინსტიტუტში ერთობლივი ღონისძიებების ჩატარებაში მჭიდროდ და ნაყოფიერად ვთანამშრომლობდი ფილოსოფიის კათედრის გამგესთან, პროფ. ვახტანგ გაგოიძესთან, პარტიის ისტორიის კათედრის გამგესთან, პროფ. გრიგოლ ბრეგაძესთან და მეცნიერული კომუნიზმის კათედრის გამგესთან, პროფ. კოტე ტოტოჩავასთან, თავიანთი ერისა და ქვეყნის სამსახურში სრულად დახარჯული და პირნათლად ვალმოხდილი ეს ადამიანები ამჯერად უკვე მარადისობაში არიან გადასული და მშვიდად განისვენებენ. ღმერთო, ნათელში ამყოფე მათი ჭეშმარიტად სპეტაკი სულები.

კათედრის გამგედ მუშაობის პერიოდში პროფ. გ. ჭანუყვაძემ, პროფ. ირ. ქვაჩახიამ და ამ სტრიქონების ავტორმა ერთობლივად მოვამზადეთ და გამოვაქვეყნეთ პოლიტიკური ეკონომიის დამხმარე სახელმძღვანელო ორ ნაწილად (ორ წიგნად), რომელსაც სპეციალისტთა კომპეტენტურმა საკონკურსო კომისიამ საქართველოს უმაღლესი განათლების სამინისტროს პრემია მიანიჭა. პირველი ნაწილი გამოცემულია პროფ. გ. ჭანუყვაძის (1978 წ.), ხოლო მეორე — პროფ. ლ. ჩიქავას (1980 წ.) რედაქციით. ასევე, 1986 წელს რუსულიდან ქართულ ენაზე ითარგმნა და პროფესორების ლ. ჩიქავასა და გ. ჭანუყვაძის რედაქციით გამოქვეყნდა ავტორთა კოლექტივის მიერ (აკად. ა. რუმიანცევის ხელმძღვანელობით) მოსკოვში გამოცემული სახელმძღვანელო — „პოლიტიკური ეკონომია“, გამომცემლობა „განათლება“, თბილისი, 1986.

საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის პოლიტიკური ეკონომიის კათედრა, ისე როგორც რიგი სხვა კათედრებისა, თანამშრომლობდა პრაღის უმაღლესი ტექნიკური სასწავლებლის შესაბამის განყოფილებასთან, ამიტომ ხშირი იყო თანამშრომელთა ურთიერთმიმოსვლა და ერთობლივი ღონისძიებები. პირადად მიმიწვიეს საინსტიტუტო სამეცნიერო კონფერენციაზე, სადაც გამოვედი მოხსენებით თემაზე — **„მეცნიერებისა და**

წარმოების ინტეგრაციის ახალი ფორმები“ (ტექსტი დაიბეჭდა პრაღის უმაღლესი ტექნიკური სასწავლებლის შრომების კრებულში 1984 წელს).

პრაღაში მიმიღეს მაქსიმალური ყურადღებითა და დიდი პატივისცემით, განსაკუთრებით იმ თანამშრომლებმა, რომლებიც უკვე იყვნენ თბილისში ნამყოფნი და, შეიძლება ითქვას, კარგად მიცნობდნენ.

ეთანამშრომლობდით, აგრეთვე, ბუქარესტის პოლიტექნიკური ინსტიტუტის პოლიტიკური ეკონომიის კათედრასთან. მისი გამგე ბ-ნი ვ. გრადიშტიანუ ჩვენი სტუმარი იყო ორკვირიანი ვიზიტით. თავადაც ვიყავი მათთან მიწვეული და ერთმანეთს დეტალურად გავუზიარეთ ჩვენი გამოცდილება იმის შესახებ, თუ რა თანამედროვე მეთოდებსა და ხერხებს ვიყენებდით ასალგაზრდა ინჟინერთა კადრების საფუძვლიანი ეკონომიკური განათლების უზრუნველსაყოფად.

ჩემზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა როგორც ჩეხეთის, ისე რუმინეთის ისტორიული ღირსშესანიშნაობების დათვალიერებამ. მეხსიერებაში განსაკუთრებით აღმებეჭდა ჩვენი სახელოვანი თანამემამულის ანთიმოზ ივერიელის ღვაწლი ქართველი და რუმინელი ხალხების კულტურის ურთიერთდაახლოებაში. საქართველოდან რუმინეთში სტუმრად ჩასულ ყოველ ქართველს სიამაყით აღავსებს ამ ბრწყინვალე წინაპრის მიერ თავის დროზე ორგანიზებული ტიპოგრაფიის (სტამბის) დღეისთვის თვალსაჩინო მატერიალურ ძეგლად შემორჩენილი ნაგებობათა კომპლექსი[1].

როგორც პოლიტექნიკური ინსტიტუტის პოლიტიკური ეკონომიის კათედრის გამგე, 1981 წელს ისევ ხუთი თვით მიმავლი-

---

[1] სიყრმისას საქართველოდან გაგაცებულმა და შემდგომ კონსტანტინოპოლში ყვეულ გაყიდულმა ანთიმოზ ივერიელმა თავისი არაჩვეულებრივი ნიჭიერების მეოხებით დიდ წარმატებებს მიაღწია როგორც მრავალი ენის მცოდნემ, მხატვარმა, კალიგრაფმა, სკულპტორმა და სასულიერო მოღვაწემ. მან თავის ახალ სამშობლოში — ვალახიაში საკუთარი ძალისხმევით დაარსებულ სტამბაში რუმინულ, ბერძნულ, ძველ სლავურ და არაბულ ენებზე გამოსცა 60-ზე მეტი წიგნი, რომელთაგან ოთხი საკუთრივ მის კალამს ეკუთვნის, ხოლო ათს მის მიერ წამძღვარებული წინასიტყვაობა ამშვენებს.

ნეს ლომონოსოვის სახ. მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტთან არსებულ საზოგადოებრივ მეცნიერებათა მასწავლებლების კვალიფიკაციის ამაღლების ინსტიტუტში. კათედრის გამგე პროფ. ვლადიმერ კოროჩკინი განსაკუთრებულ ყურადღებას იჩენდა ჩემდამი, როგორც ჩვენს კათედრაზე მიელინებით ნამყოფი, და ჩვენს საქმიანობას ასე თუ ისე გაცნობილი კოლეგა. იგი მომიხსენიებდა ხოლმე მთელ საბჭოთა კავშირში, კათედრის წევრთა რიცხოვნობით, ყველაზე დიდი კათედრის გამგედ. არ დამიზუსტებია, მაგრამ შესაძლებელია სინამდვილეში ეს ასეც ყოფილიყო.

ამჯერად ჩემი აქტიურობა უფრო გამოიკვეთა, რომელიც დაგვირგვინდა იმით, რომ შემაჯამებელ საინსტიტუტო სამეცნიერო კონფერენციაზე, როგორც მომხსენებელს, ჟიურიმ პირველი ადგილი მომანიჭა (შესაბამისი დოკუმენტი ჩემს პირად არქივში ინახება). ცხადია, ყველა მოკავშირე რესპუბლიკის 150-მდე წარმომადგენელს შორის ასეთი საპატიო ადგილის დაკავება ძალინა გამიხარდა და იგი არსებითად ქართული ეკონომიკური სკოლის გამარჯვებად, მის აღიარებად ჩავთვალე.

ალბათ, არც ის ფაქტია უმნიშვნელო, რომ ამ ინსტიტუტის პოლიტიკური ეკონომიის კათედრის პროფესორ-მასწავლებელთა მიერ მომზადებული შრომების კრებულის რედაქტირება მე მომანდეს და ჩემს მიერ გაკეთებული საქმიანი შენიშვნებისთვის დიდი მადლობა გამომიცხადეს.

კვალიფიკაციის ამაღლების ინსტიტუტში ყოფნისას გამოქვეყნდა ჩემი სტატია საკავშირო ჟურანლში „Экономические науки“ 1981, № 6. ჟურნალის ეს ნომერი ჩემი სტატიით იხსნება, რაც ავტორის ნაფიქრალ-ნააზრევის ფართო მასების წინაშე განსასჯელად გამოტანის თვალსაზრისით მნიშვნელოვან მიღწევად აღიარეს ჩემმა (როგორც ქართველმა, ისე არაქართველმა) კოლეგებმა.

კვალიფიკაციის ამაღლების ინსტიტუტში ჩემთან ერთად იყვნენ ისტორიკოსები პროფ. გრ. ბრეგაძე და პროფ. იგორ კვესელავა. ჩვენი თითქმის ყოველდღიური კავშირი სრულ ურთიერთგაგებასა და ურთიერთპატივისცემაზე იყო დამყარებული, რაც კეთილ მოგონებად დამრჩა. აქვე გავიცანი მოსკოვის

უნივერსიტეტის წარჩინებული სტუდენტი, ორგანიზაციული მუშაობით მთელს უნივერსიტეტში გამორჩეული ახალგაზრდა ვახტანგ სართანია. იგი ამჟამად ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორია. როგორც ოფიციალურ ოპონენტს, მისი სადისერტაციო ნაშრომის საუკეთესოობამ გაცნობამ დიდი სიამოვნება მომანიჭა. ბ-ნი ვახტანგი საკმაოდ დიდი ხნის განმავლობაში იყო სულხან-საბა ორბელიანის სახ. თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტის რექტორი, სადაც მან ისახელა თავი როგორც შესანიშნავმა ორგანიზატორმა და ადამიანებთან კეთილი ურთიერთობის დამყარების დიდოსტატმა.

ვაანალიზებ რა ჩემს წარსულს, გამოდის, რომ საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში გავატარე ჩემი შეგნებული ცხოვრების მნიშვნელოვანი ნაწილი – 24 წელი (15 წელი კათედრის წევრის, ხოლო 9 წელი კათედრის გამგის რანგში). გულწრფელად ვაღიარებ, რომ მთელი ამ ხნის განმავლობაში ჩემზე დაკისრებულ მოვალეობას ყოველთვის მაქსიმალური მონდომებითა და მაღალი პასუხისმგებლობით ვასრულებდი, რაც შეუმჩნეველად არ დარჩენიათ არც ინსტიტუტის ხელმძღვანელობას (თუ პროფ. ი. ბუაჩიძესთან დაკავშირებულ ზემოაღნიშნულ მცირე გაუგებრობას არ მივიღებთ მხედველობაში) და არც ამ გიგანტი დაწესებულების იმ თანამშრომლებს (მხედველობაში მყავს პარტკომის, კომკავშირის კომიტეტის, პროფკავშირის, დეკანატების და სხვ. მუშაკები), რომლებთანაც მქონდა თითქმის ყოველდღიური საქმიანი ურთიერთობა.

ამის დასტურია თუნდაც ის, რომ 1979 წელს, გამოცხადებული იყო რა კონკურსი საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის რიგების შესავსებად, ინსტიტუტის რექტორმა აკად. ა. ძიძიგურმა პირადად დამირეკა და მითხრა, რომ ინსტიტუტის ხელმძღვანელობა ერთსულოვნად უჭერს მსარს აკადემიის წევრ-კორესპონდენტის ადგილის დასაკავებლად თქვენი კანდიდატურის წამოყენებას, მაგრამ საჭიროა თქვენი თანხმობაო. ჩემი მოკრძალებული მეცნიერულ-პედაგოგიური საქმიანობის ესოდენ მაღალი შეფასებისთვის მადლობა ვუთხარი ბ-ნ არჩილს, ამავე დროს დავუსაბუთე ასეთი ნაბიჯის გადადგმის

მიგანშეუწონლობა. მთავარი არგუმენტი იყო ის, რომ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტად კენჭს იყრიდა პროფ. ვ. მელქაძე. მართალია, მისი სადოქტორო დისერტაციის ერთ-ერთი ოფიციალური ოპონენტი ვიყავი, მაგრამ მას, როგორც ჩემი წინა თაობის წარმომადგენელს, გაცილებით მეტი დამსახურება ჰქონდა მეცნიერებაში და მის კონკურენტად დადგომა ჩემი მხრივ არაეთიკური საქციელი იქნებოდა. ბ-მა არჩილმა სწორად გამიგო და კანდიდატურა არ წამოუყენებიათ.

პოლიტექნიკურ ინსტიტუტში ჩემი მუშაობის უკანასკნელ პერიოდში, იქვე შეთავსებით, ჩვენი მომიჯნავე დანაყოფის — წარმოების ეკონომიკისა და ორგანიზაციის კათედრის გამგის მოვალეობას ასრულებდა აკად. ა. გუნია. მან შემომიარა და მირჩია მის მოადგილედ (მაშინ იგი მუშაობდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის დირექტორად) გადასვლა. მისი აზრით, ჩემი მომავალი პერსპექტიეის თვალსაზრისით ასეთი ნაბიჯის გადადგმა უსათუოდ გამართლებული იქნებოდა. ბ-ნი ავთანდილი საკმაოდ კარგად მიცნობდა, ჯერ ერთი, ეკონომიკის ინსტიტუტთან სიახლოვით; მეორე, ჩემი სადოქტორო დისერტაციის ოპონირებით; მესამე, ჟურნ. „საქართველოს ეკონომისტის“ სარედაქციო კოლეგიაში ერთად თანამშრომლობით; მეოთხე, კათედრის გამგის თანამდებობაზე ჩემი მუშაობის გამოცდილებით; და, რაც მთავარია, ჩემი პუბლიკაციებითა და საჯარო გამოსვლებით.

ჩემი პირველი პასუხი იყო ასეთი: „მოვიფიქრებ და მოგახსენებთ“.

მიუხედავად იმისა, რომ წინადადება საკმაოდ ანგარიშგასაწევი იყო და ჭკუაში დამიჯდა, ძალიან გამიჭირდა გადაწყვეტილების მიღება. როცა მესამედ მომმართა ბ-ნმა ავთანდილმა, უკვე დაყოვნება არ შეიძლებოდა და ამის თაობაზე საქმის კურსში ჩავაყენე ინსტიტუტის რექტორი აკად. თეიმურაზ ლოლაძე. მან შეიცხადა და მთხოვა გადამეფიქრებინა ეს განზრახვა. თქვენი მოსვლის შემდეგ პოლიტიკური ეკონომიის კათედრაზე მდგომარეობა ნორმალური გახდა და ახლა ისევ აირევაო. რაკი დაინახა, რომ ჩემი გადაწყვეტილება მტკიცე

იყო, მითხრა, თქვენს შემცვლელად ვის კანდიდატურას გეთავაზობთ. დავუსახელე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პოლიტიკური ეკონომიის კათედრის პროფესორის ვალერიან დათუკიშვილის კანდიდატურა, რომელსაც ჰქონდა ამ გამორჩეულ უმაღლეს სასწავლებელში კომკავშირისა და პარტიული კომიტეტის მდივნის, ასევე, პროფკავშირის კომიტეტის თავმჯდომარის თანამდებობებზე მუშაობის მდიდარი გამოცდილება და სადოქტორო დისერტაციაც საქართველოს მანქანათმშენებლობის ეკონომიკური ისტორიის საკითხებზე ჰქონდა დაცული.

ბ-ნ თეიმურაზს, როგორც მანქანათმშენებლობის დარგის სპეციალისტს, ეს უკანასკნელი მონაცემი განსაკუთრებით მოეწონა და გამოთქვა სურვილი მასთან შესვედრისა, რომელიც შეთანხმებით დაგვირგვინდა. აი, ასე და ამგვარად გადაწყდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სისტემაში ჩემი გადასვლის საკითხი.

# 7. ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტში

1983 წლის 1 სექტემბრიდან მუშაობა დავიწყე საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილედ სამეცნიერო მუშაობის დარგში. ამ კოლექტივის თითქმის ყველა წევრს (ეკონომისტები მყავს მსედველობაში) კარგად ვიცნობდი, ამიტომ ადაპტირების პროცესი არ გამძნელებია. ხუთი წლის განმავლობაში, ე.ი. მანამ, სანამ ვსარგებლობდი დირექტორის მხრივ სრული ნდობითა და მხარდაჭერით, ინსტიტუტში ჩემი მუშაობა იყო, მართალია, ინტენსიური, მაგრამ ნაყოფიერი და სასურველშედეგიანი. თავდაპირველად ყველა მეცნიერ-ეკონომისტის, ხოლო შემდეგ — ჩემი საკურატორო ხუთი განყოფილების წევრების მიერ შესრულებულ მეცნიერულ-კვლევით ნაშრომებს საკმაოდ ვრცლად მიმოვიხილავდი ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს სხდომებზე და თითოეულ ავტორს ვაძლევდი საფუძვლიან შენიშვნებს, ძირითადად ზოგადი ხასიათის, მაგრამ, არც თუ იშვიათად, კონკრეტულსაც. როგორც გამოირკვა ასეთ მოთხოვნებს არ იყვნენ შეჩვეული ინსტიტუტის თანამშრომლები[1] და გაიკვირვეს კიდეც, ზოგიერთმა იწყინა და ბუტიობა დაიწყო, მაგრამ მერე შეეჩვივნენ და ცხოვრებისეულ ნორმად გაისადეს. ასეთმა მიდგომამ გაამართლა და მნიშვნელოვნად ამაღლდა წლიური კვლევითი ნაშრომების მეცნიერული დონე. ამას ყველა, ვინც კი ოდნავ მაინც იყო საქმის კურსში, ერთსულოვნად აღიარებდა როგორც ინსტიტუტში, ისე მის ფარგლებს გარეთაც.

---

[1] მაგალითად, ინსტიტუტის უფროსმა მეცნიერ-თანამშრომელმა, ეკონ. მეცნ. კანდიდატმა შოთა მელაძემ მითხრა (სხვების თანდასწრებით): „როცა ჩემი კოლეგების ნაშრომებზე აკეთებდი შენიშვნებს, ჩემს გულს ბრაგა-ბრუგი გაპქონდა და საკუთარ გახშირებულ მაჯისცემას თვითონვე ვგრძნობდი, ვფიქრობდი, ნეტავი მერამდენეა ჩემი და რას იტყვის მომხსენებელი მის შესახებ. რომ მცოდნოდა ასეთ მკაცრ საჯარო განხილვას მომიწყობდნენ, შევეცდებოდი უფრო უკეთესი ნაშრომი წარმომედგინაო“.

პრინციპული საჯარო განხილვების საბოლოო მიზანიც სწორედ ეს იყო.

ინსტიტუტში, მრავალი სხვადასხვა ხასიათის სამუშაოს შესრულებასთან ერთად, ვცდილობდი გარკვეული დადებითი წვლილი შემეტანა აკად. პ. გუგუშვილისა და აკად. ა. გუნიას შორის არსებული დაძაბული ურთიერთობის რამდენადმე მაინც განმუხტვაში. შეიძლება ითქვას, რომ ამას საკმაოდ წარმატებით ვასერხებდი, ალბათ, იმის მეოხებით, რომ ვსარგებლობდი ჩემდამი ორივეს ჭეშმარიტი ნდობითა და კეთილი დამოკიდებულებით. ამა თუ იმ საკითხზე „საბრძოლოდ“ შემართული ბ-ნი პაატა დირექტორთან შესვლის წინ ჩემთან შემოიცლიდა ხოლმე. გავიგებდი რა მისი ვიზიტის მიზანს, ვეუბნებოდი, თუ ნებას დამრთავთ, ამ საკითხს დირექტორთან მე შევათანხმებმეთქი. არ მახსოვს, ბ-ნ ავთანდილს რაიმე თხოვნაზე უარი ეთქვას, რომლის შემდეგ ბ-ნი პაატას გამოთქმები ასეთი იყო: „ლეო, რაღაც ღვთისნიერმა ძალამ მომიცლინა შენი თავი, როგორი ნერვებდამშვიდებული მივდივარო“.

ბ-ნ პაატასთან დაკავშირებით მახსენდება ერთი ფრიად მოკრძალებული, შინაური შეხვედრა ჩვენი საუკეთესო მეგობრისა და კოლეგის ბ-ნი რეზო იმორიას ოჯახში სადილზე. როცა დამპატიჟა, ბ-ნ რეზოს არ უთქვამს, თუ ჩემს გარდა კიდევ ვინ იქნებოდა. დამხვდნენ ბ-ნი პაატა, მისი მეუღლე ქ-ნი ნინო და რეზოს ოჯახის წევრები, რაკი მეტი არჩევანი არ იყო, სუფრის გაძღოლა მასპინძელმა მე მთხოვა. შეხვედრის დამთავრებისას, როგორც მიღებულია, ჩემს სადღეგრძელოში ბ-მა პაატამ თქვა: „ბ-ნი ლეო ჩემი უმცროსი მეგობარი და უღალატო კაცია. რომელი პროფილიდანაც შეხედავ, იგი ყოველთვის სუფთად გამოიყურებაო“.

მკაცრი და მაღალმომთხოვნი მასწავლებლის მიერ ესოდენ მაღალი შეფასება მარად დაუვიწყარია ჩემთვის.

ერთ-ერთი მთავარი მიზანი, რომელმაც გადამაწყვეტინა მეცნიერებათა აკადემიის სისტემაში გადასვლა, იყო ის, რომ მქონოდა მეტი დრო მეცნიერული მუშაობისთვის. ეს მოლოდინი ძირითადად გამართლდა. ყოველი სამუშაო დღის დილის 9 საათიდან საღამოს 5-6 საათამდე ვიჯექი რა კაბინეტში, ორგანიზაციული საკითხების მოგვარებასთან ერთად, ვეწეოდი მეცნიერულ კვლევას. 1986 წლისთვის მივიყვანე საჭირო

კონდიციამდე და 1987 წელს გამოვაქვეყნე მონოგრაფიული გამოკვლევა – **„არამატერიალური წარმოების სფეროს პოლიტეკონომიური ასპექტები“**, თბილისი, გამომც. „მეცნიერება“, 28 ნ.თ. ცხადია, დღევანდელი თვალსაწიერიდან ამ ნაშრომში გამოთქმული რიგი მოსაზრებებისა მოძველებულია და დაზუსტებას საჭიროებს, მაგრამ თავის დროზე მან როგორც სპეციალისტთა (იხ. ამავე კრებულში აკად. ა. გუნიასა და პროფ. გ. ადეიშვილის რეცენზია), ისე მკითხველთა ფართო წრის მხრივ ერთსულოვანი მოწონება და აღიარება დაიმსახურა.

ინსტიტუტში ჩემი საქმიანობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიმართულებას ახალგაზრდა მეცნიერ-ეკონომისტთა კადრების მომზადებაში სათანადო წვლილის შეტანა შეადგენდა. არა მარტო ასპირანტებსა და მაძიებლებს (ჯ. გრიგოლაშვილი, ი. წერეთელი, ა. ახალაძე, ვ. გოგისვანიძე, თ. აქუბარდია, გ. დუმბაძე, რ. ქერდიყოშვილი, ა. პავლიაშვილი, ნ. მიჩილაშვილი, გ. თუთბერიძე, გ. მერლანი, გ. ურიდია, ლ. სურციძე და სხვ.) ეუწეედი მეცნიერულ ხელმძღვანელობას, არამედ შესაძლებლობის ფარგლებში ვეხმარებოდი იმ თანამშრომლებსაც (ი. ასათიანი, ა. ბრეგვაძე, გ. წერეთელი, ა. თეთრაული, თ. ჩიკვაიძე, ვლ. პაპავა, გ. ბედიანიშვილი, თ. ბერიძე, მ. თოქმაზიშვილი და სხვ.), რომლებიც მუშაობდნენ სადოქტორო დისერტაციებზე. დახმარება გამოიხატებოდა კონსულტაციების გაწევაში, ნაშრომების წაკითხვასა და მათზე შენიშვნების გაკეთებაში, შემდგომი მსვლელობის მისაცემად წინასწარი რეცენზიის დაწერაში და ა.შ.

აქტიურად ვმონაწილეობდი ეკონომიკის პრობლემებზე როგორც ადგილობრივი, ისე საერთაშორისო მნიშვნელობის სამეცნიერო კონფერენციებისა და სიმპოზიუმების ჩატარების ორგანიზაციული საკითხების მოგვარებაშიც. ერთ-ერთი ასეთი საერთაშორისო სიმპოზიუმი მოეწყო ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის მასპინძლობით თბილისში, რომელშიც მონაწილეობდნენ რუსეთის, პოლონეთის, რუმინეთის, ბულგარეთის, ჩეხოსლოვაკიის, უნგრეთის, გდრ-ის, საქართველოს ცნობილი ეკონომისტები. სიმპოზიუმს ხელმძღვანელობდნენ აკად. ევგენი პრიმაკოვი და აკად. ლეონიდ აბალკინი. სხვებ-

თან ერთად, მოხსენებით წარსდგა ამ სტრიქონების ავტორიც. სიმპოზიუმი წარმატებული გამოდგა.

სტუმრებს დავათვალიერებინეთ თბილისისა და გორის ღირშესანიშნავი ადგილები, მატერიალური კულტურის ძეგლები. ბ-ნმა ავთანდილმა ჩაილაპარაკა, ჩემი მეუღლე ცოცხალი რომ ყოფილიყო, ასეთ საპატივცემულო სტუმრებს აუცილებლად ბინაზე მივიწვევდიო. მე ვუთხარი, ჩემი მეუღლე ცოცხალია და ამის ორგანიზებას თავად უზრუნველვყოფ-მეთქი. მართლაც, როგორც იტყვიან, საუცხოო სუფრა გამოვიდა, ნამდვილი ქართული პურ-მარილი, ყველა თავისი ატრიბუტით. უკანასკნელ მომენტში ბ-მა ავთანდილმა თქვა, რომ ბ-ნ ლ. აბალკინს (ე. პრიმაკოვი წინა დღეს წავიდა) ოჯახში მიწვევას ვერ შევთავაზებ, ჩემი აზრით, არც წამოვაო. ოჯახში საგანგებო მზადების შემდეგ ასეთი პესიმისტური განწყობა ტყვიასავით მომხვდა გულში. თუ ასეა, ეს საქმე მე მომანდეთ-მეთქი და როგორც კი მოვიპატიჟე (მე ხომ მანამდეც ვიცნობდი მას), მაშინვე დიდი სიამოვნებით დამთანხმდა. დავპატიჟე აგრეთვე ცხრა უცხოელი სტუმარი აღმოსავლეთ ევროპის სოციალისტური ქვეყნებიდან (დელეგაციების ხელმძღვანელები), ჟურნ. „Экономические науки"-ს მთავარი რედაქტორი, ბ-ნი ავთანდილ გუნიᲐ და რამდენიმე ადგილობრივი ცნობილი პიროვნება. არაჩვეულებრივი საღამო გამოვიდა. სტუმრები აღფრთოვანებულნი დარჩნენ ასეთი თბილი მიღებით (როგორც მასპინძელს, სუფრის ხელმძღვანელობა თავადვე დამაკისრეს). აკად. ლ. აბალკინი ყოველ ჩვენს შეხვედრაზე სიამოვნებით იხსენებს ხოლმე იმ განუმეორებელ საღამოს.

1987 წლის 26 თებერვალს ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს სხდომაზე პირველ რიგში მე და ბ-ნი პაატა ერთმანეთის გვერდით ვისხედით. სხდომის დაწყებიდან დაახლოებით ერთი საათის შემდეგ ყურში ჩამჩურჩულა, რაღაც ვერა ვარ კარგად და ჰაერზე გავალო. ვუთხარი, მეც გამოგყვებით-მეთქი. არა, არაო, ისე ცუდად კი არა ვარო. სხდომათა დარბაზიდან გასვლის შემდეგ კიდევ უფრო დამძიმებულა მდგომარეობა, თავის კაბინეტამდე ძლივს მიუღწევია, სასწრაფო დახმარება გამოუძახნიათ და, როცა სხდომის მონაწილეებმა გავიგეთ, უკვე

წაყვანილი იყო საავადმყოფოში. რაოდენ დასანანია, რომ იმ ღამეს აღესრულა ეს გიგანტი მეცნიერი და ცნობილი საზოგადო მოღვაწე. ალბათ, გადაჭარბებული არ იქნება თუ ვიტყვი, რომ ამით დამთავრდა ქართული ეკონომიკური მეცნიერების განვითარების ერთი უმნიშვნელოვანესი ეტაპი, რომელიც დაკავშირებული იყო ამ გამორჩეული მეცნიერისა და ჭეშმარიტად ერის დიდი მოამაგის ბობოქარ ცხოვრებასა და მრავალფეროვან მეცნიერულ-პედაგოგიურ მოღვაწეობასთან.

ამ დროისთვის ურთიერთობა ჩემსა და ბ-ნ ა. გუნიას შორის, ჯერ კიდევ, შეიძლება ითქვას, იყო იდეალური. მან მომთხოვა ჩემი გამოქვეყნებული ნაშრომების ჩამონათვალი და თქვა, რომ კარგია, მაგრამ ერთი ახალი მონოგრაფია რომ ახლდეს, ძალიან დაამშვენებდაო. თავდაპირველად ვერ მივხვდი, რისთვის მეუბნებოდა. მერე თქვა, რომ ახლა მალე გამოცხადდება ვაკანტური ადგილები მეცნიერებათა აკადემიაში და წევრ-კორესპონდენტის ადგილის დასაკავებლად თქვენი კანდიდატურის წარდგენას ვაპირებო. ამ მომენტში ჩემი კაპიტალური მონოგრაფია დაბეჭდვის პროცესში იყო და როცა გამოვიდა ბ-ნმა ავთანდილმა კმაყოფილება გამოხატა და აღნიშნა, ახლა თქვენ საქართველოში მოღვაწე ვერცერთი ეკონომისტი ვერ გაგიწევთ მეტოქეობასო. ბუნებრივია, მისი ასეთი კეთილი განწყობა დიდ სტიმულს მაძლევდა კიდევ უფრო ნაყოფიერი შემოქმედებითი მუშაობისთვის და მეც თავს არ ვზოგავდი.

სრულიად მოულოდნელად, ერთ „მშვენიერ“ დღეს ბ-ნ ავთანდილს შეეატყვე ჩემგან თითქმის 180°-ით შემოტრიალება. მიზეზი ვერაფრით ვერ დავადგინე არა მარტო იმ დღეს, არამედ კარგა ხნის შემდეგაც. ვაკვირდებოდი რა ჩვენს შორის ურთიერთობას, სასიკეთო არაფერი ჩანდა, პირიქით, იგი სულ უფრო იძაბებოდა. მითხრა; „აკად. ვ. ჩანტლაძესთან უკანასკნელი სიტყვებით რომ გიგინებივარ, გეგონა ვერ გავიგებდიო“. ეს იყო მტკნარი სიცრუე, რომელიც ისე იყო დაშორებული ჭეშმარიტებისგან, როგორც ცა დედამიწისგან. მას მოვუყევი დეტალურად თუ რა საუბარი შედგა ჩემსა და ბ-ნ ვასოს შორის: „ბატონმა ვასომ თავისივე ინიციატივით დამიწყო-მეთქი

საუბარი ამ საკითხზე და მკითხა, ბ-ნი ავთანდილი როგორაა განწყობილი თქვენდამი, ხელს სომ არ შეგიშლითო. ვუთხარი, რომ ურთიერთობა ჩვენს შორის აქამდე იყო იდეალური, ჩემდა გასაკვირად, უკანასკნელ პერიოდში ვსედავ, რომ რამდენადმე შერყეულია, მაგრამ არა მგონია ხელის შეშლა იკადროს-მეთქი". ვგრძნობდი, რომ ვიღაცა თუ ვიღაცები თავგამოდებით მუშაობდნენ ჩემს წინააღმდეგ და ამხელა პიროვნება ანკეტზე წამოაგეს, შეცდომაში შეიყვანეს, თანაც, ისე ღრმად, რომ ყოველი ჩემი სიტყვა ჰგავდა კედელზე შეყრილ ცერცეს. ახლა უკვე ჩემთვის მთავარი გახდა არა არჩევნებში მონაწილეობა, არამედ ამ არეულობაში სიმართლის დადგენა და რეალურ მდგომარეობაში ბ-ნი ავთანდილის დარწმუნება, მაგრამ ეს ვერაფრით ვერ მოვახერხე. შხამის ისეთი დიდი დოზა აღმოჩნდა მის ორგანიზმში შეყვანილი, რომ არაფრის გაგონება არ უნდოდა. ბოლოს ვუთხარი: „რა ვქნა, მე და უფალმა ხომ ვიცით, რომ მართალი ვარ, მაგრამ თქვენ ამის გაგონებაც კი არ გინდათ, ცოდვა მტყუანის ზურგზე იყოს-მეთქი". სხვათაშორის ისიც დავსძინე, რომ „თქვენისთანა განათლებულმა და გამოცდილების მქონე პიროვნებამ ხომ უნდა გააანალიზოს მოვლენები თუნდაც ფორმალური ლოგიკის კანონების მიხედვით. მაგალითად, ლოგიკის რომელ კანონს შეიძლება დაექვემდებაროს ის, რომ მოადგილემ დირექტორს, რომელზედაც არის დამოკიდებული მთელი მისი მომავალი, უმუხთლოს და ეშმაკს მიენდოს. ასეთი ადამიანი ან შეურაცხადი უნდა იყოს, ან უნდა აიძულოს ვინმემ, სხვანაირად ასეთი რამ არ ხდება პრაქტიკაში".

სამწუხაროდ, ვერც ამან გაჭრა, რაც მის გამოუსწორებელ ტრაგედიად ჩავთვალე. ეს იყო პირველი შემთხვევა ჩემს ცხოვრებაში, როცა მოპირდაპირე მხარე ვერაფრით ვერ დავარწმუნე ჩემს სიმართლეში, თანაც, არა მიახლოებით, არამედ ასპროცენტიან სიმართლეში.

ბუნებრივია, ასეთმა ცილისწამებამ ამაფორიაქა. იე. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ერთ-ერთი მაძიებლის მიერ დისერტაციის დაცვის შემდეგ, აკად. ვ. ჩანტლაძემ მითხრა, მანქანით თუ სართ დაგემგზავრებითო.

თანხმობა მიეცი, თან მოგუყვანე ეს ამბავი. გაოგნებული დარჩა და აღნიშნა, რომ ევრაფრით ამისსნია, თუ როგორ უნდა შეთხზულიყო ასეთი სიყალბე.

იმის ნათელსაყოფად, თუ რა დონეზე იყო ასული ამასთან დაკავშირებით ჩემი ნერვიულობა, საკმარისია ერთი დეტალის გახსენება. უნივერსიტეტის მაღლივი კორპუსიდან რომ გამოვედით, მე და ბ-ნმა ვასომ მარცხნივ ჩავუხვიეთ, რამდენადაც, ჩვეულებრივ, იქ ვაჩერებდი სილმე მანქანას. იმ დღეს ადგილები არ იყო თავისუფალი და კორპუსის წინ დავაყენე, მაგრამ ამ დაბაბულ საუბარში ეს გადამავიწყდა. როგორც კი მივედით იმ ადგილას, სადაც შეგულებოდა მანქანა, მაგრამ ფაქტიურად არ აღმოჩნდა, ყველაფერი აღსდგა ჩემს მეხსიერებაში. ახლა მთავარი იყო ოპტიმალური გამოსავლის მოძებნა და ბ-ნ ვასოს ვუთხარი, „მეგობარმა მთხოვა მანქანის გასაღები, საღღაც იყო მისასვლელი და შევთანხმდით, რომ მერე მანქანა აქ უნდა დაეყენებინა, მაგრამ, როგორც ჩანს, შენობის წინ დაუყენებია და თუ არ შეწუხდებით იქით წავიდეთ-მეიქი“.

ჩვენს ინსტიტუტში მაინც შედგა აკადემიის რიგების შესავსებად გამოცხადებული ვაკანსიების დასაკავებლად კანდიდატურების წამოყენებისადმი ბიძღვნილი სამეცნიერო საბჭოს სხდომა, სადაც სამართლის სპეციალობით წამოაყენეს დირექტორის მოადგილის პროფ. თამაზ შავგულიძის კანდიდატურა, ეკონომიკის სპეციალობით კანდიდატურის წამოყენებაზე კი, დირექტორის ჩათვლით, რომელსაც მიჰყავდა სხდომა, ყველამ სმა გაკმინდა. ჩანდა, რომ თანამშრომლები ბ-ნი ავთანდილისგან ელოდნენ ასეთ წინადადებას, რაც კანონზომიერიც იქნებოდა. ბოლოს სიტყვა ითხოვა ინსტიტუტის ახლაგაზრდა მეცნიერთა საბჭოს თავმჯდომარემ ბ-მა ელგუჯა მექვაბიშვილმა და აღნიშნა: „ეკონომისტთა შემადგენლობიდან დღეისთვის საქართველოში მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის საპატიო ტიტულს თუ ვინმე იმსახურებს, ეს პირველ რიგში პროფ. ლეო ჩიქავაა, ამიტომ ვაყენებ მის კანდიდატურასო“. აღმოჩნდნენ რა ფაქტის წინაშე, ეს წინადადება ღაადასტურეს საბჭოს წევრებმა.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონ-

ლენტად ჩემს არჩევას, ოფიციალური შეტყობინებით, მსარი დაუჭირეს: მოსკოვიდან – აკადემიკოსებმა ლ. აბალკინმა და ტ. ხაჩატუროვმა, უკრაინიდან – აკად. ი. ლუკინოვმა, ყაზახეთიდან – აკად. თ. აშიმბაევმა, აზერბაიჯანიდან – პროფ. თ. ლალიევმა და სხვ.

არჩევნებში ეკონომიკის სპეციალობით წევრ-კორესპონდენტის ერთ ეკანსიაზე კენჭს იყრიდა რვა პიროვნება, რომელთაგან ყველზე მეტი – რვა ქულა მიეიღე, მაგრამ გამსვლელი იყო ცხრა. ხმის დამთვლელ კომისიას თავმჯდომარეობდა ბ-ნი გუნია. ამის დანარჩენი ქვეტექსტის გაშიფვრა ძნელი როდია. თუმცა, მას ეს საიდუმლოება კოლეგების ვიწრო წრეში უნებლიედ გაუმეღავნებია კიდეც, რამდენადაც უთქვამს: „ლეომ ჩემი გული ვერ მოიგო, ამიტომაც დაისაჯა. გამარჯვებისკენ მიმავალი გზა გადავუკეტეო“ ამას კიდევ არ დავიჯერებდი, პირადად ჩემთვის რომ არ ეთქვა: „მსარი არ დაგიჭირე იმიტომ, რომ პირადი ერთგულება ვერ დამიმტკიცეო“. მოგვიანებით ყველაფერი ნათლად გაიშიფრა. ვინც ეს თავიდან ააგორა (იმის გამო, რომ მისი დანაშაულებრივი მოქმედებების კურსში ვიყავი და ჩემი დაწინაურებისას კარგი მომავალი არ ელოდა) დღეს ცოცხალი არაა, ამიტომ თავს შევიკავებ მისი დასახელებისგან. მოტივი კი, რომლითაც ადვილად განაწყო მან ბ-ნი ავთანდილი ჩემს წინააღმდეგ, შემდეგი ყოფილა: „ლეო ჩიქავა პაატა გუგუშვილის ერთგული მოწაფეა და დღეს გაჩუმებულია, მაგრამ თუ აკადემიის წევრი, ხოლო შემდეგ ინსტიტუტის დირექტორი გასდება, თქვენ ძირფესვიანად მოგთხრით, ტრაქტორივით ზედ გადაგიელით. ყოველივე ეს მისი მოქმედებიდან არა აშკარად, მაგრამ ქვეცნობიერად ნათლად ჩანსო“.

ბ-ნი ავთანდილის ტრაგედია იმაში გამოიხატა, რომ მან, როგორც ბ-ნი პაატას სიძულვილით (რომლის არავითარი საფუძველი არ ჰქონდა) დაბრმავებულმა პიროვნებამ, ყოველივე ეს მოჭორილი სიცრუე რეალობად აღიქვა და თავი მეტისმეტად უხერხულ მდგომარეობაში ჩაიყენა. მიუხედავად ამისა, ვევედრები უფალს, შეუნდოს ამასთან (და არა მარტო ამასთან) დაკავშირებული ყველა ცოდვა, რომელიც თან გაყვა მუდმივ სასუფეველში გადასვლისას.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ხელმძღვანელობამ იგრძნო ამასთან დაკავშირებული უსერსულობა, რომელიც წარმოიქმნა აკად. ა. გუნიას მიერ ჩემი

პიროვნების დისკრედიტაციასთან დაკავშირებით[1] და მხარი დაუჭირა დამოუკიდებელი ერთეულის სახით დემოგრაფიის სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების კვლევის ცენტრის დაარსების შესახებ ჩემს წინადადებას. ასეთი სპეციალური ცენტრის შექმნა ათეული წლების მანძილზე აკად. პ. გუგუშვილის ოცნებას წარმოადგენდა და თავის დროზე ბევრს ეცადა მის განხორციელებას, მაგრამ სასურველ მიზანს ვერ მიაღწია.

ჩვენი ქვეყნისთვის ურთულეს პერიოდში საქართველოს მთავრობამ, უფრო კონკრეტულად თუ ვიტყვი, პირადად მისმა თავმჯდომარემ ბ-ნმა ნოდარ ჭითანავამ, გაიცნობიერა რა არაორდინარული დემოგრაფიული ვითარება ქვეყანაში, მიიღო გადაწყვეტილება დემოგრაფიული კვლევის ცენტრის შექმნის შესახებ, რომლის ხელმძღვანელობა აკადემიის პრეზიდიუმმა მე დამავალა. აკადემიის ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებით, ერთ წელიწადში შეერთდა მის სისტემაში შემავალი დემოგრაფიის სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების კვლევისა და სოციოლოგიური კვლევის სამეცნიერო ცენტრები და ჩამოყალიბდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის დემოგრაფიისა და სოციოლოგიური კვლევის ინსტიტუტი, რომლის დირექტორად არჩეულ იქნა ამ სტრიქონების ავტორი.

---

[1] ინსტიტუტის დირექტორად დანიშვნა ჩემთვის თვითმიზანს არ წარმოადგენდა, მაგრამ რაკი ამ თანამდებობისთვის საჭირო მონაცემები გამოკვეთილად სხვაზე მეტი მქონდა და საზოგადოებრივი აზრიც ჩემს გადმოყვანას საბოლოოდ ამ მიზანს უკავშირებდა, გაუგებარი იქნებოდა ჩემი კანდიდატურის ესოდენ მოულოდნელად უგულებელყოფის მიზეზები.

# 8. დემოგრაფიისა და სოციოლოგიური კვლევის ინსტიტუტში

1991 წლის 28 მარტიდან საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის სისტემაში ფუნქციონირება დაიწყო დემოგრაფიისა და სოციოლოგიური კვლევის ინსტიტუტმა, მაგრამ თავდაპირველ და მთავარ პრობლემას მისი განსათავსებელი შენობის უქონლობა წარმოადგენდა. ორივე ყოფილი ცენტრი თავთავიანთ რამდენიმე ოთახში იყო მოთავსებული, რაც მინიმალურადაც ვერ აკმაყოფილებდა მუშაობის ნორმალური პირობების შესაქმნელად წაყენებულ მოთხოვნებს. ამ საკითხზე მივმართე ქვეყნის იმდროინდელ პრეზიდენტს ბ-ნ ზვიად გამსახურდიას (მასთან მოხვედრისთვის თუ რა წვალება განვიცადე, ამის გადმოცემა შორს წაგვიყვანდა). გულისხმიერად მოეკიდა რა ჩემს თხოვნას, შემომთავაზა: „საბურთალოზე პროფკავშირების სახლის ორი სართული რომ გამოგიყოთ, თუ დაგაკმაყოფილებთო“. რა თქმა უნდა, დიდი მადლობელი ვიქნებით-მეთქი. თავის პირად მდივანს დაავალა, გადაეცით ქალაქის მერიას, რომ ეს საკითხი დაუყონებლივ მოაგვაროსო.

ჩემს თანამშრომლებს აღფრთოვანებით მოვუყევი, თუ როგორი გულისყურით მოეკიდა პრეზიდენტი ამ ეროვნულ საქმეს და მოკლედ, მაგრამ რაოდენ ნათლად ჩამოაყალიბა ჩვენი ინსტიტუტის ამოცანები. უსაზღვრო მადლიერების საჯაროდ გამოხატვა გადავწყვიტეთ და პრესისთვის ვრცელი პუბლიკაცია მოვამზადეთ. კიდევ კარგი, რომ ამ მასალის გამოქვეყნება ვერ მოესწრო.

როგორც ჩვენამდე მოვიდა ინფორმაცია, ჩემი წამოსვლის შემდეგ, იმავე საღამოს რადიკალურად შეიცვალა ვითარება. იუსტიციის სამინისტროს მოუსურვებია რუსთაველზე — პროფკავშირების საბჭოს შენობაში გადასვლა (საღაც უნდა

ჩაესახლებინათ სამსახურები, რომლებიც განთავსებულნი იყვნენ პოუკავშირების სახლში). ამ წინადადებაზე პრეზიდენტის დაყოლიებამ საფუძველი გამოაცალა ჩვენს შეთანხმებას და საკითხი ღიად დარჩა. როცა გავიგე ყოველივე ეს, განმეორებით ვეასელი, მაგრამ ახლა სულ სხვა პრეზიდენტი ვიხილე. გავახსენე რა ორი დღის წინ მის მიერ მოცემული პირობა, საშინლად გაბრაზებულ-გაღიზიანებულმა უხეშად მომახალა, „ამისთანა საკითხზე ჩემთან რატომ მოდიხართ, რომელი შენობების გამანაწილებელი მე მნახეთო“. ამ სიტყვებმა სასტიკად მატკინა გული არა მარტო ჩვენი ინსტიტუტის, არამედ მთელი ქვეყნის პერსპექტივის თვალსაზრისით. აშკარად დავინახე, რომ თავისი სამშობლოს სიყვარულში ამ მართლაც შეუდარებელ პიროვნებას ქვეყნის მართვის იოტისოდენა უნარიც კი არ ჰქონდა. სამწუხაროდ, ასეთი დასკვნის ჭეშმარიტება სავსებით დაადასტურა მომდევნო მოვლენებმა.

ბ-მა ზვიად გამსახურდიამ თავისი სიბეცე იმითაც გამოავლინა, რომ, არამკითხე მოამბეთა რჩევით, პარლამენტიდან გაგვაძევა (დიახ, გაგვაძევა ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით) კომპარტიის საგით არჩეული დეპუტატები, ისეთი ავტორიტეტები, როგორებიც იყვნენ: ევგენი ხარაძე, ანდრია აფაქიძე, როინ მეტრეველი, მინდია სალუქვაძე, თამარ დეკანოსიძე, ნოდარ ჭითანავა, გოგი ქავთარაძე, ვაჟა გურგენიძე, ამ სტრიქონების ავტორი და სხვ., საიმედო დასაყრდენად კი დაიტოვა დომუხოვსკები, პეტრიაშვილები, ქორიძეები და ა.შ.

პარლამენტის წევრად, ზემოთ ჩამოთვლილ პირებთან ერთად, ჩემი დაახლოებით ერთი წლის განმავლობაში ყოფნის ყველაზე მნიშვნელოვან შედეგად საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტზე 1991 წლის 9 აპრილს ხელის მოწერა მიმაჩნია. ეს ისტორიული მნიშვნელობის ფაქტია და, ალბათ, ყოველთვის კეთილ მოგონებად დარჩება ჩემს შთამომავლობას.

აღნიშნული ინციდენტის შემდეგ, ინსტიტუტისთვის შენობის ძიება განვაგრძე ინდივიდუალურად. თვალი დავადგი პუშკინის ქ. №5/7-ში მდებარე შენობას, რომელიც „ჰელსინკის კავშირმა“ (თავმჯდომარე ზვიად გამსახურდია) დაიცლევინა სა-

ქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის სისტემაში შემავალ დაწესებულებას – „ეროვნებათაშორისი ურთიერთობის კელევის ცენტრს“. ამ უკანასკნელს სამაგიერო ფართი სხვაგან გამოუყვეს. „ჰელსინკის კავშირს“ ამხელა ფართი (თითქმის 2 ათასამდე კვადრატული მეტრი) არ სჭირდებოდა, ამიტომაც ვთხოვდი ჩვენთვის ერთი სართულის დათმობას. კატეგორიულ უარს არ გვეუბნებოდნენ, მაგრამ საკითხის გადაჭრას აჭიანურებდნენ.

ამასობაში დაიწყო 1992-1993 წლების მოვლენები, რომელსაც მოჰყვა ბ-ნი ზ. გამსახურდიას ხელისუფლების დამხობა. მთავრობის თავმჯდომარედ კვლავ ბ-ნი თ. სიგუა დაინიშნა, რომელიც მანამდეც იყო ამ საქმის კურსში და ყველანაირად გვიჭერდა მხარს. როგორც კი საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ხელმძღვანელობამ ჩემს მიერ გააზრებულად შედგენილი ბრძანების პროექტი წარუდგინა, ბ-მა თენგიზმა მაშინვე მოაწერა ხელი მას. იგი ასეთი შინაარსისა იყო: „თბილისში, პუშკინის ქუჩაზე № 5/7-ში მდებარე ხუთსართულიანი შენობა დაუბრუნდეს თავის ყოფილ მფლობელს – საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიას და გადაეცეს თავის ბალანსზე მის სისტემაში შემავალ დემოგრაფიისა და სოციოლოგიური კვლევის ინსტიტუტს“.

აი, ასე მოგვარდა ეს პრობლემატური საკითხი და ინსტიტუტს შეექმნა ხელსაყრელი პირობები ნაყოფიერი შემოქმედებითი მუშაობისთვის.

არანაკლები მნიშვნელობისა იყო ინსტიტუტის კვალიფიციური კადრებით დაკომპლექტება. ფუნქციონიერება დავიწყეთ 22 თანამშრომლით და სულ რამდენიმე თვეში მათმა რიცხოვნობამ 100-ს გადააჭარბა. ინსტიტუტში ჩამოვაყალიბეთ 9 განყოფილება: მოსახლეობის აღწარმოების (გამგე მერაბ ხმალაძე), ოჯახის კვლევის (გამგე მზია ბექაია), ისტორიული დემოგრაფიის (გამგე ანზორ თოთაძე), მოსახლეობის დასაქმების დემოგრაფიული პრობლემების (გამგე იზოლდა აბაშიძე), მოსახლეობის მიგრაციისა და განსახლების სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების (გამგე ლამარა ბერიძე) სოციალური და ეთნოდემოგრაფიული კვლევის (გამგე ელგუჯა მენაბდიშვი-

ლი), სოციალური და პოლიტიკური ცვლილებების სოციოლოგიური კვლევის (გამგე დარეჯან ყარაულაშვილი), საბაზრო ურთიერთობათა სოციოლოგიის (გამგე ომარ შურღაია) და დემოგრაფიული და სოციოლოგიური ინფორმაციის კომპიუტერული დამუშავების (გამგე ბორის ცერცვაძე). დასახელებულ მეცნიერ-მუშაკებთან ერთად, ინსტიტუტის სამეცნიერო თემატიკის დამუშავებაში თვალსაჩინო წვლილი შეიტანეს: ინსტიტუტის დირექტორის მოადგილემ პროფ. აეთანდილ სულაბერიძემ, პროფესორებმა რევზო გაჩეჩილაძემ, გიორგი წულაძემ, ვაჟა ლორთქიფანიძემ, ნოდარ ბაქარიაძემ, მირიან ტუსაშვილმა, შოთა თეთვაძემ; ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატებმა: გიორგი მელაძემ, რომან ხარბედიამ, გელა გრიგოლაშვილმა, თამაზ ზუბიაშვილიმა, ლელა მენაბდიშვილმა, ნანა მენაბდიშვილმა, ჯამლეთ ჯანჯღავამ, ზურაბ ტაბლიაშვილმა, ვაჟა გურგენიძემ, მზია შელიამ, ლია ჭყონიამ, ელისო გაჩეჩილაძემ, მანანა ჭიპაშვილმა; ინსტიტუტის სწავლულმა მდივანმა ციცინო გვრიტიშვილმა და სხვ.

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ფუნდამენტური კვლევის პროგრამითა და გრანტის ხაზით შესრულებულ სამუშაოებთან ერთად, 1999 წელს ინსტიტუტის თანამშრომელთა და გარედან მოწვეულ სპეციალისტთა მიერ, ჩემი აქტიური მონაწილეობით, საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 3 აპრილის № 120 დადგენილების თანახმად, შემუშავებულ იქნა „ერთიანი სახელმწიფო სოციალურ-დემოგრაფიული და საოჯახო პოლიტიკის კონცეფცია-პროგრამა, რომლის პრეზენტაცია მოხდა ქ. კიევში ჩატარებულ საერთაშორისო კონფერენციაზე და მან 15 ქვეყნისა და „იუნისეფის“ წარმომადგენელთა მხრივ მაღალი შეფასება დაიმსახურა. სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, რომ საქართველოში ვერ გამოინახა დრო ამ მნიშვნელოვანი დოკუმენტის მთავრობის დონეზე განხილვის მოსაწყობად, ამიტომ იგი ქვეყნისთვის სრულიად გამოუყენებელი დარჩა.

2000 წელს საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდიუმმა მოისმინა და მოიწონა ჩემი მოხსენება თემაზე — **„დემოგრაფიული კრიზისი საქართველოში და მისი**

**დაძლევის ძირითადი მიმართულებანი“**, რომლის საფუძველზე შემუშავებული რეკომენდაციები განსახილველად და შესაძლებლობის ფარგლებში გასათვალისწინებლად წარედგინა ქვეყნის პრეზიდენტს, მაგრამ მას არანაირი რეაგირება არ მოჰყოლია.

დემოგრაფიისა და სოციოლოგიური კვლევის ინსტიტუტში, ჩემი თაოსნობით, ახალ მეცნიერულ მიმართულებებად ჩამოყალიბდა:

**ა) მათემატიკური დემოგრაფია.** ამ დარგში, სპეციალისტთა კადრების არარსებობის გამო, მეცნიერული კველვა საერთოდ არ მიმდინარეობდა. შემდეგ, ინსტიტუტში ასპირანტურის მეშვეობით დაიწყო კადრების მომზადება მათემატიკურ დემოგრაფიაში, რომელთაგან რამდენიმემ უკვე დაიცვა სამეცნიერო ხარისხი. ერთ-ერთი მათგანის – ნ. მაღლაფერიძის მეცნიერული კვლევის შედეგებმა აღიარება და მოწონება დაიმსახურა აშშ-ში, სადაც გამოქვეყნდა მისი ნაშრომი.

**ბ) დემოგრაფიული სოციოლოგია.** მეცნიერების ეს ორი მნიშვნელოვანი დარგი (დემოგრაფია და სოციოლოგია) ერთმანეთისგან დამოუკიდებლად ასე თუ ისე ეითარდებოდა, მაგრამ ერთმანეთთან ორგანულად არ იყო დაკავშირებული. დღეისთვის ინსტიტუტში დემოგრაფიული პროცესების კვლევა მეტწილად სოციოლოგიაში დამკვიდრებული ხერხებისა და მეთოდების მომარჯვებით სწარმოებს, რაც საგრძნობლად ზრდის მის მეცნიერულ დონეს და დამაჯერებლობას მატებს კვლევის შედეგად გაკეთებულ დასკვნებს.

სისტემატურად ვთანამშრომლობ ნიუ-იორკის მეცნიერებათა აკადემიასთან, რომელმაც 1998 წელს ამირჩია თავის შემადგენლობაში აკადემიის ნამდვილ წევრად – აკადემიკოსად. ასევე, აქტიურ მონაწილეობას ვღებულობ საერთაშორისო ჟურნალის – „Общество и экономика“-ს (მთ. რედაქტორი - რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი კ. მიკულსკი) სარედაქციო კოლეგიის საქმიანობაში, როგორც მისი წევრი. 1998 წელს მოხსენებით გამოვედი საერთაშორისო კონფერენციაზე ქ. მოსკოეში თემაზე: „საქართველოს ეროვნული ეკონომიკის სოციალური ორიენტირებულობის შე-

სახებ", რომელიც მოაწყო რუსეთის მეცნიერებათა აკადემიასთან არსებული ჟურნალის „Общество и экономика"-ს სარედაქციო კოლეგიამ, სოციალური პრობლემების საერთაშორისო ასოციაციასთან ერთად. მოხსენების ტექსტი გამოქვეყნდა ამ ჟურნალის 1999 წლის № 10-11-ში და სპეციალურ მონოგრაფიაში — „გარდამავალი საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები (დსთ-ს ქვეყნების პრაქტიკიდან)", რუსულ ენაზე, მოსკოვი, 2000.

სისტემატურად ვაქვეყნებ სამეცნიერო სტატიებს საქართველოში გამომავალ ჟურნალებში: „ეკონომიკა", „საქართველოს ეკონომიკა", „სოციალური ეკონომიკა", „მაცნე (ეკონომიკის სერია)", „დემოგრაფია", „კომენტარი", „ახალი ეკონომისტი" და ა.შ.

თავად საბაზო განათლებით ვარ არა დემოგრაფი, არამედ ეკონომისტი (პოლიტეკონომი), მაგრამ რაკი დემოგრაფიისა და სოციოლოგიური კვლევის ინსტიტუტის ხელმძღვანელობა დამევალა, საჭირო გახდა ორივე დარგში ცოდნის გაღრმავება. ვერ ვიტყვი, რომ რადიკალურად გარდავიქმენი და ჩამოყალიბდი სრულფასოვან დემოგრაფად ან სოციოლოგად, თუმცა, ნაშრომები გამოვაქვეყნე აღნიშნულ დარგებშიც. ჯერ ერთი, ჩემი თანავტორობითა და რედაქციით უკვე გამოქვეყნდა სოციოლოგიისა და დემოგრაფიის პრობლემების ორი ტომი (მესამე მზადაა გამოსაცემად). გარდა ამისა, მრავალ სამეცნიერო სტატიასთან ერთად, ცალკე წიგნად გამოვაქვეყნე — „დემოგრაფიული კატეგორიები და კანონები" (იხ. ამავე კრებულში პროფ. ამირან ჯიბუტის რეცენზია ამ ნაშრომზე). აღნიშნულ ნაწარმოებში შეიძლება ბევრი იყოს საკამათო, მაგრამ, ფაქტია, რომ მასში პირველადაა გაშუქებული დემოგრაფიული (დემოლოგიური) კანონების არსი, ფორმულირება, მოქმედების ხასიათი, კლასიფიკაცია და ა. შ., რაც ჩემს მიერ ეკონომიკურ და დემოგრაფიულ ლიტერატურაში შეტანილ ერთ-ერთ მოკრძალებულ წვლილად შეიძლება ჩაითვალოს.

ისე როგორც სხვა ეტაპებზე, დემოგრაფიისა და სოციოლოგიური კვლევის ინსტიტუტში მუშაობის დროსაც ჩემი საქმიანობის მნიშვნელოვან კომპონენტს ახალგაზრდა მეცნიერთა

კადრების მომზადება წარმოადგენდა. ამას დიდად შეუწყო ხელი ინსტიტუტში დემოგრაფიის, სოციალური სტრუქტურისა და ცხოვრების წესის, აგრეთვე, განათლების, კულტურისა და შემეცნების სოციოლოგიის სპეციალობით ასპირანტურის გახსნამ და ჩემი თავმჯომარეობით სამეცნიერო ხარისხების მიმნიჭებელი საბჭოს შექმნამ. 1993-2005 წლებში ჩემი მეცნიერული კონსულტირებით სადოქტორო დისერტაციები დაიცვეს ინსტიტუტის თანამშრომლებმა: მერაბ ხმალაძემ, ვაჟა ლორთქიფანიძემ, ელგუჯა მენაბდიშვილმა და ავთანდილ სულაბერიძემ; ამავე პერიოდში ჩემი მეცნიერული ხელმძღვანელობით საკანდიდატო დისერტაციები დაიცვეს: ნიკა მაღლაფერიძემ, მზია შელიამ, ლელა მენაბდიშვილმა, ვაჟა ლორთქიფანიძემ, ომარ შურღაიამ, ვახტანგ კვიციანმა, ფატი შენგელიამ, ვასტანგ გოგისვანიძემ, ნანა მენაბდიშვილმა, ლადო სულაბერიძემ, ქეთი მდინარეძემ, ნატო კოპალეიშვილმა.

დემოგრაფიისა და სოციოლოგიური კვლევის ინსტიტუტთან არსებულ სამეცნიერო ხარისხების მიმნიჭებელ საბჭოზე დაცულ იქნა სულ 4 სადოქტორო და 30-ზე მეტი საკანდიდატო დისერტაცია. დაკომპლექტების ახალი წესების შემოღებასთან დაკავშირებით, სამეცნიერო ხარისხების მიმნიჭებელმა საბჭომ 2005 წელს შეწყვიტა ფუნქციონირება და დემოგრაფიის სპეციალობის დაცვები გაგრძელდა ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, სადაც მე და ჩემი კოლეგები შეყვანილნი ვიყავით საბჭოს შემადგენლობაში.

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის სისტემაში მუშაობისას, განსაკუთრებით ინსტიტუტის დირექტორად ყოფნის დროს, თითქმის ყოველდღიური კავშირი მქონდა აკადემიის ხელმძღვანელობასთან. არ შემიძლია არ გავიხსენო ის ხალხი და უაღრესად თბილი დამოკიდებულება, რომელსაც არა მარტო ჩემს მიმართ, არამედ ყველა მისი გარემოცვის მიმართ იჩენდა თავის დროზე აკადემიის პრეზიდენტი აკადემიკოსი ევგენი ხარაძე. მის პიროვნებას, გამორჩეულ მეცნიერულობასთან ერთად, კრისტალური სისპეტაკე, მაღალი ზნეობრიობა და რაფინირებული კულტურა ამშვენებდა. ჩვენი პირველი შეხვედრა მოხდა სამეცნიერო კონფერენციაზე, სადაც

მან ყურადღებით მოისმინა ჩემი მოხსენება და მოსმენილის თაობაზე დიდი კმაყოფილება გამოხატა, მადლობა გადამიხადა და ისე დამემშვიდობა. ამის შემდეგ გავიდა რამდენიმე წელი, მოულოდნელად ტელეფონის ზარის ხმა გაისმა და იკითხა, ბ-ნი ლეო ბრძანდებითო? მას თავისებური დიქცია ჰქონდა და მაშინათვე ვიცანი. დიახ, ბ-ნო ევგენი, გახლავართ-მეთქი. როგორ მისვლით, რომ მე ვრეკავო? ბ-ნო ევგენი, თუ თქვენ გახსოვართ, როგორ შეიძლება მე არ მახსოვდეთ და თქვენი ხმა არ მეცნო-მეთქი. გაზეთში წაუკითხავს და მომილოცა საქართველოს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის საპატიო წოდების მინიჭება. რამდენიმე წლის შემდეგ, უკვე პენსიაზე მყოფმა, ასევე, მომილოცა ღირსების ორდენით დაჯილდოება.

ასეთი უნიკალური ყურადღების გამოვლინება, ჩემი აზრით, მხოლოდ დიდი შინაგანი კულტურის მქონე პიროვნებებს ძალუძთ, ღმერთმა უმრავლოს საქართველოს მისნაირი სახელოვანი ადამიანები.

სერიოზული პრობლემები არც მომდევნო პრეზიდენტთან — აკად. ა. თავსელიძესთან მქონია, მაგრამ მასთან ჩემი (და არა მარტო ჩემი) ურთიერთობა თითქმის ყოველთვის რამდენადმე დაძაბული იყო. ცხადია, უაღრესად დიდ პატივს მივაგებდი (და მივაგებ ამჟამადაც) საერთაშორისო მნიშვნელობის მის მეცნიერულ მიღწევებს, მაგრამ ვერაფრით ვერ ვეგუებოდი მის უცნაურ პიროვნულ თვისებებს. ერთი ეპიზოდი წარსულიდან: როცა დაიწყო ბ-ნი ზ. გამსახურდიას განდევნის პროცედურა და შეუწყვეტელი სროლები ისმოდა თბილისის ცენტრალურ ქუჩებში (განსაკუთრებით რუსთაველის პროსპექტზე), ვაკის პარკთან გაადგილებულ ინფორმაციული კელევის ცენტრის შენობაში გასიგნულა აკადემიის ხელმძღვანელობა. გამომიძახა და როგორც კი გამოეჩნდი, ისტერიული ყვირილი მორთო: „სად ხართ, რას აკეთებთ, რატომ რუსთაველის პროსპექტის მიდამოებში გამვლელ-გამომლელთა სოციოლოგიურ გამოკითხვას არ აწარმოებთო“, ეუთხარი, იმავე მიზეზის გამო, რისთვისაც ბრძანდებით თქვენ აქ გახიზნული. ახლა მოვდიეარ ინსტიტუტიდან (მახარაძის ქ. № 14-დან), სადაც ტყვიები წვიმასავით მოდის, შემთხვევით გადავრჩი, რა დროს სოცი-

ოლოგიური გამოკითხვაა, თქვენ ხუმრობთ, თუ ამას სერიოზულად მეუბნებით-მეთქი". არ ესიამოვნა, მაგრამ მარითალი ვიყავი და ვერაფერი მითხრა.

იყო პერიოდი (გასული საუკუნის 70-იანი წლების მეორე ნახევარი), როდესაც საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიაში ქართველი სწავლული ეკონომისტები წარმოდგენილნი იყვნენ ოთხი ნამდვილი წევრითა (პ. გუგუშვილი, ირ. მიქელაძე, ვ. ჩანტლაძე, ა. გუნია) და ერთი წევრ-კორესპონდენტით (ვ. მელქაძე). დროთა განმავლობაში მას შემდეგ, რაც ეს მეცნიერები აღესრულნენ, მათ შემცვლელებზე არავინ იზრუნა, როცა ქართველმა ეკონომისტებმა ბ-ნ ალეკოს მივმართეთ თხოვნით იმის თაობაზე, რომ აკადემიის რიგების შევსებისას საკონკურსოდ ეკონომიკის სპეციალობით გამოეყო თუნდაც ერთი ნამდვილი წევრის ვაკანსია, უტიფრად გვიპასუხა: „ეკონომისტებმა დაღუპეთ ეს ქვეყანა და თქვენ კიღევ ხმა ამოგეღებათო". სანამ მე პრეზიდენტი ვარ, ეკონომისტებმა ადგილების გამოყოფაზე არც იფიქროთო?".

აი, როგორ ესმოდა მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტს ქვეყნის დაღუპვის მიზეზები და ქართველი ეკონომისტების „როლი" ამ პროცესში. სხვათაშორის, მისმა ამ უცნაურმა ნათქვამმა გამახსენა ერთი ცნობილი ანეკდოტი, რომელიც მას მოვუყევი: „ერთ ქვეყანაში ნეიროქირურგიული ოპერაციების გაკეთება თურმე, ნეიროქირურგების ნაცვლად, ყასბებს შიანდეს. ცხადია, პაციენტები მასობრივად დაიხოცნენ. ატყდა ყიჟინა ნეიროქირურგების მისამართით — „ნეიროქირურგებო, რას შვრებით, ეს რა ხდება, თქვენ ყველანი თვითონვე სართ დასახოცნი".

ვერ კიტყვი, რამდენად ჩაწვდა ბ-ნი პრეზიდენტი ნათქვამის არსს, მაგრამ ხისტად და უხასიათოდ კი გამშორდა.

უკეთილშობილესი პიროვნება გახლდათ აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი აკად. ანდრია აფაქიძე. გარდა იმისა, რომ ის იყო აღიარებული მეცნიერი არქეოლოგიაში და ცნობილი საზოგადო მოღვაწე, შეიძლება ითქვას, როგორც პიროვნება წარმოადგენდა მაღალი ზნეობის ეტალონს. როცა საკითხი შეეხებოდა ქართული მატერიალური კულტურის ძეგლების გადარჩე-

ნას, ჩვეულებრივ მდგომარეობაში ეს ბუნჩულა, უწყინარი კაცი, უცებ ისე გააფთრდებოდა და აბობოქრდებოდა, რომ ვერ იცნობდი. ასლაც თვალწინ მიდგას მისი არაერთი ასეთი ემოციური გამოსვლა და მთავრობის მისამართით კატეგორიული მოთხოვნები კანონდარღვევების აღმოსაფხვრელად.

ამ ღვთისნიერი პიროვნების საკმაოდ ვრცელი და მისთვის ჩვეული შემართებით გამოსვლა უკანასკნელად მოვისმინე გარდაცვალების წინადღეს საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის დიდ სხდომათა დარბაზში. სადაც, აკადემიის ამჟამინდელი პრეზიდენტის, აკად. თ. გამყრელიძის თავმჯდომარეობით, ჩატარდა აკად. პ. გუგუშვილის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო საღამო. შეთანხმებულები ვიყავით, რომ ოფიციალური ნაწილის შემდეგ, დარჩებოდა ბანკეტზეც და მერე მივაცილებდი სახლამდე, მაგრამ ცოტა შეუძლოდ იგრძნო თავი და ვერ დარჩა. სამწუხაროდ, იმ ღამეს აღესრულა ეს ერის საამაყო შვილი, რომელიც მთლიანად ღაიხარჯა მშობლიური ქვეყნის საკეთილდღეოდ და პირწმინდად ვალმოხდილი წავიდა ამქვეყნიური ცხოვრებიდან.

1988 წლიდან მოყოლებული მთელი ცხრა წლის განმავლობაში ახალი წევრებით შევსება არ ყოფილა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიაში. მორიგი არჩევნები დაინიშნა 1997 წელს. ეკონომიკაში გამოიყო ორი წევრ-კორესპონდენტის ადგილი, მ. შ. ერთი ეკონომეტრიკაში, ხოლო მეორე — მაკროეკონომიკაში. ეკონომეტრიკაში პროფ. ვ. პაპავას მხოლოდ ერთი კონკურენტი ჰყავდა, ისიც მათემატიკოსი, მაკროეკონომიკაში კი კონკურსში მონაწილეობდნენ ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორები: ნოდარ ჭითანავა, იაკობ მესხია, თემურ ბერიძე, გიორგი წერეთელი, ვალერიან ადვაძე და ამ სტრიქონების ავტორი.

ბ-ნმა ა. გუნიამ ვერ დაიცდიწყა რა ცრუ ინფორმაციაზე დამყარებული ჩემდამი არაჯანსაღი დამოკიდებულება, კვლავ სცადა ჩემთვის ხელის შეშლა და „ლეო ჩიქავას მატარებელი ჩაელილად ჩათვალა“. ეს საკონკურსო კომისიაზე ნათქვამი მისი სიტყვებია. თანაც, იცით აკადემიის პრეზიდიუმის მიერ გამოყოფილი საკონკურსო კომისიის სხდომა სად შედგა? არც

მეტი არც ნაკლები — აკად. ა. გუნიას ბინაში, რაც უპრეცედენტო შემთხვევა გახლდათ. ბ-ნი ავთანდილი აკად იყო. აკადემიაში ვერ მოვიღოდა (იგი ამ არჩევნების შემდეგ სამ თვეში გარდაიცვალა), ამიტომ მას, როგორც საკონკურსო კომისიის წევრს, შეეძლო დამოკიდებულება საკუთარ ბინაშივე გამოეხატა. მაგრამ რა შუაში იყო საერთოდ საკონკურსო კომისიის სხდომისა და წინასწარი არჩევნების მის ბინაში ჩატარება. ეს სომ წესდების (და საერთოდ კანონიერების) უხეში დარღვევა იყო, მაგრამ ამისთვის არავის მიუქცევია ყურადღება.

როგორც გადმომცეს, საკონკურსო კომისიის მიერ ბ-ნი ავთანდილის (როგორც ეკონომიკის სპეციალობით ერთადერთი აკადემიკოსის) კონსულტაციით მის ბინაში ჩატარებული კენჭისყრის შედეგების მისედვით სადღაც მესამე-მეოთხე ადგილებზე ვიმყოფებოდი. მართალია, ეს არ იყო მთავარი ეტაპი, მაგრამ მინიშნების თვალსაზრისით მას გარკვეული მაორიენტირებელი მნიშვნელობა მაინც ჰქონდა. გადამწყვეტი სიტყვა უნდა ეთქვა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილებას. როგორც ცნობილი გახდა, კენჭისყრაში მონაწილე 20 წევრიდან აკადემიის წევრ-კორესპონდენტად ჩემს არჩევას ხმა მისცა 16-მა წევრმა. მომდევნო კონკურსანტს ჰქონდა 12 ხმა და ისიც გამსვლელი იყო, მაგრამ, მეტი ვაკანსიის არარსებობის გამო, უშედეგო აღმოჩნდა.

1951 წლიდან მოყოლებული დღემდე, სამეცნიერო მოღვაწეობასთან ერთად, ვეწევი პედაგოგიურ საქმიანობას უმაღლეს სასწავლებლებში. ამ მიმართულებით დამიგროვდა რა დიდი გამოცდილება, ჩემს მოვალეობად ჩავთვალე დამეწერა ორიგინალური დამხმარე სახელმძღვანელო ეკონომიკურ თეორიაში სტუდენტებისთვის. ვფიქრობ, ეს ამოცანა საკმაოდ წარმატებულად შეავასრულე. 1997 წელს გამომცემლობა „სიახლემ“ გამოსცა ჩემი დამხმარე სახელმძღვანელო — „ეკონომიკური თეორიის მოკლე კურსი“, თბილისი, 28,5 ნაბეჭდი თაბახის მოცულობით (იხ. პროფ. რ. კაკულიას და პროფ. ო. ბერიძის რეცენზიები ამავე კრებულში). იგი ეძღვნება ჩემი ძვირფასი მშობლების — ანეტა ნარმანია-ჩიქავასა და ლეონტი (ლავრენ-

ტი) ჩიქაევას ნათელ ხსოვნას. ამ ნაშრომის ღირსებებზე მეტყველებს თუნდაც ის, რომ 2000 ეგზემპლარის ტირაჟით გამოსული წიგნი სულ მალე გაქრა წიგნის მაღაზიების თაროებიდან და ბიბლიოგრაფიულ იშვიათობად იქცა. ამიტომ გაკეთდა მეორე შევსებული და დაზუსტებული გამოცემა, რომელიც გამოვიდა 2005 წელს.

ეკონომიკურ თეორიაში დღეისთვის ბევრი საკითხია საღისკუსიო. მათზე კამათის გამართვა და კრიტიკული შენიშვნების გაკეთება სახელმძღვანელოში გაუმართლებელია. თუმცა, საკითხები განვიხილე ისე, როგორც მესმის. მკითხველს შეუძლია ყველა ისინი შეადაროს ანალოგიურ ნაშრომებში განხილულს და გააკეთოს სათანადო დასკვნები. აღვნიშნავ მხოლოდ ერთ მნიშვნელოვან მომენტს. იგი წმინდა თეორიულ – მეთოდოლოგიური სასიათის ნაშრომი კი არაა, არამედ მასში პოლიტიკური ეკონომიის (ეკონომიკური თეორიის, რაც არსებითად იგივეა) ძირითადი საკითხები გაშუქებულია „ეკონომიკის“ ასპექტში. კიდევ უფრო კონკრეტულად თუ ვიტყვით, მასში ჯერ ერთი, წინა პლანზეა წამოწეული რეგულირებადი ანუ სოციალურად ორიენტირებული შერეული საბაზრო ეკონომიკის თეორიული პრობლემები და მისი ფუნქციონირების მექანიზმი განხილულია მიკრო-, მაკრო-, მეზო-, და მეგაეკონომიკურ დონეზე. ამ ნაწარმოებში დაინტერესებული მკითხველი იპოვის პასუხს ისეთ კითხვებზე, როგორიცაა: რა, რანაირი სახეობის საქონელი და მომსახურება უნდა ვაწარმოოთ და როგორი მოცულობით? როგორ, რანაირად უნდა ვაწარმოოთ ეს საქონელი და მომსახურება? ვისთვის უნდა ვაწარმოოთ იგი, ანუ რანაირი მექანიზმით უნდა გავანაწილოთ შემოსავალი წარმოების ფაქტორთა მფლობელებს შორის? მეორე, როგორც ჩანს, იგი მნიშვნელოვანწილად პრაგმატული ანუ გამოყენებითი ხასიათის პრობლემატიკას განიხილავს; და, მესამე, წმინდა თეორიული კურსისგან გამოირჩევა სიზუსტის თვალსაზრისით, რამდენადაც სარგებლობს თანამედროვე რთული აპარატურით (შეუძლია გაზომოს და რაოდენობრივ პარამეტრებში გამოხატოს ეკონომიკური პროცესები) და ფართოდ იყენებს მოდელირებისა

და პროგნოზირების უახლოეს (სრულყოფილ) მეთოდებს.

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის იმდროინდელმა პრეზიდენტმა აკად. ა. თავხელიძემ მასთან მიგვიწვია ქართველ ეკონომისტთა გარკვეული ჯგუფი (ვ. პაპავა, ა. სილაგაძე, ნ. ჭითანავა, გ. წერეთელი, ი. მესხია, თ. ბერიძე, მ. ჯიბუტი, ე. მექვაბიშვილი, ლ. ჩიქავა) და მოგვმართა თხოვნით იმის თაობაზე, რომ გაგვეწია კონსულტაცია ცოდნის, როგორც საქონლის, არსის, სახმარი და საცველელი ღირებულების, ფასწარმოქმნისა და სხვა თავისებურებათა შესახებ. მან აღნიშნა, რომ „რამდენიმე დღის წინათ რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის საერთო კრებაზე მოვისმინე რუსეთის ფედერაციის ცენტრალური მათემატიკური ინსტიტუტის დირექტორის აკად. ვ. მაკაროვის საინტერესო მოხსენება ამ პრობლემაზე. ზოგი რამ გავიგე, მაგრამ გაუგებარი გაცილებით მეტია. გთხოვთ, ეკონომისტებმა აკადემიის პრეზიდიუმის წევრები გაგვარკვიოთო“.

შეეთანხმდით იმაზე, რომ ამ რთული და კომპლექსური პრობლემის ცალკეულ საკითხებს გაეინაწილებდით მოწვეული ეკონომისტები და რიგრიგობით გამოვიდოდით მოხსენებებით აკადემიის პრეზიდიუმის შემადგენლობის წინაშე. მე მხვდა წილად პირველი მოხსენების გაკეთება თემაზე — „ცოდნა როგორც საქონელი და მისი თავისებურებანი“. მოხსენებამ დიდი ინტერესი გამოიწვია არა მარტო სპეციალისტთა, არამედ არასპეციალისტთა შორისაც, ბევრ კითხვას გაეცა ამომწურავი პასუხი, მაგრამ არცთუ მცირე ოდენობით დარჩა თვით ჩემთვისაც ბუნდოვანი და პასუხგაუცემელი კითხვები. ამან განაპირობა ამ პრობლემის უფრო ღრმად და საფუძველიანად შესწავლის აუცილებლობა. ინტენსიურად ვიმუშავე ოთხი წლის განმავლობაში, გავეცანი, გავაანალიზე და განვაზოგადე ამ თემის გარშემო არსებული უახლესი ლიტერატურა, რომელმაც საშუალება მომცა გამეკეთებინა რიგი ავტორისეული დასკვნებისა. მონოგრაფია 28,4 ნაბეჭდი თაბახის მოცულობით გამოქვეყნდა 2006 წელს ასეთი სახელწოდებით — „ინოვაციური ეკონომიკა“ (იხ. პროფესორების ა. ჯიბუტისა და პ. ლემონჯავას, ასევე, პროფ. თ. ჩიკვაიძის რეცენზიები ამავე კრებულში). იგი მივუძღვენი ჩემი სასიქადულო მასწავლებლების —

აკად. პ. გუგუშვილისა და აკად. ე. ჩანტლაძის დაბადების 100 წლისთავს.

ალბათ, გადაჭარბებული არ იქნება თუ ვიტყვი, რომ ეს ჩემი ერთგვარი შემაჯამებელი ნაწარმოებია, რომელშიც გადმოცემულია ამ სტრიქონების ავტორის ნაფიქრალ-ნააზრევი წლების განმავლობაში, განსაკუთრებით უკანასკნელ პერიოდში ეკონომიკური მეცნიერების თანამედროვე მიღწევების შუქზე.

მონოგრაფიის საჯარო განხილვის თაობაზე წინადადებით მივმართე საქართველოს ეკონომისტთა ასოციაციის თამჯდომარეს პროფ. მ. ჯიბუტს (რაც ეკონომისტთა წრეში გაიკვირვეს კიდეც, რამდენადაც ავტორთა უმრავლესობა თავს არიდებს ასეთ განხილვებს). ბ-ნმა მიხეილმა ორგანიზაცია გაუკეთა და 2006 წლის 20 აპრილს ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მაღლივ კორპუსში მოეწყო ამ მონოგრაფიის საჯარო პრეზენტაცია-განხილვა. ღონისძიების ორგანიზატორები იყვნენ: საქართველოს ეკონომისტთა ასოციაცია, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი, ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემია, კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრი და ფონდი „ტრანსკავკასია". პრეზენტაცია-განხილვის მონაწილენი – საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ავთანდილ სილაგაძე, პროფესორები: მისეილ ჯიბუტი, ნოდარ ჭითანავა, ნუგზარ პაიჭაძე, როზეტა ასათიანი, ამირან ჯიბუტი, ეკგრაფ კანდელაკი, გიორგი მალაშხია, რევაზ ბასარია, მერაბ გველესიანი – ერთსულოვანნი იყვნენ განსახილველი ნაშრომის, როგორც აღნიშნულ პრობლემებზე საქართველოში პირველი ფუნდამენტური გამოკვლევის, მაღალ შეფასებასა და, მეცნიერულ-თეორიულთან ერთად, მისი დიდი პრაქტიკული მნიშვნელობის აღიარებაში.

განხილვის ყველა მონაწილე საგს უსვამდა იმას, რომ მონოგრაფიაში ორიგინალურად და დასკვნილ აკადემიურ სტილშია გაშუქებული საკვლევი პრობლემის საკვანძო საკითხები: ინოვაციური ეკონომიკის არსი, ძირითადი მახასიათებლები, მაჩვენებლები და სხვა თეორიულ-მეთოდოლოგიური საფუძვ-

ლები, ცოდნის ეკონომიკა, ცოდნაზე დამყარებული ეკონომიკა როგორც განვითარების ახალი პარადიგმა, მომსახურების სფეროს განვითარების ტენდენციები ინოვაციური ეკონომიკის პირობებში, ეკონომიკის ინტელექტუალიზაციის თითქმის ნულოვანი დონე საქართველოში, მისი მიზეზები, ინოვაციური ეკონომიკის განვითარების პოტენციალი და მისი რეალიზაციის გზები, და ბოლოს, ინოვაციური ეკონომიკის ეკოლოგიური ასპექტები.

ცალკეულ საკითხებზე გაიმართა დისკუსია და გამოითქვა რიგი სურვილებისა, რომელთა გათვალისწინება დაეხმარება ავტორს მომავალში ინოვაციური ეკონომიკის პრობლემების კიდევ უფრო ღრმად გააზრებასა და სრულყოფილად შემეცნებაში (იხ. გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა", № 84 აპრილი, 2006 წელი).

# 9. საზოგადოებრივი დატვირთვა

1994 წლიდან ვარ საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი. ასეთი არასახელმწიფო ორგანიზაციის შექმნის საჭიროება განაპირობა ქართველ ეკონომისტთა ძალისხმევის კონსოლიდაციისა და მიზანსწრაფულად გამოყენების აუცილებლობამ. ზოგიერთს ალერგია აქვს ასეთ დარგობრივ აკადემიებზე, რაც, ჩემი აზრით, შეცდომაა. ბევრი მათგანი, მ. შ. ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემია, ძალიან სასარგებლო საქმეს ეწევა[1], რომელსაც მოკლედ ქვემოთ შევეხები.

ორიოდე სიტყვა მის დაფუძნებაზე. როცა მომწიფდა საკითხი ამგვარი ორგანიზაციის შექმნაზე, საინიციატივო ჯგუფის წევრებმა რამდენიმე ვარიანტი განვიხილეთ და ჩემი წინადადებით შევჩერდით ყველაზე ოპტიმალურზე. საქართველოს ეკონომისტთა საზოგადოების საერთო კრებას შევთავაზე ეკონომიკის დარგობრივი აკადემიის დამფუძნებლებად დაემტკიცებინა: საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსები (ვ. ჩანტლაძე, ა. გუნია), ეკონომიკური პროფილის ინსტიტუტების დირექტორები (ე. პაპავა, ნ. ჭითანავა, ი. მესხია, ვ. ბურკაძე, გ. ხელაია, გ. შუბლაძე, ლ. ჩიქავა), სწავლულ ექსპერტთა საბჭოს ეკონომიკის სექციის წევრები (გ. აღეიშვილი, ნ. პაიჭაძე, ჰ. გიორგაძე). უკეთესი ვარიანტი ვერავინ წამოაყენა, ამიტომ მიღებულ იქნა შემოთავაზებული წინადადება. დამფუძნებლებს დაევალათ პრეზიდენტისა და ეი-

[1] ცხადია, არის გამონაკლისებიც. ერთხელ, რუსთაველის პროსპექტზე შემხვდა ერთი ძველი ნაცნობი, რომელმაც ურთიერთმოკითხვის შემდეგ გახარებულმა მითხრა: „ბატონო ლეო, მომილოცეთ, ორი წელია, რაც აკადემიკოსი ვარო". ვკითხე, რა ჰქვია თქვენს აკადემიას და პრეზიდენტი ვინ არის?" როცა პასუხი მოვისმინე, აკადემიის სახელწოდება ძალიან ტრაფარეტული და გაბვიადებული მეჩვენა, პრეზიდენტის დასახელებამ კი შოკში ჩამაგდო. იგი აღმოჩნდა ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის ყოფილი უმცროსი მეცნიერ-თანამშრომელი, რომელსაც მოხსენების თეზისებიც კი არ აღმოაჩნდა გამოქვეყნებული და სამუშაოდან განთავისუფლებას უპირებდა დირექტორი.

ცე-პრეზიდენტების არჩევა, აკადემიის წესდების შემუშავება და უახლოეს პერიოდში კონკურსის წესით აკადემიის რიგების შევსება ახალი წევრებით.

იმავე დღეს ერთხმად არჩეულ იქნენ: პრეზიდენტად — ამ სტირქონების ავტორი, ხოლო ვიცე-პრეზიდენტებად — პროფ. ვ. პაპავა და პროფ. ი. მესხია. ცოტა მოგვიანებით, ვ. პაპაეას საქართველოს ეკონომიკის მინისტრად დანიშვნასთან დაკავშირებით, ერთ-ერთ ვიცე-პრეზიდენტად (დამატებით) არჩეულ იქნა პროფ. ნ. სანთელაძე.

დაარსებიდან დღემდე, გარდაცვალების გამო, აკადემიის რიგებს გამოაკლდნენ: ვ. ჩანტლაძე, ა. გუნია, დ. ძნელაძე, ნ. სანთელაძე, გ. ადეიშვილი, დ. ცისკარიშვილი, ი. ქვაჩახია, ო. საღარეიშვილი, გ. გოშაძე, ჰ. გიორგაძე, ვ. ზურაბიშვილი, მ. მაქსოევი, ო. ვაშაკიძე. დღეისთვის ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემია თავის რიგებში ითვლის 53 წევრს, მ. შ. ნამდვილი წევრია 45, ხოლო წევრ-კორესპონდენტი — 8. წესდების მიხედვით, აკადემიაში გაერთიანებულნი არიან მხოლოდ ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორები. ამ მოთხოვნას მტკიცედ ვიცავთ, რაც აკადემიას ფინანსური თვალსაზრისით კი უქმნის გარკვეულ სიძნელეებს, მაგრამ პრესტიჟის თვალსაზრისით მაღალ რეიტინგს უნარჩუნებს.

აკადემიის სხდომები ტარდება რეგულარულად, თვეში ერთხელ, სადაც ვისმენთ აკადემიის წევრების, აგრეთვე გარედან მოწვეული სპეციალისტების მოხსენებებს აქტუალურ ეკონომიკურ (და არა მარტო ეკონომიკურ), ძირითადად სადისკუსიო ხასიათის პრობლემებზე და ვაწყობთ მათ საჯარო განხილვებს. აკადემიის ბაზაზე ტარდება როგორც რესპუბლიკური, ისე საერთაშორისო კონფერენციები და სიმპოზიუმები. სისტემატურად ვიხილავთ პარლამენტის პლენარულ სხდომებზე გასატან ეკონომიკური ხასიათის კანონპროექტებს და ვაწვდით ჩვენს შენიშვნებს. სამწუხაროდ, პარლამენტი გულისხმიერად როდი ეკიდება ამ ჩვენს უანგარო თანადგომას და მეტწილად ჩვენგან გაგზავნილი დოკუმენტის მიღებასაც არ გვიდასტურებს, რომ არაფერი ვთქვათ მისი აუკარგიანობის შესახებ შეტყობინებაზე.

1996 წლიდან ვმუშაობ აკად. პ. გუგუშვილის სახ. უნივერსიტეტის რექტორად. ჩემთან ერთად, ამ უნივერსიტეტის დამფუძნებელები არიან ჩემი მოადგილეები ბ-ნი ბექან შაფაქიძე და ბ-ნი ჯამლეტ ჯანჯღავა.

უნივერსიტეტში არსებობს ეკონომიკის, იურიდიული, უცხო ენებისა და დაწყებითი განათლების ფაკულტეტები. სტუდენტთა რაოდენობა 260-ს აღწევს. უნივერსიტეტთან ერთად ფუნქციონირებს კოლეჯიც.

ყოველ მოსახლეობაში ინსტიტუტებისა და უნივერსიტეტების გასსნას არც მე ვუჭერ მსარს. ბოგიერთმა ეს სათუთი და საპასუხისმგებლო სფერო ფულის კეთების „საამქროდ" აქცია, რაც დაუყოვნებლივ უნდა აღმოიფხვრას. მაგრამ არც იმის უარყოფა შეიძლება, რომ უმაღლესი სკოლის კერძო სექტორმა ბევრი სასარგებლო საქმე გააკეთა: ჯერ ერთი, სასწავლო პროცესში ჩაბა ათეულ ათასობით ახალგაზრდა და ააცდინა ისინი მოლიპული გზით სიარულს; მეორე, სიღატაკემდე მისულ ბევრ პროფესორ-მასწავლებელს გაუჩინა არსებობის დამატებითი წყარო; მესამე, შესაძლებელი გახადა სახელმწიფო ბიუჯეტის შევსება სოლიდური სტაბილური სასსრებით; მეოთხე, შეუმსუბუქა მძიმე ფინანსური მდგომარეობა იმ დაწესებულებებს, რომლებმაც არენდით გამოუყვეს ფართი დამქირავებელ დაწესებულებებს.

კურსი, რომელიც აღებული აქვს დღევანდელ ხელისუფლებას განათლების კერძო სექტორის სალიკვიდაციოდ, ჩემი აზრით, ანტიკონსტიტუციურია, ყოველ წელიწადს ახალი გართულებული და შეუსრულებადი მოთხოვნების წაყენებით სასწავლებლების ლიკვიდაციის ნაცვლად, აჯობებდა ბრუნვა სწავლების ხარისხის გაუმჯობესებისა და სახელმწიფო და კერძო სექტორების ოპტიმალური შეთანაწყობისთვის.

1999 წლიდან, ქვეყნის პრეზიდენტის განკარგულებით, დამეკისრა შეთავსებით სახელმწიფო სამსახურის მართვისა და მოსამსახურეთა მომზადების, გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების ცენტრის უფროსის მოვალეობის შესრულება. ამ თანამდებობაზე მუშაობისას, ჩემს მოადგილეებთან ბ-ნ ნუგზარ სანთელაძესთან, ბ-ნ მურმან თურნავასთან და ბ-ნ

ავთანდილ შარაბიძესთან ერთად, ბევრი სასარგებლო საქმე გავაკეთეთ. ცენტრის საქმიანობა წარიმართა ორი ძირითადი მიმართულებით: პირველი, ეს იყო განვითარებული ქვეყნების მოწინაკე გამოცდილებაზე დაყრდნობითა და აღგილობრივი თავისებურებების გათვალისწინებით, სახელმწიფო სამსახურის მართვის სისტემის კომპლექსურ ღონისძიებათა შემუშავება და პრაქტიკულად განსახორციელებლად ხელისუფლების ორგანოებისთვის მისი შეთავაზება. ამისთვის ვსწავლობდით სამინისტროებში, დეპარტამენტებსა და სააგენტოებში არსებულ მდგომარეობას, ვავლენდით ნაკლოვანებებს და ვსახავდით მათი გადაწყვეტის გზებს. ამ სფეროში ჩვენს მიერ მომზადებული საკითხები არაერთხელ იქნა განხილული მთავრობის სხდომებზე, რომლებმაც დადებითი შეფასება დაიმსახურა; მეორე იყო სახელმწიფო მოხელეთა კვალიფიკაციის ამაღლება, რომელსაც ვახორციელებდით მსმენელთა როგორც ცენტრში მოწვევით, ისე ადგილებზე – დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში მისვლით.

ცენტრის ნაყოფიერ შემოქმედებით საქმიანობას ფაქტიურად წერტილი დაუსვა აფსაზეთიდან დევნილთა ბრბოს ძალადობრივმა შეჭრამ ცენტრის შენობაში და საცხოვრებლად იქ განთავსებამ. საკითხი აღვძარით სასამართლოში, პროცესი შედგა რამდენიმეჯერ, თანაც, სხვადასხვა ინსტანციაში. უმაღლესმა სასამართლომ დაადასტურა გადაწყვეტილება შეჭრილთა დაუყოვნებლივი გამოსახლების შესახებ, მაგრამ ამის სისრულეში მოყვანას – აღსრულებას არავინ მოკიდა ხელი, რაც შესაბამისი სამართალდამცავი ორგანოების უსუსურობაზე მიგვანიშნებს. ლტოლვილები და დევნილები უაღრესად ანგარიშგასაწევი ხალხია, მაგრამ კანონიერების დაცვა მათაც მოეთხოვებათ.

„ეკონომიკური და დემოგრაფიული ტერმინოლოგიის“ შედგენასა და გამოცემაში ჩემი ჩართვა მოხდა დემოგრაფიისა და სოციოლოგიური კვლევის ინსტიტუტში მუშაობის პერიოდში – 1996 წლიდან. პ. გუგუშვილისა და პ. კუჭაიძის ავტორობით საქართველოში რუსულ-ქართული და ქართულ-რუსული ეკონომიკური ტერმინოლოგიის პირველი გამოცემიდან ნახევარ

საუკუნეზე მეტი გაეიდა. ამ ხნის მანძილზე, ცხადია, ბევრი რამ შეიცვალა. ეკონომიკური მეცნიერება წინ წავიდა. მრავალი შესატყვისი დაისვეწა და დაზუსტდა. შემოვიდა უამრავი ახალი ტერმინი.

ახალ გამოცემაში ყოველივე ამის მაღალპროფესიონალურ დონეზე ასახვა ობიექტურ აუცილებლობად იქცა. ამ მიმართულებით ათეული წლების განმავლობაში ერთობლივად ნაყოფიერად მუშაობდნენ აკადემიკოსები პ. გუგუშვილი და ვ. ჩანტლაძე, მაგრამ მისი დასრულება მათ არ დასცალდათ.

ბ-ნი პაატა აღესრულა 1987 წელს. ბ-ნმა ვასომ გააგრძელა ტერმინოლოგიაზე მუშაობა და მარტოდმარტომ მთელი 8 წლის განმავლობაში ზიდა ეს მძიმე ტვირთი. ბუნებრივია, საქმე წინ წასწია, მაგრამ გასაკეთებელი ჯერ კიდევ უამრავი რამ დარჩა. გასული საუკუნის 80-იანი წლების დასაწყისიდან საკმაოდ კარგად ვიყავი ინფორმირებული ეკონომიკურ ტერმინოლოგიაზე მათი მუშაობის შესახებ, რამდენადაც პერიოდულად მაკითხებდნენ მის ცალკეულ მონაკვეთებს. ერთ დღეს სრულიად მოულოდნელად გადმომცეს ბ-ნი ვასოს თხოვნა იმის თაობაზე, რომ როგორმე მნახოსო. იმ დღეს ვერ შევძელი ამ თხოვნის შესრულება, რაც დღემდე ვერ მომინელებია. მეორე დღეს კი იგი უკვე აღარ იყო ცოცხალთა შორის. ძალიან შევწუხდი. არ ვიცოდი, რისთვის ვჭირდებოდი, მაგრამ მისი ოჯახის წევრებმა ჩამაყენეს საქმის კურსში. ბ-ნ ვასოს დაუბარებია: „მაგიდაზე დევს ბ-ნი პაატასა და ჩემს მიერ მომზადებული, მაგრამ დაუსრულებელი ხელნაწერი ნაშრომისა — „ეკონომიკური ტერმინოლოგია". ამ ნაწარმოების ტექსტის შევსება-დასრულებასა და გამოქვეყნებას, ჩემი აზრით, ყველაზე უკეთ ჩვენი მოწაფე — ლეო ჩიქავა მოახერხებს. თუ ცოცხალს ვერ მომისწრო, გადაეცით ჩემი თხოვნა, რათა მიხედოს ამ საშვილიშვილო საქმეს. დარწმუნებული ვარ, რომ ის ამ თხოვნას უყურადღებოდ არ დატოვებს".

ჩემი ძვირფასი მასწავლებლის დანაბარებმა სულით ხორცამდე შემძრა. გადავწყვიტე ამ კეთილშობილური საქმის დაგვირგვინებაში მთელი ჩემი შესაძლებლობების მაქსიმუმი ჩამექსოვებინა. მაგრამ პრობლემა ნავარაუდევზე უფრო რთუ-

ლი აღმოჩნდა. ტექსტის დეტალურმა გაცნობამ დამარწმუნა იმაში, რომ ავტორებს იგი გასული საუკუნის 80-იანი წლების შუა ხანებამდე არსებული მდგომარეობის გათვალისწინებით ჰქონდათ შედგენილი, მაშინ როცა ძირეული ცვლილებები ქართული (და არა მარტო ქართული) ეკონომიკური ტერმინების ფონდში სწორედ ამის შემდეგ, ძირითადად 90-იანი წლების დასაწყისიდან მოხდა. მხედველობაში მაქვს პოსტსოციალისტურ სამყაროში საბაზრო ურთიერთობათა ფორმირება, რომელმაც მისი შესაბამისი ტერმინების უაღრესად ფართო სპექტრის დანერგვა-გამოყენების აუცილებლობა განაპირობა. უკანასკნელ წლებში, რუსულ ენაზე რომ არაფერი ვთქვათ, დასავლეთევროპულ ენებზე, ათეულობით ახალი საკმაოდ დიდი მოცულობის ბიზნეს-ცნობარი და ეკონომიკური ტერმინების განმარტებითი ლექსიკონი გამოვიდა, რომელთა ასახვის გარეშე „ეკონომიკური ტერმინოლოგიის" გამოქვეყნება სრულიად გაუმართლებელი იქნებოდა. ჩემს წინაშე მთელი სიგრძე-სიგანით დაისვა ამ ვაკუუმის შევსების ამოცანა, რომელიც მეტად შრომატევადი აღმოჩნდა.

„ტერმინოლოგიის" დედნის საბაზრო ურთიერთობების ამსახველი და რიგი სხვა აუცილებელი ტერმინებით ჩვენს მიერ შევსება-გამდიდრება იმდენად მასშტაბური გამოდგა, რომ საბოლოო ანგარიშით მასზე მოდის ტექსტის ნახევარზე მეტი. ცხადია, ამ ნაწილზე, რომლის მონიშვნაც პრაქტიკულად შეუძლებელი გახდა, პასუხისმგებლობა გვეკისრებოდა ჩვენ (ამ სტრიქონების ავტორსა და ჩემს თანამშრომელს – ა. კოშკელაშვილს) და არა თავდაპირველ ავტორებს. ამ გარემოების გათვალისწინებით, ჩვენი კოლეგების არგუმენტირებულმა რჩევამ გადამაწყვეტინა „ტერმინოლოგიის" შემდგენელთა შემადგენლობაში ჩვენი გვარ-სახელების ჩართვა.

აკადემიკოსების პ. გუგუშვილისა და ვ. ჩანტლაძის მიერ მომზადებული, თუმც დაუსრულებელი ვარიანტის სათაური იყო „ეკონომიკური ტერმინოლოგია". ახალი ვარიანტი იმდენად გასცდა ამ ფორმულირების შინაარსობრივ დატვირთვას (განსაკუთრებით დემოგრაფიული ტერმინების უსვად შეტანის შედეგად), რომ მიზანშეწონილად ჩავთვალე ტექსტის შესაბა-

მისად მიმეცა მისთვის უფრო ადეკვატური სათაური – „ეკონომიკური და დემოგრაფიული ტერმინოლოგია“.

მახარებს და მეამაყება ის, რომ გავუმართლე ნდობა და პირნათლად შეეუსრულე ჩემს სასიქადულო მასწავლებლებს უკანასკნელი, თანაც, ეროვნული მნიშვნელობის თხოვნა და თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი ეკონომიკური ტერმინოლოგიის გამოცემის თაობაზე მათი ოცნება რეალობად ვაქციე. დაინტერესებულ მკითხველს უკვე ხელთ აქვს 2001 წელს გამოსული „ეკონომიკური და დემოგრაფიული ტერმინოლოგია“ (რუსულ-ქართული და ქართულ-რუსული), 39,7 ნაბეჭდი თაბახის მოცულობით, რომელიც მოიცავს 40 ათასზე მეტ ტერმინს.

ესოდენ დიდმნიშვნელოვანი ამოცანის გადაჭრა შესაძლებელი გახდა საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის ფინანსური დახმარებითა და თანადგომით, რისთვისაც მისი იმდროინდელი თავმჯდომარის პროფ. თ. ბერიძისა და სხვა თანამშრომლების მიმართ ჩემი მასწავლებლებისა და პირადად ჩემი სახელით დიდი მადლიერება მინდა გამოვხატო.

ჩემი მრავალფეროვანი საერთო საზოგადოებრივი დატვირთვის ნათელსაყოფად, მკითხველს ვთავაზობ სამეცნიერო, პედაგოგიური და საზოგადოებრივი ხასიათის დავალებათა ჩამონათვალს 2005 წლის მდგომარეობით:

1. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის დემოგრაფიისა და სოციოლოგიური კვლევის ინსტიტუტის დირექტორი;

2. სახელმწიფო სამსახურის მართვისა და მოსამსახურეთა მომზადების, გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების ცენტრის უფროსი;

3. აკად. პ. გუგუშვილის სახ. უნივერსიტეტის რექტორი;

4. საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი;

5. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტი;

6. ნიუ-იორკის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი - აკადემიკოსი;

7. საქართველოს ეკოლოგიურ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი;

8. ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სექტორული ეკონომიკის დარგში სამეცნიერო ხარისხების მიმნიჭებელი საბჭოს წევრი;

9. დემოგრაფიისა და სოციოლოგიური კვლევის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე;

10. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მთიანეთის შემსწავლელი კომისიის წევრი;

11. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა კომისიის წევრი;

12. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების ბიუროს თავმჯდომარის მოადგილე;

13. საერთაშორისო ჟურნალის „Общество и экономика"-ს (მთავარი რედაქტორი – კ. მიკულსკი) სარედაქციო კოლეგიის წევრი;

14. იმპაქტ-ფაქტორის ჟურნალებთან გათანაბრებული საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ჟურნალის – „მაცნე" (ეკონომიკის სერია, მთ. რედაქტორი – ვლ. პაპავა) სარედაქციო კოლეგიის წევრი;

15. რეფერირებადი ჟურნალის – „ეკონომიკა" (მთ. რედაქტორი რ. შენგელია) სარედაქციო კოლეგიის წევრი;

16. რეფერირებადი ჟურნალის – „მიკრო-მაკრო ეკონომიკა" (მთ. რედაქტორი – ე. ჯგერენაია) სარედაქციო კოლეგიის წევრი;

17. რეფერირებადი ჟურნალის – „დემოგრაფია" (მთ. რედაქტორი – ა. თოთაძე) სარედაქციო კოლეგიის წევრი;

18. ჟურნალის – „გადასახადები" (მთ. რედაქტორი – ი. მესხია) – სარედაქციო კოლეგიის წევრი;

19. სამეცნიერო (ქართული, რუსული, ინგლისური) ჟურნალის – „კომენტარი" (მთ. რედაქტორი – მ. გველესიანი) – სარედაქციო კოლეგიის წევრი;

20. ჟურნალის – „ფინანსები და კრედიტი" (მთ. რედაქტორი – ლ. ქოქიაური) – სარედაქციო კოლეგიის წევრი;

21. ჟურნალის – „ახალი ეკონომისტი" (მთ. რედაქტორი – ლ. ქარჩავა) – სარედაქციო კოლეგიის წევრი;

22. კავკასიის დიდი ენციკლოპედიის თექვსმეტტომეულის სარედაქციო კოლეგიის წევრი;

23. ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის შრომების კრებულის ხუთტომეულის მთავარი რედაქტორი;

24. ეკონომიკურ მეცნიერებათა ასოციაციის თანათავმჯდომარე;

25. დემოგრაფიის სამთავრობო კომისიის წევრი;

26. სრულიად საქართველოს საზოგადოება „კოლხეთის“ პრეზიდიუმის წევრი და დემოგრაფიის სექციის თავმჯდომარე;

27. პრეზიდენტის სტიპენდიის მიმნიჭებელი კომისიის წევრი;

28. ყოველთა ქართველთა მსოფლიო კონგრესის სოციალურ-დემოგრაფიული სექციის თავმჯდომარე;

29. კერძო უმაღლეს სასწავლებლების რექტორთა საბჭოს წევრი;

30. კერძო უმაღლესი და საშუალო განათლების ასოციაციის პრეზიდიუმის წევრი;

31. მეცნიერთა სოციალური დაცვის ასოციაციის პრეზიდიუმის წევრი;

32. საქართველოს მწიგნობართა ასოციაციის ეკონომიკის სექციის თავმჯდომარე;

33. აკად. პ. გუგუშვილის სახ. უნივერსიტეტის სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე;

34. ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ეკონომიკის პრინციპების“ სასწავლო დისციპლინის ლექტორი;

35. აკად. პ. გუგუშვილის სახ. უნივერსიტეტის „მაკრო და მიკრო ეკონომიკის“ სასწავლო დისციპლინის ლექტორი;

36. ერთი დოქტორანტის მეცნიერ-კონსულტანტი;

37. სამი ასპირანტისა და ოთხი ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მაძიებლის მეცნიერ-ხელმძღვანელი[1].

---

[1] დღესაც განეაგრძობ ზემოთ ჩამოთვლილ სამუშაოთა (დავალებათა) დიდმნიშვნელოვანი ნაწილის შესრულებას. ამასთან ერთად, ვარ ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი და რექტორის მრჩეველთა საბჭოს წევრი.

თუ გავითვალისწინებთ მიმდინარე (ერთჯერად) სამუშაოებსაც (სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობა), სადისერტაციო თუ საკონკურსო ნაშრომების რეცენზირება, კოლეგების სამეცნიერო ნაშრომების რედაქტირება და ა. შ., „აგრეთვე, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, სისტემატურ ინტენსიურ მეცნიერულ-კვლევით საქმიანობას, ადვილი წარმოსადგენია მთელი ნახევარი საუკუნის განმავლობაში თუ რაოდენ ტევად სამუშაოს ვასრულებდი.

ერთხელ, როცა შესასრულებლად ახალ დავალებას მაძლევდნენ, დავიჩივლე, ამდენი დავალების მქონეს კიდევ დავალება მინდა-მეთქი?"

— მკითხეს, ასე ზუსტად საიდან იცი რამდენი დავალება გაქვსო? ვუპასუხე — „ერთხელ დავჯექი და ჩამოვწერე-მეთქი. ამასთან დაკავშირებით მითხრეს, რაკი ამის ჩამოწერის დრო გამონახე, ეს იმას ნიშნავს, რომ თავისუფლად შეიძლება დავალება ერთი კი არა მეტიც დაგემატოსო და ამ ხუმრობა-ხუმრობაში, როგორც იტყვიან, ეკვანი შემაბეს.

გულწრფელად მინდა ვთქვა, რომ ჩემზე დაკისრებულ მოვალეობას თითქმის ყოველთვის ვასრულებდი არა იძულებითა და ძალდატანებით, არამედ დიდი გულისსმიერებით, მაქსიმალური მონდომებითა და მაღალი პასუხისმგებლობით. ამიტომ იყო იგი ნაკლებად დამღლელი, არამოსაბეზრებელი და შედარებით ადვილად შესასრულებელი ჩემთვის.

ჩემი კოლეგების წრეში არაერთხელ მითქვამს იმის თაობაზე, რომ უბედურია ის ადამიანი, ვინც მხოლოდ ჯამაგირისთვის დადის სამსახურში, ბედნიერი კი ის, ვინც, შესაბამისი გასამრჯელოს მიღებასთან ერთად, სიამოვნებას გრძნობს თავისი პროფესიული მოვალეობის შესრულებით. ჩემს თავს უყოყმანოდ ამ უკანასკნელითა კატეგორიას ვაკუთვნებ. მიუხედავად იმისა, რომ ხელისუფლების მხრივ თითქმის არ იგრძნობა მოთხოვნა ქართველ სწავლულ ეკონომისტთა (ცხადია, მ.შ. ჩემი) მეცნიერული კვლევის შედეგებზე, საერთოდ ცოდნაზე (რაც თავისთავად ნონსენსია), ბევრი ჩემი ღირსეული კოლეგის ანალოგიურად, არ ეზოგავ ჩემს ინტელექტუალურ უნარს, ცოდნას, ენერგიასა და გამოცდილებას, რათა თუნდაც ფრიად

მოკრძალებული წელილი შეეიტანო ქართული ეკონომიკური მეცნიერების განვითარებაში. და, რაც მთავარია, ყოველივე ამას ვაკეთებ სიამოვნებით, ჩემი პროფესიის სიყვარულით, გულის შინაგანი კარნახით, ქართველი ერის საკეთილდღეოდ.

რამდენიმე ათეული წელია, რაც ძირითადად ვიცავ ცხოვრებისა და საქმიანობის ასეთ რეჟიმს: ვიძინებ საღამოს 12 საათზე, ვდგები დილის 8 საათზე, 1-1,5 საათი ვვარჯიშობ კუს ტბაზე ან ვაკის პარკში, სადილობის შემდეგ ვისვენებ 1 საათს, დანარჩენ დროს ვახმარ საქმიანობას, მნიშვნელოვანწილად, მეცნიერულ მუშაობას. სანამ შემიძლია, ჩემი დარჩენილი ცხოვრების წლებშიც არ ვაპირებ ამ რეჟიმის დარღვევას, რამდენადაც იგი ჩემი პირობებისთვის ოპტიმალურად მიმაჩნია.

საღღეღამისო სამოქმედო რეჟიმის მკაცრად დაცვის თვალსაზრისით მსოფლიო რეკორდი, ალბათ, ცნობილ გერმანელ ფილოსოფოსს იმანუელ კანტს ეკუთვნის. იგი საღამოს ზუსტად 10 საათზე წვებოდა და დილის 5 საათზე დგებოდა. 30 წლის განმავლობაში მას ეს რეჟიმი არცერთხელ არ დაურღვევია. 7 საათზე იგი უკვე ნავარჯიშევი იყო და სასეირნოდ გამოდიოდა. არსებობს ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ კენიგსბერგის მცხოვრებლები მის მიხედვით ასწორებდნენ საათებს.

ასეთი სიზუსტე, ერთი მხრივ, მოსაწონი და მისაბაძია, მაგრამ, მეორე მხრივ, რამდენადმე პედანტიზმისკენ იხრება და პიროვნების თავისუფლების შემზღუდველად მეჩვენება. რეჟიმსაც აქვს თავისი ბუნებრივი საზღვრები. ადამიანი მის მონად არ უნდა იქცეს. ჩემი აზრით, რეჟიმის დაცვამ ადამიანი რობოტს კი არ უნდა დაამსგავასოს, არამედ მაქსიმალურად უნდა შეუწყოს ხელი მისი ჯანსაღი ცხოვრების წესის გამომუშავებას და საზოგადოების საკეთილდღეოდ სიკეთის ფრქვევის დროის გახანგრძლივებას.

ჩემი მოღვაწეობა და მიღწეული წარმატებები არ ყოფილა გარემოცვისთვის შეუმჩნეველი. პირიქით, სწავლისა და მეცნიერულ-პედაგოგიური საქმიანობის ყველა ეტაპზე, ქების სიგელებით დაწყებული და ივ. ჯავახიშვილის სახ. მედლით თუ ღირსების ორდენით დამთავრებული, მიგვრძნია ჩემი მოკრძალებული წელილის ღირსეულად დაფასება და თბილად,

დიდი გულისხმიერებით აღნიშვნა. კმაყოფილებით მინდა მოვიხსენიო ის ფაქტი, რომ მეცნიერული მიღწევების გათვალისწინებით, 2004 წლის 10 სექტემბერს საერთაშორისო ბიოგრაფიულმა ცენტრმა (კემბრიჯი, ინგლისი) დამაჯილდოვა საერთაშორისო ღირსების ორდენით და ამირჩია ამ ორგანიზაციის საპატიო წევრად.

ყველა ჯილდო მნიშვნელოვანი და დასაფასებელია, მაგრამ ჩემთვის განსაკუთრებული, ყველაზე უფრო გამორჩეული მნიშვნელობა ჰქონდა, აქვს და ექნება მომავალშიც სიგელს, რომელიც საგეიმო ვითარებაში გადმომცა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, მისმა უწმინდესობამ და უნეტარესობამ ილია მეორემ. იგი ასეთი შინაარსისა:

## ს ი გ ე ლ ი

ქართველი ერის წინაშე გაწეული დიდი ღვაწლისთვის და მეცნიერების განვითარებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, ბატონი ლეო ჩიქავა დაჯილდოვდეს საქართველოს საპატრიარქო სიგელით.

ღმერთმა დალოცოს იგი და მისი ოჯახი.

**სრულიად საქართველოს**
**კათოლიკოს-პატრიარქი ილია მეორე**

30 იანვარი, 2007 წელი.

# II. ზოგი რამ ლეო ჩიქავას უახლეს ნაფიქრალ-ნააზრევთაგან

## 1. თანამედროვეობის აქტუალური დემოგრაფიული პრობლემები

დღეისთვის კაცობრიობის მწვავე გლობალურ პრობლემებს შორის ერთ-ერთი ცენტრალური ადგილი დემოგრაფიული განვითარებისა და მის ნეგატიურ ტენდენციებთან დაკავშირებულ პრობლემებს უჭირავს. მხედველობაში მაქვს: ჯერ ერთი, მოსახლეობის გადამეტწარმოება, რომელსაც სხვანაირად „გადამეტმოსახლეობის ბომბს“ უწოდებენ; მეორე, მოსახლეობის ბუნებრივი აბსოლუტური კლება, რომელსაც, არცთუ იშვიათად, „დეპოპულაციის ნეიტრონულ ბომბად“ მოიხსენიებენ; და, მესამე, მოსახლეობის დემოგრაფიული დაბერება.

განვიხილოთ თითოეული მათგანი სათანადო არგუმენტებისა და ფაქტობრივი მონაცემების მოშველიებით.

როგორც ცნობილია, მსოფლიოს მოსახლეობა თავდაპირველად იმდენად ნელა მატულობდა, რომ მან ერთ მილიარდს მხოლოდ 1804 წელს მიაღწია. მეორე მილიარდის მიღწევას 123 წელი დასჭირდა, მესამისას — 33, მეოთხისას — 14, მეხუთისას — 13, ხოლო მეექვსისას — მხოლოდ 12 წელი.

მსოფლიოს მოსახლეობა უკანასკნელი 6 წლის (2001-2006 წწ.) განმავლობაში თითქმის ნახევარი მილიარდი (488 მლნ) კაცით ანუ 8 პროცენტით გაიზარდა. მათ შორის, მარტო პაკისტანში გაიზარდა 15 მილიონით, ბანგლადეშში — 19, ინდოეთში — 120 მილიონი კაცით. მოსახლეობის მატების ყველაზე მაღალი ტემპი (20.3%) დაფიქსირდა აშშ-ში, მაგრამ ეს ძირითადად, ბუნებრივი კი არა, მექანიკური ფაქტორით (მოსახლეობის იმიგრაციით) აიხსნება. ამის დასტურია ის, რომ 2006 წელს მო-

სახლეობის ბუნებრივმა მატებამ მსოფლიოში საშუალოდ 12.0, მ. შ. აფრიკაში 23.0, აზიაში – 14.0, ხოლო ჩრდილოეთ ამერიკაში მხოლოდ 6.0 პრომილე შეადგინა[1]

გაეროს ექსპერტთა პროგნოზული გათვლებით, მსოფლიოს მოსახლეობა XXI საუკუნის პირველ ნახევარში 53.3 პროცენტით გაიზრდება და 2050 წელს 9.2 მილიარდს გადააჭარბებს. მაგრამ იგი ყველა რეგიონში თანაბრად კი არ მოიმატებს. 2006-2050 წლებში მოსახლეობის რიცხოვნობა გაიზრდება: განვითარებულ რეგიონში მხოლოდ 45 მილიონით, ანუ 3.7 პროცენტით, ხოლო განვითარებადში – 2 მილიარდ 643 მილიონით ანუ 49.5 პროცენტით. კონტინენტების მიხედვით ასეთი ცვლილებებია მოსალოდნელი. მოსახლეობა გაიზრდება: აფრიკაში 2.2-ჯერ (მ.შ. ანგოლაში – 2.6-ჯერ), აზიაში – 33.0 პროცენტით (მ. შ. ინდოეთში – 4.5, ბანგლადეშში – 57.0, პაკისტანში – 77.7%-ით), ჩრდილოეთ ამერიკაში – 39.2 (ძირითადად იმიგრაციის ხარჯზე), ლათინურ ამერიკაში – 40.8 პროცენტით, ევროპაში კი შემცირდება 9.2 პროცენტით. ამის შედეგად შეიცვლება მსოფლიოს მოსახლეობის რეგიონული გაადგილება. აბსოლუტური გამოსატულებით მნიშვნელოვანი ზრდის მიუხედავად, აზიის მოსახლეობის ხვედრითი წილი შემცირდება 3.4 პროცენტული პუნქტით და ევროპისა – 4 პროცენტული პუნქტით, ხოლო აფრიკის მოსახლეობის ხვედრითი წილი გაიზრდება 7 პროცენტული პუნქტით (ე. ი. მიაღწევს 21.6%-ს, ნაცვლად 2006 წლის 14.3%-ისა).

რითაა განპირობებული მოსახლეობის აღწარმოების ესოდენ მაღალი ტემპები? – იგი განპირობებულია მსოფლიოს მთელ რიგ რეგიონში ჯერ კიდევ საკმაოდ ძლიერი ძალით მოქმედი ისეთი ფაქტორებით, როგორიცაა:

– **შობადობის მაღალი დონე.** 2006 წელს შობადობის ზოგადი კოეფიციენტი განვითარებად (განუვითარებელ ანუ „მესამე სამყაროს“) ქვეყნებში (23.0%) განვითარებული ქვეყნების შე-

[1] 2006 წლისა და 2050 წლამდე პერიოდის პროგნოზული მონაცემები აღებულია მსოფლიოს მოსახლეობის ბიუროს (ნიუ-იორკი) მასალებიდან: „World Population Data Sheet of the Population Reference Bureou. Demographic Data and Estimates for the Counteries and Regions of the World“ – 2006.

საბამის მაჩვენებლს (11.0%) 2,1-ჯერ აღემატებოდა. თუ კიდევ უფრო დავაკონკრეტებთ, იგი შეადგენდა: აფრიკაში 38 (მ. შ. ნიგერიაში – 43, სიერა-ლეონეში – 46, უგანდაში – 47, ანგოლაში – 49, ლიბერიაში – 50), აზიაში – 20 (მ. შ. ინდოეთში – 24, ბანგლადეშში – 30, პაკისტანში – 33, იემენში – 41, ავღანეთში – 48), ლათინურ ამერიკაში – 21, ჩრდილოეთ ამერიკაში – 14, ოკეანიაში – 17, ხოლო ევროპაში – 10 პრომილეს.

ანალოგიურ სურათს იძლევა რეგიონების ურთიერთშედარება შობადობის ჯამური კოეფიციენტის მიხედვითაც, რაც გვიჩვენებს შვილთა რაოდენობას თითოეულ ქალზე ფერტილური ასაკის მთელ მანძილზე. სპეციალისტთა დასკვნით, იმისთვის, რომ განხორციელდეს მოსახლეობის თუნდაც მარტივი აღწარმოება (ე.ი. თაობები განახლდეს უცვლელი რაოდენობით), აუცილებელია ეს კოეფიციენტი იყოს არანაკლებ 2.10-ისა (ანუ ბავშვთა რიცხოვნობა ფერტილური ასაკის ყოველ 100 ქალზე უნდა აღემატებოდეს 210-ს). 2006 წლის მონაცემებით, ფაქტიური მდგომარეობა კი ასეთ სურათს იძლევა: შობადობის ჯამური კოეფიციენტი განვითარებად ქვეყნებში 2.9-ს შეადგენს, რაც განვითარებული ქვეყნების შესაბამის საშუალო მაჩვენებლს 1.8-ჯერ აღემატება. მსოფლიოს ცალკეული რეგიონების მიხედვით ვითარება კიდევ უფრო კონტრასტულია. შობადობის ჯამური კოეფიციენტი აფრიკაში 5.1-ს აღწევს, რაც ჩრდილოეთ ამერიკის შესაბამის მაჩვენებლს 2.5-ჯერ, ხოლო ევროპისას – 3.6-ჯერ აღემატება.

მაჩვენებელთა ასეთი კონტრასტულობა, თავის მხრივ, საკმაოდ სტაბილურ საფუძვლებს ემყარება. მხედველობაში მაქვს, უწინარეს ყოვლისა, დემოგრაფიული გადასვლის პროცესის დაუმთხვეველობა დროსა და სივრცეში. მოსახლეობის აღწარმოების თანამედროვე ტიპი, რომელიც გამოირჩევა ბავშვთა შობის შიგაოჯახური რეგულირებითა და მცირეშვილიანობით, დიდი სახია, რაც დამკვიდრდა ევროპასა და ჩრდილოეთ ამერიკაში, მაგრამ ძალიან შძიმედ მკვიდრდება სხვა რეგიონებში, განსაკუთრებით აფრიკაში.

ყურადღებას იქცევს ის გარემოება, რომ ე.წ. „მესამე სამყაროს“ ქვეყნებში, არცთუ იშვიათად, ოჯახში ბავშვთა ფაქტიური

რიცხოვნობა საგრძნობლად აღემატება ბავშვთა სასურველ რაოდენობას (ოჯახში შვილებზე რეალურად არსებულ მოთხოვნილებას). ამას ხელს უწყობს ნაყოფის ჩასახვის საწინააღმდეგო ცივილიზებული მეთოდების არასრულყოფილი გამოყენება. ასე, მაგალითად, 2006 წელს აფრიკაში დაოჯახებულ ქალთა მხოლოდ 28 პროცენტი იყენებდა კონტრაცეპტივების ყველანაირ საშუალებას, ხოლო 22 პროცენტი – მარტო თანამედროვე მეთოდებს. შესაბამისი მაჩვენებლები შეადგენდა: ევროპაში 68 და 53 პროცენტს, ხოლო ჩრდილოეთ ამერიკაში – 73 და 69 პროცენტს.

ამასთან ერთად, განვითარებად ქვეყნებში ჯერ კიდევ შემორჩენილ შედარებით მაღალშვილიანობას განსაზღვრავს ერთ-ერთი საკმაოდ მყარი ტრადიცია – შვილების მიერ მშობლების უზრუნველყოფა სიბერეში, რაც ზრდის ბავშვთა სოციალურ, ეკონომიკურ და ზნეობრივ ფასეულობას ოჯახში. სერიოზულ როლს ასრულებს რელიგიური ფაქტორიც – რწმენა იმისა, რომ ღვთის მიერ ნაბოძები შვილების მიმართ (რა ასაკშიც უნდა იყონ ისინი) ხელის აღმართვა დიდ ცოდვად ეთვლება ადამიანს და ამის თაობაზე მოეკითხება საიქიოში;

**– მოკვდაობის შედარებით დაბალი დონე და თანდათანობით შემცირების ტენდენცია.** საკმარისია აღინიშნოს, რომ 2006 წელს მოკვდაობის ზოგადი კოეფიციენტი განვითარებად ქვეყნებში (9.0%) განვითარებული ქვეყნების საშუალო მაჩვენებელთან (10.0%) შედარებით 10 პროცენტით დაბალი იყო. შეინიშნება ჩვილ ბავშვთა მოკვდაობის ზოგადი კოეფიციენტის შემცირებაც. უკანასკნელი რვა წლის (1999-2006წწ.) განმავლობაში (ყოველ 1 ათ. ცოცხლადშობილის მიმართ) 64-დან 57-მდე შემცირდა და დღეისთვის მხოლოდ 9,6 პროცენტით აღემატება მსოფლიო მასშტაბით შესაბამის საშუალო მაჩვენებელს (53.0%).

ასეთი პოზიტიური შედეგები აისსნება მოკვდაობის ეგზოგენური ფაქტორების (მასობრივი ეპიდემიები და სხვ.) თავიდან აცილებით, სრულყოფილი მედიკამენტების გამოყენების კვალობაზე, მკურნალობის თანამედროვე მეთოდებზე თანდათანობით გადასვლით, თვითშენახვითი ქცევის დონის რამდენადმე ამაღლებით და ა.შ.;

**– მოსალოდნელი სიცოცხლის ხანგრძლივობის ზრდა.** განვითარებად ქვეყნებში ეს მაჩვენებელი უკანასკნელი რვა წლის (1999-2006 წწ.) განმავლობაში 3 პროცენტით გაიზარდა და ამჟამად 65 წელს აღწევს, რაც მხოლოდ ორი პრომილით ჩამორჩება მსოფლიოს შესაბამის საშუალო მაჩვენებელს (67 წელი).

როცა ვმსჯელობთ მოსახლეობის გადამეტწარმოებაზე, მხედველობაში გვაქვს მისი არა აბსოლუტური, არამედ შეფარდებითი (სამუშაო ადგილების, საარსებო საშუალებების მიმართ და ა. შ.) სიჭარბე, რაც მრავალი მწვავე პრობლემის წყაროდ გვევლინება როგორც თვით „მესამე სამყაროს" ქვეყნებში, ისე მის ფარგლებს გარეთ. აღნიშნულ რეგიონში მოსახლეობის რიცხოვნობასა და მისი მუდმივად მზარდი მატერიალური მოთხოვნილებების დაკმაყოფილებისთვის საჭირო ბაზას შორის დისბალანსის არსებობაზე მიგვანიშნებს ასეთი მონაცემები: „მესამე სამყაროს" ქვეყნებში ცხოვრობს მსოფლიოს ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის 74 პროცენტი, მაშინ როდესაც ამ რეგიონზე მოდის მსოფლიო სამრეწველო წარმოების მხოლოდ 7 პროცენტი[1]. 2005 წელს მთლიანი ეროვნული პროდუქტი (მეპ) განვითარებულ ქვეყნებში (მოსახლეობის 1 სულზე გაანგარიშებით) წარმოებულ იქნა 27.8, ხოლო განვიოარებად ქვეყნებში – 4,9 ათ. აშშ დოლარის ოდენობით.

ამ მხრივ მსოფლიოს ცალკეული რეგიონების მიხედვით ასეთი ვითარებაა. 1 მცხოვრებზე საშუალოდ იწარმოება: ჩრდილოეთ ამერიკაში 40980, ევროპაში – 21120, აზიაში – 5960, ხოლო აფრიკაში – 2480 დოლარის მეპ (აშშ დოლარებში, მყიდველობითუნარიანობის მიხედვით). როგორც ჩანს, ევროპის მაჩვენებელი აღემატება აზიის შესაბამის მაჩვენებელს 3,5-ჯერ და აფრიკისას – 8,5-ჯერ, ჩრდილოეთ ამერიკისა კი – აზიისას 7-ჯერ და აფრიკისას – 16,5-ჯერ. თანაც, ეს თანაფარდობა, ეკონომიკის ერთგვარი წინსვლის მიუხედავად, არა მარტო არ მცირდება, არამედ მატულობს კიდეც იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ, განვითარებად რეგიონში, დოვლათის წარმოების

[1] ჯ. კახნიაშვილი, მაკროეკონომიკა: თეორია და პოლიტიკა, თბილისი, 1997, გვ. 396.

გადიდებასთან შედარებით, წინმსწრები ტემპებით იზრდება მოსახლეობის რიცხოვნობა. ასეთი ნეგატიური ტენდენციის უცილობელი შედეგია მოსახლეობის ცხოვრების პირობების გაუარესება და გაღატაკება.

2006 წელს საარსებო მოთხოვნილებების დაკმაყოფილებისთვის დღეში საშუალოდ 2 აშშ დოლარზე ნაკლებს (რაც სიღარიბის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მაჩვენებლად ითვლება) ხარჯავდა განვითარებადი ქვეყნების მოსახლეობის 79 პროცენტი (მ. შ. ტანზანიისა – 90 და ზამბიის – 94), ხოლო დასავლეთ აფრიკის ქვეყნების მოსახლეობის – 83 პროცენტი (მ. შ. მალისა – 91 და ნიგერიის – 92%).

კიდევ უფრო მწვავე სოციალურ ვითარებაზე მიგვანიშნებს სოლიდური რაოდენობა მოსახლეობის იმ ნაწილისა, რომელსაც თავისი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებისთვის დღეში 1 დოლარზე მეტის დახარჯვა არ ძალუძს. ასეთი ღატაკი მოსახლეობის ხვედრითი წილი 1990-2003 წლებში საშუალოდ შეადგენდა (%-ობით): მალიში – 72.3, ნიგერიაში – 70.2, ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკაში – 66.6, ზამბიაში – 63.7, მადაგასკარში – 61.0, გვინეასა და გამბიაში – 59.3, ბურუნდში – 58.4, სიერა-ლეონეში – 57.0, ზიმბაბვეში – 56.1 და ა.შ.

არ შეიძლება კაცობრიობას არ აწუხებდეს ბედი საზოგადოების იმ ნაწილისა, რომელიც კვების პროდუქტების ქრონიკულ დეფიციტს განიცდის და ნახევრად-მშიერ მდგომარეობაში იტანჯება. 2000-2002 წლებში ასეთი მოსახლეობის სვედრითი წილი შეადგენდა: მთელ მსოფლიოში საშუალოდ 24 პროცენტს, მ. შ. საჰარის სამხრეთით მდებარე აფრიკის ქვეყნებში – 30, ადამიანისეული პოტენციალის განვითარების დაბალი დონის მქონე ქვეყნებში – 32, ხოლო ყველაზე დაბალგანვითარებულ ქვეყნებში – 33 პროცენტს. გაეროს მსოფლიო სასურსათო პროგრამის დირექტორის, ამერიკელი ფინანსისტის ჯეიმს მორისის ინფორმაციით, დღეისთვის ჩვენს პლანეტაზე 850 მილიონზე მეტი ადამიანი ნახევრადმშიერია. აქედან 50 პროცენტს ბავშვები შეადგენენ. ინდოეთში შიმშილობს 100 მილიონამდე ბავშვი, ჩინეთში – თითქმის 50 მლნ, ლათინურ ამერიკაში – დაახლოებით 30 მილიონამდე ბავშვი. ზანგი ბავშვების 46 პროცენტი

ჯერ კიდევ გასული საუკუნის 80-იანი წლების დასასრულისთვის იმყოფებოდა სიღარიბის ზღვარს მიღმა.

განსაკუთრებით დამაფიქრებელია ის გარემოება, რომ მთელ რიგ ჩამორჩენილ ქვეყნებში გამოუკვეთავი (ნახევრადმშიერი) მოსახლეობის ხვედრითი წილი არამცთუ არ მცირდება, არამედ (მოსახლეობის სწრაფად გამრავლების გამო) მატულობს კიდეც. ასე, მაგალითად, ასეთი მოსახლეობის ხვედრითი წილი 2000-2002 წლებში, 1990-1992 წლებთან შედარებით, გაიზარდა: სიერა-ლეონეში 46-დან 50 პროცენტამდე, სვაზილენდში – 14-დან 19-მდე, გამბიაში – 22-დან 27-მდე, ტანზანიის გაერთიანებულ რესპუბლიკაში – 37-დან 44-მდე, გვატემალაში – 16-დან 24-მდე, ბოტსვანაში – 23-დან 32-მდე, ბურუნდში – 48-დან 68-მდე, კონგოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში – 32-დან 71 პროცენტამდე[1] და ა.შ.

2002 წლისთვის არსებული მდგომარეობით თუ ვიმსჯელებთ, წყლის გაუმჯობესებულ წყაროებზე ხელი არ მიუწვდება მსოფლიოს მოსახლეობის 17 პროცენტს, მ. შ. განვითარებადი ქვეყნების – 21, აღმოსავლეთ აზიისა და წყნარი ოკეანის რეგიონის მოსახლეობის – 22, ხოლო ყველაზე დაბალგანვითარებული ქვეყნების მოსახლეობის 39 პროცენტს. რაც შეეხება სრულყოფილი კანალიზაციით სარგებლობას, ამ მხრივ ასეთი სურათი იკვეთება. მას მოკლებულია მსოფლიოს მოსახლეობის 42 პროცენტი, მ. შ. განვითარებადი ქვეყნების მოსახლეობის 52 პროცენტი, საჰარიდან სამხრეთით მდებარე აფრიკის ქვეყნების მოსახლეობის 64 და ყველაზე დაბალგანვითარებული ქვეყნების მოსახლეობის – 65 პროცენტი[2].

სიღარიბის დაძლევა და ეკოლოგიურად სუფთა ნაწარმით მოსახლეობის მრავალფეროვანი მოთხოვნილებების სრულყოფილად დაკმაყოფილება უაღრესად რთულად გადასაჭრელი ამოცანების კატეგორიას განეკუთვნება. მხედველობაში მაქვს,

[1] Доклад о развитии человека - 2005. Международное сотрудничество на перепутье: Помощь, торговля и безопасность в мире неравенства. Изд. „Весь Мир", 2005, с. 264-265.

[2] Доклад о развитии человека - 2005. Международное сотрудничество на перепутье: Помощь, торговля и безопасность в мире неравенства. Изд. „Весь Мир", 2005. с. 264-265.

ერთი მხრივ, მთელი საზოგადოებისა და მისი თითოეული წევრის მოთხოვნილებების განუსაზღვრელობასა (უკიდეგანობასა) და, მეორე მხრივ, მათი დაკმაყოფილებისთვის საჭირო რესურსების შეზღუდულობას შორის არსებული დისბალანსი. როგორც ცნობილია, დედამიწის ზედაპირის ფართობი სულ 510 მლნ კვ. კილომეტრს შეადგენს. აქედან ზღვებსა და ოკეანეებს უჭირავს 70.8 პროცენტი, ხოლო ხმელეთზე მოდის 29.2 პროცენტი. სოფლისმეურნეობრივი პროდუქტების საწარმოებლად გამოიყენება მთელი ხმელეთის მხოლოდ 6.7 პროცენტი. მოსახლეობის 1 სულზე სახნავი მიწის ფართობი მოდის (ჰექტარობით): საფრანგეთში 0.67, აშშ – 0.64, იტალიაში – 0.50, ინგლისში – 0.35, გერმანიაში – 0.21, საქართველოში – 0.16 და ა შ.

მსოფლიოს მოსახლეობის ერთი მესამედი უკვე განიცდის სასმელი წყლის საგრძნობ ნაკლებობას. გერმანია სასმელ წყალს ყიდულობს შვეიცარიისგან, აშშ – კანადისგან, ჰოლანდია – ნორვეგიისგან. თურქეთში ჩვეულებრივი მოვლენაა მომხმარებლისთვის მღვრიე – მოყვითალო ფერის წყლის მიწოდება, რაც უამრავი ავადმყოფობის გავრცელებას უწყობს ხელს. აზიისა და აფრიკის ზოგიერთ ქვეყანაში მოსახლეობის 1 სულზე დღეღამეში მოდის არაუმეტეს 3 ლიტრი წყლისა, რაც მინიმალურ დოზას არ აღემატება.

ინტენსიურად იზრდება წყლის დამაბინძურებელ ნივთიერებათა ნუსხაც. თუ 1944 წელს სასმელ წყალში აღინიშნებოდა შეზიდული 16 ნივთიერების შემცველობა, მან 1960 წელს 70-ს, 1967 წელს – 180-ს და 1973 წელს – 250-ს მიაღწია. ამჟამად კი ასეთ ნივთიერებათა ოდენობა 600-ს აღემატება[1].

ექსპერტთა გათვლებით, მიუხედავად იმისა, რომ სიღატაკის დონე (დღეში 1 დოლარზე ნაკლები თანხის დახარჯვით მცხოვრებთა ხვედრითი წილი) მსოფლიოში, ნაცვლად ამჟამად არსებული 21 პროცენტისა, 2015 წლისთვის, დასახული ამოცანის შესაბამისად, 14 პროცენტამდე უნდა შემცირდეს, ამ დროისთვის დღეში 1 დოლარზე ნაკლები თანხის დახარჯვით იცხოვრებს 800 მლნ ადამიანი, ხოლო 2 დოლარზე ნაკლები

[2] ნ. ქარჩავა, საინტერესო ამბების სკივრი, ქუთაისი, 1997, გვ. 211-212.

თანხის დახარჯვით – 1.7 მლრდ ადამიანი. მკვეთრად შეიცვლება დღეში 1 დოლარის ხარჯზე მცხოვრები ღატაკების ტერიტორიული გაადგილებაც. ასეთი კატეგორიის მოსახლეობაში საპარიდან სამხრეთით მდებარე აფრიკის ქვეყნების ხვედრითი წილი თუ ამჟამად 24 პროცენტს შეადგენს, 2015 წლისთვის 41 პროცენტამდე ამაღლდება.

კიდევ უფრო ნაკლები იმედის მომცემია უახლოეს პერიოდში მოსახლეობის გამოუკვებლობის პრობლემის დაძლევა. მართალია, ნახევრადმშიერთა ხვედრითი წილი, 1990 წლის მაჩვნებელთან (21%) შედარებით, 3 პროცენტული პუნქტით შემცირდა, მაგრამ, ძირითადად განვითარებად რეგიონში მოსახლეობის გაფართოებული აღწარმოების შედეგად, გამოუკეებავი მოსახლეობის რიცხოვნობა თითქმის უცვლელი დარჩა. წარმოების ზრდის ღღევანდელი ტემპების გათვალისწინებით, არც უახლოეს ათწლეულში მოსჩანს მისი საგრძნობლად შეცვლის რეალური შესაძლებლობანი. რაც შეეხება თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი კანალიზაციის სისტემით სარგებლობას, 2015 წლისთვის მას მოკლებული იქნება 2 მილიარდზე მეტი ადამიანი, რომელთა უდიდესი უმრავლესობა აფრიკის ტერიტორიაზე ცხოვრობს.

განვითარებად ქვეყნებში მოსახლეობის გადამეტწარმოების გლობალური ხასიათი განსაკუთრებით ვლინდება ამ რეგიონიდან (სამუშაო ადგილების მწვავე დეფიციტის გამო) შრომითი რესურსების დიდძალი ნაკადების ძირითადად ევროპისა და ამერიკის კონტინენტებისკენ მიგრაციაში. მაგალითად, საფრანგეთში მშენებლობის დარგში დასაქმებულ მუშაკთა 25 პროცენტს იმიგრანტები შეადგენენ, საავტომობილო მრეწველობაში კი ამგვარი კონტიგენტის წილი ერთ მესამედს აღწევს. შვეიცარიაში მშენებელთა 40 პროცენტი და ბელგიაში მუშათა 50 პროცენტი იმიგრანტია[1].

აღნიშნულთან დაკავშირებით, დასახელებული სახელმწიფოებისა და საერთოდ მთელი განვითარებული სამყაროს

---

[1] Доклад о развитии человека - 2005. Международное сотрудничество на перепутье: Помощь, торговля и безопасность в мире неравенства. Изд. „Весь Мир". 2005. с. 49-50.

აღელვების საფუძველი უნდა ვეძიოთ იმ პრობლემებში, რომლებსაც დასაქმების მიზნით სამუშაო ძალის ინტენსიური გარე მიგრაცია წარმოშობს. მხედველობაში მაქვს მაღალანაზღაურებადი სამუშაოს შოვნაში კონკურენცია ადგილობრივ კადრებთან, საბინაო და სხვა სოციალური პრობლემების გართულება, კრიმინოგენური ვითარების დაძაბვა, ზნეობრივი, პოლიტიკური და იდეოლოგიური პრობლემების წარმოქმნა და ა.შ.

აი, რატომ მიმართავენ შრომითი რესურსების მიმღები ქვეყნები იმიგრანტთა ლიმიტირებას (კვოტის დაწესებას). ლეგალურ მიგრანტთა ლიმიტი წელიწადში ამჟამად 800 ათ. ადამიანს შეადგენს (აშშ-ში – 270 ათ. კაცს), მაგრამ ეს მსურველთა ერთი პროცენტიც არაა. ამიტომ ფართოდაა გავრცელებული არალეგალური მიგრაცია. იტალიის კუნძულ ლამპედუზაზე მეთევზეთა მოტორიან ნავებს ყოველღამე ჩამოჰყავთ სამუშაოს მაძიებელი აფრიკელები. მარტო 1996 წელს ამ კუნძულზე 3 ათასზე მეტი არალეგალური მიგრანტი ჩამოვიდა. ვინც პირადობის დამადასტურებელ საბუთს უჩვენებდა, იმას უკან აბრუნებდნენ. უსაბუთოებისთვის (მაგრამ ქრთამის სახით სათანადო გასამრჯელოს გამღებთათვის) კი გზა ხსნილი იყო ჩრდილოეთის ქვეყნებისკენ.

თვალსაწიერ მომავალში ამ პრობლემების გადაჭრის პერსპექტივა არ მოსჩანს. ასეთი კატეგორიული დასკვნის საფუძველს მაძლევს, **ჯერ ერთი,** მოსახლეობის გაფართოებული აღწარმოება და განვითარებად რეგიონში შრომითი რესურსების ახალი ნაკადების კონცენტრაცია. შრომის საერთაშორისო ბიუროს შეფასებით, 2025 წლისთვის განვითარებადი ქვეყნების ხვედრითი წილი ეკონომიკურად აქტიურ მოსახლეობაში 74-დან 83 პროცენტამდე გაიზრდება. ამ თარიღისთვის მხოლოდ აფრიკის ხვედრითი წილი მსოფლიოს ეკონომიკურად აქტიურ მოსახლეობაში 18 პროცენტამდე ამაღლდება ანუ, 1985 წელთან შედარებით, 1.8-ჯერ გაიზრდება და გადააჭარბებს ინდუსტრიულად განვითარებული ქვეყნების წილს.

„მესამე სამყაროს“ ქვეყნებში ვერც ეკონომიკის განვითარების ტემპები იძლევა საკუთარი ძალებით უმუშევრობის პრობლემის დაძლევის იმედებს. სპეციალისტთა გათვლებით,

თუ მსედველობაში მიეიღებთ 2000-2005 წლებში წარმოების ზრდის ტემპებს, მაგალითად, ინდოეთს 100 წელი მაინც დასჭირდება იმისთვის, რომ მაღალშემოსავლიან ქვეყნებს დაეწიოს. სხვა ქვეყნები და რეგიონები კიდევ უფრო მეტი სირთულეების წინაშე დგანან. თუ ვივარაუდებთ დღეიდან მაღალშემოსავლიან ქვეყნებში წარმოების ზრდის პროცესის შეჩერებას, ხოლო ლათინური ამერიკისა და საჰარის სამხრეთით მდებარე აფრიკის ქვეყნებში ზრდის არსებული ტემპების შენარჩუნებას, მაღალშემოსავლიან ქვეყნებს ლათინური ამერიკა დაეწევა მხოლოდ 2177 წლისთვის, ხოლო აფრიკა – არაუადრეს 2236 წლისა[1].

მოსახლეობის გადამეტწარმოებასთან დაკავშირებული ნეგატიური ტენდენციების დარეგულირებაში მნიშვნელოვანი წვლილის შეტანა შეუძლია განვითარებად ქვეყნებში აქტიური დემოგრაფიული პოლიტიკის გატარებას. ამის ნათელ მაგალითს იძლევა ჩინეთის გამოცდილება, სადაც შობადობის ზოგადი კოეფიციენტი უკანასკნელი რვა წლის (1999-2006 წწ.) განმავლობაში 5 პრომილით შემცირდა და ამჟამად 12 პრომილეს არ აღემატება, მაშინ როდესაც მსოფლიოს შესაბამისი საშუალო მაჩვენებელი 21 პრომილეა.

როგორც აღვნიშნეთ, თანამედროვეობის ერთ-ერთი აქტუალური დემოგრაფიული პრობლემაა დეპოპულაცია – ყოველწლიურად გარდაცვლილთა რიცხოვნობის გადამეტება ახალშობილთა რიცხოვნობაზე. ამ პრობლემის გლობალურ ხასიათზე მიგვანიშნებს, **ჯერ ერთი,** ის, რომ სისტემატურად მატულობს იმ ქვეყნების რიცხოვნობა (დღეისთვის ასეთია 76 ქვეყანა), რომლებშიც შობადობის ჯამური კოეფიციენტი მოსახლეობის მარტივი აღწარმოებისთვის აუცილებელ დონესაც (2.10) ვერ აღწევს; **მეორე,** ის, რომ, სპეციალისტთა პროგნოზული გათვლებით, მსოფლიოს მოსახლეობის რიცხოვნობა აბსოლუტურ ბუნებრივ კლებას დაიწყებს უკვე XXII საუკუნიდან: და, **მესამე,** ის, რომ დღეისთვის მსოფლიოს 10 ქვეყანაში უკვე ნათლად

[1] Доклад о развитии человека - 2005 Международное сотрудничество. Помощь, торговля и безопасность в мире неравенства. Изд. „Весь мир", 2005, с. 43.

შეიმჩნევა დეპოპულაცია. როგორც მსოფლიოს მოსახლეობის ბიუროს მონაცემებიდან ჩანს, 2006 წელს ყოველ ათას მცხოვრებზე მოსახლეობის ბუნებრივი კლება შეადგენდა: უკრაინაში 8, რუსეთსა და ბელარუსში – 6, ლატვიაში – 5, ბულგარეთსა და ლიტვაში – 4, გერმანიაში, რუმინეთსა და ესტონეთში – 2 და მოლდოვაში – 1 ადამიანს. თუ მოკვდაობის არასწორად გაანგარიშებულ ზოგად კოეფიციენტში სათანადო კორექტივს შევიტანთ, საქართველოც ამ ქვეყნების ჯგუფში აღმოჩნდება. ამიტომ წინამდებარე სტატიაში მომდევნო ნაწილი ძირითადად საქართველოში არსებული მწვავე დემოგრაფიული კრიზისისა და მასთან დაკავშირებული ნეგატიური ტენდენციების ანალიზს ეძღვნება.

დავიწყოთ მოსახლეობის აღწარმოების ისეთი უმნიშვნელოვანესი კომპონენტით, როგორიცაა შობადობა. მისი დინამიკა ასეთ სურათს იძლევა: მოსახლეობის ყოველ ათას სულზე აქ XIX საუკუნის მეორე ნახევარში ყოველწლიურად საშუალოდ 35-დან 40-მდე ბავშვი იბადებოდა, 1913 წელს დაიბადა 28, 1960 წელს – 24.7, 1990 წელს – 17, ხოლო 2006 წელს – 12.

როგორც აღვნიშნეთ, მოსახლეობის აღწარმოების თვალსაზრისით, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია შობადობის ჯამური კოეფიციენტი. ეს მაჩვენებელი საქართველოში შეადგენდა: 1960 წელს 2.59-ს, 2002 წელს – 1.1-ს, ხოლო 2006 წელს – 1.4-ს[1]. როგორც ჩანს, ფერტილური ასაკის ყოველ 100 ქალზე გაანგარიშებით, ბავშვთა რაოდენობა 259-დან 140-მდე (2002 წ. – 110-მდე) შემცირდა. დღეისთვის ეს მაჩვენებელი 1.5-ზე დაბალი აქვს მსოფლიოს მხოლოდ 20 ქვეყანას (იაპონია, ჩრდილოეთ კორეა, ლიტვა, ლატვია, ავსტრია, გერმანია, ბელარუსი, ბულგარეთი, მოლდოვა, პოლონეთი, რუმინეთი, რუსეთი, უკრაინა, სლოვენია, საბერძნეთი, იტალია, პორტუგალია, სლოვაკია, ესპანეთი და საქართველო).

საქართველოში 1960 წელს დაიბადა 102.8 ათ. ბავშვი, სოლო 2004 წელს – 49.6 ათასი, მიუხედავად იმისა, რომ მოსახ-

---

[1] 2002 წელთან შედარებით, 2006 წელს ამ მაჩვენებლის ზრდა, ჩემი ღრმა რწმენით, უფრო გაანგარიშებებში დაშვებული უზუსტობით აიხსნება, ვინემ რეალური მდგომარეობით.

ლეობის რიცხოვნობა მაშინ თითქმის ერთი მილიონით ნაკლები იყო, ვიდრე 2004 წელს.

დემოგრაფიული განვითარების ადრინდელი ეტაპებისგან განსხვავებით, ამჟამად მწავალ დგას არა მარტო მესამე და მომდევნო, არამედ მეორე შვილის გაჩენის პრობლემაც. 2004 წლის მონაცემებით, საქართველოში დაბადებულ ბავშვთა 56.7 პროცენტი მოდის პირველ შვილზე, 31.8 პროცენტი – მეორე შვილზე და მხოლოდ 11.5 პროცენტი – მესამე და მომდევნო შვილებზე[1], რაც მცირეშვილიანი ოჯახების მომრავლებაზე მიგვანიშნებს.

როგორც ფაქტიური მდგომარეობის ანალიზი ცხადყოფს, გასული საუკუნის 80-იანი წლების დასასრულისთვის ოჯახში ბავშვთა რეალურად მოსალოდნელი რაოდენობა ვერ უზრუნველყოფდა მოსახლეობის გაფართოებულ აღწარმოებას, მაგრამ სასურველი – კი. დღეისთვის, ფრიად სამწუხაროდ, ვერც ეს უკანასკნელი უზრუნველყოფს არა მარტო გაფართოებულ, არამედ მარტივ აღწარმოებასაც. როგორც ჩანს, მოხდა ოჯახში შვილებზე მოთხოვნილების ერთგვარი გაუფასურება (დევალვაცია).

სოციოლოგიური გამოკვლევის მონაცემებით, საქართველოში რესპონდენტთა 4 პროცენტი ერთ შვილს მიიჩნევს ოჯახში შვილთა სასურველ რაოდენობად, 52 პროცენტი – ორს და მხოლოდ 35 პროცენტი – სამ შვილს. კიდევ უფრო დამაფიქრებელია ის გარემოება, რომ, არცთუ იშვიათად (მეტწილად ლტოლვილთა და დევნილთა შორის), განუსაზღვრელი ვადით ხდება გადავადება თვით პირველი შვილის გაჩენისა და შეუღლების აქტისაც კი, რომლის სავალალო შედეგები უფრო მეტად იჩენს თავს მომავალში, კერძოდ, მაშინ, როდესაც ამჟამად ახალშობილი თაობა ფერტილურ ასაკს მიაღწევს.

აღსანიშნავია ისიც, რომ საქართველოში შესამჩნევად მაღალია როგორც საერთოდ დაუქორწინებელ, ისე გვიან დაქორწინებულთა სვედრითი წილი. ასე მაგალითად, გასული საუკუნის უკანასკნელი წლების მონაცემებით, არცერთხელ არ

[1] გ. წულაძე, ნ. მაღლაფერიძე, ა. ვადაჭკორია, საქართველოს დემოგრაფიული წელიწდეული – 2004, თბილისი, 2005, გვ. 42.

ყოფილა დაქორწინებული ფერტილური ასაკის მოსახლეობის დაახლოებით 25 პროცენტი, თანაც, ეს მაჩვენებელი სისტემატურად იზრდება. ამასთან ერთად, ქვეყნის მასშტაბით დაქვრივებულია 16 წლისა და უფროსი ასაკის მოსახლეობის 10 პროცენტამდე. ეს მაჩვენებელი, ცნობილ გარემოებათა გამო, საშუალოზე უფრო მაღალია აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის დევნილ და ლტოლვილ მოსახლეობაში.

დაუქორწინებელთა და დაქვრივებულთა ესოდენ მაღალი დონე და ზრდის ტენდენცია, ცხადია, უარყოფითად მოქმედებს როგორც შობადობის, ისე მოსახლეობის აღწარმოების სხვა მაჩვენებლებზე, განსაკუთრებით მოკვდაობაზე. პროფ. მ. ხმალაძე ოჯახური მდგომარეობის მიხედვით მოკვდაობის საკითხის გამოკვლევამ იმ დასკვნამდე მიიყვანა, რომ: **ჯერ ერთი,** დაუქორწინებელი კაცების მოკვდაობა 2-ჯერ აღემატება ქორწინებაში მყოფი კაცების მოკვდაობას, მაშინ როცა გათხოვილი და გაუთხოვარი ქალების მოკვდაობის დონეებში სხვაობა უმნიშვნელოა; და, **მეორე,** ქვრივი მოსახლეობის მოკვდაობის დონე მნიშვნელოვნად აღემატება როგორც ქორწინებაში მყოფი, ისე ქორწინებაში არასდროს ნამყოფი მოსახლეობის მოკვდაობას, რაც უფრო მკვეთრად შეიმჩნევა ისევ კაცებში[1].

როგორც ცნობილია, მოკვდაობა, შობადობასთან ერთად, განსაზღვრავს მოსახლეობის ზრდის ტემპებს. იგი საქართველოში ტრადიციულად დაბალი იყო როგორც უშუალოდ მეზობელ სახელმწიფოებთან, ისე ევროპის მთელ რიგ ქვეყნებთან შედარებით. მოკვდაობამ ყველაზე დაბალ მაჩვენებელს (6.5%) 1960 წელს მიაღწია. შემდეგ, დიდი ხნის განმავლობაში, სტაბილური იყო ან ოდნავ იზრდებოდა. გასული საუკუნის 90-იან წლებში, ქვეყანაში შექმნილი არაორდინარული ვითარების გამო, მკვეთრად გაიზარდა და, 2004 წლის მონაცემებით, იგი 11.3 პრომილეს შეადგენს, რაც, ჩვენი ღრმა რწმენით, გარდაცვლილთა აღრიცხვიანობის შეგნებულად თუ უნებლიედ მოშლის გამო, ხელოვნურად შემცირებულია. სპეციალისტთა გათვლით,

---

[1] მ. ხმალაძე, საქართველოს მოსახლეობის აღწარმოების კანონზომიერებები და ეკონომიკური შედეგები. სადოქტორო დისერტაციის ავტორეფერატი. თბ., 1995, გვ. 30-31.

მაგალითად, 1995 წელს აღურიცხავი დარჩა 3046 გარდაცვლილი, ხოლო 1996 წელს – 5833.

მოკვდაობის მაჩვენებელზე, მრავალ სხვა ფაქტორთან ერთად, მნიშვნელოვან გავლენას ახდენს მოსახლეობის უზრუნველყოფა ეკოლოგიურად სუფთა სასურსათო პროდუქტებით (იხ. ცხრ. 1). რომ არაფერი ვთქვათ გასული საუკუნის 90-იანი წლების მძიმე პერიოდზე,

XXI საუკუნის გარიჟრაჟზეც ჩვენი ქვეყნის მოსახლეობის მოთხოვნილება კმაყოფილდებოდა: ხორცსა და ხორცპროდუქ-

**კვების პროდუქტების ფიზიოლოგიური ნორმები და წლიური ფაქტიური მოხმარება მოსახლეობის 1 სულზე (კგ)**

**ცხრილი 1.**

| | მოხმარების ფიზიოლოგიური ნორმები | 1990 წ. | | 1994 წ. | | 2002 წ. | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | ფაქტ. მოხმარ. | % | ფაქტ. მოხმარ. | % | ფაქტ. მოხმარ. | % |
| პური და პურპროდუქტები | 130.0 | 184.6 | 142.0 | 152.6 | 117.4 | 150.3 | 115.6 |
| ხორცი და ხორცპროდუქტები | 55.0 | 36.5 | 66.4 | 2.4 | 17.1 | 20.4 | 37.0 |
| რძე და რძის პროდუქტები | 315.0 | 311.3 | 98.7 | 90.6 | 56.8 | 197.0 | 62.4 |
| თევში და თევზის პროდუქტები | 10.0 | 8.0 | 80.0 | 0.4 | 4.0 | 1.9 | 19.0 |
| მცენარეული ზეთი | 6.0 | 4.5 | 75.0 | 2.4 | 40.0 | 6.7 | 117.0 |
| კვერცხი (ცალი) | 150 | 140.0 | 93.3 | 63.2 | 42.1 | 123.4 | 82.2 |
| კარტოფილი | 50.0 | 37.3 | 75.0 | 27.0 | 54.0 | 47.0 | 94.0 |
| ბოსტნეული და ბაღჩეული | 100.0 | 81.2 | 81.2 | 55.4 | 55.0 | 50.0 | 50.0 |
| ხილი, კენკრა, ყურძენი | 65.0 | 48.3 | 74.1 | 24.0 | 37.0 | 52.0 | 80.0 |
| შაქარი | 15.0 | 17.0 | 113.3 | 4.8 | 32.0 | 24.0 | 158.0 |

ტებზე 37, რძესა და რძის პროდუქტებზე – 62.4, თევზსა და თევზპროდუქტებზე – 19, ბოსტნეულსა და ბაღჩეულზე – 50, ხილსა, კენკრასა და ყურძენზე – 80 პროცენტით, სამაგიეროდ, პურისა და პურპროდუქტების ფაქტიური მოხმარება ფიზიოლო-

გიურ ნორმას აღემატებოდა 15.6 პროცენტით. ამასთან, 1990-2002 წლებში დღეღამეში ცილების მოხმარება მოსახლეობის 1 სულზე საშუალოდ თითქმის 2-ჯერ შემცირდა, ცხიმებისა კი 2.5-ჯერ. ასევე, საგრძნობლად იკლო მოხმარებული პროდუქტების კალორიულმა შემადგენლობამ და იგი მერყეობს საშუალოდ 1600-1700 კ/კალორიის ფარგლებში, რაც ადამიანთა ჯანმრთელობაზე ფრიად უარყოფითად მოქმედებს.

მოსასლეობის სრულფასოვანი კვების თვალსაზრისით არსებული მდგომარეობის დასადგენად, 2005 წელს სოციოლოგიური გამოკითხვა ჩატარდა საქართველოს ხუთ რეგიონში. გამოირკვა, რომ მოსახლეობის ნახევარზე მეტი საჭირო ოდენობით ვერ ღებულობს ხორცს, თევზს, კვერცხს, ბოსტნეულს, ხილს და ა.შ., სოლო მოსახლეობის დაახლოებით 70 პროცენტი ფიზიოლოგიურ ნორმაზე მეტი ოდენობით ღებულობს პურსა და პურპროდუქტებს.

როგორც ჩანს, მოსახლეობის უმეტესობა კვების პროდუქტების მოხმარებით ორგანიზმს აუცელებელ საზრდოს კი არ აწვდის, არამედ მხოლოდ შიმშილის გრძნობას იკმაყოფილებს.

ზოგადი კოეფიციენტისგან განსხვავებით, მოკვდაობის ინტენსივობის მეტად მნიშვნელოვან კონკრეტულ მაჩვენებელს ჩვილ ბავშვთა მოკვდაობის კოეფიციენტი (1000 ცოცხლად დაბადებულზე) წარმოადგენს. იგი საქართველოში 2004 წელს 23.8 პრომილეს შეადგენდა, მაშინ როდესაც საფრანგეთში, გერმანიაში, პორტუგალიაში, ლუქსემბურგში, სლოვენიაში 4 პრომილეს, ხოლო იაპონიაში, შვედეთში, სინგაპურში, ფინეთში, სამხრეთ კორეაში 3 პრომილესაც არ აღემატება. ეს დიდძალი რეალური რეზერვის არსებობაზე მიგვანიშნებს, რამეთუ 2004 წელს 1 წლამდე ასაკის 1178 ბავშვი გარდაიცვალა.

შობადობისა და მოკვდაობის მაჩვენებელთა ურთიერთშეჯერებით შეიძლება ვიმსჯელოთ მოსახლეობის ბუნებრივ მოძრაობაზე, ე.ი. იმის შესახებ, იზრდება იგი თუ მცირდება. ჩვენს ქვეყანაში რამდენადაც შობადობა სწრაფი ტემპებით ეცემა, ხოლო მოკვდაობა მატულობს (ან სტაბილურია), ცხადია, მოსახლეობის ბუნებრივი მატების ტემპები თანდათანობით კლებულობს და, საბოლოო ჯამში, დეპოპულაციაში გადადის. ასე

მაგალითად, მოსახლეობის ბუნებრივი მატება (ყოველ ათას კაცზე გაანგარიშებით) შეადგენდა: 1960 წელს 18.2, 1990 წელს – 8.6. 1995 წელს – 3.8, 2006 წელს – 0.1 (2000 წელს ნაცვლად მატებისა, ადგილი ჰქონდა კლებას და ამ მაჩვენებელმა მინუს 0.2 პრომილე შეადგინა)[1].

დღეისათვის საქართველო მთელი აზიის კონტინენტზე[2] ერთადერთისასელმწიფოა, რომელსაც (თუმცა, შორეულ პერსპექტივაში) თავისი ავტოქტონური ეთნოსის – ქართველთა გენოფონდის უცილობელი გაქრობის რეალური საშიშროება ემუქრება. აი, როგორია პროგნოზი: საქართველოს მოსახლეობა თუ 1990 წელს 5.4, ხოლო 2005 წელს 4.5 მლნ კაცს შეადგენდა, 2025 წლისთვის 4.2 და 2050 წლისთვის 3.6 მლნ-მდე შემცირდება.

დეპოპულაცია ამჟამად საქართველოს ყველა რეგიონში შეიმჩნევა, გამონაკლისი მხოლოდ სამია (აჭარა, ქვემო ქართლი და სამცხე-ჯავახეთი). მოსახლეობის როგორც მატების, ისე არც კლების ინტენსივობაა ყველა რეგიონში თანაბარზომიერი.

როგორც ცხრილიდან ჩანს, 2000 წელს მოსახლეობის ბუნებრივი კლების ზოგადი კოეფიციენტი შეადგენდა: მთლიანად საქართველოში 0.2-ს, მათ შორის: რაჭა-ლეჩხუმსა და ქვემო სვანეთში – 3.9-ს, კახეთში – 3.7, გურიაში – 2.7, იმერეთში – 1.4, სამეგრელო-ზემო სვანეთში – 1.3, შიგა ქართლში – 0.5, თბილისში, ასევე, მცხეთა-მთიანეთში – 0.3 (მაშინ როდესაც 1990 წელს კლებას მხოლოდ ერთადერთ რეგიონში – რაჭა-ლეჩხუმში ჰქონდა ადგილი). რაც შეეხება ბუნებრივი მატების კოეფიციენტს, იგი ასე გამოიყურებოდა: სამცხე-ჯავახეთი 0.6, ქვემო ქართლი – 1.9, აჭარა – 5.6.

ეს ნეგატიური ტენდენცია, სამწუხაროდ, დღესაც გრძელდება. მაგალითად, 2004 წელს ღუშეთში დაიბადა 56 ბავშვი და

---

[1] საქართველოს სტატისტიკური წელიწდეული – 2001, თბილისი, 2002, გვ. 39.

[2] როგორც ცნობილია, საქართველო ევროპისა და აზიის გასაყარზე მდებარე ქვეყანაა, მაგრამ საერთაშორისო ორგანიზაციები მას, უწინარეს ყოვლისა, აზიის კონტინენტის ქვეყნად თელიან.

გარდაიცვალა 82 ადამიანი, ამბროლაურში, შესაბამისად, 35 და 147, ცაგერში – 95 და 129 და ა.შ.

ამ საკითხის ეროვნულ ჭრილში განხილვა კიდევ უფრო მეტ საფიქრალს გვიჩენს, რამდენადაც ბუნებრივი მატების ზოგადი კოეფიციენტი ქართულ მოსახლეობაში მნიშვნელოვნად ჩამორჩება ქვეყნის საშუალო მაჩვენებელს. ეს იმითაა გამოწვე-

**მოსახლეობის ბუნებრივი მოძრაობა საქართველოში (1990-2000 წწ. ყოველ 1000 მცხოვრებზე)[1]**

ცხრილი 2.

| | საქართველო მთლიანად და მისი რეგიონები | 1990 წ. | | | 2000 წ. | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | ცოცხლად დაბადებულები | გარდაცვლილები | ბუნებ. მატება(+) კლება(–) | ცოცხლად დაბადებულები | გარდაცვლილები | ბუნებ. მატება(+) კლება(–) |
| | საქართველო –სულ | 17.3 | 8.5 | +8.8 | 8.9 | 9.1 | –0.2 |
| | მათ შორის: | | | | | | |
| 1 | თბილისი | 15.6 | 8.1 | +7.5 | 8.5 | 8.8 | –0.3 |
| 2 | იმერეთი | 16.7 | 9.2 | +7.5 | 10.0 | 11.4 | –1.4 |
| 3 | გურია | 17.0 | 11.4 | +5.6 | 9.8 | 12.5 | –2.7 |
| 4 | სამეგრელო-ზემო სვანეთი | 15.7 | 9.1 | +6.5 | 7.9 | 9.2 | –1.3 |
| 5 | რაჭა-ლეჩხუმი-ქვემო სვანეთი | 12.9 | 16.5 | –3.6 | 7.0 | 10.9 | –3.9 |
| 6 | კახეთი | 17.6 | 10.6 | +7.0 | 7.0 | 10.7 | –3.7 |
| 7 | მცხეთა-მთიანეთი | 16.9 | 9.1 | +7.8 | 10.1 | 10.4 | –0.3 |
| 8 | შიდა ქართლი | 17.6 | 9.1 | +8.5 | 9.9 | 10.4 | –0.5 |
| 9 | აჭარა | 18.9 | 6.7 | +12.2 | 12.3 | 6.7 | +5.6 |
| 10 | ქვემო ქართლი | 21.4 | 6.1 | +15.3 | 8.0 | 6.1 | +1.9 |
| 11 | სამცხე-ჯავახეთი | 19.5 | 7.4 | +12.1 | 7.6 | 7.0 | +0.6 |

[1] გ. წულაძე, ნ. მაღლაფერიძე, ა. ვადაჭკორია, საქართველოს დემოგრაფიული წელიწდეული – 2001, თბილისი, 2002, გვ. 166-170.

ული, რომ ზოგიერთი სხვა ეთნოსის წარმომადგენლები უფრო სწარაფად მრავლდებიან, ვინემ ქართველები. მაგალითად, 2004 წელს საქართველოში მცხოვრებ ქართველთა ბუნებრივმა კლებამ შეადგინა 0.4 პრომილე, ხოლო აზერბაიჯანელების ბუნებრივმა მატებამ 10.6 და ქურთებისა და იეზიდების მატებამ – 17.5 პრომილე.

ეროვნულ ჭრილში მოსახლეობის აღწარმოების ესოდენ კონტრასტული მაჩვენებლები, მთელი რიგი სუბიექტური ხასიათის ფაქტორებთან ერთად, მნიშვნელოვანწილად დემოგრაფიული განვითარებისა და, მასთან დაკავშირებით, ბავშვთა შობის შიგაოჯახური რეგულირების სხვადასხვა დონითაა განპირობებული. აღსანიშნავია, რომ მოსახლეობის აღწარმოების თანამედროვე ტიპზე გადასვლა მოხდა საქართველოში XIX საუკუნის შუა ხანებიდან, სოლო აზერბაიჯანსა და სომხეთში – XX საუკუნის 40-იანი წლების დასაწყისიდან. ამასთან, მუსლიმანებში ბავშვთა შობის შიგაოჯახური რეგულირების თვალსაზრისით, მნიშვნელოვან როლს ჯერ კიდევ რელიგიური ფაქტორი ასრულებს.

დემოგრაფიული ვითარების გამწვავებაზე მიგვანიშნებს ქორწინების მაჩვენებლის მკვეთრად შემცირებაც. ყოველ ათას კაცზე გაანგარიშებით, იგი შეადგენდა: 1980 წელს 10.0, სოლო 2004 წელს – 3.5[1]. ასეთ კონტრასტულ მაჩვენებლებს მთლად დამაჯერებლად ვერ მივიჩნევთ იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ უკანასკნელ პერიოდში ქორწინების ცერემონიალი არცთუ იშვიათად მთავრდება საეკლესიო ჯვრისწერით და არ რეგისტრირდება იურიდიულად.

რაც შეეხება განქორწინებას, ეს მაჩვენებელი საქართველოში ყოველთვის დაბალი იყო, განსაკუთრებით ქართულ მოსახლეობაში. 2004 წლის მონაცემებით, იგი 0.4%-ს არ აღემატება. სხვათაშორის, ეს მაჩვენებელიც ნაკლებად სარწმუნოდ მიმაჩნია, მაგრამ არა იმიტომ, რომ თავისთავად რატომ არ არის უფრო მაღალი, არამედ იმიტომ, რომ, 1990 წლის შესაბამის მაჩვენებელთან შედარებით, შემცირებულია 3.2-ჯერ. მით

[1] **საქართველოს სტატისტიკური წელიწდეული – 2005, თბილისი, 2005, გვ. 39.**

უმეტეს, ეს არის პერიოდი, როდესაც, აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში მწვავე (სისხლისმღვრელ) ეთნოკონფლიქტებთან დაკავშირებით, შერეული ოჯახების მნიშვნელოვანი ნაწილი დაინგრა.

თანამედროვე ეტაპზე დემოგრაფიული განვითარებისთვის დამახასიათებელი კიდევ ერთი ნეგატიური ტენდენციაა რეგისტრირებული ქორწინების გარეშე დაბადებულ ბავშვთა ხვედრითი წილის სისტემატური ზრდა. ეს მაჩვენებელი საქართველოში თუ 1980 წელს 4.7 პროცენტს არ აღემატებოდა, 1990 წელს 18.2 პროცენტამდე, ხოლო 2004 წელს 45.9 პროცენტამდე ავიდა[1]. როგორც ჩანს, ამჟამად თითქმის ყოველი მეორე ბავშვი რეგისტრირებული ქორწინების გარეშე იბადება.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ყველა ქორწინება სამთავრობო ორგანოებში არ რეგისტრირდება, ამიტომ ნორმალურ და შეხმატკბილებულ, მაგრამ კანონმდებლობით დადგენილი წესით არარეგისტრირებულ ოჯახებში დაბადებული ბავშვების გარკვეული ნაწილიც ოფიციალურად რეგისტრირებული ქორწინების გარეშე დაბადებულად ითვლება, რაც ხელოვნურად ზრდის მათ რაოდენობას და რეალურ ვითარებას მრუდედ წარმოგვიდგენს. ამ მომენტის გათვალისწინების შემთხვევაშიც, რეგისტრირებული ქორწინების გარეშე დაბადებულ ბავშვთა რეალური რიცხოვნობა დასაშვებ დონეს მკვეთრად აღემატება და არა ერთ მწვავე პრობლემას წარმოშობს. მხედველობაში მაქვს მამის (ზოგჯერ დედის) მხრივ მზრუნველობას მოკლებული ბავშვების აღზრდასა და სწავლა-განათლებასთან დაკავშირებული სირთულეები და არა მარტო ეს.

ყურადღებას იქცევს ამ საკითხთან დაკავშირებით საზოგადოებრივი მენტალიტეტის შეცვლაც. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის დემოგრაფიისა და სოციოლოგიური კვლევის ინსტიტუტის 2003 წლის სოციოლოგიური გამოკვლევის მონაცემებით, ქორწინების გარეშე ბავშვის გაჩენისადმი აშკარად უარყოფითი დამოკიდებულება გამოხატა რესპონდენტთა მხოლოდ 18 პროცენტმა, 62 პროცენტი გამარ-

[1] საქართველოს სტატისტიკური წელიწდეული — 2005, თბილისი, 2005, გვ. 41-42.

თლებულად მიიჩნევს, თუმცა სხვადასხვა მოტივაციით.

იანამედროვეობის ერთ-ერთ აქტუალურ დემოგრაფიულ პრობლემას მოსახლეობის დემოგრაფიული დაბერება წარმოადგენს. საქართველოში, სხვა ნეგატიურ პროცესებთან ერთად, მოსახლეობის დემოგრაფიული დაბერებაც ინტენსიურად მიმდინარეობს. იგი გასული საუკუნის 70-იანი წლების შუა ხანებიდან დემოგრაფიულად დაბერებულ ქვეყნად ითვლება. XX საუკუნის 90-იანი წლებიდან, მწვავე სოციალურ-ეკონომიკური კრიზისის გამო, დემოგრაფიული დაბერების პროცესი დაჩქარდა და ქვეყანამ დემოგრაფიული დაბერების მაღალ დონეს მიაღწია. 65 წლისა და უფროსი ასაკის მოსახლეობის ხვედრითი წილი უკვე 13.4 პროცენტს შეადგენს[1], მაშინ როდესაც (გაეროს კლასიფიკაციით) დაბერების ზღვრად 7% ითვლება. როგორც მაჩვენებელთა ურთიერთშეღარება ცხადყოფს, 65 წლისა და უფროსი ასაკის მოსახლეობის ხვედრითი წილი 13 პროცენტს აღემატება მსოფლიოს 209 ქვეყნიდან 24-ში, მათ შორისაა საქართველოც.

შედარებისთვის: 2006 წლის მონაცემებით, დემოგრაფიულად ყველაზე უფრო დაბერებული ქვეყნებია იაპონია (20%), იტალია, ლუქსემბურგი (19%), საბერძნეთი (18%). მომდევნო საფეხურზე არიან: ესპანეთი, პორტუგალია, ბელგია, შვედეთი, ბულგარეთი, ესტონეთი, ლატვია (17%) და ა.შ.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ფერტილური ასაკის ქალთა დაბერება. საქართველოში ასეთი კონტინგენტის მანდილოსანთა თითქმის ნახევარი 36 წელსაა გადაცილებული, რაც მომავალში ფრიად უარყოფით გავლენას მოახდენს შობადობის ინტენსიურობაზე.

დემოგრაფიული დაბერება გაცილებით სწრაფად მიმდინარეობს სოფლად. ასე, მაგალითად, საქართველოში გასული საუკუნის დასასრულისთვის 60 წლისა და უხნესი ასაკის მოსახლეობის ხვედრითი წილი მთელ მოსახლეობაში შეადგენდა: ქალაქად 15 პროცენტს, ხოლო სოფლად – 20 პროცენტს. ამის ერთ-ერთი ძირითადი მიზეზია ის, რომ, ცხოვრების ეძიმე

---

[1] გ. წულაძე, ნ. მაღლაფერიძე, ა. ვადაჭკორია, საქართველოს დემოგრაფიული წელიწდეული 2005, თბილისი, 2005, გვ. 29.

პირობების გამო, სოფელი თითქმის დაიცალა ახალგაზრდობისგან.

სოფლის მოსახლეობის დემოგრაფიული დაბერების თვალსაზრისით ვითარება არაერთგვაროვანია რეგიონულ ჭრილშიც. ცნობილი სპეციალისტის როსეტის კლასიფიკაციით, დემოგრაფიული „სიბერის ძლიერ განვითარებული დონე" ახასიათებთ რაჭა-ლეჩხუმ-ქვემო სვანეთს, იმერეთს, გურიასა და კახეთს; „განვითარებული დონე" – შიგა ქართლს, მცხეთა-მთიანეთსა და სამეგრელო-ზემო სვანეთს; „საშუალო დონე" – აფხაზეთს; „სიბერის საწყისი დონე" – სამცხე-ჯავახეთს. დემოგრაფიული სიბერის ასაკამდე ჯერ არ მიუღწევია მხოლოდ ქვემო ქართლისა და აჭარის სოფლის მოსახლეობას. თუმცა, საქართველოს არცერთ რეგიონში არაა დემოგრაფიულად ახალგაზრდა სოფლის მოსახლეობა.

მოსახლეობის დემოგრაფიულ დაბერებას თან სდევს ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის (განსაკუთრებით მისი დასაქმებული ნაწილის) სოციალურ-დემოგრაფიული და ეკონომიკური დატვირთვის მკვეთრი ზრდა. ეს რომ ასეა, ნათლად ჩანს თუნდაც იქიდან, რომ საქართველოში ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის ყოველი ათასი კაცის კმაყოფაზე იმყოფებოდა: 1990 წელს 950, ხოლო 2004 წელს – 1340 არაშრომისუნარიანი ასაკის მოქალაქე. თუ გავითვალისწინებთ საქართველოში არსებულ უმუშევრობის მაღალ დონეს (რაც რეალური სურათის მისაღებად აუცილებელია), სოციალურ-დემოგრაფიული დატვირთვა კიდევ უფრო გაიზრდება. ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის ყოველი დასაქმებული ათასი კაცის კმაყოფაზე თუ 1990 წელს 950 კაცი იმყოფებოდა, 2004 წელს ეს დატვირთვა 2760 კაცამდე, ანუ 2.9-ჯერ და უფრო მეტად გაიზარდა[1], რამდენადაც დასაქმებულთა კმაყოფაზე მყოფთა კატეგორიაში გადაინაცვლა ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის იმ ნაწილმაც, რომელიც უმუშევარია.

ესოდენ მაღალი და თანდათანობით მზარდი სოციალურ-დემოგრაფიული დატვირთვა არამარტო მოსათმენ, არამედ, პერ-

---

[1] გაანგარიშებულია – „საქართველოს სტატისტიკური წელიწდეული – 2005", თბილისი, 2005, გვ. 33, 53 – მიხედვით.

ირად შეიცვალა: ქალების ხვედრითი წილი შემცირდა 1.1 პროცენტული პუნქტით, ხოლო მამაკაცებისა იმავე ოდენობით გაიზარდა[1]. ყოველივე ეს მნიშვნელოვნად აპირობებს როგორც შრომით რესურსებზე მოთხოვნასა და მათ ფაქტიურ მიწოდებას, ისე საქორწინო სუბიექტთა შორის დისბალანსს;

5. მოსახლეობის ასაკობრივი სტრუქტურის დეფორმაციასთან დაკავშირებით სრულშრომისუნარიანთა (მათ შორის და განსაკუთრებით ფაქტიურად მომუშავეთა) სოციალურ-დემოგრაფიული და ეკონომიკური დატვირთვის მკვეთრი ზრდა, რაც თაობათა შორის დაპირისპირების საფუძველს ქმნის;

6. შრომისუნარიან ასაკში მოკვდაობისა და გარემიგრაციის ინტენსიური ზრდის გამო, ქვეყნის ეკონომიკური პოტენციალის არასრულად გამოყენება და უწარმოებელი მთლიანი შიგა პროდუქტის მოცულობის გაღიდება.

ალბათ, კამათს არ იწვევს ზემოთ დასახელებული გლობალური ნეგატიური მოვლენების სახელმწიფოს დონეზე (რამდენადაც ეს შესაძლებელია) რეგულირების საჭიროება და აუცილებლობა. მხედველობაში მაქვს ქვეყანაში (თანაც რეგიონულ თავისებურებათა გათვალისწინებით) აქტიური სახელმწიფო

დემოგრაფიული პოლიტიკის თანმიმდევრული განხორციელება[2].

როგორი ვითარებაა ამ მხრივ? – სამწუხაროდ, ქვეყანაში არა მარტო არ ტარდება არანაირი დემოგრაფიული პოლიტიკა, არამედ რიგიანად მოფიქრებულიც არაა იგი. ჩვენ შორსა ვართ იმ აზრისგან, რომ დემოგრაფიულ პოლიტიკას, როგორი მასშტაბური და სისტემური ხასიათისაც უნდა იყოს იგი, შეუძლია კარდინალურად შეცვალოს დემოგრაფიული განვითარების ტენდენციები და 180°-ით შემოაბრუნოს ისინი პოზიტიური მიმართულებით. მაგრამ არც იმის უარყოფა შეიძლება, რომ მეცნიერულად დასაბუთებული პოლიტიკის დროული და გონივრული გატარებითა და მართვის სრულყოფილი მექანიზმის

---

[1] გ. წულაძე, ნ. მაღლაფერიძე, ა. ვადაჭკორია, საქართველოს დემოგრაფიული წელიწდეული – 2005, თბილისი, 2005, გვ. 18, 21, 26, 29.

[2] იხ. ლ. ჩიქავა, დემოგრაფიული კრიზისი საქართველოში და სახელმწიფო დემოგრაფიული პოლიტიკა. ჟურნ. „მაკრო-მიკროეკონომიკა", 1998, № 11, გვ. 33-38.

„დეპოპულაციის ბომბი“ დამოკლეს მახვილივით აქვს დამიზნებული ქართველი ერის ფიზიკურ უწყვეტობას. ამის დასტურია ის, რომ საერთაშორისო ექსპერტთა გათვლებით, საქართველოს მოსახლეობა 2050 წლისთვის, 1990 წელთან შედარებით 1.5-ჯერ (ანუ 1.8 მლნ კაცით) შემცირდება.

ასეთი ტემპით მოსახლეობის რიცხოვნობის შემცირება მსოფლიოს არცერთ ქვეყანაში არაა ნავარაუდევი;

**2.** სამხრეთ კავკასიის მოსახლეობაში საქართველოს მოსახლეობის (განსაკუთრებით ქართული ეთნოსის) ხვედრითი წილის თანდათან შემცირება. ამ რეგიონში, საქართველო, მთელი მოსახლეობის რიცხოვნობითა და ბუნებრივი მატების ტემპით, თუ XIX საუკუნის დასასრულისთვის პირველ ადგილზე იყო, დღეისთვის მოსახლეობის რიცხოვნობით მეორე, ხოლო მატების ტემპით მესამე ადგილზეა. სამხრეთ კავკასიაში საქართველოს მოსახლეობის ხვედრითი წილი 1959 წლის 44 პროცენტიდან 2006 წლისთვის 27.7 პროცენტამდე შემცირდა. კიდევ უფრო საგრძნობლად შემცირდა ქართველთა ხვედრითი წილი და, რაც მთავარია, ეს ტენდენცია ახლაც გრძელდება, თანაც ინტენსიურად;

**3.** ინტენსიური გარემიგრაციული პროცესის მხედველობაში მიღების გარეშეც, შორეულ პერსპექტივაში ქართველებს თავიანთივე ისტორიული სამშობლოს მოსახლეობის რიცხოვნობაში ხვედრითი წილის მკვეთრად შემცირების საშიშროებას უქმნის, მთელ რიგ არააბორიგენ ეთნოსებთან შედარებით, მისი დაბალი აღწარმოებრივი მაჩვენებლები. მაგალითად, 2004 წლის მონაცემებით, საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრები ეთნოსებიდან, 10 ათას კაცზე გაანგარიშებით, ყოველწლიურად ქართველებს აკლდებათ 4 ადამიანი, ხოლო აზერბაიჯანელებს 106 და ქურთებსა და იეზიდებს 176 ადამიანი ემატებათ.

**4.** მოსახლეობის ასაკობრივი და სქესობრივი სტრუქტურის დეფორმაცია. საკმარისია აღინიშნოს, რომ 1959-2005 წლებში საქართველოში 15 წლამდე ასაკის მოსახლეობის ხვედრითი წილი 1.1 პროცენტული პუნქტით შემცირდა, ხოლო 65 წლის და უფროსი ასაკის მოსახლეობისა 7.5 პროცენტული პუნქტით გაიზარდა. ამავე პერიოდში სქესობრივი სტრუქტურა კი ასეთნა-

ირად შეიცვალა: ქალების ხვედრითი წილი შემცირდა 1.1 პროცენტული პუნქტით, სოლო მამაკაცებისა იმავე ოდენობით გაიზარდა[1]. ყოველივე ეს მნიშვნელოვნად აპირობებს როგორც შრომით რესურსებზე მოთხოვნასა და მათ ფაქტიურ მიწოდებას, ისე საქორწინო სუბიექტთა შორის დისბალანსს;

5. მოსახლეობის ასაკობრივი სტრუქტურის დეფორმაციასთან დაკავშირებით სრულშრომისუნარიანთა (მათ შორის და განსაკუთრებით ფაქტიურად მომუშავეთა) სოციალურ-დემოგრაფიული და ეკონომიკური დატვირთვის მკვეთრი ზრდა, რაც თაობათა შორის დაპირისპირების საფუძველს ქმნის;

6. შრომისუნარიან ასაკში მოკვდაობისა და გარემიგრაციის ინტენსიური ზრდის გამო, ქვეყნის ეკონომიკური პოტენციალის არასრულად გამოყენება და უწარმოებელი მთლიანი შიგა პროდუქტის მოცულობის გადიდება.

ალბათ, კამათს არ იწვევს ზემოთ დასახელებული გლობალური ნეგატიური მოვლენების სახელმწიფოს დონეზე (რამდენადაც ეს შესაძლებელია) რეგულირების საჭიროება და აუცილებლობა. მხედველობაში მაქვს ქვეყანაში (თანაც რეგიონულ თავისებურებათა გათვალისწინებით) აქტიური სახელმწიფო

დემოგრაფიული პოლიტიკის თანმიმდევრული განხორციელება[2].

როგორი ვითარებაა ამ მხრივ? – სამწუხაროდ, ქვეყანაში არა მარტო არ ტარდება არანაირი დემოგრაფიული პოლიტიკა, არამედ რიგიანად მოფიქრებულიც არაა იგი. ჩვენ შორსა ვართ იმ აზრისგან, რომ დემოგრაფიულ პოლიტიკას, როგორი მასშტაბური და სისტემური სასიათისაც უნდა იყოს იგი, შეუძლია კარდინალურად შეცვალოს დემოგრაფიული განვითარების ტენდენციები და 180°-ით შემოაბრუნოს ისინი პოზიტიური მიმართულებით. მაგრამ არც იმის უარყოფა შეიძლება, რომ მეცნიერულად დასაბუთებული პოლიტიკის დროული და გონივრული გატარებითა და მართვის სრულყოფილი მექანიზმის

---

[1] გ. წულაძე, ნ. მაღლაფერიძე, ა. ვადაჭკორია, საქართველოს დემოგრაფიული წელიწდეული – 2005, თბილისი, 2005, გვ. 18, 21, 26, 29.

[2] იხ. ლ. ჩიქავა, დემოგრაფიული კრიზისი საქართველოში და სახელმწიფო დემოგრაფიული პოლიტიკა. ჟურნ. „მაკრო-მიკროეკონომიკა", 1998, № 11, გვ. 33-38.

გამოყენებით შეიძლება გარკვეულწილად დემოგრაფიული კრიზისის გაღრმავების შეჩერება და არსებული სიტუაციის სტაბილიზება, რასაც ადასტურებს მსოფლიოს ბევრი ქვეყნის პრაქტიკა.

ზოგიერთ, საქმეში ჩაუხედავ, პოლიტიკოსს სახელმწიფოს მიერ გატარებული დემოგრაფიული პოლიტიკა ჰგონია მრავალშვილიანი დედებისთვის ეპიზოდურად და მიზერული ოდენობით გაცემული დახმარებები. სინამდვილეში, სახელმწიფო დემოგრაფიული პოლიტიკა გულისხმობს სამი აუცილებელი კომპონენტის ერთიანობას. ესენია: პირველი, დემოგრაფიული პოლიტიკის სტრატეგიული მიზნის განსაზღვრა ანუ ნათლად მინიშნება იმისა, მისი ამოცანაა გარემო პირობების შექმნა მოსახლეობის გაფართოებული თუ შეკვეცილი აღწარმოებისთვის, კიდევ უფრო მარტივად რომ ვთქვათ, მოსახლეობის რიცხოვნობის გადიდების თუ შემცირებისთვის; მეორე, გონივრულად შემუშავებული და მეცნიერულად დასაბუთებული ღონისძიებათა სისტემა ანუ შერჩევა ბერკეტების (ინსტრუმენტების) კომპლექსისა, რომლის მიზანსწრაფული გამოყენებით შეიძლება მიღწეულ იქნეს სერიოზული წარმატებები დასახული მიზნის მიღწევის მიმართულებით; და, მესამე, — შემუშავებული ღონისძიებების პრაქტიკულად განმხორციელებელი ადრესატის ნათლად მინიშნება და, რაც დღევანდელ სიტუაციაში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, სათანადო ფინანსური უზრუნველყოფა.

განვიხილოთ თითოეული მათგანი ძირითადად საქართველოსთან მიმართებაში.

როგორც ზემოთ დავახასიათეთ, მოსახლეობის აღწარმოების თვალსაზრისით, ჩვენთან შექმნილი მწვავე ვითარება გარდუვალად გვკარნახობს პოპულაციონისტური პოლიტიკის განხორციელების მიზანშეწონილობასა და აუცილებლობას. ამ მიმართულებით დასახული მიზნის მაქსიმუმი შეიძლება იყოს მოსახლეობის გაფართოებული აღწარმოების უზრუნველყოფა, მინიმუმი კი — დემოგრაფიული განვითარების მიღწეული დონის სტაბილიზაცია, დეპოპულაციის პროცესის შემდგომი გაღრმავების პრაქტიკულად გამორიცხვა.

ახლა შევჩერდეთ იმ ღონისძიებებზე, რომელთაც ძალუძთ თვალსაჩინო წვლილის შეტანა ამ კეთილშობილური მიზნის ხორცშესხმაში. მხედველობაში მაქვს ხელისუფლების ძალისხმევის წარმართვა სამი ძირთადი მიმართულებით:

1. ოჯახში ოპტიმალური რიცხოვნობის ბავშვთა ყოლის მოთხოვნილების ფორმირება და შესაბამისი განწყობის ჩამოყალიბება. ეს შობადობის ოპტიმიზაციის ყველაზე ეფექტიანი მიმართულებაა, მაგრამ შედეგი შედარებით მოგვიანებით იჩენს თავს.

ამისთვის მიზანშეწონილია ზოგადასაგანმანათლებლო სკოლების, საშუალო სპეციალური და უმაღლესი სასწავლებლების სასწავლო პროგრამებში დემოგრაფიული პროფილის შესაბამისი დისციპლინებისა და კარგად შერჩეული დიდაქტიკური მასალების შეტანა, რომელიც ხელს შეუწყობს მოსწავლე ახალგაზრდობაში შვილთა სასურველი რაოდენობის ფორმირებას და ამ მიმართულებით დადებითი განწყობის ჩამოყალიბებას. სასარგებლო ღონისძიებად უნდა იქნეს მიჩნეული აგრეთვე რადიო- და ტელეგადაცემებში, ინტერნეტში, კინოფილმებში, თეატრალურ დადგმებში, რეკლამებში, მხატვრულ და სპეციალურ ლიტერატურაში, პერიოდულ პრესაში, მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებებში ამ პრობლემისადმი მიძღვნილი თემატიკის წინა პლანზე წამოწევა.

რა აპირობებს ამის აუცილებლობას? – უწინარეს ყოვლისა, ის, რომ ფერტილური ასაკის ქალთა მენტალიტეტში აშკარად შეიმჩნევა მრავალშვილიანი ოჯახების როლისა და მნიშვნელობის გადაფასება და მათი აღწარმოებრივი ნორმების შეცვლა კლების მიმართულებით. ალბათ, სხვანაირ კვალიფიკაციას ვერ მივცემთ იმ ფაქტს, რომ სისტემატურად მცირდება იმათი ხვედრითი წილი, ვისაც იდეალურად მიაჩნია მრავალშვილიანი (5 და მეტშვილიანი) ოჯახი და შესაბამისად იზრდება იმათი ხვედრითი წილი, ვისაც იდეალურად მიაჩნია მცირეშვილიანი (1-2 შვილიანი) ოჯახი.

2. ბავშვთა ყოლის ჩამოყალიბებული მოთხოვნილების – შვილთა სასურველი რაოდენობის პრაქტიკული რეალიზაცია. ეს არანაკლებ რთული პრობლემაა, რამდენადაც ოჯახში

შვილთა რეალურად მოსალოდნელი საშუალო რაოდენობა სულ უფრო მკვეთრად ჩამორჩება მათ სასურველ რაოდენობას (მიუხედავად ამ უკანასკნელის შემცირების ტენდენციისა). როგორც სოციოლოგიური გამოკვლევის შედეგებიდან ჩანს, ოჯახში შვილთა სასურველ და რეალურად მოსალოდნელ რიცხოვნობას შორის სხვაობა დაახლოებით ერთ ბავშვს შეადგენს.

შვილების სასურველ და ფაქტიურად მოსალოდნელ რაოდენობას შორის ესოდენ დიდი სხვობა მიგვანიშნებს ქვეყანაში მოსახლეობის ბუნებრივი ზრდის რეალური რეზერვების არსებობაზე[1].

იმ ღონისძიებათა შორის, რომელთაც ძალუძთ ამ შესაძლებლობის რეალიზაცია, აღსანიშნავია:

— მოსახლეობის რიცხოვნობის გადიდების მატერიალური სტიმულირება, რომელშიც, უწინარეს ყოვლისა, შობადობის გაზრდისთვის სახელმწიფოს მხრივ ერთჯერადი და ყოველთვიური ფულადი დახმარების დაწესება იგულისხმება.

თუმცა, მატერიალურ სტიმულირებამდე, აუცილებელია ყველგან და ყოველთვის დავიცვათ პრინციპი: „შვილის შეძენით გამოწვეულმა ხარჯებმა არ უნდა შეამციროს შემოსავალი ოჯახის თითოეულ წევრზე გაანგარიშებით". ასეთი შედეგის მისაღწევად საჭიროა დახმარების თანხა შეესაბამებოდეს ახალშობილის შენახვის ხარჯებს. მაგრამ ეს იქნება ქვედა ზღვარი. ამის შემდეგ, შობადობის მატერიალური სტიმულირების მიზნით, მიზანშეწონილია ერთჯერადი და ყოველთვიური დიფერენცირებული დახმარების დაწესება შვილების შეძენის რიგითობის მიხედვით. მთავარი ვექტორი მესამე შვილის ყოლაზე უნდა მივმართოთ, რამეთუ, ჩვენს დღევანდელ პირობებში, ოპტიმალურად სამშვილიან ოჯახს ვაღიარებთ. შკალა (ლარებში) დაახლოებით ასეთნაირად წარმომიდგენია:

---

[1] ასეთ შესაძლებლობას მოკლებულნი არიან დეპოპულაციით გამორჩეული დასავლეთ ევროპის ეკონომიკურად განვითარებული ქვეყნები, რამდენადაც იქ ოჯახში ბავშვთა რეალურად მოსალოდნელი რაოდენობა არ ჩამორჩება მათ სასურველ რაოდენობას იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ არ არსებობს ამის განმსაზღვრელი სოციალურ-ეკონომიკური ფაქტორები.

| დახმარების სახეობა | პირველ შვილზე | მეორე შვილზე | მესამე შვილზე | მეოთხე შვილზე |
|---|---|---|---|---|
| ერთჯერადი. . . . . | 500 | 700 | 1000 | 800 |
| ყოველთვიური დანამატი დასაქმებული ერთ-ერთი მშობლის ხელფასზე | 50 | 70 | 100 | 60 |

მოსაგრებების ურთიერთშეჯერების კვალობაზე, ასევე, ქვეყნის ეკონომიკური განვითარების დონის ამაღლების შესაბამისად, ეს სიდიდეები შეიძლება და საჭიროცაა გადაისინჯოს (დაგ-ესტდეს), მაგრამ მთავარია შევინარჩუნოთ მეორე, განსაკუთრებით კი მესამე, შვილის ყოლის სტიმ-ულირების პრინციპი.

შობადობის სტიმულირებისთვის დახმარების დაწესებისას მხედველობაში უნდა მივიღოთ ოჯახის შემოსავალიც. თუ ოჯახში თითოეულ წევრზე გაანგარიშებით შემოსავალი ნაკლებია ქვეყანაში ოფიციალურად დადგენილ საარსებო მინიმუმზე, მეორე და მესამე შვილის შეძენისას, ყოველთვიური დახმარების თანხა (ბავშვის დედას ან მამას) უნდა დაუწესდეს ისეთი ოდენობით, რომ ოჯახის წევრთა შემოსავალი გაუტოლდეს საარსებო მინიმ-უმს. სასურველია ამგვარი წახალისება გაგრძელდეს მანამ, სანამ ეს ახალშობილები 16 წლის ასაკს მიაღწევენ. იმ შემთხვევაში კი, როცა ოჯახის წევრთა შემოსავალი აღემატება საარსებო მინიმ-უმს, შვილის შეძენისთვის მატერიალური წახალისება შეიძლება შემოიფარგლოს (ყოველ შემთხვევაში, განვითარების დღევანდელ ეტაპზე) ერთჯერადი დახმარებით.

დემოგრაფიული ვითარების ნორმალიზებისკენ მიმართულ ღონისძიებათა შორის, უწინარეს ყოვლისა, მატერიალური სტიმულირების საკითხი იმიტომ განვიხილე, რომ დღეისთვის შობადობის შემაფერხებელ ფაქტორთა შორის პირველ ადგილზე სწორედ მატერიალური ხელმოკლეობა გვეელინება, მაშინ როდესაც ადრეულ ეტაპებზე (გასული საუკ-უნის 90-იან წლებამდე) პირველი ადგილი ფერტილური ასაკის ქალთა ნაწილის ჯანმრთელობის შერყევას ეკავა. ზემოთ დასახელებული 2003 წლის სოციოლოგიური გამოკვლევის მონაცემებით, კითხვაზე: „თუ გყავთ ან აპირებთ იყოლიოთ შვილები იმაზე

ნაკლები ოდენობით, ვინემ გსურთ, რა არის ამის მიზეზები? — რესპონდენტთა 60 პროცენტზე მეტმა მატერიალური ხელმოკლეობა და ბავშვების აღზრდისთვის სათანადო პირობების უქონლობა დაასახელა.

ამავე გამოკვლევით დადგენილ იქნა, რომ, ოჯახის შენახვისთვის სახსრების უკმარისობის გამო, ყოველი მეორე რესპონდენტი ან მისი ოჯახის წევრი (სულ 54 %) თავს იკავებს დაქორწინებისგან. ამ მხრივ შექმნილ ვითარებას კიდევ უფრო ართულებს ის გარემოება, რომ იმათგან, ვინც მატერიალური ხელმოკლეობის გამო იკავებს თავს დაქორწინებისგან, თითქმის ერთი მესამედი 25 წლამდე ასაკშია, რაც, ცხადია, განსაკუთრებულ უარყოფით გავლენას ახდენს შობადობის საერთო მაჩვენებელზე;

— შობადობაზე უარყოფითად მოქმედ სუბიექტურ ფაქტორთა შორის ერთ-ერთ თვალსაჩინო ადგილზეა, აგრეთვე, ახალგაზრდა ოჯახების უბინაობა და საცხოვრებელი ფართით დაუკმაყოფილებლობა. აი, რატომ უნდა მიექცეს ამ საკითხს განსაკუთრებული ყურადღება.

მიზანშეწონილად მიმაჩნია, მძიმე საბინაო პირობებში მყოფ ოჯახებს, მათი სურვილის გავალისწინებით, ბინათმშენებლობისთვის სახელმწიფომ მეორე შვილის შეძენისას გამოუყოს გრძელვადიანი უპროცენტო კრედიტი, მესამე შვილის გაჩენის შემთხვევაში სესხის დასაბრუნებლად დარჩენილი ნაწილის 50 პროცენტის გადახდისგან განთავისუფლების პირობით.

ყოველივე ეს უნდა დაფიქსირდეს შესაბამისი კანონმდებლობით და მართებული იქნება შეეხოს როგორც სახელმწიფო და კოოპერაციულ, ისე კერძო სექტორში დასაქმებულ პირებს, თითოეული სექტორის სპეციფიკის გათვალისწინებით.

ბავშვთა შობის შიგაოჯახური რეგულირების დაწყებამდე ოჯახის შემოსავალს, საცხოვრებელი ფართის მოცულობას, თავისუფალი დროის სიდიდესა და ბავშვთა შობის ინტენსივობას შორის პირდაპირი დამოკიდებულება არსებობდა, იმიტომ, რომ ცხოვრების რაც უფრო უკეთესი პირობებია, მით უფრო დაბალია მოკვდაობა, უკეთესია ჯანმრთელობა, ხანგრძლივია ქალთა ნაყოფიერების პერიოდი და, ბუნებრივია, შედარებით

მაღალია ბავშვთა შობის ინტენსივობა. მდგომარეობა რადიკალურად იცვლება მოსახლეობის აღწარმოების თანამედროვე ტიპის დამკვიდრების პირობებში, რამდენადაც ოჯახი, ბავშვებზე შეზღუდული მოთხოვნილების გათვალისწინებით, გეგმავს შვილთა რეალურად მოსალოდნელ რიცხოვნობას, რომელიც, როგორც წესი, სტაბილურია. მიუხედავად ამისა, ეს ფაქტორები დღევანდელ არაორდინარულ პირობებში, როცა მოსახლეობის 40 პროცენტზე მეტი სიღარიბის ზღვარს მიღმა იმყოფება, მნიშვნელოვანწილად ინარჩუნებს აქტუალურობას;

– სახელმწიფო საწარმოებში, აგრეთვე, საბიუჯეტო ორგანიზაციებსა და დაწესებულებებში მომუშავე მანდილოსნებისთვის მეორე და მომდევნო შვილების გაჩენისას იმის უფლების მინიჭება, რომ ისარგებლონ სამწლიანი დეკრეტული შვებულებით, სამუშაო ადგილისა და კუთვნილი (ძირითადი) ხელფასის შენარჩუნებით;

– ოჯახებისთვის, რომლებიც ზრდიან სამ და მეტ შვილს, კომუნალური მომსახურების გადასახადების 30 პროცენტით შემცირება მანამ, სანამ ყველაზე უმცროსი შვილი 16 წელს მიაღწევს;

– მესამე შვილის გაჩენისთვის ზემოაღნიშნულ სტიმულირებათა პირველ ეტაპზე იმ რეგიონებში განხორციელება, სადაც შობადობის ზოგადი კოეფიციენტი, უკანასკნელი ხუთი წლის მონაცემებით, ჩამორჩება ქვეყნის საშუალო მაჩვენებელს;

– ქმედითი ზომების მიღება შრომის ასაკის სრული შრომისუნარიანი პირების სპეციალობის მიხედვით დასაქმებისა და უმუშევრობის ბუნებრივ დონემდე დაყვანისთვის, რომელიც მინიმუმამდე შეამცირებს ახალგაზრდების გარემიგრაციას;

– შესაბამისი კანონის მიღება იმის თაობაზე, რომ დედებს, რომლებიც ზრდიან სამ და მეტ შვილს, მოთხოვნისამებრ, ნება დაერთოთ, რომ ისარგებლონ შეკვეცილი სამუშაო დღით ან შეკვეცილი სამუშაო კვირით, მცოცავი გრაფიკით, შვებულება და პენსიაზე გასვლის ასაკი განისაზღვროს შვილების ოდენობის გათვალისწინებით, მიეცეთ შინმუშაობის უფლება და სხვა შესაძლო შეღავათები;

– ქალთა გამონთავისუფლება ორგანიზმისთვის მავნე და

მძიმე ფიზიკური სამუშაოებიდან, აგრეთვე, ღამის ცვლებიდან. სპეციალური სამუშაო ადგილების, უბნებისა და საამქროების განსაზღვრა ორსული ქალების შრომითი მოწყობისთვის. მათთვის ისეთი შრომისა და საოჯახო-საყოფაცხოვრებო ხელსაყრელი პირობების შექმნა, რომელიც დედობისა და პროფესიული საქმიანობისთვის რაციონალური შეთანაწყობის შესაძლებლობას მისცემს;

ქვეყნის თითოეული რეგიონის მოსახლეობის აღწარმოებრივი განვითარებისთვის დამახასიათებელი ტენდენციების მაქსიმალური გათვალისწინებით, ახალი სოციალურ-დემოგრაფიული დარაიონება და თითეული რეგიონის დემოგრაფიული განვითარების პროგრამის შემუშავება;

– მსოფლიო სტანდარტების შესაბამისი დემოგრაფიული კადრების მომზადებისა და გადამზადების მიზნით, ყოველწლიურად პერსპექტიული ახალგაზრდების განსაზღვრული კონტინგენტის საზღვარგარეთ მისავლინებლად სათანდო სასსრების გამონახვა;

– პაციენტთა, განსაკუთრებით ჩვილ ბავშვთა, ჯანმრთელობისთვის ზრუნვა, სამედიცინო დაწესებულებების (საავადმყოფოები, პოლიკლინიკები, ამბულატორიები) მნიშვნელოვანი ნაწილის, აგრეთვე, სამშობიარო სასლების ძირითადად სახელმწიფოს საკუთრებაში დატოვება, რათა უფასო სამედიცინო დახმარება გაეწიოს საზოგადოების სოციალურად ყველაზე დაუცველ ნაწილს. ამასთან, მოსახლეობის თვითშენახვითი ქცევის დონის ამაღლება, რომელიც, ბევრ სხვა ეთნოსთან შედარებით, რამდენადმე დაბალია ქართველებში. როგორც გამოკვლევის მასალებიდან ჩანს, ონკოლოგიურ დაავადებათა გამოვლენა მნიშვნელოვანწილად (42%) ხდება მეოთხე სტადიაზე, ანუ მაშინ, როცა მათი განკურნება შეუძლებელია. აი, რატომ იმყოფება იგი მოკვდაობის განმსაზღვრელ დაავადებათა შორის მეორე ადგილზე (პირველ ადგილზეა მოკვდაობა გულსისხლძარღვთა დაავადებების შედეგად), აღსანიშნავია, რომ საქართველოში 2005 წელს ონკოლოგიური დაავადებით დაიღუპა 6 ათ. ადამიანი.

– შობადობის გადიდებაში გარკვეული დადებითი წვლი-

ლის შეტანა შეუძლია ეკლესიასაც, რამეთუ უწინარეს ყოველისა, სწორედ მას ძალუძს განუმტკიცოს რწმენა ახალგაზრდობას (და არა მარტო მას) იმის თაობაზე, რომ ქართველი ერის ფიზიკური უწყვეტობის უზრუნველყოფისთვის აუცილებელია ოჯახის დროული შექმნა (დაქორწინება), ბავშვთაშობის შიგაოჯახური ოპტიმალური რეგულირება და ღირსეული ახალი თაობების აღზრდა;

3. ქმედით ღონისძიებათა განსორციელება მოსახლეობის გენოფონდის გამანადგურებელი სოციალური ანომალიების (ნარკომანია, პროსტიტუცია, ჰომოსექსუალიზმი, ლოთობა, სიგარეტის მოწევა გოგონებში და სხვ.) ლიკვიდაციისთვის. ამის აუცილებლობას აპირობებს:

– ნარკობიზნესის განვითარება და ნარკომანთა რიცხოვნობის ზრდა. სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მონაცემებით, 2002 წლის დასასრულისთვის დაკვირვებაზე იმყოფებოდა ალკოჰოლიზმით, ნარკომანიით, ტოქსიკომანიით დაავადებული 761 ქალი და 25630 მამაკაცი, ანუ, წინა წელთან შედარებით, შესაბამისად, 1.9 და 113.5 პროცენტით მეტი[1]. 2002-2004 წლებში საქართველოს ტერიტორიაზე დაფიქსირებულ იქნა ნარკოტიკების შენახვის, დამზადებისა და გასაღების 5741 და ნარკომანიის სფეროში დანაშაულის 3898 შემთხვევა[2]. დღეისთვის აღრიცხვაზეა 240 ათ. ნარკომანი (აღურიცხავთა ჩათვლით ნახევარ მილიონს ვარაუდობენ). ყოველივე ეს გენოფონდს გადაგვარებით ემუქრება. ცნობილია, რომ ნარკომანებს საერთოდ არ უჩნდებათ შვილები და თუ გაუჩნდათ – მეტწილად დებილები და გონებრივად განუვითარებლები;

– მეძავეობა, საროსკიპოების ქსელის გაშლა, „სხეულის სარეალიზაციოდ" საზღვარგარეთის „ბაზრებზე" გასვლა, ევნერიულ დაავადებათა გახშირება, რაც შიდსის – თანამედროვეობის ამ შავი ჭირის – გავრცელებასაც უწყობს ხელს.

---

[1] სოციალური ანომალიების თაობაზე წინამდებარე ნაშრომში 2002 წლის ფაქტობრივი მონაცემები მოგანილია სტატისტიკური კრებულიდან „ქალი და კაცი საქართველოში". საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტი, თბილისი, 2003, გვ. 9-13.

[2] საქართველოს სტატისტიკური წელიწდეული – 2005, თბილისი, 2005, გვ. 126, 131, 132.

აღსანიშნავია, რომ საქართველოში 2002 წელს, წინა წელთან შედარებით, გონორეით დაავადებულ ქალთა რიცხოვნობა 31.7 პროცენტით, ხოლო მამაკაცთა 76.8 პროცენტით გაიზარდა. 2003-2004 წლებში დაფიქსირებულ იქნა ათაშანგითა და გონორეით დაავადების 3360 შემთხვევა. თანაც, გონორეით დაავადებულ ქალთა 49.8 პროცენტი და მამაკაცთა 49.8 პროცენტი 20-დან 29 წლამდე ასაკისაა.

საქართველოს კანისა და ვენერიულ სნეულებათა ინსტიტუტის მონაცემებით, შემოწმებული 1700 პაციენტიდან, რომლებმაც მას დამხარებისთვის მიმართეს, მამაკაცთა 30 პროცენტი. ჰომოსექსუალისტი, ხოლო ქალთა 60 პროცენტი მეძავი (მ.შ. 10 პროცენტი თინეიჯერი) აღმოჩნდა. პროსტიტუციისა და ჰომოსექსუალიზმის პრობლემების გარშემო გაეროს გენერალურ ასამბლეაზე სპეციალური მოსმენა გაიმართა, სადაც საქართველო ერთ-ერთ „წამყვან" ქვეყნად დასახელდა.

რაც შეეხება შიდსით დაავადების შემთხვევათა გავრცელებას, 1999-2004 წლებში ამ სენით ჩვენს ქვეყანაში 503 კაცი გარდაიცვალა, თანაც, მას მკვეთრი ზრდის ტენდენცია ახასიათებს. მაგალითად, მხოლოდ 2004 წელს, წინა წელთან

შედარებით, ამ დაავადებით 7.8-ჯერ მეტი ადამიანი გარდაიცვალა[1]. მათ ძირითად კონტინგენტს ნარკომანები და შემთხვევითი სქესობრივი კავშირის მქონე პირები შეადგენდნენ;

– თამბაქოს მოწევის მასობრივი ხასიათი, არცთუ იშვიათად ადრეულ (სკოლის) ასაკშიც, მათ შორის გოგონებში, რაც ძლიერ უარყოფითად მოქმედებს შთამომავლობაზე (ეს ზოგჯერ იმთავითვე იჩენს თავს, უფრო ხშირად კი – მოგვიანებით). 2002 წელს თბილისში მწეველ მამაკაცთა ხვედრითი წილი 60 პროცენტს, ხოლო ქალებისა – 21.8 პროცენტს შეადგენდა;

– განზრახმკვლელობათა და ბანდიტიზმით განპირობებულ მკვლელობათა მოხშირება და, საერთოდ, დაძაბული კრიმინოგენური ვითარების არსებობა. საქართველოში მარტო 2002 წელს თვითმკვლელობის 156 შემთხვევა აღინიშნა, მ.შ. ქალი იყო 26, ხოლო 19 წლამდე ასაკისა – 6 ადამიანი. 2004 წელს

[1] **საქართველოს სტატისტიკური წელიწდეული – 2005, თბილისი, 2005, გვ. 127.**

დაფიქსირდა განზრახმკვლელობისა და მკვლელობის მცდელობის 538 შემთხვევა;

– გარეშე ძალების მიერ ინსპირირებული ეთნოკონფლიქტების ნიადაგზე როგორც მეომრების, ისე მშვიდობიანი მოსახლეობის მასობრივი ხოცვა-ჟლეტა და ა. შ.

დასასრულს, ამ ნეგატიური ტენდენციების წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებათა ფინანსური უზრუნველყოფის შესახებ. მართალია, ქვეყნის ეკონომიკა, გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან მეტისმეტად დაუძლურების გამო, ჯერჯერობით ვერ შესძლებს დემოგრაფიული პოლიტიკის გასატარებლად თანხების უხვად გამოყოფას, მაგრამ, პრობლემის უაღრესი პრიორიტეტულობიდან გამომდინარე, სასსრები გარკვეული ოდენობით მაინც შეიძლება გამოიძებნოს და უნდა გამოიძებნოს კიდეც. მიზანშეწონილია შეიქმნას დემოგრაფიული განვითარების ფონდი, რომლის წყაროები შეიძლება იყოს:

– სახელმწიფო ბიუჯეტისა და ადგილობრივი ბიუჯეტების სახსრები. ამ დანიშნულებით ცენტრალური ბიუჯეტიდან მისი შემოსავლის თუნდაც 1 პროცენტი რომ გამოიყოს (3 მილიარდიანი ბიუჯეტის პირობებში), იგი 30 მლნ ლარს შეადგენს, რაც ფრიად სოლიდური თანხაა;

– უშვილობის გადასახადი 25 წელზე უფროსი ასაკის მოსახლეობიდან ხელფასის 1 პროცენტის ოდენობით, თუკი ხელფასი აღემატება საშუალო მომხმარებლის საარსებო მინიმუმს.

მოსაზრება იმის თაობაზე, რომ უშვილობა შეიძლება გამოწვეული იყოს ობეიქტური მიზეზებით (დაუქორწინებლობა, უნაყოფობა და ა.შ.) ვერ გამოდგება იმის დასასაბუთებლად, რომ მოქალაქე განთავისუფლებულ იქნეს უშვილობის გადასახადისგან, რამეთუ, რაღაცნაირი ფორმით ყველა მოქალაქემ უნდა მიიღოს მონაწილეობა თაობათა აღწარმოების ფიზიკური უწყვეტობის უზრუნველყოფაში;

– ავტომანქანების ყიდვა-გაყიდვისას მათ გადაფორმებაზე დაწესებულ ტარიფზე ფიქსირებული დანამატი 5 ლარის ოდენობით, რაც ქვეყნის მასშტაბით სოლიდურ თანხას შეადგენს;

– ბენზინის, სიგარეტის, ალკოჰოლური სასმელების, კოსმეტიკის საშუალებების, კაზინოების, ლატარიების, სპორტული

ღონისძიებების და სხვა ანალოგიური კატეგორიის საქონლისა და მომსახურების საცალო ფასებსა და ტარიფებზე, დანამატი 1 პროცენტის ოდენობით;

— დემოგრაფიული ფონდის შესავსებად, გადასახადი ფირმის მოგებიდან წლიური ბრუნვის 3 პროცენტის ოდენობით;

— იმპორტული საქონლის საბაჟო გადასახადებზე დანამატი ამ საქონლის საბითუმო ფასის 1 პროცენტის ოდენობით;

— დემოგრაფიული ანარიცხები ხელფასიდან, ეს უკანასკნელი საშუალო მომხმარებლის საარსებო მინიმუმს თუ 4-ჯერ აღემატება 1 პროცენტის ოდენობით, 5-ჯერ — 2 პროცენტის ოდენობით, 6-ჯერ — 3 პროცენტის ოდენობით და ა. შ.

ეს განაკვეთები მიახლოებითია, რომელთა დაკონკრეტებადაზუსტება შესაბამის კომპეტენტურ ორგანოებს არ გაუჭირდებათ. მთავარია პრინციპულ საკითხებზე შეთანხმების მიღწევა.

აი, ამგვარი მიდგომით შემუშავებულ და მიზანმიმართულად გატარებულ სახელმწიფო დემოგრაფიულ პოლიტიკას თვალსაჩინო წვლილის შეტანა ძალუძს მოსახლეობის აღწარმოების ნეგატიური მოვლენების განმსაზღვრელი მთელი რიგი მიზეზების აღმოფხვრასა და ვითარების ნორმალიზებაში.

# 2. Тенденции и перспективы демографического развития в странах Южного Кавказа

**Резюме**

Демографическое развитие в странах Южного Кавказа (Азербайджане, Армении и Грузии) характеризуется как общими закономерностями, так и специфическими особенностями. Едиными для этих государств являются ухудшение демографического развития и возникновение негативных тенденций в воспроизводстве населения. Вместе с тем обращают на себя внимание различия в „демографическом поведении" этих стран и контрасты в их основных демографических показателях. Это обусловлено прежде всего неодновременным переходом государств Южного Кавказа с традиционного типа воспроизводства населения на современный, а также религиозными убеждениями, традициями, обычаями, нынешними социально-экономическими условиями и т.д. Весомый вклад в регулирование демографических процессов может внести реализация активной государственной демографической политики, разработанной с учетом особенностей региона и его стран.

**Вступление**

Среди острых глобальных вопросов, беспокоящих сегодня человечество, демографическая проблема занимает одно из первых мест. В самом общем виде под демографической проблемой подразумеваются сложности, связанные с перепроизводством населения в относительно слаборазвитых регионах мира и с депопуляцией - в развитых государствах.

В этом контексте не представляет исключения и Южный Кавказ. Процесс воспроизводства населения в странах региона характеризуется как общими закономерностями, так и от-

дельными особенностями. Общая закономерность - ухудшение демографической обстановки и появление негативных тенденций в воспроизводстве населения. А из особенностей следует отметить несколько отличающееся в каждом государстве демографическое "поведение" и разнящийся уровень основных показателей в этой сфере. Такой вывод в значительной мере основан на научном анализе явлений и процессов, произшедших (и происходящих) в странах Южного Кавказа с 1990-х годов, а также на обобщении полученных результатов.

**Рождаемость**

Как известно, один из главных компонентов процесса воспроизводства населения - рождаемость. В расчете на 1 тыс. жителей в 1990 году она составляла в Азербайджане 26.3 чел., в Армении - 22.5, в Грузии - 17.0[1], а в 2006-м - 17, 13 и 12 соответственно[2].

Явно наблюдается не только сокращение рождаемости, но и выравнивание ее показателей по государствам, хотя разница между Азербайджаном, с одной стороны, Арменией и Грузией - с другой, пока остается существенной. Как мы уже отмечали, это можно объяснить в первую очередь неодновременным переходом стран Южного Кавказа с традиционного типа воспроизводства населения на современный. Имеется в виду, что под влиянием значительного ряда относительно новых факторов (повышение уровня образования и занятости женщин, рост требований к интеллектуальному воспитанию детей и т.д.) "сужается спрос" на детей в семье, и в то же время, благодаря применению более совершенных противозачаточных средств, внутрисемейное регулирование рождаемости достигается сравнительно легко. В Грузии демографический переход на современный тип воспроизводства населения (или его утвер-

---

[1] См.: Содружество Независимых Государств в 1996 году. Статистический ежегодник. М., 1997. С. 14.

[2] Использованные в статье новейшие (2006 г.) демографические данные взяты из: World Population Data Sheet. 2006 Population Reference Bureau.

ждение) начался почти на 100 лет раньше, чем в Азербайджане. Об этом свидетельствует и отличающееся от грузинского этноса репродуктивное поведение проживающих в Грузии азербайджанцев. По данным департамента статистики Министерства экономического развития Грузии, общий коэффициент рождаемости в 2004 году составлял у грузин 11.5 промилле, у азербайджанцев - 16.1[1].

В такой контрастности показателей рождаемости по этническим группам значительную роль играет и религиозный фактор. Как выясняется, по сравнению с православием, ислам убедительнее внушает потенциальной матери, что искусственное прекращение беременности - большой грех, поэтому от него следует воздерживаться.

Весьма важный демографический показатель - суммарный коэффициент (количество детей в расчете на одну женщину на всем протяжении фертильного возраста). Тенденция к его уменьшению - сопутствующая закономерность развития человеческой цивилизации. В этом отношении Южный Кавказ не является исключением. Тем не менее данные показатели дифференцированы по странам. Согласно материалам функционирующего в Вашингтоне (США) Бюро населения мира (2006 г.), суммарный коэффициент рождаемости в Азербайджане равен 2.0 (или 200 детей в расчете на 100 женщин), в Армении - 1.7, в Грузии - 1.4, когда как даже для простого воспроизводства населения этот показатель должен составлять 2.1 (в среднем - 210 детей в расчете на 100 женщин). Таким образом, если судить по нынешним темпам, то ни одна республика Южного Кавказа не в силах обеспечить в перспективе расширенное воспроизводство населения, хотя в этом отношении положение в Армении и в Азербайджане (особенно) несколько лучше, нежели в Грузии.

Снижение суммарного коэффициента рождаемости характерно не только для государств Южного Кавказа. Средний по развитым регионам мира суммарный коэффициент не превышает 1.6, а в отдельных странах он и того меньше. Например, в

---

[1] См.: Цуладзе Г., Маглаперидзе Н., Вадачкория А. Демографический ежегодник Грузии - 2004. Тбилиси, 2005. С. 177.

Южной Корее и на Тайване этот показатель составляет 1.1; в Украине, Беларуси и Словении - 1.2; в Японии, Германии, России, Италии, Литве, Латвии, Болгарии, Румынии, Греции, Молдове и Словакии - 1.3.

Социологическими исследованиями установлено, что в развивающихся государствах довольно большая часть женщин имеет намного больше детей, чем хотели бы. Например, в Кении женщины репродуктивного возраста желали бы иметь в среднем 4.2 ребенка, фактически имеют 6.5. Это указывает на то, что в данной стране еще не утвердился современный тип воспроизводства населения, вследствие чего не осуществляется внутрисемейное регулирование рождаемости (не используются контрацептивы).

По соотношению между желаемым и реальным числом детей, в Грузии и Армении наблюдается совершенно иная картина. Например, в Грузии - по сравнению с желаемым средним количеством детей в семье - фактически их почти на одного ребенка меньше (например, семья хотела бы иметь троих детей, но не собирается иметь больше одного или двоих). Основной причиной тому респонденты называют тяжелые социальные условия. Не менее тревожно и резкое сокращение даже желаемого количества детей в семье, то есть значительно уменьшилась потребность в детях.

По данным социологических исследований, в начале 1980-х годов в грузинских семьях желаемого числа детей было достаточно для хотя и незначительного, но все же расширенного воспроизводства населения. Однако реально ожидаемое количество детей не обеспечивало даже простого воспроизводства. А сегодня его не обеспечивает не только ожидаемое, но и желаемое количество детей, что требует глубокого научного изучения проблемы и реализации эффективных мероприятий.

**Смертность**

Наряду с рождаемостью темпы воспроизводства населения определяются и уровнем смертности. По мере развития человечества последний показатель существенно улучшился, то есть

снизился. Это обусловлено преодолением массовых эпидемий, разработкой новейших совершенных медикаментов, улучшением медицинского обслуживания и рядом других достижений. Тем не менее, по данным 2006 года, он еще остается высоким - в среднем в мире равен 9.0‰, но в Армении - 10.6‰, в Грузии - 11.8‰. В этом плане среди государств Южного Кавказа исключение составляет лишь Азербайджан (5.5‰), что, видимо, обусловлено неполным учетом.

В отличие от общего коэффициента, показатель смертности малолетних детей (количество младенцев, умерших в возрасте до одного года) носит более конкретный характер. Это, безусловно, очень важный параметр, который вполне справедливо называют одним из существенных индикаторов общественного развития в целом. В основном именно по его уровню судят о степени развития социальных систем, а также здравоохранения стран и регионов.

Что касается республик Южного Кавказа, то в этом плане (в расчете на 1 000 новорожденных в возрасте до одного года) в 2006 году в Азербайджане умерли 9, в Армении - 26, в Грузии - 25 детей.

Для интерпретации этих показателей (т.е. для определения того, высоки они или напротив, низки) можно провести несколько сравнений. Так, в 2006 году из 1 000 новорожденных в возрасте до одного года в среднем в мире умерло 52 ребенка, в том числе в развивающихся государствах - 57, а в развитых - 6. Этот показатель наиболее высок в Африке (84%); далее следуют Азия (49%) и Латинская Америка (25%); сравнительно низкая детская смертность отмечена в Европе и в Северной Америке (7%). По отдельным странам наименьшая детская смертность наблюдалась в Сингапуре (2.1%), Швеции (2.4%), Японии (2.8%), Финляндии (3%), Франции (3.6%), Германии (3.9%) и т.д., что указывает на наличие огромных неиспользованных возможностей для улучшения положения в государствах Южного Кавказа.

**Естественный прирост численности населения**

Этот показатель зависит в первую очередь от соотношения между рождаемостью и смертностью. Когда первая стабильна и продолжительное время превышает вторую, то, как правило, гарантировано расширенное воспроизводство населения, и наоборот: если умирают больше, чем рождаются, то при иных равных условиях неизбежно депопуляция, то есть абсолютное сокращение численности населения. В связи с тем, что с 1990-х годов в странах Южного Кавказа рождаемость резко упала, а общий коэффициент смертности почти не изменился, естественный прирост населения значительно уменьшился. По сравнению с 1990 годом в 2006-м в Азербайджане он сократился с 20.2 до 11 промилле, в Армении - с 16.3 до 4, а в Грузии не только прекратился прирост, но, в сущности, начался процесс депопуляции.

Для более полного осмысления демографической ситуации в республиках Южного Кавказа рассмотрим сведения по разным зонам и государствам мира. В настоящее время (по данным за 2006 г.) естественный прирост населения (в расчете на 1 000 чел.) составляет на всей планете в среднем 12 чел., достигая в развивающихся регионах 15, а в развитом мире - только 1 чел. Явная депопуляция отмечается в Германии, Болгарии, Румынии, Словакии, Литве, Латвии, Эстонии, России, Украине, Беларуси и Молдове.

Анализ естественного движения населения в этническом разрезе демонстрирует довольно резкую контрастнось показателей. Так, по данным департамента статистики Министерства экономического развития Грузии, в 2004 году естественный прирост проживающих в нашей стране азербайджанцев был равен 10.6 промилле, а грузинский и армянский этносы испытывали депопуля цию: их сокращение составило соответственно минус 0.3 и минус 0.1 промилле[11]. Однако это не означает, что прирост населения среди проживающих в Грузии азербайджанцев (где в 2005 г. их удельный вес составлял 5.4 %), выше, чем на исторической роди-

[1] См.: Цуладзе Г., Маглаперидзе Н., Вадачкория А. Указ.сб., С. 177.

не: их репродуктивное поведение почти одинаково и в Грузии, и в Азербайджане. В чем же причина столь резкого различия в репродуктивном поведении грузин и азербайджанцев?

Наряду с тем, что они находятся на разных уровнях демографического развития (об этом уже было сказано выше), причину, по нашему мнению, следует искать в обычаях, религиозных представлениях и традициях. В отличие от других стран Южного Кавказа, в Грузии остро стоит проблема рождения не то что третьего и последующего ребенка, но и второго. Например, в 2004 году в общем числе живорожденных детей удельный вес первого и второго ребенка составлял 88.5 %, третьего и последующего - 11.5 %, что указывает на увеличение количества малодетных семей. По данным социологического исследования, проведенного в 2003 году Институтом демографии и социологии Грузии, 1 % респондентов считают одного ребенка желательным числом детей в семье, 20 % - два, 52 % - три и только 27 % - больше трех детей. Еще тревожнее то, что в основном из-за тяжелых социальных условий (преимущественно среди беженцев из Абхазии и Цхинвальского региона) рождение первого ребенка, даже само бракосочетание нередко откладывается на неопределенное время, негативные последствия чего станут более наглядными в будущем - когда появившееся ныне поколение достигнет фертильного возраста.

Резкое снижение показателя бракосочетаний также указывает на негативные демографические тенденции, сложившиеся в государствах Южного Кавказа. По сравнению с 1990 годом, в 1996 году в Азербайджане количество бракосочетаний сократилось с 10.5 до 5.1 промилле, в Армении - с 8 до 3.8, в Грузии – с 6.7 до 3.6. Что же касается числа разводов, то этот показатель ниже одного промилле во всех государствах региона, что свидетельствует о сравнительной прочности семей.

По подсчетам Бюро населения мира, предположительные перспективы воспроизводства населения в странах Южного Кавказа таковы: по сравнению с 2006 годом, к 2050-му численность населения Азербайджана увеличится на 36.5 % и достигнет 11.6

млн. чел., в Армении - на 13 % и составит 3.4 млн, а в Грузии уменьшится на 1.4 млн. чел. и снизится до 3 млн чел. В результате этого соотношение государств региона по численности населения значительно изменится: удельный вес Азербайджана возрастет до 64.4 %, Армении - до 18.9 %, а Грузии - сократится до 16.7 %, тогда как в 1960 году этот "расклад" выглядел следующим образом: Азербайджан - 39.2, Армения - 18.6, Грузия - 42.2.

Репродукция населения и увеличение его численности не являются панацеей. Данная проблема актуальна прежде всего для наций, испытывающих депопуляцию (или находящихся на ее грани), которым - хотя бы в весьма отдаленной перспективе - угрожает вымирание. Несмотря на это, перепроизводство населения (доведение его численности в республиках Южного Кавказа в целом, скажем, до 60 млн) не просто нежелательно, но и чревато не меньшими бедами, чем депопуляция. Необходимо стремиться к демографическому оптимуму. Имеется в виду такая численность населения, которая сделает возможными нормальную смену поколений, рациональное использование материальных средств производства, баланс трудовых ресурсов с рабочими местами, максимальную эффективность производства, полное удовлетворение разумных материальных и культурных потребностей всего общества и каждого его члена, свободное, всестороннее развитие личности. Мы подчеркиваем это, потому что больше значения следует придавать не количественной, а качественной стороне демографических процессов, имея в виду воспитание физически и духовно здоровых поколений, способных утвердить в регионе мир и всеобщее благосостояние.

**Демографическое старение**

Среди демографических процессов особого внимания заслуживает демографическое старение. Его вполне закономерно считают одной из главных дилемм современности. Эксперты ООН предлагают классификацию, построенную на основе трехступенчатой шкалы: если в общей численности населения удельный вес людей в возрасте 65 лет и старше ниже 4%, то оно счита-

ется молодым, от 4% до 7% - находящимся на грани старости, а выше 7% - постаревшим[1].

По данным Бюро населения мира за 2006 год, Азербайджан сегодня находится на грани старения (7%), Армения (11%) и особенно Грузия (13%) - страны с демографически постаревшим населением. Этот процесс обусловлен воздействием двух слагаемых: уменьшением показателей рождаемости (старение снизу) и сравнительно высокой продолжительностью жизни (старение сверху).

Мы уже приводили данные, свидетельствующие о низком уровне рождаемости и его продолжающемся снижении в отдельных государствах. Что же касается ожидаемой средней продолжительности жизни, то в республиках Южного Кавказа она составляет 71-72 года, в относительно слаборазвитых странах мира в среднем не превышает 65 лет (в Южной Африке - 46). Наряду с высокой рождаемостью именно в значительной мере этим объясняется то, что развивающиеся регионы планеты демографически "моложе". В государствах данной группы удельный вес численности населения в возрасте 65 лет и старше составляет лишь 5%.

По странам Южного Кавказа довольно существенно различается доля молодой части населения (до 15 лет). В результате пока еще высокого уровня рождаемости этот показатель достаточно солидно выглядит в Азербайджане (24%) и Армении (22%), в Грузии он несколько скромнее - 19%.

Демографическое старение - закономерность современного общественного развития. По прогнозным данным, в обозримой перспективе большинство развитых государств мира окажутся демографически постаревшими (например, к 2050 г. удельный вес численности населения в возрасте 65 лет и старше в Германии и Бельгии достигнет 28%, в Австрии и Швейцарии - 30%, в Греции - 34%, в Испании - 37% и т.д.[2]), но богатыми (высокая

---

[1] См.: Демографический энциклопедический словарь. М., 1985. С. 117.

[2] См.: Топилин А. Демографическая ситуация в странах СНГ (к 10-летию образования Содружества). Население и общество. Информационный бюллетень центра демографии и экономики человека Института народнохозяйственного прогнозирования Российской академии наук, апрель 2002, №61.

пенсия, комфортные условия жизни и т.п.), а большая часть развивающихся стран - демографически молодыми, но бедными. Если говорить о республиках Южного Кавказа, то Армения и Грузия из этого контекста выпадают, поскольку они уже находя тся на стадии демографической старости и довольно долго будут сравнительно бедными. По данным Всемирного банка, в 2005 году валовой национальный доход, конвертированный по паритету покупательной способности (ППС), составил в Армении 5 080 долл., в Азербайджане - 4 890, в Грузии - 3 270 долл[1]. Несмотря на довольно существенный экономический рост, наблюдающий в последние годы, страны региона еще не достигли среднемирового уровня подушевого ВВП (в 2006 г. он был равен 10 тыс. долл.). Согласно данным ЦРУ, в отмеченном году валовой внутренний продукт на душу населения, пересчитанный по ППС, в Азербайджане составил 7 300 долл., в Армении - 5 400, в Грузии - 3 800 долл.[2]

Что касается тенденций, сложившихся в государствах Южного Кавказа (прежде всего, в Грузии и Армении) в воспроизводстве населения, порождающих негативные социально-экономические последствия, отметим следующие аспекты:

— резкое увеличение социально-демографической нагрузки занятых трудоспособных граждан, что обусловливает напряженность в отношениях между поколениями, создавая почву для их противопоставления. Вместе с тем наблюдается негативная тенденция к постепенному сокращению удельного веса численности детей до 15 лет и росту доли населения пенсионного возраста, что увеличивает социально-демографическую нагрузку работающих;

— повышение уровня экономической нагрузки занятых. Это обусловлено не только систематическим ростом количества и доли пенсионеров среди населения в целом, но и тем, что так

---

[1] См.: [http://siteresources. worldbank. org/ DATASTATISTICS/Resuources/ GNIPC. pdf].

[2] См.: CIA - The World Factbook, Rank Order, GDP per capita (ppp) [https:// www.cia.gov/cia/ publikations/factbook/rankorder/2004rank.html].

же неукоснительно повышаются их потребности (к тому же специфические), выражающиеся как в количественных, так и в качественных параметрах. Следует отметить, что медицинское обслуживание 75-летнего гражданина обходится почти в 10 раз дороже, нежели пациента в возрасте 40 лет. В силу этого специалисты считают старение населения дорогостоящим феноменом;

– интенсивная смертность в трудоспособном возрасте и расширение внешней миграции, приводящие к неполному использованию экономического потенциала стран и росту объема в них недопроизведенного валового внутреннего продукта.

Приостановлению и постепенному преодолению вышеуказанных и других (аналогичных) социально-экономических процессов, может весьма способствовать реализация научно разработанной активной государственной демографической политики, учитывающей особенности страны.

**См.: Журнал социально-политических и экономических исследований – „Кавказ и глобализация", том 1 (2), 2007, Швеция.**

# 3. როგორც უნდა ვწერდეთ ეკონომიკურ ტერმინებს

გამოჩენილი ქართველი მეცნიერ-ეკონომისტი აკადემიკოსი პაატა გუგუშვილი აღნიშნავდა, რომ მეცნიერისთვის ტერმინი იგივეა, რაც ხუროთმოძღვრისთვის მასალა, რადგან მან მთელი არქიტექტურული ანსამბლი ამ მასალით უნდა ააშენოს. მეცნიერება გარკვეულ ცნებათა გარეშე არ არსებობს, ცნებათა არსი კი წარმოდგენილია ტერმინებში. მეცნიერული აზროვნების მთელი სირთულე ტერმინებში მოცემული ცნებების სისტემატურ გაგებაშია.

ხელმძღვანელობდნენ რა ამ პრინციპით, აკადემიკოსები პაატა გუგუშვილი და ვასილ ჩანტლაძე ეკონომიკური ტერმინების დადგენა-სრულყოფაზე 40-იანი წლების დასასრულიდან (როცა საქართველოში პირველად გამოიცა **„ეკონომიკის ტერმინოლოგია“**) მოყოლებული ათეული წლების განმავლობაში მუშაობდნენ, მაგრამ, სამწუხაროდ, თავიანთი კეთილშობილური ჩანაფიქრის, კერძოდ, **„ეკონომიკური ტერმინოლოგიის“** საბოლოო სახით დასრულებას ვეღარ მოესწრნენ. გრძნობდნენ რა აღსასრულის მოახლოებას, მათ მთხოვეს ამ ნაშრომის სათანადო კონდიციამდე მიყვანა და გამოქვეყნება. ჩემი (და არა მარტო ჩემი) სათაყვანებელი მასწავლებლების დანაბარების შესრულებას თითქმის ხუთწლიანი ინტენსიური მუშაობა დასჭირდა, მაგრამ ბედნიერი ვარ, რომ მათი თხოვნა შესრულებულია. მკითხველს შეუძლია გაეცნოს ნაშრომს: **„ეკონომიკური და დემოგრაფიული ტერმინოლოგია“** (შემდგენლები აკად. პ. გუგუშვილი, აკად. ვ. ჩანტლაძე, ლ. ჩიქავა და ა. კომკელაშვილი) ამ სტრიქონების ავტორის საერთო რედაქციითა და წინასიტყვაობით, თბილისი, 2001, 40 ნაბ. თაბახი.

„ტერმინოლოგიაზე“ მუშაობის პროცესში ეკონომიკური ტერმინების მართლწერის თვალსაზრისით ბევრმა საგულისხმო მომენტმა მიიქცია ყურადღება. ზოგიერთ მათგანზე მინდა მკითხველს გავუზიარო ჩემი მოსაზრებანი.

დავიწყოთ ტერმინით – **„სააქციო საზოგადოება“**. მასობრი-

ეი ინფორამციის თითქმის ყველა საშუალება (მცირეოდენის გამოკლებით) ამ ტერმინს ასეთი ფორმულირებით იყენებს. ასე მასწავლიდნენ თავის დროზე და, სხვათა შორის, უკანასკნელ პერიოდამდე (სანამ საფუძვლიანად ჩავიხედავდი ეკონომიკური ტერმინოლოგიის „სამზარეულოში“) მეც ასე ვასწავლიდი სტუდენტებს. არადა, მისი შინაარსობრივი დატვირთვის გაანალიზებამ ღრმად დამარწმუნა, რომ ასეთი ფორმულირება შეცდომაა. ეს სომ რუსული ტერმინის **„акционерное общество“**-ს ქართულ შესატყვისად გამოიყენება, რაც არაადეკვატურია. რუსულ ტერმინში იგულისხმება არა „აქციები“, არამედ – „აქციონერები“; ე.ი. საზოგადოება იქმნება აქციონერებისგან და არა – აქციებისგან (თუმცა, ეს აქციების მეშვეობით ხორციელდება). ამიტომ სწორი იქნება **„акционерное общество“**-ს ქართულ შესატყვისად გამოვიყენოთ „აქციონერული (ან სააქციონერო) საზოგადოება“. „სააქციო საზოგადოების“ რუსული შესატყვისი იქნება **„акционное общество“**, რაც უაზრობაა.

„ტერმინოლოგიაში“ ერთმანეთისგანაა გამიჯნული ტერმინები – **„ეკონომიკური“** და „ეკონომიური“, რამდენადაც ისინი სხვადასხვა შინაარსის გამომსახველნი არიან. ამგვარი „გამიჯვნის“ დასამკვიდრებლად აკად. პ. გუგუშვილს თითქმის 25-წლიანი შეუპოვარი ძალისხმევა დასჭირდა, ამიტომ მასზე შეჩერებას არ ვაპირებდი, რომ არა ერთი საგულისხმო ფაქტი, რაც, სამწუხაროდ, იშვიათი გამონაკლისი როდია.

ერთ-ერთი გაზეთის რედაქციას გამოსაქვეყნებლად გადავეცი ინფორმაცია იმის შესახებ, რომ საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემია აცხადებდა კონკურსს აკადემიის ნამდვილ წევრთა და წევრ-კორესპონდენტთა ვაკანსიების დასაკავებლად. რედაქციაში ტექსტი ასე „გამისწორეს“ და ასეთი სახით გამოქვეყნდა: „საქართველოს ეკონომიის მეცნიერებათა აკადემია აცხადებს...“ თანაც ორ ადგილას იყო გაკეთებული ასეთი „ჩასწორება“. გამოქვეყნების დღესვე დამირეკა ერთ-ერთმა მოქალაქემ და ირონიულად მკითხა: „ეკონომიის მეცნიერებათა აკადემია რომ დაგიარსებიათ, იქ მიღების როგორი პირობები გაქვთო“. ჩემთვის იმთავითვე ცხადი გახდა იმ მოქალაქის მიერ დასმული კითხვის ქვეტექსტი, მაგრამ

ამისთვის, რა თქმა უნდა, არ ვამტყუნებ: მას საფუძველი გაზეთში წაკითხულმა მცდარმა ინფორმაციამ მისცა. შემდეგ კი გაზეთის რედაქცია იძულებული გახდა განცხადება უცვლელი სახით ხელმეორედ გამოექვეყნებინა.

ამრიგად, კიდევ ერთხელ ხაზგასმით აღვნიშნავ, რომ ორივე ტერმინი საჭიროა, მაგრამ სათანადო ადგილას. როცა ფუძედ ვიღებთ „**ეკონომიკ**ას", უნდა ვწეროთ – „**ეკონომიკ**ური". მაგალითად, „**ეკონომიკური პოლიტიკა**", ხოლო „**ეკონომიის**" (მომჭირნეობის) მნიშვნელობით უნდა ვწეროთ და წარმოვთქვათ – „**ეკონომიური**". მაგალითად, „**რესურსების ეკონომიური ხარჯვა**".

მხატვრული სიტყვის დიდოსტატ კონსტანტინე გამსახურდიას ეკუთვნის ეს სიტყვები: „**ორი სიტყვით ერთი ცნების გამოხატვა უთუოდ ენობრივი სიღატაკის მაჩვენებელია**". ამის ერთგვარ ილუსტრაციად გამოდგება სამი რუსული ტერმინის 1. **счет**; 2. **расчет**; 3. **отчет** – ქართულ შესატყვისად, არცთუ იშვიათად, მხოლოდ ერთი ტერმინის – „**ანგარიში**"-ს გამოყენება. „ტერმინოლოგიაში" თითოეულ მათგანს თავისი ადეკვატური შესატყვისი აქვს: 1. **ანგარიში**; 2. **ანგარიშსწორება**; 3. **ანგარიშგება**.

ასევე, რუსულ ტერმინებს „**стоимость**"-სა და „**ценность**"-ს ხშირად გამოხატავენ ერთი და იმავე ქართული ტერმინით – „ღირებულება", რაც სწორი არაა. „ტერმინოლოგიაში" ასეა რეკომენდებული: „**стоимость**" – **ღირებულება**; „**ценность**" – **ფასეულობა**. მაგალითად, „**საქონლის ღირებულება**"; „**მორალური ფასეულობა**". უფრო მეტად ქართველ ფილოსოფოსებს სჩვევიათ „**ценность**"-ის შესატყვისად „**ღირებულების**" გამოყენება, რაც ძალიან უხეშად, თანაც შინაარსობრივი თვალსაზრისით არასწორად ჟღერს.

ბევრი ერთმანეთში ურევს „**იჯარასა**" და „**არენდას**". თუ კიდევ უფრო დავაზუსტებთ, „**არენდის**" ნაცვლად, მეტწილად „**იჯარას**" იყენებენ, რაც არსებითი ხასიათის შეცდომაა.

ჩვეულებრივ, არენდით დროებით სარგებლობისთვის გაიცემა უძრავი ქონება, რისთვისაც მოარენდემ (ქონების არენდით ამღებმა) მეარენდეს (ქონების მფლობელს) უნდა გადაუხადოს

ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხა. იჯარის შემთხვევაში კი მეიჯარე, მაგალითად, იჯარით გაცემულ ნაკვეთზე მოწეულ შემოსავალს თვითონ განკარგავს, ხოლო მოიჯარეს სამუშაოთა შესრულებისთვის უხდის საიჯარო ქირას ხელშეკრულების საფუძველზე. წინასწარ განსაზღვრული ოდენობით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, „ტერმინოლოგიაში" ეს ტერმინები ასეთნაირად გვაქვს გამიჯნული: **„არენდა" – аренда. „იჯარა" – подряд**.

ბოლო პერიოდში ლამის მთლიანად ამოვარდა ხმარებიდან ტერმინი „ფაქტიური" და იგი შეცვალა ტერმინმა „ფაქტობრივი", რაც არ მიგვაჩნია მართებულად, რამდენადაც თითოეულ მათგანს განსხვავებული შინაარსობრივი დატვირთვა აქვს. **„ფაქტიური"** – რეალურად არსებულ, სინამდვილეში მომხდარს ნიშნავს (მაგალითად, **„ფაქტიური ქორწინება"**), **„ფაქტობრივი"** კი – ფაქტების მოსმობას, ფაქტებით არგუმენტირებას, ფაქტებზე დამყარებულ მსჯელობას, ფაქტების ზუსტად თუ არაზუსტად გადმოცემას გულისხმობს. მაგალითად, თუ ვიტყვით, რომ ი. ჭავჭავაძე დაიბადა 1850 წელს (და არა 1837 წელს), ეს იქნება ფაქტობრივი შეცდომა.

ამ მომენტების გათვალისწინებით, „ტერმინოლოგიაში„ **„ფაქტიურის"** შესატყვისად შემოთავაზებულია **„фактический"**, ხოლო **„ფაქტობრივისა" – „фактичный"**.

ძალიან ხშირად კონტექსტში შინაარსის გაუთვალისწინებელად გამოიყენება ტერმინები **„ეფექტიანობა"** და **„ეფექტურობა"**, რაც შეცდომაა. **„ეფექტიანობა"** – მიღებულ შედეგებსა და ამისთვის გაწეულ დანახარჯებს შორის თანაფარდობას გულისხმობს და ნათლად გვიჩვენებს, თუ რამდენად რაციონალურად გამოიყენება წარმოებრივი რესურსები. მისი ადეკვატურია რუსული ტერმინი **„эффективность"**. **„ეფექტურობა"** კი გვიჩვენებს იმას, თუ რაოდენ შთამბეჭდავია ეს თუ ის მოვლენა, შემთხვევა, პროცესი. მისი ადეკვატურია რუსული ტერმინი **„эффектность"**. აი, ასეა ერთმანეთისგან გამიჯნული ეს ტერმინები აღნიშნულ ნაშრომში.

„ტერმინოლოგიის" დღევანდელ წინასწარი განხილვისას ზოგიერთმა კოლეგამ გვირჩია **„მომგებიანი საწარმო"** შეგვეცვალა

ტერმინით **„მოგებიანი საწარმო“**. ეს რჩევა არ გავიზიარეთ, თუმცა, ტერმინი **„მოგებიანი“** შევინარჩუნეთ. საწარმო შეიძლება იყოს მომგებიანი (**прибыльное**) ან ზარალიანი (**убыточное**), სახელმწიფო სესხი (ობლიგაცია) და ლატარია კი – **მოგებიანი** (**выигрышная**) ან **არამოგებიანი** (**невыигрышная**). ამიტომ ტექსტში ორივეა შეტანილი შესაბამის ადგილას.

ზოგჯერ ერთმანეთში ურევენ ტერმინებს – **„მწარმოებლურობა“** და **„ნაყოფიერება“**, რაც დიდ გაუგებრობებს იწვევს. შეცდომაა **„შრომის ნაყოფიერება“**. სწორია **„შრომის მწარმოებლურობა“**, რომელსაც შეესაბამება რუსული ტერმინი **„производительность труда“**. რაც შეეხება **„ნაყოფიერებას“**, მას განსხვავებული შინაარსობრივი დატვირთვა აქვს და შესაბამის ადგილას უნდა იქნეს გამოყენებული. მაგალითად, სწორია **„ნიადაგის ნაყოფიერება“** – **„плодородие, плодовидость почвы“**. „ტერმინოლოგიაში“ ორივე მათგანს თავისი ადგილი აქვს მიჩენილი.

ქართული ენის ორთოგრაფიული ლექსიკონის მიხედვით, სწორია, **„პროფესიული“** და არა **„პროფესიონალური“**. ჩვენი აზრით, ეს ტერმინები შინაარსობრივად რამდენადმე განსხვავდებიან ერთიმეორისგან, ამიტომ ორივე სწორია, თუმცა, შესაბამის კონტექსტში, კერძოდ, დაავადებათა გარკვეული ჯგუფის დასახასიათებლად უნდა ვთქვათ – **„პროფესიული დაავადებანი“**, ხოლო, თუკი მენეჯერის მიერ ბიზნესის გაძღოლის დონე გვინდა შევაფასოთ, უნდა ვთქვათ – **„უძღვება პროფესიონალურად“** ან **„არაპროფესიონალურად“**, ასევე, **„მაღალ ან დაბალ პროფესიონალურ დონეზე“** და ა.შ. ამიტომ რუსული ტერმინის **„профессиональный“**-ს ქართულ შესატყვისად მკითველს ვთავაზობთ ორ ქართულ ტერმინს – **„პროფესიული“** და **„პროფესიონალური“**.

ჩვენსა და ენათმეცნიერებს შორის კამათი გამოიწვია იმან, უნდა ვწეროთ და ვთქვათ, მაგალითად, **„აწონა“**, **„გაჩეხა“**, **„შეტეხა“** თუ **„აწონვა“**, **„გაჩეხვა“**, **„შეტეხვა“** და ა.შ. ჩვენ სწორად მივიჩნიეთ მეორე ვარიანტი, რამდენადაც პირველი ვარიანტი გამოხატავს არა განუსაზღვრელი, არამედ მეორე პირის მოქმედებას – **„მან აწონა, გაჩეხა, შეტეხა“** და სხვ. ჩვენს ვარი-

ანტს უფრო ზუსტად გამოხატავს რუსული შესატყვისები: **„взвешивание“, „вырубка“, „ломка“**.

ვფიქრობთ, „ტერმინოლოგიაში“ ერთმანეთისგან მარეგებულადაა გამიჯნული ტერმინები **„გასახელმწიფოებრივება“** (**огосударствление**) და **„განსახელმწიფოებრივება“** (**разгосударствление**), რამდენადაც პირველი გულისხმობს კერძო ან კოოპერაციული საკუთრების სახელმწიფო საკუთრებად გადაქცევას, ხოლო მეორე, პირიქით, – სახელმწიფო საკუთრების კერძო ან კოოპერაციულ საკუთრებაში გადასვლას.

„ტერმინოლოგიის“ შემდგენელთა შეხედულებით, ერთმანეთისგან უნდა განვასხვავოთ ტერმინები, ერთი მხრივ, **„პროგრესული“** და **„რეგრესული“** და, მეორე მხრივ, **„პროგრესიული“** და **„რეგრესიული“**. პირველი წყვილი ტერმინებისა უნდა გამოვიყენოთ მაშინ, როცა გვინდა კვალიფიკაცია მივცეთ ამა თუ იმ მოვლენას ან ღონისძიებას, ე.ი. დადებითია (წინსვლის გამომხატველია), თუ უარყოფითი (უკუსვლის გამომხატველი). მეორე წყვილი ტერმინებისა კი მაშინ უნდა გამოვიყენოთ, როცა გვინდა ერთმანეთისგან განვასხვავოთ, მაგალითად, დაბეგვრის სისტემები, ანუ გადასახადების განაკვეთების განსაზღვრის მეთოდები, აგრეთვე, შრომის ანაზღაურების სისტემები და ა.შ. **„პროგრესიული გადასახადი“** ნიშნავს იმას, რომ დაბეგვრის საშუალო განაკვეთი იზრდება არა პროპორციულად, არამედ პროგრესიულად, შემოსავლის (დაბეგვრის ობიექტის) მოცულობის ზრდის შესაბამისად (დავუშვათ, 20 ათას ლარამდე შემოსავალზე დაწესებულია გადასახადის განაკვეთი 10 პროცენტის ოდენობით, 20-დან 30 ათასამდე შემოსავალზე 15 პროცენტის ოდენობით და ა.შ.). ამ შემთხვევაში ამოსავალია არა **„პროგრესი“**, არამედ **„პროგრესია“**. მისგან განსხვავებით, როცა ყოველ დამატებით შემოსავალზე გადასახადის განაკვეთი კი არ იზრდება, არამედ, პირიქით, მცირდება, მას **„რეგრესიულ გადასახადს“** უწოდებენ. ამ შემთხვევაში ამოსავალია არა **„რეგრესი“**, არამედ **„რეგრესია“**. აი, რატომ გავმიჯნეთ ქართული ტერმინები **„პროგრესული“ „პროგრესიულისგან“** და **„რეგრესული“ „რეგრესიულისგან“**, მიუხედავად იმისა, რომ მათი რუსული შესატყვისები **„прогрессивный“** და

**„регрессивный“** მსოლოდ ერთი მნიშვნელობით გამოიყენება.

გაზეთ „კვირის პალიტრის“ 2001 წლის 6-12 აგვისტოს ნომერში ეწერა: „ვარ ბანკის მევალე. ჩემი საქმე აღსრულებაზეა გადაცემული, მაგრამ ამავე აღმსრულებელთან აღსრულებაზეა გადაცემული ჩემი მევალის საქმეც, რომლის ვალიც ჩემს მიმართ სამჯერ აღემატება ჩემს ვალს ბანკისადმი...“

ეს ტექსტი იმიტომაა ბუნდოვანი (გაუგებარი), რომ მასში არეულია ტერმინები **„მევალე“** და **„მოვალე“** (ორსავე შემთხვევაში **„მევალის“** ნაცვლად უნდა ეწეროს **„მოვალე“**). ანალოგიური გაუგებრობის თავიდან აცილების მიზნით, „ტერმინოლოგიაში“ გავმიჯნეთ ეს ტერმინები. **„მევალე“ (заимодатель, заимодавец)** არის პირი, რომელიც იძლევა სესხს, ხოლო **„მოვალე“ (дебитор, должник)** – პირი, რომელიც იღებს სესხს და ვალდებულია ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების დაცვით დროულად დაუბრუნოს იგი გამსესხებელს (მევალეს).

„ტერმინოლოგიაში“ მკითხველი ბევრ სხვა საინტერესო საკითხზეც იპოვის პასუხს. ჩვენი მოსაზრებები, ცხადია, არ მიგვაჩნია აბსოლუტურ ჭეშმარიტებად. დაინტერესებულ პირებს ეთხოვთ აზრის გამოთქმას, რაც დაგვეხმარება ეკონომიკური ტერმინების სრულყოფაში. ამით დიდი ეროვნული საქმე მოგვარდება და მთელი საზოგადოება მოიგებს.

**იხ. გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“,**
**№ 105, 2 მაისი, 2002 წელი.**

# III. ჟურნალისტთა მიერ ლეო ჩიქავავასგან სხვადასხვა დროს აღებული ინტერვიუები

## 1. როგორი სახელმწიფო უნდა იყოს საქართველო — უნიტარული თუ ფედერალური?

**1. როგორი სახელმწიფო უნდა იყოს საქართველო — უნიტარული თუ ფედერალური?**

— ჩემი ლაკონური და პირდაპირი პასუხი ამ მთავარ კითხვაზე ასეთია: ერთმნიშვნელოვნად (ცალსახად) არც უნიტარული და არც ფედერალური.

ესოდენ კატეგორიული პასუხის საფუძველს მაძლევს თითოეული მათგანისთვის დამახასიათებელი ცალკეული ნეგატიური მხარეები. კერძოდ, როცა სახელმწიფო მხოლოდ უნიტარულ პრინციპებზეა მოწყობილი:

— როგორც დარგობრივ, ისე ტერიტორიულ ჭრილში მართვის თითქმის ყველა სფეროს ცენტრალური ხელისუფლება განაგებს, რეგიონული ხელისუფლება კი მისი ადგილობრივი ქვედანაყოფია, რომელიც მართვის ფუნქციების არცერთ სფეროში არ არის დამოუკიდებელი (სუვერენული) და (ჩვენი ქვეყნის მაგალითზე თუ განვიხილავთ) ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ დაყოფას საფუძველად მრავალ წვრილ ადმინისტრაციულ რაიონად დანაწევრების პრინციპი უდევს;

— ყალიბდება ისეთი პოლიტიკური ერთობა, რომლის წევრები არც სახელმწიფო ხელისუფლების პარტნიორები არიან და არც სახელმწიფო ხელისუფლების სუბიექტები;

— იქმნება მხოლოდ ერთი — ცენტრალური სახელმწიფო ხელისუფლება, ასევე — ერთადერთი უმაღლესი საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ორგანოები;

– ძლიერდება ბიუროკრატიზმი, ფართო მასშტაბებს ღებულობს ძალისმიერი მეთოდების გამოყენება, იზღუდება დემოკრატია და შესაბამისად, თავისუფლებაც;

– წარმოიქმნება ხელშემშლელი პირობები იმისთვის, რომ მიღწეულ იქნეს „ერთიანობა მრავალფეროვნებაში და მრავალფეროვნება – ერთიანობაში". მრავალფეროვნებას ერთიანობის გარეშე ანარქიასა და ქაოსამდე მივყავართ, სოლო ერთიანობას მრავალფეროვნების გარეშე – „ტოტალურ რეჟიმამდე".

სახელმწიფოს ტერიტორიული მოწყობისა და მართვის მსოლოდ ფედერალური სისტემის დამკვიდრებისას კი თავს იჩენს შემდეგი ნეგატიური თვისებები:

– რამდენადმე იზღუდება ფედერალური ხელისუფლების სოციალური ორიენტირებულობის ჩარჩოები და ირღვევა მისთვის უუძემდებლური მნიშვნელობის მქონე თანასწორობის პრინციპი. ამასთან ერთად, ცენტრალური ხელისუფლებისა და ფედერაციის სუბიექტის პოლიტიკაში არსებულ განსხვავებათა გამო, სახელმწიფოში ბრკოლდება ცხოვრების თანაბარღირებული სტანდარტების დამკვიდრების პროცესი;

– რთულდება ცენტრალურ ხელისუფლებასა და ფედერაციის სუბიექტებს შორის სრული კონსენსუსის მიღწევა, რომლის გარეშეც შეუძლებელია გლობალური ხასიათის პოლიტიკური გადაწყვეტილების მიღება;

– მოსახლეობის შერეული ჯგუფების არსებობისას ვერ ხერხდება უმცირესობის უფლებების დაცვა;

– პოლიტიკური და ეკონომიკური სისტემა გვერდიგვერდ მყოფ ფედერაციის სუბიექტებს შორისაც შეიძლება იყოს მკვეთრად განსხვავებული;

– ხელისუფლების მიერ გატარებული პოლიტიკა ნაკლებად გამჭვირვალე ხდება ფედერაციის სუბიექტების დონეზე, რაც ძაბავს პოლიტიკურ ვითარებას. ამასთან, არცთუ იშვიათად, იქმნება პოლიტიკური პასუხისმგებლობის დაქუცმაცების საშიშროება;

– იგი საჭიროებს დიდძალ დამატებით ხარჯებს და გაცილებით ძვირია.

ამგვარი ნაკლოვანებების მიუხედავად, როგორც მსოფლიო

პრაქტიკა აღასტურებს, საკმაოდ ფართოდ იყენებენ სახელმწიფოს ტერიტორიული მოწყობისა და მართვის ორიეე (უნიტარულ და ფედერალურ) სისტემას, რაც იმით აიხსნება, რომ მათ ასევე უსეად ახასიათებთ პოზიტიური თვისებები. კერძოდ, მართვის უნიტარული სისტემის უპირატესობათა შორის ყურადღებას იქცევს ის, რომ:

— შედარებით გაადვილებულია ქვეყნის მასშტაბით ერთიანი სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავება და რეალიზაცია, აგრეთვე, გლობალური ხასიათის პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღება;

— გამორიცხულია ცენტრალური ხელისუფლებისა და მმართველობის ადგილობრივ ორგანოებს შორის დაპირისპირებისა და პოლიტიკური პასუხისმგებლობის დაქუცმაცების საშიშროება;

— სწრაფად და მაღალორგანიზებულად წყდება საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გლობალური პრობლემები — ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის დაცვა, სახელმწიფო საზღვრების დადგენა, უშიშროების უზრუნველყოფა, საგარეო პოლიტიკური და ეკონომიკური კავშირების დამყარება, კონსტიტუციის მიღება, პრიორიტეტული მიმართულებების განსაზღვრა და ა.შ.

— მარტივი სტრუქტურული შემადგენლობით ხასიათდება და შედარებით იაფია.

ფედერალური სისტემა კი გამოირჩევა იმით, რომ:

— ხელს უწყობს პოლიტიკური სისტემის დემოკრატიული საფუძვლების ფორმირებას, სახელმწიფო ხელისუფლების ხალხთა მასებთან ტერიტორიულ მიახლოებას, პოლიტიკურ პროცესებში ინდივიდთა აქტიურ მონაწილეობას, ადგილობრივ მოთხოვნილებებზე ორიენტირებული გადაწყვეტილებების მიღებას;

— ქმნის ხელსაყრელ პირობებს ადგილებზე ფართომასშტაბიანი პოლიტიკური ლიდერების კანდიდატურების მომზადებისთვის, რაც მაღალ ეშელონებში ელექტორატს ბევრად უადვილებს სწორი არჩევანის გაკეთებას;

— უზრუნველყოფს მრავალფეროვნებას „ერთიანობაში“,

ე.ი. იცავს სხვადასხვა სოციალური ჯგუფის ინდივიდუალურ თავისებურებებს რეგიონებში და იმავდროულად, აადვილებს ამ ჯგუფის ინტეგრირებას საერთო სისტემაში;

– ამცირებს ძალაუფლების ბოროტად გამოყენების შესაძლებლობას ხელისუფლების ბალანსირების გზით;

– უზრუნველყოფს მმართველობითი გადაწყვეტილებების მიღებისა და რეალიზაციის ოპტიმალური დონის შერჩევას;

– აფართოებს კონფლიქტების მშვიდობიანი მოწესრიგების შესაძლებლობებს;

– ერთმანეთთან შედარებით ოპტიმალურად ასამებს სოციალურ ურთიერთობათა ინტერნაციონალიზაციისა და რეგიონალიზაციის ძირითად პრინციპებს;

– აჩქარებს რეგიონული დისპარიტეტების აღმოფხვრას და აღრმავებს შრომის რეგიონულ დანაწილებას;

– აფართოებს ავტონომიურ თვითმმართველობას;

– მეტ თავისუფლებას ანიჭებს ფედერაციული სახელმწიფოს სუბიექტებს;

– როგორც წესი, სახელმძღვანელო პრინციპია **„ერთი ყველასთვის და ყველა – ერთისთვის“** (იხ. გ. ხუბუა, ფედერალიზმი, როგორც ნორმატიული პრინციპი და პოლიტიკური წესრიგი, თბილისი, 2000, გვ. 34-44).

ბუნებრივია, როცა სახელმწიფოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობა და მართვა აგებულია „წმინდა“ უნიტარულ სისტემაზე, ხელისუფლება მოკლებულია ფედერალიზმის დადებითი თვისებებით სარგებლობის შესაძლებლობას, ხოლო „წმინდა“ ფედერალურ სისტემაზე აგებისას – უნიტარიზმის უპირატესობებით სარგებლობის შესაძლებლობას. აი, რატომ მიმაჩნია საქართველოში სახელმწიფოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობისა და მართვის ყველაზე უფრო მისაღებ ფორმად უნიტარული და ფედერალური სისტემების ოპტიმალური ნაერთი (კონგლომერატი) – უნიტარულ-ფედერალური სისტემა.

როგორც პროფესორები ო. გოგიაშვილი და ე. ბატიაშვილი თავიანთ პუბლიკაციაში სავსებით მართებულად მიუთითებენ, ახალი ქართული სახელმწიფოებრიობის ერთ-ერთი უმნიშვნე-

ლოვანესი ამოცანა იმაშია საძიებელი, რომ მოინახოს (ისე როგორც ბრწყინვალედ სორციელდებოდა ეს საქართველოს ისტორიის „ოქროს სანაში“) ამ ორ პოლარულ პოლიტიკურ პრინციპს (ფედერალიზმსა და უნიტარიზმს) შორის ის აუცილებელი „ოქროს საშუალო“ და გონივრული ზღვარი, რომელიც საქართველოს დაუბრუნებს „თავის თავს“ — ქვეყნის ბუნებრივ-ისტორიული განვითარების შესაძლებლობას.

მთავარია, თვითონ სახელმწიფო ხელისუფლება (როგორც ცენტრალური, ისე სამხარეო) თავისი ფუნქციონური მართვის ისეთ დონეზე იდგეს, რომ ქვეყანა ბუნებრივად შეკრულ ერთ მთლიან პოლიტიკურ ორგანიზმს შეადგენდეს. საზოგადოებრივი ცხოვრების ამ იდეალის მიღწევა ცალ-ცალკე არც ფედერალიზმს ძალუძს და არც უნიტარიზმს.

საქართველოს დღევანდელ პირობებში ფედერალიზმის თუნდაც ცალკეული პრინციპების რეალიზაცია მემკვიდრეობით გადმოცემული ბიუროკრატიული მმართველობის დემოკრატიული სტრუქტურებით შეცვლის, ქვეყნის ცალკეული მხარეების სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული აღორძინება-განვითარების, ხალხთა მასებში დამალული თვითმმართველობისა და თვითშემოქმედების დიდ პოტენციურ შესაძლებლობათა ამოქმედების მძლავრ იმპულსად შეიძლება იქცეს. ფედერალურ სისტემას ძალუძს ფართო ასპარეზი მისცეს ცალკეული მხარეების თავისებურებებს და ამით ხელი შეუწყოს როგორც მათი, ისე მთელი ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ პროგრესს. უნიტარიზმი კი, თავისი საერთო-ეროვნული სტრუქტურებით, ერთიანი საგადასახადო, საფინანსო, საბაჟო და საგარეო პოლიტიკით ქვეყნის ერთიანობისა და უშიშროების, მისი თავდაცვითი ძლიერების აქტიური გლობალური და რეგიონული პოლიტიკის საფუძველად და გარანტად შეიძლება მოგვევლინოს.

ეს არც ჩემი აღმოჩენაა და არც ჩემი კოლეგებისა. ამასვე ცხადყოფს თანამედროვე მსოფლიო პრაქტიკა. ამჟამად ვერსად ნახავთ ვერც „წმინდა ფედერალურ“ და ვერც „წმინდა უნიტარულ“ სახელმწიფოს. ისეთი კლასიკური ფედერაციული სახელმწიფოც კი, როგორიც ამერიკის შეერთებული შტატებია,

„ოქროს ხანის“ საქართველოს ანალოგიურად, უნიტარიზმის საკმაოდ მნიშვნელოვან ელემენტებს შეიცავს, ისე როგორც, მაგალითად, საფრანგეთი – ფედერალიზმისა.

როცა ვლაპარაკობთ უნიტარიზმისა და ფედერალიზმის პრინციპების ურთიერთშესამებაზე, მხედველობაში გვაქვს ფედერაციის სუბიექტების არა კლასიკური ფორმა (დამოუკიდებელი კონსტიტუციით, უმაღლესი საკანონმდებლო, აღმასრულებელი, სასამართლო ორგანოებით და ა.შ.), არამედ აღგილობრივი თვითმმართველობის (ავტონომიის) მასშტაბების გაფართოება, ქვეყნის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში რეგიონის როლის ამაღლება. ფედერაციის სრულუფლებიან (კლასიკურ) სუბიექტებად საქართველოს ტერიტორიის დანაწევრების სასარგებლოდ არ მეტყველებს ჩვენი ქვეყნის არც მოსახლეობის რიცხოვნობა და ტერიტორიის მოცულობა, არც ეკონომიკური და პოლიტიკური მდგომარეობა, ჩვეული კუთხური ამბიციები და არც ისტორიულ-კულტურული ტრადიციები.

აღსანიშნავია ისიც, რომ არ არსებობს როგორც ფედერალური, ისე უნიტარული სახელმწიფოს უნივერსალური მოდელი. თითოეული მათგანი უნიკალურია და მათი არსი ყველა შემთხვევაში დეტერმინირებულია რეგიონული და კონკრეტული – სივრცობრივი თავისებურებებით, რომელიც აისახება ქვეყნის კონსტიტუციასა და სხვა იურიდიულ დოკუმენტებში.

**2. როგორია საქართველოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობის თქვენეული ვარიანტი?**

– საქართველოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ მოწყობას, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, საფუძვლად ოპტიმალურად ურთიერთშერწყმული უნიტარულ-ფედერალური სისტემა უნდა დაედოს. მისი ამოსავალი გზა იქნება მზარდი საზოგადოებრივი, პარტიულ-პოლიტიკური, აგრეთვე, კონსტიტუციურ-სამართლებრივი უნიტარიზაცია. იგი არ განსაზღვრავს ერთიანობას მრავალფეროვნებაში, არამედ ახალ სიბრტყეში გადაიყვანს დემოკრატიისა და სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპებს. აღიარებს მხოლოდ ერთ სუვერენულ სახელმწიფოს, სადაც, „წმინდა“ უნიტარული სახელმწიფოსგან განსხვავებით, საკანონმდებლო,

აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლება გადანაწილებულია ტერიტორიულად დიფერენცირებულ და დამოუკიდებელი პასუხისმგებლობით მოქმედ ორგანიზაციებს შორის.

ამრიგად, ნეგატიური თვისებებისგან მაქსიმალურად თავისუფალი უნიტარიზმი უნდა შეივსოს ფედერალიზმისთვის დამახასიათებელი დადებითი თვისებებით. ღეისთვის ჩვენს ქვეყანაში არსებული ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულები (რომელთა რაოდენობა 80-ს აღემატება) ფედერაციის სუბიექტებად ვერ გამოდგებიან. სუბიექტები ასეთი ოდენობით ცივილიზებულ სუპერსახელმწიფოებსაც არა აქვთ. აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკებთან ერთად, ადმინისტრაციულ-ტერიტორიული სუბიექტების ფუნქციები (ცხადია, სრულიად ახლებური უფლება-მოვალეობებით) შეიძლება შეასრულონ არსებულმა, გადასალისებულმა და გააზრებულად შევსებულმა სამხარეო სტრუქტურებმა. ტერიტორიული მოწყობა, როგორც წესი, უნდა დაემყაროს ეკონომიკურ-გეოგრაფიულ და არა ეთნიკურ პრინციპს. ცალკეულ შემთხვევებში იგი საქართველოს ისტორიულ რეგიონებს (კახეთი, იმერეთი, გურია და ა.შ.) თუ დაემთხვევა, არც ამაში უნდა დავინახოთ რაიმე ტრაგედია.

არსებითად უნდა შეიცვალოს ამჟამად არსებული ადმინისტრაციული რაიონების ფუნქციები. მათი საქმიანობა ძირითადად ადგილობრივი თემების, სოფლებისა და დაბების ფუნქციონირების კოორდინაციით უნდა შემოიფარგლოს. ქვეყნის კონსტიტუციითა და სხვა საკანონმდებლო აქტებით ზუსტად უნდა განისაზღვროს ფედერაციის სუბიექტთა ორგანიზაციული სტრუქტურა და თითოეული დანაყოფის ფუნქციები.

კიდევ ერთხელ ვუსვამ ხაზს იმ გარემოებას, რომ არამც და არამც არ უნდა დაეუშვათ სახელმწიფოში „სახელმწიფოთა“ წარმოქმნა, რამეთუ ისინი შეიძლება დაუპირისპირდნენ ცენტრალურ ხელისუფლებას და კატაკლიზმები გარდუვალი გახდეს.

**იხ. გაზ. „განათლება, მეცნიერება, ბიზნესი“.**
**№ 5 (92) დეკემბერი, 2000 წელი.**

## 2. ეს გზა საქართველოს ეკონომიკისთვის თვითმკვლელობის ტოლფასია

**— ბატონო ლეო, როგორია დღეისთვის ქვეყანაში შექმნილი კრიზისული ვითარების თქვენეული ხედვა და ამ ვითარებამ რა გავლენა შეიძლება მოახდინოს ეკონომიკის განვითარებაზე?**

— როგორც ოპოზიციის, ისე ხელისუფლების წარმომადგენელთაგან არავინ არ უარყოფს, რომ ქვეყნის განვითარება არ მიიმართება ნორმალური რიტმით და საზოგადოებრივი ცხოვრების უკლებლივ ყველა სფეროში (უწინარეს ყოელისა, ეკონომიკის დარგში) გარდუვალია რადიკალური ცვლილებები. მაგრამ ძირეულად განსხვავებული, უფრო ზუსტად, ერთმანეთისადმი დაპირისპირებული პოზიციები გამოიკვეთა იმ საკითხებში, თუ როგორ უნდა გადავჭრათ ეს ურთულესი ამოცანა.

მიუხედავად იმისა, რომ საპარლამენტო არჩევნები ჩატარდა უხეში დარღვევებით, რომელშიც მეტ-ნაკლებად ყველა მონაწილე ბლოკსა და პარტიას მიუძღვის წვლილი, ჩემი ღრმა რწმენით, გაუმართლებელი და მიზანშეუწონელია ქუჩის აქციებისა და საყოველთაო დაუმორჩილებლობის, ვითარების უკიდურესად დაძაბვისა და ქაოსის გზით ქვეყანაში დაგროვილი პრობლემების მოგვარების მცდელობა. ასეთი დასკვნის საფუძველს მაძლევს მისი თანმდევი ნეგატიური შედეგები. მხედველობაში მაქვს, ჯერ ერთი, ჩიხში შესული პოლიტიკური კრიზისი, რომელსაც ორიოდე დღის წინათ სულ ერთი ნაპერწკალიღა უკლდა კატასტროფამდე და ღმერთმა ნუ ქნას, რომ განმეორდეს (ამ შემზარაავი და დამთრგუნველი აქციის დაშლამ საზოგადოება რამდენადმე დაამშვიდა და ცოტაოდენი იმედი ჩაუსახა); მეორე, ასეთი ქმედება მტრის წისქვილზე ასხამს წყალს და სულ უფრო გვაშორებს ეთნოკონფლიქტების მოგვარებისგან და მესამე, იგი ჩვენს ისედაც დაუძლურებულ

ეკონომიკას მომაკვდინებელ დარტყმას აყენებს.

**— თქვენი აზრით, როგორი იქნება ამ დარტყმის შედეგები?**

— ძალიან ცუდი, როცა ქვეყანაში არეულობა, დესტაბილიზაცია, ფეთქებადსაშიში და უკიდურესად დაძაბული ვითარებაა, თითქმის ნულამდე დადის უცხოური ინვესტიციების მოზიდვის რეალობა. უცხოური კაპიტალი ყოველთვის გაურბის ზედმეტ რისკს იმის გამო, რომ საშიშროება ექმნება არა მარტო თავად კაპიტალს, არამედ ფიზიკურად მის მესაკუთრესაც. გარდა ამისა, დღეისთვის ჩვენთან ფუნქციონირებადი ინვესტორებიც ეცდებიან პირველი შესაძლებლობისთანავე დატოვონ საქართველოს ტერიტორია (ამის სიმპტომები უკვე შეინიშნება).

რაც შეეხება ჩვენდამი კეთილად განწყობილი ქვეყნებისგან სხვადასხვა დახმარებებისა და შეღავათიანი სესხების მიღებას, იგი შემცირდება საერთაშორისო ასპარეზზე საქართველოს იმიჯის დაცემის პროპორციულად. ამასთან ერთად, გაურკვეველი ვადით გადაიდება ჩვენი ქვეყნის მიღება ევროკავშირში, ნატოში და სხვა პრესტიჟულ საერთაშორისო ორგანიზაციებში.

ვითარების ესკალაცია არასაიმედო პარტნიორად აქცევს ქვეყანას, რომელსაც გარდუვალად მოჰყვება იმპორტისა და ექსპორტის მკვეთრი შემცირება. საკმარისია აღინიშნოს, რომ მიმდინარე წლის ნოემბრის პირველ დეკადაში, წინა თვის შესაბამის პერიოდთან შედარებით, საქართველოში ხორცისა და ხორცპროდუქტების იმპორტი შემცირდა 10-ჯერ, თევზისა და თევზპროდუქტებისა — 26-ჯერ, ნავთობისა და მისგან წარმოებული პროდუქტებისა — 2-ჯერ და ა.შ. ბუნებრივია, ყოველივე ეს, თავის მხრივ, არსებითად ცვლის მიწოდება-მოთხოვნას შორის თანაფარდობას და იწვევს საცალო ფასების ზრდას ბაზარზე, რაც მძიმე ტვირთად აწვება ისედაც გაუსაძლის მდგომარეობაში მყოფი მოსახლეობის უმრავლესობის პირად ბიუჯეტს.

გაუთავებელი ქუჩის აქციებისა და საყოველთაო დაუმორჩილებლობისკენ მოწოდების შედეგად, პარალიზებულია წარმოება-დაწესებულებები და ორგანიზაციები, შეწყვეტილია პროდუქციის გამოშვება, ბიზნესმენები (ძირითადად მცირე ბიზნესის წარმომადგენლები) და მიწის მესაკუთრეები არ ის-

დიან გადასახადებს, იმიტომ, რომ ოპოზიციის ლიდერები შეპირდნენ (სელისუფლებაში მოსელის შემთხვევაში) გადასახადების გადახდისგან განთავისუფლებას. რაკი გადასახადების აკრეფა მინიმუმამდეა შემცირებული, არ ივსება სახელმწიფო და ადგილობრივი ბიუჯეტები, არ რიგდება ხელფასები და პენსიები. ამიტომ, ცხადია, არც საქმე კეთდება. როდემდე შეიძლება ასე გაგრძელდეს? ლოზუნგებით, როგორი მომხიბლავი და მიმზიდველიც უნდა იყოს ისინი, ვერავითარი დოვლათი ვერ შეიქმნება.

აი, რატომ მიმაჩნია ეს გზა ეკონომიკისთვის (და არა მარტო ეკონომიკისთვის) თვითმკვლელობის ტოლფასად.

**– გეთანხმებით, ვითარება მართლაც უმძიმესია, მაგრამ გამოსავალს რაში ხედავთ?**

– შეიძლება არა იდეალური, მაგრამ, ვფიქრობ, მაინც უკეთესი გამოსავალია დიალოგის გამართვა, კონსენსუსის მიღწევა, არჩევნების შედეგების აღიარება; კანონიერების დამრღვევთა (არჩევნების გამყალბებლთა) დადგენა-დასჯა და პარლამენტის ასალი შემადგენლობის შეკრება, რომელიც აირჩევს ხელმძღვანელ ორგანოებს. პარლამენტის საქმიანობის დაწყებითა და ქვეყანაში პოლიტიკური ვითარების ნორმალიზებით რამდენადმე ხელსაყრელი პირობები შეიქმნება როგორც სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დასაჩქარებლად, ისე საპრეზიდენტო არჩევნების ნორმალურ ვითარებაში მოსამზადებლად.

**იხ. გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“,**
**№ 314, 21.11.2003.**

## 3. „საქართველო ის სიმდიდრეა, რომელიც მსოფლიოს ჯერ არ აღმოუჩენია“

*ეს სიტყვები ტურიზმის დარგის ჰოლანდიელ სპეციალისტსა და ქველმოქმედს ფრედ ფორსტენბოშს ეკუთვნის. რა სიმდიდრეზეა ლაპარაკი და, კერძოდ, რით შეიძლება დაინტერესდნენ უცხოელი საქმიანი პარტნიორები საქართველოში? ასეთი კითხვა დავუსვი საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტს, ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტს, ლეო ჩიქავას, რომელიც რედაქციაში სასაუბროდ გვესტუმრა.*

— ჩემი ღრმა რწმენით, — ამბობს ბატონი ლეო, — უცხოელები ბევრი რამით შეიძლება დაინტერესდნენ. მართალია, დღეს საქართველო არ არის მძლავრი, მაღალგანვითარებული სახელმწიფო, მაგრამ მსოფლიოში ქვეყნების ძალიან მცირე რიცხვს თუ ახასიათებს ესოდენ მცირე ტერიტორიაზე ბუნებრივ-კლიმატური პირობების ისეთი მრავალფეროვნება, როგორიც ჩვენს ქვეყანას. მის ტერიტორიაზე წლის ერთსა და იმავე დროს შეხვდებით თითქმის ყველა ტიპის კლიმატს — შავიზღვისპირა ტენიანი და თბილი სუბტროპიკული კლიმატიდან დიდი კავკასიონის მარადთოვლიან-ყინულოვან კლიმატამდე. ამ თვალსაზრისით საქართველოს საკუთრებულად უწოდებენ კონტრასტების ქვეყანას.

ჰავისა და ნიადაგების მკვეთრი სიჭარბე თავის გამოსატულებას პოულობს იმაში, რომ ერთიმეორისგან მცირე მანძილით დაშორებულ ტერიტორიებზეც კი ერთიდაიგივე კულტურა სხვადასხვა ხარისხის პროდუქციას იძლევა. მაგალითად, რაჭაში ალექსანდროულის ჯიშის ვაზი მხოლოდ სოფელ ხვანჭკარაში, ჭრებალოსა და მათ მიმდებარე სამიოდე სოფელში იძლევა მთელ მსოფლიოში სახელგანთქმულ ღვინო „ხვანჭკა-

რას". იგივე შეიძლება ითქვას ისეთი ორიგინალური თვისებების მქონე ღვინოზე, როგორიცაა **„ქინძმარაული"**, **„ოჯალეში"**, **„ჩხავერი"**, **„ალადასტური"** და სხვ.

**— თქვენი აზრით, რომელი დარგები განსაზღვრავენ ქვეყნის სოფლის მეურნეობის საერთაშორისო სპეციალიზაციის პროფილს?**

— შრომის საერთაშორისო ტერიტორიული დანაწილების პრინციპიდან გამომდინარე, საქართველო სპეციალიზებულია იმ დარგთა (მეჩაიეობა, მევენახეობა, მეხილეობა, მეციტრუსეობა, მედაფნეობა, მეთამბაქოეობა და სხვ.)

განვითარებაზე, რომელთა გავრცელების არეალი ძლიერ შეზღუდულია, მაგრამ, რომლებიც საუკეთესო შეღეგებს იძლევა აღგილობრივ ბუნებრივ პირობებში და მოწოდებულია წარმოება შეუფარდოს მათს პროდუქციაზე საგარეო ბაზრის მოთხოვნებს. მართალია, ამ დარგებმა უკანასკნელ ათწლეულში, ცნობილ გარემოებათა გამო, დიდი ნგრევა განიცადეს, მაგრამ სათანადო ძალისხმევით მათი აღდგენა შეუძლებელი როდია.

ჩამოთვლილი დარგები ხასიათდებიან მაღალი შრომატევადობითა და ინტენსიურობით. ამიტომ საერთაშორისო მასშტაბით მათს პროდუქციაზე საქართველოს სპეციალიზაციას, ხელსაყრელ ნიადაგურ-კლიმატურ პირობებთან ერთად, იმთავითვე განსაზღვრავდა მისი ისეთი მნიშვნელოვანი თავისებურება, როგორიცაა მიწის რესურსებით უზრუნველყოფის შედარებით დაბალი დონე. იგულისხმება არა მარტო ტერიტორიის საერთო მოცულობა, რომელიც არც ისე ცოტაა (მას უკავია იმდენივე ფართობი, რამდენიც ბენილუქსის ქვეყნებს ერთად), არამედ ინტენსიური ექსპლუატაციისთვის ვარგისი ფართობის მკვეთრი სიმცირე. ინტენსიურ მიწათმოქმედებას ექვემდებარება ჩვენი ქვეყნის ტერიტორიის საერთო მოცულობის მხოლოდ 15,5 პროცენტი, რაც მეტად აქტუალურს ხდის მისი რაციონალური გამოყენების პრობლემას.

იგივე ითქმის ტყეებზე, რომელიც საქართველოს ტერიტორიაზე არათანაბრადაა განაწილებული. ტყის ძირითადი მასივები განლაგებულია კავკასიონის ქედის სამხრეთ კალთებსა და ქვეყნის სამხრეთ მთიანეთში, სადაც სამასზე მეტი ჯიშის ხე ხა-

რობს. ქვეყნის ტერიტორიის ტყიანობა 39,9 პროცენტს აღწევს, სელოვნურ ტყეებს უჭირავს 59,9 ათასი ჰექტარი. ბუნებრივი ტყეების 5 პროცენტი საერთოდ ხელუხლებელია, ხოლო დაახლოებით 40 პროცენტი ინარჩუნებს პირველად სტრუქტურას.

**— ბატონო ლეო, როცა ვლაპარაკობთ ჩვენი ქვეყნით უცხოელების დაინტერესებაზე, ალბათ, პირველ რიგში, უნდა შევეხოთ მის საკურორტო-ტურისტულ შესაძლებლობებს. საქართველოს თვალწარმტაცი, მომაჯადოებელი ბუნება, მთის ზონისა და ზღვისპირა კურორტები, უნიკალური მინერალური წყაროები, უძველესი კულტურის ძეგლები, საერთოდ მდიდარი რეკრეაციული რესურსები ხომ ფრიად ხელსაყრელ პირობებს ქმნის საკურორტო მეურნეობის, ტურიზმისა და ალპინიზმის განვითარებისთვის?**

— მართალი ბრძანდებით. რეკრეაციულ რესურსებზე მსჯელობისას, უწინარეს ყოვლისა, ყურადღებას იქცევს პაეა და კლიმატი, როგორც დასვენებისა და მკურნალობის უმნიშვნელოვანესი ფაქტორები. კულტურული დასვენებისთვის განსაკუთრებით ხელსაყრელი პირობებია დაბალმთიან (500-1000 მეტრი ზღვის დონიდან) და საშუალომთიან (1000-2000 მეტრი) ზონებში, სადაც კონცენტრირებულია სამთო-კლიმატური და ბალნეოლოგიური კურორტების დიდი ნაწილი. საქართველოში გამოვლენილია 2 ათასზე მეტი მინერალური წყარო, რომელთა საერთო დებიტი დღეღამეში 130 მილიონ ლიტრზე მეტია. აღსანიშნავია, რომ პოსტსაბჭოურ სივრცეში არსებული მინერალური წყაროების დაახლოებით 40 პროცენტი საქართველოზე მოდის, ამ მაჩვენებლით მას პირველი ადგილი უკავია.

ღღეს საქართველოში 30-მდე ბალნეოლოგიური ტიპის კურორტია, რომელიც წარმატებით გამოიყენება კუჭ-ნაწლავის ორგანოების, გულსისხლძარღვთა, ნერვული, ძვალკუნთოვანი სისტემების, კანისა და სხვა დაავადებების სამკურნალოდ. მთელი რიგი მინერალური წყაროებისა (ბორჯომი, საირმე, უწერა, ნაბეღლავი, ზვარე და სხვ.) ჩამოისხმება როგორც სამკურნალო და სუფრის წყლები. ცალკეული გათვლებით, ყოველწლიურად შეიძლება ჩამოისხას 1,5 მილიარდამდე ბოთლი „ბორჯომი", რომლის უდიდესი ნაწილი გაეა მსოფლიო ბაზარზე.

ამ მხრივ დიდ რეზერვებს შეიცავს მტკნარი წყლის ექსპორტიც, რომლითაც ასევე მდიდარია საქართველო. და ეს მაშინ, როცა პლანეტაზე ერთ მილიარდზე მეტ ადამიანს აკლია სასმელი წყალი, ხოლო 2 მილიარდი უხარისხო წყალს მოიხმარს. ასეთ პირობებში ჩვენ წამში ერთი ლიტრი დებიტის მქონე წყლის ექსპორტით შეიძლება მივიღოთ 50 ათასი დოლარის ამონაგები, თუკი ერთი ლიტრი წყალი ერთ ცენტად მაინც გაიყიდება. სინამდვილეში ზოგიერთ ქვეყანაში იგი „შამპანურივით" ფასობს.

**— ჩვენ ასევე მდიდარ ქვეყანად ვითვლებით ჰიდროენერგეტიკული რესურსებით, თუმცა უკანასკნელ წლებში უშუქობამ და სიბნელემ, როგორც იტყვიან, ცხოვრება გაგვიმწარა. ამას როგორ კომენტარს გაუკეთებდით?**

— სწორია, ჰიდროენერგეტიკული პოტენციალის მისედვით საქართველო საგრძნობლად უსწრებს „თეთრი ნახშირით" მდიდარ ისეთ ქვეყნებსაც კი, როგორებიც არიან საფრანგეთი, იტალია, ესპანეთი, შვეიცარია, რუმინეთი და სხვა, მაგრამ პრაქტიკულად გამოიყენება რეალურ შესაძლებლობათა უმნიშვნელო ნაწილი — დაახლოებით 10 პროცენტი, რაც დიდ პერსპექტივას უქმნის უცხოეთის კაპიტალდაბანდებებს საქართველოში, თუ გავითვალისწინებთ, რომ პერსპექტივაში ქვეყანას საკუთარი საჭიროებისთვის ეყოფა დაახლოებით 25 მილიარდი კილოვატსაათი, მას მარტო ჰიდრორესურსების ათვისებით შეუძლია მსოფლიოს ბაზარზე გაიტანოს 60 მილიარდი კილოვატსაათი ელექტროენერგია და იგი ჯიდძალი უცხოური ვალუტის მიღების წყაროდ აქციოს.

საქართველო ძალიან მდიდარია არატრადიციული ენერგორესურსებითაც — მზე, ქარი, ბიომასებისა და გეოთერმიული ენერგია. მაგალითად, ქვეყნის ტერიტორიის 1 კვ. მეტრზე მოსალოდნელი გამოსხივების მზის ენერგიას ანგარიშობენ წელიწადში 1300-1800 კილოვატსაათის ოდენობით, ხოლო შეჯამებული პოტენციალი მთელ ფართობზე გაანგარიშებით 10 მილიარდამდე კილოვატსაათს აღწევს. ამის მიუხედავად მზის ენერგია ჩვენთან დღემდე არ გამოიყენება.

**— ჯერჯერობით მცირე რაოდენობით გამოიყენება ნავთობის მარაგიც.**

– არადა, ამ სფეროშიც ქვეყანას უმდიდრესი პოტენციალი აქვს, რომელიც უცხოური ნავთობკომპანიების („კანარგო“, „ფრონტერა“, „რამკო“ და სხვ.) მონაცემებით, 600 მილიონ ტონას შეადგენს. აღსანიშნავია, რომ ეს მარაგი კასპიის ზღვის აზერბაიჯანის სექტორის მარაგს უტოლდება. დასახელებული კომპანიების წარმომადგენელთა მტკიცებით, საქართველოს აღგილობრივი რესურსებით შეუძლია არა მარტო საკუთარი მოთხოვნილების სრულად დაკმაყოფილება, არამედ ახლო მომავალში საექსპორტო ნავთობის წარმოებაც. ეს სერიოზული განაცხადია, საქართველო შეიძლება დიდი ნავთობის ქვეყანად იქცეს.

**– ბატონო ლეო, ალბათ, შორს წაგვიყვანდა მსჯელობა ისეთ სიმდიდრეთა თაობაზე, როგორებიცაა ჭიათურის მანგანუმი, დარიშხანი, ძვირფასი ლითონები და სხვ. ყოველივე ამასთან ერთად, საქართველო ხომ მაღალი სამეცნიერო პოტენციალის მქონე ქვეყანაცაა!**

– ნამდვილად ასეა. ამის დასტურია თუნდაც ის, რომ 2002 წლის მონაცემებით, სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებსა და უმაღლეს სასწავლებლებში დასაქმებულია 15,2 ათასი მეცნიერმუშაკი, რომელთაგან 1811 მეცნიერებათა დოქტორია, ხოლო 5998 მეცნიერებათა კანდიდატი. მთელ მსოფლიოშია ცნობილი მათემატიკური, ფიზიოლოგიური, ფსიქოლოგიური, ფილოსოფიური და სხვა სკოლების საერთაშორისო დონის მეცნიერული მიღწევები. აქედან გამომდინარე, პერსპექტიულად მესახება საქართველოში მეცნიერული „იდეების ბანკის“ დაფუძნება და მეცნიერული კვლევის შედეგების საზღვარგარეთ გასაღების მექანიზმის შემუშავება.

**– დაბოლოს, ალბათ, ისიც უნდა ვთქვათ, რა შეიძლება მოუტანოს საქართველოს მისმა სტრატეგიულმა, გეოპოლიტიკურმა მდებარეობამ, ცნობილი „აბრეშუმის გზის“ აღორძინების იდეამ, რომელიც ფაქტიურად უკვე ხორციელდება.**

– დიახ, ქვეყნის რესურსული პოტენციალის სპეციფიკურ ნაირსახეობად წარმოგვიდგება საქართველოს გეოპოლიტიკური მდებარეობა, რომელიც მას აქცევს ევრაზიის ყველაზე მოხერხებულ და მაღალეფექტიან სატრანსპორტო დერეფნად. უცხოელ პარტნიორთა აქტიური მონაწილეობით უკვე შემუშავდა და

ამჟამადაც ინტენსიურად მუშავდება მთელი რიგი პროექტები, რომლებმაც უნდა უზრუნველყონ აბიის ქვეყნების საექსპორტო ტვირთის (მათ შორის, კასპიის ნავთობის) მნიშვნელოვანი ნაწილის სწორედ ამ სატრანსპორტო დერეფნით გატარება. „ტრასეკას“ პროექტით გათვალისწინებულია ფოთის ნავსადგურის გადამუშავების მიცულობა წელიწადში 5 მილიონი ტონიდან გაიზარდოს 12 მილიონ ტონამდე. მნიშვნელოვნად გაიზრდება ტვირთგამტარიანობა ბათუმის ნავსადგურშიც. ასევე, ნავარაუდევია სოფელ ანაკლიასთან (ზუგდიდის რაიონი) 60 მილიონამდე ტონა ტვირთბრუნვის უზარმაზარი საპორტო კომპლექსის მშენებლობა, რაც ქვეყანას დიდ სარგებლობას მოუტანს.

**— ბატონო ლეო, რა უნდა გაკეთდეს იმისთვის, რომ უამრავი სიმდიდრე, რაზედაც საუბარი გვქონდა, მოძრაობაში მოვიდეს და სიღატაკის ზღვარზე მდგარმა მოსახლეობამ შვებით ამოისუნთქოს?**

— ქვეყანაში მოსული ახალი სელისუფლება თავის მოქმედებაში უნდა დაეყრდნოს გონივრულად შემუშავებულ, მეცნიერულად დასაბუთებულ ეკონომიკურ პოლიტიკას, საკმაო ოდენობით მოიზიდოს ინვესტიციები და რაციონალურად გამოიყენოს არსებული რესურსები. ნორმალური სამუშაო პირობები და ჯანსაღი კონკურენტული გარემო შეუქმნას ბიზნესს. თუ ამას გავაკეთებთ, საქართველომ შეიძლება უმოკლეს დროში დააღწიოს თავი შექმნილ სოციალურ-ეკონომიკურ კოლაფსს. დღესდღეობით კი საქართველო რჩება გამოუყენებელ შესაძლებლობათა ქვეყნად, რომელსაც ძალუძს სათანამშრომლოდ ბევრი რამ შესთავაზოს უცხოელ პარტნიორებს, გაისარჯოს დღევანდელი მოთხოვნების შესაბამისად და შეუქმნას საკუთარ ხალხს ღირსეულად ცხოვრების პირობები.

ესაუბრა
**ოთარ ხუციშვილი**

**იხ. გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“,**
**№ 329, 6.12.2003.**

# 4. რა გვიჩვენა მოსახლეობის 2002 წლის აღწერამ?[1]

დამთავრდა საქართველოს მოსახლეობის 2002 წლის პირველი ეროვნული საყოველთაო აღწერის შედეგების დამუშავება, რომელიც საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტმა უკვე ოთხ ტომად (მათ შორის, მესამე ტომი – ორ ნაწილად) გამოაქვეყნა. საქართველოში ჩატარებული მოსახლეობის აღწერის შედეგები ასე მოკლე ვადამი და ასე ვრცელი პროგრამით ჯერ არ დამუშავებულა და გამოცემულა. მიუხედავად ფინანსური სიძნელეებისა, დეპარტამენტმა შეძლო არა მარტო აღწერის შედეგების ორგანიზება მაღალ დონეზე, არამედ მან ასევე დიდი მუშაობა ჩაატარა აღწერის შედეგების დამუშავების მეთოდოლოგიური ბაზის შესაქმნელად, რამაც საბოლოოდ უზრუნველყო მრავალმხრივი, ტევადი და სარწმუნო ბაზის შექმნა და საზოგადოებისთვის მისი დროულად მიწოდება. ამას უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგან მოსახლეობის აღწერის მასალების დამუშავება და გამოქვეყნება თუ დროულად ვერ მოხერხდა, მაშინ საგრძნობლად უფასურდება მისი შემეცნებითი მნიშვნელობა, ხოლო ზოგიერთი ცნობა ძველდება.

მოსახლეობის 2002 წლის აღწერა დიდი მოვლენა იყო ქართველი ხალხის ცხოვრებაში, რადგან ჩვენს ქვეყანაში, როგორც დამოუკიდებელ სახელმწიფოში, იგი პირველად ჩატარდა. არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა იმასაც, რომ ეს აღწერა დაემთხვა ახალი, მესამე ათასწლეულის დაწყებას და აღწერის მონაცემები მომავალი თაობებისთვის დარჩება სამუდამო დემოგრაფიულ-სტატისტიკურ ბაზად.

მოსახლეობის აღწერის შედეგების პირველი ტომი მონაცემთა მეტად ფართო სპექტრს მოიცავს. აღწერის მომზადება-ჩატარების საკითხებთან ერთად, ტომში მოცემულია მონაცემები მოსახლეობის რიცხოვნობისა და მოსახლეობის სქესის, ასაკის, ეროვნების, მოქალაქეობის, სარწმუნოების, ქორწინებისა და განათლების შესახებ.

---

[1] პროფ. ა. თოთაძესთან თანაავტორობით.

მოსახლეობის 2002 წლის აღწერის მონაცემების თანახმად, საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების კონტროლირებად ტერიტორიაზე მუდმივად ცხოვრობდა 4 371 535 კაცი, ხოლო 1989 წელს ამავე ტერიტორიაზე – 4803310 კაცი. ამ პერიოდში ქვეყნის კონტროლირებადი ტერიტორიის მოსახლეობა 431 775 კაციით შემცირდა, ხოლო საზღვარგარეთის ქვეყნებში 379612 კაცი წავიდა.

საქართველოს მოსახლეობის 2002 წლის საყოველთაო აღწერამ, სამწუხაროდ, ვერ მოიცვა ქვეყნის მთელი ტერიტორია, რის გამოც შეუძლებელია

მოსახლეობაში მომხდარი ცვლილებების სრულყოფილი ანალიზი. მიუხედავად ამისა, ექსპერტული შეფასების, სხვადასხვა ცნობისა და გაანგარიშების საფუძველზე დავადგინეთ აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის მოსახლეობის რაოდენობა და ეროვნული შემადგენლობა, რაც, ვფიქრობთ, რეალურ სინამდვილეს ასახავს. კერძოდ, 2002 წელს აფხაზეთში 180 ათასი კაცი ცხოვრობდა, ხოლო ცხინვალის რეგიონში – 50 ათასი კაცი. ამ მონაცემების გათვალისწინებით მთლიანად საქართველოს მოსახლეობამ 4 601 534 კაცი შეადგინა. ნაცვლად 5 400 841 კაცისა 1989 წელს. ამრიგად, საქართველოს მოსახლეობა 12 წლის განმავლობაში 799 307 კაციით შემცირდა. სათანადო გაანგარიშების საფუძველზე ამ პერიოდში საქართველო დატოვა და სხვა ქვეყნებში მუდმივ საცხოვრებლად გადავიდა დაახლოებით 977 ათასი კაცი, ანუ თითქმის ყოველი მეხუთე მცხოვრები.

რეგიონების მიხედვით მოსახლეობის კლება ყველაზე მეტად ქვემო ქართლის მხარეში აღინიშნა (18,2 პროცენტით), ხოლო ყველაზე ნაკლებად – შიდა ქართლის მხარეში (2,4 პროცენტით). იძულებით ნაცვალ პირთა ჩასახლების შედეგად მოსახლეობის რაოდენობა მხოლოდ სამეგრელოსა და ზემო სვანეთის მხარეში (9,7 პროცენტით) გაიზარდა. როგორც წინა აღწერის, ისე 2002 წლის აღწერის დროსაც, თბილისის შემდეგ ყველაზე მეტი ადამიანი იმერეთის რეგიონში ცხოვრობდა (700 ათასი), 203 ადამიანით მეტი, ვიდრე ამ მაჩვენებლის მიხედვით მესამე ადგილზე მყოფ ქვემო ქართლის რეგიონში.

აღწერებს შორის პერიოდში მნიშვნელოვნად – 707 ათა-

სი კაცით შემცირდა ქალაქის მოსახლეობა (23,6 პროცენტით), სოფლის მოსახლეობა – 323 ათასი კაცით (13,4 პროცენტით), ამის შედეგად შეიცვალა ქალაქისა და სოფლის მოსახლეობის თანაფარდობა. ქალაქის მოსახლეობის წილი 55,4 პროცენტიდან 52,3 პროცენტამდე შემცირდა, ხოლო სოფლის მოსახლეობისა 44,6 პროცენტიდან 47,7 პროცენტამდე გაიზარდა. აღსანიშნავია, რომ ქვეყნის ხუთი განსაკუთრებული მნიშვნელობის ქალაქიდან (თბილისი, ქუთაისი, რუსთავი, ბათუმი, ფოთი) მოსახლეობის კლება ყველა მათგანში აღინიშნა, მათ შორის ყველაზე დიდი რაოდენობით – ქალაქ რუსთავში (26,8 პროცენტით), ხოლო ყველაზე ნაკლები – ქ. ფოთში (6,9 პროცენტით). ქვეყნის იურისდიქციაში მყოფი 65 რეგიონიდან აღწერებს შორის პერიოდში (1989-2002 წწ.) მოსახლეობა მხოლოდ 11 რაიონში გაიზარდა (აბაშა, ბაღდათი, ზესტაფონი, ზუგდიდი, თერჯოლა, მცხეთა, საჩხერე, წალენჯიხა, წყალტუბო, ხელვაჩაური, ხობი). ამასთან, 65 რაიონიდან სოფლის მოსახლეობა 25 რაიონში გაიზარდა, ხოლო ქალაქის მოსახლეობა – მხოლოდ 8 რაიონში.

უაღრესად განსხვავებული მაჩვენებლით ხასიათდება მოსახლეობის სიმჭიდროვე რაიონების მიხედვით. კონტროლირებად ტერიტორიაზე ერთ კვადრატულ კილომეტრზე საშუალოდ 72,8 კაცი ცხოვრობს, აჭარაში ეს მაჩვენებელი ყველაზე მაღალია – 129,7, ხოლო რაჭა-ლეჩხუმსა და ქვემო სვანეთში ყველაზე დაბალი – 10,3. ბათუმში მოსახლეობის სიმჭიდროვე 7 294 კაცს, ხოლო თბილისში 4 426 კაცს უდრის. რაიონებს შორის ეს მაჩვენებელი ყველაზე მაღალია ზუგდიდის (347) ყველაზე დაბალი – ყაზბეგისა (4,9) და ონის (5,4) რაიონებში.

არსებითი ცელილებები მოხდა ქვეყნის მოსახლეობის ეროვნულ შემადგენლობაში. 2002 წელს ქართველების რაოდენობამ კონტროლირებად ტერიტორიაზე 3 661 173 კაცი შეადგინა, ნაცვლად 3 538 909 კაცისა 1989 წელს. ამდენად ქართველების რაოდენობა აღწერებს შორის პერიოდში 122 264 კაცით გაიზარდა, რაც მნიშვნელოვანწილად გამოიწვია აფხაზეთიდან და ცხინვალის რეგიონიდან განდევნილი მოსახლეობის კონტროლირებად ტერიტორიაზე საცხოვრებლად გადმოსელამ. ამ მოვლენამ და ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლების

ინტენსიურმა მიგრაციამ საზღვარგარეთის ქვეყენებში განაპირობა ის, რომ ქართველთა წილი მთელ მოსახლეობაში ამაღლდა და მან კონტროლირებად ტერიტორიაზე 83,8 პროცენტი შეადგინა. მთლიანად საქართველოში 2002 წელს როგორც კონტროლირებად, ისე არაკონტროლირებად ტერიტორიაზე, 3 724 173 ქართველი ცხოვრობდა და მათი რიცხვი 1989 წელთან შედარებით 63 220 კაცით შემცირდა. ამ პერიოდში, თუ გავითვალისწინებთ ქართველთა ბუნებრივ მატებას, საზღვარგარეთ სულ 280 ათასი ქართველი წავიდა საცხოვრებლად.

ამ საკითხთან დაკავშირებით ისიც უნდა ითქვას, რომ რუსი პოლიტიკოსები ხშირად წინასწარგანზრახულად, განგებ ამახინჯებენ რუსეთში მცხოვრები ქართველების რაოდენობას და აღნიშნავენ, რომ რუსეთში ერთი მილიონი ქართველი ცხოვრობს და ისინი ჩვენს ხარჯზე ინახავენ თავიანთ ოჯახებს საქართველოშიო. რომ არაფერი ეთქვათ საქართველოს მოსახლეობის აღწერის მონაცემებზე, რუსეთის მოსახლეობის აღწერა, რომელიც 2002 წლის ოქტომბერში ჩატარდა, გვიჩვენებს, რომ რუსეთში 198 ათასი ქართველი ცხოვრობს და 1989 წელთან შედარებით მათი რაოდენობა მხოლოდ 67 ათასი კაცით გაიზარდა (Основные итоги Всероссийской переписи населения 2002 года, М., с. 13). ეს ზრდა უმნიშვნელოა ყოფილი საბჭოთა კავშირის სხვა ძირითადი ეროვნებების ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით. მაგალითად, რუსეთის იმავე 2002 წლის აღწერით, რუსეთში 1 130 ათასი სომეხი და 621 ათასი აზერბაიჯანელი ცხოვრობდა, მაშინ როდესაც მათი რაოდენობა 1989 წელს შესაბამისად 532 ათასსა და 356 ათას კაცს უდრიდა. მიუხედავად ამისა, რუსი პოლიტიკოსები, თავიანთი იმპერიული მიზნებიდან გამომდინარე, აქცენტს მხოლოდ ქართველებზე აკეთებენ. მართალია, ქართველების გარკვეული რაოდენობა ცხოვრობს რუსეთში და ისინი მატერიალურ დახმარებას უწევენ თავიანთ ოჯახებს საქართველოში. მაგრამ ქართველები რუსეთში ქმნიან მატერიალურ დოვლათს, იხდიან გადასახადებს და რუსეთის ბიუჯეტის შევსებაში თავიანთი მოკრძალებული წვლილიც შეაქვთ. ამასთან, როგორც საქართველოს მოსახლეობის 2002 წლის აღწერამ გვიჩვენა, საზღვარგარეთ მყოფთა მხოლოდ 41,1 პროცენტი უწევს დახ-

მარებას საქართველოში დარჩენილ ოჯახებს და 7 პროცენტი, პირიქით, ოჯახიდან იღებს დახმარებას. ასე რომ, არავითარი ასი ათასობით, მით უმეტეს, მილიონი ქართველი რუსეთში არ ცხოვრობს და, მაშასადამე, არც მუშაობს. საბჭოთა პერიოდში, ათეული წლების განმავლობაში, რუსეთში დაახლოებით 100 ათასი ქართველი ცხოვრობდა, ხოლო საქართველოში — თითქმის 400 ათასი რუსი, მაგრამ ამის შესახებ არც ერთ ქართველს არაფერი უთქვამს დასაყვედრი.

აფხაზების რაოდენობა საქართველოში განახევრდა. მათი რაოდენობა ამჟამად 45 518 კაცს შეადგენს. აქედან 42 ათასი აფხაზეთში ცხოვრობს, 9 — კოდორის ხეობაში, ხოლო დანარჩენი — საქართველოს სხვადასხვა რაიონში. თითქმის ათასამდე აფხაზი გამოექცა აფხაზი სეპარატისტების რეჟიმს და საქართველოს სხვადასხვა კუთხეს შეაფარა თავი. უკანასკნელ წლებში 52 ათასი აფხაზი წავიდა საცხოვრებლად საზღვარგარეთის ქვეყნებში, ძირითადად — რუსეთში.

ოსების რაოდენობაც საქართველოში განახევრდა. მათი რაოდენობა ამჟამად 84 728 კაცს შეადგენს. აქედან 46 ათასი ცხინვალის რეგიონში ცხოვრობს. აღწერებს შორის პერიოდში საქართველოში ოსების რაოდენობა 79 327 კაცით შემცირდა. 79 827 ოსი საზღვარგარეთის ქვეყნებში, უმთავრესად რუსეთში გადასახლდა.

რუსების რაოდენობა საქართველოში 241 101 კაცით შემცირდა და ამჟამად ჩვენს ქვეყანაში 100 071 რუსი ცხოვრობს (კონტროლირებად ტერიტორიაზე — 67 671 კაცი).

სომხების რაოდენობამ საქართველოში 281 229 კაცი შეადგინა (კონტროლირებად ტერიტორიაზე — 248 929 კაცი) და 1989 წელთან შედარებით მათი რიცხვი 155 922 კაცით შემცირდა. საზღვარგარეთის ქვეყნებში საცხოვრებლად 163 531 სომეხი გადასახლდა.

აზერბაიჯანელების რაოდენობამ საქართველოში 284 881 შეადგინა (კონტროლირებად ტერიტორიაზე — 284 761 კაცი) და მათმა რიცხვმა 1989 წელთან შედარებით უმნიშვნელოდ დაიკლო — 22 881 კაცით, მაგრამ საქართველოდან გასული აზერბაიჯანელების რაოდენობამ, მათი მაღალი ბუნებრივი მატების გამო, 62 845 კაცი შეადგინა. საქართველოში მნიშვნე-

ლოვნად შემცირდა, აგრეთვე ბერძნების (81 258 კაცით, 1989 წელს ცხოვრობდა 100 324 ბერძენი), უკრაინელების (41 574 კაცით, 1989 წელს ცხოვრობდა 52 443 უკრაინელი), ებრაელებისა (20 593 კაცით, 1989 წელს ცხოვრობდა – 24 795 ებრაელი) და სხვა ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლების რაოდენობა.

შეიცვალა მოსახლეობის სქესობრივი სტრუქტურაც. 1989-2002 წლებში ყოველ ათას მამაკაცზე ქალების რაოდენობა 1108-დან 1120-მდე გაიზარდა. ამასთან, თუ დაბალ ასაკობრივ ჯგუფებში მამაკაცები ჭარბობენ ქალებს, 20-24 წლის ასაკობრივი ჯგუფიდან უკვე ყველა ასაკობრივ ჯგუფში ქალები მეტნი არიან მამაკაცებზე. ასაკის მატებასთან ერთად „სუსტი სქესის“ წარმომადგენლების რაოდენობა „მამაკაცებთან შედარებით“ სულ უფრო იზრდება. მაგალითად, 75-79 წლის ასაკობრივ ჯგუფში 36 ათასი მამაკაცი და 69 ათასი ქალი აღირიცხა. საქართველოში კონტროლირებად ტერიტორიაზე სულ 248 ათასი ქალით მეტი ცხოვრობს, „ძლიერ სქესთან“ შედარებით.

1897 წელს რუსეთის იმპერიაში ჩატარებული მოსახლეობის აღწერის შემდეგ, პირველად დადგინდა საქართველოს მოსახლეობის კონფესიური (აღმსარებლობითი) სტრუქტურა. კონტროლირებად ტერიტორიაზე მოსახლეობის 88,6 პროცენტი (3 872 099 კაცი) ქრისტიანული მრწამსისაა, მათ შორის, 83,9 (3 666 233 კაცი) მართლმადიდებელია, 0,8 პროცენტი (34 737 კაცი) კათოლიკური, ხოლო 3,9 პროცენტი (171 139 კაცი) სომხურ-გრიგორიანული. მაჰმადიანური სარწმუნოების მატარებელია მოსახლეობის 9,9 პროცენტი (433 784 კაცი), ათეისტია მოსახლეობის – 0,6 პროცენტი (28 631 კაცი).

აღწერის შედეგების მეორე ტომი მთლიანად სოფლის მოსახლეობას ეძღვნება. კონტროლირებად ტერიტორიაზე 896 სასოფლო საკრებულო და 3668 სოფელია, რომელთაგან მოსახლეობა არ ცხოვრობს 162 სოფელში. სამწუხაროდ, იზრდება ნასოფლარების რაოდენობა. 1989 წელს 163 სოფელში არ ცხოვრობდა მოსახლეობა, აქედან 30 სოფელი აფხაზეთში, ხოლო 61 სოფელი ყოფილ სამხრეთ ოსეთის ოლქში მდებარეობდა. ესე იგი, არაკონტროლირებად ტერიტორიაზე 91 სოფელში

არ ცხოვრობდა სალსი, სოლო კონტროლირებად ტერიტორიაზე — 72 სოფელში. ამჟამად კონტროლირებად ტერიტორიაზე 162 ასეთი სოფელი აღირიცხა. მომავალში ასეთი სოფლების რაოდენობა კიდევ უფრო გაიზრდება, რადგან, როგორც აღწერამ გვიჩვენა, 74 სოფელში მხოლოდ 1-5 კაცი, 78 სოფელში მხოლოდ 6-10 კაცი, ხოლო 169 სოფელში 11-25 კაცი ცხოვრობს. როგორც ჩანს, ეს სოფლებიც მალე (თუ საგანგებო ზომები არ იქნა მიღებული) ნასოფლარების ბედს გაიზიარებენ.

1989 წელს საქართველოში 21 ხალხმრავალი სოფელი იყო, სადაც 5000 და მეტი აღამიანი ცხოვრობდა. ამ სოფლებიდან 19 სოფელი კონტროლირებად ტერიორიაზე მდებარეობს, ორი სოფელი — იუნარი და ბაბუშერა კი — აფხაზეთში. ამჟამად კონტროლირებად ტერიტორიაზე 28 ხალხმრავალი სოფელი დაფიქსირდა, ანუ 7 სოფლით მეტი წინა აღწერასთან შედარებით. ამ სოფლებიდან სიდიდით პირველ ადგილზეა მარნეულის რაიონში სოფელი სადახლო — 9 486 კაცი; შემდეგ მცხეთის რაიონში სოფელი დიღომი — 8 746 და თელავის რაიონში სოფელი ყარაჯალა — 8 270 კაცი. ამ უკანასკნელ სოფელში 1989 წელს 6 923 კაცი ცხოვრობდა და მათი რაოდენობა 12 წელიწადში 1 347 კაცით გაიზარდა. ყარაჯალა ერთადერთი სოფელია თელავის რაიონში, სადაც აზერბაიჯანელები ცხოვრობენ.

ამჟამად 3 050 სოფელში, ანუ დასახლებული სოფლების 87,0 პროცენტში, ჭარბობს ქართველი მოსახლეობა; 171 სოფელში — აზერბაიჯანელი მოსახლეობა; 139 სოფელში — სომეხი; 103 სოფელში — ოსი; 26 სოფელში — ბერძენი; 8 სოფელში — ქისტი; 4 სოფელში — რუსი და ა.შ.

აღწერის შედეგების მესამე ტომის პირველი ნაწილი მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობას, ხოლო მეორე ნაწილი მიგრაციის პროცესებს ასასიათებს. მოსახლეობის უმრავლესობას — 86,6 პროცენტს არსებობის საშუალებათა ერთი წყარო აქვს, 12,7 პროცენტს — ორი და ერთ პროცენტზე ნაკლებს — სამი და მეტი. 15 წლისა და უფროსი ასაკის მოსახლეობის 37,8 პროცენტისთვის არსებობის საშუალებათა ძირითადი წყაროა დასაქმება. ეს მაჩვენებელი 1989 წელს 64,8 პროცენტს უდრიდა. ამავე ასაკის მოსახლეობის 42,8 პროცენტი ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობაა, რომლის 88,3 პრო-

ცენტი დასაქმებულია. რაც შეეხება ეკონომიკურად არააქტიურ მოსახლეობას (57,2 პროცენტი), მათი 80,8 პროცენტი სხვა პირთა კმაყოფაზე იმყოფება.

აღწერის მონაცემების თანახმად, კონტროლირებად ტერიტორიაზე 619 066 უმუშევარი დაფიქსირდა, როშელთაგან მესამედს – 32,7 პროცენტს უმაღლესი და დაუმთავრებელი უმაღლესი განათლება აქვს. განსაკუთრებით მაღალია ეს მაჩვენებელი თბილისში – 45,5 პროცენტი. უმაღლესი განათლების მქონე 175553 უმუშევარს შორის 740 მეცნიერებათა კანდიდატია, ხოლო 82 – მეცნიერებათა დოქტორი.

სამწუხაროდ, ეკონომიკის განვითარების შესაძლებლობები არ იძლევა კვალიფიციურ სპეციალისტთა დიდი ნაწილის გამოყენების საშუალებას. უმუშევართა 75,5 პროცენტი ქალაქად ცხოვრობს, რაც კიდევ უფრო გაუსაძლისს ხდის მათ საარსებო პირობებს. უმუშევართა 44,7 პროცენტი მამაკაცია. ამასთან, შრომისუნარიანი ასაკისაა უმუშევართა 97,1 პროცენტი. ეკონომიკური და დემოგრაფიული თვალსაზრისით, უმუშევართა 40,6 პროცენტი ყველაზე პროდუქტიულ – 16-29 წლის ასაკში იმყოფება. უმუშევართა საკმაოდ დიდ ნაწილს (რომელთაც ადრე ჰქონდათ სამუშაო), დიდი ხანია არ უმუშავია. მაგალითად, 1990 წლის შემდეგ, 11 წლის განმავლობაში. ამ კატეგორიის უმუშევართა 22,4 პროცენტს არასოდეს უმუშავია. რომ არაფერი ვთქვათ ამ ადამიანების ეკონომიკური და ფსიქიკური მდგომარეობის უაღრესად გაუარესებაზე, დევალვაციას განიცდის მათი კვალიფიკაცია, სამუდამოდ ეწურებათ მათ სამუშაოზე მოწყობის იმედი და მთელი ცხოვრება ისინი სხვისი ხელის შემყურენი უნდა დარჩნენ.

როგორც აღწერის მონაცემები გვიჩვენებს, აღწერებს შორის პერიოდში მნიშვნელოვნად გაძლიერდა მიგრაციული პროცესების ინტენსივობა. ქვეყნის ფარგლებში გადააადგილებულთა რაოდენობამ 1169,9 ათასი კაცი შეადგინა. დაბადებიდან მუდმივი საცხოვრებელი ადგილი კი 1262,6 ათასმა კაცმა შეცვალა, რაც ქვეყნის მოსახლეობის 28,9 პროცენტს უდრის. ამავე დროს, აღწერამ დააფიქსირა 161 802 იძულებით ადგილნაცვალი პირი, რომელთაგან 55 პროცენტი ქალია, 45 პროცენტი კი – მამაკაცი. მათი 73 პროცენტი საქალაქო დასახლებებში ცხოვრობს. ადგილნაცვალ პირთა ძირითადი უმრავლესი-

ბა – 98,9 პროცენტი ქართველია, რომელთა საშუალო ასაკი 37,6 წელია.

საქართველოდან მიგრირებულთა 78,4 პროცენტი საგზვარგარეთ ძირითადად ეკონომიკური პირობების გასაუმჯობესებლად წაიყვა. წასულთა შორის 81 პროცენტი შრომისუნარიან ასაკშია. როგორც მოსალოდნელი იყო, საქართველოდან მიგრირებულთა უმრავლესობა თავისუფლად ფლობს რუსულ ენას (58 პროცენტი); ინგლისური იცის 3 პროცენტმა; ბერძნული – 2,9; გერმანული – 1,7; ფრანგული კი – მხოლოდ 0,4 პროცენტმა. ემიგრირებულთა 70 პროცენტი აპირებს უახლოეს წლებში სამშობლოში დაბრუნებას, 27, 8 პროცენტს კი დაბრუნების სურვილი არა აქვს.

აღწერის შედეგების მეოთხე ტომში განხილულია შინამეურნეობრივი და საბინაო პირობების საკითხები. 2002 წლის აღწერის მონაცემებით, 1 243 158 შინამეურნეობა დაფიქსირდა. შინამეურნეობების (ოჯახების) წევრთა რიცხოვნობამ ქვეყანაში 4 345 686 კაცი შეადგინა, რაც ქვეყნის მოსახლეობის 99,4 პროცენტს უდრის. მოსახლეობის უმნიშვნელო ნაწილი (0,6 პროცენტი) კოლექტიურ შინამეურნეობებში ცხოვრობს. შინამეურნეობების (ოჯახების) საშუალო სიდიდე 3,5 კაცს შეადგენს, მაშინ როდესაც ეს მაჩვენებელი 1970 წელს 3,9 კაცს უდრიდა.

მოსახლეობის აღწერა მეტად შრომატევადი სამუშაოა, ამიტომ აღწერის ჩატარებისთვის მზადება ყველა ქვეყანაში 6-7 წლით ადრე იწყება, ზოგიერთ ქვეყანაში კი აღწერის დამთავრებისთანავე იწყებენ მზადებას მოსახლეობის მომავალი აღწერისთვის. ამიტომ შემთხვევითი არ არის, რომ 2004 წლის ნოემბერში ჟენევაში ტარდება სხვადასხვა ქვეყნის სტატისტიკის სამსახურების წარმომადგენელთა შეხვედრა, სადაც მსოფლიოს ყველა ქვეყანა 2010 წლისთვის მოსახლეობის აღწერის ჩატარების საკითხსაც განიხილავენ. ამიტომ საჭიროა, დროულად, რაც შეიძლება მალე იქნეს მიღებული შესაბამისი საკანონმდებლო აქტი, რათა წლეულსვე დაიწყოთ მზადება 2010 წლის მოსახლეობის აღწერის ჩატარებისთვის.

**იხ. გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“,**
**№ 207, 7.09.2004.**

# 5. „Земля ощущает руку хозяина"

## Субботный гость

***Лео Чикава, президент Академии экономических наук и директор Института демографии и социологических исследований АН Грузии, с удовольствием принял приглашение побывать в редакции газеты „Вечерний Тбилиси", рассказать о незабываемом дне 9 апреля 1991 года. На состоявшемся в этот день Чрезвычайном заседании первой сессии Верховного Совета Республики Грузия, на котором Л. Чикава был делегирован коммунистами, ему было предоставлено почетное право поставить свою подпись под документом, однозначно констатировавшим желание грузинского народа восстановить государственную независимость страны.***

**- Это было одиннадцать лет назад, и, возможно, уже несколько стерлись в памяти детали того исторического Чрезычайного заседания.**

- Все лишнее куда-то ушло, пропало, но осталось незабываемое чувство причастности к очень большому государственному событию, имевшему историческое значение, и радость общности понимания того, что происходило со всеми, кто присутствовал на этом заседании. Такое не забывается. Хочу сказать, если вы внимательно изучали подписи, то на Акте расписались два Чикава.

**- Один – вы, батоно Лео, а кто второй?**

- Мой двоюродный брат Георгий.

**- Тоже коммунист?**

- Нет, он был сторонником Гамсахурдиа. Ныне живет в Германии и давно уже не приезжал на родину.

**- Вы оказались о разным сторонам баррикады?**

- Такого серьезного противостояния не было, каждый из нас уважал взгляды другого. Там, в зале, в тот волнующий день, мы были единомышленниками, оба желали признания независимости Грузии.

**- Вы – доктор экономических наук, а потому лучше политиков знаете, что одно дело – декларировать независимость, другое – создать для нее ральную экономическую базу.**

- Это задача не из легких, о чем я не раз говорил со многими представителями партии промышленников. Кстати, считаю, что их лозунг правильнее бы звучал так: „Предпринимательство спасет Грузию". Для этого необходимы революционные изменения в экономике: либерализация налоговой системы, ужесточение контроля над денежно-кредитной сферой...

**- Знаете, я с лупой изучала подписи, поставленные на Акте от 26 мая 1918 года, и там тоже встретила фамилию Чикава ...**

- Ее поставил двоюродный брат моего отца – Александр Чикава. К сожалению, я его не знал – в 1924 году его расстрелили...

**- Фамилия у вас редкая.**

- Настолько, что знаю точно: на сегодняшний день нас, всех Чикава, - 260 человек. Кто-то живет в Зугдидском районе, кто-то в Тбилиси. Мой внук Давид – в Москве, учится, скажу с гордостью - „БЗ отличноЭ в одном из самых серьезных и престижных вузов – Московском физико-техническом.

**- Не изменяет семейным традициям?**

- В части учебы – нет. Очевидно, так повелось от отца моего Лаврентия Чикава – педагога русского языка и литературы с сорокалетним стажем работы в скромной сельской школе. Он очень серьезно готовился к каждому уроку, и от нас, детей, требовал того же.

**- Вы столь же требовательны?**

- Не очень, но и дети, а их у меня двое (Медико – врач и сын Георгий - экономист), учились хорошо. По стопам родителей, судя по всему, идет и мой любимец, семилетний Лео Чикава – младший, сын моего Георгия.

**- У вас, экономиста, специалиста в области демографии – двое детей, а сколько было у родителей, не знакомых с этой наукой?**

- Четверо – две дочери и два сына, тогда так и полагалось.

**- Всех водили за руку на музыку, обучали языкам, танцам?**

- Смеетесь! Главной заботой было накормить и одеть, хотя мы жили, по тогдашним меркам, безбедно. И все же ни еды не хватало, ни одежды. Помню, свой первый пиджак я получил в подарок

от брата в тот самый день, когда сдавал первый вступительный экзамен на экономический факультет Тбилисского государственного университета.

**- Купили на свои скромные денги родители?**

- Нет. Именно в тот самый день, когда мне надо было идти на экзамен, вдруг неожиданная радость: вернулся с фронта мой старший брат Сосо. С боями дошел до самой Вены, был награжден высокими правительственными наградами. Приехал с подарками. Мне достался пиджак.

Несмотря на августовкую жару, именно в нем я пошел на экзамен. Бережно сложил его на парте, когда готовился отвечать по билету... Экзаменатор (фамилию не помню) бросил заинтересованный взгляд на мою обновку: хорошая, мол, вещь! И, правда, пиджак был хорош – пять лет учебы ходил в нем франтом...

**- Как решаются у нас демографические вопросы?**

- Плохо: настал период так называемой депопуляции, это когда смертность превышает рождаемость. Причины этого явления лежат, разумеется, в области социологии.

**- Все объясняет наша бедность?**

- И да, и нет. Скажем, повышение процента смертности, разумеется, происходит именно по этой причине.

**- Нет денег на лечение?**

- Вот именно, люди не проходят профилактических осмотров, при которых выявляются первые признаки заболевания, обращаются к врачам, когда дело выходит за грани возможностей медицины.

**- Телегу запрягли впереди лошади: сперва сделали медицину платной, даже для тех, у кого нет денег на хлеб, а потом стали создавать страховую медицину... Но, батоно Лео, вы говорили еще об одном аспекте, из-за которого детей в семьях – раз, в лучшем случае два и... обчелся.**

- Это желание родителей дать детям всестороннее образование. Одной школы теперь мало, дети посещают и различные дополнительные занятия.

**- Но и раньше ведь ходили – вон сколько, во Дворце пионеров было кружков!**

- Они были бесплатными! А теперь за все надо платить. Вот родители и думают: пусть будет в семье один, максимум два ребенка, но все образованные, со знанием иностранных языков, компьютера. Многие эмигрировали в страны, где есть возможность заработать, чтобы дать детям приличное образование.

**- Уже подведены итоги переписи населения?**

- Окончательных данных еще нет, но более миллиона людей уехало из Грузии, оставив свои дома, родных...

**- Это в основном тбилисцы или жители других регионов?**

- Всех регионов. Беда не только в том, что люди уезжают из своей страны, но и в том, что переезжают из сельской местности в города, оставляют дома, бросают сады, виноградники. Взять хотя-бы Рачу, этот поистине благодатный край! В ином селе только и осталось два-три старика...

**- Вот бы построить там туристические центры, приглашать в гости любителей путешествий. Уверена: кто хоть раз побывал в Раче, попробовал местную „хванчкару", наверняка захочет вернуться туда еще.**

- Разве только в Рачу? Я сам – родом из небольшого села Коки, что в Зугдидском районе. Знаете, как там красиво! За свою жизнь я немало повидал, но, поверьте, именно там душа отдыхает! Родителей нет уже в живых, но мы с братом и сестрой не продали дом, не бросили его на произвол судьбы, и хоть раз в году, но обязательно бываем там. А чтобы очаг не погас, земля не скучала – она ведь чутко ощущает руку хозяина, - мы предоставили дом беженцам из Сухуми. Теперь встречаемся с ними, как с родственниками, и обязательно привозим домой орехи из своего сада.

**- Ну какой мингрельский обед без орехов, чеснока и зелени! Праздник 26 мая - он отмечается в вашей семье?**

- Обязательно, даже Лео-младший уже знает, что в этот день Грузия вновь обрела независимость.

Беседу вела
**Елена Орагвелидзе**
газ. **„Вечерний Тбилиси"**, 25-27 мая 2002 года.

# 6. Что нам угрожает

***Демографические проблемы в стране, как показала последняя перепись населения, приобретают все более острый характер. О том, как преодолеть серьезные кризисные последствия в этой сфере и что конкретно необходимо предпринять, беседа корреспондентов „СГ" с ученым-экономистом, членом-корреспондентом Академии наук Грузии, заслуженным деятелем науки Лео Чикава.***

**- Во многих странах мира демографические проблемы выдвинулись на передний план. Не обошел этот процесс и Грузию...**

- Как ни горько говорить, однако факт – Грузия принадлежит к той категории стран мира, которым в перспективе угрожает опасность перерождения генофонда. Об этом красноречиво свидетельствует сложившаяся тенденция воспроизводства населения. Она, особенно в последние годы, приняла характер острейшего демографического кризиса. Налицо резкое падение показателя рождаемости, существенный рост смертности (особенно младенческой) и, как логический результат всего этого, ежегодное превышение количества умерших над количеством родившихся. На демографическом языке этот процесс называется депопуляцией, то есть откровенной тенденций угрозы исчезновения этноса.

- Для иллюстрации сказанного достаточно бросить взгляд на динамику рождаемости. В Грузии во второй половине XIX века средний уровень рождаемости на 1 тыс. человек составлял от 35 до 40 детей, в 1913 году – уже 28, в 1960 – 25.7, а в 2000 году – 8.9. По уровню рождаемости более худший показатель, чем у Грузии, в мире имеют лишь пять стран – Россия, Украина, Эстония, Литва и Болгария. По данным Всемирного бюро населения за 2003 год, самый низкий коэффициент рождаемости (1.1) зафиксирован в Украине и Грузии.

В общей сложности в 1960 году в Грузии родилось 102.8

тысячи человек, а в 2001 году лишь 40 тысяч, несмотря на то, что тогда население страны было на один миллион человек больше, чем в начале XXI века.

Примечательно, что уже в конце 80-х годов прошлого века количество реально ожидаемых детей в семье не могло обеспечить расширенное воспроизводство населения. Сегодня же, к великому сожалению, не обеспечивается не то что расширенное воспроизводство, но и простое. Очевидно, на уровне семьи происходит своеобразное обесценивание потребности в детях.

Настораживает и то, что в Грузии весьма велик удельный вес как тех, кто никогда не состоял в браке, так и поздно вступивших в брак. К примеру, по данным последних лет века минувшего, ни один раз не вступали в брак до 25 процентов населения страны фертильного возраста. Причем этот показатель имеет устойчивую тенденцию роста.

Понятно, что высокий уровень не вступающих в брак холостяков и вдовствующих, а также тенденция увеличения этой категории лиц отрицательно сказываются как на показателе рождаемости, так и на других факторах воспроизведства населения.

В результате естественный прирост населения в расчете на каждую тысячу человек неуклонно снижается. Так, в 1960 году он составлял 18.2, в 1990 году – 8.6, в 1995 – 3.8, а уже с 2000 года вместо прироста имеет место снижение количества населения. Для сравнения уточним, что в мире, по данным 2002 года, в среднем на каждую тысячу человек населения прирост составлял 13, а в развивающихся странах – 16. В том числе в Африке – 14, Латинской Америке – 15, в Азии – 13.

Таким образом, депопуляция имеет место, кроме Грузии, в 13 странах мира: в Италии, Германии, Греции, Словении, Болгарии, Румынии, России, Украине, Литве, Латвии, Эстонии, Белоруссии и Молдавии.

**- Как обстоят дела в регионах Грузии?**

- Депопуляция отмечается в настоящее время практически во всех регионах. Исключение составляют Аджария, Квемо Картли и Самцхе-Джавахети.Общий коэффициент естественного сниже-

ния населения в 2000 году в общем по Грузии составлял 0.2, в том числе: в Рача-Лечхуми и Квемо Сванети – 3.9, Кахети – 3.7, Гурии – 2.7, Имерети – 1.4, Самегрело-Земо Сванети – 1.3, Шида Картли – 0.5, Тбилиси и Мцхета-Мтианети – 0.3. А вот коэффициент естественного прироста населения выглядит так: Самцхе-Джавахети – 0.6, Квемо Картли – 1.9, Аджария - 5.6.

Неблагополучное положение еще более проявляется в национальном плане, поскольку общий коэффициент естественного прироста грузин значительно отстает от среднего показателя в целом в стране. Это обстоятельство вызвано тем, что у представителей ряда других этносов детей рождается больше, чем у грузин. Так, по оценочным расчетам сотрудников Института демографии и социологических исследований, в Грузии показатель естественного прироста азербайджанцев превышает соответствующий показатель грузин в 17 раз, а курдов – в 19.7 раза.

Процесс воспроизводства населения страны в национальном разрезе отличают столь контрастные показатели как по причине ряда субъективных факторов, так и благодаря различным уровням внутрисемейного регулирования рождаемости детей.

Однако на обострение демографической ситуации указывает и резкое сокращение количества лиц, вступающих в брак. В расчете на каждую тысячу человек в 1960 году этот показатель равнялся 10.6, в 1980 – 10.0, а в 2002 году – лишь 2.9. Подобная статистика, естественно, полного доверия не заслуживает по той причине, что в последний период свадебный обряд не столь уж редко завершается церковным венчанием и юридически не регистрируется. Тем не менее эта тенденция, несомненно, наблюдается и также относится к факторам, обостряющим демографические кризисные явления.

На нынешнем этапе проявляется еще одна негативная тенденция: систематическое увеличение удельного веса детей, рожденных вне зарегистрированного брака. Если в 1980 году в Грузии этот показатель не превышала 4.7 процента. в 1990 году – 18.2 процента, то уже в 2002 г. он составил 45.9 процента. Получается, что в настоящее время почти каждый второй ребе-

нок рождается вне зарегистрированного брака.

**- Какие последствия можно прогнозировать?**

- В первую очередь - столь же негативные социально-экономические результаты. А вместе с тем, хотя и в перспективе, опасность перерождения национального генофонда. Согласно данным функционирующего в Нью-Йорке специального демографического бюро, население Грузии ожидает следующая динамика: 2000 год – 4.4 миллиона, 2025 год – 3.6, 2050 год – 2.5 миллиона. Таким образом, через 50 лет по сравнению с 2000 годом население Грузии сократится на 1.9 миллиона человек, а по сравнению с 1989 годом – на 2.9 миллиона. Добавим, что столь масштабное сокращение населения не предсказывается ни в одной стране, кроме Грузии.

Не вызывает сомнения, что подобная демографическая тенденция и перекосы должны стать предметом самого серьезного государственного подхода и регулирования...

**- С вашей точки зрения, это имеет место сейчас?**

- К сожалению, пока что нет. Вместе с тем я далек от мысли, что только правильная демографическая политика, какой масштабной и активной она бы ни была, не решит кардинальным образом всех проблем и не изменит демографические тенденции в лучшую сторону. Однако, своевременные действия, а также использование полноценного механизма управления в состоянии не только приостановить углубление кризисных явлений, но и обеспечить определенный успех. Это подтверждает действия ряда государств, сумевших выбрать верную стратегию и тактику.

Нынешняя наша система поддержки многодетных матерей и семей представляется неполноценной по всем статьям. необходим совершенно иной подход и финансирование всей этой работы. Всего в короткой беседе не затронешь. Но об источниках финансироания следует сказать подробнее. С нашей точки зрения, в первую очередь, целесообразно непременное создание Фонда демографического развития, источниками финансирования которого могут стать средства государственных и местных бюджетов. С этой целью, если из доходов Центрального бюджета

будет выделен хотя бы один процент средств – в условиях миллиардного бюджета - это составит в год десять миллионов лари. Сумма весьма солидная для начального этапа самых серьезных дел. Также может стать источником финансирования и налог за бездетность для населения старше 25 лет в размере одного процента зарплаты. Но в случае, если их зарплата превышает прожиточный минимум среднего потребителя.

Можно применить и другие схемы налогообложения в пользу оздоровления демографической ситуации. Было бы, как говорится, только желание и соотвестствующая административная воля.

Нынешнее положение вещей в области демографии, переплетающееся с экономическим положением общества, настоятельно диктует новым властям безотлагательно принять самые действенные меры.

**Марика Каландадзе**
**Юрий Гвиндадзе**
газ. **„Свободная Грузия“**, 23.03.2004.

# 7. Белые пятна экономики

***На вопросы корреспондента „СГ" отвечает директор Института демографии и социологических исследований, член корреспондент Академии наук Грузии Лео Чикава.***

**- Сегодняшнее экономическое положение страны, по общему мнению, является критическим. Не удалось пока предпринять решительные меры и новым властям. Что вы можете добавить к этой оценке?**

- Действительно, наша экономика сегодня находится в весьма плачевном положении. Правда и то, что по-прежнему отсуствуют ощутимые приметы ее возрождения. Так что необходимость проведения неординарных мер все еще крайне велика.

Любой здравомыслящий человек, как представляется, на этом фоне не может не приветствовать радикальные изменения - „революцию роз", перестановки в правительстве, при том, что все это осуществлялось мирным и максимально безболезненным путем.

Необходимость коренных преобразований в общественно-политической, как и в экономической жизни, у нас ощутилась давно. Однако предпринятые шаги как бы освободили всего одну нишу для благоприятных перемен, оставив пока в прежнем виде сферу хозяйственных отношений и сопутствующую им систему. Между тем суть всяких революционных новшеств оценивается не только методами трансформационных преломлений, но и тем, что следует за ними, каковы сопутствующие результаты, в том числе и экономические. Именно с этой точки зрения, надо полагать, и должны быть оценены наши преобразования - без окончательных общих выводов относительно пройденного пути, которые преждевременны.

Вместе с тем самым большим упущением этого периода, с моей точки зрения, следует считать то, что до последнего времени не определен общий экономический курс – какую экономическую

систему строит страна, куда идет и т. д. Может, и впрямь, как считают некоторые, у нас восстанавливается капитализм образца дооктябрьской революции, или это система отношений, задействованная в странах с развитым капитализмом в послевоенный период? Все это разговоры, по сути, настолько несерьезны, что разбираться в них нет необходимости. Отметим в этой связи лишь одно. Даже наиболее развитое в экономическом отношении государство – США – ставит целью не повсеместное тиражирование „вчерашнего" капитализма, а построение более совершенной экономической формации с приоритетами общественных интересов. Так что нашей определяющей задачей, с любых разумных точек зрения, должно стать всемерное содействие строительству современной социально ориентированной рыночной экономики. О чем у нас достаточно громко любят говорить на всех уровнях. Однако, разговоры эти настолько общие и беспредметные, что без иллюстрации конкретно-задействованных положительных примеров, по сути, теряют правдоподобность. Между тем общепринятые мировые модели рыночной экономики имеют множество индивидуальных особенностей и аспектов. Так, американскую модель не спутаешь с японской, а японскую – с германской. Все они определяющим образом ориентируются на свои исторические корни, национальную и социальную специфику. Именно этого не хватает, как представляется, рыночной экономике грузинского образца, усвоившей лишь внешние, лежащие на поверхности свойства системы этих отношений. Исходя из этого, понятно, что и в Грузии должна быть определена собственная, отечественная модель рыночной экономики. Ей надлежит учитывать специфические особенности страны, предыдущий и настоящий уровень развития экономики, ее потенциальные возможности, обычаи и традиции, геополитическое положение, соотношение отраслевых структур и т. д. Все это должно в конечном итоге найти отражение в национальной политике социально-экономического развития страны.

**- Кто должен непосредственно заниматься этим, и есть ли другие факторы, тормозящие естественный процесс становления рыночной экономики в стране?**

- Начинать следует с организации разработки определенных тем и направлений, как отдельными учеными, так и научно-исследовательскими институтами под патронажем государственных структур. Необходимо как можно оперативнее определиться с „теоретической" частью и сразу же приступить к практическому осуществлению единой программы, о которой говорилось выше. К сожалению, пока что подобный сценарий развития отношений еще никем не предлагался. И это недопустимо, поскольку отвественность на бездеятельность и дискредитацию рыночных отношений фактически никто не несет, а критика в связи с этим, соответственно, продолжает оставаться безадресной.

- На пути развития нашей рыночной экономики достаточно много других тормозящих факторов. Это и крайне сложное как внутреннее, так и внешнее положение страны, неупорядоченные отношения с аджарским регионом... Однако, несмотря на это, следует в любых случаях и при любых обстоятельствах в параллельном режиме заниматься и экономическими вопросами, производством и аграрным сектором. Так как достаточно сложно нагнать упущенное время, да и накопившихся проблем в одночасье не решить. А без всего этого не обеспечить соответствующих благоприятных социальных перемен и выхода из критической общерственно-политигеской ситуации.

Современному обществу необходимо осознать и следующее крайне важное обстоятельство. Поскольку мы живем в эпоху, когда приоритет во всех областях, в том числе и в экономике, отдается знаниям и практическим результатам, то и конкретные шаги должны быть направлены в сторону развития инновационных и постиндустриальных отношений. Это такая экономика, в которой стержневым, определяющим фактором развития приозводства являются именно образование и высокий уровень знаний, науки. В связи с этим мне как ученому с большим стажем представляется весьма неправомерным шаг по разрушению Академии наук Грузии и переходу ее в систему Министерства образования. Я не случайно употребил слово „разрушение", так как эта неоправданная, с моей точки зрения, новация может

самым печальным образом обернуься для нашей академической науки.

**- Что вы конкретно имеете в виду?**

- Дело в том, что когда у человека отсекают не руку или ногу, а голову, то весь организм прекращает свою жизнендея тельность. Боюсь, что то же самое может случиться и с нашей отечественной наукой. Разговор не о том, что отраслевое министерство не справится с этой и ему попросту не по плечу академические высоты. Напротив, в систему министерства пришло много новых, высококвалифицированных и способных людей. Дело в другом. В Министерство образования в настоящее время в общей сложности входит до 3200 школ, 1100 детских садов и яслей, до 1000 других учреждений просвещения, 200 высших учебных заведений. Таким образом, под крышей министерства почти 4500 самостоятельных единиц. Вот и спрашивается, окажутся ли в достаточной степени управляемыми и опекаемыми вместе с ними и все академические учреждения?

Сказанное вовсе не означает, что образование и, тем более, наука, не должны включаться в систему преобразований и реформирования. Ни в коем случае! Прогрессу нет альтернативы. Но вместе с тем демократия без границ и тормозов также не способствует оптимизации отношений. Что я имею в виду? Сегодня, к примеру говоря, институты и его сотрудники имеют право вносить в свои рабочие планы любую тему и разработку и заниматься ею до победного конца. Это, полагаю, неправильный подход, тем более в условиях ограниченного финансирования. В науке необходимо в полной мере задействование целевого финансирования. Это наиболее целесообразное направление и его следует всячески культивировать и поощрять. Но переход к нему – процесс достаточно длительный и этапообразный.

**- В нашей сегодняшней жизни много таких вопросов, которые требуют не только научного осмысления, но и скорейшего конкретного реагирования. Взять демографию и ваши выступления в связи с этой темой в печати...**

- Действительно, если верить прогнозным расчетам

Всемирного демографического бюро, то к 2050 году население Грузии уменьшится до 2,5 млн. человек. Ни в одной стране мира не предполагается столь существенное сокращение численности населения. Удивительнее всего, что мои выступления в печати в связи с демографическим состоянием нашего общества не вызывали никакой реакции ни у властей, ни у общественности. Притупленное внимание к этому вопросу, вероятно, имеет объективные причины. Однако понятно и то, что сегодня демографии не уделяется соотвествующее внимание. К чему это может привести, также известно достаточно хорошо. Увы, в мире не существует другой такой страны, как наша, которая практически не проявляла бы заинтересованности в увеличении собственного генофонда...

**- Тем более вы предлагаете конкретные пути обеспечения финансирования необходимых демографинеских программ?**

- Совершенно верно. Это повышение реализационных цен на вино-водочную продукцию, табачные изделия, горючее и т. д. на 2-3 тетри с целью обеспечения соответствующих демографических мероприятий денежными ресурсами. Надо полагать, уже на первом этапе подобный шаг выполнит свою оздоровительную функцию. Затем с развитием экономических отношений и новым подходом можно уже будет говорить об использовании более действенных инструментов моделирования отношений. Сейчас же важно, чтобы на самом высоком уровне всех структур власти была осознана необходимость проведения активной демографической политики в стране.

**- Мы, по утверждению многих авторитетных ученых, живем преимущественно в аграрной стране. А как считаете вы?**

- Я придерживаюсь следующего подхода: чтобы развивать сельское хозяйство, необходимо иметь развитую промышленность. А чтобы обе эти сферы были гармонично и эффективно представлены в хозяйственной жизни, начинать следует с приоритета знаний, науки. Так что определяющим фактором задействования экономического потенциала, по моему глубокому убеждению, является наука. Илья Чавчавадзе уделял этой теме исклю-

чительное внимание. Он любил приводить следующий пример. Если при совершении элементарной торговой операции путем перемещения товара за каждой стороной остается стоимостное выражение его объема, то при обмене знаниями количество „товара“ удваивается - он остается у того, кто его передал, и того, кто приобрел знания. При этом знания - такой товар, который не теряет своих свойств со временем и не портится. Они востребованы во всех государствах и при любых правительствах.

Наша страна также не должна оставаться исключением. Ликвидация белых пятен в экономике, производстве и в аграрной сфере должна начинаться с соответствующего научного обеспечения.

**Марика Каландадзе**
**Юрий Гвиндадзе**
об. газ. **„Свободная Грузия“**, 7.07.2004.

# 8. მეცნიერის მკათათვე

*გვესაუბრება ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, საქართველოს დემოგრაფიისა და სოციოლოგიური კვლევის ინსტიტუტის დირექტორი ლეო ჩიქავა.*

**– ბატონო ლეო, გილოცავთ ღირსების ორდენით დაჯილდოებას, წლების მანძილზე გაწეული შრომის დაფასებას. შეგიძლიათ პარალელის გავლება უმაღლეს სკოლამი დღევანდელ და თქვენი სწავლის პერიოდის მასწავლებლებსა და, აგრეთვე, იმდროინდელ და დღევანდელ ახალგაზრდებს შორის?**

– დიდი მადლობა ქვეყნის პრეზიდენტს ჩემი მოკრძალებული წვლილის ესოდენ დაფასებისთვის. რაც შეეხება ჩემს თაობას, ჩვენ წილად გვხვდა ბედნიერება ვყოფილიყავით მოწაფეები მეცნიერთა და საზოგადო მოღვაწეთა შესანიშნავი კოჰორტისა, დასავლეთ ევროპაში განსწავლული მეცნიერების, პროფესორების: ფილიპე გოგიჩაიშვილის, გიორგი გეხტმანის, კოტე ბაქრაძის, ნიკოლოზ ქოიავასი და სხვათა. მეამაყება ისიც, რომ 1968 წელს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სააქტო დარბაზში ჩემი სადოქტორო-საკვალიფიკაციო ნაშრომი საფუძვლიანად შეაფასეს ჩემმა სახელოვანმა მასწავლებლებმა, აკადემიკოსებმა: პაატა გუგუშვილმა, ირაკლი მიქელაძემ, ვასილ ჩანტლაძემ, ავთანდილ გუნიამ, პროფესორებმა: ნიკოლოზ იაშვილმა, პეტრე ეღენტმა, კოკი გაბუნიამ, გიორგი გველესიანმა, არჩილ გოკიელმა, სერგო ბერაძემ და სხვ., რის საფუძველზეც ერთხმად მომენიჭა ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხი.

ჩვენს მასწავლებლებს მეტად მძიმე დროში მოუხდათ ცხოვრება და მოღვაწეობა. თავიანთი უმადო ნიჭიერებისა და განსწავლულობის მიუხედავად, არ ჰქონდათ თავიანთი ნააზრევის

თავისუფლად გადმოცემისა და საზოგადოებისთვის მიწოდების უფლება. იგი არ უნდა გასცილებოდა მარქსისტულ-ლენინური მოძღვრების ჩარჩოებს. ამიტომაც ტრაფარეტული და ნაძალადევი იყო მათი მსჯელობა კერძო საკუთრების ყოველგვარი ბოროტების საფუძვლად აღიარების, კაპიტალისტური საბაზრო ეკონომიკის მანკიერების, გეგმიანი სოციალისტური მეურნეობის უეჭველი უპირატესობების, უახლოეს ხანში კომუნისტური საზოგადოების აშენებისა და სხვა ანალოგიურ პრობლემებზე. მაგრამ ასეთ მძიმე პირობებშიც ზოგიერთმა მათგანმა მაინც მოახერხა ისეთი ნაშრომების შექმნა, თაობიდან თაობას რომ გადაეცემა და საუკუნეებს გაუძლებს. ასეთია, აკადემიკოს პაატა გუგუშვილის მონოგრაფიების რვატომეული **„საქართველოსა და ამიერკავკასიის ეკონომიკური განვითარება XIX-XX საუკუნეებში“**; აკადემიკოს ვასილ ჩანტლაძის მონოგრაფია – **„ფინანსების ზოგადი თეორია“**, რომელიც რუსულიდან ჩინურ ენაზე ითარგმნა და პეკინში მილიონ ეგზემპლარად გამოიცა ისე, რომ ამის შესახებ ავტორმა არც კი იცოდა.

რაც შეეხება ჩემდროინდელ ახალგაზრდობას, იგი უფრო ზრდილი, მუყაითი, ბეჯითი, მიზანსწრაფული და უფრო პასუხისმგებლობის მქონე იყო. . .

**– ბატონო ლეო! კმაყოფილი თუ ბრძანდებით თქვენი მეცნიერული მოღვაწეობით?**

– უკან რომ მოვიხედავ და თვალს ვაევლებ ჩემს მიერ განვლილ 70-წლიან გზას არ მრცხვენია. დრო ნამდვილად არ გამიფლანგავს, მას ყოველთვის მიზანსწრაფულად ვიყენებდი.

ცხოვრების საკმაოდ რთული გზა გამოვიარე. მერვე კლასში ვიყავი, გადასული, როცა ომი დაიწყო, უფროსი ძმა ფრონტზე იბრძოდა, მამაჩემი ავადმყოფობდა, ამიტომ დღე სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებს ვასრულებდი, საღამოს (ლამპის შუქზე) ვსწავლობდი გაკვეთილებს, ვკითხულობდი მხატვრულ ლიტერატურას. ისტორიის მასწავლებელმა იმდენად დაგვაინტერესა, რომ **„კაპიტალისა“** და **„ანტი-დიურინგის“** წაკითხვაც სკოლის წლებში დავიწყე...

თბილისში სტუდენტობის ხანაც არ იყო დაღხენილი. მახსოვს ნავთის რიგში გატარებული ღამეები. ზუგდიდიდან სა-

სალსო მატარებლით არაერთხელ ჩამომიტანია ტომრებით შეშა. სტუდენტობის წლებშიც ჩავები მეცნიერულ მუშაობაში, ვიყავი სტუდენტთა სამეცნიერო წრის, შემდეგ კი ეკონომიკის ფაკულტეტის სტუდენტთა სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე. 1950 წელს ჯერ კიდევ უნივერსიტეტის დამთავრებამდე, გამოქვეყნდა ჩემი პირველი სამეცნიერო ნაშრომი (25 გვერდიანი სტატია), რომლითაც იხსნება უნივერსიტეტის სტუდენტთა სამეცნიერო შრომების კრებულის მე-5 ტომი. იქიდან მოყოლებული დღემდე ქართულ, რუსულ, ინგლისურ და ჩეხურ ენებზე გამოქვეყნებული მაქვს 120-ზე მეტი ნაშრომი, მათ შორის ცალკე წიგნად 17 მონოგრაფიული გამოკვლევა, სახელმძღვანელო და ბროშურა. ბუნებრივია, ცნობილ გარემოებათა გამო, მისი ერთი ნაწილი მოძველებულია და ახლებურ გააზრება-ინტერპრეტაციას საჭიროებს, მაგრამ მეორე — საკმაოდ მნიშვნელოვანი ნაწილი დღესაც პასუხობს დროის მოთხოვნებს.

**— როგორ გესახებათ საბაზრო ურთიერთობათა პრინციპებზე საქართველოს ეკონომიკის მომავალი?**

— ფრიად პერსპექტიულად. ამის დასტურია მთელი რიგი ქვეყნების მდიდარი გამოცდილება, რომლებმაც სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისა და მოსახლეობის ცხოვრების მაღალ დონეს მიაღწიეს. თანაც, საქართველო არც წარმოებრივი რესურსებით არის ღარიბი. პირიქით, ჩვენი ეკონომიკური პოტენციალის სრულად ამოქმედება-რეალიზაცია მნიშვნელოვნად დააჩქარებს რესპუბლიკის ციყილიზებული ქვეყნების რიგში ჩადგომას. ეს თავისთავად არ მოხდება. იგი მთლიანად ჩვენს ძალისხმევაზე იქნება დამოკიდებული.

ზოგიერთ ურწმუნო თომას, საბაზრო ეკონომიკა მახრჩობელა გველი ჰგონია და ფიქრობს, რომ აქ ადამიანი ადამიანისთვის მგელია და წყნარი, მშვიდი და ბედნიერი ცხოვრება არ შეიძლება. ეს ყალბი შეხედულებაა. საბაზრო ეკონომიკა, როცა თითოეული ჩვენგანი მისი „თამაშის წესების“ სრული დაცვით იმოქმედებს, ყველას მიუჩენს კუთვნილ ადგილს. ვინც ბაზრის კონიუნქტურას კარგად აუღებს ალღოს და გონივრულად მოირგებს საბაზრო ეკონომიკის უპირატესობებს, ის ლაღად იგრძნობს თავს. ხოლო ის, ვისაც ამისი ნიჭი და უნარი

არ აღმოაჩნდება, თავის მოკრძალებულ მდგომარეობას უნდა შეურიგდეს. ამასთან ერთად, საზოგადოება სასელმწიფო ორგანოების მეშვეობით იზრუნებს (და უნდა იზრუნოს კიდეც) სოციალურად დაუცველ პირთა (ბავშვები, ინვალიდები, ავადმყოფები, მოხუცები) უზრუნველყოფაზე, აგრეთვე საზოგადოების, ერთობლივ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებაზე.

**— ქართველმა სწავლულმა ეკონომისტებმა თქვენ, ბატონო ლეო ერთგვარი თავკაცობა დაგავალეს — ერთხმად აგირჩიეს საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტად. რა საქმიანობას ეწევა ეს ორგანიზაცია და საერთოდ, რა აზრის ხართ ჩვენში დღეისთვის ესოდენ მომრავლებულ აკადემიებსა და აკადემიკოსის ტიტულის რამდენადმე გაუფასურებაზე?**

— ბევრი თანამემამულის მსგავსად, არც მე ვარ აღტაცებული ამ „აკადემომანიით". საგანგებოდ არ მიკვლევია, მაგრამ დარწმუნებული ვარ, რომ ამ მაჩვენებლითაც მსოფლიოში პირველ ადგილზე ვიქნებით. ჩემი თანაკურსელი და მეგობარი ნოდარ დუმბაძე ზოგიერთ პიროვნებას, მისთვის ჩვეული იუმორით, ასე მიმართავდა ხოლმე: „შე კაცო, რას იჭიმები, თავს იმით გვაწონებ, რომ დისერტაცია არ დაგიცავსო?" დაახლოებით ასეთივე მდგომარეობაა გააკადემიკოსების სფეროშიც. სხვათაშორის დადგენილია, რომ არ შეიძლება პიროვნების აკადემიკოსად ან წევრ-კორესპონდენტად მოხსენიება დარგობრივი აკადემიის სრული სახელწოდების მიუთითებლად. ასეთი უფლება მხოლოდ საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრებს აქვთ. მაგრამ ეს მოთხოვნა ყოველდღიურად ირღვევა.

მიუხედავად ამისა, მაინც მიზანშეწონილად მივიჩნიეთ საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის შექმნა და აი რატომ. საქართველოში 200-მდე ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორია. აქედან მხოლოდ ორნი (მე და პროფესორი ვლ. პაპავა) ვართ საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის შემადგენლობაში წევრ-კორესპონდენტის ტიტულით. არადა, ესოდენ დიდძალი და განსწავლული არმიის ძალისხმევის კოორდინირება და ქვეყნის საკეთილდღეოდ წარ-

მართვა სასარგებლო ღონისძიებად ჩავთვალეთ. მეცნიერების თითქმის ყველა სხვა დარგში საზოგადოებრივ საწყისებზე აკადემიების შექმნის შემდეგ, ქართველმა სწავლულმა ეკონომისტებმაც გადავწყვიტეთ ანალოგიური ორგანიზაციის შექმნა (იქნებ ჯობდა რაიმე სხვა სახელწოდებით, მაგრამ ეს მარტო ჩვენზე არ იყო დამოკიდებული). სხვათაშორის, მის შემადგენლობაში სულ 30 კაცია არჩეული – ყველანი ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორები, პროფესორები, ეკონომიკის სფეროს მაპროფილებელი ინსტიტუტების დირექტორები და რექტორები, კათედრების გამგეები, ცნობილი მეცნიერები.

ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემია ნაყოფიერ შემოქმედებით საქმიანობას ეწევა: თავის მუდმივმოქმედ სადისკუსიო კლუბის სხდომებზე სისტემატურად განიხილავს პრობლემატურ საკითხებს და თვალსაჩინო წვლილი შეაქვს ეკონომიკური თეორიის მოძველებული (ყავლგასული) შეხედულებების გადაფასებასა და თანამედროვე მსოფლიო სტანდარტების დონეზე გაშუქებაში. დახმარებას უწევს ქვეყნის პარლამენტს ეკონომიკის საკითხებზე კანონპროექტების მომზადებასა და შეჯერებაში, აანალიზებს ეკონომიკური რეფორმების მიმდინარეობას და შესაბამის ზემდგომ ორგანოებს სთავაზობს თავის წინადადებებსა და რეკომენდაციებს მის სრულსაყოფად, ნაყოფიერად მუშაობს ტერმინების დაზუსტებაზე, ეწევა ეკონომიკური ცოდნის პროპაგანდას და ა. შ. ასე, რომ ყველა დარგობრივი აკადემიისთვის ერთგვაროვანი შეფასების მიცემაც არ იქნებოდა მართებული.

**– 1998 წ. 14 იანვარს თქვენ ერთხმად აგირჩიეს ნიუ-იორკის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრად – აკადემიკოსად. რის საფუძველზე მოხდა თქვენი არჩევა და საერთოდ, რა მნიშვნელობა აქვს ამას?**

– ნიუ-იორკის საერთაშორისო მეცნიერებათა აკადემიაში ჩემი არჩევა მოხდა სხვადასხვა ენაზე გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომების ჩამონათვალის, სამეცნიერო ხარისხების და წოდებების მინიჭების დამადასტურებელი დიპლომებისა და ატესტატების, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მიერ გაცემული დახასიათებისა და ნიუ-იორკის მეცნიერებათა

აკადემიის სამი ნამდვილი წევრის რეკომენდაციის საფუძველზე.

მისი მნიშვნელობა ის გახლავთ, რომ აღნიშნული აკადემია თავის წევრებს სისტემატურად აწვდის საინტერესო მდიდარ სამეცნიერო ინფორმაციას, აგრეთვე შუამდგომლობს საერთაშორისო ჟურნალებისა და სამეცნიერო კრებულების სარედაქციო კოლეგიების წინაშე ნაშრომების გამოქვეყნების თაობაზე.

**— ბატონო ლეო! როგორც ერთ-ერთ საჯარო გამოსვლაში განაცხადეთ, დიდი სიამოვნება მოგანიჭათ თქვენი დიდებული მასწავლებლის აკადემიკოს პ. გუგუშვილის სანუკვარი ოცნების განხორციელებაში თვალსაჩინო წვლილის შეტანამ. გულისხმობდით საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის სისტემაში დემოგრაფიისა და სოციოლოგიური კვლევის ინსტიტუტის შექმნას. როგორ და როდის მოხდა ეს და რა მუშაობას ეწევა ამჟამად აღნიშნული ინსტიტუტი, რომლის პირველი და უცვლელი დირექტორი თავად ბრძანდებით?**

— ყოველმხრივ აცნობიერებდა რა საქართველოში შექმნილ მძიმე დემოგრაფიულ ვითარებას, ბატონი პაატა ერთ-ერთ აუცილებელ ღონისძიებად მიიჩნევდა მეცნიერული კვლევა-ძიების გაღრმავებას ამ სფეროში, რისთვისაც საჭირო იყო სპეციალური სამეცნიერო დაწესებულება. ასეთი დაწესებულების შექმნისთვის ბრძოლას მან დიდი დრო და ენერგია შეალია, მაგრამ მის სიცოცხლეში ეს ვერანაირად ვერ მოხერხდა. როცა ამ მეცნიერის გარდაცვალებით ქართულ დემოგრაფიულ (და არა მარტო დემოგრაფიულ) მეცნიერებაში დიდი ვაკუუმი წარმოიშვა, უფრო ენერგიულად მოვკიდე ხელი მისი ჩანაფიქრის ხორცშესხმას და საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის შუამდგომლობითა და იმდროინდელი მთავრობის ხელმძღვანელობის გონივრული გადაწყვეტილებით 1990 წელს შეიქმნა დემოგრაფიისა და სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების კვლევის ცენტრი, რომელიც 1991 წელს დემოგრაფიისა და სოციოლოგიური კვლევის ინსტიტუტის სახით ჩამოყალიბდა. ამით დიდი ეროვნული საქმე გაკეთდა.

დემოგრაფიისა და სოციოლოგიური კვლევის ინსტიტუტი,

რომელშიც 9 განყოფილება მოქმედებს, გამოყენებითი სოციოლოგიის აქტუალურ საკითხებთან ერთად, საფუძვლიანად იკვლევს მოსახლეობის აღწარმოების კანონზომიერებებს, განსაკუთრებით საქართველოს დემოგრაფიული განვითარებისთვის დამახასიათებელ ნეგატიურ ტენდენციებს და მათი უარყოფითი შედეგების თავიდან აცილების გზებს. ინსტიტუტის მიერ შემუშავებული წინადადებები და რეკომენდაციები სისტემატურად ეგზავნება მესაბამის ზემდგომ ორგანოებს, რომელიც საფუძვლად შეიძლება დაედოს სახელმწიფო დემოგრაფიულ პოლიტიკას.

**— რა აზრის ბრძანდებით აფხაზეთის კონფლიქტზე და როგორ გესახებათ მისი მოგვარება?**

— კონფლიქტს აფხაზეთში ერთმნიშვნელოვნად ვერ მივიჩნევთ ეთნოკონფლიქტად — აფხაზებისა და ქართველების ურთიერთშეუთავსებლობად და დაპირისპირებად. ეს მოსაზრება ნათლად დაადასტურა სულ ახლახან ჩვენი ინსტიტუტის მიერ ჩატარებულმა სოციოლოგიურმა გამოკვლევამაც. აფხაზეთიდან დევნილთა უმრავლესობას მიაჩნია, რომ ეს კონფლიქტი შეგულიანებულია გარეშე ფაქტორის — რუსეთის რეაქციული ძალების მიერ, რომელთაც საკუთარი ინტერესი აქვთ კავკასიაში, უწინარეს ყოვლისა, საქართველოში. ეს გარკვეული იმედის მომცემია იმდენად, რამდენადაც, თუ ქართველებთან ერთად, აფხაზებიც ნათლად აცნობიერებენ ამ ვერაგული ჩანაფიქრის მნიშვნელობას და მოვლენებს თავის სახელს დაარქმევენ, შედარებით ადვილად გამოინახება მათი ძველებურად მშვიდობიანი თანაცხოვრების რეალური შესაძლებლობანი.

ახლაც სიამოვნებით ვიხსენებ 50-იანი წლების პირველ ნახევარში, როცა სოხუმის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში ვკითხულობდი ლექციებს, აფხაზ კოლეგა-მეგობრებთან გიორგი ძიძარიასთან, შალვა ინალიფასთან, ზურაბ ანჩაბაძესთან, მეჯით ხვარწკიასთან, ბელა აშუბასთან, ანტონ ადლეიბასთან და სხვებთან გატარებულ შესანიშნავ დღეებს.

**— როგორ აფასებთ საქართველოს დღევანდელი ხელისუფლების გეზს წინა ხელისუფლების შემორიგების თაობაზე?**

— რა თქმნა უნდა, დადებითად. წინა ხელისუფლების დროს

მეც ვიყავი პარლამენტის (იმდროინელი უზენაესი საბჭოს) დეპუტატი და ღრმად დავრწმუნდი იმაში, რომ თავისი განსწავლულობის მიუხედავად, არც ზვიად გამსახურდიას და არც მის თანამოაზრეთა გუნდის წევრებს ქვეყნის ნორმალური მართვის არავითარი პერსპექტივა არ ჰქონდათ. ამისთვის არც საერთო ინტელექტი კმარა, არც უცხო ენების ცოდნა და არც მუსიკალურ ინსტრუმენტზე დაკვრა. ეს თავისებური ხელოვნებაა და ყველა როდია დაჯილდოებული მისი უნარით.

ახლა რა ვქნათ, ერთმანეთისადმი სულ ასე ჩასაფრებულები ვიყოთ და ჩვენი ავისმსურველები გავახარეთ? ნუთუ ვერ უნდა შევიგნოთ, რომ ჩვენი აწმყო და მომავალი, ჩვენი ქვეყნის პერსპექტივები, უწინარეს ყოვლისა, ჩვენს ერთიანობაზე, ურთიერთთანადგომასა და ერთობლივ მოქმედებაზეა დამოკიდებული? მით უმეტეს, ქვეყნის საერთო ინტერესებისთვის ასეთი შეკავშირება არავის არ მოუწოდებს ერთნაირი აზროვნებისკენ. ყველას აქვს უფლება არა მარტო ჰქონდეს საკუთარი აზრი ამა თუ იმ მოვლენაზე, არამედ გამოთქვას კიდეც საჯაროდ, მაგრამ „აკრძალული“ ილეთებით არ უნდა მოახვიოს იგი საზოგადოებას.

მივესალმები დღევანდელი ხელისუფლების კურსს შერიგების თაობაზე. ერთმანეთს უნდა მივუტევოთ და ამოვუდგეთ გვერდში, რათა წინაპრების მიერ სიცოცხლის ფასად ჩვენამდე მოტანილი საქართველო დამლილ-დაუძლურებული არ დავუტოვოთ მომავალ თაობებს.

ესაუბრა
**გური ოტობაია (ფეტელავა)**

**იხ. გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“**
**№ 142, 10.06.1998.**

# IV. დასკვნები და რეცენზიები ლეო ჩიქავას ნაშრომებზე

## 1. დასკვნა

### ლეო ჩიქავას სადოქტორო დისერტაციაზე: „საქართველოს კვების მრეწველობის ტერიტორიული სპეციალიზაციისა და ეკონომიკური ეფექტიანობის საკითხები“, თბილისი, 1967.

შრომის საზოგადოებრივი დანაწილების სხვა პროგრესულ ფორმებთან ერთად, შრომის გეგმაზომერი ტერიტორიული დანაწილება, ანუ ბუნებრივი და ეკონომიკური პირობების შესაბამისად ტერიტორიულ ერთეულთა საწარმოო სპეციალიზაცია და ამის საფუძველზე რეგიონებს შორის საქმიანობის ურთიერთგაცვლა, საზოგადოებრივი შრომის მწარმოებლურობის ამაღლების უმნიშვნელოვანესი პირობაა. ამიტომ ამ აქტუალური და ეკონომიკურ ლიტერატურაში არასაკმაოდ გაშუქებული პრობლემისადმი მიძღვნილი ყოველი ახალი გამოკვლევა დიდ მეცნიერულ ინტერესს იწვევს. ასეთ გამოკვლევათა რიცხვს განეკუთვნება დოც. ლ. ჩიქავას მიერ ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად წარდგენილი ნაშრომი, რომელშიც შრომის ტერიტორიული დანაწილების პრობლემები განხილულია არა მხოლოდ თეორიულ ასპექტში, არამედ საქართველოს ჩაის, ღვინის, კონსერვისა და თამბაქოს მრეწველობის, ე.ი. საერთო-საკავშირო მასშტაბით ღრმად სპეციალიზებულ დარგთა მაგალითზე.

როგორც ცნობილია, ჩაის, ღვინის, კონსერვისა და თამბაქოს მრეწველობის შესახებ ქართველ ეკონომისტთა მიერ მთელი რიგი შრომებია დაწერილი და გამოქვეყნებული. მათგან განსხვავებით დოც. ლ. ჩიქავას სარეცენზიო ნაშრომის სიახლე ის არის, რომ იგი შრომის საერთო-საკავშირო ტე-

რიტორიული დანაწილების ასპექტში საქართველოს კვების მრეწველობის მაპროფილებელ დარგთა განვითარებისა და ეკონომიკის საკითხებისადმი მიძღვნილი პირველი სერიოზული მონოგრაფიული გამოკვლევაა.

სადისერტაციო თემის სრულყოფილი დამუშავება, უამრავ სხვა (საარქივო თუ გამოქვეყნებულ) მასალასთან ერთად, მოითხოვდა როგორც საქართველოში, ისე სხვა მოკავშირე რესპუბლიკებში, ჩაის, ღვინის, ხილ-ბოსტნეულის კონსერვისა და თამბაქოს მრეწველობის განვითარების ძირითად ეკონომიკურ მაჩვენებელთა შესახებ მონაცემებს. ასეთი მონაცემების უმეტესი ნაწილი კი სტატისტიკურ კრებულებში არ ქვეყნდება. ეს გარემოება ავტორს დიდ სიძნელეებს უქმნიდა, მაგრამ როგორც ნაშრომში მოტანილი მასალებიდან და მითითებული წყაროებიდან ჩანს, მას იგი წარმატებით დაუძლევია. დისერტანტმა შესძლო სსრ კავშირის ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს, სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის, სსრ კავშირის კვების, ვაჭრობის, სოფლის მეურნეობის სამინისტროების, აგრეთვე ცალკეული მოკავშირე რესპუბლიკების ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოების შესაბამის განყოფილებათა არქივებში, განსაკუთრებით საქართველოს სათანადო ორგანიზაციებსა და საწარმოებში საკუთრივ მოეპოვებინა მისი თემისთვის საჭირო დიდძალი ფაქტობრივი მასალა, სათანადოდ დაემუშავებინა იგი, გაეანალიზებინა და პირველად გაეშვა მეცნიერულ ბრუნვაში.

დისერტაცია, რომელიც წარმოდგენლია ორ წიგნად, შედგება შესავლის, ცხრა თავად დაყოფილი სამი ნაწილისა და დასკვნისგან. მისი საერთო მოცულობა მანქანაზე ნაბეჭდი 758 გვერდია.

შესავალში შრომის საზოგადოებრივი დანაწილების არსის, ფორმების, აგრეთვე, განვითარების პერსპექტივების განხილვისას, დისერტანტი, ეწევა რა პოლემიკას მთელ რიგ ავტორებთან (ა. ნოტკინი, ვ. კორნიენკო, ე. ეფემოვა, ვ. სიროტინი, ე. ერმაკოვი, პ. ლიტვიაკოვი და სხვ.), აყენებს ორიგინალურ მოსაზრებებს და სათანადო მეცნიერული არგუმენტების საფუძველზე, ჩვენი აზრით, საესებით სწორად ასკვნის:

ა) შრომის საზოგადოებრივ დანაწილებაში იგულისხმება შრომითი საქმიანობის სხვადასხვა სახეობათა არა მხოლოდ განცალკევება და თანაარსებობა, არამედ, რაც მთავარია, გარკვეული სახეობის პროდუქტთა წარმოებაზე, ცალკეულ საწარმოო ოპერაციათა, ან სხვადასხვა არაწარმოებით ფუნქციათა შესრულებაზე ტერიტორიულ ერთეულთა, დარგთა, საწარმოთა, აგრეთვე, მუშაკთა სპეციალიზაცია და ამის საფუძველზე საქმიანობის შედეგების რეგულარული ურთიერთგაცვლა;

ბ) შრომის საზოგადოებრივი დანაწილების ობიექტური აუცილებლობა, მუდმივი განმეორებადობა, სიმყარე, მოვლენათა შინაგანი მიზეზობრივი კავშირი და არსებითობა ნათლად გვიჩვენებს, რომ იგი (ე.ი. შრომის საზოგადოებრივი დანაწილება) საწარმოო ძალთა უშუალო ელემენტი კი არა, საზოგადოების განვითარების ეკონომიკური კანონია. მიეკუთვნება იმ საერთო ეკონომიკურ კანონებს, რომლებიც წარმოიშობიან საზოგადოების განვითარების გარკვეულ საფეხურზე და შემდეგ მოქმედებენ ყველა წყობილებაში;

გ) მომავალში შრომის საზოგადოებრივი დანაწილების უარმყოფელთ სწორად არ ესმით ამ მოვლენის არსი და სავსებით უგულვებელყოფენ მის ისეთ ძირითად ფორმებს, როგორიცაა შრომის დარგობრივი და ტერიტორიული დანაწილება, ხოლო მუშაკთა სპეციალიზაცია საქმიანობის განსაზღვრულ დარგში დაპყავთ მხოლოდ შრომის ვიწრო პროფესიულ დანაწილებამდე, რომელიც მართლაც გაქრება პერსპექტივაში (გვ. 4, 20, 31).

მისასალმებელია, რომ შრომის საზოგადოებრივი დანაწილების არსის, განვითარების პერსპექტივებისა და პიროვნების ყოველმხრივ განვითარებაზე მისი ზემოქმედების შესახებ დისერტანტის მოსაზრებებმა დადებითი შეფასება მიიღო ჟურნალ „Вопросы философии"-ს ფურცლებზე (ის. „Вопросы философии", № 6, 1964 წ. გვ. 130-144).

დისერტაციის პირველი ნაწილი – „საქართველოს სსრ კვების მრეწველობის საერთო-საკავშირო სპეციალიზაცია და მისი სასალხო-სამეურნეო მნიშვნელობა". (გვ. 32-339) დაყოფილია ოთხ თავად.

პირველ თავში განხილულია შრომის ტერიტორიული დანაწილების კანონზომიერებანი და საქართველოს კვების მრეწველობის დარგობრივი სტრუქტურის თავისებურებანი. დისერტანტი სწორად აღნიშნავს, რომ შრომის ტერიტორიული დანაწილების არსის განმსაზღვრელი წარმოების წესია. ამასთან, მართებულად უსვამს საზს ბუნებრივი ფაქტორის მნიშვნელოვან როლს შრომის საერთო-საკავშირო დანაწილების განხორციელებასა და რაიონების საწარმოო მიმართულების განსაზღვრაში.

პირველი თავის მეორე პარაგრაფში დისერტანტი არკვევს კვების მრეწველობის ადგილს საქართველოს მრეწველობის საერთო კომპლექსში, მიუთითებს მის მაღალ ხვედრიწონასა (1965 წ. 42,7%) და მნიშვნელობაზე რესპუბლიკის მრეწველობის პროდუქციის სტურქტურის სპეციფიკურობათა განსაზღვრაში. როგორც ნაშრომიდან ჩანს, დისერტანტს მსედველობაში აქვს მრეწველობის „ა" ჯგუფის პროდუქციაში შრომის საგნების, განსაკუთრებით, მეორე ქვედანაყოფისთვის განკუთვნილი შრომის საგნების მაღალი ხვედრიწონა და კვების მრეწველობისთვის საჭირო მანქანა-იარაღების დიდი რაოდენობით წარმოება.

ნაშრომში დადგენილია საქართველოს კვების მრეწველობის დარგობრივი სტრუქტურისთვის დამახასიათებელი თავისებურებანი. 1. სპეციალიზაციის პროფილის განმსაზღვრელ ძირითად დარგთა პროდუქციის როგორც აბსოლუტური ზრდა, ისე ხვედრითი წონის ამაღლება და 2. ადგილობრივი მნიშვნელობის დარგთა პროდუქციის აბსოლუტური ზრდა, ხოლო კვების მრეწველობის პროდუქციაში ხვედრითი წონის შემცირება (გვ. 103; 106-107).

იმისთვის, რომ ნათელყოს ჩაის, ღვინის, ხილ-ბოსტნეულის კონსერვისა და თამბაქოს მრეწველობის განვითარებაზე ჩვენი რესპუბლიკის საერთო-საკავშირო სპეციალიზაციის საფუძვლები, ავტორი ნაშრომის მეორე თავში (გვ. 111-180) საკმაოდ ვრცლად განიხილავს ადგილობრივი ბუნებრივი და ეკონომიკური პირობების სპეციფიკურობას და ამის შესაბამისად საქართველოში მეჩაიეობის, მევენახეობის, მეხილეობისა და

მეთამბაქოეობის დაჩქარებულ განვითარებას. დისერტაციაში დეტალურადაა ნაჩვენები ჩაის, ღვინის, კონსერვისა და თამბაქოს მრეწველობისთვის ნედლეულის მიწოდებაში თუ რა როლს ასრულებს საქართველოს სოფლის მეურნეობის საწარმოო სპეციალიზაციის თითოეული ზონა და ქვეზონა.

მესამე თავში — „მაპროფილებელ დარგთა განვითარება და აღგილი შრომის რაიონთაშორის ტერიტორიულ დანაწილებაში" პირველ ყოვლისა დახასიათებულია ჩაის, ღვინის, კონსერვისა და თამბაქოს წარმოების დონე საქართველოში აღრინდელ ეტაპებზე და გარკვეულია აღნიშნულ პროდუქტთა წარმოებით საქართველოს აღგილი რუსეთის იმპერიაში. მართალია, რამდენადაც პირველადაა იგი ასე კარგად შერჩეული, სისტემატიზებული, შედარებით სრულად და თანმიმდევრულად განხილული, მკითხველისთვის საინტერესო და მიმზიდველია.

დისერტაციაში დაწვრილებითაა განხილული საქართველოს კვების მრეწველობის საერთო-საკავშირო სპეციალიზაციის დარგთა განვითარება 1917-1966 წლებში: პროდუქციის დინამიკა, ასორტიმენტი და სარისხი. სათანადოდ დამუშავებული ცხრილების საშუალებით ახლებურად და კარვადაა ნაჩვენები რესპუბლიკის თითოეული ზონის აღგილი და როლი კვების მრეწველობის საერთო-საკავშირო მნიშვნელობის დარგთა პროდუქციის წარმოებაში.

ჩაის, ღვინის, კონიაკის, შამპანურის, ხილ-ბოსტნეულის კონსერვის, თამბაქოს, პაპიროსისა და სიგარეტის წარმოებაზე საქართველოს საერთო-საკავშირო სპეციალიზაციის დონე დისერტაციაში პირველადაა გარკვეული ისეთი მაჩვენებლების გამოყენებით, როგორიცაა: პროდუქციის წარმოების ლოკალიზაციის ინდექსი, მოსახლეობის ერთ სულზე პროდუქციის წარმოება და მისი შედარება შესაბამის საერთო-საკავშირო მაჩვენებლებთან, რაიონთაშორისი საქონლიანობის კოეფიციენტი და სხვ.

სარეცენზიო ნაშრომში გაანგარიშებულია პროდუქციის გაზიდვის არა მარტო საერთო მოცულობა, არამედ დაწვრილებითაა ნაჩვენები საქართველოდან, გატანილი ჩაი, ღვინო კონიაკი, შამპანური, ხილბოსტნეულის კონსერვი, აგრეთვე,

თამბაქო და მისი ნაწარმი თუ საღ, რომელ მოკავშირე რესპუბლიკებსა და საზღვარგარეთის ქვეყნებში პოულობს მომხმარებელს და რა როლს ასრულებს მათი მოთხოვნილების დაკმაყოფილებაში.

როგორც ნაშრომში მოტანილი მონაცემებიდან ჩანს, საქართველოდან გაზიდული პროდუქციის ხვედრითი წონა ყველა მოკავშირე რესპუბლიკიდან იმავე სახეობის პროდუქციის გაზიდვაში შეადგენს: ჩაისა 100%, ყურძნის ღვინისა — 14.4%, შამპანურისა — 32.3%, კონიაკისა — 23.1%, კომპოტისა — 24.7%, მურაბისა — 28.9%, ახალი ხილისა — 40.6%, თამბაქოს ნაწარმისა (წმინდა გატანა) — 39. 4% (გვ. 295, 307, 314, 321).

რიგ სხვა ავტორთა მოსაზრებებისგან განსხვავებით, დისერტანტი მართებულად მიუთითებს, რომ ეს მონაცემები შედარებით სრულად წარმოგვიდგენს დასახელებულ პროდუქტთა წარმოებით შრომის ტერიტორიულ დანაწილებაში საქართველოს ადგილს და არა მათ წარმოებაზე ჩვენი რესპუბლიკის საერთო-საკავშირო სპეციალიზაციის დონეს.

სადისერტაციო შრომის მეორე ნაწილია „საქართველოს კვების მრეწველობის შედარებითი ეკონომიკური ეფექტიანობა და მისი ამაღლების გზები", რომელიც მოიცავს მესუთე, მეექვსე და მეშვიდე თავებს.

მეხუთე თავში უწინარეს ყოვლისა ნაჩვენებია საქართველოს კვების მრეწველობის სპეციალიზაციის დარგთა განვითარების ეკონომიკური მნიშვნელობა. აქ გამახვილებულია ყურადღება, ჯერ ერთი, იმაზე, თუ რა წვლილი შეაქვთ ამ დარგებს სსრ კავშირში ჩაის, ღვინის, კონიაკის, შამპანურის, კონსერვების, თამბაქოს იმპორტის შემცირებისა და ვალუტის დაზოგვის საქმეში; მეორე, იმაზე, თუ რა მნიშვნელოვანი როლი შეასრულა საქართველოში მეჩაიეობის, მევენახეობის, მეხილეობის, მეთამბაქოეობისა და მათ მიერ მიწოდებული ნედლეულის გადამამუშავებელ დარგთა განვითარებამ სხვა მოკავშირე რესპუბლიკებში ამ დარგთა განვითარების დაჩქარებაში. და მესამე, ნაშრომში გაანგარიშებულია ეკონომიკური ეფექტი, რასაც იძლევა რესპუბლიკის კვების მრეწველობის დასახელებულ დარგთა განვითარება.

ორიგინალურად უდგება ავტორი ტერიტორიულ ასპექტში პროდუქციის წარმოების შედარებითი ეკონომიკური ეფექტიანობის განსაზღვრას.

იმის გასარკვევად, ჩაის, ღვინის, კონსერვისა და თამბაქოს წარმოება მათ მწარმოებელ რომელ რაიონში (რესპუბლიკაში) სასიათდება მაღალი და რომელში დაბალი ეკონომიკური ეფექტიანობით, დისერტანტი ნაკლებ პრაქტიკული მნიშვნელობის მქონედ მიიჩნევს მოქმედი საბითუმო ფასების მოშველიებით გაანგარიშებულ მაჩვენებლებს, აგრეთვე, წარმოებისა და მოხმარების რაიონების ურთიერთშესადარებლად გამოყენებულ რიგ სხვა მაჩვენებლებს. პროდუქციის თვითღირებულების ერთ-ერთ დამატებით მაჩვენებლად გამოყენებას მიზანშეწონილად თვლის მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა ტერიტორიულ ასპექტში ერთიმეორეს უდარებენ ასორტიმენტითა და ხარისხით ერთგვაროვან, ან არაერთგვაროვან, მაგრამ ერთ საერთო პირობით მაჩვენებელზე გადაყვანილ პროდუქციას.

ტერიტორიულ ჭრილში ერთნაირი სახეობის პროდუქციის წარმოების ეკონომიკური ეფექტიანობის დასადგენად შედარებით სრულყოფილ მაჩვენებლად დისერტანტი მიიჩნევს რენტაბელობის დონეს, მაგრამ გაანგარიშებულს არა მხოლოდ მოგების, არამედ მთელი წმინდა შემოსავლის შეფარდებით სრულ თვითღირებულებასთან ან ძირითადი საწარმოო ფონდების ღირებულებისა და ნორმირებული საბრუნავი საშუალებების ჯამთან. დისერტაციაში მდიდარი ფაქტობრივი მასალის გაანალიზებით სსრ კავშირის ჩაის (გვ. 367-373), ღვინისა და (გვ. 383-387) და თამბაქოს (გვ. 396-397) მრეწველობის მაგალითზე კარგადაა ნაჩვენები რაიონთაშორის შედარებითი ეკონომიკური ეფექტიანობის განსაზღვრისას თუ რამდენად ამახინჯებს სინამდვილეს მოგების მიხედვით გაანგარიშებული რენტაბელობის დონის მაჩვენებელი. მაგალითად, გამოდის, რომ პირველადი დამუშავების ბაისაო ჩაის რენტაბელობის დონე 1965 წ. თითქოს რსფსრ-ში შეადგენდა 73,5%, აზერბაიჯანში — 35,4% და საქართველოში — 29,8% (ავტორეფერატი, გვ. 53). ან კიდევ, კონიაკის წარმოების რენტაბელობის დონე 1962 წ. აღწევდა: უკრაინაში 36,4%, საქართველოში — 15,4%, აზერბა-

იჯანში – 4,7%, სოლო მოლდაველთში თითქოს მინუს 9,6% და სომხეთში მინუს 1,8% (დისერტაცია, გვ. 384).

ნაშრომში დაწვრილებითაა ახსნილი სინამდვილის ასე მრუდედ წარმომდგენი რენტაბელობის დონის მაჩვენებელთა განმაპირობებელი მიზეზები. მთავარი მიზეზი ისაა, რომ რენტაბელობის დონის გაანგარიშებისას მრიცხველში აღებულია წმინდა შემოსავლის მხოლოდ მცირე ნაწილი (სამრეწველო საწარმოთა მოგება) და ისიც რესპუბლიკების მისედვით არათანაბარზომიერად, რამდენადაც საწარმოს საბითუმო ფასები ტერიტორიულ ასპექტში დიფერენცირებულია არაპროპორციულად, ობიექტური პირობების არასაკმაოდ გათვალისწინებით. როგორც ნაშრომში მოტანილი მონაცემებიდან ჩანს, 1962 წ. 1 დკლ კონიაკის რეალიზაციით სომხეთმა 10,8%-ით მეტი წმინდა შემოსავალი მიიღო, ვინემ აზერბაიჯანმა. ამიტომ კონიაკის წარმოების რენტაბელობის დონეც, როგორც წესი, აზერბაიჯანთან შედარებით, სომხეთში უფრო მაღალი უნდა ყოფილიყო. სსრ კავშირის ცენტრ. სტატისტიკური სამმართველოს გაანგარიშებით კი პირიქით გამოდის, ვინაიდან სომხეთში კონიაკზე დაბალი საბითუმო ფასების მოქმედების გამო სამრეწველო საწარმოებმა დანახარჯებიც ვერ აინაზღაურეს, სამაგიეროდ, სომხეთში წარმოებული კონიაკის რეალიზაციიდან ბრუნვის გადასახადი შედარებით დიდი რაოდენობით შევიდა სახელმწიფო ბიუჯეტში, ხოლო აზერბაიჯანში, შედარებით მაღალი საბითუმო ფასების დაწესების გამო, საწარმოებმა მაღალი მოგება მიიღეს, სამაგიეროდ, კონიაკის რეალიზაციიდან ბრუნვის გადასახადი შედარებით მცირე ოდენობით შევიდა სახელმწიფო ბიუჯეტში.

ასეთ მსჯელობათა საფუძველზე ავტორი მიდის დასკვნამდე: პროდუქციის წარმოებასა და რეალიზაციაზე გაწეული დანახარჯების, ანუ რაც არსებითად იგივეა, ყოველწლიური ფაქტიური დანახარჯების მიმართ მიღებული ეკონომიკური ეფექტის დასადგენად და ტერიტორიულ ჭრილში ურთიერთშესადარისი შედარებით ზუსტ მაჩვენებელთა მისაღებად მიზანშეწონილია მთელი წმინდა შემოსავალი შევუფარდოთ სრულ თვითღირებულებას და გამოვსატოთ პროცენტობით. სა-

სოფლო-სამეურნეო ნედლეულის დამუშავებაზე დამყარებულ დარგთა სპეციფიკის გათვალისწინებით, უფრო გაშიფრულად ფორმულის სახით, დისერტანტი ამ მოსაზრებას გადმოგვცემს ნაშრომის 397-398 გვერდებზე და ახლენს ამ მეთოდით გაანგარიშების პირველ ცდას (გვ. 372, 386, 397). კარგია რომ ავტორმა ამ საკითხზე თავისი ორიგინალური მოსაზრებანი ასახა ჟურნალ „Плановое хозяйство"-ში გამოქვეყნებულ სტატიაშიც (იხ. „Плановое хозяйство", 1965, № 11, გვ. 74-75).

ამასთან ერთად, დისერტანტი სწორად მიუთითებს, რომ როცა გვინდა დავადგინოთ მეურნეობის დარგთა საერთო რენტაბელობა, მთელი დაბანდებული თანხებისა და საწარმოო ფონდების გამოყენების ეკონომიკური ეფექტიანობის დონე და ამ მიმართულებით მაჩვენებლები ურთიერთშესადარისი გავხადოთ, მიზანშეწონილია საქონლის წარმოების ყველა რგოლიდან მიღებული წმინდა შემოსავალი შევუფარდოთ ძირითადი საწარმოო ფონდებისა და ნორმირებულ საბრუნავ საშუალებათა ჯამს (გვ. 398).

მთელი წმინდა შემოსავლის გათვალისწინებით გაანგარიშებული რენტაბელობის დონის მაჩვენებლის უპირატესობა, როგორც ავტორი შენიშნავს, იმაშიც გამოიხატება, რომ საქონელზე ეკონომიკურად დასაბუთებული ფასების დაწესების შემთხვევაში მას პროდუქციის ხარისხობრივი მაჩვენებლების ასახვაც შეუძლია, მაშინ როდესაც ასეთ შესაძლებლობას სხვა მაჩვენებლები, მათ შორის თვითღირებულებაც, მოკლებულია.

დისერტაციის დიდი ნაწილი, სავსებით კანონზომიერად, მიძღვნილია წარმოების ეკონომიკური ეფექტიანობის ამაღლების გზებისა და რეზერვებისადმი. მასზე მოდის ტექსტის 32 პროცენტზე მეტი. მაგრამ მთავარია კონკრეტულ საკითხებში ღრმად წვდომისა და მოვლენათა მეცნიერული განზოგადების უნარის გამოვლენა, დახვეწილი, მაგრამ მრავალისმეტყველი, სშირად ცხრილის სახით მოტანილი, მდიდარი ციფრობრივი მონაცემების მოშველიებით თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობის წინადადებებისა და რეკომენდაციების შემუშავება.

დოც. ლ. ჩიქავას, რომელიც ძირითადად თეორიული პოლიტიკური ეკონომიის სპეციალისტია და 15 წელზე მეტია ამ საგანს ასწავლის უმაღლეს სასწავლებლებში, ისე დაწვრილებით შეუსწავლია საქართველოს (გარკვეული დოზით სხვა მოკავშირე რესპუბლიკებისაც) ჩაის, ღვინის, კონსერვის, თამბაქოს მრეწველობის განვითარებისა და ეკონომიკის საკითხები, რომ იგი საფუძვლიანად და დასაბუთებულად მიუთითებს მრეწველობის აღნიშნულ დარგთა და მათთვის ძირითადი ნედლეულის მიმწოდებელ სოფლის მეურნეობის დარგთა ეკონომიკური მაჩვენებლების სრულყოფის მიმართულებით არსებულ გამოუყენებელ რეზერვებზე.

დისერტანტი ვრცლად ჩერდება ჩაის, ყურძნის, ხილის, თამბაქოს მოსავლიანობის ამაღლებისა (გვ. 405-425) და სოფლის მეურნეობაში შრომის მწარმოებლურობის ამაღლების გზებზე (გვ. 426-440).

სათანადო მონაცემების მეცნიერული ანალიზის საფუძველზე, დისერტაციაში მითითებულია ღონისძიებანი, რომლებიც უნდა განხორციელდეს საქართველოში მეჩაიეობაში, მევენახეობაში, მეხილეობასა და მეთამბაქოეობაში წარმოების გამსხვილების, სპეციალიზაციის გაღრმავების, მოწინავე გამოცდილების დანერგვის, შრომის შედეგებით სოფლის მეურნეობის მუშაკთა მატერიალური დაინტერესების ამაღლების, სასოფლო-სამეურნეო წარმოების ნარჩენების რაციონალურად გამოყენებისა და გადამამუშავებელი მრეწველობისთვის ნედლეულის მიწოდების დაჩქარების მიმართულებით.

ავტორი წარმოების ეკონომიკური ეფექტიანობის ამაღლებისა და მაღალხარისხოვანი პროდუქციის გამომშვების ერთერთ მნიშვნელოვან პირობად თვლის ნედლეულის მიწოდებასა და გადამამუშავებელ საწარმოო სიმძლავრეებს შორის ოპტიმალურ თანაფარდობას. ამას მართლაც განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს მალფუჭადი ნედლეულის (ჩაის ფოთოლი, ყურძენი, ხილი და სხვ.) გადამუშავებისას, ვინაიდან როცა ფაბრიკა-ქარხნები ნორმით გათვალისწინებულზე მეტი რაოდენობით გადამამუშავებენ ასეთ ნედლეულს, ტექნოლოგიური სქემა ირღვევა და დაბალხარისხოვანი პროდუქცია იწარმოება. იმ

შემთხვევაში კი, როდესაც ნედლეულის შემოსელა მკვეთრად ჩამორჩება საწარმოო სიმძლავრეებს, ამ უკანასკნელის გამოყენების კოეფიციენტი დაბალია და პროდუქციის თვითღირებულება მაღალი გამოდის.

სასოფლო-სამეურნეო ნედლეულის სამრეწველო დამუშავების ხარჯების შემცირების ღონისძიებებთან დაკავშირებით, სარეცენზიო ნაშრომში საფუძვლიანადაა გაშუქებული ტექნიკური პროგრესისა და შრომის მწარმოებლურობის ამაღლების, საწარმოთა სიდიდისა და მმართველობის ხარჯების შემცირების, წარმოების სპეციალიზაციისა და კოოპერირების, წარმოების სეზონის გახანგრძლივებით საწარმოო სიმძლავრეებისა და შრომითი რესურსების გამოყენების გაუმჯობესების საკითხები.

დისერტაციაში, სამრეწველო პროდუქციის თვითღირებულების შემცირებისა და წარმოების ეკონომიკური ეფექტიანობის ამაღლების სხვა გზებთან ერთად, ორგანულ კავშირშია განხილული მეურნეობრივი ანგარიშიანობის განმტკიცება და საწარმოებისა და მათი კოლექტივების მატერიალური დაინტერესების ამაღლება.

ავტორი ვრცლად ჩერდება იმაზე, რომ ახალი სამეურნეო რეფორმა გულისხმობს ეკონომიკური ბერკეტების, განსაკუთრებით მოგების როლის ამაღლებას. ამასთან, იგი არ ეთანხმება ნ. პეტრაკოვსა და რიგ სხვა ავტორებს, რომლებიც მოგებას სოციალიზმის ეკონომიკურ კატეგორიად თვლიან და სოციალისტურ საზოგადოებაში მის განსაკუთრებულ როლს უსვამენ ხაზს. ჩვენ მთლიანად ვუჭერთ მხარს დისერტანტის ამ პოზიციას.

განვითარების პერსპექტივების განხილვისას ნაშრომის მერვე და მეცხრე თავებში (გვ. 631-696) დასაბუთებულია, კვების მრეწველობის ადგილობრივი მნიშვნელობის დარგთა განვითარების დაჩქარებასთან ერთად, მაპროფილებელ დარგთა საერთო-საკავშირო სპეციალიზაციის შემდგომი გაღრმავების ეკონომიკური მიზანშეწონილობა. საქართველოს ჩაის, ღვინის, კონსერვის, თამბაქოს მრეწველობისა და მათთვის შესაბამისი ნედლეულის მიმწოდებელ სოფლის მეურნეობის

დარგთა განვითარების ამოცანები პერსპექტივაში გაანალიზებულია არა მხოლოდ რესპუბლიკის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის, კვების მრეწველობის სამინისტროსა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მონაცემებით, არამედ თვით ავტორისეული გაანგარიშებით მიღებული, უფრო მაღალი მაჩვენებლებითაც, რომელთა მიღწევა, როგორც ნაშრომში დასაბუთებულია, სავსებით შესაძლებელია არსებული რეზერვების მაქსიმალური გამოყენების შემთხვევაში. ავტორი ყურადღებას ამახვილებს უახლოეს პერიოდში ღვინის, კონსერვისა და თამბაქოს მრეწველობაში ნედლეულის მიწოდებასა და საწარმოო სიმძლავრეებით უზრუნველყოფას შორის მოსალოდნელ დისპროპორციებზე და მათი დაძლევის გზებზე.

დისერტაციაში გაანგარიშებულია დიდძალი უნაყოფო ხარჯები, რომელიც შედეგია ღვინისა და კონიაკის ჩამოსხმის, პაპიროსისა და სიგარეტის წარმოების მოხმარების რაციონებისგან ძლიერ დაშორებით ორგანიზებისა და ზედმეტი, არაიშვიათად შემსვედრი გადაზიდვებისა. ამასთან, მითითებულია კონკრეტული ღონისძიებანი, რომელთა განხორციელება ამ შეუსაბამობათა ლიკვიდაციის საფუძველზე ხელს შეუწყობს დროისა და სასსრების დაზოგვას და წარმოების ეკონომიკური ეფექტიანობის ამაღლებას.

როგორც ჩანს, დოც. ლ. ჩიქავას დისერტაცია მოიცავს პოლიტიკური ეკონომიის, მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, საქონელბრუნვის, ფინანსების, სტატისტიკის სფეროდან საკითხთა ფართო წრეს, რომლებიც დალაგებული და გაშუქებულია ისტორიული და ლოგიკური თანმიმდევრობით განხილვის მეცნიერებაში აღიარებული მეთოდის მომარჯვებით.

ამ დადებით მხარეებთან ერთად სარეცენზიო ნაშრომს აქვს სარვეზებიც:

1. შრომის რაციონთაშორის ტერიტორიულ დანაწილებაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს საქართველოს კვების მრეწველობაში შემავალ დარგებს — ეთეროვანი ზეთების წარმოებასა და მინერალური წყლების ჩამოსხმას. მიუხედავად ამისა, მათი განვითარებისა და ეკონომიკის საკითხები დისერტაციაში არაა განხილული. მართალია, გამოქვეყნებულ მონოგრა-

ფიაში აეტორი ვრცლად აშუქებს საქართველოს მინერალური წყლების ჩამოსსმის ადგილსა და როლს შრომის საერთო-საკავშირო დანაწილებაში, მაგრამ დისერტაციიდან იგი რატომღაც ამოღებულია.

2. საინტერესოდ დაწერილი და საქმიანი წინადადებების შემცველია პარაგრაფი: „საწარმოთა საბითუმო ფასების სრულყოფა და წარმოების ეკონომიკური სტიმულირების ამაღლება“ (გვ. 386-603), მაგრამ სამრეწველო პროდუქციის თვითღირებულების შემცირების გზებს შორის მისი განხილვა სწორად არ მიგვაჩნია.

3. პროდუქციის ასორტიმენტისა და ხარისხის მიხედვით რენტაბელობის დონეთა ურთიერთშედარებისას (გვ. 583, 590, 593, 598) დისერტანტს მოჰყავს საანგარიშო ანუ ფაქტიური თვითღირებულების მაჩვენებლები. ჩვენი აზრით, ამ შემთხვევაში უფრო მიზანშეწონილი იყო თვითღირებულების საგეგმო მაჩვენებლის მიხედვით გაანგარიშება.

**დასკვნა:** ეს არაარსებითი ხასიათის ნაკლოვანებები ვერ ჩრდილავენ დისერტაციის საერთო ღირსებებს. დოც. ლ. ჩიქავას მიერ საჯარო პაექრობისთვის წარდგენილი ნაშრომი — „საქართველოს კვების მრეწველობის ტერიტორიული სპეციალიზაციისა და ეკონომიკური ეფექტიანობის საკითხები“ — ღრმამეცნიერულად დამუშავებული ეკონომიკური გამოკვლევაა. იგი ხანგრძლივი და შემოქმედებითი შრომის ნაყოფია. მასში ნათლად იგრძნობა ავტორის ერუდიცია, საკითხების ახლებურად დასმისა და მეცნიერული გაშუქების, ეკონომიკურ მოვლენათა არსში ღრმად წვდომისა და კვლევის შედეგების განზოგადების საფუძველზე მნიშვნელოვანი თეორიული და პრაქტიკული ხასიათის დასკვნების გაკეთების უნარი. სარეცენზიო გამოკვლევა ნაწილ-ნაწილ, მაგრამ თითქმის მთლიანად დასტამბულია; ავტორს ამ თემაზე გამოქვეყნებული აქვს ორი მონოგრაფია და 11 საჟურნალო სტატია — სულ 42 თაბახის მოცულობით. მისმა კვლევის შედეგებმა ასახვა და დადებითი შეფასება ჰპოვა როგორც საკავშირო, ისე რესპუბლიკურ ჟურნალ-გაზეთებში (იხ. „Вопросы философии“ 1964, № 6; „საქარ-

თველოს ეკონომისტი“, 1965, № 11; „Заря востока“, 27 ноября 1965 г., № 280; „სოფლის ცხოვრება“, 15.II. 1966. № 38).

აღსანიშნავია ისიც, რომ წიგნებად და სტატიებად გამოცემის შემდეგ ნაშრომი კიდევ უფრო გაუმჯობესებულია. დისერტაცია და ავტორეფერატი საფუძველიანადაა შეცვლილი ახალი ციფრობრივი მონაცემებით, აგრეთვე, უკანასკნელ პერიოდში გამოქვეყნებული ლიტერატურული წყაროებით.

გამომდინარე ყოველივე აქედან, ჩვენი აზრით, სარეცენზიო ნაშრომი საკმაო ოდენობით იმსახურებს მაღალ შეფასებას, ხოლო მისი ავტორი დოცენტი ლეო ლეონტის ძე ჩიქავა ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მინიჭებას, რაზედაც ვშუამდგომლობთ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტის სამეცნიერო საბჭოს წინაშე.

დასკვნა განხილული და მოწონებულია საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის, როგორც წამყვანი ორგანიზაციის, პოლიტიკური ეკონომიის კათედრის სხდომაზე (იხ. 1967 წლის 15 სექტემბრის ოქმი № 7).

პროფესორი **ნოე პაიჭაძე**
დოცენტი **იასონ კვირიკაძე**
დოცენტი **ილია ლექავა**

23.09.1967.

(დასკვნა ინახება პროფ. ლ. ჩიქავას პირად არქივში)

# 2. სასარგებლო მონოგრაფიული გამოკვლევა

თავისი შინაარსობრივი დატვირთვით უაღრესი აქტუალურობის მიუხედავად, შრომის ტერიტორიული დანაწილების პრობლემატიკაზე ეკონომიკური ლიტერატურა ძალიან ღარიბად გამოიყურება, ქართულ ენაზე კი დღემდე არცერთი ნაშრომი არ გამოქვეყნებულა. თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ აღნიშნული პრობლემა მრავალ სადისკუსიო საკითხს მოიცავს, ხოლო შრომის ტერიტორიული ორგანიზაციის ეკონომიკური ეფექტიანობის განსაზღვრის მეთოდიკის საკითხები თითქმის მთლიანად დაუმუშავებელია, მისასალმებელია გამომცემლობა „საქართველოს" მიერ დოც. ლეო ჩიქავას 27 ფორმიანი მონოგრაფიული გამოკვლევის – **„საქართველოს კვების მრეწველობის ადგილი და როლი შრომის საერთო-საკავშირო დანაწილებაში"** – დასტამბვა.

კვლევის საკითხთა ფართო წრე, მათი მეცნიერული გაშუქებისთვის აუცილებელი ფაქტობრივი მასალის მოპოვების სიძნელეები, წარმოების დარგთა რენტაბელობის განსაზღვრის არასრულყოფილი მეთოდიკის დამკვიდრება აღრიცხვის დღევანდელ პრაქტიკაში, ანალოგიური სასიათის მონოგრაფიების უქონლობა და ამიტომ ცალკეულ შემთხვევაში თვით მის მიერვე ყამირის გატეხვის საჭიროება – სარეცენზიო შრომის ავტორს რთული ამოცანების წინაშე აყენებდა. გადაჭარბებული არ იქნება თუ ვიტყვით, რომ ავტორმა ამ სიძნელეებს შესანიშნავად გაართვა თავი. მეტიც, მან მთელ რიგ საკითხებზე სრულფასოვანი თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობის ბევრი ორიგინალური მოსაზრება წამოაყენა და ამით გარკვეული წელილი შეიტანა ეკონომიკური მეცნიერების საგანძურში.

საკვლევ პრობლემასთან დაკავშირებულ ლიტერატურულ წყაროებში გამოთქმულ მცდარ მოსაზრებათა კრიტიკული განხილვის, საარქივო და საუწყებო მასალებთან ერთად, დიდძალი სტატისტიკური მონაცემების მოპოვება-დამუშავების, დაჯგუფებისა და გაანალიზების საფუძველზე, ნაშრომში თე-

მის თითქმის ყველა ძირითადი საკითხი ლოგიკური თანმიმ-დევრობითა და სათანადო მეცნიერული სიღრმითაა გაშუქ-ებული.

იგი ორი ნაწილისა და შვიდი თავისგან შედგება. პირველ ნა-წილში, შრომის ტერიტორიული დანაწილების საერთო კანონ-ზომიერებათა დახასიათებასთან ერთად, შესაბამისი კონკრე-ტული მასალის მეცნიერული გაანალიზებითა და მოვლენათა ისტორიულ ასპექტში განხილვით, ნაჩვენებია ხელსაყრელი ბუ-ნებრივი და ეკონომიკური პირობების ბაზაზე, ჩაის, ყურძნის ღვინის, შამპანურის, კონიაკის, ხილ-ბოსტნეულის კონსერვის, თამბაქოსა და მინერალური წყლების წარმოებაზე საქართვე-ლოს საერთო-საკავშირო სპეციალიზაცია და მისი მნიშვნელო-ბა მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლებისთვის.

აი, როგორი საგულისხმო ციფრები მოჰყავს აეტორს ნაშ-რომში. საქართველო, რომლის სვედრითი წილი სსრ კავშირ-ში ტერიტორიით 0,3%, მოსახლეობით 1,9% და კვების მრეწვე-ლობის მთლიანი პროდუქციით 2,5% არ აღემატება, ყოველწ-ლიურად სამუალოდ (1960-1962 წწ. მონაცემებით) აწარმოებს: პირველადი დამუშავების ბაიხაო ჩაის საერთო-საკავშირო წარმოების 95,5%, ღვინომასალის 9,7%, ყურძნის ღვინის 8 %, შამპანურის 16,7, კონიაკის 19,3%, ხილის კონსერვის 7,3%, ფერმენტირებული თამბაქოს 16,3% და მინერალური წყლების 19%. იმავე წლებში მოკავშირე რესპუბლიკებს შორის საქარ-თველოს ეჭირა მოსახლეობის 1 სულზე ჩაის, შამპანურისა და პაპიროსის წარმოებით პირველი, მინერალური წყლების ჩა-მოსხმით მეორე, ხოლო ყურძნის ღვინის, კონიაკის, ფერმენ-ტირებული თამბაქოსა და ხილის კონსერვის გამოშვებით — მესამე ადგილი. აღსანიშნავია, რომ 1960-1962 წწ. საქართვე-ლოში მოიხმარებოდა ქართული ბაიხაო ჩაის 0,3%, სახელმწი-ფოებრივი წარმოების ყურძნის ღვინის — 49,1%, შამპანურის — 24,4%, კონიაკის — 28,9%, სილ-კენკროვანთა მაღალხარისხო-ვანი კონსერვების — 3,6% და მინერალური წყლების — 38%, დანარჩენი კი, შრომის ტერიტორიული დანაწილების შესაბა-მისად, რესპუბლიკის ფარგლებიდან გადიოდა და გარე მომს-მარებლის მოთხოვნილებას აკმაყოფილებდა.

შრომის საერთო-საკავშირო დანაწილებაში საქართველოს კვების მრეწველობის ადგილისა და ხალხის კეთილდღეობის ამაღლებაში მისი როლის გარკვევა მრავალმხრივ საინტერესო და სასარგებლოა. მაგრამ უფრო მნიშვნელოვანია შრომის რაიონთაშორის დანაწილებაში საქართველოს კვების მრეწველობის შედარებითი ეკონომიკური ეფექტიანობისა და მისი ამაღლების საკითხთა გაშუქება, რომელსაც ეძღვნება ნაშრომის მეორე ნაწილი. ავტორი სწორედ ამ ნაწილში ავლენს განსაკუთრებით ფართო ერუდიციას და მოელენათა არსში ღრმად წვდომის უნარს.

არგუმენტირებულია მსჯელობა იმაზე, რომ წარმოების ტერიტორიული ორგანიზაციის შედარებითი ეკონომიკური ეფექტიანობის განსაზღვრა შეუძლებელია მთლიანი პროდუქციიდან გამომდინარე მაჩვენებელთა მიხედვით: შრომის მწარმოებლურობა, მთლიანი პროდუქციის გამომუშავება ძირითადი წარმოებრივი ფონდების 1 მანეთზე, 1 მანეთ საქონლურ პროდუქციაზე დანახარჯები და სხვ. შემდეგ, ცალკეულ შემთხვევათა გარდა, შეუდარისია აგრეთვე, თუნდაც ერთნაირი სახეობის, მაგრამ სხვადასხვა რაიონში წარმოებული პროდუქციის თვითღირებულების მაჩვენებელი; დასასრულ, ამ დანიშნულებით გამოუსადეგარია პროდუქციის თვითღირებულებასთან მოგების შეფარდებით მიღებული წარმოების რენტაბელობის მაჩვენებელიც. ეს იმიტომ, რომ სხვადასხვა რესპუბლიკასა და ეკონომიკურ რაიონში, ადგილობრივი კონკრეტული პირობების შესაბამისად, დიფერენცირებულია საბითუმო ფასები და წმინდა შემოსავალი მოგებად და ბრუნვის გადასახადად სხვადასხვა პროპორციით იყოფა. მაგალითად, როგორც ავტორი წერს, საქართველოსთვის ისეთი საბითუმო ფასებია დაწესებული, რომ აქ პირველადი დამუშავების ბაიხაო ჩაისა და ფერმენტირებული თამბაქოს პროდუქციის ერთეულზე მოგება შედარებით მცირეა, ვინემ სხვა რესპუბლიკებში. ამიტომ მოკავშირე რესპუბლიკებს შორის საქართველო წმინდა შემოსავლის მხოლოდ ნაწილის (მოგების) საფუძველზე გაანგარიშებული ჩაის წარმოების რენტაბელობით უკანასკნელ (რსფსრ-სა და აზერბაიჯანის შემდეგ) და ფერმენტირებული

თამბაქოს წარმოებით მეოთხე (მოლდაველთის, ყაზახეთისა და უკრაინის შემდეგ) ადგილზე იმყოფება.

აქედან ლოგიკური დასკვნა ერთი შეხედვით ასეთია: ეკონომიკური ეფექტიანობის თვალსაზრისით ჩაისა და თამბაქოს წარმოების განვითარება თითქოს სხვა მოკავშირე რესპუბლიკებში უფრო მიზანშეწონილია, ვინემ საქართველოში, სინამდვილე კი საწინააღმდეგო სურათს წარმოგვიდგენს. ჩაისა და თამბაქოს პროდუქციის ერთეულზე წმინდა შემოსავალი საქართველოში გაცილებით მეტი იწარმოება, ვინემ სხვაგან და ამიტომ მთელი წმინდა შემოსავლის საფუძველზე გაანგარიშებული როგორც ჩაის, ისე ფერმენტირებული თამბაქოს რენტაბელობით მოკავშირე რესპუბლიკებს შორის საქართველოს პირველი ადგილი უჭირავს.

ყოველივე ამის გამო წარმოების ტერიტორიული ორგანიზაციის ეკონომიკური ეფექტიანობის განსაზღვრისთვის ავტორი, სოფლის მეურნეობრივი ნედლეულის გადამუშავებაზე დამყარებულ დარგთა სპეციფიკის გათვალისწინებით, ფორმულის სახით გვთავაზობს შედარებით სრულყოფილ მეთოდს. მისი არსი მდგომარეობს მოცემული სახეობის პროდუქციიდან მიღებული მთელი წმინდა შემოსავლის (საშემოსავლო გადასახადი, მოგება, ბრუნვის გადასახადი) შეფარდებაში ამ პროდუქციის წარმოებასა და რეალიზაციაზე გაწეულ დანახარჯებთან, გამოხატული პროცენტობით.

მეჩაიეობაში, მევენახეობაში, მეხილეობასა და მეთამბაქოეობაში წარმოების დანახარჯთა შემცირების საკითხებს ნაშრომში დიდი ადგილი აქვს დათმობილი. ეს კანონზომიერიცაა, რამდენადაც კვების მრეწველობის ხაზით ჩვენი რესპუბლიკა შრომის რაიონთაშორის დანაწილებაში, უწინარეს ყოვლისა, ჩაის მწვანე ფოთლის, ყურძნის, ხილისა და თამბაქოს წარმოებისთვის ხელსაყრელი პირობების საფუძველზე მონაწილეობს და ჩაის, ღვინის, ხილბოსტნეულის კონსერვისა და თამბაქოს ნაწარმის თვითღირებულებაში 80-90% ნედლეულს უჭირავს.

უკანასკნელ, მეშვიდე თავში განხილულია ჩაის, ღვინის, კონსერვის, თამბაქოს მრეწველობის ნედლეულის მრეწველური დამუშავებისა და მინერალური წყლების ჩამოსხმის ხარჯთა

შემცირების გზები. აღსანიშნავია, რომ ავტორი უყურადღებოდ არ ტოვებს წარმოების არცერთი სტადიის არცერთ უბანს და, დიდი სირთულისა და შრომატევადობის მიუხედავად, მთელი სიბეჯითით აელენს შრომის მწარმოებლურობის ამაღლებისა და პროდუქციის თვითღირებულების შემცირების რეზერვებს.

სარეცენზიო ნაშრომში საკმაოდ დასაბუთებული საქმიანი წინადადებები და რეკომენდაციებია წამოყენებული, რომელთა პრაქტიკული განხორციელება ხელს შეუწყობს წარმოების ეკონომიკური ეფექტიანობის ამაღლებას. მრავალთაგან მოვიყვანთ ერთ მაგალითს. ავტორის შეხედულებით, გაადგილების საერთოდ მიღებულ პრინციპებს ეწინააღმდეგება პაპიროსისა და სიგარეტის წარმოების მკვეთრად დაცილება მოხმარების რაიონებისგან და თამბაქოს ნაწარმის შორეულ მანძილზე გადაზიდვა. მაგალითად, ყოველწლიურად საქართველოში წარმოებული თამბაქოს ნაწარმის 65%-მდე რესპუბლიკის გარეთ (ძირითადად რსფსრ-ს აღმოსავლეთ რაიონებსა და ყაზახეთში) მოიხმარება. ასეთი პრაქტიკა, წერს ავტორი, იწვევს მატერიალური, ფინანსური და შრომითი რესურსების არარაციონალურ ხარჯვას და ზრდის პროდუქციის თვითღირებულებას, ვინაიდან, ჯერ ერთი, ქართული არომატული თამბაქო ძირითადად საკუპაჟე (გამაკეთილშობილებელ) საშუალებად გამოიყენება სსრ კავშირის თამბაქოს თითქმის ყველა ფაბრიკაში და გასაზიდი მოცულობით თამბაქოს ნაწარმის გამოშვებისთვის საქართველო იძულებული ხდება ნედლეული შემოზიდოს როგორც სხვა რესპუბლიკებიდან, ისე უცხოეთიდან. 1964 წ. ასეთნაირად შემოზიდული ნედლეულის ხვედრითი წონა 81% შეადგენდა; მეორე, საქართველოში შემოგვაქვს მუყაო, პაპიროსის საპილზე ქაღალდი, საღებავები, წებო, ტარის მასალა და სხვ., რომელთა დიდი ნაწილი, პაპიროსთან ერთად, კვლავ გაგვაქვს რესპუბლიკის ფარგლებიდან; მესამე, შორეულ მანძილზე გადაზიდვისას პაპიროსისა და სიგარეტის ხარისხი ზოგჯერ იმდენად ეცემა, რომ მისი გამოსწორება თითქმის შეუძლებელი ხდება; დასასრულ, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, პაპიროსის გადაზიდვისას ტრანსპორტის დატვირთვის კოეფიციენტი გაცილებით დაბალია, ვინემ ფერმენტირებული

თამბაქოს გადაზიდვის დროს, რის შედეგადაც პროდუქციის ერთეულზე ტრანსპორტის სარჯები იზრდება. ამ გარემოებათა გამო, ავტორს გაუმართლებლად მიაჩნია მომავალში საქართველოში თამბაქოს ნაწარმის გამოშვების მკვეთრი გადიდება.

ნაშრომში სწორადაა გაკრიტიკებული ჩაიზე, ღვინოზე, კონიაკსა და თამბაქოზე მოქმედი საბითუმო ფასები. ავტორის აზრით, ისინი ფაბრიკებს უმთავრესად შავი ბაიხაო ჩაისა და ისიც შედარებით დაბალი ხარისხის პროდუქციის წარმოებისკენ უბიძგებს, ვინაიდან მწვანე ბაიხაო ჩაისა და მაღალი ხარისხის პროდუქციის წარმოება საწარმოებს შედარებით მცირე მოგებას აძლევს. ამიტომ იგი გვთავაზობს ისეთი საბითუმო ფასების დაწესებას, რომლებშიც პროდუქციის სარისხობრივი განსხვავება სათანადოდ იქნება ასახული, ამასთან, უზრუნველყოფილი იქნება როგორც შავი, ისე მწვანე ბაიხაო ჩაის წარმოებით მიღებული ეკონომიკური ეფექტის ერთგვარი ნიველირება. შემდეგ, როგორც ჩანს, არასწორი საბითუმო ფასების მოქმედების გამო, „სამტრესტის“ ღვინის ქარხნები შემაგრებულ ღვინოზე 2-ჯერ და უფრო მეტ მოგებას ღებულობენ, ვინემ იმავე ოდენობის სუფრის მშრალ ღვინოზე, რაც აფერხებს ჩვენი მეღვინეობის მაპროფილებელი ნაწარმის გამოშვების გადიდებას. ავტორი აყენებს საკითხს ყურძნის ღვინის საბითუმო ფასების გადასინჯვის აუცილებლობაზე სუფრის მშრალ, განსაკუთრებით მშრალ სამარკო ღვინოებზე მისი გადიდების მიმართულებით.

ასეთივე მიმართულებით, და სავსებით მართებულად, აყენებს ავტორი ქართული თამბაქოს საბითუმო ფასების გადასინჯვის საკითხს, რამდენადაც ამ ფასების პირობებში საფერმენტაციო ქარხნები მოგებას მინიმალური რაოდენობით ღებულობენ, ზოგჯერ კი სამეურნეო წელს ზარალით ამთავრებენ და დეფიციტს ტრესტი „საქთამბაქო“ თამბაქოს ფაბრიკების მაღალმომგებიანობით ფარავს.

რეცენზიის მოცულობის შეზღუდულობა საშუალებას არ გვაძლევს შევეხოთ ნაშრომის სხვა მრავალ ღირსებას, მაგრამ, ეფიქრობთ, აღნიშნულიც საკმაოდ სრულ წარმოდგენას

იძლევა თემის ღრმად დამუშავებისთვის ავტორის მიერ წლების განმავლობაში გაწეულ ნაყოფიერ და შემოქმედებით შრომაზე, აზრთა შესანიშნავი წყობა, გადმოცემის მაღალი ოსტატობა, მეცნიერული აპარატურის კარგად მომარჯვება, გამართული ენა და სტილი – აი, კიდევ რა მატებს მიმზიდველობას მაღალ მეცნიერულ დონეზე შესრულებულ და როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული მნიშვნელობის მქონე ამ ნაწარმოებს. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ სარეცენზიო ნაშრომი ქართული ეკონომიკური მეცნიერების საუკეთესო შენაძენია.

პროფ. **აპოლონ ნუცუბიძე**

**P.S. რეცენზია წარმოდგენილია მცირეოდენი შემოკლებით. მისი სრული ტექსტი ინახება წიგნის ავტორის პირად არქივში, ხოლო რუსული ვარიანტი გამოქვეყნებულია გაზ. „ზარია ვოსტოკაში“ (იხ. „Заря востока“, №280 (12515), 27 ноября 1965 года).**

# 3. საინტერესო გამოკვლევა აქტუალურ პრობლემაზე

საზოგადოებრივი მეცნიერების არც ერთი დარგი არ იმყოფება ისე ორგანულ კავშირში სახალხომეურნეობრივ პრაქტიკასთან, განსაკუთრებით მის თანამედროვე ამოცანებთან, როგორც პოლიტიკური ეკონომია. ეკონომიკისა და მისი ცალკეული სფეროს განვითარება პოლიტიკური ეკონომიისა და საერთოდ, ეკონომიკური თეორიის ფუნდამენტურ დებულებებს ეყრდნობა. უკანასკნელ წლებში, მატერიალურ წარმოებასთან ერთად, სრულიად სამართლიანად, უაღრესად აქტუალური გახდა არამატერიალური წარმოების პოლიტეკონომიური ასპექტების შესწავლა. ეს გარემოება განაპირობა მომსახურების სფეროს განუხრელად ზრდამ და იმ დიდმა მნიშვნელობამ, რომელიც მას აქვს ქვეყნის ეკონომიკური პოტენციალის განვითარებასა და მთელი საზოგადოების მატერიალურ და კულტურულ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებაში.

ნაშრომთა ერთგვარი სიმრავლის მიუხედავად, არამატერიალური წარმოების სფეროს ფუნქციონირებისა და განვითარების ეკონომიკური, განსაკუთრებით პოლიტ-ეკონომიური პრობლემები სამეცნიერო ლიტერატურაში ჯეროვან დონეზე არაა შესწავლილი. ამ სერიოზულ ხარვეზს მნიშვნელოვანწილად ავსებს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის პროფესორ ლეო ჩიქავას საინტერესო მონოგრაფიული გამოკვლევა – „არამატერიალური წარმოების სფეროს პოლიტ-ეკონომიური ასპექტები“, თბ., 1987, 23,0 ნ. თ. გამომც. „მეცნიერება“, რომელიც მოცემულ საკითხზე ქართულად მონოგრაფიის სახით გამოცემული პირველი ნაშრომია.

კვლევის ძირთადი ობიექტის განხილვისას ავტორი კარგად იყენებს ისტორიულისა და ლოგიკურის ერთიანობის მეთოდს და თანამიმდევრულად გადმოგვცემს საქმიანობის სხვადასხვა სფეროში დახარჯული შრომის ეკონომიკური ბუნების თაობაზე შეხედულებებს ადრეული ეპოქებით დაწყებული დღემდე. წიგნის შინაარსის და უაღრესად მდიდარი მეცნიერული

აპარატურის გაცნობა მკითხველს ნათლად არწმუნებს იმაში, რომ მის ავტორს კოლოსალური შრომა გაუწევია საკვლევი პრობლემის გარშემო არსებული დიდძალი ლიტერატურული წყაროების შესწავლის, მეცნიერული გაანალიზებისა და კრიტიკული განსილვისთვის. მასში შეჯამებულია მეცნიერული აზრის მიღწევები მოცემულ საკითხზე და შემოთავაზებულია რიგ შემთხვევაში ფრიად ორიგინალური ავტორისეული შეხედულებანი, რომელთაც პრობლემის მეცნიერული დამუშავების თვალსაზრისით დიდი მნიშვნელობა აქვს.

სარეცენზიო ნაშრომი თავიდან ბოლომდე პოლემიკური ხასიათისაა, რაც მას წასაკითხად კიდევ უფრო მიმზიდველსა და საინტერესოს ხდის. იგი არ ერიდება ავტორიტეტებს, ეკამათება როგორც ქართველ, ისე ცნობილ რუს ავტორებს და გვთავაზობს საკუთარ მოსაზრებებს, რომელთა დიდმნიშვნელოვანი ნაწილი, ჩვენი აზრით, ნამდვილად ანგარიშგასაწევი, მეცნიერულად არგუმენტირებული და მისაღებია.

ეკონომიკურ ლიტერატურაში დღესაც ურთიერთსაწინააღმდეგო შეხედულებების არსებობის მიუხედავად, ვფიქრობთ, ავტორი (წარმოების საზოგადოებრივი ფორმისგან დამოუკიდებლად) მწარმოებლური და არამწარმოებლური შრომის ერთიმეორისგან გამიჯვნის მთავარ კრიტერიუმად სწორად თვლის იმას, უშუალოდ თუ არაპირდაპირ მონაწილეობს იგი ღირებულების შექმნაში[1]. ამ „კომპასის" გამოყენებითაა განხილული ნაშრომში მწარმოებლური და არამწარმოებლური შრომის არსი, აგრეთვე სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგსა და სფეროში (ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა, საქონელმიმოქცევა, საბინაო კომუნალური მეურნეობა, მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურება, მეცნიერება და მეცნიერული მომსახურება, სახალხო განათლება, ჯანმრთელობის დაცვა, მართვა, პირადი დამხმარე მეურნეობა) დასარჯული შრომის ეკონომიკური ბუნება.

---

[1] ბუნებრივია, რეცენზენტები განსახილველ მონოგრაფიას აფასებენ ეკონომიკური მეცნიერების განვითარების იმ დროისთვის მიღწეული დონის მიხედვით. ამჟამად, მეპ-ისა და მმპ-ის მაკროეკონომიკური მაჩვენებლების პრაქტიკაში დანერგვასთან დაკავშირებით, საერთოდ მოკლებულია საფუძველს მწარმოებლურ და არამწარმოებლურ შრომად დაყოფა – რედ. შენიშვნა.

ნაშრომში რამდენადმე ორიგინალურადაა წარმოდგენილი არაწარმოებითი სფეროს დარგთა კლასიფიკაცია. მაგ., მოსახლეობის პირადი მოხმარების ფონდის ფორმირებაში მონაწილეობის თვალსაზრისით იგი არაწარმოებითი სფეროს დარგებს ყოფს ორ ჯგუფად და პირველში თავს უყრის იმ დარგებს (სახალხო განათლება, ჯანდაცვა, მეცნიერება, კულტურა, ხელოვნება, სამგზავრო ტრანსპორტი, ვაჭრობა და სხვ.), რომლებიც ქმნიან გარკვეულ სახმარ ღირებულებას და ზრდიან მოსახლეობის პირადი მოხმარების ფონდს, ხოლო მეორეში დარგებს – საქმიანობის სახეობებს (საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა, პროკურატურისა და სასამართლო ორგანოების სისტემა, სახელმწიფოებრივი უშიშროების უზრუნველყოფა, სახელმწიფოებრივი კონტროლი, ქვეყნის თავდაცვა და სხვ.), რომლებიც მხოლოდ ხელს უწყობენ მოსახლეობის პირადი მოხმარების ფონდის ფორმირებას. პირველი ჯგუფის დარგთა ერთობლიობას მონოგრაფიის ავტორი არამატერიალური წარმოების სფეროს უწოდებს, ამითაა განპირობებული წიგნის სახელწოდებაც.

ჩვენი აზრით, ასეთ დაყოფას, თეორიულ ასპექტთან ერთად, გარკვეული პრაქტიკული მნიშვნელობაც აქვს.

საკამათოა, მაგრამ ყურადსაღებია სარეცენზიო ნაშრომში პირველად გამოთქმული მოსაზრება იმის შესახებ, რომ „შრომას, რომელიც არ ქმნის ახალ პროდუქტს, მატერიალურ დოვლათს, მაგრამ ზრდის წინათ შექმნილი პროდუქტის (საქონლის) ღირებულებას და ამით გარკვეული წვლილი შეაქვს ქვეყნის ეროვნული შემოსავლის გადიდებაში, შეიძლება ეწოდოთ ნახევრადმწარმოებლური შრომა“ (გვ. 67). ამით ნაშრომში საკითხი კი არაა დასმული საერთოდ მწარმოებლური შრომიდან მისი გამორიცხვის თაობაზე, არამედ ხაზგასმულია ერთგვარი თავისებურება, რომელიც მას რამდენადმე განასხვავებს მატერიალური წარმოების ძირითად დარგებში (მრეწველობა, სოფლის მეურნეობა, მშენებლობა) დახარჯული მწარმოებლური შრომისგან.

სარეცენზიო ნაშრომის ერთ-ერთ მთავარ ღირსებად ვთვლით არამატერიალური წარმოების სფეროში ეკონომი-

კურ ურთიერთობათა არსებობის, ეკონომიკური კანონების მოქმედებისა და მისთვის დამახასიათებელ თავისებურებათა განხილვას, რომელიც განსაკუთრებულ აქტუალურობას იძენს ამჟამად — ეკონომიკის მართვის რადიკალური გარდაქმნის პირობებში არამატერიალური წარმოების სფეროს ძირეული რგოლების — დაწესებულებებისა და ორგანიზაციების მნიშვნელოვანი ნაწილის თვითანაბღალურებასა და თვითდაფინანსებაზე გადაყვანასთან დაკავშირებით. ავტორის შეხედულებით, **„არამატერიალური წარმოების სფეროს ეკონომიკური ურთიერთობანი ეს არის ურთიერთობა ადამიანთა შორის, რომელიც აღმოცენდება არამატერიალური დოვლათის წარმოების, გაცვლის, განაწილებისა და მოხმარების, აგრეთვე, საქმიანობის ურთიერთგაცვლის გზით. მატერიალური დოვლათის განაწილებისა (გადანაწილების) და მოხმარების პროცესში. იგი, წარმოგვიდგება რა არამატერიალური დოვლათის წარმოების, განაწილების, გაცვლისა და მოხმარების ურთიერთობათა სახით, შედის მოცემული საზოგადოების ეკონომიკურ ურთიერთობათა სისტემაში“** (გვ, 159).

მთელ რიგ მეცნიერულ სიახლეებს შეიცავს გამოკვლევის ის ნაწილი, რომელშიც საფუძვლიანადაა განხილული არამატერიალური წარმოების სფეროს სოციალურ-ეკონომიკური ეფექტიანობის არსი, კრიტერიუმი, მაჩვენებლები და მათი გაანგარიშების მეთოდოლოგიური საფუძვლები; არამატერიალური წარმოების დარგთა როლი მატერიალური წარმოების ეკონომიკური ეფექტიანობის ამაღლებაში; არამატერიალური წარმოების სფეროს ეფექტიანობის ამაღლების გზები და რეზერვები, რომელთა გათვალისწინებასა და პრაქტიკულ რეალიზაციას შეუძლია მნიშვნელოვანი სარგებლობა მოუტანოს ქვეყნის სახალხო მეურნეობას.

დასასრულს, ნაშრომის მდიდარი ფაქტობრივი მასალის გაანალიზება-განზოგადების საფუძველზე განხილულია არამატერიალური წარმოების სფეროს განვითარების ტენდენციები და პერსპექტივები. ნაშრომის ამ ნაწილში გაკეთებულია ასეთი საყურადღებო დასკვნა: “. . . **მატერიალურ წარმოებასთან შედარებით, არამატერიალური წარმოების (მომსახურების)**

**სფეროს უპირატესი განვითარება რაიმე დროებითი ან შემთხვევითი პროცესი კი არა, თანამედროვე ეპოქის ერთ-ერთი ძირითადი დამახასიათებელი ტენდენციაა. იგი გამოხატავს ადამიანთა ნებისა და სურვილისგან დამოუკიდებლად მიმდინარე სოციალურ-ეკონომიკურ მოვლენებსა და პროცესებს შორის მყარ, მუდმივგანმეორებად, შინაგან მიზეზ-შედეგობრივ არსებით კავშირებს, ამიტომ იგი, ჩვენი აზრით, საერთო ეკონომიკური კანონის სტატუსით წარმოგვიდგება, რომლის მოქმედებისა და გამოყენების მექანიზმი თითოეულ საზოგადოებრივ-ეკონომიკურ წყობილებაში განსხვავებულია"** (გვ. 318).

ამრიგად, სარეცენზიო ნაშრომის სახით საქმე გვაქვს ხანგრძლივი და მაღალსაყოფიერი კვლევა-ძიების საფუძველზე ღრმამეცნიერულად დაწერილ მონოგრაფიულ გამოკვლევასთან. იგი ქართული ეკონომიკური ლიტერატურის კარგი შენაძენია. ეს ერთსმად იქნა აღიარებული ამ წიგნის საჯარო განხილვაზე, რომელიც ამასწინათ მოაწყვეს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტმა, ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკური პრობლემების საკოორდინაციო სამეცნიერო საბჭომ, ეკონომისტთა საზოგადოებამ და წიგნის მოყვარულთა საზოგადოებამ.

გვინდა მივუთითოთ ზოგიერთ ხარვეზზეც. ნაშრომი მოიგებდა მასში უფრო ვრცლად რომ ყოფილიყო წარმოდგენილი ჩვენს რესპუბლიკაში არაწარმოებრივი სფეროს დარგობრივი სტრუქტურის თავისებურებანი, რომელიც დაკავშირებულია სპეციფიკური ბუნებრივი პირობების არსებობის გამო ტურიზმის, საკურორტო მეურნეობის, ფიზიკური კულტურისა და მათი მომსახურე დარგების შედარებით სწრაფი ტემპებით განვითარებასთან.

დაზუსტებას საჭიროებს ღებულება იმის თაობაზე, რომ ეკონომიკური ურთიერთობანი არაწარმოებრივ სფეროში მხოლოდ საერთო-სახალხო საკუთრებას ემყარება (გვ. 159); გაუგებარია, თუ რატომ შეაქვს ავტორს საბინაო-კომუნალური მეურნეობა (მთლიანად) არაწარმოებრივ სფეროში? (გვ. 152).

საკამათო ნაშრომში სხვაც ბევრია, მაგრამ არსებითი ხასიათის ნაკლი მასში არ შეიმჩნევა. ამასთან, აღსანიშნავია, რომ იგი დაწერილია დახვეწილი, გამართული ქართული ენით. აზრი ჩამოყალიბებული და გადმოცემულია საკმაოდ ლაკონურად, რაც ნაშრომის კიდევ ერთ მნიშვნელოვან ღირსებად უნდა ჩაითვალოს.

მართალია, წიგნს თანდართული აქვს ვრცელი (14 გვერდზე) რუსული რეზიუმე, მაგრამ დასანანია, რომ მას სრულად ვერ გაეცნობა ქართული ენის არმცოდნე მკითხველი. მონოგრაფიის რუსულ ენაზე გადათარგმნა მკითხველთა ფართო წრეს წარმოუჩენს ამ რთულ, საინტერესო და სადისკუსიო პრობლემაზე ეკონომიკური აზრის განვითარების სოლიდურ დონეს საქართველოში.

აკად. ა. გუნია
პროფ. გ. ადეიშვილი

**რეცენზია მცირეოდენი შემოკლებით დაიბეჭდა გაზ. „კომუნისტში“ 1988 წლის 5 აპრილს, № 79 (20120).**

# 4. რეცენზია

*ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორის, საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტის ლეო ჩიქავას ნაშრომზე: „ეკონომიკური თეორიის მოკლე კურსი“, თბ., 1997.*

სავსებით ვიზიარებ და ვუერთდები ავტორის მიერ ნაშრომის პირველ თავშივე განსილულ მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ „არაა აუცილებელი ინჟინერი იმაეე დროს რთულ ნეიროქირურგიულ ოპერაციებს აკეთებდეს ან ექიმს, თავისი პროფესიონალური მოეალეობის შესრულებასთან ერთად, შეეძლოს ბირთვული ფიზიკის პრობლემების გადაჭრა, მაგრამ თანამედროვე ეკონომიკის, ყოველ შემთხვევაში მისი საფუძვლების, ცოდნა საზოგადოების თითოეული წევრისთვის, თუ მას საზოგადოების ეკონომიკური ცხოვრების ლაბირინთებში ბრმად ხეტიალი არ სურს, საჭირო და აუცილებელია“.

დიახ, ეს სრული ჭეშმარიტებაა, მით უმეტეს საბაზრო ეკონომიკის პირობებში, რომლის საწყისებზე გადასელას ახლა ვახორციელებთ. თუნდაც მინიმალური ეკონომიკური განათლება რომ ჰქონოდათ, სამიოდე წლის წინათ საქართველოს მთელი რიგი მოქალაქეები ანკესზე არ წამოეგებოდნენ და თავიანთ დანაზოგებს ეგრეთწოდებულ შემნახველ ბანკებში არ შეიტანდნენ ყოველწლიურად 350-400%-ის ოდენობით სარგებლის მიღების მიზნით, იმ უბრალო ჭეშმარიტების გამო, რომ ასეთი რამ პრაქტიკულად შეუძლებელია.

სარეცენზიო ნაშრომის გულდასმით გაცნობამ დამარწმუნა იმაში, რომ იგი შესრულებულია თანამედროვე მსოფლიო ეკონომიკური მეცნიერების მიღწევების დონეზე და მისი გამოქვეყნება უდაოდ გაამდიდრებს ქართულ ეკონომიკურ ლიტერატურას. რომ ეს ასეა, ჩანს თუნდაც „ეკონომიკის“ როგორც მეცნიერებისა და სასწავლო დისციპლინის ავტორისეული განმარტებიდან. იგი წერს: „თანამედროვე გაგებით, შეზღუდული

რესურსების პირობებში მაქსიმალური შედეგიანობის მისაღწევად ოპტიმალური არჩევანის შესახებ მეცნიერებას ეკონომიკა ეწოდება. მისი მთავარი ამოცანაა წარმოების ფაქტორთა განაწილების ყველაზე ეფექტური გზის შერჩევა და ადამიანთა საზოგადოების განუსაზღვრელ მოთხოვნილებასა და რესურსების შეზღუდულობას შორის წარმოქმნილი წინააღმდეგობის დაძლევა".

ნაშრომის მთელი შინაარსი ამ სახელმძღვანელო დებულებას ემყარება, რაც საკვლევით კანონზომიერია.

ნაშრომის დიდ ღირსებად მიმაჩნია ეკონომიკური მეცნიერების თვით კარდინალური (ურთულესი) საკითხებისაც კი ლაკონურად, პოპულარული და მისი შესწავლის დამწყებთათვის ადვილად გასაგები ენით გადმოცემა. როგორც ჩანს, ამ საქმეში ავტორს ძალიან გამოადგა ახალგაზრდობასთან მუშაობის მდიდარი (45 წლიანი) პედაგოგიური გამოცდილება (მათ შორის 15 წლის მანძილზე პოლიტიკური ეკონომიის კათედრის გამგეობა).

უაღრესად საინტერესო, ორიგინალური და მიმზიდველია მკითხველისთვის მასალის მიწოდების მეთოდიკა, რომელსაც ავტორი იყენებს. საკითხთა მნიშვნელოვანი ნაწილის განხილვისას იგი მიმართავს მკითხველებს, თითქოს ესაუბრება მათ. დიალოგის ეს ფორმა ხელს უწყობს ავტორსა და მკითხველს შორის მჭიდრო კონტაქტის დამყარებას და შესასწავლი მასალის საფუძვლიანად ათვისებას. ამ მიმართულებით ნაშრომის ასევე ფრიად დადებით მხარედ მიგვაჩნია ისეთი პედაგოგიური ხერხების გამოყენება, როგორიცაა ყოველი თემის დასასრულს თვითსაკონტროლო კითხვებისა და საკურსო ნაშრომების სანიმუშო თემატიკის თანდართვა.

ჩვენი აზრით, განსახილველი ნაშრომის ერთ-ერთი მთავარი ღირსება ისაა, რომ იგი დაწერილია არა აბსტრაქტულად (განყენებულად) ან მხოლოდ განვითარებული საბაზრო ეკონომიკის ქვეყნების მდიდარი გამოცდილების თაობაზე მაგალითების მოშველიებით, არამედ საქართველოს დღევანდელი ეკონომიკური ცხოვრების გათვალისწინებით, მისი სპეციფიკისა და თავისებურებათა მხედველობაში მიღებით. ამის უალ-

რესად დიდ პრაქტიკულ მნიშვნელობას ესედაეთ იმაში, რომ იგი საგრძნობლად გააადვილებს ჩვენი ახალგაზრდობის მომწიფებულად და მიზანსწრაფულად ჩაბმას ქვეყნის აქტუალური ცხოვრების სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების გადაჭრაში.

ჩემდა საბედნიეროდ, ამ ნაშრომს ავტორის თხოვნით უფრო ადრე გავეცანი, ვინემ ოფიციალურად გადმომეცემოდა სარეცენზიოდ. მაშინ გამოვთქვი ცალკეული, არაარსებითი, ძირითადად რედაქციული ხასიათის შენიშვნები, რომელთა ნაწილი გაიაზრა და გაითვალისწინა კიდეც ავტორმა. ასე რომ საბოლოო ვარიანტის მიმართ არავითარი შენიშვნა არა მაქვს.

**დასკვნა:** არა მარტო მსარს ვუჭერ, არამედ მთელი შეგნებით მივესალმები (თუ ეს მოხერხდება) ამ მაღალკვალიფიციურად შესრულებული ნაშრომის უმაღლესი სკოლის სტუდენტებისთვის დამხმარე სახელმძღვანელოდ გამოცემას. თუმცა, ამ ეტაპზე მას მნიშვნელოვანი სარგებლობის მოტანა შეუძლია არა მარტო სტუდენტებისთვის, არამედ ეკონომიკური თეორიის დაუფლებით დაინტერესებული ყველა ქართველი მკითხველისთვის, რაც, ჩემი აზრით, ნაკლად კი არა, მის გამორჩეულ ღირსებად უნდა ჩაითვალოს.

პროფ. **რევაზ კაკულია**
10.02.1997.

# 5. რეცენზია

## საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტის, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის ლეო ლეონტის ძე ჩიქავას ნაშრომზე: „ეკონომიკური თეორიის მოკლე კურსი“

საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლა, სხვა მნიშვნელოვან კომპონენტებთან ერთად, ეკონომიკური ცოდნის გარკვეულ (თუნდაც მინიმალურ) დონეს მოითხოვს. ეს მსოფლიო პრაქტიკით დადასტურებული ჭეშმარიტებაა. თუ ბიზნეს-საქმიანობას კიდებ ხელს, მაგრამ მის არსში ჩახედული არა ხარ (მით უმეტეს, თუ ელემენტარული საკითხებიც არ გესმის), მოქმედებ ბრმად, სტიქიურად და წარუმატებლობა უფრო მოსალოდნელია, ვინემ წარმატებები და გამარჯვება. აი, რატომ დგება დღის წესრიგში ესოდენ აქტუალურად ეკონომიკური ცოდნის დონის ამაღლების საკითხი, განსაკუთრებით და უწინარეს ყოვლისა სტუდენტი-ახალგაზრდობის წინაშე, ე.ი. საზოგადოების იმ ნაწილის წინაშე, რომელიც ხვალ-ზეგ მთელი ძალით ჩაებმება შრომით საქმიანობაში და თავის მხრებზე აიღებს ქვეყნის მეურნეობრივი განვითარებისა და წინსვლის სიმძიმეს.

ამ თვალსაზრისით ფრიად დადებით მოვლენად მიჯვაჩნია ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორის, რესპუბლიკის ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტის ლეო ჩიქავას ზედმიწევნით ფაქიზად და მაღალ დონეზე შესრულებული ნაშრომი: **„ეკონომიკური თეორიის მოკლე კურსი“**, რომელიც გამომცემლობა „სიახლემ“ გადმომცა სარეცენზიოდ.

ნაშრომი შედგება 16 თავისგან. თითოეული თავი დაყოფილია პარაგრაფებად. ყველა თავს დართული აქვს თვითსაკონტროლო კითხვები, რომელთა მიხედვით მკითხველს შეუძლია არა მარტო პასუხების პოვნა ტექსტში, არამედ მასალის ათვისების შემოწმებაც.

სასწავლო კურსში თემები, სოლო თითოეულ მათგანში

საკითხები დალაგებული და გაშუქებულია ლოგიკური თანმიმდევრულობით. საკითხების განხილვისას გამოყენებულია პუნქტებად ჩამოყალიბების პრინციპი. ასეთი მიდგომითაა განხილული ამა თუ იმ ეკონომიკური მოვლენისა და პროცესის ძირითადი ნიშნები, კანონზომიერებები, მიზნები, ამოცანები, პრინციპები, ფუნქციები და ა.შ., რაც ააღვილებს მათ დამახსოვრებას.

სარეცენზიო ნაშრომში სრულყოფილად და ჯეროვან დონეზეა განხილული კურსის ისეთი უმნიშვნელოვანესი საკითხები, როგორიცაა: ეკონომიკური თეორიის საგანი და მეთოდი, ზოგადი ეკონომიკური თეორიის (პოლიტიკური ეკონომიის) ადგილი და როლი საზოგადოებრივ მეცნიერებათა სისტემაში, საბაზრო ეკონომიკის საფუძვლები, რეგულირებადი საბაზრო ეკონომიკა, მოთხოვნისა და მიწოდების კანონები, ფასწარმოქმნა, მომხმარებლის ადგილი საბაზრო ურთიერთობათა სისტემაში, ბიზნესის ორგანიზაციული ფორმები და ფინანსური უზრუნველყოფა, მარკეტინგისა და მენეჯმენტის არსი, კონკურენცია საბაზრო ურთიერთობათა სისტემაში, მაკროეკონომიკურ მაჩვენებელთა სისტემა. კიდევ უფრო ვრცლად და მეტი სისრულითაა წარმოდგენილი: ფულად-საკრედიტო სისტემა, სახელმწიფო ბიუჯეტი და საგადასახადო სისტემა, უმუშევრობა და ინფლაცია, საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობანი, მოსახლეობის ცხოვრების დონე და მისი ეკონომიკურ მაჩვენებელთა სისტემა. თითოეული მათგანის არსი ახსნილია ცხოვრებისეული კონკრეტული მაგალითების მოშველიებით, რომლებიც აღებულია ძირითადად ჩვენი ქვეყნის სინამდვილიდან. ეკონომიკური ტერმინების მნიშვნელოვანი ნაწილი, როცა ისინი პირველად მოიხსენიება ტექსტში, იქვეა ახსნილი, რაც დამწყებ მკითხველს უადვილებს მიწოდებული მასალის ათვისებას.

ნაშრომის დადებით მხარეებს შორის არ შეიძლება არ მოვიხსენიოთ ისიც, რომ მასში, ჩვეულებრივი მეცნიერული ნაშრომისა და მონოგრაფიული გამოკვლევის ტექსტისგან განსხვავებით, გამოყენებულია დიალოგის მეთოდი: აეტორი მიმართავს მკითხველს, აიყოლიებს მას და მასთან მჭიდრო

კონტაქტში (სათანადო კონკრეტული მაგალითების მოშველიებით) სსნის თითოეული განსახილველი საკითხის არსს. ეს შესანიშნავი პედაგოგიური ხერხია, რომლის გამოყენება ყველას როდი ძალუძს. ამისათვის საჭიროა მდიდარი პრაქტიკული გამოცდილება, რომელიც უხვად აქვს წინამდებარე ნაშრომის ავტორს.

ორიოდე რედაქციული ხასიათის ხარვეზის თაობაზე მითითებულია ტექსტში. ნაშრომი საერთოდ კარგი ქართული ენითაა დაწერილი და ინტერესით იკითხება.

ყოველივე ზემოაღნიშნული და სხვა დადებითი მომენტები (რომელთა შესახებ აქ ვერ შევჩერდით) სრულ საფუძველს გვაძლევს დავასკვნათ, რომ ლ. ჩიქავას ნაშრომი – „ეკონომიკური თეორიის მოკლე კურსი“ – საესებით აკმაყოფილებს ამგვარი შრომისადმი წაყენებულ მოთხოვნებს და, ჩვენი ღრმა რწმენით, იგი დიდ სარგებლობას მოუტანს ყველას, ვინც იწყებს ეკონომიკური თეორიის შესწავლას, პირველ რიგში სტუდენტ-ახალგაზრდობას.

**თ. ბერიძე**
ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი,
ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის
აკადემიკოსი
10.05.1997

# 6. ეკონომიკური თეორიის მნიშვნელოვანი შენაძენი

საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლა არსებითად ცვლის ეკონომიკურ აზროვნებას, განაპირობებს მსოფლმხედველობის ახლებურ ჩამოყალიბებას. ახალი ეკონომიკური აზროვნების ჩამოყალიბება კი შეუძლებელია ცივილიზებული ეკონომიკის შესწავლის გარეშე, რაშიც თავისი როლი ეკონომიკის ზოგადმა კურსმა – ეკონომიკურმა თეორიამ უნდა შეასრულოს, რომელიც უბრალოდ თეორიული კვლევის საგანი კი არა, არამედ რეალურ ცხოვრებასთან მჭიდროდ დაკავშირებული ცოცხალი მეცნიერული დისციპლინაა.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, ეკონომიკურ თეორიაში ყოველი ახალი სახელმძღვანელოსა თუ დამხმარე სახელმძღვანელოს გამოქვეყნება ცხოველ ინტერესს იწვევს. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ ლეო ჩიქავას დამხმარე სახელმძღვანელო – **„ეკონომიკური თეორიის მოკლე კურსი“**. აღნიშნული ნაშრომის მთავარი ღირსება ისაა, რომ იგი თავისუფალია გადაჭარბებული იდეოლოგიზაციისა და მოძველებული დოგმებისგან. პოლიტიკური ეკონომიის ფორმაციულ განხილვაზე უარის თქმამ საშუალება მისცა ავტორს შეექმნა პრინციპულად ახალი სტრუქტურა, რომელიც საკითხთა ფართო წრეს მოიცავს და მთლიანად პასუხობს თანამედროვე ცივილიზებული საბაზრო ეკონომიკის მოთხოვნებს.

დამხმარე სახელმძღვანელოში, გარდა იმისა, რომ მასში დიდი პედაგოგიური ოსტატობით არის გადმოცემული სახელმძღვანელო დებულებები, რაც სავსებით კანონზომიერად მიგვაჩნია, ვინაიდან ბატონი ლეო კიდევ სხვა რამდენიმე დამხმარე სახელმძღვანელოს ავტორი და თანააავტორია, მკითხველი მათში იპოვის პასუხს მრავალ სადღეისო მწვავე პრობლემა-

ზე: როგორ „ვუმკურნალოთ“ ჩვენს „დაავადებულ ეკონომიკას“, რა როლი უნდა შეასრულოს ეკონომიკურმა თეორიამ ქვეყნის მდგომარეობის აღეკვატური ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავებასა და ღრმა ეკონომიკური კრიზისიდან გამოყვანაში და ა.შ.

აღნიშნული დამხმარე სახელმძღვანელოს უღიდეს ღირსებას წარმოადგენს ის, რომ იგი კი არ იმეორებს ტრადიციული პოლიტიკური ეკონომიის კურსს, არამედ ახლოს დგას თანამედროვე ეტაპზე მსოფლიოში „ეკონომიკის“ სახელწოდებით ცნობილ კურსთან და ძირითადად აშუქებს საბაზრო ეკონომიკის თეორიულ ასპექტებს.

წიგნში ეკონომიკური თეორიისა და პრაქტიკის თანამედროვე მიღწევების საფუძველზე განხილულია ეკონომიკური თეორიის საგანი და მეთოდი, მისი ადგილი და როლი ეკონომიკურ მეცნიერებათა სისტემაში. დახასიათებულია საბაზრო ეკონომიკის იდეალური მოდელი და რეალურად ფუნქციონირებადი, სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკა. ნაშრომში თვალსაჩინო ადგილი ეთმობა მოთხოვნისა და მიწოდების კანონენსა და ფასწარმოქმნას, წინა პლანზეა წამოწეული მოხმარების როლი საბაზრო ეკონომიკაში, გაშუქებულია ბიზნესის არსი, ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმები და ფინანსური უზრუნველყოფის, მარკეტინგისა და მენეჯმენტის საკითხები, გაანალიზებულია ფულად-საკრედიტო და ფინანსურ-საგადასახადო სისტემები, უმუშევრობისა და ინფლაციის პრობლემები, ცხოვრების დონე და მისი სოციალურ-ეკონომიკური მაჩვენებლები.

ავტორის სასარგებლოდ უნდა ითქვას ისიც, რომ ბევრი ახალი ტერმინი, რომელიც საბაზრო ეკონომიკასთან არის დაკავშირებული, განმარტებულია მკითხველთათვის გასაგები ენით. თეორიული საკითხების არსში ღრმად ჩაწვდომისა და უკეთ გარკვევის მიზნით, ნაშრომში მოტანილია ფაქტობრივი მონაცემები და კონკრეტული ცხოვრებისეული მაგალითები.

ნაშრომში ცალკეული საკითხების გაშუქებისას გამოკვეთილია ავტორისეული პოზიცია, რაც კიდევ უფრო საინტერესო-

სა და ორიგინალურს ხდის სასელმძღვანელოს. ყოველივე ეს მნიშვნელოვანწილად პოლიტიკურ-იდეოლოგიური „მარწუხებისგან“ თავისუფალ მეცნიერულ აზროვნებაზე გადასვლის შედეგია. ნაშრომი მრავალმხრივ საინტერესოა არამარტო სწაულული ეკონომისტებისა და სტუდენტი ახალგაზრდობისთვის, არამედ მკითხველთა ფართო წრისთვისაც, განსაკუთრებით იმათთვის, ვინც დაინტერესებულია ბიზნესით.

პროფესორი **შოთა დათუსანი**
დოცენტი **ბიძინა ურუშაძე**
ის. გაზ. „გელათი“, № 4, დეკემბერი, 1997 წელი.

# 7. დასკვნა

## ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ ლეო ჩიქავას გამოქვეყნებულ მეცნიერულ ნაშრომებზე

პროფ. ლ. ჩიქავამ პირველი მეცნიერული ნაშრომი – **„სსრ კავშირის ეკონომიკური საფუძველი"** – ჯერ კიდევ სტუდენტობის პერიოდში – 1950 წელს გამოაქვეყნა. ეს ნაშრომი, რომლითაც იხსნება "სტუდენტთა სამეცნიერო შრომების კრებული", წიგნი V, თბ., 1950, წარმოადგენდა ავტორის მიერ თავდაპირველად სტუდენტთა საუნივერსიტეტო და რესპუბლიკურ კონფერენციებზე გაკეთებული და კონკურსში გამარჯვებული მოხსენების გაშლილ ტექსტს. იმის გამო, რომ აღნიშნულ ნაშრომში იგრძნობოდა პოლიტიკური ეკონომიის ესოდენ რთული თეორიული საკითხის რამდენადმე ავტორისეული მიდგომით გაშუქება, მის გამოქვეყნებას შუამდგომლობა გაუწიეს და დადებითი დასკვნა მისცეს პროფესორებმა ს. ბერაძემ, ი. ბაჯაძემ და ი. კოდუამ.

1950 წლიდან დღემდე პროფ. ლ. ჩიქავამ გამოაქვეყნა (თუ არ ჩავთვლით 100-ზე მეტ საგაზეთო სტატიას) 119 სამეცნიერო ნაშრომი, მათ შორის ცალკე წიგნად 17 მონოგრაფიული გამოკვლევა და ბროშურა, რომელთა საერთო მოცულობა 230 ნაბეჭდ თაბახს აღემატება.

ლ. ჩიქავას საკანდიდატო დისერტაციის ძირითადი დასკვნები ორი ნაბეჭდი თაბახის მოცულობით დაიბეჭდა 1954 წელს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკის ინსტიტუტის შრომებში, ტომი VIII – **„მანქანა-ტრაქტორთა სადგურების როლი საკოლმეურნეო წარმოების განვითარებაში"**. ეს ნაშრომი იმითაა აღსანიშნავი, რომ მასში ქართულ ეკონომიკურ ლიტერატურაში პირველად ჯეროვან მეცნიერულ დონეზე იქნა გაშუქებული წარმოების ორი სექტორი, მანქანა-ტრაქტორთა სადგურებისა და კოლმეურნეობების წარმოებრივი

კავშირურთიერთობის ფორმები და მათი სრულყოფის გზები ბორის რაიონის მაგალითზე. ამ მხრივ ავტორის მიერ შემუშავებული კონკრეტული წინადადებები და რეკომენდაციები დაინერგა პრაქტიკაში.

1959 წელს ცალკე ბროშურის სახით გამოქვეყნდა ლ. ჩიქავას ნაშრომი — **„სსრ კავშირის ძირითადი ეკონომიკური ამოცანა და მისი გადაჭრის გზები“** — სუთი ნაბეჭდი თაბახის მოცულობით. მასში სათანადო მეცნიერული სიღრმითაა გაშუქებული თვით პრობლემის არსი და მდიდარ სტატისტიკურ მონაცემებზე დაყრდნობით ნაჩვენებია მოსახლეობის ერთ სულზე პროდუქციის წარმოების მხრივ სსრ კავშირსა და მთავარ კაპიტალისტურ ქვეყნებს (განსაკუთრებით აშშ) შორის არსებული თანაფარდობის დინამიკა, რაც მთავარია, დამაჯერებელი არგუმენტების მოშველიებით მითითებულია ამ ამოცანის გადაჭრის დაჩქარების კონკრეტული გზების შესახებ.

1964 წელს საქართველოს პოლიტექნიკურმა ინსტიტუტმა 4,7 ნაბეჭდი თაბახის მოცულობით გამოსცა ლ. ჩიქავას ნაშრომი — **„შრომის საზოგადოებრივი დანაწილება სოციალიზმის დროს“**, რომელშიც ავტორი ორიგინალურად განიხილავს შრომის საზოგადოებრივი დანაწილების არსს, ფორმებსა და განვითარებას პერსპექტივაში, ეკონომიკურ ლიტერატურაში გამოთქმული ბევრი სწავლული ეკონომისტისა და ფილოსოფოსის მოსაზრებისგან განსხვავებით, იგი ასაბუთებს, რომ თუნდაც შორეულ მომავალში კი არ გაქრება შრომის საზოგადოებრივი დანაწილება, არამედ კიდევ უფრო განვითარდება და გაღრმავდება. შრომის საზოგადოებრივი დანაწილების შემდგომ გაღრმავებასთან და მისი ფორმების სტრუქტურულ ცვლილებასთან ერთად, უფრო მასშტაბურ სასიათს ბიიღებს შრომის ცვალებადობის ეკონომიკური კანონის მოქმედება, რაც ხელსაყრელ პირობებს ქმნის პიროვნების ყოველმხრივი, ჰარმონიული განვითარების უზრუნველსაყოფად.

შრომის საზოგადოებრივი დანაწილების საკითხებზე ლ. ჩიქავას ორიგინალურმა მოსაზრებებმა სათანადო ასახვა და მხარდაჭერა ჰპოვა ჟურნალ „Вопросы философии“-ის ფურცლებზე (იხ. „К дискуссии о разделении труда и всестороннем

развитии личности", ჟურნ. „Вопросы философии", 1964, №6, с.130-144).

1965 წელს გამოეიდა ლ. ჩიქავას ფუნდამენტური მონოგრაფიული გამოკვლევა – **„საქართველოს კვების მრეწველობის ადგილი და როლი შრომის საერთო საკავშირო დანაწილებაში"**, გამომც. „საბჭოთა საქართველო", – 27 ნაბეჭდი თაბახის მოცულობით, რომელიც საფუძველად დაედო ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად მის მიერ 1966 წელს წარდგენილ ორტომიან ნაშრომს: **„საქართველოს კვების მრეწველობის ტერიტორიული სპეციალიზაციისა და ეკონომიკური ეფექტიანობის საკითხები"**.

60-იანი წლების მეორე ნახევარში აღნიშნულ ნაშრომებს გამოესმაურნენ (რეცენზიებით, ოფიციალური დასკვნებით, საჯარო გამოსვლებით) და მაღალი შეფასება მისცეს აკადემიკოსებმა პ. გუგუშვილმა, ირ. მიქელაძემ, ვ. ჩანტლაძემ, ა. გუნიამ, პროფესორებმა პ. ელენტმა, კ. გაბუნიამ, ა. ნუცუბიძემ, გ. გველესიანმა, ნ. იაშვილმა, ლ. კარბელაშვილმა, ნ. პაიჭაძემ, ივ. ხოჭოლავამ, ი. მელქაძემ, ი. ბერიძემ, ნ. ტყეშელაშვილმა, ა. გოკიელმა, ნ. სანთელაძემ, დოცენტებმა ფ. დოლგუშევსკიმ, ე. სილაევმა, გ. გრადოვმა, ვ. შვარცმა, ი. კვირიკაძემ, მ. ასათიანმა, დ. ცისკარიშვილმა და სხვ.

რით მიიქცია ამ გამოკვლევებმა სწავლულ ეკონომისტთა ესოდენ ფართო წრის ყურადღება, რა მნიშვნელოვანი მეცნიერული დასკვნებია მასში მოცემული?

– ავტორი, უწინარეს ყოელისა, საკვლევი პრობლემის თეორიულ საფუძვლებს განიხილავს და ასკვნის, რომ შრომის საზოგადოებრივი დანაწილება მწარმოებლურ ძალთა უშუალო ელემენტი კი არა (თუმცა ის ზრდის შრომის მწარმოებლურ ძალას) საზოგადოების განვითარების ეკონომიკური კანონია და მიეკუთვნება იმ საერთო ეკონომიკურ კანონთა რიცხვს, რომლებიც წარმოიშობიან საზოგადოების განვითარების გარკვეულ საფეხურზე და შემდეგ მოქმედებენ ყველა ფორმაციაში.

– ავტორის მტკიცებით, საზოგადოების განვითარების უმაღლეს საფეხურზე შრომის საზოგადოებრივი დანაწილების უარმყოფელთ სწორად არ ესმით ამ მოვლენის არსი და საესებით

უგულვებელყოფენ მის ისეთ ძირითად ფორმებს, როგორიცაა დარგობრივი და ტერიტორიული დანაწილება, ხოლო მუშაკთა სპეციალიზაცია საქმიანობის სხვადასხვა დარგში დაპყავთ მხოლოდ შრომის ვიწრო პროფესიულ დანაწილებამდე. რომელიც მართლაც გაქრება მომავალში.

– ნაშრომში ღრმამეცნიერულადაა გაანალიზებული საქართველოს კვების მრეწველობის საერთო-საკავშირო სპეციალიზაციის პროფილის განმსაზღვრელ დარგთა (ჩაის, ღვინის, ხილ-ბოსტნეულის კონსერვისა და თამბაქოს მრეწველობა) ადგილი და როლი შრომის რაიონთაშორის ტერიტორიულ დანაწილებაში. ჩაის, ღვინის, კონიაკის, შამპან-ურის, ხილ-ბოსტნეულის კონსერვის, პაპიროსისა და სიგარეტის წარმოებაზე საქართველოს საერთო საკავშირო სპეციალიზაციის დონე ნაშრომში პირველადაა გარკვეული ისეთი მაჩვენებლების გამოყენებით, როგორიცაა პროდუქციის წარმოების ლოკალიზაციის ინდექსი, მოსახლეობის ერთ სულზე პროდუქციის წარმოება და მისი შეფარდება შესაბამის საერთო საკავშირო მაჩვენებლებთან, რაიონთაშორისი საქონლიანობის კოეფიციენტი და სხვ.

– ავტორი ფრიად ორიგინალურად უდგება ტერიტორიულ ასპექტში წარმოების შედარებითი ეკონომიკური ეფექტიანობის განსაზღვრას.

იმის გასარკვევად, ჩაის, ღვინის, კონსერვისა და თამბაქოს წარმოება მათ მწარმოებელ რომელ ეკონომიკურ რაიონში (რესპუბლიკაში) ხასიათდება მაღალი და რომელში დაბალი ეკონომიკური ეფექტიანობით, იგი ნაკლები პრაქტიკული მნიშვნელობის მქონედ მიიჩნევს მოქმედი საბითუმო ფასების მოშველიებით გაანგარიშებულ მაჩვენებლებს. პროდუქციის თვითღირებულების ერთ-ერთ დამატებით მაჩვენებლად გამოყენებას მიზანშეწონილად თვლის მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა ტერიტორიულ ასპექტში ერთიმეორეს უდარებენ ასორტიმენტითა და სარისხით ერთგვაროვან, ან არაერთგვაროვან, მაგრამ ერთ საერთო მაჩვენებელზე გადაყვანილ პროდუქციას.

ტერიტორიულ ჭრილში ერთნაირი სახეობის პროდუქციის წარმოების ეკონომიკური ეფექტიანობის შედარებით

სრულყოფილ მაჩვენებლად ავტორი მიიჩნევს რენტაბელობის დონეს, მაგრამ გაანგარიშებულს არა მხოლოდ მოგების (როგორც მიღებულია პრაქტიკაში), არამედ მთელი წმინდა შემოსავლის შეფარდებით სრულ თვითღირებულებასთან ან ძირითადი წარმოებრივი ფონდების საშუალოწლიური ღირებულებისა და ნორმირებული საბრუნავი საშუალებების ჯამთან. განსასილველ ნაშრომში მდიდარი ფაქტობრივი მასალის გაანალიზებით, ჩაის, ღვინისა და თამბაქოს მრეწველობის მაგალითზე, კარგადაა ნაჩვენები რაიონთაშორისი შედარებითი ეკონომიკური ეფექტიანობის განსაზღვრისას, თუ რამდენად ამახინჯებს სინამდვილეს მოგების მიხედვით გაანგარიშებული რენტაბელობის დონის მაჩვენებელი. ნაშრომში დაწვრილებითაა ახსნილი სინამდვილის ასე მრუდედ წარმომდგენი რენტაბელობის დონის მაჩვენებლთა განმაპირობებელი მიზეზები. მთავარი მიზეზი ისაა, რომ რენტაბელობის დონის გაანგარიშებისას მრიცხველში აღებულია წმინდა შემოსავლის მხოლოდ მცირე ნაწილი (სამრეწველო საწარმოთა მოგება) და ისიც რესპუბლიკების მიხედვით არათანაბარზომიერად, რამდენადაც საწარმოს საბითუმო ფასები ტერიტორიულ ასპექტში დიფერენცირებულია არაპროპორციულად, აღგილობრივი პირობების არასაკმაოდ გათვალისწინებით.

სათანადო მსჯელობის საფუძველზე ავტორი მიდის მართებულ დასკვნამდე: პროდუქციის წარმოებასა და რეალიზაციაზე გაწეული დანახარჯების, ანუ რაც არსებითად იგივეა, ყოველწლიურად ფაქტიური დანახარჯების მიმართ მიღებული ეკონომიკური ეფექტის დასაღგენად და ტერიტორიულ ჭრილში ურთიერთშესადარის შედარებით ზუსტ მაჩვენებელთა მისაღებად მიზანშეწონილია მთელი წმინდა შემოსავალი შეეფარდოთ სრულ თვითღირებულებას და გამოვხატოთ პროცენტობით. სოფლისმეურნეობრივი ნედლეულის დამუშავებაზე დამყარებულ დარგთა სპეციფიკის გათვალისწინებით, უფრო გაშიფრულად ფორმულის სახით ავტორი ამ მოსაზრებას გადმოგვცემს ნაშრომის 268-269 გვერდებზე და ახდენს ამ მეთოდით გაანგარიშების პირველ ცდას. მისასალმებელია, რომ ავტორმა აღნიშნულ საკითხზე თავისი ორიგინალური მოსაზრებანი ასახა

ჟურნალ „Плановое хозяйство“-ში გამოქვეყნებულ სტატიაშიც (იხ. „Эффективность территориальной специализации“, Журн. „Плановое хозяйство“, 1965, ИИ, с. 74-75).

— ავტორი, ამასთან ერთად, სწორად მიუთითებს, რომ როცა გვინდა დავადგინოთ მეურნეობის დარგთა საერთო რენტაბელობა, მთელი დაბანდებული თანხებისა და წარმოებრივი ფონდების გამოყენების ეკონომიკური ეფექტიანობის დონე და ამ მიმართულებით მაჩვენებლები ურთიერთშესადარისი გავხადოთ, მიზანშეწონილია საქონლის წარმოების ყველა რგოლიდან მიღებული წმინდა შემოსავალი შევუფარდოთ ძირითადი წარმოებრივი ფონდებისა და ნორმირებულ საბრუნაე საშუალებათა ჯამს, მთელი წმინდა შემოსავლის გათვალისწინებით გაანგარიშებული რენტაბელობის დონის მაჩვენებლის უპირატესობა, როგორც ავტორი შენიშნავს, იმაშიც გამოისატება, რომ საქონელზე ეკონომიკურად დასაბუთებული ფასების დაწესების შემთხვევაში, მას პროდუქციის სარისხობრივი მაჩვენებლების ასასვაც შეუძლია, მაშინ როდესაც ასეთ შესაძლებლობას სხვა მაჩვენებლები, მათ შორის თვითღირებულებაც, მოკლებულია.

— რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, სათანადო მონაცემების მეცნიერული ანალიზის საფუძველზე, ნაშრომში მითითებულია ღონისძიებანი, რომლებიც უნდა განხორციელდეს საქართველოს მეჩაიეობაში, მევენახეობაში, მეხილეობასა და მეთამბაქოეობაში, აგრეთვე, მათი პროდუქციის გადამამუშავებელი მრეწველობის დარგებში წარმოების გამსვილების, სპეციალიზაციის გაღრმავების, მოწინავე გამოცდილების დანერგვის, შრომის საბოლოო შედეგებით მუშაკთა მატერიალური დაინტერესების ამაღლების, წარმოების ნარჩენების რაციონალურად გამოყენების, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისა და წარმოების ეფექტიანობის ამაღლების მიმართულებით (იხ. Проф. А. Нуцубидзе, Ценная монография. „Заря востока“, 27 ноября, 1965 г. №280).

ამრიგად, ლ. ჩიქავას დასახელებული ნაშრომი მოიცავს პოლიტიკური ეკონომიის, მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის ეკონომიკის, საქონელბრუნვის, ფინანსების, სტატისტიკის

სფეროდან საკითხთა ფართო წრეს. იგი შრომის საერთო საკავშირო ტერიტორიული დანაწილების ასპექტში ჩვენი რესპუბლიკის კვების მრეწველობის ეკონომიკის საკითხთა ყოველმხრივი შესწავლის პირველი ცდაა და ღრმამეცნიერულ გამოკვლევას წარმოადგენს, სარეცენზიო ნაშრომი მისი ავტორის თეორიული მომზადების მაღალ დონეზე, დიდ შემოქმედებით ერუდიციაზე, ეკონომიკურ მოვლენათა კვლევისა და განზოგადების სათანადო უნარზე მეტყველებს. იგი ყურადღებას იმსახურებს თეორიისა და პრაქტიკის ერთიანობით, პრაქტიკული მეურნეობრივი პრობლემების, დებულებებისა და დასკვნების მაღალ თეორიულ დონეზე აყვანით; მათი თეორიული დასაბუთებითა და დამოწმებით (იხ. დ. ცისკარიშვილი, ეძღვნება კვების მრეწველობას. გაზ. „სოფლის ცხოვრება", 1966 წ. 15 თებერვალი, გვ. 3).

პროფ. ლ. ჩიქავას ნაშრომი — **„ხალხის კეთილდღეობის ამაღლების დიადი პროგრამა"**, თბ., 1972, 4,2 ნაბ. თაბ. — მკითხველს სათელ წარმოდგენას აძლევს მშრომელთა ცხოვრების დონის ამაღლების მიმართულებით გატარებულ ღონისძიებებზე. ავტორი ყურადღებას ამახვილებს იმაზე, მშრომელთა რეალურ შემოსავალში თუ როგორი ხვედრითი წონითაა წარმოდგენილი შრომის რაოდენობისა და ხარისხის მიხედვით მიღებული საზღაური და მოხმარების საზოგადოებრივი ფონდები. ნაჩვენებია ამ უკანასკნელის უფრო სწრაფი ტემპებით ზრდის პროგრესული მნიშვნელობა. გარკვეული თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს ავტორისეულ დასკვნებს მოხმარების საზოგადოებრივი ფონდების არსის შესახებ. ამ საკითხში იგი ეკამათება მთელ რიგ სწავლულ ეკონომისტებს და გვთავაზობს ფრიად არგუმენტირებულ მოსაზრებებს.

**„მეათე ხუთწლედის მთავარი ამოცანა და მისი გადაჭრის გზები"** — ლ. ჩიქავას ასეთი ნაშრომი გამოქვეყნდა 1977 წელს 4,4 ნაბეჭდი თაბახის მოცულობით. მასში საკითხთა ღრმა ცოდნითა და ლოგიკური თანმიმდევრულობით მაღალკვალიფიციურადაა გაშუქებული: საზოგადოებრივი წარმოების დინამიკური და პროპორციული განვითარება; წარმოების ეფექტიანობის ამაღლება და პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესება;

სოციალური განვითარება და ხალხის ცხოვრების დონის ამაღლების კომპლექსური პროგრამა და სხვ.

აღსანიშნავია, რომ ავტორი უბრალოდ კი არ გადმოსცემს მეათე ხუთწლიანი გეგმით დასახულ ამოცანებს, არამედ სახალხო მეურნეობის თითოეული დარგის მისედკით ადარებს მათ წინა ხუთწლედების მონაცემებს, ამით გვიჩვენებს წარმოების ზრდის მასშტაბებს და, რაც მთავარია, მიუთითებს საზოგადოებრივი წარმოების სოციალურ-ეკონომიკური ეფექტიანობისა და პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესების კონკრეტულ გზებსა და საშუალებებზე. ავტორი მართებულად ამახვილებს ყურადღებას მეცნიერულ-ტექნიკურ პროგრესზე, როგორც შრომის მწარმოებლურობის ამაღლების გადამწყვეტ ფაქტორზე.

ნაშრომში დიდი ადგილი აქვს დათმობილი საქართველოს ეკონომიკური და სოციალური განვითარების საკითხებს, კერძოდ, იმ ძირეული გარდატეხის ამსახველი მონაცემების მეცნიერულ ანალიზს, რომელიც ჩვენს რესპუბლიკაში აშკარად შეინიშნება 70-იანი წლების დასაწყისიდან. ამით ნათლადაა ნაჩვენები სუბიექტური (პიროვნული) ფაქტორის როლი საზოგადოებრივი წარმოების განვითარებაში, მისი ეფექტიანობის ამაღლებასა და პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებაში. ამასთან ერთად, მითითებულია წარმოების ზრდის მთელი რიგი გამოუყენებელი რეზერვების არსებობაზე ჩვენს რესპუბლიკაში.

პროფ. ლ. ჩიქავას ნაშრომი — **„სსრ კავშირის ეკონომიკური სისტემა“**, თბ., 144 გვ., გამოქვეყნდა 1979 წელს. ამ ნაშრომმა იმთავითვე ფართო აღიარება პოვა და დადებითი შეფასება დაიმსახურა (იხ. აკად. ირ. მიქელაძის და ეკონ. მეცნ. კანდ. გ. ყუფუნიას რეცენზია. ჟურ. „ეკონომისტი“, 1980, № 3, გვ. 75-77).

— ნაშრომში ქვეყნის ეკონომიკური განვითარების მიღწეული დონე დახასიათებულია ისეთი ნიშნებით, როგორიცაა მწარმოებლურ ძალთა რაოდენობრივი და თვისებრივი განვითარება; მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის უახლესი მიღწევები; საზოგადოებრივი წარმოების მასშტაბები; ეკონომიკის განვითარებაში წარმოების ინტენსიური ფაქტორების უპირატესი როლი; მომსახურების სფეროში დასაქმებულთა ხვედრითი წონის ამაღლება; ეროვნულ შემოსავალში დაგროვებისა

და მოსმარების ფონდებს შორის თანაფარდობის უკანასკნელის სასარგებლოდ შეცვლა. თითოეული ამ ნიშნის მოქმედების ხარისხი ნაჩვენებია სათანადო ციფრობრივი მონაცემების მოშველიებით, რომელთა ანალიზის საფუძველზე გაკეთებულია შესაბამისი დასკვნები.

— ნაშრომში, სხვა პრობლემებთან ერთად, საკმაოდ დიდი ადგილი უკავია პირადი საკუთრების საკითხებს. ავტორი საფუძვლიანად ხსნის პირადი საკუთრების არსს, მის სოციალურ-ეკონომიკურ ბუნებას და უჩვენებს მოქალაქეთა პირადი დამხმარე მეურნეობის ადგილსა და როლს საზოგადოებრივ აღწარმოებაში; განსაზღვრავს მისი განვითარების პერსპექტივებს, სამართლიანად მიუთითებს პირადი დამხმარე მეურნეობის განვითარებისთვის ხელშეწყობის აუცილებლობაზე, რამდენადაც იგი ფრიად მნიშვნელოვანი წყაროა სოფლის მეურნეობის პროდუქციაზე არა მარტო მოსახლეობის, არამედ, აგრეთვე, კვების მრეწველობის დარგთა მოთხოვნილების დაკმაყოფილებისა.

— მთლიანად ნაშრომი შესრულებულია მაღალკვალიფიციურად, იგი თითქმის ერთადერთი წიგნია ქართულ ეკონომიკურ ლიტერატურაში, სადაც ესოდენ ფართოდ და დამაჯერებლად არის გაშუქებული ეკონომიკური სისტემის ძირითადი საკითხები. ამასთან, რიგი პრობლემების განხილვისას ავტორი გვთავაზობს ორიგინალურ მოსაზრებებსა და სათანადო არგუმენტებს, რაც ნაშრომს კიდევ უფრო საინტერესოს ხდის (იხ. ჟურნ. „ეკონომისტი", 1980, № 3, გვ. 77).

პროფ. ლ. ჩიქავას ნაშრომი — **„მეთერთმეტე ხუთწლედის ძირითადი ამოცანები და მათი განხორციელების გზები"**, თბ., 1981, 162 გვ. — მრავალმხრივ იქცევს მკითხველის ყურადღებას. მასში საკითხები გაშუქებულია პირველადი წყაროების საფუძველზე, ფართოდაა გამოყენებული სტატისტიკური კრებულები, პერიოდული პრესა, უახლოესი ეკონომიკური მოვლენების ამსახველი ციფრები და ფაქტები, იმდროინდელმა პრესამ მაღალი შეფასება მისცა ამ ნაშრომს (იხ. ნ. გვიშიანი, ეკონომიკური და სოციალური განვითარების გრანდიოზული პროგრამა. ჟურნ. „ეკონომისტი", 1982, № 10, გვ. 115-117).

ნაშრომში მართებულად არის აღნიშნული, რომ ფულადი შემოსავლის ზრდა საკმარისი როდია მოსახლეობის მზარდ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებისთვის. ცხოვრების დონის ამაღლება, ფულადი შემოსავლის ზრდასთან ერთად, გულისხმობს შესაბამისი საქონლური რესურსების გადიდებას და მომხმარებლისთვის ორგანიზებულად მიწოდებას.

პროფ. ლ. ჩიქავას დასახელებული ნაშრომი შესრულებულია მაღალ იდეურ-თეორიულ და მეცნიერულ დონეზე. მასში თითქმის ყველა საკითხი განხილულია საინტერესოდ, მკითხველთა ფართო წრისთვის გასაგები ენით (იხ. ჯ. ჩხიკვაძე, ა. თოთაძე, ნაშრომი ეკონომიკურ ამოცანებზე, გაზ. „კომუნისტი" 1982 წლის 10 ივნისი, გვ. 3).

1985 წელს ქართულ, ხოლო 1986 წელს რუსულ ენაზე გამოვიდა პროფ. ლ. ჩიქავას ნაშრომი — **„შრომის მწარმოებლურობა და მისი ამაღლების გზები"**, 5 ნაბეჭდი თაბახის მოცულობით, რომელშიც შემოქმედებითი მიდგომითაა გაშუქებული ისეთი ეკონომიკური კატეგორიებისა და კანონების ურთიერთმიმართება, როგორიცაა: შრომის მწარმოებლური ძალა და შრომის მწარმოებლურობა, საზოგადოებრივი შრომის მწარმოებლურობა და საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობა, შრომის მწარმოებლურობის ზრდა, შრომის ეკონომია და დროის ეკონომია. ამ ნაშრომის განსაკუთრებულ ღირსებად მიგვაჩნია რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის ძირითად დარგებში (მრეწველობა, სოფლის მეურნეობა, მშენებლობა) შრომის მწარმოებლურობის მიღწეული დონის საფუძვლიანი ანალიზი და მისი ამაღლების მიმართულებით დასახული გარკვეული პრაქტიკული მნიშვნელობის კონკრეტული წინადადებები და რეკომენდაციები.

პროფ. ლ. ჩიქავას მეცნიერული კვლევის შედეგები ნათლადაა ასახული მის მეცნიერულ მოხსენებებში, რომლებიც გააკეთა ლომონოსოვის სახელობის მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტში (1974 და 1981 წწ.) საბჭოთა და იტალიელ ეკონომისტთა სიმპოზიუმზე (ქ. ლუინო — იტალია, 1973 წ.), როსტოკის (გდრ) სახელმწიფო უნივერსიტეტში გამართულ სამეცნიერო კონფერენციაზე (1972 წ.), პრაღის (ჩეხოსლოვაკია) უმაღლესი

ტექნიკური სასწავლებლის სამეცნიერო კონფერენციაზე (1981 წ.), ბუხარესტის (რუმინეთი) პოლიტექნიკური ინსტიტუტის სამეცნიერო კონფერენციაზე (1979 წ.).

პროფ ლ. ჩიქავას საყუძელიანად აქვს გამოკვლეული არამატერიალური წარმოების სფეროს პოლიტეკონომიური პრობლემები (ის. **„მწარმოებლური და არამწარმოებლური შრომის გაგებისთვის“**, ჟურნ. „ეკონომისტი“, 1982, № 5; **„არამწარმოებლური სფეროს სოციალურ-ეკონომიკური ეფექტიანობის საკითხისთვის“**, ჟურნ. „ეკონომისტი“ 1983, № 8; **„არაწარმოებრივი სფეროს როლი შრომის მწარმოებლურობის ამაღლებაში“**, ჟურნ. „ეკონომისტი“, 1986, № 3; **„არამატერიალური წარმოების სფეროს პოლიტეკონომიური ასპექტები“ (მონოგრაფია)**, თბ., 1987, 23,0 ნაბეჭდი თაბახი და სხვ.).

პროფ. ლ. ჩიქავას მიერ გამოკვეთილად, დამაჯერებლად არის დასაბუთებული, რომ ეკონომიკური ურთიერთობანი, ეკონომიკურ ურთიერთობათა სისტემა არ შემოიფარგლება მხოლოდ მატერიალური წარმოების სფეროში წარმოქმნილი ურთიერთობებით. მასში შედის, ასევე, არამატერიალური წარმოების სფეროში ადამიანთა ურთიერთობებიც (ის. პროფ. ლ. ხარაზი, მეცნიერული გამოკვლევა აქტუალურ პრობლემებზე, ჟურნ. „ეკონომისტი“, 1988, № 1, გვ. 114).

საკამათოა, მაგრამ ყურადსაღებია პროფ. ლ. ჩიქავას ნაშრომებში პირველად გამოთქმული მოსაზრება იმის თაობაზე, რომ შრომას, რომელიც არ ქმნის ახალ პროდუქტს, მატერიალურ დოვლათს, მაგრამ ზრდის წინათ შექმნილი პროდუქტის (საქონლის) ღირებულებას და ამით გარკვეული წელილი შეაქვს ქვეყნის ეროვნული შემოსავლის გადიდებაში, შეიძლება ეწოდოს ნასევრადმწარმოებლური შრომა. ამით ხაზგასმულია ერთგვარი თავისებურება, რომელიც ამგვარ შრომას რამდენადმე განასხვავებს მატერიალური წარმოების ძირითად დარგებში (მრეწველობა, სოფლის მეურნეობა, მშენებლობა) დახარჯული შრომისგან.

პროფ. ლ. ჩიქავას ნაშრომებში, განსაკუთრებით მის მონოგრაფიულ გამოკვლევაში – **„არამატერიალური წარმოების სფეროს პოლიტეკონომიური ასპექტები“** – ორიგინალურადაა

გაშუქებული არამატერიალური წარმოების სფეროს ადგილი და როლი მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლებაში (იხ. აკად. ა. გუნია, პროფ. გ. ადეიშვილი, საინტერესო გამოკვლევა აქტუალურ პრობლემებზე, გაზ. „კომუნისტი", 5.04.1988, № 79, გვ. 4).

პროფ. ლ. ჩიქავამ თვალსაჩინო წვლილი შეიტანა სასწავლო ლიტერატურის შექმნაშიც; იგი არის თანაავტორი დამხმარე სახელმძღვანელოსი – **„პოლიტიკური ეკონომია"**, ნაწ. I, თბ., 1974, ასევე, თანაავტორი და სარედაქციო კოლეგიის წევრი ორტომეულისა **„ეკონომიკური თეორიის აქტუალური საკითხები"**, თბ., ნაკვეთი I, 1978 და ნაკვეთი II, 1980 (ამ ნაშრომისთვის მას, ორ სხვა თანაავტორთან ერთად, 1981 წელს მიენიჭა საქართველოს უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს პრემია და რესპუბლიკური პრემიის ლაურეატის საპატიო წოდება; მისი თანაავტორობითა და რედაქციით საქართველოს პოლიტექნიკურმა ინსტიტუტმა გამოსცა **„პოლიტიკური ეკონომია" (დამხმარე თვალსაჩინოება)**, თბ., 1975, 17 ნაბეჭდი თაბახის და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა – **„მეთოდურ თვალსაჩინოებათა კრებული (პოლიტიკური ეკონომია)"**, თბ., 1979, 18 ნაბეჭდი თაბახის მოცულობით).

სულ ახლახან გამოვიდა პროფ. ლ. ჩიქავას ნაშრომი – **„ეკონომიკური თეორიის მოკლე კურსი"**, გამომც. „სიასლე", თბილისი, 1997, 452 გვ. (დამხმარე სახელმძღვანელო სტუდენტებისთვის). იგი დაწერილია ეკონომიკური მეცნიერების თანამედროვე მსოფლიო სტანდარტების დონეზე და ეძღვნება ძირითადად საბაზრო ეკონომიკის თეორიული ასპექტების გაშუქებას. მასში განსაკუთრებით გამასვილებულია ყურადღება იმაზე, თუ როგორ პასუხობს საბაზრო ეკონომიკა სამ მთავარ კითხვაზე: რა ვაწარმოოთ? როგორ ვაწარმოოთ? ვისთვის ვაწარმოოთ? უფრო ზუსტად თუ ვიტყვით, ნაშრომს თავიდან ბოლომდე წითელ ზოლად გასდევს ადამიანთა მოთხოვნილებების განუსაზღვრელობიდან და რესურსების შეზღუდულობიდან გამომდინარე, მსჯელობა ოპტიმალური არჩევანის თაობაზე.

ნაშრომში დიდი ადგილი ეთმობა ისეთი მაკროეკონომიკუ-

რი პრობლემების გაშუქებას, როგორიცაა ფულად-საკრედიტო ურთიერთობანი, სახელმწიფო ბიუჯეტი და თანამედროვე საგადასახადო სისტემა, მაკროეკონომიკური არასტაბილურობა: უმუშევრობა და ინფლაცია, საერთაშორისო ეკონომიკურ მაჩვენებელთა სისტემა.

ეს ნაშრომი ქართული ეკონომიკური ლიტერატურის საუკეთესო შენაძენია. იგი დიდ დახმარებას გაუწევს მკითხველს (ძირითადად სტუდენტ ახალგაზრდობას) ზოგადი ეკონომიკური თეორიის, განსაკუთრებით კი მიკრო- და მაკროეკონომიკის თეორიულ-მეთოდოლგიური საფუძვლების ღრმად დაუფლებაში.

პროფ. ლ. ჩიქავა თავისი მრავალფეროვანი, ნაყოფიერი მეცნიერული შემოქმედებით კარგადაა ცნობილი ჩვენს რესპუბლიკაში და მის ფარგლებს გარეთაც. იგი როგორც ნიჭიერი მკვლევარი და მაღალკვალიფიციური სპეციალისტი, საზოგადოებათმცოდნეთა შორის აღიარებული ავტორიტეტით სარგებლობს.

აკადემიკოსი **ავთანდილ გუნია**
პროფესორი **ნოე პაიჭაძე**
პროფესორი **ნუგზარ სანთელაძე**
11.04.1997.

# 8. ნაშრომი დემოგრაფიულ პრობლემებზე – მნიშვნელოვანი მეცნიერული სიახლეებით

მკითხველმა ახლახან მიიღო საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტის ლ. ჩიქავას ნაშრომი – **„დემოგრაფიული კატეგორიები და კანონები“** (საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის დემოგრაფიისა და სოციოლოგიური კვლევის ინსტიტუტი. თბ., 2002 გვ. 78).

ნაშრომში საკითხების გაშუქების ავტორისეული სტილი მეტად ორიგინალურია: ავტორი განხილულ საკითხებთან მიმართებით უპირატესად საკუთარ შეხედულებებს გამოსატავს და მთელ ნაშრომს წითელ ზოლად გასდევს სიახლეებისადმი დაუოკებელი სწრაფვა. მასში ძირითადად წარმოდგენილია სამი არსებითი სიახლე:

**სიახლე პირველი:** ნაშრომში საინტერესოდაა გაშუქებული დემოგრაფიის მეცნიერებად ჩამოყალიბების რთული და საინტერესო გზა.

ადამიანი მოსახლეობის განვითარებისთვის დამახასიათებელ მთელ რიგ კანონზომიერებებს უძველესი დროიდან აკვირდებოდა, მიუხედავად ამისა, ტერმინი „დემოგრაფია“ მეცნიერულ ბრუნვაში პირველად 1855 წელს შემოვიდა. რაც უკავშირდება მეცნიერ-დემოგრაფ გრაფ **ჟან კლოდ აშილ გიიაროს** ნაშრომის – **„ადამიანთა სტატისტიკის ელემენტები, ანუ შედარებითი დემოგრაფია“** გამოქვეყნებას.

ამ ახალი მეცნიერული დისციპლინის დამკვიდრების მაუწყებელი გახდა 1877 წელს ჰ. ლარუსის ცნობილ ენციკლოპედიაში პირველად გამოქვეყნებული სტატია სათაურით „დემოგრაფია“ და 1882-1883 წლებში ჩატარებული დემოგრაფიის საერთაშორისო კონგრესი.

მაგრამ, ყოველივე ზემოთ აღნიშნული, ჯერ კიდევ არ ნიშნავდა მოსახლეობის აღწარმოების შესახებ მეცნიერების „დემოგრაფიის“ სახელწოდებით აღიარებას, რადგან XIX სა-

უკუნის დასაწყისიდან ევროპის ბევრ ქვეყანაში გაიზარდა დემოგრაფიული სტატისტიკის პოპულარობა და საკუთრივ დემოგრაფია არსებითად მის შემადგენლობაში მოექცა. ამდენად, XX საუკუნის 70-იანი წლებამდე ეს მეცნიერება ძირითადად მოსახლეობის (დემოგრაფიული) სტატისტიკის სინონიმად ითვლებოდა.

პროფ. ლ. ჩიქავა ყოფილ საბჭოთა კავშირში, მათ შორის საქართველოშიც, დემოგრაფიული მეცნიერების აღორძინების დასაწყისად სრულიად სამართლიანად მიიჩნევს 60-იან წლებს, როცა (1959 წელს) ჩატარდა მოსახლეობის საყოველთაო აღწერა და დაიწყო მოპოვებული მდიდარი ფაქტობრივი მასალის მეცნიერული ანალიზი.

მაშასადამე, XX საუკუნის მეორე ნახევრიდან დემოგრაფიული კვლევის საკითხთა წრე შეიცვალა და გაფართოვდა. იგი უკვე აღარ კმაყოფილდება შობადობის, მოკვდაობის, ქორწინების, განქორწინების, მოსახლეობის ბუნებრივი მატებისა და ანალოგიური ხასიათის სხვა პროცესების თაობაზე ფაქტობრივი მონაცემების მოპოვებითა და არსებული მდგომარეობის აღწერა-წარმოსახვით. დღეს მის ამოცანებში შედის: მრავალფეროვანი ფაქტობრივი მასალის ღრმა მეცნიერული ანალიზი, დემოგრაფიულ მოვლენებსა და პროცესებს შორის რთული მიზეზ-შედეგობრივი, როგორც პირდაპირი, ისე არაპირდაპირი კორელაციური კავშირების წარმოჩენა და, ამის საფუძველზე, მეცნიერულ-თეორიული მნიშვნელობის მქონე საგულისხმო დასკვნების გაკეთება.

დემოგრაფია უკანასკნელ პერიოდში სწრაფად განვითარდა როგორც ჰორიზონტალურად, ასევე ვერტიკალურად, იგი ჩამოყალიბდა და დღეს სახეზეა როგორც მეცნიერული სისტემა, რომელიც მოიცავს: ეკონომიკურ დემოგრაფიას, სოციალურ დემოგრაფიას, სამედიცინო დემოგრაფიას, ეკოლოგიურ დემოგრაფიას და ა.შ.

ავტორი ასეთი ლოგიკური მსჯელობის შემდეგ დაასკვნის, რომ დღეისთვის ტერმინ „დემოგრაფიას“ არ ძალუძს ამ ფართომასშტაბიანი მეცნიერების შინაარსობრივი დატვირთვის ასახვა და იგი უნდა შეიცვალოს „დემოლოგიით“ ანუ ხალხის

(მოსახლეობის) აღწარმოების კანონზომიერებათა შესახებ მოძღვრებით.

ამ მოსაზრების სისწორეს იმით ადასტურებს, რომ როგორც საბუნებისმეტყველო და ტექნიკურ, ასევე საზოგადოებრივ მეცნიერებათა უდიდესი უმრავლესობის სახელწოდება მთავრდება „ლოგოსით" და არა „გრაფოსით". ასე მაგალითად, ბიოლოგია, ფიზიოლოგია, კარდიოლოგია და სხვ.

საკუთარი პოზიციის გასამაგრებლად ავტორს მოპყავს სათანადო არგუმენტები და, აქედან გამომდინარე, ასაბუთებს „დემოგრაფიის" ნაცვლად „დემოლოგიის" ჩანაცვლებას. ამის საფუძველზე სრულიად ლოგიკურად აყენებს წინადადებას, რომ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის „დემოგრაფიისა და სოციოლოგიური კვლევის ინსტიტუტს" ეწოდოს „დემოლოგიისა და სოციოლოგიის ინსტიტუტი".

**სიახლე მეორე:** ავტორმა დემოგრაფიული (დემოლოგიური) მოვლენებიდან და პროცესებიდან გამოყო მათი ამსახველი განმაზოგადებელი ცნებები და ტერმინები (დემოგრაფიული კატეგორიები), რომლებიც ასახავენ მათ არსს და წარმოადგენენ მათი მოძრაობის ფორმების თეორიულ გამოხატულებას.

ავტორის დამსახურებად უნდა მივიჩნიოთ ის, რომ მან შექმნა დემოგრაფიულ კატეგორიათა დიალექტიკურ-ლოგიკური კონსტრუქცია. მან დემოგრაფიულ კატეგორიებად განიხილა: მოსახლეობა, შობადობა, ქორწინება, განქორწინება, ოჯახი, კოჰორტა, ეთნოსი, ეროვნება, ბავშვთა ყოლის მოთხოვნილება, რეპროდუქციული გასწყობა, დემოგრაფიული ვითარება, დეპოპულაცია, დემოგრაფიული კრიზისი, დემოგრაფიული დატვირთვა, დემოგრაფიული პოლიტიკა და ა.შ.

**სიახლე მესამე:** დემოგრაფიული მოვლენებისა და პროცესების განვითარების კანონზომიერებათა შესწავლის საფუძველზე, ავტორი გამოყოფს იმ კატეგორიებს, რომლებიც ასახავენ მიზეზ-შედეგობრივ, აუცილებელ, მყარ კავშირებს და იძენენ კანონის ძალას.

დემოგრაფიული კანონების მოქმედება მნიშვნელოვანწილად შემოიფარგლება მოსახლეობის აღწარმოების არეალით და დემოგრაფიული ურთიერთობების ასასვეით.

ავტორის მოსაზრებით, დემოგრაფიული კანონები შედის ადამიანთა საზოგადოების განვითარების კანონთა შემადგენლობაში და მათ ერთ-ერთ სპეციფიკურ ქვეჯგუფს (ქვესისტემას) წარმოადგენს.

ავტორის დამსახურებად უნდა ჩაითვალოს ის, რომ მან წარმოადგინა დემოგრაფიულ კანონთა მთელი სისტემა:

– თაობათა განახლების ანუ მოსახლეობის აღწარმოების კანონი;

– დემოგრაფიული გადასელის ანუ მოსახლეობის აღწარმოების ტიპების თანმიმდევრული ცვლის კანონი;

– მოსახლეობის რიცხოვნობის განუხრელი მატების კანონი;

– სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობის კანონი;

– მოსახლეობის გაფართოებული აღწარმოების კანონი;

– მოსახლეობის მარტივი აღწარმოების კანონი;

– მოსახლეობის შეკვეცილი აღწარმოების კანონი;

– დემოგრაფიული კომპენსაციის კანონი;

– სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობის ზრდის კანონი;

– შობადობის კლების კანონი;

– დემოგრაფიული დაბერების კანონი.

ავტორი დემოგრაფიულ კანონებს ყოფს საერთო (ზოგად), კერძო (განსაკუთრებულ) და სპეციფიკურ კანონებად. გამოკვლევაში, პირველად ეკონომიკურ მეცნიერებაში, ორიგინალურად არის წარმოჩენილი ეკონომიკური და დემოგრაფიული კანონებისა და კატეგორიების ურთიერთქმედება და განსხვავება.

ავტორი გამოყოფს დემოგრაფიული კანონების მოქმედებისთვის დამახასიათებელ ძირითად ნიშან-თვისებებს. განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს დემოგრაფიული კანონების მოქმედების რეალიზაციაში ადამიანისეული ფაქტორის მონაწილეობის აუცილებლობას, მიუთითებს დემოგრაფიული კანონებისა და კატეგორიების მეცნიერული შესწავლის არა მარტო თეორიულ, არამედ უაღრესად დიდ პრაქტიკულ მნიშვნელობაზეც.

აქედან გამომდინარე, ავტორი სრულიად სამართლიანად

მოითხოვს სახელმწიფო რანგში აყვანილი დემოგრაფიული და საოჯახო პოლიტიკის განხორციელებას, დემოგრაფიული კანონების მოთხოვნათა გათვალისწინებით ქვეყნის დემოგრაფიული განვითარების მეცნიერულად დასაბუთებული კონცეფციის შემუშავებას.

ნაშრომის მიმართ გვაქვს შენიშვნებიც:

1. ავტორი, ეკონომიკური კანონების მსგავსად, დემოგრაფიულ კანონებსაც ყოფს საერთო (ზოგად), კერძო (განსაკუთრებულ) და სპეციფიკურ კანონებად, მაგრამ არ ახდენს მათ სრულყოფილ კლასიფიკაციას.

2. სასურველი იყო ავტორს ნაშრომისთვის დაერთო დემოგრაფიული ტერმინების, ცნებებისა და კატეგორიების გლოსარიუმი.

3. გამოკვლევაში მოტანილი ზოგიერთი დებულება საკამათოდ მიგვაჩნია, მაგრამ ჩვენი განსხვავებული შეხედულებები ნაშრომის მიმართ საერთო დადებით აზრს ვერ ცვლის. პროფ. ლ. ჩიქავას ნაშრომით კიდევ ერთი ნაბიჯი გადაიდგა თანამედროვე დემოგრაფიის აქტუალური პრობლემების მეცნიერული კვლევის გზაზე.

**ამირან ჯიბუტი**
ეკონომიკურ მეცნიერებათა
დოქტორი, პროფესორი

იხ. ჟურნ. **„სოციალური ეკონომიკა“**,
2002, № 4, გვ. 144-148.

# 9. ორიგინალური და ფრიად საინტერესო გამოკვლევა

ქართული ეკონომიკური ლიტერატურის თარო მნიშვნელოვანწილად შეავსო და დაამშვენა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის, პროფ ლ. ჩიქავას მიერ როგორც შინაარსობრივი, ისე გაფორმების თვალსაზრისით გემოვნებით სულ ახლახან გამოცემულმა ნაშრომმა **„ინოვაციური ეკონომიკა“** (გამომც. ფირმა „სიახლე“, თბილისი, 2006, 450 გვ., რედაქტორი პროფ. რ. ასათიანი). იგი შედგება 20 პარაგრაფად დაყოფილი 6 თავისგან და ვრცელი რეფერატისგან რუსულ ენაზე. ტექსტს თან ერთვის 86 გვერდიანი გლოსარიუმი, რომელშიც განმარტებულია ინოვაციურ ეკონომიკასთან დაკავშირებული ძირითადად ნაკლებად ცნობილი ტერმინები.

ნაშრომის დასაწყისში მაღალპროფესიონალურ დონეზეა ახსნილი ინოვაციური ეკონომიკის არსი, ძირითადი მახასიათებლები, მაჩვენებლები და დაფინანსების წყაროები. ავტორი მართებულად აკეთებს ხაზგასმას იმის თაობაზე, რომ ინოვაციური ეკონომიკის უმნიშვნელოვანესი მახასიათებელია ცოდნის გადაქცევა კაცობრიობის მთავარ სიმდიდრედ. ძირითად წარმოებრივ რესურსად, რომელიც არსებითად ცვლის საზოგადოების ეკონომიკური განვითარების პარადიგმას. ე.ი. მკვეთრად ამცირებს ეკონომიკური ზრდის დამოკიდებულებას ამა თუ იმ ქვეყანაში ბუნებრივი რესურსების, ძირითადი კაპიტალის, ადამიანისეული კაპიტალისა და სხვა ექსტენსიური ფაქტორების არსებობასთან.

სავსებით ვიზიარებთ წიგნის ავტორის მიერ გაკეთებულ კრიტიკულ შენიშვნებს როგორც ქართულ, ისე რუსულ ეკონომიკურ ლიტერატურაში გამოთქმულ ცალკეულ არაზუსტ მოსაზრებებთან დაკავშირებით. ასეთია, მაგალითად, შეხედულებანი:

— ინოვაციური ეკონომიკა წარმოადგენს ახალ, დღემდე არსებულისგან განსხვავებულ, წარმოების წესს, ახალ ეკონომი-

კურ წყობილებას (გვ.21-22);

– არსებობს შრომის, კაპიტალისა და ინფორმაციის (ინოვაციის) პოლიტიკური ეკონომიები (გვ. 23-24);

– კომერციულ საქმიანობას ეკონომიკის სხვადასხვა დარგში შეიძლება ეწეოდეს ბიზნესმენი, ხოლო მეწარმის სამოქმედო არეალი მხოლოდ მატერიალური წარმოების სფეროთი შემოიფარგლება (გვ. 25-26);

– მეწარმეობა მხოლოდ ინოვაციურ ბიზნესს გულისხმობს. ნებისმიერი სუბიექტი მეწარმედ შეიძლება ჩაითვალოს, თუ ის ეწევა ინოვაციურ საქმიანობას, მაგრამ როგორც კი შეწყვეტს ამგვარ საქმიანობას, მას ეს სტატუსი უნდა მოეხსნას და შეიძლება ჩვეულებრივ ბიზნესმენად ჩაითვალოს (გვ. 28-29);

– ბიზნესმენი არის პიროვნება, რომელიც იღწვის საზოგადოების კეთილდღეობისთვის (გვ. 28);

– მოგების მაქსიმიზაციისკენ სწრაფვა ახასიათებს ბიზნესმენს და არა მეწარმეს (გვ. 29) და ა.შ.

სარეცენზიო ნაშრომში სწორადაა ერთიმეორისგან გამიჯნული ცოდნის ეკონომიკა და ცოდნაზე დამყარებული ეკონომიკა. დიდი ინტერესით იკითხება ის ადგილები, სადაც განხილულია ცოდნის როგორც საქონლის არსი და თავისებურებანი, აგრეთვე, ინტელექტუალური საქონლის სახმარი და საცვლელი ღირებულება.

კარგად შერჩეული მდიდარი სტატისტიკური მასალითაა ილუსტრირებული მსჯელობა ცოდნაზე დამყარებული ეკონომიკის შესახებ. ამ ნაწილში ავტორი აშუქებს ისეთ მნიშვნელოვან საკითხებს. როგორიცაა: მეცნიერება, როგორც უშუალო მწარმოებლური ძალა; მაღალი ტექნოლოგიების, საინფორმაციო ტექნოლოგიებისა და ტელეკომუნიკაციების როლი ინოვაციურ ეკონომიკაში; ინოვაციური საქმიანობის დაფინანსება და სოციალურ-ეკონომიკური ეფექტიანობა და სხვ.

საკმაოდ ვრცლად და სიღრმისეულადაა განხილული მომსახურების სფეროს არსი და განვითარების ტენდენციები ინოვაციური ეკონომიკის პირობებში. ეს იმით აიხსნება, რომ ამ ორ მოვლენასა და პროცესს შორის არსებობს ორგანული კავშირი და პირდაპირპროპორციული დამოკიდებულება.

სპეციალური თავი ეძღვნება ინოვაციური ეკონომიკის აწმყოსა და მომავალს საქართველოში. ამ ნაწილში თავდაპირველად დასასიათებულია ინოვაციური ეკონომიკის თითქმის ნულოვანი დონე ჩვენს ქვეყანაში, მისი განმსაზღვრელი მიზეზები და ბოლოს – ინოვაციური ეკონომიკის განვითარების პოტენციალი და მისი ამოქმედების გზები.

მონოგრაფიის უკანასკნელი თავია „ინოვაციური ეკონომიკის ეკოლოგიური ასპექტები", რომელიც თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობის ბევრ საგულისხმო დასკვნას მოიცავს.

ამრიგად, სარეცენზიო ნაშრომის სახით საქმე გვაქვს მაღალმეცნიერულ დონეზე შესრულებულ მონოგრაფიულ გამოკვლევასთან, რომელიც, ჩვენი ღრმა რწმენით, უეჭველად მყარად დაიმკვიდრებს ერთ-ერთ გამორჩეულ ადგილს ქართულ ეკონომიკურ და საერთოდ მეცნიერულ ლიტერატურაში.

ისმის საკვლევით კანონზომიერი კითხვა: მაინც რომელია ის მთავარი მომენტები, რითაც იქცევს მკითხველის ყურადღებას ეს ნაწარმოები? ასეთებად მიგვაჩნია:

– განსახილველი ნაშრომი არის გამოკვლევა, რომელსაც შეიძლება ეუწოდოთ პირველი გზამკვლევი ცოდნაზე დამყარებული ეკონომიკის პრობლემატიკის შესწავლაში. მას გვერდს ვერ აუვლის ვინც და როგორი რანგისაც უნდა იყოს მკვლევარი, რომელიც განიზრახავს მომავალში ამ პრობლემის მეცნიერული შესწავლის შემდგომ გაღრმავებას;

– ნაშრომის ტექსტიდან ნათლად ჩანს, რომ მისი ავტორი არა მარტო კარგად იცნობს საკვლევი პრობლემის გარშემო (ქართულ, რუსულ და, ცალკეულ შემთხვევებში, დასავლეთ-ევროპულ ენებზეც) არსებულ უახლეს წყაროებს, არამედ ავლენს მათი ღრმამეცნიერულად გაანალიზება-განზოგადებისა და ამის საფუძველზე ფრიად საგულისხმო დასკვნების გაკეთების შესაშურ უნარსა და ჩვევებს;

– ავტორის მეცნიერულ-თეორიული მსჯელობა ატარებს არა ზედაპირულ ხასიათს, არამედ სათანადოდაა არგუმენტირებულ-დასაბუთებული და ემყარება მეცნიერული ხერხების გამოყენებით დამუშავებულ მდიდარ ფაქტობრივ მონაცემებს,

რაც დამაჯერებლობასა და ღირსებებს მატებს მის ნაფიქრალ-ნააზრევს;

– ნაშრომისადმი მკითხველის ინტერესს უღაოდ ზრდის ის ფაქტი, რომ იგი მნიშვნელოვანწილად დისკუსიური ხასიათისაა. წიგნის ავტორი სშირად ეკამათება როგორც ქართველ, ისე რუს კოლეგებს, მაგრამ ყველა ამ შემთხვევაში იგი ზედმიწევნით კორექტული და თავშეკავებულია;

– ნაშრომი ძირითადად პოლიტეკონომიური ხასიათის ნაწარმოებია და ეს ასეც იყო მოსალოდნელი, რამეთუ მისი ავტორი მეცნიერების ამ დარგის ცნობილი და დიდი გამოცდილების მქონე სპეციალისტია, მაგრამ ამ გარემოებას ხელი არ შეუშლია იმისთვის, რომ წინა პლანზე ყოფილიყო წამოწეული პრაგმატული ხასიათის საკითხებიც. ეს, უწინარეს ყოვლისა და მნიშვნელოვანწილად, მონოგრაფიის მეხუთე თავს ეხება, რომელიც ეძღვნება ინოვაციური ეკონომიკის განვითარების თანამედროვე მდგომარეობასა და პერსპექტივებს საქართველოში.

ალბათ, არ შევცდებით თუ ვიტყვით, რომ წიგნის ავტორის მიერ შემოთავაზებული მთელი რიგი პრაქტიკული მნიშვნელობის რეკომენდაციების რეალიზაცია არცთუ მცირე სარგებლობას მოუტანს ჩვენს ქვეყანას:

– არანაკლებ საგულისხმო და დამაფიქრებელია მონოგრაფიის ის თავიც, რომელშიც ინოვაციური ეკონომიკის ეკოლოგიური ასპექტებია გაშუქებული. ამით ავტორი გვაფრთხილებს თითოეულ ჩვენთაგანს, რომ არცერთი წუთითაც არ შეიძლება მავნე ნივთიერებებით გარემოს დაბინძურების გლობალური პრობლემის დავიწყება, რამდენადაც ის ტრაგიკულ დასასრულს უმზადებს კაცობრიობას;

– ნაშრომის შინაარსის გაცნობიერება ნათლად ცხადპყოფს მისი ავტორის, უფლისგან მომადლებულ უბადლო ნიჭიერებასთან ერთად, მაღალ ინტელექტს, ფარითო ერუდიციას, არაორდინარულ აზროვნებასა და უკიდეგანო შრომისუნარიანობას. ძირითადად სწორედ ეს ფაქტორები განსაზღვრავენ ქართველ ეკონომისტთა წრეში პროფ. ლ. ჩიქავას ერთ-ერთ საპატიო ადგილსა და აღიარებას;

— განსახილველი ნაშრომის ტექსტიდან აშკარად იკრძნობა ავტორისთვის დამახასიათებელი აზროვნებისა და წერის მაღალი კულტურა, მისი მრავალმხრივი განსწავლულობა და ჩამოყალიბებულ შესედულებათა სავსებით გასაგებად გადმოცემის უნარი;

— არ შეიძლება ორიოდე სიტყვით არ ითქვას იმ ფაქტის თაობაზეც, რომ ღირსეული მოწაფე — პროფ. ლ. ჩიქავა დღემდე განვლილ პერიოდში მისი მეცნიერული მოღვაწეობის ამ ერთგვარ შემაჯამებელ კაპიტალურ ნაშრომს უძღვნის თავის (ისე როგორც თითოეული ჩვენგანის) სასიქადულო მასწავლებლების — აკად. პ. გუგუშვილისა და აკად. ვ. ჩანტლაძის დაბადებიდან 100 წლისთავს (გვ.5).

სარეცენზიო ნაშრომში, აღნიშნულ და სხვა ღირსებებთან ერთად, შეიმჩნევა ცალკეული ხარვეზებიც:

1. ინოვაციურ ეკონომიკაში მცირე ბიზნესს მართლაც თვალსაჩინო ადგილი უკავია, მაგრამ განსახილველ მონოგრაფიაში მისი ეს როლი იმდენად გაზვიადებულად და ცალმხრივადაა წარმოდგენილი, რომ მკითხველს შეიძლება ჩამოუყალიბდეს შთაბეჭდილება, მსხვილ წარმოებასთან შედარებით, წვრილი წარმოების (მცირე ბიზნესის) საერთოდ, ანუ ყველგან და ყოველთვის უპირატესობებით გამორჩეულობის შესახებ, რაც სწორი არ არის;

2. ავტორი თითქოსდა დასაშვებად მიიჩნევს პოსტინდუსტრიული ეპოქის აღსანიშნავად მთელი რიგი ტერმინების, მ. შ. „ცოდნის ეკონომიკისა“ და „ცოდნაზე დამყარებული ეკონომიკის“ ერთნაირი მნიშვნელობით გამოყენებას (გვ.7), ქვემოთ კი (იხ. თავები 2 და 3) მათ შორის იმდენ არსებით განსხვავებას ჩამოთვლის, რომ ამის შემდეგ მათი იდენტური მნიშვნელობით გამოყენებაზე მსჯელობაც კი გაუმართლებელია. ავტორის შესედულებისგან განსხვავებით, არც „ინოვაციური ეკონომიკა“ და „ინტელექტუალური ეკონომიკა“ მიგვაჩნია იდენტურ ცნებებად;

3. ნაშრომში ვკითხულობთ: „თუ წარმოებულ ეროვნულ შემოსავალს გამოვაკლებთ სტიქიური უბედურებებით გამოწვეულ დანაკარგებს, დოლათის შენახვით გამოწვეულ ზარალს

და ა.შ. აგრეთვე, საგარეო ვაჭრობის უარყოფით სალდოს, მივიღებთ მოსმარებულ ეროვნულ შემოსავალს“ (383).

ვფიქრობთ, რომ საგარეო ვაჭრობის უარყოფითი სალდოს გამოკლების თაობაზე ავტორის მოსაზრება გარკვეულ დაზუსტებას საჭიროებს;

4. გლოსარიუმი კარგადაა შედგენილი და მთელი რიგი ტერმინების ახსნა-განმარტება მკითხველს მართლაც გაუადვილებს მათს შინაარსში ღრმად ჩაწვდომასა და საკითხების გარკვევას, მაგრამ ზოგიერთი ტერმინი (მაგ., ავტომატიზაცია, ბიზნესმენი, განათლება, ეროვნული შემოსავალი და სხვ.) იმდენად ცნობილია, რომ მათი მოტანა არ იყო აუცილებელი.

დასასრულს, კიდევ ერთხელ გვინდა ხაზგასმით დავაფიქროთ, რომ ამ ორიგინალური ნაშრომის გამოცემა მისი ავტორისთვის ჭეშმარიტად მორიგი შემოქმედებითი გამარჯვებაა, ქართველი საზოგადოებისთვის კი — მნიშვნელოვანი შენაძენი.

პროფესორი **ამირან ჯიბუტი**
პროფესორი **პარმენ ლემონჯავა**

იხ. ჟურნ. **„სოციალური ეკონომიკა“**, 2006,
№ 4, გვ. 171-175.

# 10. ფუნდამენტური გამოკვლევა

ბოლო პერიოდში გამოქვეყნებული გამოკვლევებიდან ყურადღებას იპყრობს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის, საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტის, პროფესორ ლეო ჩიქავას მონოგრაფია ინოვაციური ეკონომიკის შესახებ. ნაშრომის პრობლემატიკის აქტუალობა ეჭვს არ იწვევს. უფრო მეტიც, აშკარად იგრძნობა ამ სფეროში სერიოზული მონოგრაფიული განზოგადებების აუცილებლობა. ამასთანავე, ფრიად მისასალმებელია, რომ სარეცენზიო გამოკვლევა უდავოდ მაღალ მეცნიერულ დონეზეა შესრულებული. იგი განხილული უმნიშვნელოვანესი თეორიული და პრაქტიკული საკითხების ფართო სპექტრით, ანალიზის სიღრმით, ორიგინალური მიდგომებით გამოირჩევა და მთლიანად პასუხობს თანამედროვე ეკონომიკური განვითარების მაღალ მოთხოვნებს.

მონოგრაფიაში განხილულია ინოვაციური ეკონომიკის მეთოდოლოგიური და თეორიული საფუძვლები: მისი არსი, ძირითადი ნიშნები, მაჩვენებლები, დაფინანსების წყაროები, განვითარების კანონზომიერებანი. დიდი ადგილი ეთმობა საქართველოში ინოვაციური ეკონომიკის განმსაზღვრელი ფაქტორებისა და პერსპექტივაში განვითარების შესაძლებლობების გაშუქებას.

მონოგრაფიის უპირველესი ღირსება და შედეგი ინოვაციური ეკონომიკის, ცოდნის ეკონომიკის და ცოდნაზე დამყარებული ეკონომიკის არსის, მახასიათებლების, ფაქტორების, ტენდენციების გამოკვლევაა. პროფ. ლ. ჩიქავა საესებით მართებულად მიუთითებს, რომ არ შეიძლება მათი ერთმანეთთან გაიგივება. ნაშრომში კრიტიკულად არის გაანალიზებული სხვადასხვა შეხედულება ბიზნესისა და მეწარმეობის შესახებ, განხილულია ინოვაციური ციკლის რგოლები, სტადიები და ეტაპები, საინტერესოა ავტორისეული კონცეფცია სახელმწიფოს ინოვაციური პოლიტიკისა და მისი რეალიზაციის მეთოდე-

ბის შესახებ. აუცილებლად გასათვალისწინებელია დებულება, რომ თანამედროვე პირობებში ეკონომიკის ზრდის მყარ ბაზას ინოვაციური სფეროს განვითარებაში მიღწეული ღონე და დინამიზმი ქმნის. დეტალურად არის განხილული ინტელექტუალური საკუთრების ფორმები, საპატენტო სისტემის თავისებურებები, სასაქონლო ნიშნის როლის ამაღლება, არაკეთილსინდისიერი კონკურენცია, საწარმოო-კომერციული საიდუმლოება, ცოდნა როგორც საქონელი და მისი თავისებურებები.

მონოგრაფიაში განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ადგილი უკავია საქართველოში ინოვაციური ეკონომიკის განვითარების პრობლემებს, შესწავლილია ტექნიკურ მიღწევათა ინდექსი, მეცნიერულ-ტექნიკური სამუშაოები საქართველოში, მრეწველობის მანქანა-მოწყობილობათა პარკის ასაკობრივი სტრუქტურა, ინტერნეტიზაციის ღონე. ახსნილია საქართველოში ინოვაციური საქმიანობის განვითარების დაბალი ღონის მიზეზები. ნაშრომში კვალიფიციურად არის განხილული იმ რეფორმების უარყოფითი შედეგები, რომლებიც საქართველოში მეცნიერებისა და განათლების სფეროებში ხორციელდება. რაც მთავარია, დასახულია ინოვაციურ ეკონომიკაზე საქართველოს ეკონომიკის გადასვლის კონკრეტული ღონისძიებების სისტემა, მათ შორის, გრძელვადიანი სტრატეგიის განხორციელებისთვის აუცილებელ ღონისძიებათა პაკეტი.

არ შეიძლება არ დავეთანხმოთ ავტორს, რომ საქართველო საკმაოდ მდიდარ და მრავალფეროვან ინტელექტუალურ პოტენციალს ფლობს. მთავარია მისი სრულად ამოქმედება და საზოგადოების სამსახურში ჩაყენება. ამ მიზნის განხორციელებისკენ სწრაფვა ჩვენი ქვეყნის თითოეული მოქალაქის უპირველესი და უწმინდესი მოვალეობაა. ჩვენ მხოლოდ დავძენდით: კონკურენტუნარიანი ინოვაციური ეკონომიკის ჩამოყალიბებისთვის საქართველომ ძალისხმევის ინტენსიფიკაცია რაც შეიძლება სწრაფად, მოკლე პერიოდში უნდა განახორციელოს. წინააღმდეგ შემთხვევაში იგი გლობალურ ეკონომიკაში ინტეგრაციას ვერ შეძლებს და ქრონიკულად ჩამორჩენილ ქვეყნად დარჩება. ამიტომ მონოგრაფიაში განვითარებულ ძირითად იდეებსა და დასკვნებს საქართველოს ეკონომიკის

წარმატებული განვითარებისთვის უდავოდ ფუნდამენტური და სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს.

**პროფესორი თამაზ ჩიკვაიძე**

იხ. თბილისის ეკონომიკურ ურთიერთობათა
სახელმწიფო უნივერსიტეტის ჟურნალი
**„კომერსანტი“**, № 2 (3), თბილისი, 2007.

# 11. ინოვაციური ეკონომიკა

საქართველოს ეკონომისტთა ასოციაციამ, ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტმა, ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიამ, კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრმა და ფონდმა „ტრანსკავკასიამ“ მიმდინარე წლის 20 აპრილს ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მოაწყვეს საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტის, პროფ. ლ. ჩიქავას უაღრესად საინტერესო მონოგრაფიის („ინოვაციური ეკონომიკა“, თბ., 2006, გამომც. „სიახლე“, 28,4 ნ.თ.) საჯარო პრეზენტაცია-განხილვა. გამომსვლელები – საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ა. სილაგაძე, პროფესორები მ. ჯიბუტი, ნ. ჭითანავა, რ. ასათიანი, ა. ჯიბუტი, ე. კანდელაკი, გ. მალაშხია, რ. ბასარია, მ. გველესიანი – ერთსულოვანნი იყვნენ განსახილველი ნაშრომის, როგორც აღნიშნულ პრობლემაზე საქართველოში პირველი ფუნდამენტური გამოკვლევის, მაღალ შეფასებასა და, მეცნიერულ-თეორიულთან ერთად, მისი დიდი პრაქტიკული მნიშვნელობის აღიარებაში.

განხილვის ყველა მონაწილე ხაზს უსვამდა იმას, რომ მო-

ნოგრაფიაში ორიგინალურად და დახვეწილ აკადემიურ სტილში გაშუქებული საკვლევი პრობლემის საკვანძო საკითხები; ინოვაციური ეკონომიკის არსი, ძირითადი მახასიათებლები, მაჩვენებლები და სხვა თეორიულ-მეთოდოლოგიური საფუძვლები; ცოდნის ეკონომიკა; ცოდნაზე დამყარებული ეკონომიკა როგორც განვითარების ახალი პარადიგმა; მომსახურების სფეროს განვითარების ტენდენციები ინოვაციური ეკონომიკის პირობებში; ეკონომიკის ინტელექტუალიზაციის თითქმის ნულოვანი დონე საქართველოში, მისი მიზეზები, ინოვაციური ეკონომიკური განვითარების პოტენციალი და მისი რეალიზაციის გზები; და ბოლოს, ინოვაციური ეკონომიკის ეკოლოგიური ასპექტები.

ცალკეულ საკითხებზე გაიმართა დისკუსია და გამოითქვა რიგი სასურველობებისა, რომელთა გათვალისწინება დაეხმარება ავტორს მომავალში ინოვაციური ეკონომიკის პრობლემების კიდევ უფრო ღრმად გააზრებასა და სრულყოფილად შემეცნებაში.

პროფესორი **ა. ჯიბუტი**

იხ. გაზ. **„საქართველოს რესპუბლიკა“**, № 84, 29.04.2006.

# 12. ქართული ეკონომიკური მეცნიერების მეირფასი შენაძენი

ბატონ ლეო ჩიქავასთან თანამშრომლობის მრავალი წელი მაკავშირებს და ეს თანამშრომლობა ახლაც გრძელდება საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიაში. შემიძლია თამამად ვთქვა, რომ მასთან თანამშრომლობა, შემოქმედებით შრომასთან ერთად, დიდი ადამიანური სიამოვნებაც არის, იმიტომ, რომ ბატონი ლეოს პიროვნებაში მაღალი ნიჭიერება და პროფესიონალიზმი შესანიშნავადაა შერწყმული კრისტალურ ზნეობასა და შინაგან კულტურასთან.

დღეისთვის განსახილველად წარმოდგენილი წიგნი წავიკითხე, თვალი გადავავლე მისი ავტორის მიერ საერთოდ მეცნიერების საგანძურში შეტანილ თვალსაჩინო წვლილს და. დავინახე ამ ნაშრომის ლოგიკური კავშირი მის შემოქმედებასთან, ასევე, გავაცნობიერე გამოკვლევის მეცნიერული სიახლე და ეტაპობრივი მნიშვნელობა ჩვენი ქვეყნისთვის.

ბატონი ლეოს ამჟამად განსახილველი ნაშრომი გამოირჩევა საკვლევი პრობლემის რთული საკითხების მარტივად გადმოცემის უნარით. მას ინტერესით წაიკითხავს არა მარტო სწაელული ეკონომისტი, არამედ რიგითი მკითხველიც, რაც ამ მაღალკვალიფიციურად შესრულებული მონოგრაფიის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ღირსებაა. ამ სქელტანიან წიგნში მკითხველი ვერცერთ ზედმეტ ფრაზას ვერ იპოვის. ნაშრომის ყოველი გვერდი ღრმა შინაარსით არის დატვირთული. ამჟამად, როდესაც საქართველოს ეკონომიკა გარდატეხის პროცესშია და ღრმა კრიზისს განიცდის, „ინოვაციური ეკონომიკის", თეორიულთან ერთად, დიდი პრაგმატული მნიშვნელობის ნაწარმოების გამოცემა ფრიად ნიშანდობლივი და საგულისხმო ფაქტია. მასში მოცემული რეკომენდაციების გათვალისწინებას საკმაოდ თვალსაჩინო როლის შესრულება შეუძლია ჩვენი ქვეყნის განვითარების სამომავლო სტრატეგიის შემუშავებაში, მიუ-

ხედვად იმისა, რომ ჩვენთან ინოვაციური ეკონომიკის მშენებლობა არსებითად არც კი დაწყებულა.

თუ კი მოკლე ხანში შევძლებთ ენერგეტიკული უსაფრთხოების მოპოვებას, რომელიც რთული, მაგრამ, შესაბამისი რესურსების არსებობის გამო, საკმაოდ მიღწევადი ამოცანაა, მხოლოდ ასეთი წინაპირობის მომზადებით აიდგამს ფეხს „ინოვაციური ეკონომიკა", რომლითაც ნახევარ საუკუნეზე მეტი ხნით ჩამოვრჩებით მსოფლიოს განვითარებულ ქვეყნებს.

ბატონი ლეოს კაპიტალური ნაშრომი – **„ინოვაციური ეკონომიკა"**, ჩვენი ქვეყნისთვის შუქის ამნთები და, გარკვეული გაგებით, ეპოქალური მნიშვნელობის ნაწარმოებია, თუმცა მის რეალობად გადაქცევის აუცილებლობასაც უნდა გაეუსვათ ხაზი, რათა შევაჩეროთ ქართველი ერის დეგრადაციის პროცესები და მივაღწიოთ ქვეყნის სტრატეგიულ, სტაბილურ განვითარებას. ამის მისაღწევად აუცილებელია როგორც დასავლეთთან, ისე ჩვენს დიდ მეზობელთან – რუსეთთან ეკონომიკური (და არა მარტო ეკონომიკური) ურთიერთობების შეთანაწყობა.

ბატონი ლეოს ამ ნაშრომის განხილვისას გაიკეთერა აზრმა, რომ პერსპექტივაში წარმოების საშუალებებზე საკუთრების ფორმები და მათგან გამომდინარე ურთიერთობები თითქოსდა დაკარგავენ თავიანთ ადგილსა და როლს ეკონომიკურ ურთიერთობათა სისტემაში და ეს მოხდება ინოვაციური ეკონომიკის ზეგავლენით. პოლიტიკური ეკონომიის ამ საკვანძო საკითხისადმი ასეთი მიდგომა არ მიმაჩნია სწორად (ამ განხილვას სტუდენტებიც ესწრებიან და მათ არ უნდა მიიღონ მცდარი ინფორმაცია). ცხადია, ინოვაციური ეკონომიკა გავლენას მოახდენს საკუთრებით ურთიერთობებზე, მაგრამ ეს გავლენა არ იქნება რადიკალური, საკუთრება მაინც დარჩება, არ მოისპობა. ბატონი ლეო ჩიქავას ამ განსახილველ წიგნში, რომელსაც, როგორც აღვნიშნე, ყურადღებით გავეცანი, ერთი სიტყვაც არ არის მოტანილი საკუთრების ფორმების მოსალოდნელი მოსპობის შესახებ, პირიქით, რუსულ ენაზე დაწერილ ვრცელ რეფერატში, რომელიც თან ახლავს ახალ ნაშრომს, სიტყვა სიტყვით არის აღნიშნული სრულიად საწინააღმდეგო

მოსაზრება: „Значительное совершенствование претерпевает отношения собсвенности, однако не в такой мере, чтобы обусловить изменение способа производства, экономического строя общества“.

მიგვაჩნია, რომ აქ ბატონი ლეოს მოტანილი მოსაზრება საესებით სწორად ასახავს რეალობას და მისაღებია.

ჩემი აზრით, განსახილველი ნაშრომი **„ინოვაციური ეკონომიკა“** უდაოდ დიდი საჩუქარია ქვეყნის ლექტორთა კორპუსისთვის, მეტიც, მთელი საზოგადოებისთვის მშრომელთა მასების ეკონომიკური ცოდნით აღჭურვის საქმეში. განათლების სფეროში რადიკალური ცვლილებების დროს ეკონომიკური განათლების პოპულარიზაცია არსებითი მნიშვნელობის საქმეა.

ჩვენ – პოლიტიკური ეკონომიის ლექტორებმა, თუ არ ვცდები, ჯერ კიდევ 20 წლის წინათ გავიცნობიერეთ ბატონი ლეოს პოლიტეკონომიური მეცნიერების კუთხით შესრულებული ნაშრომი – **„არამატერიალური წარმოების სფეროს პოლიტეკონომიური ასპექტები“**, ზოგიერთმა ამ გამოკვლევას სკეპტიკურადაც კი შეხედა, რადგან მაშინ არამატერიალური წარმოების სფერო სუსტად იყო განვითარებული საქართველოში. სინამდვილეში ბატონმა ლეომ ამ და რიგ სხვა შრომებში გამოამჟღავნა პოლიტეკონომიური ხედვის საუკეთესო უნარი, იმ თვალსაზრისით, რომ არამატერიალური წარმოების სფეროს უწინასწარმეტყველა მატერიალური წარმოების სფეროსთან შედარებით პრიორიტეტული, წინმსწრები ტემპებით განვითარება, რაც მსოფლიო ეკონომიკის განვითარებამ მთლიანად დაადასტურა. აშშ-ს 300 მილიონიანი მოსახლეობიდან 75 პროცენტზე მეტი სწორედ მომსახურების სფეროშია დასაქმებული. რატომ ვუკავშირებთ ამ საკითხს ბატონი ლეოს წიგნის – **„ინოვაციური ეკონომიკა“** – განხილვას? იმიტომ, რომ ასეთი ეკონომიკის ინტენსიური განვითარების გარეშე ვერ განხორციელდებოდა მომხდარი ცვლილებები არამატერიალური და მატერიალური წარმოების სფეროთა სტრუქტურაში. საერთოდ ეკონომიკური განვითარების პროცესების კვლევისას დიალექტიკური მეთოდის ფართოდ გამოყენება დამახასიათებელია

ბატონი ლეოს შემოქმედებისთვის, რომლის გაცნობიერება და შეფასება სამომავლო საქმეა.

ჩვენი აზრით, ასეთმა მიდგომამ არსებითად განაპირობა განსახილველი გამოკვლევის არა მარტო მეცნიერ-ეკონომისტების, არამედ ასევე, მკითხველთა ფართო წრის მიერ მაღალი შეფასება და დიდი მოწონებით მიღება. ფინალი არც შეიძლებოდა სხვანაირი ყოფილიყო, რამდენადაც ჭეშმარიტება მხოლოდ ერთია, რაც ამჯერად განსახილველი ნაშრომის უაღრეს აქტუალურობასა და შესანიშნავ ღირსებებში გამოიხატება.

მეცნიერების დამსახურებულმა მოღვაწემ, პროფესორმა ლ. ჩიქავამ ამ მრავალმხრივი საყურადღებო მონოგრაფიის გამოქვეყნებით ერთხელ კიდევ დაუმტკიცა ქართველ საზოგადოებას, რომ მისი სახით მას პყავს უნიჭიერესი და ფართოდ ერუდირებული, ეკონომიკურ (და არა მარტო ეკონომიკურ) მოვლენებსა და პროცესებს შორის ურთულესი კავშირების ღრმადმეცნიერულად გააზრება-გაანალიზებისა და განზოგადების საოცარი უნარ-ჩვევებით დაჯილდოებული ეკონომისტ-მკვლევარი. ბატონ ლეოს, როგორც ქართული ეკონომიკური სკოლის ღირსეულ წარმომადგენელსა და საამაყო კოლეგას, ვულოცავ ამ ბრწყინვალე გამარჯვებას და ვუსურვებ ახალ-ახალ წარმატებებს თავის შემოქმედებით საქმიანობაში.

*სიტყვა საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ ევგრაფ კანდელაკისა, რომელიც მან წარმოთქვა ცნობილი მეცნიერისა და საზოგადო მოღვაწის, ბატონი ლეო ჩიქავას ნაშრომის – „ინოვაციური ეკონომიკა“, საგამომც. ფირმა „სიახლე“, თბ., 2006, 452 გვ. – განხილვაზე 2006 წლის 20 აპრილს ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში.*

# 13. ჟურნალისტი ნატო ცისკარიშვილი - სამაგიდო წიგნი

**დღეს, როცა ქვეყნის ეკონომიკურ აღმასვლაზე ხმამაღლა საუბრობენ, როცა ჩვენი საზოგადოების წინაშე ერთდროულად სერიოზული პერსპექტივები იშლება და არანაკლებ საჭირბოროტო პრობლემების გადაწყვეტის აუცილებლობაც დგება, ძალზე მნიშვნელოვანია საზოგადოებრივი მენტალიტეტის შეცვლა და საკითხის არსის გარკვევა.**

ცოტა ხნის წინ საზოგადოებისთვის ცნობილი გახდა საქართველოს პრეზიდენტის, შეიარაღებული ძალების უმაღლესი მთავარსარდლის მიერ დასახული საქართველოს ეკონომიკის განვითარების მეორე საფეხურთან დაკავშირებული სემინარების ციკლის შესახებ.

მართალია, საქართველოს ეკონომიკა, საერთაშორისო თვალსაზრისით, მოცულობით პატარაა, მაგრამ იგი შეადგენს მსოფლიო ეკონომიკის შემადგენელ ნაწილს და, ბუნებრივია, დამოუკიდებლობის გზაზე მდგარმა ქვეყანამ უნდა ააშენოს საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი ეკონომიკა, ეს არის ინოვაციური ეკონომიკა. სწორედ ამ აქტუალურ, უაღრესად სახელმწიფოებრივ საკითხს ეძღვნება საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტის, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტის ლეო ჩიქავას ახალი მონოგრაფია – **„ინოვაციური ეკონომიკა“**, თბ., 2006, 28,4 ნ.თ.

ეკონომიკა ის ძირითადი ბაზისია, რომელზედაც შენდება მთელი სახელმწიფო, განსაკუთრებით მისი თავდაცვისუნარიანობა. წიგნში მოცემულია ღრმა მეცნიერული ანალიზი ინოვაციური ეკონომიკისა როგორც თეორიულ-მეთოდოლოგიური, ისე პრაქტიკული და გამოყენებითი თვალსაზრისით.

ამ საკითხებზე გვესაუბრება „კახეთის სმის“ დღევანდელი სტუმარი – საქართველოს სამხედრო მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი, ვიცე-პოლკოვნიკი გივი იასეშვილი.

**— როგორც ცნობილია, მონოგრაფია უკვე განიხილეს. როგორი შეფასება დაიმსახურა წიგნმა როგორც საერთაშორისო დონისა და სტანდარტების სამეცნიერო ნაშრომმა?**

მონოგრაფიის პრეზენტაცია 2006 წლის 20 აპრილს შედგა ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. ნაშრომმა

მეცნიერთა მსრივ მაღალი შეფასება დაიმსახურა.

წიგნი 450 გვერდისგან შედგება. იგი მოიცავს შემდეგ თავებს: წინასიტყვაობა, ინოვაციური ეკონომიკის თეორიულ-მეთოდოლოგიური საფუძვლები; ცოდნის ეკონომიკა; ცოდნაზე დამყარებული ეკონომიკა; მომსახურების სფეროს არსი და განვითარების ტენდენციები ინოვაციური ეკონომიკის პირობებში; ეკონომიკის ინტელექტუალიზაცია და მისი პერსპექტივები საქართველოში; ინოვაციური ეკონომიკის ეკოლოგიური ასპექტები, თან ერთვის რუსულ ენაზე რეფერატი და გლოსარიუმი, რომელიც მოიცავს ამ პრობლემასთან დაკავშირებული ტერმინების განმარტებას.

წიგნის მეცნიერ-რედაქტორია ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი როზეტა ასათიანი.

**— ვიდრე ამ წიგნის ღირსების განხილვას შევუდგებოდეთ, თვით ავტორის შესახებ მოგვახსენეთ რამდენიმე სიტყვით.**

— იგი დამსახურებული მეცნიერი, აკადემიკოსია. მან დიდი ამაგი დასდო ქართველ მეცნიერთა პლეადის აღზრდას, მათ შორის ერთ-ერთი მეც ვარ. მინდა მას დიდხანს სიცოცხლე და კიდევ ბევრი საერთაშორისო დონისა და სტანდარტების სამეცნიერო ნაშრომის შექმნა ვუსურვო.

იგი გახლავთ საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის დემოგრაფიისა და სოციოლოგიური კვლევის ინსტიტუტის დირექტორი, სახელმწიფო სამსახურის მართვისა და მოსამსახურეთა მომზადების, გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების ცენტრის უფროსი, აკადემიკოს პაატა გუგუშვილის სახელობის უნივერსიტეტის რექტორი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, ეკო-

ნომიკურ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი, ნიუ-იორკის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი. მას ორასამდე ნაშრომი აქვს გამოქვეყნებული. ეს წიგნი ერთ-ერთი ბოლო ნამუშევარია.

**— როგორ დაახასიათებდით ამ წიგნის პრაქტიკულ მნიშვნელობას?**

— იგი ეხება ინოვაციურ ანუ ცოდნაზე დამყარებულ ეკონომიკას, რომელიც ცივილიზაციის ახალი ეტაპია. მისი უმნიშვნელოვანესი მახასიათებელია ცოდნის გადაქცევა კაცობრიობის მთავარ სიმდიდრედ და ძირითად წარმოებრივ რესურსად, რომელიც არსებითად ცვლის საზოგადოების ეკონომიკური განვითარების პარადიგმას. იგი მკვეთრად ამცირებს ეკონომიკური ზრდის დამოკიდებულებას ქვეყანაში არსებული ექსტენსიური ფაქტორებისგან.

აქტუალური ეკონომიკურ-მეცნიერული პრობლემებისადმი მიძღვნილი სემინარის გეგმა შედგება როგორც თეორიულ-მეთოდოლოგიური, ისე გამოყენებით-პრაქტიკული ხასიათის საკითხებისგან. გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს სახელმწიფოს ინოვაციურ პოლიტიკას, რომელიც ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკის ორგანული შემადგენელი ნაწილია.

ინოვაციური პოლიტიკა წარმოგვიდგება როგორც მიკრო, ისე მაკროეკონომიკურ დონეზე ფართომასშტაბიანი ინოვაციური საქმიანობის წასახალისებლად გამიზნული მეცნიერულ საწყისებზე შემუშავებული და ყოველმხრივ დასაბუთებული ღონისძიებათა სისტემა. იგი განსაზღვრავს ინოვაციების სფეროში სახელმწიფო ორგანოების საქმიანობის მიზნებს, ამოცანებს, მიმართულებებსა და ფუნქციებს, ასევე, მათი რეალიზაციის გზებსა და მეთოდებს. თანამედროვე ეტაპზე ინოვაციური პოლიტიკის ძირითადი ამოცანაა ისეთი სისტემის შექმნა, რომელიც უზრუნველყოფს ქვეყანაში არსებული ინტელექტუალური საკუთრების, ტექნიკისა და ტექნოლოგიების უახლესი მიღწევების გამოყენებას კონკურენტუნარიანი პროდუქციის საწარმოებლად, მაგალითად, მაკროეკონომიკურ დონეზე გა-

საკარებელ ღონისძიებათა შორის უნდა დაცასახელოთ ინოვაციური დანიშნულების საიმპორტო საქონელზე შეღავათიანი საბაჟო განაკვეთების დაწესება. მიკროეკონომიკურ დონეზე ინოვაციური პოლიტიკა, წესისამებრ, აისახება ფირმის ბიზნეს-გეგმაში.

**— იმ შემთხვევაში, თუ ფირმა არ დაუთმობს ცენტრალურ ადგილს ინოვაციურ საქმიანობას, მოსალოდნელია გაკოტრება?**

— ფირმა, რომელიც თავის ბიზნეს-გეგმაში ცენტრალურ ადგილს არ დაუთმობს ინოვაციურ საქმიანობას, აღვილი სავარაუდოა, კონკურენტებთან ბრძოლაში დამარცხდეს, გაკოტრდეს.

**— რას მოიცავს სახელმწიფო ინოვაციური პოლიტიკა?**

— სახელმწიფო ინოვაციური პოლიტიკა ისეთ ძირითად მიმართულებებს მოიცავს, როგორიცაა ინოვაციურ საქმიანობაში ბიზნესის თავისუფალი მოქმედების მატერიალური სტიმულირება და ინტელექტუალური საკუთრების სამართლებრივი უზრუნველყოფა. ინოვაციური ეკონომიკის პრიორიტეტული მიმართულებების დაჩქარებული განვითარების უზრუნველსაყოფად აუცილებელია რესურსების მიზანსწრაფული კონცენტრაცია და სხვ. მისი მნიშვნელოვანი ელემენტია ინოვაციური პროგნოზირება, რომელიც მოიცავს პერსპექტივაში მოსალოდნელ შედეგებს, წინასწარ განჭვრეტას. ინოვაციური პროგნოზი საფუძვლად ედება ინოვაციურ სტრატეგიას.

**— ინოვაციური პროგრამა სახელმწიფოთაშორისია?**

— ინოვაციური პროგრამა შეიძლება იყოს სახელმწიფოთაშორისი, რეგიონული, რეგიონთაშორისი, დარგობრივი და სხვ.

**— ინოვაციური ინფრასტრუქტურის შესახებ რას იტყოდით?**

— ინოვაციური ინფრასტრუქტურა არის ინოვაციური საქმიანობის განვითარების ხელშემწყობი გარემო პირობების შემქმნელი კომპონენტების ერთობლიობა. ინოვაციური ინფრასტრუქტურა ითვალისწინებს, ერთი მხრივ, სახელმწიფოებრივი რეგულირების გაძლიერებას, ხოლო, მეორე მხრივ, დაინტერესებული სტრუქტურის ინტეგრაციას სიახლის რეალიზაციის-

თვის; როგორც ადგილობრივი, ისე უცხოელი ინვესტორების მოზიდვას და ისეთი პირობების შექმნას, რომელიც ხელს შეუწყობს საბაზრო ეკონომიკაში ინოვაციური პროცესების გააქტიურებას.

ნოოსფერო არის ადამიანისა და ბუნების ურთიერთმოქმედების სფერო, რომელშიც კაცობრიობის შეგნებული საქმიანობა სულ უფრო მზარდი ოდენობით იქცევა არა მარტო საზოგადოების თანმიმდევრული განვითარების, არამედ, აგრეთვე, თვით ბუნების შემდგომი ევოლუციის გადამწყვეტ ფაქტორად. ნოოსფეროს ცნებაში იგულისხმება ადამიანისა და ბუნების ურთიერთქმედება, რომელსაც საბოლოოდ მივყავართ, ერთი მხრივ, პლანეტის ბიოსფეროს რესურსების შეზღუდულობასა და, მეორე მხრივ, ამ რესურსებზე საზოგადოების მუდმივად მზარდ მოთხოვნილებებს შორის წინააღმდეგობის გადაჭრამდე. ეს ტერმინი მეცნიერულ ბრუნვაში 1927 წელს შემოიტანა ფილოსოფოსმა ჟ. ლერუამ. რუსმა მეცნიერმა, აკადემიკოსმა ვერნადსკიმ, თავისი ბიოქიმიური გამოკვლევების განზოგადების საფუძველზე, გვიჩვენა, რომ ბუნება მასზე აქტიური ზემოქმედების შედეგად განიცდის კოლოსალურ ცვლილებებს და ადამიანი იქცევა გარდამქმნელ ძალად, რომელიც განსაზღვრავს ბიოლოგიური ევოლუციის მიმართულებებს. განვითარების თანამედროვე ეტაპზე ადამიანისა და ბიოსფეროს ურთიერთობა იძენს გლობალურ ხასიათს, წარმოშობს ნივთიერებათა ცვლის ახალ ტიპებს, რომელთა შედეგადაც ბიოგენეზი გადადის ნეოგენეზში. ბიოსფეროს ნოოსფეროდ თანმიმდევრული გარდაქმნა დამოკიდებულია არა მარტო მეცნიერულ-ტექნიკურ პოტენციალზე, არამედ სოციალურ-ეკონომიკურ ფაქტორებზეც.

ნოოსფეროს კონცეფცია იმთავითვე გულისხმობს საზოგადოებრივ, საბუნებისმეტყველო და ტექნიკურ მეცნიერებათა ინტეგრაციის აუცილებლობას, რამდენადაც უამისოდ შეუძლებელია ნოოსფეროსთან დაკავშირებული პრობლემების წარმატებით გადაჭრა.

ინოვაციურ პოლიტიკაში გამოყოფენ ორ მხარეს — სტრა-

ტეგიულსა და ტაქტიკურს. სტრატეგიული ანუ ჩვეულებრივი, გრძელვადიან, შედარებით მსხვილმასშტაბურ ამოცანებს ისახავს და გულისხმობს ინოვაციური საქმიანობის სახელმწიფოებრივი რეგულირების ძირითადი მიმართულებების განსაზღვრას. ტაქტიკური კი მოიცავს მნიშვნელოვანწილად ისეთი კონკრეტული ღონისძიებების შემუშავებას, რომელსაც ძალუძს დასახული მიზნების მაღალეფექტიანი განხორციელება.

„კახეთის ხმა" მომავალ ნომრებში შემოგთავაზებთ სტატიის გაგრძელებას, რომელიც ზემოაღნიშნული წიგნის ცალკეული თავების განხილვას მიეძღვნება.

ჟურნალისტი **ნატო ციხკარიშვილი**

ის. გაზ. **„კახეთის ხმა"**, 26.09.2006.

# 14. საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის შრომები, ტომი V

**იბეჭდება საქართველოს სამხედრო მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტის გივი იასეშვილის ინიციატივით.**

2001 წლის იანვარში საინიციატივო ჯგუფის მიერ ჩემი ხელმძღვანელობით დამოუკიდებელი საზოგადოებრივი ორგანიზაციის – საქართველოს სამხედრო მეცნიერებათა აკადემიის (სსმა) დაარსებით ჩვენს ქვეყანაში დაიწყო ეროვნული სამხედრო აღმშენებლობის ახალი ინფორმაციული ეტაპი, რომელიც ემყარება 21-ე საუკუნის ინფორმაციულ-ტექნოლოგიური რევოლუციის უახლესი მიღწევების პრაქტიკულ გამოყენებას.

ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ხარისხი მისი ეკონომიკური განვითარების დონის პირდაპირპროპორციულია. ინოვაციური ეკონომიკა უნდა განაპირობებდეს ინოვაციურ თავდაცვით სისტემას, რაც, სამწუხაროდ, საქართველოში არ ხდება. 2005 წელს საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალურმა შტაბმა თავი ვერ გაართვა სსმა-ს კოლექტივის მიერ დამუშავებული მეცნიერულად დასაბუთებული და რეკომენდებული ახალი პროგრამებისა და წინადადებების დანერგვის დაწყების ისტორიულად აუცილებელ პროცესს.

ამ მიზნით, სსმა ახლო მეგობრობს და მჭიდროდ თანამშრომლობს დიდი მეცნიერული ტრადიციების მქონე საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიასთან (სემა), რომლის პრეზიდენტია აკადემიკოსი ლეო ჩიქავა. ეს აკადემია 13 წელია არსებობს და დაკომპლექტებულია 50-მდე მხოლოდ ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორებისგან. ჩრდილო-ატლანტიკური ალიანსის სტანდარტების შესაბამისად, სემა ახორციელებს სსმა-ს სამოქალაქო საზოგადოებრივ კონტროლს.

სემამ, დამკვიდრებული ტრადიციის თანახმად, 2005 წელს უამოსცა ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო

შრომების კრებულის მეხუთე ტომი, რომელშიც განხილულია თანამედროვე მრავალწახნაგოვანი ეკონომიკის მწვავე პრობლემები. მასში, თეორიულ საკითხებთან ერთად, გაშუქებულია საქართველოს ეკონომიკის რეფორმირების რთული პროცესი. კრიტიკული ანალიზის საფუძველზე, დასახულია არსებული ეკონომიკური კრიზისის დაძლევისა და საბაზრო ურთიერთობებზე გადასვლის გზები.

კრებულის წინასიტყვაობაში აკად. ლ. ჩიქავა წერს: „... **ჩვენი ნაფიქრალ-ნააზრევის არამარტო პრაქტიკული რეალიზაციით, არამედ მეცნიერულ-თეორიულ დონეზე განხილვა-შეფასებითაც არავინ დაინტერესებულა. ვერ ვიტყვით, რომ ხელისუფლების ორგანოების მხრივ ასეთმა ინდიფერენტულმა დამოკიდებულებამ დადებითად იმოქმედა ქართველ ეკონომისტთა გუნება-განწყობაზე, მაგრამ იგი არც ხელის ჩაქნევის საფუძველი გამხდარა. ჩვენ – სწავლული ეკონომისტები კვლავ ერთგულად ვდგავართ ქართული ეკონომიკური მეცნიერების სადარაჯოზე და, ჩვენი შესაძლებლობების ფარგლებში, ჩვეული კეთილსინდისიერებით განვაგრძობთ პროფესიული მოვალეობის შესრულებას**“.

წინა კრებულების ანალოგიურად, მე-5 ტომიც ქვეყნის აქტუალური ეკონომიკური პრობლემების საკმაოდ ფართო წრეს მოიცავს. მისი შინაარსი აი როგორ გამოიყურება:

– წინასიტყვაობა;

– **ლეო ჩიქავა** – ინოვაციური ეკონომიკის განვითარების აწმყო და მომავალი საქართველოში;

– **როზეტა ასათიანი** – ქვეყნის კონკურენტუნარიანობა და კონკურენციის გლობალიზაცია;

– **ნუგზარ სანთელაძე** – საქართველოში საწარმოთა ანტიკრიზისული მენეჯმენტის საკითხისთვის;

– **რევაზ კაკულია** – გლობალური ეკონომიკა და სასელმწიფოს ეკონომიკური რეგულირების ფინანსური ასპექტები;

– **გიორგი მალაშხია** – დაკროვილი სიმდიდრე როგორც ცხოვრების ეკონომიკური დონის რესურსი;

– **ევგრაფ კანდელაკი** – ინსტიტუციური თეორიის ეკონომიკურ პოლიტიკაში გამოყენების საკითხები;

— **ჯამლეტ შათირიშვილი** — საქართველოს ეკონომიკური კრიზისიდან გამოსვლის ფინანსური ღონისძიებები;

— **ედუარდ ცირამუა** — მოსაზრებები საქართველოში სამეურნეო აღრიცხვის მომავალზე;

— **გიორგი შუბლაძე** — ბიზნესის განვითარებისა და პრივატიზაციის ურთიერთკავშირის შესახებ;

— **მურმან ცარციძე** — ეროვნული შრომის ბაზრის ფორმირების თავისებურებები საქართველოში.

— **გიორგი პაპავა** — ინდიკატური გეგმის მექანიზმი და როლი ეკონომიკის პოლიფუნიურ განვითარებაში;

— **ჯამლეტ შათირიშვილი, მიხეილ ჩიკვილაძე** — გადასახადების რაობისა და მნიშვნელობის საკითხისთვის;

— **თეიმურაზ კანდელაკი** — საქართველოს ტყის რესურსების ეკონომიკური შეფასების მეთოდები, პრინციპები და ძირითადი მაჩვენებლები;

— **დემურ ჩომახიძე** — ენერგეტიკის რეგულირება საქართველოში: პირველი შედეგები და ამოცანები;

— **ნოდარ ბიჭიაშვილი** — ფირმის პროდუქციის მულტიპლიკაციური ღირებულებითი ელემენტების მოქნილი დიაფრაგმის მართვის საკითხისთვის;

— **ომარ ვაშაკიძე** — საქართველოს აგროსამრეწველო კომპლექსის რეფორმირების საკითხები;

— **ამირან ჯიბუტი** — კოლხეთის დაბლობის ამოშრობისა და ათვისების პრობლემები.

რეგიონულ გაზეთ „კახეთის ხმის“ პატივცემულ მკითხველებს გასაცნობად და შემდგომ შრომით საქმიანობაში გამოსაყენებლად გთავაზობთ ფრაგმენტებს ზემოთჩამოთვლილ ცნობილ სწავლულ ეკონომისტთა უახლესი სამეცნიერო ნაშრომებიდან.

# 15. ინოვაციური ეკონომიკის აწმყო და მომავალი საქართველოში

**(ფრაგმენტები ლ. ჩიქავას სტატიიდან, რომელიც დაბეჭდილია სემა-ს შრომების V ტომში)**

აკად. ლ. ჩიქავას მართებული დასკვნით, საქართველოში ინოვაციური საქმიანობის განვითარების დაბალი დონის მაჩვენებელია მისი ეკონომიკური ჩამორჩენილობა. 1990-2002 წლებში მთლიანი შიგა პროდუქტი ჩვენს ქვეყანაში ყოველწლიურად საშუალოდ 3,9%-ით მცირდებოდა, მაშინ როდესაც ამავე პერიოდში აღნიშნული მაჩვენებლის საშუალო წლიური ზრდის ტემპი (%-ობით) შეადგენდა: ჩინეთში – 8,6; ირლანდიაში – 6,8; სამხრეთ კორეაში – 4,7; ჩილეში – 4,4; პოლონეთში – 4,2; სინგაპურში – 3,8; ნორვეგიაში – 3,0 და ა.შ. მსოფლიოში საშუალოდ კი – 1,2.

ქვეყანაში ინოვაციური საქმიანობის ნორმალურად განვითარება წარმოუდგენელია ხელისუფლების ორგანოების მხრიდან სათანადო მხარდაჭერისა და ხელსაყრელი გარემო-პირობების შექმნის გარეშე. წარმოებას, მის განვითარებასა და სრულყოფას, ანუ მიწოდებას, უწინარეს ყოვლისა და მნიშვნელოვანწილად, მოთხოვნა განსაზღვრავს. საქართველოში სწორედ ამ უკანასკნელის – მეცნიერულ ცოდნაზე მოთხოვნის დეფიციტი იგრძნობა, როგორც ვ. კელე წერს, როცა რადიოსაღგურ „მოსკოვის ექოს“ წამყვანმა ჰკითხა აშშ-ს (იმდროინელ) პრეზიდენტს, ბილ კლინტონს, „თელის თუ არა იგი რუსეთს განვითარებად, ანუ მესამე სამყაროს ქვეყნად?“ მან უყოყმანოდ უპასუხა: „არა, რამდენადაც ამ ქვეყანაში მეცნიერთა და ინჟინერთა ინტელექტუალური პოტენციალი მაღალია“ . . . იგივე ითქმის საქართველოზე, რაღგან მისი მთავარი სიმდიდრე ინტელექტუალური პოტენციალია.

თუმცა, პოტენციალს ამოქმედება, გამოყენება სჭირდება. ამ

რეზერვის ამოქმედებისკენ მიმართულ უმნიშვნელოვანეს ღონისძიებათა სისტემაში ცენტრალური ადგილი ინოვაციური საქმიანობის სწრაფი ტემპებით განვითარებასა და ინოვაციური ეკონომიკის ჩამოყალიბება-დამკვიდრებას უკავია.

რა უნდა გაკეთდეს ამისთვის?

— აკად. ლ. ჩიქავას აზრით, მიზანშეწონილია:

— საჯარო სამართლის იურიდიული პირის სტატუსით შეიქმნას სპეციალური სახელმწიფო სტრუქტურა, რომელიც, თანამედროვე მოთხოვნებისა და მსოფლიო გამოცდილების გათვალისწინებით, შეიმუშავებს ეროვნულ პრინციპებზე დამყარებული ინოვაციური პოლიტიკის კონცეფციას და წარუდგენს მთავრობას ცხოვრებაში გასატარებლად.

— მეცნიერულ კვლევებსა და საცდელ საკონსტრუქციო დამუშავებაზე დანახარჯების ხვედრითი წონა მშპ-ში პირველ ეტაპზე ავიყვანოთ მსოფლიო საშუალო დონეზე მაინც (2,5%). მომდევნო ეტაპებზე კი ეკონომიკური ზრდისა და შესაძლებლობათა გაფართოების კვალობაზე, თანდათანობით მივუახლოვოთ ამ მხრივ დაწინაურებული ქვეყნების მაჩვენებლებს (4-5%). უნდა შეიქმნას ხელსაყრელი გარემო ამ სფეროში კერძო ინვესტიციების მაქსიმალური ოდენობით მოსაზიდად;

— განათლებაზე სახელმწიფო დანახარჯების ხვედრითი წონა მშპ-ში პირველ ეტაპზე ავიყვანოთ 4%-მდე, ხოლო მომდევნო ეტაპებზე თანდათანობით მივუახლოვოთ ადამიანისეული პოტენციალის განვითარების მაღალი რეიტინგის მქონე ქვეყნების მაჩვენებელს — 5%. რაც შეეხება სახელმწიფო დანახარჯების სტრუქტურაში განათლებაზე დანახარჯების ხვედრით წონას, იგი პირველ ეტაპზე მიზანშეწონილია ავიყვანოთ 15%-მდე (რომლისგანაც ძალიან შორს არც ახლა ვართ), ხოლო შედარებით შორეულ პერსპექტივაში გავზარდოთ კიდევ 1-2%-ით. უნდა ვიხელმძღვანელოთ იმ პრინციპით, რომ ინვესტიციები კადრების მომზადების, გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების სფეროში, საბოლოო ანგარიშით, ვაცილებით მაღალმომგებიანია, ვინემ კაპიტალდაბანდებები ნებისმიერ სხვა სფეროში. თანაც, ინოვაციური საქმიანობის განვითარება (მაღალი ტექნოლოგიები, ეკონომიკის ინტელექტუალიზაცია, კომპიუტერიზაცია, ინტერნეტიზაციის დონის ამაღლება და ა.შ.) წარმო-

უდგენელია თანამედროვე მეცნიერულ-ტექნიკურ ინფორმაციას დაუფლებული, განათლებული კადრების გარეშე.

ყოველთვის უნდა გვახსოვდეს, რომ სფერო, სადაც ხდება ცოდნის შეძენა და გაღრმავება, უაღრესად პრიორიტეტულია. ამის პრაქტიკული დადასტურება იქნება ინვესტიციების უფრო სწრაფად გაზრდა ცოდნის შეძენისთვის, ვინემ ძირითადი კაპიტალის გადიდებისთვის. ასეთი კურსის განხორციელებით დავაჩქარებთ ჩამორჩენილი ეკონომიკიდან ინტელექტუალურ ეკონომიკაზე გადასვლის პროცესს;

საზოგადოებრივი წარმოების ეკონომიკური ეფექტიანობის ამაღლებაში განათლებისა და ცოდნის როლის გასაძლიერებლად აუცილებელია ისეთ ქმედით ღონისძიებათა განხორციელება, როგორიცაა:

— სპეციალისტთა კადრებზე (სპეციალობათა მიხედვით) მეცნიერულად დასაბუთებული მოთხოვნის განსაზღვრა ეკონომიკის განვითარების არა მარტო უახლოესი, არამედ, აგრეთვე, შორეული პერსპექტივის გათვალისწინებით და ამის საფუძველზე (ყველა აუცილებელი კომპონენტის შეჯერებით) მათი მომზადების ორგანიზაცია;

— უწყვეტი განათლების ერთიანი სისტემის შექმნა. როგორც მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარებაა შეუჩერებელი, მუდმივგანვითარებადი პროცესი, ასევე, მუდმივი და უწყვეტია მოთხოვნა ახალ, მეცნიერულ ცოდნაზე, აქედან გამომდინარე, უწყვეტი უნდა იყოს თვითგანათლებისა და ცოდნის დონის ამაღლების პროცესიც. ეს ეხება უკლებლივ ყველა მუშაკს, განურჩევლად ასაკისა, ცენზისა, პროფესიისა, დამსახურებისა და თანამდებობისა;

— ეკონომიკური ცოდნით აღჭურვა. ვერ ვიტყვით, რომ ეკონომიკური განათლების გარეშე ადამიანს არსებობა არ შეუძლია, მაგრამ უპრიანი იქნება ასეთი ადამიანის შედარება უკომპასოდ ოკეანეში გასულ გემთან, რომელიც ზედმეტი დაყოვნებისა და მრავალი გაუთვალისწინებელი დაბრკოლების გადალახვის გარეშე ვერ აღწევს დანიშნულების პუნქტს.

აუცილებელია ნებისმიერ სფეროში ხელმძღვანელ მუშაკთა, განსაკუთრებით, ინჟინერ-ტექნიკური და სხვა წამყვანი სპეციალისტების, ეკონომიკური ცოდნის დონის ამაღლება, ახალი ტი-

პის ეკონომიკური აზროვნების ფორმირება, მოვლენათა სწრაფი გაანალიზებისა და ოპტიმალურ გადაწყვეტილებათა მიღების უნარის გამომუშავება, ეკონომიკის ძირეულ საკითხებში საფუძვლიანად გარკვეული სპეციალისტებისა და სხვა მუშაკთა შემოქმედებითი მონაწილეობა ეკონომიკურ ექსპერიმენტში, რომელთა მიზანია მეურნეობრივი მექანიზმის სრულყოფა, ეკონომიკური კანონების მოთხოვნათა სრულად რეალიზაციის უზრუნველყოფა;

– სპეციალისტთა კადრების პროფილით (სპეციალობის მიხედვით) დასაქმება. ამის პრაქტიკულ განხორციელებას ხელს შეუწყობს არაპროფილით მომუშავეთათვის, პროფილით მომუშავეებთან შედარებით, ხელფასის საგრძნობლად (20-25%-ით) შემცირებული ოდენობით დაწესება;

მუშაკთა კვალიფიკაციის ამაღლების სამსახურის ჯეროვან დონეზე დაყენება, ყველა მუშაკის მიერ (ვისაც ეხება) ყოველ 3-4 წელიწადში ერთხელ მისი გავლის პრაქტიკული უზრუნველყოფა. მსმენელთა აუდიტორიების დიფერენცირებულად დაკომპლექტება განათლების ცენზისა და სპეციალობათა გათვალისწინებით. კვალიფიკაციის ამაღლების უაღრესად პასუხსაგები საქმის განსაკუთრებით მაღალკვალიფიციური სპეციალისტებისთვის მინდობა;

– სპეციალისტთა კადრების მომზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების ორგანულად დაკავშირება პრაქტიკასთან (ცხოვრებასთან). სასწავლო ლაბორატორიების, კაბინეტებისა და საცდელი ექსპერიმენტული ბაზების აღჭურვა თანამედროვე უახლესი ტექნიკით (კომპიუტერი, ინტერნეტი, ემეილი) და ა.შ.;

ინოვაციური საქმიანობის განვითარების მეცნიერულად დასაბუთებული სტრატეგიის შემუშავება;

ავტორს გამართლებულად არ მიაჩნია დისკუსია იმის თაობაზე, ამ მიმართულებებიდან თუ რომელია ჩვენთვის მისაღები და რომელი – არა. მისი შეხედულებით, შეიძლება გამოვიყენოთ სამივე სტრატეგია, ოღონდ, კონკრეტულ თავისებურებათა გათვალისწინებით, შეიძლება ერთგვარი უპირატესობა მიენიჭოს რომელიმე მათგანს.

ინოვაციური განვითარების სტრატეგიიდან გამომდინარე, ქვეყანაში ინოვაციური საქმიანობის ხელშეწყობის მიმართუ-

ლებით მიზანშეწონილია გამოიყოს შემდეგი სახელმწიფო პრიორიტეტები: ა) მეწარმეობის განვითარება მეცნიერულ-ტექნოლოგიურ სფეროში; ბ) ისეთი პოლიტიკური, ეკონომიკური და სამართლებრივი გარემოს შექმნა, რომელშიც წარმატებით განვითარდება ინოვაციური პროცესები; გ) ინოვაციური ინფრასტრუქტურის განვითარება.

რაც შეეხება ტექნოლოგიების განვითარების პრიორიტეტულ მიმართულებებს, საქართველოს ეკონომიკური განვითარების თავისებურებებისა და საერთაშორისო ტენდენციების გათვალისწინებით, ასეთებად შეიძლება გამოვყოთ; ინფორმაციული ტექნოლოგიები; ბიოტექნოლოგიები; ენერგეტიკის არატრადიციული ტექნოლოგიები; ახალი მასალების მიღების ტექნოლოგიები; ბუნებრივი რესურსების მოპოვებისა და გადამუშავების თანამედროვე ტექნოლოგიები; მაღალეფექტიანი მანქანა-დანადგარების, რობოტტექნიკის, მიკროელექტრონიკის გამოყენებით მომუშავე ტექნოლოგიები; ეკოლოგიურად სუფთა ტექნოლოგიები.

იმის გათვალისწინებით, რომ დღევანდელ პირობებში საქართველოს ძალიან გაუჭირდება მხოლოდ უახლესი ტექნოლოგიების იმპორტზე ორიენტაცია, ფრიად მნიშვნელოვანია განვითარებულ ქვეყნებში ადრე ათვისებული, მაგრამ ჩვენთვის ჯერ კიდევ გამოსადეგი ტექნოლოგიების იმპორტი, რისთვისაც აუცილებელია ტექნოლოგიების მატარებელი მატერიალური ნაწარმის – მანქანა-დანადგარების, მეცნიერულ-ტექნიკური და წარმოებრივი დანიშნულების მოწყობილობების, აგრეთვე, ტექნოლოგიური ხაზების იმპორტის წახალისება (მოქნილი საბაჟო პოლიტიკის გამოყენებით).

ეკონომისტთა ერთი ნაწილი დასაშვებად მიიჩნევს მხოლოდ-დამხოლოდ ღია ვაჭრობის პოლიტიკას და მანკიერად თელის მფარველობითი პოლიტიკის გატარებას, განვითარებული ქვეყნებისთვის, მართლაც, თავისუფალი ვაჭრობის პოლიტიკაა მისაღები, მაგრამ ეკონომიკურად ჩამორჩენილი ქვეყნებისთვის მეტწილად დამღუპველია, რამდენადაც ვერ უძლებს კონკურენტთა მეტოქეობას და ზარალდება. განვითარებული ქვეყანა მის ტერიტორიაზე შემოიტანს ლამაზად გაფორმებულ და შედარებით იაფფასიან, მაგრამ დაბალხარისხიან (ზოგჯერ ფასლიფი-

ცირებულ) საქონელს და საფუძველს გამოაცლის ანალოგიური პროდუქციის ადგილზე წარმოებას.

პროტექციონისტული პოლიტიკის გატარებას ზოგჯერ არც განვითარებული ქვეყნები ერიდებიან. შეიძლება გავიხსენოთ აშშ-სა და იაპონიას შორის „სავაჭრო ომი" ავტომობილების რეალიზაციასთან დაკავშირებით. აშშ იძულებული გახდა საკუთარი წარმოება დაეცვა იაპონური საქონლის შემოტევისგან, რომელიც მაღალი ტექნოლოგიების ბაზაზე დამზადების შედეგად, უფრო კონკურენტუნარიანი აღმოჩნდა. აშშ-მა მას მფარველობითი პოლიტიკა დაუპირისპირა და საბაჟო განაკვეთების მოქნილი სისტემის გამოყენებით შესძლო რთული ვითარებიდან გამოსვლა.

დროდადრო ამავე ხერხს მიმართავს იაპონიაც, იგი სხვებს ლიბერალური სავაჭრო პოლიტიკისკენ მოუწოდებს, თვითონ კი რიგ შემთხვევაში ცალკეული საქონლის იმპორტის შესაჩერებლად სხვადასხვა ბარიერს იყენებს.

ამრიგად, ისე როგორც ჩვილ ბავშვს სჭირდება წამოჩიტებამდე აღზრდა-დახმარება, მეტწილად ასეა ჩამორჩენილი ქვეყნის ეკონომიკაც.

და კიდევ ერთი არგუმენტი: აფრიკის ზოგიერთი სახელმწიფო ერთგულად მიჰყვება თავისუფალი ვაჭრობის პრინციპებს, მაგრამ, ამის მიუხედავად, მათი ეკონომიკური მდგომარეობა სულ უფრო უარესდება. ასევე მოუვიდათ ბრაზილიას, მექსიკას და ა.შ.

სხვა ქვეყნების ანალოგიურად, მიზანშეწონლია, საქართველოშიც შეიქმნას სახელმწიფო ინოვაციური ფონდი. იგი ხელს შეუწყობს ინოვაციური საქმიანობის თაობაზე ინფორმაციული სისტემის შექმნას, ქვეყნის მეცნიერულ-ტექნიკურ განვითარებას, სახელმწიფო ინოვაციური პოლიტიკის რეალიზაციას, მეცნიერულ-ტექნიკური (მათ შორის რისკიანი) პროექტების საკონკურსო წესის, გამოყენებით დაფინანსებას, რესურსდამზოგველი და მაღალმწარმოებლური ტექნოლოგიების სწრაფად დანერგვას, ბიზნეს-გეგმების საერთაშორისო მოთხოვნების დონეზე მომზადებას, მენეჯერთა და სპეციალისტთა მატერიალურ სტიმულირებას და ა.შ.

ინოვაციურ საქმიანობაში კრედიტის გამოყენების მეტად საინ-

ტერესო და მდიდარი გამოცდილება აქვს იაპონიას. ასალი ტექნოლოგიების დანერგვასა და ეკონომიკური ზრდის დაჩქარების მიზნით, მან ფართო მასშტაბით გამოიყენა შეღავათიანი (დაბალ-პროცენტიანი) კრედიტის პოლიტიკა. ასეთმა ღონისძიებამ საგრძნობლად დააჩქარა ინვესტიციების მოზიდვის პროცესი.

გარკვეული კორექტირების შეტანით, ამ გამოცდილებათა გამოყენება არც ჩვენს ქვეყანას აწყენდა. ინოვაციური ფონდის წყარო, სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრებთან ერთად, შეიძლება იყოს სამინისტროების, ბანკების, საწარმოების, გაერთიანებების, ორგანიზაციების, მოქალაქეების, საერთაშორისო ორგანიზაციებისა და კომპანიების ნებაყოფლობითი შენატანები. ასევე, გრანტები, ფონდის მონაწილეობით შექმნილი პროდუქციის რეალიზაციიდან მიღებული მოგების ნაწილი და სხვ.

აუცილებელია ინოვაციური საქმიანობების კვალობაზე მიღებული მეცნიერულ-ტექნოლოგიური შედეგების კომერციალიზაცია, რომელიც დღეისთვის, შეიძლება ითქვას, ყველაზე სუსტ ადგილს წარმოადგენს. სანამ საფუძვლიანად არ შევისწავლით და არ დავეუფლებით ინოვაციური საქონლის რეალიზაციის პრაქტიკას და არ შევქმნით ინოვაციური საქონლის საკმაოდ ტევად ბაზარს, ვერ შეეძლებთ ეკონომიკის ინტელექტუალიზაციის დონის ამაღლებას. ამასთან დაკავშირებით, აი, რა საინტერესო მოსაზრებას გვთავაზობს უწმინდესი და უნეტარესი, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II: **„უნდა დაარსდეს იდეების ბანკი, ისეთი დაწესებულება, ისეთი ადგილი, სადაც აღმოჩენები, ახალი აზრები შეიკრიბება. ჩვენ – ქართველებს გვახასიათებს ახალი იდეების, აღმოჩენების უნარი. სამწუხარო ის არის, რომ გვიჭირს ახალი აზრების განხორციელება“.**

ქართული ეკონომიკური აზრის რაციონალური მარცვლების საერთაშორისო მასშტაბის მკითხველთათვის (ქართულ, რუსულ და ინგლისურ ენებზე) გაცნობისა და მომავალში კომერციალიზაციის პირველ ცდას ჩაუყარა საფუძველი ერთ-ერთი უაღრესად ნიჭიერი და განათლებული სწავლული ეკონომისტის – მერაბ გველესიანის ინიციატივითა და ძალისხმევით დაარსებულმა ჟურნალმა – „კომენტარმა“.

სპეციალისტები, საქართველოს ეკონომიკის დღევანდელი

მღუომარეობის გათვალისწინებით, ინოვაციურ სამუშაოთა კომერციალიზაციის ყველაზე ეფექტიან გზად მიიჩნევენ ინტეგრაციული ფორმის მცირე ინოვაციური ფირმების (ტექნოპარკები, ბიზნეს-სათბურები, ინოვაციური კოოპერატივები და სხვ.) განშტოებულ ქსელზე დაყრდნობას, რომელსაც აქვს უნარი შემჭიდროებულ ვადებში და მინიმალური დანახარჯებით გამოუშვას მეცნიერებატევადი კონკურენტუნარიანი პროდუქცია. ამგვარი ბიზნესის მთელი რიგი უპირატესობით აიხსნება ის გარემოება, რომ რუსეთის მეცნიერული პოტენციალის 20%-ზე მეტი მცირე ინოვაციურ საწარმოებშია თავმოყრილი.

მეცნიერული კვლევა-ძიების შედეგების კომერციალიზაციის ხელშემწყობ ფაქტორად უნდა ვაღიაროთ მეცნიერულ-კვლევით ინსტიტუტებში მენეჯერ-დირექტორის თანამდებობის შემოღება, რომელიც მეცნიერების შესახებ კანონითაა გათვალისწინებული.

მართვის თანამედროვე კულტურის დამკვიდრებისა და ეფექტიანობის ამაღლების მიზნით, მიზანშეწონილია მენეჯერების მომზადებისა და გადამზადების სისტემის თანამედროვე საბაზრო ეკონომიკის მოთხოვნათა შესაბამისად ორგანიზაცია, საკუთარი და საერთაშორისო ფინანსური ორგანიზაციების სახსრების მოზიდვა ტრეინინგის სპეციფიკური პროგრამების შემუშავებისა და რეალიზაციისთვის.

ასეთი პროგრამები სასურველია მომზადდეს დაინტერესებული სამინისტროებისა და უწყებების ერთობლივი მონაწილეობით. მათი მომზადებისა და რეალიზაციის კოორდინაცია ეკონომიკური განვითარების სამინისტრომ უნდა განახორციელოს. ამ საქმეში მონაწილეობა, სახელმწიფო საწარმოებთან და ორგანიზაციებთან ერთად, შეიძლება კერძო ბიზნესმაც მიიღოს.

ამრიგად, საქართველო საკმაოდ მდიდარ და მრავალფეროვან ინტელექტუალურ პოტენციალს ფლობს. მთავარია მისი სრულად ამოქმედება და საზოგადოების სამსახურში ჩაყენება. ამ დიდი მიზნის განხორციელებისკენ სწრაფვა ჩვენი ქვეყნის თითოეული მოქალაქის უპირველესი და უწმინდესი მოვალეობაა.

იხ. გაზ. **„კახეთის ხმა“**, 8.11.2006.

# V. პროფ. ლ. ჩიქავას დაბადებიდან 70 წლის იუბილესთან დაკავშირებული მასალები

## 1. შესავალი სიტყვა

**ქალბატონებო და ბატონებო!**

საქართველოს ეკონომისტთა საზოგადოება, ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემია და საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის დემოგრაფიისა და სოციოლოგიური კვლევის ინსტიტუტი დღეს აღნიშნავენ თვალსაჩინო მეცნიერ-ეკონომისტის, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის დემოგრაფიისა და სოციოლოგიური კვლევის ინსტიტუტის ფუძემდებლისა და პირველი დირექტორის, აკად. პ. გუგუშვილის სახ. უნივერსიტეტის რექტორის, ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის შექმნის ერთ-ერთი ორგანიზატორისა და პირველი პრეზიდენტის, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის, ნიუ-იორკის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრის, ჩვენი ქვეყნის ღირსეული მოქალაქისა და ინტელიგენტის, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ ლეო ჩიქავას დაბადებიდან 70 და მეცნიერულ-პედაგოგიური და საზოგადოებრივი მოღვაწეობის 50 წლისთავს.

დღევანელ შეხვედრას, მორალურ-ზნეობრივ დატვირთვასთან ერთად, უდიდესი პოლიტიკური და სახელმწიფოებრივი მნიშვნელობაც აქვს. ჯერ ერთი, ამ შეხვედრითაც დასტურდება, რომ ქვეყანა ძნელბედობიდან გამოდის. იგი ძალას იკრებს, აღმშენებლობას შეუდგა. ვხედავთ, რომ ეროვნული ზნეობრივ-მოქალაქეობრივი პრინციპებისა და ტრადიციებისადმი ქართულმა, ჰუმანურმა მიდგომამ გაიმარჯვა. დღეს საქართველოში ღირსეულ, დამსახურებულ ადამიანებს კი არ კიცხავენ, ლაფში კი არ სვრიან თანამედროვე „ნოვატორ-რევოლუციონერთა“ მაგალითისამებრ, არამედ პატივს მიაგებენ, იუბილე-

ებს უსდიან, დამსახურებისამებრ ეფერებიან.

აღვნიშნავთ რა ბატონი ლეო ჩიქავას დაბადებიდან 70 წლისთავს, ჩვენ მეცნიერ-ეკონომისტები უპირველესად მოვალენი ვართ საჯაროდ გამოვხატოთ ჩვენი პოზიცია იუბილარის მიმართ. ვაღიაროთ და ვუთხრათ ყველამ ერთად და თითოეულმა ცალ-ცალკე, რომ მას განსაკუთრებული, გამორჩეული ავტორიტეტი და ადგილი აქვს ჩვენი ქვეყნის სწავლულ ეკონომისტთა საზოგადოებაში, საერთოდ ქართულ ინტელიგენციაში.

ამით პატივს მივაგებთ საქართველოს ეკონომიკური მეცნიერების მიერ განვლილ სახელოვან გზას, იმ მეცნიერ ეკონომისტებსაც, რომლებიც ვერ მოესწრნენ იუბილეებს, ან გაჭირვების გამო ვერ მოხერხდა მათი დიდი ღვაწლის საზოგადოებრივი მნიშვნელობის ჯეროვან დონეზე საქვეყნო აღიარება. ამით გავამხნევებთ ბევრ ჩვენს კოლეგას, რომელთაც შეძენილი უნიკალური ცოდნის ცხოვრებისეული გამოცდილების ქვეყნის სამსახურში გამოყენების უპერსპექტივობის, ხელჩაქნეულობის განწყობილება დაეუფლათ ან ეუფლებათ.

საქართველოს მეცნიერ-ეკონომისტთა უპირველესი ვალია შევინარჩუნოთ ჩვენი მეტად საჭირო სამეცნიერო პოტენციალი, ახალ სოციალურ-ეკონომიკურ გარემოში მოვიპოვოთ ჩვენი კუთვნილი ადგილი, რაც მთავარია, ახლა მაინც გავუფრთხილდეთ ერთმანეთს. ცხოვრებამ უკვე მერამდენედ დაამტკიცა, რომ მოფერების ქართული ფენომენი უძლიერესი, უზენაესი და უკიდეგანოა. სწორედ ამ დალოცვილს, ეკონომისტების ენით რომ ვთქვათ, კაბალური კრედიტების გარეშეც შეძლებია ადამიანები გაამხნევოს, სიკეთისკენ უბიძგოს მათ. ეს, ალბათ, იმიტომ, რომ თავად მოფერებაა ნდობის კრედიტი. ნდობა კი ადამიანის უმთავრესი თვისებათაგანია. სწორედ ისაა ადამიანში თავისებური „მზიდი კონსტრუქცია", რომელზეც უნდა აიგოს მისი (განსაკუთრებით მეცნიერის) აზროვნების, მოქმედების, ცხოვრების მოტივები.

მაშ ასე, პირველი მიახლოებით ბატონი ლეო ნდობის კაცია. ამას განსაკუთრებული ეღერადობა აქვს დღევანდელ პირობებში, როცა ცხოვრებამ ბევრი ადამიანი, საზოგადოებაში კაცად აღიარებული, ადამიან-კაცუნად აქცია. სამწუხაროდ, ეს პროცესი გრძელდება. ვამაყობთ იმით, რომ ლეო ჩიქავა ქართული

გაგების კაცად დარჩა, ვულოცავთ მას ამ დიდ გამარჯვებას.

აქ, ალბათ, ბევრი გამოვა. ყველას ბატონ ლეოსთან მიმართებაში საკუთარი მიდგომა ექნება შერჩეული. მე ძალიან მოკლედ შევეხები ბატონ ლეოს მრავალმხრივი მოღვაწეობის ე. წ. შუალედურ შედეგს, რომელსაც, ჩემი აზრით, სხვები ამჯობინებენ გვერდი აუარონ მსოლოდ იმიტომ, რომ ჩვეულებრივ საზეიმო პირობებში იუბილართან ადამიანურ ურთიერთობებს დომინირებულ მდგომარეობას ანიჭებენ. წარმოგიდგენთ ჩემს ხედვას, თუ როგორია დღეს ქართულ ეკონომიკურ მეცნიერებაში ბატონი ლეოს შედეგები და თავად ლეო, როგორც სიმაღლე.

70 წლისა და 7 დღის იუბილარი, რომაელებისგან ქართველთა მიერ ნასესხები სახელით (ლეო), ძირძველი გვარით – ჩიქავა, მე წარმომიდგა სიმაღლე-ბოძად, რომელიც ძლიერი მასალისგან ლამაზად არის ნაგები, კაცური მადლის ნიჭით ჩაკირულ-ჩადუღაბებული ბალავარი აქვს საფუძვლად. ლეო ჩიქავას, როგორც სიმაღლეს, ჩვენ 70 საფეხურისგან ანაკრეფი კონსტრუქციებით შეკრულ ბოძად არ მივიჩნევთ. იგი მონოლითად ჩამოსხმული სიმაღლეა. ბუნებრივია, რამდენიმე საფეხურ-გადასახედი მოედანიც აქვს ამ სიმაღლეს.

ბატონი ლეოს სიმაღლის უმტკიცესი ბალავარი მარგო 70 წლის მანძილზე არ იქმნებოდა. იუბილარის წინაპრების ოფლი და სისხლი, გონება და ძალა თანდათანობით, ნაწილ-ნაწილად იკვრებოდა, საიმედო მასალად ყალიბდებოდა და ჩვენდა საბედნიეროდ ადამიანი კაცის ძლიერ საძირკვლად მომზადდა. თუ მკაცრი მეცნიერული ლოგიკით ვიტყვით, იუბილარის დამსახურება აქ სიმბოლურია მხოლოდ. მონოლითად ჩამოსხმული სიმაღლის პირველი საფეხურის გადასახედ მოედნად, ჩვენი განსაზღვრით, უნდა მივიჩნიოთ მის მიერ სრულიად ახალგაზრდულ ასაკში ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოპოვება. სწორედ მეცნიერებაში აღიარებულ უმაღლეს დონეზე ასვლა ლეო ჩიქავას სამეცნიერო და საზოგადოებრივი საქმიანობის პირველი ძლიერი საფეხური გადასახედი მოედანია. იგი ნაყოფიერი და ფართო დიაპაზონის მეცნიერია. სწორედ აქედან, თანდათანობით, ნაბიჯ-ნაბიჯ აიღო იუბილარმა მეორე საფეხურ-მოედანიც და საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის დემოგრაფიისა და სოციოლო-

გიური კელევის ინსტიტუტის დამაარსებლისა და ხელმძღვანელის საპატიო სტატუსით წარმოჩინდა ქართული აზროვნების წინაშე. ამ მდგომარეობამდე მან განვლო მეცნიერ-პედაგოგის თითქმის ყველა საფეხური. დღეს კი ბატონი იუბილარი მესამე საფეხურ-მოედანზეც ამაყად დგას თავისი 70 წლიანი რთული, მაგრამ მართალი ცხოვრებით და ენერგიულად მიიწევს წინ თავისი შემოქმედებითი ცხოვრების გზაზე.

ამიტომაა, რომ ეკონომიკურ მეცნიერებაში სიმაღლე – შედეგი, მისი აღმატებულება ლეო ჩიქავა, კარგად და შორსაც რომ ანათებს, მაღლიდან გადაჰყურებს განვლილ ცხოვრებას, ხელის გულზე უდევს და კარგადაც ხედავს საწიერ-სივრცეს. ამიტომ ამ მონოლით-სიმაღლედ მდგარ კაცს ვერც გრიგალი, ვერც პოლიტიკური და სოციალური კატაკლიზმები ძვრას ვერ უზამს. მისი ეს გამოკვეთილი უპირატესობა დღევანდელობამ ნათლად დაადასტურა.

ჩვენც გვაქვს გარკვეული უპირატესობა: ბატონი ლეოს თანამედროვენი, კოლეგები, მეგობრები, ახლობლები მისი თაყვანისმცემლები ვართ. ამიტომ დღევანდელი შესვედრა ჩვენი მოზღვავებული გრძნობების, მოზომილი გონიერების, ქართული მადლიერების, მორალური სიწმინდის, მეგობრის სიმაღლე – შედეგად აღიარების, ურთიერთმოფერების ასპარეზ-შეხვედრად წარმოვიდგინოთ და კეთილშობილური აზრების გაჯირითებით კაცურად მოვეფეროთ ჩვენს საყვარელ იუბილარს და ერთმანეთსაც.

დასასრულს, ბატონ ლეოს საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით მინდა გადავცე საქართველოს ეკონომიკის სამინისტროსთან არსებული ეკონომიკური და სოციალური პრობლემების მეცნიერულ-კვლევითი ინსტიტუტის მრავალრიცხოვანი კოლექტივის ერთსულოვანი მილოცვა და ვუსურვო კვლავაც ჩვეული შემართებით მოღვაწეობა მშობლიური ქვეყნის საკეთილდღეოდ.

**ნოდარ ჭითანავა**
საქართველოს ეკონომიკურ და სოფლის მეურნეობის
მეცნიერებათა აკადემიების ნამდვილი წევრი,
ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი
27.02.1998

# 2. ლეო ჩიქავას ცხოვრება და მოღვაწეობა

**ქალბატონებო და ბატონებო, ძვირფასო კოლეგებო!**

ამთავითვე უნდა ვაღიარო, რომ ძალზე რთული მისია დამეკისრა. ბატონ ნოდარ ჭითანავას ბრწყინვალე, ფაქტიურად ყოვლისმომცველი შესავალი სიტყვის შემდეგ ძნელია რამდენადმე შთამბეჭდავი მოხსენების გაკეთება, მაგრამ მაინც შევეცდები, შეძლებისდაგვარად, სრულად წარმოვადგინო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ ლეო ჩიქავას მეცნიერულ-პედაგოგიური და საზოგადოებრივი მოღვაწეობის ძირითადი შტრიხები.

ბატონი ლეოს მეცნიერული საქმიანობის შეფასება ერთდროულად ადვილიცაა და ძნელიც. ადვილია იმიტომ, რომ იგი საქვეყნოდ ცნობილი, საერთაშორისო დონეზე აღიარებული მეცნიერ-ეკონომისტია, რომლის შრომებს კარგად იცნობენ არა მარტო საქართველოში, არამედ მის ფარგლებს გარეთაც. იგი უცილობელი ავტორიტეტია, ამიტომ სამეცნიერო საზოგადოება საერთოდ და უმეტესად მისი კოლეგები – ეკონომისტები ღირსეულად აღიქვამენ ბატონი ლეოს ინტენსიური მეცნიერული მოღვაწეობის შედეგებს და, ალბათ, ვერავინ შემედავება მათ შეფასებაში ჭეშმარიტად უმაღლეს დონეზე. მაგრამ ძნელია იმიტომ, რომ მისი მეცნიერული შემოქმედება იმდენად მრავალმხრივი და დიდი დატვირთვის მქონეა, ვშიშობ, რაიმე საყურადღებო შტრიხი არ გამომრჩეს და ამით არსებითი რამ არ დავაკლო მისი შემოქმედებითი მიღწევების კომპლექსურ შეფასებას.

ერთი რამ ცხადია, პროფ. ლეო ჩიქავამ თავისი თვალსაჩინო წვლილით ქართული ეკონომიკური მეცნიერების განვითარებაში, თავისი დიდი მეცნიერული ავტორიტეტისა და პირადი ცხოვრებისეული მაგალითის წყალობით, უკვე დაიმკვიდრა ღირსეული ადგილი გამოჩენილი ქართველი მეცნიერ-ეკონომისტების (აკადემიკოსების პაატა გუგუშვილის, ვასილ ჩანგლაძის, ირაკლი მიქელაძის, ავთანდილ გუნიას, ვალერიან მელქაძის) შესა-

ნიშნავ თანავარსკვლავედში. მეტიც, მას წილად ხვდა გამხდარიყო თანამედროვე ქართველ მეცნიერ-ეკონომისტთა ერთ-ერთი გამორჩეული ლიდერი და წინამძღოლი, რომელსაც იგი შესანიშნავად ასრულებს. ამ საპატიო, მაგრამ მეტად რთული მისიის წარმატებით შესრულებისთვის მარტო მაღალი პროფესიონალიზმი და დიდი მეცნიერული ავტორიტეტი, რასაკვირველია, არ არის საკმარისი. არანაკლები მნიშვნელობა აქვს მაღალ პიროვნულ თვისებებსაც, რითაც უხვად არის დაჯილდოებული ჩვენი იუბილარი. ყველა, ვინც მას იცნობს, დამემოწმება იმაში, რომ ბატონი ლეო მართლაც რაფინირებული ინტელიგენტია, უაღრესად თავმდაბალი, ზნეობრივი სიწმინდით გამორჩეული, კრისტალური პიროვნებაა. იგი უაღრესად კეთილშობილი, უღალატო ბუნებისაა, მართალი კაცია. მისთვის უცხოა ამპარტავნობა და კინკლაობა, ყოველგვარი დაპირისპირება, ე.წ. გუნდმანია, შურიანობა და სხვ. საოცარია მისი უნარი დაამყაროს შრომით კოლექტივში ნამდვილი შემოქმედებითი ატმოსფერო, როდესაც მის ყველა წევრს ეძლევა საშუალება თავისუფლად და პროფესიულად აკეთოს თავისი საქმე. ამ თვისებებმა, ცხადია, დიდი როლი ითამაშეს ბატონი ლეოს, როგორც სწავლულ ეკონომისტთა გამორჩეული ლიდერის, ჩამოყალიბებაში.

შეიძლება ზოგიერთმა შეცდომადაც მიიჩნიოს და თქვას კიდეც: ბატონ ლეოს თუ დაბადებიდან 70 წლისთავს აღვნიშნავთ, რანაირად შეიძლება მეცნიერული მოღვაწეობის 50 წლისთავი იყოს? მაგრამ ეს შეცდომა კი არა, სრული სიმართლეა. მეტიც, ლეო ჩიქავა მეცნიერულ მუშაობაში სრულიად ახალგაზრდა — 18 წლის ასაკიდან ჩაება, როცა ჯერ კიდევ თსუ-ში მეორე კურსზე სწავლობდა. 1946 წელს იგი პოლიტიკური ეკონომიის სტუდენტთა სამეცნიერო წრის თავმჯდომარედ აირჩიეს, ხოლო 1948 წლიდან — ეკონომიკის ფაკულტეტის სტუდენტთა სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარედ და თსუ-ის სტუდენტთა გაეთიანებული სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ. 1948-1949 წწ. მის მიერ მომზადებული 25 გვერდიანი სამეცნიერო სტატიით იხსნება თსუ-ის სტუდენტთა სამეცნიერო შრომების კრებულის V ტომი, რომელიც გამოვიდა 1950 წელს, ე. ი. უნივერსიტეტის დამთავრებამდე.

# 2. ლეო ჩიქავას ცხოვრება და მოღვაწეობა

**ქალბატონებო და ბატონებო, ძვირფასო კოლეგებო!**

ამთავითვე უნდა ვაღიარო, რომ ძალზე რთული მისია დამეკისრა. ბატონ ნოდარ ჭითანავას ბრწყინვალე, ფაქტიურად ყოველისმომცველი შესავალი სიტყვის შემდეგ ძნელია რამდენადმე შთამბეჭდავი მოხსენების გაკეთება, მაგრამ მაინც შევეცდები, შეძლებისდაგვარად, სრულად წარმოვადგინო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ ლეო ჩიქავას მეცნიერულ-პედაგოგიური და საზოგადოებრივი მოღვაწეობის ძირითადი შტრიხები.

ბატონი ლეოს მეცნიერული საქმიანობის შეფასება ერთდროულად ადვილიცაა და ძნელიც. ადვილია იმიტომ, რომ იგი საქვეყნოდ ცნობილი, საერთაშორისო დონეზე აღიარებული მეცნიერ-ეკონომისტია, რომლის შრომებს კარგად იცნობენ არა მარტო საქართველოში, არამედ მის ფარგლებს გარეთაც. იგი უცილობელი ავტორიტეტია, ამიტომ სამეცნიერო საზოგადოება საერთოდ და უმეტესად მისი კოლეგები — ეკონომისტები ღირსეულად აღიქვამენ ბატონი ლეოს ინტენსიური მეცნიერული მოღვაწეობის შედეგებს და, ალბათ, ვერავინ შემედავება მათ შეფასებაში ჭეშმარიტად უმაღლეს ღონეზე. მაგრამ ძნელია იმიტომ, რომ მისი მეცნიერული შემოქმედება იმდენად მრავალმხრივი და დიდი დატვირთვის მქონეა, ვშიშობ, რაიმე საყურადღებო შტრიხი არ გამომრჩეს და ამით არსებითი რამ არ დავაკლო მისი შემოქმედებითი მიღწევების კომპლექსურ შეფასებას.

ერთი რამ ცხადია, პროფ. ლეო ჩიქავამ თავისი თვალსაჩინო წვლილით ქართული ეკონომიკური მეცნიერების განვითარებაში, თავისი დიდი მეცნიერული ავტორიტეტისა და პირადი ცხოვრებისეული მაგალითის წყალობით, უკვე დაიმკვიდრა ღირსეული ადგილი გამოჩენილი ქართველი მეცნიერ-ეკონომისტების (აკადემიკოსების პაატა გუგუშვილის, ვასილ ჩანტლაძის, ირაკლი მიქელაძის, ავთანდილ გუნიას, ვალერიან მელქაძის) შესა-

ბრწყინვალე მოწაფეა. მან განელო დიდი და მეტად ნაყოფიერი გზა. როდესაც ბატონ ლეოს შემოქმედებით მიღწევებზე ელაპარაკობთ, პირველ რიგში აღსანიშნავია მისი როგორც ეკონომიკური თეორიის შესანიშნავი სპეციალისტისა და უბადლო ლექტორის, ახალგაზრდობის ნიჭიერი აღმზრდელის აქტიური პედაგოგიური მოღვაწეობა, რომელსაც იგი განუწყვეტლივ ეწევა 1954 წლიდან — ჯერ სოხუმის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში, ხოლო შემდგომ საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტსა (ამჟამად ტექნიკური უნივერიტეტი) და თბილისის უცხო ენათა სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში. ამ უმაღლეს სასწავლებლებში იგი 13 წლის განმავლობაში ხელმძღვანელობდა პოლიტიკური ეკონომიის კათედრას. უნდა ითქვას, რომ აქტიურ პედაგოგიურ საქმიანობას ბატონი ლეო ამჟამადაც ისეთივე შემართებით, ახალგაზრდული ენერგიითა და უდიდესი პასუხისმგებლობით ეწევა, როგორც ამას აკეთებდა მრავალი წლის წინათ, ოღონდ დღეს, რასაკვირველია, გაცილებით უფრო მაღალ პროფესიულ და მეცნიერულ-პედაგოგიურ დონეზე. მაღალი კულტურის, შესანიშნავი ერუდიციის, გამორჩეული ორატორული ოსტატობისა და არასტანდარტული აზროვნების წყალობით მან დამსახურებულად მოიხვეჭა ბრწყინვალე ლექტორის სახელი.

პროფ. ლ. ჩიქავა ჭეშმარიტად თანამედროვე ტიპის, მაღალპროდუქტიული და ღრმად განსწავლული მეცნიერია. მასში ჰარმონიულად არის შერწყმული მეცნიერ-მკვლევარის, პედაგოგისა და მეცნიერების ორგანიზატორის მაღალი პროფესიული თვისებები. მისთვის უცხოა შიშველი თეორიული მსჯელობა, რთული და წინააღმდეგობრივი სინამდვილის ანალიზის სანაცვლოდ, და ეს ნიშან-თვისება წითელი ზოლივით გასდევს მთელ მის შემოქმედებას.

ეკონომიკური მეცნიერების, ძირითადად ეკონომიკური თეორიის, აქტუალურ პრობლემებზე ლ. ჩიქავას გამოქვეყნებული აქვს 130-ზე მეტი ნაშრომი, მათ შორის ცალკე წიგნად — 17 მონოგრაფიული გამოკვლევა და სახელმძღვანელო. მისი კვლევის შედეგები ფართოდაა ასახული არა მარტო ადგილობრივ პერიოდულ გამოცემებში, არამედ ავტორიტეტული ყოფილი სა-

კაეშირო ჟურნალების – „Экономические науки“, „Плановое хозяйство“, „Общество и экономика“ – ფურცლებზე. იგი მრავალი საერთაშორისო კონფერენციის, სიმპოზიუმისა და სემინარის აქტიური მონაწილეა (კერძოდ, იტალიაში, გერმანიაში, ჩესეთში, რუმინეთში, უნგრეთში, რუსეთში და ა. შ.).

სულ ახლახან მისი თავკაცობით საქართველოში წარმატებით ჩატარდა ეკონომისტთა პირველი საერთაშორისო სამეცნიერო სიმპოზიუმი, რომელიც მიეძღვნა სოციალურ-ეკონომიკურ გარდაქმნათა სტრატეგიისა და ტაქტიკის საკითხებს გარდამავალი ეკონომიკის პირობებში.

განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ბატონი ლეოს უაღრესად ნაყოფიერი მუშაობა უმაღლესი სასწავლებლებისთვის სახელმძღვანელოების შექმნაში. მისი რედაქციითა და თანაავტორობით 1979-1981 წლებში გამოცემული პოლიტიკური ეკონომიის სახელმძღვანელოს (ორტომეულს) მიენიჭა საქართველოს განათლების სამინისტროს სპეციალური პრემია, ხოლო თავად მას – ლაურეატის საპატიო წოდება. ეკონომიკური მეცნიერების თანამედროვე მოთხოვნათა დონეზეა შესრულებული ლ. ჩიქავას კიდევ ერთი ახალი ძალზე საყურადღებო და ორიგინალური ნაშრომი – „ეკონომიკური თეორიის მოკლე კურსი“ (თბ., 1997, 29 ნაბეჭდი თაბახი), რომელიც ავტორმა უძღვნა თავისი მშობლების ნათელ ხსოვნას.

ბატონი ლეო მისთვის ჩვეული თავმდაბლობით ამ წიგნს ძირითადად სტუდენტებს უძღვნის, თუმცა იგი დიდ სარგებლობას მოუტანს არა მარტო მათ, არამედ პროფესორ-მასწავლებლებსაც, სპეციალისტებს და განსაკუთრებით იმ პირებს, რომლებიც ღებულობენ მნიშვნელოვან პოლიტიკურ-ეკონომიკურ სტრატეგიულ გადაწყვეტილებებს. ეს წიგნი ქართული ეკონომიკური ლიტერატურის საუკეთესო შენაძენია. იგი დიდად შეუწყობს ხელს ახალი ეკონომიკური აზროვნების დამკვიდრება-განვითარებასა და საერთოდ ეკონომიკური განათლების დონის შემდგომ ამაღლებას საქართველოში.

პროფ. ლ. ჩიქავა ფართო შემოქმედებითი დიაპაზონის მეცნიერია. მის ფუნდამენტურ შრომებში, რომელთა უმრავლესობა კარგადაა ცნობილი არა მარტო მეცნიერ-ეკონომისტე-

ბისთვის, არამედ ეკონომიკური თეორიით დაინტერესებულ მკითხველთა ფართო წრისთვისაც, ეკონომიკის ზოგადთეორიულ საკითხებთან ერთად, ორიგინალურად არის გაშუქებული მაკრო-მიკრო და მეზო ეკონომიკის (მ. შ. აგროსამრეწველო კომპლექსის), რეგიონული ეკონომიკისა და მსოფლიო მეურნეობის ანუ მეგა ეკონომიკის თეორიული პრობლემებიც. ეს ნაშრომები შეიცავს მრავალ საყურადღებო მოსაზრებას შრომის საზოგადოებრივი დანაწილების, წარმოების ტერიტორიული სპეციალიზაციისა და ეკონომიკური ეფექტიანობის განსაზღვრა-შეფასების, ეროვნული შემოსავლის სტრუქტურის რეგიონულ თავისებურებათა, საზოგადოებრივ აღწარმოებაში არამატერიალური წარმოების სფეროს ადგილისა და როლის განსაზღვრის უაღრესად აქტუალურ თეორიულ-მეთოდოლოგიურ და პრაქტიკულ პრობლემებზე.

აღსანიშნავია, აგრეთვე, პროფ. ლ. ჩიქავას საინტერესო და ფრიად ორიგინალური მეცნიერულ გამოკვლევათა ციკლი, რომელიც ეძღვნება საქართველოს კვების მრეწველობის სპეციალიზაციის განმსაზღვრელ დარგთა განვითარებისა და გაადგილების ეკონომიკურ პრობლემებს. ამ ნაშრომებში ახლებურადაა დასმული და გადაწყვეტილი ხსენებულ დარგთა ეკონომიკური განვითარების მანამდე უცნობი და ნაკლებად შესწავლილი დიდი პრაქტიკული მნიშვნელობის ასპექტები, რომელთაც დღესაც არ დაუკარგავთ აქტუალობა.

შეიძლება თამამად ითქვას, რომ ფაქტიურად არ დარჩენილა ქვეყნის სახალხო მეურნეობის, მისი განვითარების არცერთი მნიშვნელოვანი თეორიულ-მეთოდოლოგიური თუ პრაქტიკული მიმართულების პრობლემა, პროფ. ლ. ჩიქავას საფუძვლიანად რომ არ განეხილოს თავის მრავალრიცხოვან გამოქვეყნებულ თუ გამოუქვეყნებელ შრომებში.

მინდა წარმოგიდგინოთ ძალიან მოკლე ჩამონათვალი ბატონი ლეოს გამოქვეყნებული შრომებისა (წიგნებისა და საჟურნალო სტატიების სახით) იმის საილუსტრაციოდ, თუ, მართლაც, რაოდენ აქტუალური და მრავალმხრივია მისი შემოქმედება, რამდენად დიდი თეორიული და პრაქტიკული მიშვნელობისაა მათში ასახული პრობლემატიკა, რაზედაც თვალ-

ნათლივ მიგვითითებენ თვით სათაურები, თავად განსაჯეთ: კვების მრეწველობის ადგილი და როლი შრომის საერთო-საკავშირო დანაწილებაში; შრომის მწარმოებლურობა და მისი ამაღლების გზები (ქართულ და რუსულ ენებზე); შესანიშნავი მოსოგრაფიული გამოკვლევა – არამატერიალური წარმოების სფეროს პოლიტეკონომიური ასპექტები; კრიტიკული დემოგრაფიული სიტუაცია საქართველოში: არსი, მიზეზები, დაძლევის გზები; რესპუბლიკის ეკონომიკის შემდგომი განვითარებისთვის; ეკონომიკური დისციპლინების სწავლებისა და ეკონომისტთა მომზადების სრულყოფისთვის; საზოგადოებრივი წარმოების მართვის აქტუალური პრობლემები; ეკონომიკური თეორიის აქტუალური საკითხების კვლევა (რუსულ ენაზე, ჟურნალ „Экономические науки“); ეკონომიკის ზრდის საკვანძო პრობლემა; მეცნიერებისა და წარმოების ინტეგრაციის ახალი ფორმები (ჩეხურ ენაზე, პრაღის პოლიტექნიკური ინსტიტუტის სამეცნიერო შრომების კრებულში); ეკონომიკის სოციალური ორიენტაციის გაძლიერება; საქართველოს კვების მრეწველობის სანედლეულო ბაზის გაფართოების პერსპექტივები; პრივატიზაციის გაღატაკებელ ღონისძიებათა შესახებ; დემოგრაფიული ვითარების გაჯანსაღების ეკოლოგიური ასპექტები საქართველოში; საქართველოში მარცვლეულის წარმოების რენტაბელობის საკითხისთვის; საბაზრო ეკონომიკის თეორიული საფუძვლები; საკუთრებითი ურთიერთობანი საბაზრო ეკონომიკის პირობებში და მრავალი სხვა.

შრომის საზოგადოებრივი დანაწილების საკითხებზე ლ. ჩიქავას ორიგინალურმა მოსაზრებებმა სათანადო ასახვა და მხარდაჭერა ჰპოვა ჟურნალ „Вопросы философии“-ის ფურცლებზე.

ბატონ ლეოს, როგორც მეცნიერისა და მეცნიერების ორგანიზატორის, დამსახურებათა შორის განსაკუთრებულ ხაზგასმას საჭიროებს ორი მომენტი, უწინარეს ყოვლისა, მხედველობაში გვაქვს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სისტემაში დემოგრაფიისა და სოციოლოგიური კვლევის ინსტიტუტის დაარსება. ეს ხომ ჩვენი სასიქადულო მეცნიერისა და საზოგადო მოღვაწის აკად. პაატა გუგუშვილის სანუკვარი

ოცნება იყო. მაგრამ, დიდი მცდელობის მიუხედავად, იგი ამ ოცნების აუსრულებლად წავიდა ამქვეყნიური ცხოვრებიდან. მისი გარდაცვალებიდან სულ სამიოდე წლის შემდეგ — 1990 წელს, როცა საქართველოს დამოუკიდებლობის სიომ ენერგიულად და იმედიანად დაუბერა, ბატონი ლეოს განსაკუთრებული ძალისხმევით, ამასთან ერთად, ცხადია, მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმისა და მთავრობის მხარდაჭერითა და დახმარებით, საფუძველი ჩაეყარა დიდ ეროვნულ საქმეს — შეიქმნა დემოგრაფიისა და სოციოლოგიური კვლევის ინსტიტუტი. იგი ამჟამად პროფ. ლ. ჩიქავას უნარიანი, მაღალკვალიფიციური ხელმძღვანელობით ეწევა უაღრესად კეთილშობილურ საქმიანობას — ფუნდამენტური პრობლემების შესწავლასთან ერთად, ინტენსიურად იკვლევს საქართველოში დემოგრაფიული კრიზისის დაძლევის ძირითად მიმართულებებსა და კონკრეტულ გზებს.

აღსანიშნავია, რომ ეს ინსტიტუტი, რომელიც დაკომპლექტებულია საქმის მცოდნე, მაღალკვალიფიციური სპეციალისტებით, მოკლე დროში გადაიქცა ქვეყნის წამყვან სამეცნიერო-კვლევით ცენტრად დემოგრაფიული პრობლემების შესწავლის დარგში. სწორედ ამ ინსტიტუტთან არის დაკავშირებული ის, რომ პატივცემული იუბილარი ბოლო 10 წლის მანძილზე, ეკონომიკური თეორიის გლობალურ საკითხებთან ერთად, განსაკუთრებით ინტენსიურად იკვლევს ეკონომიკური დემოგრაფიის პრობლემებს. მეცნიერული სიახლის თვალსაზრისით, ფრიად საყურადღებოა მისი თეორიული დასკვნები და პრაქტიკული სასიათის რეკომენდაციები ისეთ საკითხებზე, როგორიცაა ქვეყნის მოსახლეობის ოპტიმალური ოდენობის (ე. წ. დემოგრაფიული ოპტიმუმის) განსაზღერა; მოკვდაობის შემცირების ეკონომიკური ეფექტიანობა კრიტიკულ დემოგრაფიულ ვითარებაში მყოფ ქვეყნებში; მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლებისა და შობადობის მაჩვენებლთა ურთიერთდამოკიდებულება; მოსახლეობის დემოგრაფიულ დაბერებასთან დაკავშირებით შრომისუნარიან დასაქმებულთა დემოგრაფიული დატვირთვის გაზრდა; ბავშვთა სასურველ და მოსალოდნელ რაოდენობას შორის სხვაობის განმსაზღვრელი სოციალურ-

ეკონომიკური ფაქტორები და სხვ. ამ ნაშრომებმა მნიშვნელოვნად შეუწყვეს ხელი საქართველოში გამოყენებითი ხასიათის მეცნიერული კვლევის განვითარებას დემოგრაფიისა და სოციოლოგიის დარგში.

აღსანიშნავია, რომ დემოგრაფიისა და სოციოლოგიური კვლევის ინსტიტუტში ბატონი ლეოს ხელმძღვანელობითა და უშუალო მონაწილეობით საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისა და მოსახლეობის აღწარმოების საკითხებზე უკანასკნელ წლებში მომზადდა და ქვეყნის ხელმძღვანელ ორგანოებს წარედგინა მრავალი მოსსენებითი ბარათი და სხვა სამსახურებრივი მასალები, მეცნიერული და პრაქტიკული მნიშვნელობის რეკომენდაციები.

პროფ. ლ. ჩიქავას მეცნიერულ-ორგანიზატორული საქმიანობის მეორე

მნიშვნელოვანი მომენტი გახლავთ მისი უშუალო ინიციატივითა და ენერგიული თანამონაწილეობით საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის დაფუძნება. ჩვენც ნაწილობრივ ვიზიარებთ უარყოფით საზოგადოებრივ აზრს საქართველოში სხვადასხვა ტიპის აკადემიების სოკოებივით მომრავლებისა და „აკადემიკოსის“ უმაღლესი ტიტულის ერთგვარი გაუფასურება-გაუბრალოების თაობაზე, მაგრამ ყველა მათგანის ერთ ტაფაში მოქცევაც არ იქნებოდა მართებული.

საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემია, რომლის პირველი და უცვლელი პრეზიდენტია პროფ. ლ. ჩიქავა, ქვეყნის სწავლულ ეკონომისტთა საუკეთესო ძალების შესანიშნავი მაკოორდინირებელი და მიზანსწრაფულად წარმმართველი ორგანოა. იგი მხარში უდგას ხელისუფლებას, თავის სადისკუსიო კლუბში, მრავალ სხვა საინტერესო საკითხთან ერთად, სისტემატურად განიხილავს ეკონომიკური რეფორმირების აქტუალურ პრობლემებს და შესაბამის ზემდგომ ორგანოებს აწვდის ანალიზურ ბარათებსა და დასაბუთებულ, საქმიან რეკომენდაციებს.

განსაკუთრებით უნდა გაესვას ხაზი ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის როლს ქვეყნის სწავლულ-ეკონომისტთა დაქსაქსული ძალების საქმიან გაერთიანება-შეკავშირებაში მათი

პოტენციალის უფრო სრული და ეფექტიანი გამოყენების მიზნით. ამ როლს იგი, ბატონი ლეოს ხელმძღვანელობით, ვფიქრობ, არც თუ ურიგოდ ასრულებს.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მხარე და ძალზე საყურადღებო ნიუანსი პროფესორ ლეო ჩიქავას შემოქმედებითი საქმიანობიდან. იგი თავის სათაყვანებელ მასწავლებლებს – აკადემიკოსებს პაატა გუგუშვილსა და ვასილ ჩანტლაძეს ღირსეულ მემკვიდრეობას უწევს იმ მხრივაც, რომ ფრიად ნაყოფიერად და ინტენსიურად განაგრძობს მუშაობას ეკონომიკურ ტერმინოლოგიაზე. ჩვენთვის ცნობილია, რომ ბატონი ლეო ჩვეულებრივ სამუშაო დღეებში საღამოობით, ხოლო შაბათ-კვირას დილიდან საღამომდე მისთვის ჩვეული გულისხმიერებითა და პასუხისმგებლობით ჩაკირკიტებს ეკონომიკური ტერმინოლოგიის (რუსულ-ქართული და ქართულ-რუსული ვარიანტების) თანამედროვე მოთხოვნების დონეზე მომზადების მეტად კეთილშობილურ საქმეს. ამ მხრივ ამოსავალსა და დასაყრდენს ბატონი პაატასა და ბატონი ვასოს მიერ ათიოდე წლის წინათ მომზადებული ხელნაწერები წარმოადგენს, მაგრამ ისინი დღევანდელი თვალსაწიერიდან, რასაკვირველია, საფუძვლიან დაზუსტება-გადამუშავებასა და, რაც მთავარია, საბაზრო ურთიერთობათა სისტემის უამრავი ასალი და უახლესი ტერმინით შევსება-გამდიდრებას საჭიროებს, რაც ტიტანურ შრომას მოითხოვს.

როგორც იტყვიან, ღმერთმა ჯან-ღონე და გამძლეობა მისცეს მას, რათა ეს უაღრესად საშური და საჭირო საქმე კარგად დააგვირგვინოს. ამ ნაშრომის გამოსვლა ქართული ეკონომიკური ლიტერატურის უდიდესი შენაძენი იქნება. იგი დიდ დახმარებას გაუწევს არა მარტო სტუდენტებს, ასპირანტებსა და ახალბედა მეცნიერ-ეკონომისტებს, არამედ ტერმინოლოგიის პრობლემატიკით დაინტერესებულ ყველა პირს.

ლეო ჩიქავას დიდი დამსახურება ეკონომიკური მეცნიერების წინაშე და მისი წვლილი ამ უკანასკნელის განვითარებაში ღირსეულად იქნა შეფასებული მსოფლიო დონეზე. ამის ნათელი დადასტურებაა სულ ახლახან (მ. წ. 14 იანვარს) მისი ერთსმად არჩევა ნიუ-იორკის მეცნიერებათა აკადემიის ნამდ-

ვილ წევრად – აკადემიკოსად. ასევე დიდმნიშვნელოვან მოვლენად უნდა მივიჩნიოთ მისი დაჯილდოება ღირსების ორდენით, რომელსაც ხელს აწერს ქვეყნის პრეზიდენტი.

ბატონი ლეოს მეცნიერულ-პედაგოგიური საქმიანობის დასასიათება არ იქნება სრული, თუ არ შეეხეთ მის უაღრესად ნაყოფიერ მოღვაწეობას ახალგაზრდა მეცნიერთა კადრების მომზადებისა და აღზრდის საქმეში, რასაც იგი უდიდეს ყურადღებას უთმობს. მისი ხელმძღვანელობით ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორის და კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი მინიჭებული აქვს 25 მეცნიერ მუშაკს. ლ. ჩიქავას ოპონირებით დაცულია 70-ზე მეტი დისერტაცია, მ.შ. 25 სადოქტორო, რომელთა ავტორების ნაწილი დღეს ამ დარბაზში ფართოდაა წარმოდგენილი (ბატონები – გიორგი ადეიშვილი, როზეტა ასათიანი, ნუგზარ პაიჭაძე, გიორგი შუბლაძე, დიმიტრი ცისკარიშვილი, ლარისა ყორღანაშვილი, ოთარ გიორგობიანი და სხვ.). უნდა ითქვას, რომ ბატონი ლეო როგორც ოფიციალური ოპონენტი უაღრესად პრინციპული, მკაცრი და მომთხოვნია, მაგრამ ამავე დროს ზედმიწევნით კორექტული და მიმტევებელი, რასაც ახალბედა მეცნიერ-მუშაკთათვის დიდი აღმზრდელობითი მნიშვნელობა აქვს.

და, ბოლოს, პროფ. ლეო ჩიქავას საზოგადოებრივი მოღვაწეობის შესახებ, რომელიც ისეთივე ინტენსიური, მრავალმხრივი და პროდუქტიულია, როგორც მთელი მისი მეცნიერულ-კელეკეითი და პედაგოგიური საქმიანობა. თავად განსაჯეთ, ბატონი ლეო არის საერთაშორისო ჟურნალების „Общество и экономика“ (ქ. მოსკოვი), „მაცნეს“ (ეკონომიკის სერია) და „მაკრო-მიკრო ეკონომიკის“, აგრეთვე ქართული ადგილობრივი ჟურნალის – „ეკონომიკა“-ს სარედაქციო კოლეგიების წევრი, საქართველოს ეკონომიკური ფორუმის სოციალურ-დემოგრაფიული სექციის თავმჯდომარე, ყოველთა ქართველთა მსოფლიო კონგრესის დემოგრაფიისა და მიგრაციის პალატის თავმჯდომარე, საქართველოს ეკონომისტთა და დემოგრაფიული საზოგადოებების პრეზიდიუმის წევრი, საქართველოს სწავლულ ექსპერტთა საბჭოსთან არსებული ეკონომიკის დარგობრივი სექციის საკოორდინაციო საბჭოს წევრი, დემოგრაფიის სამთავრობო კომისიის წევრი და სხვ.

მართლაც, საოცარია მისი შრომისმოყვარეობა, მომთხოვნელობა საკუთარი თავისადმი. იგი არასოდეს არ თაკილობს ე. წ. „შაკი“ სამუშაოს შესრულებას, რისი უშუალო მოწმეც ჩვენ ყველანი ვართ. იგი ყველაფერში არის მაგალითისა და ტონის მიმცემი, უაღრესად ინიციატივიანი, აქტიური მოქალაქეობრივი პოზიციის მქონე პიროვნება, როგორც ეს შეშვენის ნამდვილად თანამედროვე ტიპის მეცნიერს. ჩვენ მის კოლეგებს გვეამაყება და გვსიამოვნებს მის გვერდით ყოფნა და მუშაობა.

ლ. ჩიქავას ესოდენ შემოქმედებით აღსავსე, ლამაზი ცსოვრების კანონზომიერებაზე მიგვანიშნებს ის ფაქტიც, რომ იგი აღიზარდა სახელოვანი მშობლების, ნოვატორი მეაბრეშუმის, უშრეტი ენერგიითა და შეუპოვრობით სახელგანთქმული ქალბატონის ანეტა ნარმანია-ჩიქავასა და რუსული ენისა და ლიტერატურის პედაგოგობის 40 წლის სტაჟის მქონე განათლებული პიროვნების ლეონტი (იგივე ლავრენტი) ჩიქავას მაღალტრადიციულ ოჯახში. მისი უფროსი ძმა – იოსებ ჩიქავა, რომელიც ამ დარბაზს ამშვენებს, ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის მთავარი მეცნიერ-თანამშრომელია.

ბატონი ლეო სანიმუშო მეოჯახეცაა. მას ჰყავს მეუღლე ექიმი-სტომატოლოგი – თამარ კვეკვესქირი, ორი შვილი: გიორგი (რომელიც ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატია და მუშაობს საქართველოს ეროვნულ ბანკში განყოფილების გამგედ), მედეა (ექიმ-პედიატრი) და სუთი შვილიშვილი, რომლებიც ამ დარბაზს ამშვენებენ. ბედნიერი ბაბუა ხშირად გვიყვება თავის შვილიშვილებთან (განსაკუთრებით პატარა ლეო ჩიქავასთან) სიყვარულით აღსავსე დამოკიდებულების ეპიზოდებს.

**ნუგზარ სანთელაძე**
საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა
აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, ეკონომიკურ
მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი
27.02.1998

# 3. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმი საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილება

**დიდად პატივცემულო, ბატონო ლეო!**

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმი და საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილება გულითადად მოგესალმებათ და გილოცავთ თქვენ, ცნობილ ქართველ მეცნიერს, დემოგრაფიისა და სოციოლოგიური კვლევის ინსტიტუტის დირექტორს, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორს, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტს, მეცნიერების დამსახურებულ მოღვაწეს, ნიუ-იორკის მეცნიერებათა (საერთაშორისო) აკადემიის ნამდვილ წევრს, საქართველოს ეკონომიკურ-ჰუმანიტარული ინსტიტუტის რექტორს, ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის პირველ პრეზიდენტს დაბადების 70 და მეცნიერულ-პედაგოგიური და საზოგადოებრივი მოღვაწეობის 50 წლისთავს.

თქვენი მეცნიერული ნაშრომები (130-ზე მეტი, მათ შორის 17 მონოგრაფიული გამოკვლევა და დამხმარე სახელმძღვანელო), მიძღვნილი ეკონომიკური მეცნიერების, ძირითადად, ეკონომიკური თეორიის აქტუალური პრობლემებისადმი ცნობილია არა მარტო ჩვენს ქვეყანაში, არამედ მის ფარგლებს გარეთაც. ეკონომიკური თეორიის საკითხებთან ერთად, თქვენ ინტენსიურად მუშაობთ ეკონომიკური დემოგრაფიის პრობლემატიკაზე. თქვენმა შრომებმა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს ქართული ეკონომიკური აზრის განვითარებაში. თქვენი რედაქტორობითა და თანაავტორობით გამოცემულმა პოლიტიკური ეკონომიის სახელმძღვანელომ სამართლიანად დაიმსახურა საქართველოს განათლების სამინისტროს პრემია.

აღსანიშნავია თქვენი, როგორც ახალგაზრდობის ნიჭიერი აღმზრდელის, ნაყოფიერი პედაგოგიური მოღვაწეობა. თქვენმა მაღალკვალიფიციურმა ლექციებმა და ნაშრომებმა დიდი წვლილი შეიტანეს სტუდენტობის აღზრდისა და სპეციალისტე-

ბის მომზადების საქმეში. როგორც ხელმძღვანელს, თქვენ გახასიათებთ პრინციპულობა და მომთხოვნელობა, შერწყმული გულისხმიერებასა და მზრუნველობასთან.

ნაყოფიერ სამეცნიერო და პედაგოგიურ მუშაობას თქვენ ენერგიულად უთავსებთ აქტიურ საზოგადოებრივ მოღვაწეობას. თქვენ ფრიად სასარგებლო საქმიანობას ეწევით როგორც საერთაშორისო ჟურნალ „Общество и экономика"-ს (ქ. მოსკოვი), აგრეთვე, ქართული ჟურნალების „ეკონომიკა" და „მაცნეს" (ეკონომიკის სერია) სარედაქციო კოლეგიების წევრი, საქართველოს ეკონომიკური ფორუმის დემოგრაფიისა და სოციალურ საკითხთა სექციის თავმჯდომარე, ყოველთა ქართველთა მსოფლიო კონგრესის დემოგრაფიისა და მიგრაციის პალატის თავმჯდომარე, საქართველოს ეკონომისტთა და დემოგრაფიული საზოგადოებების პრეზიდიუმის წევრი, ეკონომიკის სადისერტაციო-საკოორდინაციო საბჭოს წევრი, დემოგრაფიის სამთავრობო კომისიის წევრი და სხვ.

თქვენ საქართველოს და საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციების, სიმპოზიუმების აქტიური მონაწილე და ორგანიზატორი ბრძანდებით.

გისურვებთ, ძვირფასო ბატონო ლეო, დიდხანს სიცოცხლეს, ჯანმრთელობას, ბედნიერებას, ხანგრძლივ და ნაყოფიერ მოღვაწეობას ქართული მეცნიერების შემდგომი აღმავლობისთვის.

**საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმისა და საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების სახელით**

აკადემიკოსები:

**ალბერტ თავხელიძე, ვახტანგ ბერიძე, ანდრია აფაქიძე, თენგიზ ონიანი, როინ მეტრეველი, გურამ გველესიანი, გურამ თევზაძე, ჯუმბერ ლომინაძე, მალხაზ ზაალიშვილი, მარიამ ლორთქიფანიძე, ოთარ ნათიშვილი, ოთარ ჯაფარიძე, ერეკლე გამყრელიძე, გრიგოლ გიორგაძე, მინდია სალუქვაძე, დავით მუსხელიშვილი, ლეონიდე გაბუნია, შოთა ნადირაშვილი.**

წევრ-კორესპონდენტები:

**ლევან ჭილაშვილი, ვახტანგ შამილაძე.**

20.02.1998.

# 4. საქართველოს ეკონომიკის სამინისტრო

**ღრმად პატივცემულო, ბატონო ლეო!**

საქართველოს ეკონომიკის სამინისტრო გილოცავთ დაბადების 70-ე წლისთავს და პატივს მიაგებს იმ დიდ ღვაწლს, რომელიც თქვენ დასდეთ საქართველოში ეკონომიკური და დემოგრაფიული მეცნიერებისა და პრაქტიკის განვითარებას.

დაიწყეთ რა სამეცნიერო საქმიანობა სრულიად ახალგაზრდამ, გაიარეთ რთული და საინტერესო გზა ასპირანტიდან საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის დემოგრაფიისა და სოციოლოგიური კვლევის ინსტიტუტის დირექტორობამდე, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტობამდე, ნიუ-იორკის მეცნიერებათა (საერთაშორისო) აკადემიის ნამდვილ წევრობამდე, მეცნიერების დამსახურებულ მოღვაწემდე.

უმაღლესი რანგის საზოგადოებრივი მოღვაწეობა, რომელიც თქვენ დაგეკისრათ ახალგაზრდობისას და შემდგომ პერიოდშიც, თქვენს მაღალნიჭიერებასა და უმწიკვლო რეპუტაციაზე მეტყველებს, რადგან დღესაც, როდესაც ქვეყანაში თვისებრივი ეკონომიკური და სოციალური გარდაქმნები მიმდინარეობს, თქვენ, როგორც მოქალაქეს და მეცნიერ-ეკონომისტს, განსაკუთრებული როლი გაკისრიათ ქვეყნის წინაშე. ეს იმის დასტურია, რომ თქვენი მოღვაწეობა, რაც თავისთავად პატივისცემას იმსახურებს, არ ყოფილა ცხოვრების ერთადერთი ძირითადი წესი და დიამეტრალურად სხვა ვითარებაშიც თქვენ მოძებნეთ თქვენი ეროვნული პოზიცია — იმუშაოთ ეკონომიკური დემოგრაფიის პრობლემატიკაზე.

თქვენი, როგორც მეცნიერ-ერუდიტის, პიროვნება გამობრწყინდა ჯერ კიდევ ახალგაზრდობისას, როდესაც სამეცნიერო-პედაგოგიურ მოღვაწეობას კარგად უსამებდით ფუნდამენტური ნაშრომების შექმნას პოლიტეკონომიაში, ხოლო ბოლო წლებში — საბაზრო ეკონომიკის მიკრო და მაკროეკონომიკის თეორიულ-მეთოდოლოგიურ პრობლემატიკაზე შექმნილ ნაშრომებში.

თქვენი რუდუნებითა და ძალისხმევით არის შექმნილი საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის დემოგრაფიისა და სოციოლოგიური კვლევის ინსტიტუტი, რომლის დირექტორიც მისი დაარსებიდან — 1991 წლიდან ბრძანდებით.

საჩინო სახელმწიფოებრივი და მეცნიერული მოღვაწეობით შესძელით ის, რომ გახდით ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის ერთ-ერთი დამაარსებელი და პირველი პრეზიდენტი, ეგრისის, ეკონომიკურ და ეკოლოგიურ მეცნიერებათა აკადემიების ნამდვილი წევრი.

საქართველოს ეკონომიკის სამინისტრო დიდ პატივს მიაგებს თქვენს ხალასსა და უმწიკვლო ნიჭიერებას, უაღრესად ფართომასშტაბიან აზროვნებას და სიამოვნებით აღნიშნავს, რომ ასაკის მიუხედავად, დღესაც გახასიათებთ ახალგაზრდული ენერგია და შრომისმოყვარეობა.

გისურვებთ, ბატონო ლეო, ჯანმრთელობას, ადამიანურ ბედნიერებას და ნაყოფიერ მოღვაწეობას ჩვენი ქვეყნის, თქვენი ოჯახისა და მეგობრების საკეთილდღეოდ.

**ვ. პაპავა**
საქართველოს ეკონომიკის მინისტრი

# 5. საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემია

**დიდად პატივცემულო, ბატონო ლეო!**

საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმისა და მისი შემადგენლობის სახელითა სულითა და გულით გილოცავთ თქვენს სახელოვან იუბილეს – დაბადების 70 წლისთავს.

ადამიანის ცხოვრებაში იუბილე ღირსშესანიშნავი მოვლენაა, განსაკუთრებით იმ პიროვნებისთვის, რომელიც დიდი მიღწევებით ეგებება ასეთ თარიღს.

თქვენს მიერ განვლილი გზა სამეცნიერო-პედაგოგიური და საზოგადოებრივი მოღვაწეობის სანიმუშო მაგალითია, რაც გვაძლევს საფუძველს გაკეთდეს დასკვნა, რომ ბრძანდებით თქვენი მეცნიერ-ხელმძღვანელის – აკადემიკოს პ. გუგუშვილის საქმის ღირსეული გამგრძელებელი.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტისა და პოლიტიკური ეკონომიის სპეციალობით ასპირანტურის დამთავრების შემდეგ (1954 წ.) იწყებთ პოლიტიკურ ეკონომიაში ლექციების დამოუკიდებელი კურსის წაკითხვას (1954 წ. სოხუმის პედ. ინსტიტუტი), მუშაობდით უფროსი მასწავლებლის, დოცენტის, პროფესორის, კათედრის გამგის (1955-1969, 1974-1983 წწ. საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი, 1969-1974 წწ. უცხო ენათა ინსტიტუტი), საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკის ინსტიტუტის სამეცნიერო მუშაობის დარგში დირექტორის მოადგილის (1983-1990 წწ.) თანამდებობებზე, ხოლო 1991 წლიდან ბრძანდებით თქვენივე ძალისხმევით შექმნილი დემოგრაფიისა და სოციოლოგიური კვლევის ინსტიტუტის დირექტორი. ეწევით აქტიურ საქმიანობას როგორც საქართველოს ეკონომიკური ფორუმის სექციის თავმჯდომარე, ეკონომისტთა და დემოგრაფიული საზოგადოების პრეზიდიუმის, ეკონომიკის სადისერტაციო-საკოორდინაციო საბჭოს, დემოგრაფიის სამთავრობო კომისიის წევრი, ჟურნალების „ეკონომიკასა“ და „მაცნეს“, საერთაშორისო ჟურნალ „Общество и экономика“ (ქ. მოსკოვი) სარედაქციო კოლეგიების წევრი.

ფრიად ნაყოფიერია თქვენი მეცნიერული საქმიანობა: 130 გამოქვეყნებული მეცნიერული ნაშრომი, რომელთა შორის ცალკე წიგნადაა გამოცემული 17 მონოგრაფია, სახელმძღვანელო და ბროშურა. ამ ნაშრომებში ორიგინალურადაა გამოკვლეული ეკონომიკური თეორიის (პოლიტეკონომიის), მიკრო და მაკროეკონომიკის, ეკონომიკური დემოგრაფიის აქტუალური საკითხები. აღსანიშნავია **„ეკონომიკური თეორიის მოკლე კურსი“** (1997, 29 ნ. თ.), რომელიც ჩვენი აკადემიის მიერ რეკომენდებულია დამსმარე სახელმძღვანელოდ სტუდენტებისთვის. მეცნიერული კვლევის შედეგები ფართოდ აისახა საერთაშორისო ჟურნალებსა და კრებულებში (მოსკოვი, პრაღა), საერთაშორისო სიმპოზიუმებისა და სამეცნიერო კონფერენციების მასალებში (საქართველო, იტალია, გერმანია, ჩეხეთი, რუმინეთი, უნგრეთი, რუსეთი). თქვენი ხელმძღვანელობითა და კონსულტაციით მეცნიერებათა კანდიდატისა და დოქტორის სამეცნიერო ხარისხი მიენიჭა 25 ასპირანტსა და მაძიებელს.

თქვენმა მეცნიერულმა მოღვაწეობამ ჯეროვანი აღიარება პოვა საქართველოში და საზღვარგარეთაც: მოგენიჭათ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის საპატიო წოდება, არჩეული ხართ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტად, სამი დარგობრივი აკადემიის ნამდვილ წევრად, ნიუიორკის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსად. როგორც სწავლულ ეკონომისტთა შორის გამორჩეული საესებით კანონზომიერად ბრძანდებით საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის ერთ-ერთი დამფუძნებელი და პირველი პრეზიდენტი.

ბატონო ლეო, ქართული ეკონომიკური მეცნიერების საკეთილდღეოდ თქვენს იუბილესთან დაკავშირებით გისურვებთ ჯანმრთელობას, ახალ შემოქმედებით წარმატებებს და ბედნირებას თქვენს ოჯახთან ერთად.

**ნუგზარ სანთელაძე**
აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი,
**გიორგი მუბლაძე**
აკადემიკოს-მდივანი
20.02.1998.

# 6. საქართველოს მეცნიერებათ აკადემიის დემოგრაფიისა და სოციოლოგიური კვლევის ინსტიტუტი

**პატივცემულო ბატონო ლეო!**

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის დემოგრაფიისა და სოციოლოგიური კვლევის ინსტიტუტის კოლექტივის სახელით პატივი გვაქვს სულითა და გულით მოგილოცოთ საიუბილეო თარიღი – დაბადებიდან 70 წლის და სამეცნიერო-პედაგოგიური და საზოგადოებრივი მოღვაწეობის 50 წლისთავი.

ერთობ საინტერესო და მრავალფეროვანია თქვენი ცხოვრების, მეცნიერულ-პედაგოგიური და საზოგადოებრივი მოღვაწეობის განვლილი გზა.

ზუგდიდის რაიონის სოფელ ორსანტიის საშუალო სკოლის წარჩინებით დამთავრების შემდეგ, ასევე წარმატებით დაასრულეთ ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტი და ასპირანტურა პოლიტეკონომიის სპეციალობით. აკადემიკოს პაატა გუგუშვილის ხელმძღვანელობით, 1954 წელს ბრწყინვალედ დაიცავით საკანდიდატო, სოლო 1968 წელს სადოქტორო დისერტაციები.

მხოლოდ ერთეულების ხვედრია 23 წლის ასპირანტს ანდონ სტუდენტებით სავსე აუდიტორია. დიას, ასპირანტურის მეორე კურსიდან იწყება თქვენი პედაგოგიური მოღვაწეობის რთული და ერთობ საპასუხისმგებლო გზა, რომელიც დღემდე უანგაროდ და ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე რომ ითქვას, სამაგალითოდ განვლეთ და აგრძელებთ დღესაც. მადლიერების გრძნობით იხსენებენ თქვენს მიერ მაღალპროფესიულ დონეზე წაკითხულ ღრმაშინაარსიან ლექციებს ეკონომიკურ თეორიასა და საქართველოს ეკონომიკაში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, მ. გორკის სახელობის სოხუმის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის, საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ყოფილი სტუდენტები და ასპირანტები, რომლებშიც სხვადასხვა წლებში მუშაობდით უფროსი მასწავლებლის, დოცენტის, პროფესორისა და კათედრის გამგის

თანამდებობებზე. თქვენი ხელმძღვანელობით მეცნიერებათა კანდიდატისა და დოქტორის სამეცნიერო ხარისხი მიენიჭა 25 კაცს. დღესაც, როგორც დასვეული მეცნიერ-პედაგოგი, ჩვეული რუდუნებით სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად ამზადებთ ათამდე ასპირანტსა და დოქტორანტს.

პედაგოგიურ მოღვაწეობას ყოველთვის წარმატებით უთავსებთ მეცნიერულ კვლევა-ძიებას. 130-ზე მეტი გამოქვეყნებული მეცნიერული ნაშრომი, საერთო მოცულობით 230 ნაბეჭდ თაბახს აღემატება. მათ შორის ცალკე წიგნადაა გამოცემული 17 მონოგრაფიული გამოკვლევა, დამხმარე სახელმძღვანელო და ბროშურა ეკონომიკური თეორიისა და დემოგრაფიის საკითხებზე. თქვენი მრავალმხრივი მეცნიერული კვლევის შედეგები ფართოდაა ასახული არა მარტო ქართულ, არამედ საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალებსა და კრებულებშიც. ერთობ საინტერესო და მწვავე მეცნიერულ პრობლემებს ეხებოდა თქვენი მოხსენებები საერთაშორისო კონფერენციებზე: იტალიაში, გერმანიაში, ჩეხეთში, სლოვაკეთში, რუმინეთში, უნგრეთსა და რუსეთში.

თქვენ არა მარტო ნაყოფიერი მეცნიერი, არამედ აქტიური საზოგადო მოღვაწეც ბრძანდებით. ფრიად სასარგებლო საქმიანობას ეწევით როგორც საერთაშორისო ჟურნალ „Общество и экономика" (ქ. მოსკოვი), აგრეთვე ქართული ჟურნალების „ეკონომიკა", „მაცნე" (ეკონომიკის სერია) და ახლად დაარსებულ ჟურნალ „მაკრო და მიკროეკონომიკის" სარედაქციო კოლეგიების წევრი, საქართველოს ეკონომიკური ფორუმის დემოგრაფიისა და სოციალურ საკითხთა სექციის თავმჯდომარე, ყოველთა ქართველთა მსოფლიო კონგრესის დემოგრაფიისა და მიგრაციის პალატის თავმჯდომარე, საქართველოს ეკონომისტთა და დემოგრაფიული საზოგადოებების პრეზიდიუმის წევრი, ეკონომიკის სადისერტაციო-საკოორდინაციო საბჭოს წევრი, დემოგრაფიის სამთავრობო კომისიის წევრი და ა.შ. ყველას ჩამოთვლა შორს წაგვიყვანდა.

როგორც ცნობილი და სახელმოსვეჭილი მეცნიერი 1983 წლიდან მიგიწვიეს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტში სამეცნიერო მუშაობის დაგში დირექტორის მოადგილედ, სადაც კიდევ უფრო გამობრწყინდა ბუნების მიერ ბოძებული ნიჭი, რაც მეცნიერების ორგანიზატორ-ელ-

მძღვანელის – „ძლიერი ხელის“ სანიმუშო უნარით გამოისატა.

ვინც თქვენ გიცნობთ, დაგვეთანხმება, რომ მიღწეულით არასდროს კმაყოფილდებით და ახალი იდეებით გამსჭვალული, ეროვნული მნიშვნელობის საქმეთა განხორციელებისთვის დაბრკოლებებს არ უშინდებით. სხვაგვარად ვერ აღიქმება 90-იან წლებში, ქვეყნის არეულობის პერიოდში, თქვენი უდიდესი ძალისხმევით წარმატებით განხორციელებული ჩვენი მასწავლებლის, აკადემიკოს პაატა გუგუშვილის დიდისნის საბრუნავი – საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სისტემაში 1990 წელს ჯერ დემოგრაფიის სოცილურ-ეკონომიკური კვლევის ცენტრის, ხოლო 1991 წლიდან დემოგრაფიისა და სოციოლოგიური კვლევის ინსტიტუტის ჩამოყალიბება. ალბათ, ესეც ბედმა გარგუნათ – თვით აკადემიკოს პაატა გუგუშვილსაც ხომ ქვეყნისთვის ასევე რთული, მძიმე პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური და ომის პირობებში მოუსდა ეკონომიკის ინსტიტუტის ფორმირება. ეს ორი შემთხვევა ალბათ უნიკალურია და რაღაცით ჰგავს ერთმანეთს. მეოცე საუკუნის საქართველოს ეკონომიკური მეცნიერების განვითარების ისტორიაში. დემოგრაფიულ და სოციოლოგიურ მეცნიერებაზე ზრუნვის თქვენი შემდგომი ნაბიჯი ალბათ აკადემიკოს პაატა გუგუშვილის მიერ თავის დროზე საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმთან დაარსებული ხალხთმოსახლეობის სამეცნიერო საბჭოს აღდგენა იქნება.

თქვენი როგორც მეცნიერ-ორგანიზატორის ამოუწურავი უნარის გვირგვინად უნდა მივიჩნიოთ თქვენივე ინიციატივითა და ქართველ მეცნიერ-ეკონომისტთა თანადგომით შექმნილი საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემია, რომლის პრეზიდენტად ღირსეულად აგირჩიეს. ამით კიდევ ერთი საკმაოდ მძიმე ტვირთის სახით ერთობ დიდი პასუხისმგებლობა დაგეკისრათ და გვჯერა ამასაც წარმატებით გაართმევთ თავს.

თქვენ არაერთხელ აღგინიშნავთ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სისტემაში ეკონომიკის განყოფილების შექმნის აუცილებლობის შესახებ. მართალიც ბრძანდებით, ეს დროის მოთხოვნაცაა და მის ნაკლებობას კარგა ხანია განიცდის ქართული ეკონომიკური მეცნიერება. ამის მოთავეობაც განგებამ ისევ თქვენ დაგაკისრათ და ქართული ეკონომიკური მეცნიერების კორიფეების პაატა გუგუშვილის, ვასილ ჩანტლაძის,

ირაკლი მიქელაძისა და სხვათა ნაოცნებარი ისევ თქვენ უნდა აღასრულოთ, ღმერთმა ხელი მოგიმართოთ ბატონო ლეო.

თქვენ არა მარტო დიდი მეცნიერი, არამედ უკეთილშობილესი პიროვნებაც ბრძანდებით. ვინ ვინ და ჩვენი ინსტიტუტის თანამშრომლებმა კარგად ვიცით ეს. თქვენი ინტელექტი, რბილი, გაწონასწორებული ხასიათი, კეთილი ბუნება იმ დიდი სიყვარულისა და პატივისცემის საწინდარია, რომელსაც იმსახურებთ არა მარტო ჩვენი, არამედ ყველა იმ კოლექტიეისგან, სადაც კი ოდესმე გიმუშავიათ. ბატონო ლეო, არავის ახსოვს თქვენი, როგორც კოლექტივის ხელმძღვანელის, სიმკაცრე და არც გჭირდებათ ეს, რადგან პიროვნულად იმდენად ძლიერი ბრძანდებით, რომ თქვენდამი მოწიწება და სიყვარული საჭირო წესრიგსა და დისციპლინას განაპირობებს.

სწორედ თქვენი დიდი პიროვნული ღირსების შესაფერისია თქვენი მშვენიერი ქართული ოჯახი. სანიმუშო შვილი, ღირსეული მეუღლე, ერთგული ძმა, მზრუნველი მამა და საყვარელი ბაბუა – ასე გიცნობთ ყველა. საზოგადოებრივ ასპარეზზე თქვენი თაედაუზოგავი შრომის მიუსედავად, საჭირო ყურადღებას არ აკლებთ თქვენს ლამაზ ოჯახსა და ახლობლებს.

და ბოლოს, ნიუ-იორკის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსობა, თქვენი, როგორც საერთაშორისო დონის მეცნიერის კანონზომიერი აღიარებაა. რომ არა გაუთვალისწინებელი და ყველასთვის მოულოდნელი შედეგი, თქვენ უკვე საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი იქნებოდით, მაგრამ, როგორც ამბობენ, სანთელ-საკმეველი გზას არ დაკარგავს და გვჯერა, რომ დღეს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტს, სულ მალე აკადემიკოსად გიხილავთ.

ბატონო ლეო, გისურვებთ ჯანმრთელობას, ხანგრძლივ სიცოცხლეს და ნაყოფიერ მეცნიერულ მოღვაწეობას ქართველი ერის საკეთილდღეოდ.

ინსტიტუტის კოლექტივის სახელით

**ავთანდილ სულაბერიძე**
ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე მეცნიერული
მუშაობის დარგში, ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატი
ქ. თბილისი. 20.02.1998.

# 7. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პ. გუგუშვილის სახ. ეკონომიკის ინსტიტუტი

**დიდად პატივცემულო, ბატონო ლეო!**

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პ. გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის კოლექტივი მოგესალმებათ და გილოცავთ ღირსშესანიშნავ თარიღს – დაბადების 70 და მეცნიერულ-პედაგოგიური და საზოგადოებრივი მოღვაწეობის 50 წლისთავს.

ბატონო ლეო, თქვენ დიდი და რთული ცხოვრების გზა განელეთ, – აღგარდეთ ქართველ მეცნიერთა და პედაგოგთა რამდენიმე თაობა, საინტერესო გამოკვლევებით გაამდიდრეთ ქართული ეკონომიური მეცნიერება და სპეციფიკური კვალი დატოვეთ მასში. თქვენი სახელი განუყრელად დაუკავშირდა ჩვენს ცნობილ მეცნიერთა სახელებს. თქვენი მრავალრიცხოვანი ნაშრომები ცნობილია ფართო თვალსაწიერითა და მაღალი მეცნიერული დონით, რომლებმაც მოიპოვეს საყოველთაო აღიარება არა მარტო საქართველოში, არამედ მის ფარგლებს გარეთაც.

შეუძლებელია ვინმემ თუნდაც მყისიერად გადაავლოს თვალი თქვენს მიერ განვლილ გზას, მეცნიერულ სარბიელზე თანდათანობით წინსვლას, იმას, თუ ინტენსიური, დაუღალავი შრომით როგორ ამაღლდით ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორის, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის, საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტის, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის საპატიო ტიტულამდე და არ განიმსჭვალოს თქვენდამი ღრმა პატივისცემითა და სიმპატიებით, არ იამაყოს თქვენი დიდი ერუდიციითა და მდიდარი მეცნიერული მემკვიდრეობით.

ბატონო ლეო, დაუვიწყარია ის წლები, როდესაც თქვენ წარმატებით მოღვაწეობდით ჩვენთან, ეკონომიკის ინსტიტუტ-

ში. მუშაობდით რა დირექტორის მოადგილის თანამდებობაზე სამეცნიერო მუშაობის დარგში, თქვენი ხელმძღვანელობით იმ წლებში ინსტიტუტში შესრულდა ბევრი მნიშვნელოვანი სამუშაო ჩვენი ქვეყნისა და ერის საკეთილდღეოდ. პირადად თქვენ დიდი წვლილი შეიტანეთ ეკონომიკური სასიათის ფუნდამენტური კვლევის განვითარებაში პოლიტიკური ეკონომიისა და სოციალური სფეროს ეკონომიკის ცალკეული პრობლემების საფუძვლიანი შესწავლითა და დამუშავებით. ჩვენთან მუშაობის შვიდი წელი სრულიად საკმარისი აღმოჩნდა იმისთვის, რომ თქვენ — ნიჭიერ მკვლევარს, კარგ პედაგოგს, მეცნიერების ორგანიზატორსა და შესანიშნავ ადამიანს — წარუშლელი კვალი დაგეტოვებინათ ინსტიტუტის ისტორიასა და მის თანამშრომელთა ცხოვრებაში.

ჩვენ, ყველას გვეამაყება და გვახარებს, რომ თქვენ ამჟამადაც ახალგაზრდულად გამოიყურებით, შესაშური ენერგიით ხართ აღსავსე, რომ დღესაც შესანიშნავი მეცნიერისა და პედაგოგის მაგალითს წარმოადგენთ როგორც უფროსი, ისე უმცროსი თაობის მეცნიერთათვის.

ბატონო ლეო, გულითადად გილოცავთ საიუბილეო თარიღს და გისურვებთ ჯანმრთელობას, ბედნიერებასა და ხანგრძლივ, ნაყოფიერ შემოქმედებით ცხოვრებას.

**გ. წერეთელი**
საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის
პ. გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის
ინსტიტუტის კოლექტივის სახელით,
ინსტიტუტის დირექტორი,
ე.მ.დ., პროფესორი

# 8. ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტი

**ღრმად პატივცემულო, ბატონო ლეო!**

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტის დეკანატი და ფაკულტეტის სამეცნიერო საბჭო უდიდესი მოწიწებითა და სიყვარულით გესალმებით და გილოცავთ არა მხოლოდ თქვენთვის, არამედ ქართული ეკონომიკური აზრის ისტორიაში ამ ღირსშესანიშნავ დღეს – თქვენი დაბადების 70 და მეცნიერულ-პედაგოგიური და საზოგადოებრივი მოღვაწეობის 50 წლისთავს.

ბატონო ლეო! გულწრფელად გვინდა განვაცხადოთ, რომ ეკონომიკის ფაკულტეტის კოლექტივი ამაყობს იმით, რომ 1945-1950 წლებში ჩვენთან სწავლობდა დღეს უკვე ქართული ეკონომიკური მეცნიერების თვალსაჩინო წამომადგენელი და ღვაწლმოსილი პედაგოგი, აკადემიკოსი ლეო ჩიქავა. თქვენი უზადო ნიჭიერებით, უდიდესი თავდადებითა და გასაოცარი შრომისმოყვარეობით განვლილი გზა უნივერსიტეტის რჩეული ასპირანტიდან მეცნიერული მუშაობისა და საზოგადოებრივი მოღვაწეობის მწვერვალამდე მისაბაძი და სამაგალითოა თითოეული ჩვენგანისთვის. თქვენს პიროვნებაში საოცარი ჰარმონიულობით ერწყმის ერთმანეთს ეკონომიკის ურთულეს პრობლემათა ნაყოფიერი მკვლევარის, ახალგაზრდა სამეცნიერო კადრების სამაგალითო აღმზრდელის, აქტიური საზოგადო მოღვაწის, გულისხმიერი ხელმძღვანელის, უნაკლო ორგანიზატორისა და მომხიბლავი ორატორის თვისებები. სწორედ ამიტომაც თქვენი წვლილი მოღვაწეობის ყველა სფეროში ერთნაირად თავალსაჩინო და სანიმუშოა. თქვენი 130 გამოქვეყნებული მეცნიერული ნაშრომი, მათ შორის 17 მონოგრაფიული გამოკვლევა, დამხმარე სახელმძღვანელო და ბროშურა უდიდეს დახმარებას უწევს ახალგაზრდა სპეციალისტებს და ეკონომიკის თანამედროვე პრობლემათა მკვლევარებს.

ეკონომიკის აქტუალურ საკითხებთან ერთად, უკანასკნელ პე-

რიოდში ეკონომიკური დემოგრაფიის საკითხებისადმი მიძღვნილმა თქვენმა გამოკვლევებმა უდიდესი წელილი შეიტანეს ქართული მეცნიერული აზრის განვითარების ისტორიაში. თქვენი სახით საერთაშორისო სიმპოზიუმებსა და კონფერენციებზე მონაწილეობს ქართველ სწავლულ ეკონომისტთა საუკეთესო წარმომადგენელი, რომლის მიერ წაკითხული თითოეული მოხსენება თუ გამოქვეყნებული ანალიტიკური სტატია ჯანსაღი ლოგიკის, ურთულეს სამეცნიერო პრობლემებთან ჭიდილის და ორიგინალური მეცნიერული დასკვნების გასაოცარი სინთეზის ნიმუშია. თქვენი შემოქმედება უდიდესი აღიარებით სარგებლობს არა მარტო საქართველოში, არამედ საზღვარგარეთაც. თქვენს სახელს მრავალი ქვეყნის სამეცნიერო-კვლევითი და სასწავლო ინსტიტუტების საპატიო დოქტორისა და აკადემიების წევრის ტიტული აშშვენებს.

ბატონო ლეო! ფრიად მრავალფეროვანი და ღრმად შინაარსიანია თქვენი აქტიური საზოგადოებრივი მოღვაწეობაც. თქვენ უდიდეს დასმარებას უწევთ როგორც საერთაშორისო, ასევე ქართულ სამეცნიერო ჟურნალების სარედაქციო კოლეგიებს, საქართველოს ეკონომიკურ ფორუმებს, ყოველთა ქართველთა მსოფლიო კონგრესს, საქართველოს ეკონომისტთა და დემოგრაფიულ საზოგადოებებს, ეკონომიკის სადისერტაციო-საკოორდინაციო საბჭოს, დემოგრაფიის სამთავრობო კომისიას. თქვენი აქტიური საზოგადოებრივი და სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობა არაერთხელ დაუჯილდოებიათ შესაბამისი საპატიო სიგელებითა და მედლებით.

ბატონო ლეო! რაოდენ სასიხარულოა, რომ ესოდენ ღვაწლმოსილი და ვალმოსდილი მეცნიერი დღესაც გასაოცარი შემართებით აგრძელებთ მოღვაწეობას. უდიდესი თაყვანისცემითა და სიყვარულით გილოცავთ დაბადების დღეს, გისურვებთ ბედნიერებასა და წარმატებებს თქვენი ოჯახის, ჩვენი მამულისა და თითოეული ჩვენთაგანის საკეთილდღეოდ.

**ე. მექვაბიშვილი**
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტის დეკანი, ფაკულტეტის სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე, პროფესორი.
ქ. თბილისი. 1998

# 9. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ეკონომიკური თეორიისა და მარკეტინგის საფუძვლების კათედრა

ბატონო ლეო, მაქვს პატივი მოგესალმოთ და მოგილოცოთ საიუბილეო თარიღი თქვენი მშობლიური კათედრისა და მთლიანად საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მრავალრიცხოვანი კოლექტივის სახელით, კოლექტივისა, რომლის რიგებში გაატარეთ თქვენი ყრმობისა და შემოქმედებითი მოღვაწეობის ყველაზე საუკეთესო 24 წელიწადი. თქვენ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის (მაშინდელი პოლიტექნიკური ინსტიტუტის) პოლიტიკური ეკონომიის კათედრაზე, ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხით, უფროსი მასწავლებლის თანამდებობაზე მუშაობა დაიწყეთ 1955 წელს, მას შემდეგ, რაც, პარტიის ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებით, გორკის სახელობის სოხუმის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტიდან გადმოგიყვანეს, იმთავითვე შესანიშნავად შეეთვისეთ კათედრის კოლექტივს; 1956 წელს მიგავლინეს კიევის შევჩენკოს სახელობის სახელმწიფო უნივერიტეტთან არსებულ საზოგადოებრივ მეცნიერებათა მასწავლებლების კვალიფიკაციის ამაღლების ინსტიტუტში, რომლის წარჩინებით დამთავრების შემდეგ განაგრძეთ მუშაობა კათედრაზე. 1962 წელს, კათედრის შუამდგომლობით, ჩაგრიცხეს დოქტორანტურაში, რომელიც ძალიან ნაყოფიერი გამოდგა თქვენთვის. ამ პერიოდში (უფრო ზუსტად, 1963-1965 წწ.) გამოაქვეყნეთ 9 ნაშრომი, მ. შ. 2 მონოგრაფია, 32 ნაბეჭდი თაბახის მოცულობით. ამ ნაშრომების საფუძველზე 1968 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ბრწყინვალედ დაიცავით სადოქტორო დისერტაცია (რაც იმდროისთვის იშვიათობას წარმოადგენდა) და სულ მალე — 1969 წელს ი. ჭავჭავაძის სახელობის თბილისის უცხო ენათა სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ახალშექმნილი პოლიტიკური ეკონომიის კათედრის გამგედ მიგიწვიეს.

მახსენდება ტექნიკურ უნივერსიტეტში თქვენი მობრუნების

ისტორია. კათედრაზე მის წევრთა შორის შეიქმნა ძალზე დაძაბული ვითარება. კათედრის გამგე გაათავისუფლეს. კათედრის კოლექტივმა ერთსულოვნად გთხოვათ თქვენ გეთავათ ეს საქმე. მაშინ იმყოფებოდით ლომონოსოვის სახელობის მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტთან არსებულ საზოგადოებრივ მეცნიერებათა მასწავლებლების კვალიფიკაციის ამაღლების ინსტიტუტში. თქვენთან ამ საკითხის შესათანხმებლად სპეციალურად მივლინებულ იქნა საქართველოს უმაღლესი განათლების მინისტრის პირველი მოადგილე, რომლის საფუძველზე 1974 წელს (დაუსწრებლად) ერთსმად აგირჩიათ სპი-ს დიდმა სამეცნიერო საბჭომ კათედრის გამგედ. ამ ამპლუაში თქვენ იმუშავეთ 1983 წლამდე. აღნიშნულ პერიოდს ჩვენი კათედრის ყველა იმდროინდელი თანამშრომელი უდიდესი სიამოვნებით იხსენებს და აი რატომ. სულ უმოკლეს დროში ბოლო მოეღო თანამშრომელთა შორის ყოველგვარ დაპირისპირებას და შემოქმედებითი, ნაყოფიერი მუშაობისთვის შეიქმნა ფრიად ჯანსაღი ატმოსფერო. თქვენმა ღრმად განსწავლულობამ, მართლაც გამორჩეულმა პროფესიონალიზმმა, ზედმიწევნით დასვეწილმა ტაქტმა, თითოეული თანამშრომლისადმი (მათი პირადი თვისებების გათვალისწინებით) ინდივიდუალურმა მიდგომამ, პრინციპულ მომთხოვნელობასთან შინაგანი ძლიერი ჰუმანურობისა და თანამშრომლებისადმი თბილი დამოკიდებულების ოპტიმალურმა შეხამებამ განსაზღვრა ის წარმატებები, რაც თქვენი ხელმძღვანელობით იმ წლებში ჩვენმა კათედრამ მოიპოვა. ტექნიკურ უნივერსიტეტში იყი საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრებს შორის თითქმის ყოველწლიურად პირველ ადგილს იკავებდა და ყველა საუნივერსიტეტო ღონისძიებაში ავანგარდის როლში გამოდიოდა.

კათედრის თითოეული სხდომა თუ თეორიული და სასწავლო-მეთოდური სემინარი, რომლებიც მონაცვლეობით კვირაში ერთხელ ტარდებოდა, ყოველი ჩვენთაგანისთვის უდიდესი სკოლა იყო, რამეთუ ლექცია-სემინარებზე ურთიერთდასწრების (უწინარეს ყოვლისა, თქვენი, როგორც კათედრის გამგის, დასწრების) შედეგების, ისე როგორც მეცნიერულ-კვლევითი გეგმით შესრულებული ნაშრომების განხილვა ყოველთვის მა-

ღალი პრინციპულობის ვითარებაში მიმდინარეობდა. თუმცა, თეორიულ თუ მეთოდურ საკითხებზე მსჯელობისას თქვენს მიერ გაკეთებული კრიტიკული შენიშვნები ობიექტურობის საზღვრებს არასოდეს გასცილებია.

ჩვენს მრავალრიცხოვან კოლექტივში თქვენ აღიარებული აუტორიტეტით სარგებლობდით. ეს განპირობებული იყო იმით, რომ როგორც კოლეგები, ისე სტუდენტები თქვენში ხედავდნენ პუნქტუალურ, ღრმადგანსწავლულ, ფართოდ ერუდირებულ, ტაქტიან და გულისხმიერ ლექტორს, პრინციპულ და მომთხოვნ, მაგრამ უაღრესად სამართლიან ადამიანს, კეთილშობილ, აღზრდითა და სიდარბაისლით გამორჩეულ ინტელიგენტს, ბრწყინვალე მოქალაქეს.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სისტემაში სამუშაოდ გადასვლასთან დაკავშირებით, კათედრიდან თქვენი წასვლა იმდენად განიცადეთ, რომ, არცთუ იშვიათად, ღღესაც გვახსენებს თავს წარსულის ნოსტალგია.

ჩვენ – თქვენს ყოფილ თანამშრომლებს გვეამაყება თქვენი ტრიუმფალური აღმასვლა მეცნიერულ ასპარეზზე, რომლის დამაგვირგვინებელი ეტაპი იყო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტად, ხოლო მიმდინარე წელს – ნიუ-იორკის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრად – აკადემიკოსად თქვენი არჩევა, აგრეთვე ქართული ეკონომიკური მეცნიერების განვითარებაში, სტუდენტი ახალგაზრდობის აღზრდაში შეტანილი პირადი დიდი წვლილისა და ნაყოფიერი საზოგადოებრივი მოღვაწეობისთვის ღირსების ორდენით დაჯილდოება.

მიღწეულით დაკმაყოფილება თქვენ არასოდეს გჩვეოდათ, დარწმუნებული ვართ, ტრადიციას არც ახლა უღალატებთ. გისურვებთ ძალიან დიდხანს გემოღვაწეოთ თქვენი მშობლიური ერის საკეთილდღეოდ.

**კარლო ღურწკაია**

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ეკონომიკური თეორიისა და მარკეტინგის საფუძვლების კათედრის გამგე, ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

20.02.1998.

# 10. ქუთაისის ტექნიკური უნივერსიტეტი

**ბატონო ლეო!**

ქუთაისის ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორატი უდიდესი პატივისცემით გილოცავთ ქართველ მამულიშვილს, გამოჩენილ მეცნიერს საიუბილეო თარიღს.

დიდია თქვენი დამსახურება ქართული ეკონომიკური მეცნიერების განვითარებასა და წინსვლაში. თქვენ, როგორც მეცნიერმა, შეპქმენით მთელი სამეცნიერო სკოლა, არაერთი საამაყო მამულიშვილი აღუზარდეთ ქვეყანას, რომლებიც წარმატებით შრომობენ და იღწვიან საქართველოს კეთილდღეობისთვის.

თქვენ ეკონომიკისა და დემოგრაფიის პრობლემებს მიუძღვენით მრავალი ნაშრომი, მონოგრაფია და სახელმძღვანელო. თითოეული მათგანი — თქვენი ნაშრომ-ნაღვაწი მნიშვნელოვანი და აქტუალურია.

მთელი გულით გისურვებთ ჯანმრთელობას, წარმატებას მეცნიერულ თუ პედაგოგიურ საქმიანობაში.

სიკეთე და ბედნიერება თქვენს შესანიშნავ ქართულ ოჯახს.

**ა. კოსტავა**
რექტორი.

# 11. საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან არსებული ფინანსების მეცნიერულ-კვლევითი ინსტიტუტი

**საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტს, პროფესორ ლეო ჩიქავას**

ღრმად პატივცემულო ბატონო ლეო!

საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან არსებული ფინანსების მეცნიერულ-კვლევითი ინსტიტუტი გულითადად გილოცავთ სახელოვან იუბილეს – შემოქმედებითი საქმიანობის 50 და დაბადების 70 წლისთავს.

დიდი პაატა გუგუშვილის ერთ-ერთმა უნიჭიერესმა შეგირდმა, თქვენ სტუდენტობის წლებიდან მოჰკიდეთ ხელი მეცნიერულ კვლევა-ძიებას და მთელ ამ პერიოდში პირნათლად ეწევით გამორჩეული სწავლული ეკონომისტის ხალხისადმი, სამშობლოსადმი სამსახურის მძიმე ჯაპანს.

ფართოა თქვენი კვლევითი საქმიანობის ინტერესები. თქვენი მონოგრაფიების, სახელმძღვანელოების, საჟურნალო და საგაზეთო სტატიების, ჩვენს ქვეყანაში და მის ფარგლებს გარეთ გამართულ კონფერენციებზე თუ სხვა სახის ფორუმებზე გაკეთებული მოხსენებების დიდ ნაწილს, რომლებიც ეძღვნება როგორც საერთო-ეკონომიკურ ფუნდამენტურ, ისე კონკრეტულ საკითხებს, მაკრო თუ მიკროეკონომიკურ პრობლემებს, ორიგინალური, აღმოჩენითი ხასიათი აქვს. უაღრესად დიდია თქვენი წვლილი ეკონომისტ-მეცნიერთა აღზრდის საქმეში. ამან განაპირობა თქვენი საყოველთაო საზოგადოებრივი აღიარება როგორც დღეგანდელი საქართველოს ერთ-ერთი ყველაზე გამოჩენილი მეცნიერი ეკონომისტისა. საქართველოში თქვენ გიცნობენ როგორც უაღრესად განსწავლულ პიროვნებას, პრინციპულ და მაღალზნეობრივ ადამიანს.

განსაკუთრებული შედეგიანობით გამოირჩევა თქვენი სამეცნიერო, პედაგოგიური და ორგანიზაციული საქმიანობა დამოუკიდებელ საქართველოში. თქვენი ინიციატივით ჩამოყა-

ლიბდა და ნაყოფიერ მუშობას ეწევა საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემია, რომლის პრეზიდენტიც თქვენ ბრძანდებით.

ბატონო ლეო, გისურვებთ ჯანმრთელობას, სიკეთეს და ახალ-ახალ მეცნიერულ მიღწევებს ჩვენი ქვეყნის საკეთილდღეოდ.

**ი. მესხია**
ინსტიტუტის დირექტორი, პროფესორი

# 12. გორის სახელმწიფო ეკონომიკურ-ჰუმანიტარული ინსტიტუტი.

**საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტს, ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტს, პროფესორ ლეო ჩიქავას**

გორის სახელმწიფო ეკონომიკურ-ჰუმანიტარული ინსტიტუტის პროფესორ-მასწავლებლები, სტუდენტები და თანამშრომლები, რომელთა შორის ბევრია თქვენი მეგობარი, თანაკურსელი, აღზრდილი და კეთილისმსურველი გულითადად გილოცავთ დაბადების 70-სა და ნაყოფიერი მეცნიერულ-პედაგოგიური და საზოგადოებრივი მოღვაწეობის 50-ე წლისთავს.

ჩემო ლეო! დროის ულმობელმა სრბოლამ 70-იანელები გაგვხადა. ახლა, ამ არცთუ ისე პატარა გადასახედიდან, ფონების თვალით რომ გავცქერი წარსულს, ნათლად და ცხადად ვიგონებ იმ ბედნიერ, დაუვიწყარ დროს დედა უნივერსიტეტის ნათელ აუდიტორიაში ჯერ კიდევ ჭაბუკები რომ ვეზიარეთ ეკონომიკური მეცნიერების სრულ სამყაროს და მისმა დიდმა ქურუმებმა, ჩვენმა სათაყვანებელმა მასწავლებლებმა პაატა გუგუშვილმა, ნიკოლოზ ქოიავამ, ვასილ ჩანტლაძემ, იოსებ ბაჯაძემ, ირაკლი მიქელაძემ და სხვა სახელოვანმა მამულიშვილებმა, წარმატების გულწრფელი სურვილით, მეცნიერული კვლევა-ძიების ძნელ გზაზე საიმედოდ რომ დაგვაყენეს და არჩეული სპეციალობისადმი ურყევი ერთგულების სულისკვეთებით აღგვჭურვეს. მას შემდეგ ოთხ ათეულზე მეტმა წელმა განვლო. ამ ხნის მანძილზე ბევრი რამ მოხდა. ჩვენი ცხოვრების მასწავლებლები და მეგობრების ერთი ნაწილი სამუდამოდ წავიდა ჩვენგან. სამარადისო სახელი და დიდება მათ ნათელ ხსოვნას! უცვლელი დარჩა მხოლოდ ჩვენი თაობის ეკონომიკის მკვლევართა ხალასი მეგობრობის ძლიერი გრძნობა, სიკეთისთვის დაუოკებელი სურვილი, მეცნიერებაში ახალი ძიების ჭაბუკური შემართება და თავდადებული შრომისმოყვარეობა,

თანადგომა და სხვებისადმი უანგარო დახმარების ბუნებრივი ნიჭი.

ბატონო ლეო! თქვენ ამ მაღალი ადამიანური ნიშან-თვისებებით საიმედოდ შეიარაღებულმა, მრავალი ათეული წლის მანძილზე სახელოვნად და ვაჟკაცურად ზიდეთ ჭეშმარიტი მეცნიერის მძიმე, მაგრამ აუცილებელი და საპატიო ტვირთი და მოკრძალებულად მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეთ ეროვნული ეკონომიკური აზროვნების ოქროს ფონდში.

თქვენს მრავალრიცხოვან გამოკვლევებში, სქელტანიან მონოგრაფიებში დასმული და გადაწყვეტილია ჩვენი დროის ეკონომიკის ბევრი საჭირო და აუცილებელი პრობლემა და საკითხი, რომლებიც თავიანთი თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობით საერთაშორისო დონეზე ცნობილ მეცნიერთა ყურადღებასა და მოწონებას იმსახურებენ. ნიშანდობლივია ისიც, რომ არ ყოფილა რაიმე მნიშვნელოვანი მოვლენა ქვეყნის ეკონომიკასა და ეკონომიკურ მეცნიერებაში, რომელზედაც ბატონო ლეო, არ გეთქვათ თქვენი დამაჯერებელი, უაღრესად ზომიერი და მეცნიერულად დასაბუთებული ავტორიტეტული სიტყვა. სამაგალითო და მისაბაძია თქვენი სიდინჯე და აუჩქარებლობა, სათქმელის ყოველმხრივ და მრავალჯერ შემოწმება-გაანალიზება და გასაოცარი ზომიერებით მისი გადმოცემა, რომელიც სათავეს ღებულობს მაღალმნეობრიობასთან წილნაყარ ღრმა მეცნიერული განათლებიდან და ხალასი პედაგოგიური ეთიკიდან.

თქვენ, ბატონო ლეო, ჩვენი ბრძენი მასწავლებლების მსგავსად, მეცნიერულ-კვლევითი მუშაობა ჰარმონიულად შეუხამეთ ასევე ნაყოფიერ მრავალფეროვან სასწავლო აღმზრდელობით მოღვაწეობას, რამეთუ კარგად უწყით მეცნიერული ცოდნის საფუძვლიანად გადაცემა ახალგაზრდობისთვის არანაკლებ მნიშვნელოვანია, ვინემ თანამიმდევრული მეცნიერული აღმოჩენებით გამოწვეული აღმაფრენა. ასევე კარგად გაქვთ გათავისებული ის ნაღდი ჭეშმარიტება, რომ მასწავლებელმა კარგად უნდა იცოდეს არა მარტო ის, თუ რა გადასცეს, არამედ ისიც თუ როგორ, რა გზებითა და რა საშუალებებით მიაღწიოს ამას. ამით აიხსნება თქვენი დიდი ინტერესი პოლი-

ტიკური ეკონომიის სწავლების მეთოდური საკითხებისადმი, რასაც ადასტურებს თქვენივე ცნობილი სახელმძღვანელოები, მათ შორის უკანასკნელ წელს გამოცემული „ეკონომიკური **თეორიის მოკლე კურსი**“, რომელიც საბაზრო ეკონომიკის აქტუალური და ურთულესი საკითხების მარტივი და გასაგები ენით გადმოცემის ბრწყინვალე ნიმუშია.

ჩვენს შორის თქვენ ერთ-ერთი თვალსაჩინო პიროვნება ბრძანდებით, რომელიც დიდად არის დაინტერესებული ეკონომისტ-მკვლევართა მჭიდრო საქმიანი ურთიერთობით, სამეცნიერო პოტენციალის გაერთიანებით, კოლექტიური გამოკვლევების შექმნით, ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაზე დასაბუთებული მეცნიერული საერთო აზრის შემუშავებით. ამის დასტურია, შესაძლებლობისთანავე, თქვენივე ინიციატივითა და ხელმძღვანელობით შექმნილი ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემია, რომელმაც უკვე გადადგა პირველი ანგარიშგასაწევი ნაბიჯები ამ გზაზე.

ბატონო ლეო! ჩვენ ყოველთვის გვსიბლავდა და გვსიბლავს თქვენი კრისტალური პატიოსნება, შეუვალ პრინციპულობასთან შეერთებული, დიდი გულისხმიერება და ყურადღება, სიკეთეში გასაგნობრივებული სხვების კეთილდღეობისთვის მუდმივი ზრუნვა, სამართლიანობა, ნაღდი უღალატო მეგობრობა, მისაბაძი პედაგოგიური ალღო, ახალგაზრდობისადმი მტკიცე მომთხოვნელობასთან შეხამებული გულწრფელი პატივისცემა.

ფეხბედნიერი იყოს თქვენი შესვლა მეორე 70-წლეულში!

დიდხანს, ძალიან დიდხანს ღმერთმა ნუ მოუშალოს თქვენს ახლობლებს, მეგობრებსა და კეთილის მსურველებს, აღზრდილებსა და აღსაზრდელებს თქვენი პიროვნების მადლი და იმედი, არჩეული საქმიანობისადმი, ქვეყნისა და ხალხისადმი თავდადებული სამსახურის შთაგონების მძლავრი ძალა და იმედი.

**გედევან ხელაია**
გორის სახელმწიფო ეკონომიკურ-
ჰუმანიტარული ინსტიტუტის რექტორი,
პროფესორი

# 13. აგროსამრეწველო კომპლექსის ეკონომიკისა და მართვის მეცნიერულ-კვლევითი ინსტიტუტი

**ბატონო ლეო!**

საქართველოს აგროსამრეწველო კომპლექსის ეკონომიკისა და მართვის მეცნიერულ-კვლევითი ინსტიტუტის თანამშრომლები, რომელთა შორის ნაყოფიერ მუშაობას ეწევიან თქვენი კოლეგები, მეგობრები და აღზრდილები, გულითადად გილოცავთ დაბადებიდან 70 და მეცნიერულ-პედაგოგიური და საზოგადოებრივი მოღვაწეობის 50 წლისთავს.

ჩვენს ქვეყანაში და მის საზღვრებს გარეთ თქვენ გიცნობენ როგორც ფართო დიაპაზონის მეცნიერ-მკვლევარს, ერუდირებულ ლექტორსა და მეცნიერთა კადრების გულისხმიერ აღმზრდელს. თქვენი შესანიშნავი ლექციებით დამოძღვრილი სპეციალისტები ჩვენი სამშობლოს ყველა კუთხეში თავდადებით იღწვიან ეროვნული ეკონომიკის აღმაფლობისთვის. თქვენი უშუალო ხელმძღვანელობით მრავალმა ნიჭიერმა ახალგაზრდამ მიიღო საგზური დიდ მეცნიერებაში, მრავალ საკვალიფიკაციო ნაშრომს თქვენი ოპონირებით მიეცა მწვანე შუქი.

თქვენს მრავალრიცხოვან მონოგრაფიულ გამოკვლევებში ორიგინალურადაა გაშუქებული შრომის საზოგადოებრივი დანაწილების არსი, ფორმები და განვითარების პერსპექტივები, წარმოების ტერიტორიული სპეციალიზაციისა და შედარებითი ეკონომიკური ეფექტიანობის კრიტერიუმები და მაჩვენებლები, მთლიანი ეროვნული პროდუქტისა და ეროვნული შემოსავლის სტრუქტურის რეგიონული თავისებურებები და სხვ. ბოლო წლებში თქვენ უდიდეს ენერგიას ასმართ ეკონომიკური დემოგრაფიის პრობლემებზე მუშაობას, სადაც იგრძნობა ავტორისეული ღრმა და ნათელი მიდგომები.

თქვენი მეცნიერული შრომები ცნობილია საზღვარგარეთის მრავალი მკითხველისთვისაც იქ გამოქვეყნებული ქურნალებიდან და სამეცნიერო შრომების კრებულებიდან. მსოფლიოს

არაერთი ქვეყნის აუდიტორიას, მრავალ საერთაშორისო კონფერენციას ახსოვს თქვენი ღრმამეცნიერული გამოსვლა. მნიშვნელოვანი წვლილი შეგაქვთ სამეცნიერო საბჭოებისა და ჟურნალების რედკოლეგიების მუშაობაში.

სამოციანი წლების მეორე ნახევარში, უშუალო თანამშრომლობით, გარკვეული წვლილი გაქვთ შეტანილი ჩვენი ინსტიტუტის მეცნიერულ-კვლევით მუშაობაში, რომელთანაც დღესაც გაქვთ მჭიდრო კავშირი.

დიდია თქვენი ღვაწლი საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის დაფუძნებაში, რომლის პირველი და უცვლელი პრეზიდენტი ბრძანდებით. ასევე, თქვენივე ძალისხმევითაა შექმნილი დემოგრაფიისა და სოციოლოგიური კვლევის ინსტიტუტი, სადაც ნაყოფიერ საქმიანობას ეწევით როგორც დირექტორი.

ბატონო ლეო! გისურვებთ ენერგიის დაუშრეტელობას, კეთილინდებურად ნაყოფიერ შემოქმედებით მუშაობას. ხანგრძლივ, ჯანმრთელ და ბედნიერებით აღსავსე სიცოცხლეს თქვენთვის სასურველ ადამიანებთან ერთად.

**ვ. ბურკაძე**
აგროსამრეწველო კომპლექსის
ეკონომიკისა და მართვის მეცნიერულ-
კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი,
სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა
აკადემიის აკადემიკოსი

# 14. მარკეტინგის მეცნიერულ-კვლევითი ინსტიტუტი

**დიდად პატივცემულო ბატონო ლეო!**

მარკეტინგის მეცნიერულ-კვლევითი ინსტიტუტის სახელით გულითადად გილოცავთ თქვენს სასელოვან იუბილეს — დაბადების 70 წლისთავს.

თქვენ ამ საიუბილეო თარიღს ხედებით უაღრესად შემოქმედებითი წარმატებებით. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტისა და ასპირანტურის კურსის დამთავრებისთანავე (1954 წ.) იცავთ საკანდიდატო დისერტაციას, შემდეგ (1968 წ.) — სადოქტორო დისერტაციას. აქტიურად იღწვით ახალგაზრდა სპეციალისტებისა და მეცნიერ-ეკონომისტთა კადრების მომზადებისთვის როგორც უმაღლესი სასწავლებლის ობიექტურად მომთხოვნი, მაგრამ მზრუნველი პროფესორი და კათედრის გამგე.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია თქვენი მოღვაწეობის პერიოდი საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სისტემაში, როდესაც გადადისართ ეკონომიკური პრობლემების უშუალო კვლევის სფეროში, კერძოდ, ეკონომიკის ინსტიტუტის სამეცნიერო მუშაობის დარგში დირექტორის მოადგილედ (1983-1990 წწ.). ამ დროს ვლინდება თქვენი როგორც არა მარტო მეცნიერ-მკვლევარის, არამედ, ასევე, მეცნიერ-ორგანიზატორის თვისებები, რამაც კონკრეტული გამოხატულება პოვა დემოგრაფიისა და სოციოლოგიური კვლევის ინსტიტუტის შექმნაში (1991 წ.). მრავალფეროვანია თქვენი მეცნიერული კვლევის ასპექტები: ეკონომიკური თეორიის, კონკრეტული და რეგიონული ეკონომიკის, დემოგრაფიის პრობლემები. თქვენი მეცნიერული კვლევის შედეგები ფართოდაა ცნობილი მონოგრაფიების, სტატიების თუ მეცნიერული მოხსენებების სახით საქართველოში და მის ფარგლებს გარეთაც. საკვლევით დამსახურებულად სართ არჩეული საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტად, სამი დარგობრივი აკადემიის ნამდვილ წევრად, ნიუ-იორკის მეცნიერებათა აკადემიის აკადემი-

კოსად და, რაც მთავარია, საქართველოს სწავლულ ეკონომისტთა წინამძღოლად – ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის პირველ პრეზიდენტად. თქვენ კარგად ათავსებთ მეცნიერულ-პედაგოგიურ საქმიანობას საზოგადოებრივ მოღვაწეობასთან. ამ მიმართულებით გაწეული საქმიანობა მრავალმხრივია: საქართველოს ეკონომისტთა და დემოგრაფიული საზოგადოებების პრეზიდიუმის წევრი, ეკონომიკური ფორუმის სექციის თავმჯდომარე, ყოველთა ქართველთა მსოფლიო კონგრესის დემოგრაფიისა და მიგრაციის პალატის თავმჯდომარე, დემოგრაფიის სამთავრობო კომისიის წევრი, სადისერტაციო-საკოორდინაციო საბჭოს წევრი, ქართული ჟურნალების „ეკონომიკისა“ და „მაცნეს“, აგრეთვე, საერთაშორისო ჟურნალების „Общество и экономика“ და „მაკრო, – მიკროეკონომიკის“ სარედაქციო კოლეგიების წევრი.

ბატონო ლეო, საზეიმო იუბილესთან დაკავშირებით გისურვებთ ჯანმრთელობას, ჩვეული შემართებით შემოქმედებით წარმატებებს და ბედნიერებას თქვენს მეუღლესთან, შვილებთან და შვილიშვილებთან ერთად.

**გ. შუბლაძე**
მარკეტინგის ს/კ ინსტიტუტის
დირექტორი, პროფესორი
20.02.1998.

# 15. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ე. გულისაშვილის სახ. სამთო მეტყევეობის ინსტიტუტი. საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის სატყეო მეურნეობის ეკონომიკის, ტაქსაციისა და ხე-ტყის დამზადების კათედრა. საქართველოს მეტყევეთა საზოგადოება

**ბატონო ლეო!**

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ე. გულისაშვილის სახ. სამთო მეტყევეობის ინსტიტუტი, მეტყევეთა საზოგადოების პრეზიდიუმი და საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის სატყეო მეურნეობის ეკონომიკის, ტაქსაციისა და ხე-ტყის დამზადების კათედრის პროფესორ-მასწავლებლები გულითადად გილოცავენ დაბადების სამოცდაათი წლისთავს.

თქვენ მიეკუთვნებით იმ მეცნიერთა რიცხვს, რომლებმაც მყარი საფუძველი ჩაუყარეს საქართველოში ეკონომიკური და დემოგრაფიული აზროვნების ჩამოყალიბებას და თავიანთი მრავალმხრივი საქმიანობით ფასდაუდებელი სარგებლობა მოუტანეს ქვეყანას.

დიდია თქვენი დამსახურება ეკონომიკური მეცნიერების განვითარებაში, სადაც კვლევისა და ანალიზის ძირითად საგანს პოლიტიკური ეკონომიის საკვანძო პრობლემები წარმოადგენს. არანაკლებ მნიშვნელოვანია თქვენი მოღვაწეობა ეკონომიკური დემოგრაფიის მიმართულებით. აღნიშნული გამოკვლევები აისახა თქვენს არაერთ მონოგრაფიასა თუ სხვა სახის მეცნიერულ ნაშრომში, რომლებმაც აღიარება პპოვეს არა მარტო საქართველოში, არამედ საზღვარგარეთის ქვეყნებშიც. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ თქვენს მიერ დაგროვილი ცოდნა და გამოცდილება ასე უხვად გაუზიარეთ ახალ თაობებს და ამით ქვეყანას აღუზარდეთ სამ ათეულამ-

ღე მაღალკვალიფიციური ასალგაზრდა მეცნიერ-ეკონომისტი. ყოველივე ეს მეტყველებს თქვენს მაღალ მეცნიერულ და მოქალაქეობრივ დონეზე. თქვენ ბრძანდებით საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, საქართველოს არაერთი დარგობრივი აკადემიის წევრი და ატარებთ ნიუ-იორკის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის საპატიო წოდებას.

მეცნიერულ-პედაგოგიურ საქმიანობასთან ერთად, თქვენ წარმოჩნდით როგორც მეცნიერებისა და საგანმანათლებლო საქმიანობის თვალსაჩინო ორგანიზატორი. თქვენ იყავით და ამჟამადაც ბრძანდებით საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის დემოგრაფიისა და სოციოლოგიური კვლევის ინსტიტუტის დამაარსებელი და მისი პირველი დირექტორი; საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის ერთ-ერთი დამაარსებელი და მისი პირველი პრეზიდენტი და აკად. პაატა გუგუშვილის სახელობის საქართველოს ეკონომიკურ-ჰუმანიტარული ინსტიტუტის პირველი რექტორი. სამივე მიმართულებით საქმიანობას უძღვებით მთელი ენერგიით და ამით დიდ ავტორიტეტს უქმნით ქართულ ეკონომიკურ სკოლას.

ბატონო ლეო! გილოცავთ რა საიუბილეო თარიღს, გისურვებთ სანგრძლივ სიცოცხლეს, ბედნიერებას და ახალ-ახალ მიღწევებს სამეცნიერო და პედაგოგიურ მოღვაწეობაში.

ღრმა პატივისცემით,

**გიორგი გიგაური**

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ე. გულისამეილის სახელობის სამთო მეტყევეობის ინსტიტუტის დირექტორი, საქართველოს მეტყევეთა საზოგადოების პრეზიდენტი, აკადემიკოსი.

**თეიმურაზ კანდელაკი**

საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის სატყეო მეურნეობის ეკონომიკის, ტაქსაციისა და ხე-ტყის დამზადების კათედრის გამგე, საქართველოს მეტყევეთა საზოგადოების ვიცე-პრეზიდენტი, საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის სამდვილი წევრი, ეკონომიკურმეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

თბილისი, 18.02.1998

# 16. საქართველოს პოლიტიკურ მეცნიერებათა აკადემია

**ბატონო ლეო!**

საქართველოს პოლიტიკურ მეცნიერებათა აკადემიის წევრები, თქვენი კოლეგები და მეგობრები, გულწრფელად გილოცავთ დაბადებიდან 70 წლისთავს, რომელსაც თქვენ ხვდებით მნიშვნელოვანი მიღწევებით სამეცნიერო-პედაგოგიური და სახელმწიფო-საზოგადოებრივი მოღვაწეობის ასპარეზზე.

თქვენ მიეკუთვნებით მეცნიერ-ეკონომისტთა იმ ბრწყინვალე პლეადას, რომელმაც დამსახურებული აღიარება პოვა არა მარტო მშობლიურ ქვეყანაში, არამედ მის გარეთაც მსოფლიოს მრავალ კუთხეში.

სასიხარულოა, რომ თქვენი მეცნიერული და მოქალაქეობრივი იმიჯი განაგრძობს აღმასვლას.

დაუცხრომელი ძიება, თავდაუზოგავი შრომა, ერუდიცია და განათლებულობა თქვენი ის ნიშან-თვისებებია, რომელმაც ესოდენ დიდი წარმატებები მოგიტანათ და კიდევ მეტის მიღწევის იმედს იძლევა.

თქვენი სისპეტაკე, კეთილსინდისიერება, პატიოსნება და ობიექტურობა მისაბაძ მაგალითს წარმოადგენს.

თქვენ განსაკუთრებული ყურადღებითა და მზრუნველობით ეკიდებით ახალგაზრდობას, მეცნიერთა და პრაქტიკოს ეკონომისტთა კადრების აღზრდას; თქვენ მრავალი ღირსეული ახალგაზრდის მრჩეველი და შემწე ბრძანდებით, ანუ აკეთებთ იმას, რაც თქვენი მასწავლებლისა და აღმზრდელის, ბატონი პაატას ცხოვრების პრინციპი იყო. თქვენ არ ივიწყებთ მის პატივისცემას, რაც თქვენი კეთილშობილების კიდევ ერთი დასტურია.

გულმხურვალედ გილოცავთ საიუბილეო თარიღს, ვისურვებთ ჯანის სიმრთელეს, სულის სიმტკიცეს, სიმხნევეს და დიდ ბედნიერებას თქვენს საყვარელ ოჯახთან ერთად.

ღმერთი იყოს თქვენი შემწე.

**ვლადიმერ ჭანუყვაძე**
საქართველოს პოლიტიკურ მეცნიერებათა
აკადემიის პრეზიდენტი, პროფესორი.
16.02.1998

# 17. ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიკროეკონომიკისა და მენეჯმენტის ფაკულტეტი

**ბატონო ლეო!**

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიკროეკონომიკისა და მენეჯმენტის ფაკულტეტის პროფესორ-მასწავლებლები და სტუდენტობა გილოცავთ დაბადების 70 და მეცნიერულ-პედაგოგიური და საზოგადოებრივი მოღვაწეობის 50 წლისთავს როგორც სახელოვან მამულიშვილს, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტს, ქართული ეკონომიკური მეცნიერების თვალსაჩინო წარმომადგენელსა და ცნობილ საზოგადო მოღვაწეს.

ბატონო ლეო! თქვენ მიეკუთვნებით იმ მეცნიერთა თაობას, რომლებიც აღიზარდნენ ქართული უნივერსიტეტის კედლებში მისთვის დამახასიათებელი სახელოვანი ტრადიციებით.

ბატონო ლეო! თქვენ ბრძანდებით ნამდვილი ბრძენი, სწავლული და ღრმად ინტელექტუალური პიროვნება. რაც სათანადოდ დაფასებულია საზოგადოების მიერ. თქვენ გაიარეთ მეცნიერული, პედაგოგიური და საზოგადოებრივი მოღვაწეობის სახელოვანი გზა. თქვენ ბრძანდებით ქართული ეკონომიკური სკოლის ერთ-ერთი აღიარებული წარმომადგენელი და საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის ერთ-ერთი დამაარსებელი.

ბატონო ლეო! თქვენ საოცარი, დიდებული თვისებებით ბრძანდებით შემკული: ცხოვრების რთულ ლაბირინთებში გარკვეული ბრძენკაცი; სწავლული ინტელექტუალი; მჭერმეტყველი და მახვილგონიერი; სამართლიანი და მოსიყვარუ-

ლე; ლაღი და შემნდობი, ზნეკეთილი და პატიოსანი პიროვნება; მეჯობრული და მომთხოვნი, მამაცი და პირდაპირი და კიდევ რამდენი ასეთი თვისება შეიძლება ჩამოვთვალოთ.

ბატონო ლეო, გისურვებთ დიდხანს სიცოცხლეს და ჯანმრთელობას. მუდამ ყოფილიყავით ასეთი მხნე და სიკეთის მთესველი ადამიანი.

**ნ. პაიჭაძე**
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტის მიკროეკონომიკისა
და მენეჯმენტის ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი

# 18. ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მრეწველობის, სოფლის მეურნეობისა და შრომის ეკონომიკის კათედრა

**დიდად პატივცემულო ბატონო ლეო!**

ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მრეწველობის, სოფლის მეურნეობისა და შრომის ეკონომიკის კათედრის კოლექტივი გულისხმიერებით, სიყვარულით მოგესალმებით და გილოცავთ სახელოვან იუბილეს – დაბადებიდან 70 და მეცნიერულ-პედაგოგიური და საზოგადოებრივი მოღვაწეობის 50 წლისთავს.

ბატონო ლეო, თქვენ სიყმაწვილიდანვე კუთვნილი ადგილი მოიპოვეთ და შემოქმედებითი ცხოვრების გზის დასაწყისი დაიდეთ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. სტუდენტობის წლებშივე გამოირჩეოდით ნიჭიერებით, თავდადებითა და შრომისმოყვარეობით. სწორედ ამიტომ გახდით უნივერსიტეტის ერთ-ერთი რჩეული ასპირანტი პოლიტიკური ეკონომიის კათედრაზე. ინტენსიური და დაუღალავი შრომის შედეგად ამაღლდით და მიაღწიეთ ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატის, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორის, კათედრის გამგის, ინსტიტუტის დირექტორის, მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის, ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტისა და ნიუ-იორკის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის ტიტულამდე.

ქართული ეკონომიკური მეცნიერების, მისი გამოყენებითი მხარეებისა და პრაქტიკის პრობლემების კვლევაში, ეკონომისტთა კადრების მომზადებასა და მოწინავე ინტელიგენტთა მეცნიერებისაღმი ზიარებაში თქვენს უდიდეს დამსახურებაზე მეტყველებს ის, რომ თქვენ ბრძანდებით ივანე ჯავახიშვილის საიუბილეო მეღლის კავალერი. მეცნიერული და საზოგადო-

ებრივი საქმიანობისთვის მოგენიჭათ მთავრობის არაერთი ჯილდო, მათ შორის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია „ღირსების ორდენი“.

თქვენ ბრძანდებით უაღრესად ნაყოფიერი მკვლევარი, რის გამოც თქვენი შემოქმედება სარგებლობს ფართო აღიარებით არა მარტო საქართველოში, არამედ მის ფარგლებს გარეთაც. სადაც მან (თქვენმა შემოქმედებამ) სატიტულო აღიარებაც მოიპოვა. ფართოა თქვენი შემოქმედებითი მუშაობის დიაპაზონი, თქვენი შრომები გამოირჩევა აქტუალობითა და ღრმა მეცნიერული დონით.

ბატონო ლეო, დღეს თქვენ გიხდებათ მოღვაწეობა მეცნიერულ-პედაგოგიური საქმიანობის მრავალ სარბიელზე: დემოგრაფიისა და სოციოლოგიური კვლევის ინსტიტუტის დირექტორად, ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტად, ასევე ბრძანდებით მიწვეული სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებლებსა და სამეურნეო-აღმასრულებელ ორგანიზაციებში, რათა დაეხმაროთ მათ შესაბამისად გადაჭრან საღღეისო ურთულესი პრობლემები; ბრძანდებით საქართველოს სწავლულ ექსპერტთა საბჭოს ეკონომიკურ მეცნიერებათა დარგობრივ სექციასთან არსებული საკოორდინაციო საბჭოს წევრი, საკანდიდატო და სადოქტორო-სადისერტაციო საბჭოების წევრი და თავმჯდომარე, თანამშრომლობთ როგორც საქართველოს, ისე სხვა ქვეყნების სხვადასხვა სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებთან და ა. შ.

ბატონო ლეო, ეკონომიკური მეცნიერების კვლევა, დარგის აღორძინებისთვის ზრუნვა თქვენი შინაგანი მოთხოვნილებაა. თქვენ შთამბეჭდავი და მომხიბლავი პედაგოგი ბრძანდებით. მარად ემახსოვრებათ თქვენს სტუდენტებს თქვენი ორატორული ნიჭი და პედაგოგიური ოსტატობით წაკითხული უაღრესად შთამაგონებელი ლექციები.

ბატონო ლეო! ყველას გვახარებს, რომ ესოდენ ღვაწლმოსილი და ვალმოხდილი მეცნიერი კვლავ ენერგიულად განაგრძობთ თქვენს საყვარელ საქმეს და დიდი წვლილი შეგაქვთ ქვეყნის ეკონომიკური მეცნიერების განვითარების, ახალგაზ-

რდა სპეციალისტთა მომზადებისა და ერის გათვითცნობიერების დიდმნიშვნელოვან საქმეში.

თქვენ – დიდ მეცნიერს, ღირსეულ მოქალაქესა და სასიქადულო თანამემამულეს, გულითა და სულით გილოცავთ დაბადების დღეს; გისურვებთ ხანგრძლივ სიცოცხლეს, ჯანმრთელობას შესანიშნავ ოჯახთან ერთად. კვლავ დიდხანს გემოღვაწეოთ ქართული ეკონომიკური მეცნიერების განვითარების ბურჯად, ჩვენი მშობლიური ერის საკეთილდღეოდ და საბედნიეროდ.

**ო. საღარეიშვილი**
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტის მრეწველობის, სოფლის მეურნეობისა
და შრომის ეკონომიკის კათედრის გამგე, პროფესორი
17.02.1998

# 19. რჩეული მეცნიერი

**ქართველი ერის სახელოვანი შვილი**

აკადემიკოს პაატა გუგუშვილის ღირსეულ მოწაფეს, ცნობილ ქართველ მეცნიერ-ეკონომისტს, საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტს, საქართველოს დემოგრაფიისა და სოციოლოგიური კვლევის ინსტიტუტის დირექტორს, ნიუ-იორკის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრს, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტს, მეცნიერების დამსახურებულ მოღვაწეს, ღირსების ორდენის კავალერს ლეო ლეონტის ძე ჩიქავას 70 წელი შეუსრულდა.

საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმი, საქართველოს საინჟინრო-ეკონომიკური ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭო და გაზეთი „განათლება, მეცნიერება, ბიზნესის"-ს სარედაქციო საბჭო გილოცავთ, ბატონო ლეო, დაბადების 70 და სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობის 50 წლისთავს და გისურვებთ შემდგომ ხანგრძლივ ნაყოფიერ საქმიანობას ქართველი ერის საკეთილდღეოდ.

ღმერთი იყოს, ბატონო ლეო, პირადად თქვენი, თქვენი ოჯახისა და თქვენი საყვარელი სამშობლოს – საქართველოს მარადიული მფარველი.

საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა აკადემიის
პრეზიდიუმის, საქართველოს საინჟინრო-ეკონომიკური
ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოსა და გაზეთ
„განათლება, მეცნიერება, ბიზნესი"-ს
სარედაქციო საბჭოს სახელით
აკად. **ა. კუჭუხიძე**

ის. გაზ. **„განათლება, მეცნიერება, ბიზნესი"**, 1998 წ. მარტი.

# 20. იუბილარისადმი პროფ. გ. ადეიშვილის მისალმება

იუბილართან მაკავშირებს ნახევარსაუკუნოვანი მეგობრობა, ამიტომ ბუნებრივია, ჩემს თვალწინ გაიარა მისმა წარმატებულმა, საესებით დამსახურებულმა და თანდათანობითმა აღმასვლამ მეცნიერების მწვერვალებისკენ. ამ აღმასვლას, მაღალ ნიჭიერებასთან ერთად, საფუძვლად ედო ბატონი ლეოს დაუღალავი, შეიძლება ითქვას, ტიტანური და მიზანსწრაფული შრომა.

ეკონომიკურ თეორიაში ერთ-ერთი უძლიერესი სპეციალისტისა და ჩვენი საყვარელი მასწავლებლის იოსებ ბაჯაძის რეკომენდაციით, ჩვენ მეორე კურსიდანვე ჩავებით პოლიტიკური ეკონომიის სტუდენტთა სამეცნიერო წრის მუშაობაში, რომელსაც ლეო თავმჯდომარეობდა. მას შემდეგ, რაც იგი ეკონომიკის ფაკულტეტის სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარედ დააწინაურეს, წრის ხელმძღვანელობა მე დამეკისრა. ჩვენი კურსი 250 სტუდენტს ითვლიდა. მათ შორის ბევრი იყო ბეჯითი და წარჩინებული, მაგრამ იმთავითვე გამოიკვეთა ლეოს გამორჩეულობა. ამის ნათელი გამოხატულება იყო ის, რომ 1948 წ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციაზე ეკონომიკის ფაკულტეტის სტუდენტთა მიერ წაკითხული მოხსენებებიდან მხოლოდ მისი მოხსენება იქნა რეკომენდებული გამოსაქვეყნებლად და სტუდენტობის წლებშივე დაიბეჭდა უნივერსიტეტის სტუდენტთა სამეცნიერო შრომების კრებულის მეხუთე ტომში. აღსანიშნავია, რომ ეს საკმაოდ სქელტანიანი კრებული სწორედ ლ. ჩიქავს ნაშრომით იხსნება.

ჩვენ წილად გვხვდა ბედნიერება ვყოფილიყავით მოწაფეები ქართული ეკონომიკური მეცნიერების სახელოვანი პლეადისა. მხედველობაში მყავს, უწინარეს ყოვლისა, აკადემიკოსები პაატა გუგუშვილი, ირაკლი მიქელაძე, ვასილ ჩანტლაძე, პროფესორები – გიორგი გესტმანი, ნიკოლოზ ქოიავა, იოსებ ბაჯაძე, სიკოლოზ იაშვილი, გიორგი გამყრელიძე, არჩილ ჯოკიელი, ლუარსაბ კარბელაშვილი და სხვ.

ახლაც თავალწინ მიდგას ის დისპუტები და ცხარე კამათი

პოლიტიკური ეკონომიის კარდინალურ პრობლემებზე, რომელიც ჩვენი ბრწყინვალე მასწავლებლების ხელმძღვანელობით სისტემატურად იმართებოდა წარჩინებული სტუდენტების (გივი ჭანუყვაძე, ვ. პაველიაშვილი, დიმიტრი ცისკარიშვილი, შალვა შელია, სერგო სოსელია, პავლე გარუჩავა, საშა რეხვიაშვილი, გიორგი გველესიანი, დურსუნ დიასამიძე და სხვ.) მონაწილეობით, რომლის ეპიცენტრში თითქმის ყოველთვის ჩვენი დღევანდელი იუბილარი იმყოფებოდა. ლეომ თავისი უბადლო ნიჭიერებით, ღრმა განსწავლულობითა და მაღალი ინტელექტით თავი ისახელა ქ. მოსკოვშიც, სადაც 1949 წელს ოთხმა ფრიადოსანმა სტუდენტმა (გამონაკლისის სახით, უნივერსიტეტის რექტორის აკადემიკოს ნიკო კეცხოველის პირადი ინიციატივით) გავიარეთ ორთვიანი საწარმოო პრაქტიკა. ეს ნათლად აისახა თსუ-ის რექტორის სახელზე გამოგზავნილ დახასიათებაში.

ჩვენი კურსის მრავალრიცხოვან წარმომადგენლთა შორის, ლ. ჩიქავას ერგო წილად პირველს, თანაც მაღალი წარმატებით, 26 წლის ასაკში დაეცვა დისერტაცია ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად. ამით მან გზა გაგვიკაფა ჩვენ – მის მეგობრებს, კოლეგებს და დიდად გაგვიადვილა იმ დროისთვის ესოდენ რთული ამოცანის გადაჭრა.

კიდევ უფრო ძნელი გადასალახავი იყო შემდგომი მიჯნა – სადოქტორო დისერტაციის დაცვა. აქაც ფავორიტად (ჩვენს უნიჭიერეს მეგობართან – გივი ჭანუყვაძესთან ერთად) კელავ ლეო მოგვეელინა. მაშინ ეკონომიკურ მეცნიერებაში სადოქტორო ხარისხის მიმნიჭებელი ერთადერთი გაერთიანებული სამეცნიერო საბჭო არსებობდა თსუ-ში, რომლის თავმჯდომარე იყო აკადემიკოსი ირაკლი მიქელაძე. ლეოს სადოქტორო დისერტაციის დაცვა მოხდა ზუსტად 30 წლის წინათ თსუ-ის საქტო დარბაზში (I კორპუსი). საბჭო დაკომპლექტებული იყო თბილისის უმაღლეს სასწავლებლებსა და მეცნიერულ-კვლევით ინსტიტუტებში მომუშავე 28 ყველაზე მაღალკვალიფიციური სწავლული ეკონომისტით. დაცვის დროს გაიმართა ფართო დისკუსია, რომელიც თითქმის ათი საათის განმავლობაში უაღრესად დაძაბულად მიმდინარეობდა. ყველანი ვღელავდით იმის თაობაზე, თუ როგორი იქნებოდა შედეგი, რამეთუ და-

შინებულები ვიყავით, იმით, რომ წინა სხდომებზე ზედიზედ ჩავარდა ორი და ძლივს გავიდა ერთი სადოქტორო დისერტაცია, ერთსულოვნად გავიხარეთ, როცა გამოაცხადეს, რომ დისერტანტს ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხი მიენიჭა ერთსმად.

იმ დროისთვის ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორები საქართველოში, როგორც იტყვიან, თითზე ჩამოსათვლელი იყო. ამიტომ ლეოს ყოველწლიურად საშუალოდ 7-8 სადისერტაციო ნაშრომის ოფიციალურ ოპონენტად უწევდა გამოსვლა. მრავალ სხვა სამუშაოსთან ერთად, ამ კოლოსალურ დატვირთვას ივი შესანიშნავად უმკლავდებოდა. პირადად მე და ბევრ ჩვენს კოლეგას (ნიკო გვიშიანს, ვალერიან მელქაძეს, ფარნაოზ მენთეშაშვილს, გიორგი მშვილდაძეს, შოთა არახამიას, ალექსანდრე კუჭუხიძეს, ლარისა ყორღანაშვილს, დიმიტრი ცისკარიშვილს, როზეტა ასათიანს, ნუგზარ პაიჭაძეს, უშანგი სამადაშვილს და სხვ.) სადოქტორო სამეცნიერო ხარისხი ბატონი ლეოს მკაცრი, მაგრამ ზედმიწევნით ობიექტური დასკვნის საფუძველზე მოგვენიჭა, რისთვისაც კიდევ ერთხელ ვეუბნებით დიდ მადლობას.

იუბილარი ფართო დიაპაზონის მეცნიერია, ამიტომ მას ხშირად იწვევენ საკვალიფიკაციო ნაშრომების შესაფასებლად არა მარტო მაკრო, მიკრო, მეზო და მეგაეკონომიკის პრობლემებზე. არამედ სხვა საზოგადოებრივ მეცნიერებებშიც, მაგალითად, ისტორიაში. აღსანიშნავია, რომ, სხვა ოფიციალური ოპონენტების რეცენზიებთან ერთად, ბატონი ლეოს დასკვნის საფუძველზე მიენიჭათ ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხი ამჟამად ცნობილ პროფესორებს: გერასიმე ფირცხალავას, აკაკი მეტრეველს, ალექსანდრე ბრეგვაძეს, ხოლო კანდიდატისა – უფრო მეტს.

უკანასკნელ წლებში ბატონმა ლეომ თავისი სამეცნიერო მოღვაწეობა, რომლის ძირითად ღერძს კვლავ ეკონომიკური თეორია წარმოადგენს, ოპტიმალურად შეუთავსა მეცნიერების ისეთ საინტერესო დარგს, როგორიცაა დემოგრაფია. ეს შედარებით ახალგაზრდა, მაგრამ უაღრესად რთული მეცნიერება არა მარტო საქართველოში, არამედ საერთოდაც უკანასკნელ დრომდე სერიოზული გამოკვლევების ნაკლებობას განიცდიდა.

ჩვენთან ამ ეროვნულ საქმეს 40-იანი წლებიდან ხელი მოკიდეს ისეთმა გამოჩენილმა მეცნიერებმა, როგორებიც იყვნენ: გიორგი გამყრელიძე, პაატა გუგუშვილი, ვახტანგ ჯაოშვილი და სხვ. განსაკუთრებით აღნიშვნის ღირსია ის, რომ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სისტემაში დემოგრაფიის ინსტიტუტის შექმნით ბატონმა ლეომ დიდი ეროვნული საქმე გააკეთა. ამჟამად ამ ინსტიტუტში მუშაობდა დემოგრაფიის აქტუალური პრობლემები და მზადდება მეცნიერული კადრები. საკმარისია ითქვას, რომ ინსტიტუტის არსებობის სულ შვიდი წლის მანძილზე აქ მომზადებულ და დაცულ იქნა სამი სადოქტორო და შვიდი საკანდიდატო დისერტაცია. მეცნიერების საფუძველებს ეუფლება 14 ასპირანტი. ყველაფერი ეს ბატონი ლეოს თაოსნობითა და ხელმძღვანელობით ხდება, რაც მისასალმებელია. ამით მან, შეიძლება ითქვას, დიდი პატივი მიაგო ჩვენი სასიქადულო მასწავლებლის აკადემიკოს პაატა გუგუშვილის ნათელ ხსოვნას, ადამიანისა, რომელიც თავდადებით იღწოდა დემოგრაფიული მეცნიერების ჯეროვან დონეზე განვითარებისთვის საქართველოში. ბატონი პაატას სახელის უკვდავსაყოფად იუბილარმა ესეც არ იკმარა და მისი თაოსნობით დაარსებულ ახალ სასწავლო ინსტიტუტს აკადემიკოს პაატა გუგუშვილის სახელობის საქართველოს ეკონომიკურ-პუმანიტარული ინსტიტუტი უწოდა, რომლის რექტორი თავად გახლავთ.

ამრიგად, ჩვენ დღეს აღვნიშნავთ ქართველი ერის ერთ-ერთი სასიქადულო შვილის პროფესორ ლ. ჩიქავას მეცნიერული წარმატებებით დახუნძლულ საიუბილეო თარიღს. ვუსურვებ მას ჯანმრთელობას. უსაზღვრო ბედნიერებას თავის დიდ ოჯახთან ერთად და ახალ-ახალ წარმატებებს ქართველი ერის საკეთილდღეოდ.

**გიორგი ადეიშვილი**
ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი, მეცნიერების დამსახურებული
მოღვაწე, საქართველოს ეკონომიკურ
მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი
27.02.1998

# 21. იუბილარისადმი პროფ. რ. ასათიანის მისალმება

ადამიანის უმთავრესი ბედნიერება საკუთარი პროფესიით გატაცება და მისთვის თავგანწირვაა. ასეთ ადამიანთა რიცხეს განეკუთვნება ცნობილი ქართველი მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე, პროფესორი ლეო ჩიქავა. სრულიად გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ბატონი ლეოს ღვაწლის, მისი მრავალმხრივი შემოქმედებითი მოღვაწეობის გაუთვალისწინებლად ძნელია წარმოიდგინო დღეს ქართული ეკონომიკური მეცნიერება. არ ყოფილა არცერთი მნიშვნელოვანი მოელენა ჩვენს ეკონომიკურ ცხოვრებაში, მას რომ არ მიეღოს აქტიური მონაწილეობა.

ბატონი ლეო აკადემიური სტილის მოპაექრეა. მისი საჯარო გამოსვლები, პროფესიონალიზმთან ერთად, ლიტერატურული მომხიბველელობით რომ გამოირჩევა, ჩვენი ეკონომიკური ცხოვრების განუყოფელი ნაწილია.

დიდი კონსტანტინე ბრძანებდა: **„სამშობლოს სიყვარული მტკნარი ფიქციაა თუ მისი თავკიდური არ იქნება საქმე“**. ბატონი ლეო გამოირჩევა საქმისადმი თავდადებით. მარტო სიტყვა არ შველის საქმეს, მაგალითია მთავარი. ბატონი ლეო სწორედ სამაგალითოა შრომასა და ცხოვრებაში. იგი მუხლჩაუხრელი შრომისმოყვარეა (ღმერთო ჩანერგე ეს თვისება ქართველთა ხასიათში). პროფ. ლეო ჩიქავა სამაგალითოა როგორც მეცნიერი, როგორც ხელმძღვანელი, როგორც მოქალაქე. ბატონი ლეო ის პიროვნებაა, რომელიც შრომას, შეიძლება ითქვას, ყოველ სამუშაო დღეს ზეიმად აქცევს, იმდენად სისხლხორცეულია მისთვის იგი.

დიდი ხანი არ არის, რაც გამოვიდა პროფ. ლ. ჩიქავას მშვენიერი ნაშრომი **„ეკონომიკური თეორიის მოკლე კურსი“**. მე ვამაყობ, რომ ამ ნაშრომის მეცნიერ-რედაქტორი ვარ და ჩემმა საგამომცემლო ფირმამ გამოსცა იგი. ჩემთვის სასაიმოვნოდ მოსაგონარია ამ წიგნზე მუშაობასთან დაკავშირებით ავტორთან ურთიერთობა. როგორი პასუხისმგებლობით ეკი-

დებოდა იგი ყოველ დეტალს, რაც ჩემში მისადმი უდიდეს პატივისცემას იწვევდა და იწვევს.

დღეს საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემია პროფ. ლეო ჩიქავას სელმძღვანელობით ბევრ სასიკეთო საქმეს აკეთებს და ამაში ლომის წილი ბატონ ლეოს ეკუთვნის.

ბატონო ლეო! ისევ კონსტანტინეს სიტყვებს მოვიშველიებ: **„შემოქმედება არის ტყეში სიარული და მეორე ადამიანი გამარჯობას რომ გადმოგძახებს, ეს არის ბედნიერება“**. დღეს, შეიძლება ითქვას, მთელი საქართველო გადმოგძახებთ თქვენ გამარჯობას. ღმერთმა სულ გამარჯვებული გამყოფოთ. 70 წელი თქვენისთანა შემოქმედი კაცისთვის ცხოვრების შუა გზაა. დიდხანს არ დაწყებულიყოს თქვენს ცხოვრებაში ფოთოლცვენის წლები.

**როზეტა ასათიანი**
ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი, საქართველოს ეკონომიკურ
მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი
27.02.1998

# 22. იუბილარისადმი პროფ. მ. როკეტლიშვილის მისალმება ნიუ-იორკიდან

გულწრფელი სიყვარულითა და უდიდესი პატივისცემით მოგესალმებით ოკეანის გაღმიდან – ქ. ნიუ-იორკიდან და გილოცავთ სახელოვან იუბილეს. დარწმუნებული ვარ როგორ თბილ ატმოსფეროში და მაღალ დონეზე ჩატარდება თქვენდამი მიძღვნილი ეს შემოქმედებითი საღამო. რამდენ ტკბილ და ჭეშმარიტად გულწრფელ ხოტბას შეგასასმენ სიტყვებში გამოსული თქვენი აღზრდილები – ამჟამად უკვე ცნობილი მეცნიერები, მეგობრები, კოლეგები, თანამშრომლები. ძალზე ვნანობ პირადად ვერ ვახერხებ თქვენს ზეიმზე დასწრებას და სიტყვით გამოსვლას.

ბატონო ლეო, ძალიან გამახარა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტად თქვენმა არჩევამ. ეს თქვენი მეცნიერული ღვაწლის ნათელი აღიარებაა. დაე, ისე გაძლიერს კლიყოს საქართველოს ეკონომიკა და მეცნიერებათა აკადემიის მატერიალური ბაზა, რომ თქვენთან ერთად კონკურსში მონაწილე ყველა კანდიდატურა ეზიაროს მის რიგებში არჩევას. ჩემთვის თითოეული მათგანი ძალზე ახლობელი და საყვარელია. ვისურვებდი, რომ მათთვისაც მალე მიმელოცოს მეცნიერების ესოდენ მაღალი წოდება. თქვენ კიდევ ერთხელ გილოცავთ ამ ღირსეულ, მართლაც რჩეულ პირთა შორის დიდ გამარჯვებას. თქვენ უდაოდ დაიმსახურეთ მსოფლიოში ცნობილი საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრთა თქვენდამი განსაკუთრებული სიყვარული და პატივისცემა.

ლევიტანისებური ხმისა და დიქციის პატრონს ღმერთმა, მეცნიერებასთან ერთად, ორგანიზატორული ნიჭი, პირადი პასუხისმგებლობის ჯრძნობა, მომთხოვნელობა და შრომითი კოლექტივისადმი თუ გარშემო მყოფთა მიმართ კონტაქტის დამყარების ესოდენ დიდი უნარი იმდენად უხვად დაგანაილათ, რომ იმედი მაქვს კიდევ მეტ წარმატებებს მიაღწევთ.

თქვენი ცხოვრებისეული კრედო ხომ პირდაპირობა, ობიექ-

ტურობა და გაჭირვებულთა თუ ჩაგრულთა უანგარო დახმარებაა. ყოველივე ამას იმდენად უყოყმანოდ და თავდაუზოგავად აკეთებთ, რომ ასეთმა ქმედებამ ცალკეულ შემთხვევებში მოქიშპე და მოშურნე გაგიჩინათ. მაგრამ მათაც სიკეთით გადასდის პირადი მაგალითით სწორ გზაზე აყენებთ, ამიტომაა, ბატონო ლეო, რომ ღმერთმა შეგინარჩუნათ ჯანმრთელობა და სიმხნე

# 23. ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ინფორმატიკოს-ბიზნესმენის სპეციალისტი

**ბატონო ლეო!**

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ინფორმატიკოს-ბიზნესმენის სპეციალისტის კოლექტივი და სტუდენტობა გილოცავთ დაბადების 70-ე წლისთავს როგორც ქართული ეკონომიკური მეცნიერების თავლსაჩინო წარმომადგენელსა და ცნობილ საზოგადო მოღვაწეს.

ბატონო ლეო! თქვენ ბრძანდებით ბრძენკაცი, სწავლული და ღრმა ინტელექტუალური პიროვნება, მჭერმეტყველი და მახვილგონიერი, სამართლიანი და მოსიყვარულე, ლაღი და პატიოსანი პიროვნება, მამაცი და პირდაპირი, მეგობრული და მომთხოვნი.

ბატონო ლეო, გისურვებთ დიდხანს სიცოცხლეს და ჯანმრთელობას ქართველი ერის საკეთილდღეოდ.

**შ. ძნელაძე**
ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ინფორმატიკოს-ბიზნესმენის
სპეციალისტის ხელმძღვანელი

# 24. საქართველოს ეკონომიკური ფორუმი. საქართველოს სოციალისტური პარტია

**ღრმად პატივცემულო ბატონო ლეო!**

საქართველოს ეკონომიკური ფორუმი და საქართველოს სოციალისტური პარტია სულითა და გულით გილოცავთ საიუბილეო თარიღს – დაბადების 70 და სამეცნიერო-პედაგოგიური და საზოგადოებრივი მოღვაწეობის 50 წლისთავს.

თქვენი როგორც საქვეყნოდ ცნობილი და სახელმოხვეჭილი მეცნიერის მიერ განვლილი გზა საინტერესო და მრავალფეროვანია. იგი ადვილი არ ყოფილა და მრავალი წინააღმდეგობის გადალახვით განვლეთ. ერისადმი თქვენეული პატიოსანი, უშურველი და უანგარო სამსახური სამაგალითოდ აღიქმება არა მარტო მათგან, ვინც პირადად გიცნობთ, არამედ მთელი საქართველოს მიერ. სხვაგვარად არ შეგეძლოთ, თქვენ ხომ შესანიშნავი ქართველი მეცნიერებისა და საზოგადო მოღვაწეების, უწინარესად აკადემიკოს პაატა გუგუშვილის ტრადიციათა გაგრძელება იკისრეთ და წარმატებითაც აბარებთ ძნელ გამოცდას, რაც მომავალმა თაობებმა ეტალონად უნდა მიიჩნიონ.

მრავალი სტუდენტის, მეცნიერებათა კანდიდატისა და დოქტორის აღმზრდელი; 130-ზე მეტი მეცნიერული შრომის ავტორი, მწვავე და საინტერესო მოხსენებები ეკონომიკური თეორიისა და დემოგრაფიის პრობლემებზე . . . აი ის არასრული ნუსხა თქვენი ბეჯითი, თავდაუზოგავი, დაუზარელი შრომისა და ბუნებით მომადლებული ნიჭის ნაყოფისა.

თქვენ ის პიროვნება არ ბრძანდებით, რომელიც რეგალიებისა და ჯილდოებისთვის იღწვის – ერისა და ქვეყნისადმი ერთგული სამსახური თქვენი აქტიური საზოგადოებრივი საქმიანობით გამოიხატება.

მიუხედავად დროის დეფიციტისა, თქვენ უყოყმანოდ ითავეთ საქართველოს ეკონომიკური ფორუმის სოციალურ-დე-

მოგრაფიული სექციის ხელმძღვანელობა და ამით კიდევ ერთ ღირსეულ საქმეს მოჰკიდეთ ხელი.

ბატონო ლეო! დღეს ერისთვის ასეთ მძიმე მომენტში წინ კიდევ მრავალი პრობლემაა გადასაჭრელი. თქვენი გამოცდილება, ცოდნა და უშურველი საქმიანობა ძალზე სჭირდება საქართველოს და გვჯერა, რომ ისევ ახალგაზრდული შემართებით გააგრძელებთ აქტიურ საზოგადოებრივ მოღვაწეობას.

ღმერთმა კარგად გამყოფოთ და გვიმრავლოს თქვენნაირი ერისკაცები.

გისურვებთ შემდგომ წარმატებებს სამეცნიერო და საზოგადოებრივ საქმიანობაში და ბედნიერებას პირად ცხოერებაში.

საუკეთესო სურვილებით,

**ვახტანგ რჩეულიშვილი**
საქართველოს ეკონომიკური ფორუმის
აღმასრულებელი კომიტეტისა და
საქართველოს სოციალისტური
პარტიის თავმჯდომარე
20.02.1998.

# 25. მართლაც რჩეული მეცნიერი

პროფესორი ლეო ჩიქავა სახელოვანი ქართველი მეცნიერ-ეკონომისტისა და საზოგადო მოღვაწის აკადემიკოს პაატა გუგუშვილის ბრწყინვალე მოწაფეა. მან განვლო დიდი და მეტად ნაყოფიერი შემოქმედებითი გზა. უპირველეს ყოვლისა, აღსანიშნავია მისი, როგორც ეკონომიკური თეორიის შესანიშნავი სპეციალისტისა და უბადლო ლექტორის, ახალგაზრდობის ნიჭიერი აღმზრდელის აქტიური პედაგოგიური მოღვაწეობა, რომელსაც იგი განუწყვეტლივ ეწევა 1954 წლიდან – ჯერ სოხუმის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში, ხოლო შემდგომ თბილისის უცხო ენათა სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტსა და საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში.

პროფესორი ლეო ჩიქავა ჭეშმარიტად თანამედროვე ტიპის, მაღალპროდუქტიული და ღრმად ერუდირებული მეცნიერია. მასში ჰარმონიულად არის შერწყმული მეცნიერ-მკვლევარის, პედაგოგისა და მეცნიერების ორგანიზატორის მაღალი პროფესიული თვისებები. ლ. ჩიქავას ეკონომიკური მეცნიერების, ძირითადად, ეკონომიკური თეორიის აქტუალურ პრობლემებზე გამოქვეყნებული აქვს 130-ზე მეტი მეცნიერული ნაშრომი, რომელთა შორის ცალკე წიგნად – 17 მონოგრაფიული გამოკვლევა და სახელმძღვანელო. ისინი გამოირჩევიან პროფესიონალიზმით, მეცნიერული აზრის სიღრმით, წამოყენებულ დებულებათა კონსტრუქციულობით, ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური გარდაქმნის პროცესებზე მათი მკაფიოდ მიმართვით. ამ შრომებმა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს ქართული ეკონომიკური აზრის განვითარებაში.

ლეო ჩიქავა ფართო შემოქმედებითი დიაპაზონის მეცნიერია, მის ფუნდამენტურ შრომებში, რომელთა უმრავლესობა კარგადაა ცნობილი არა მარტო მეცნიერ-ეკონომისტებისთვის, არამედ ეკონომიკური თეორიით დაინტერესებული მკითხველთა ფართო წრისთვისაც, ორიგინალურად არის გაშუქებული ტერიტორიული სპეციალიზაციისა და ეკონომიკური ეფექტია-

ნობის, ეროვნული შემოსავლის სტრუქტურის რეგიონულ თავისებურებათა, საზოგადოებრივ აღწარმოებაში არამატერიალური წარმოების სფეროს ადგილისა და როლის უაღრესად აქტუალური თეორიული და მეთოდოლოგიური პრობლემები.

აღსანიშნავია, აგრეთვე, მისი საინტერესო მეცნიერული გამოკვლევები, რომლებიც ეძღვნება საქართველოს კვების მრეწველობის სპეციალიზაციის განმსაზღვრელ დარგთა განვითარებისა და გაადგილების ეკონომიკურ პრობლემებს. ამ ნაშრომებში ახლებურადაა დასმული და გადაწყვეტილი აღნიშნულ დარგთა ეკონომიკური ზრდის მანამდე უცნობი და ნაკლებად შესწავლილი დიდი პრაქტიკული მნიშვნელობის ასპექტები.

ლ. ჩიქავას მეცნიერული და მეცნიერულ-ორგანიზაციული საქმიანობის ახალი, ღირსშესანიშნავი ეტაპია მისი მუშაობა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის დემოგრაფიისა და სოციოლოგიური კვლევის ინსტიტუტში, რომელიც იუბილარის უნარიანი ხელმძღვანელობით მოკლე დროში გადაიქცა ქვეყნის წამყვან მეცნიერულ-კვლევით ცენტრად მოსახლეობის დემოგრაფიული პრობლემების შესწავლის დარგში.

ბოლო 10 წლის მანძილზე, ეკონომიკური თეორიის გლობალურ საკითხებთან ერთად, ლეო ჩიქავა განსაკუთრებით ინტენსიურად იკვლევს ეკონომიკური დემოგრაფიის პრობლემებს.

პროფესორი ლ. ჩიქავა არასოდეს ყოფილა ეგრეთ წოდებული კაბინეტური ტიპის მეცნიერი. მას, როგორც ჭეშმარიტ მკვლევარს, დიდად აღელვებს ქვეყნის ბედი, სამამულო ეკონომიკის მდგომარეობა და განვითარების პერსპექტივები. სწორედ ამიტომ ყოველთვის ისწრაფვის კვლევის შედეგად მიღებული დასკვნებისა და რეკომენდაციების პრაქტიკაში დანერგვისკენ.

პროფესორ ლ. ჩიქავას მეცნიერულ გამოკვლევათა შედეგები გამოქვეყნებულია უცხოეთის ავტორიტეტულ საერთაშორისო ჟურნალებში. იგი მრავალი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის, სიმპოზიუმისა და სემინარის აქტიური მონაწილეა (იტალია, გერმანია, ჩეხეთი, რუმინეთი, უნგრეთი, რუსეთი და სხვ.). სულ ახლახან მისი თავკაცობით წარმატებით ჩატარდა საქართველოში ეკონომისტთა პირველი საერთაშორი-

სო სამეცნიერო სიმპოზიუმი, რომელიც მიეძღვნა სოციალურ-ეკონომიკურ გარდაქმნათა საკითხებს საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალ პერიოდში.

არ შეიძლება არ აღინიშნოს ბატონი ლეოს უაღრესად ნაყოფიერი მუშაობა უმაღლესი სასწავლებლებისთვის სახელმძღვანელოების შესაქმნელად. მისი რედაქტორობითა და თანაავტორობით 1979-1981 წლებში გამოცემულ პოლიტიკური ეკონომიის სახელმძღვანელოს (ორტომეული) მიენიჭა საქართველოს განათლების სამინისტროს სპეციალური პრემია. კიდევ ერთი ახალი, ძალზე საყურადღებო და ორიგინალური ნაშრომია „ეკონომიკური თეორიის მოკლე კურსი", რომელიც განკუთვნილია დამხმარე სახელმძღვანელოდ უმაღლეს სასწავლებელთა სტუდენტებისთვის.

შესანიშნავი ქართველი მეცნიერ-ეკონომისტის ლეო ჩიქავს დიდი წვლილი ეკონომიკური მეცნიერების განვითარებაში ღირსეულად არის დაფასებული. ამის ნათელი დადასტურებაა ახლახან, 1998 წლის 14 იანვარს, მისი ერთხმად არჩევა ნიუიორკის მეცნიერებათა (საერთაშორისო) აკადემიის ნამდვილ წევრად — აკადემიკოსად.

ლეო ჩიქავა, როგორც ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული და ავტორიტეტული ქართველი სწავლულ-ეკონომისტი, არჩეულია საქართველოს მეცნიერ-ეკონომისტთა საზოგადოებრივი შემოქმედებითი ცენტრის — ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის პირველ პრეზიდენტად.

პროფესორი ლ. ჩიქავა მეცნიერულ მუშაობას შესანიშნავად უხამებს დიდ საზოგადოებრივ მოღვაწეობას. იგი ინტენსიურ შემოქმედებით საქმიანობას ეწევა როგორც საერთაშორისო ჟურნალების „Общество и экономика" (ქ. მოსკოვი) და „მაკრო-მიკრო-ეკონომიკის", აგრეთვე, ქართული ადგილობრივი ჟურნალის „ეკონომიკას" სარედაქციო კოლეგიების წევრი, საქართველოს ეკონომიკური ფორუმის დემოგრაფიის სექციის თავმჯდომარე, ყოველთა ქართველთა მსოფლიო კონგრესის დემოგრაფიისა და მიგრაციის პალატის თავმჯდომარე, საქართველოს ეკონომისტთა და დემოგრაფიული საზოგადოებების პრეზიდიუმის წევრი, საქართველოს სწავლულ ექსპერტთა საბჭოსთან არსებული ეკო-

ნომიკის დარგობრივი სექციის საკოორდინაციო საბჭოს წევრი, დემოგრაფიის სამთავრობო კომისიის წევრი.

პროფესორ ლ. ჩიქავას ხელმძღვანელობით ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორისა და კანდიდატის სამეცნიერო სარისსი მინიჭებული აქვს 25 მეცნიერს. ლ. ჩიქავას ოპონირებით დაცულია 70-ზე მეტი დისერტაცია, მათ შორის — 25 სადოქტორო.

ქართველი მეცნიერ-ეკონომისტები, ბატონი ლეოს კოლეგები, მისი მრავალრიცხოვანი მოწაფეები იცნობენ მას როგორც უმაღლესი პროფესიონალიზმის სწავლულს, შესანიშნავი თვისებებით შემკულ ადამიანს, უაღრესად თავმდაბალ, ზნეობრივი სიწმინდით გამორჩეულ კეთილმოსურნე, უღალატო და მართალ კაცს, გასაოცარია მისი შრომისმოყვარეობა, მომთხოვნელობა საკუთარი თავისადმი. იგი არასოდეს არ თაკილობს ე.წ. „შავი“ სამუშაოს შესრულებას, ყველაფერში მაგალითისა და ტონის მიმცემია.

ვულოცავთ ბატონ ლეოს დაბადების 70 და მეცნიერულ-პედაგოგიური მოღვაწეობის 50 წლისთავს და ვუსურვებთ შემდგომ ხანგრძლივ ნაყოფიერ საქმიანობას ჩვენი ქვეყნისა და ხალხის საკეთილდღეოდ.

**ვლადიმერ პაპავა**
საქართველოს ეკონომიკის მინისტრი,
საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის
წევრ-კორესპონდენტი

**ნუგზარ სანთელაძე**
ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი

**რევაზ კაკულია**
ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი

იხ. გაზ. **„საქართველოს რესპუბლიკა“**. 20.II. № 42. 1998.

# 26. ღვაწლმოსილი მეცნიერი

გუშინ, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის დემოგრაფიისა და სოციოლოგიური კვლევის ინსტიტუტის დირექტორს ბატონ ლეო ჩიქავას დაბადებიდან 70 და სამეცნიერო მოღვაწეობის 50 წელი შეუსრულდა.

**შტრიხები პორტრეტისთვის:** ბატონი ლეო, გარდა იმისა, რომ აქტიურ სამეცნიერო მუშაობას ეწევა. კარგი მამა და ხუთი შვილიშვილის არაჩვეულებრივი ბებუაა. განსაკუთრებით უყვარს ქართული ფეხბურთი, ელარჯი და მეგრული საცივი. მეგობრებთან კონტაქტურია, არ უყვარს უსაქმოდ ჯდომა და თავისუფალ დროს კითხულობს მხატვრულ ლიტერატურას.

უნდა აღინიშნოს, რომ ბატონ ლეოს განვლილი აქვს მეცნიერულ-პედაგოგიური და საზოგადოებრივი მოღვაწეობის ნაყოფიერი გზა.

თსუ ეკონომიკის ფაკულტეტის წარმატებით დასრულების შემდეგ სწავლა გააგრძელა ასპირანტურაში. 1954 წელს დაიცვა საკანდიდატო, ხოლო 1968 წელს – სადოქტორო დისერტაცია.

23 წლის ასპირანტს უკვე ანდეს სტუდენტებით სავსე აუდიტორიები. სწორედ მაშინ დაიწყო მისი პედაგოგიური მოღვაწეობის ერთობ რთული და საპასუხისმგებლო საქმე.

პედაგოგიურ მოღვაწეობას წარმატებით უთავსებდა მეცნიერულ კვლევა-ძიებას. გამოქვეყნებული აქვს ასზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი. მათ შორის ცალკე წიგნად 17 მონოგრაფიული გამოკვლევა. ასევე, დამხმარე სახელმძღვანელოები და ბროშურები ეკონომიკური თეორიისა და დემოგრაფიის საკითხებზე.

ერთობ საინტერესო და მწვავე მეცნიერულ პრობლემას ეხებოდა მისი მოხსენებები საერთაშორისო კონფერენციებზე იტალიაში, გერმანიაში, ჩეხეთში, სლოვაკეთში, რუმინეთში, უნგრეთში და სხვაგან.

1983 წლიდან მიწვეულ იქნა საქართველოს მეცნიერებათა

აკადემიის ეკონომიკისა, და სამართლის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილედ. იგი აქტიურ საზოგადოებრივ მოღვაწეობასაც ეწევა, არის საერთაშორისო ჟურნალ „Общество и экономика"-ს, აგრეთვე, ქართული ჟურნალების – „ეკონომიკა", „მაცნე", „მაკრო-მიკროეკონომიკა" – სარედაქციო კოლეგიის წევრი, საქართველოს ეკონომიკური ფორუმის დემოგრაფიისა და სოციალურ საკითხთა სექციის თავმჯდომარე, ყოველთა ქართველთა მსოფლიო კონგრესის დემოგრაფიისა და მიგრაციის პალატის თავმჯდომარე, საქართველოს ეკონომისტთა და დემოგრაფიული საზოგადოებების პრეზიდიუმის წევრი, ეკონომიკის სადისერტაციო-საკოორდინაციო საბჭოს წევრი, დემოგრაფიის სამთავრობო კომისიის წევრი და ა. შ. რომელთა ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს, რომ 90-იან წლებში, არეულობის პერიოდში, ბატონმა ლეომ შესძლო დემოგრაფიის სოციალურ-ეკონომიკური კვლევის ცენტრის, ხოლო 1991 წლიდან დემოგრაფიისა და სოციოლოგიური კვლევის ინსტიტუტის ჩამოყალიბება.

იგი არჩეულია ნიუ-იორკის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსად. რაც მისი, როგორც საერთაშორისო დონის მეცნიერის, კანონზომიერი აღიარებაა.

ბატონო ლეო, გაზეთ „საქართველოს" თანამშრომლები სულითა და გულით გილოცავთ ღირსშესანიშნავ იუბილეს, გისურვებთ ჯანმრთელობას, ხანგრძლივ სიცოცხლეს, ნაყოფიერ მეცნიერულ მოღვაწეობას ქართველი ერის საკეთილდღეოდ.

იხ. გაზ. **„საქართველო"**. 28.02.1998.

# 27. ბატონ ლეოს

მეცნიერ-ეკონომისტთა
სათავეებში ბრძანდებით,
ამიტომ თქვენს ლიდერობაზე
ერთსულოვნად ვთანხმდებით.

ყველგან სამაგალითო ხართ
და სიკეთის მთესველი,
აი, რატომ გეინდა, რომ
იყოთ მუდამ დღეგრძელი.

ნუ მოაკლოთ თქვენს ოჯახს
თქვენი ხელი და სითბო,
არც ოჯახმა დაიშუროს
სიყვარული და სიტკბო.

დიდი პიროვნება ხართ,
თანაც, ალალ-მართალი,
გული გაქვთ, ფოლადისგან
სულ ფაქიზ-ფაქიზ ნათალი.

არაფერზე იდარდოთ,
სურვილები ახდება,
დღევანდელი ოცნებები
რეალობა გახდება.

თქვენი პატარა ლეო
თქვენი ხიბლი, ხატია,
ამიტომაც თქვენს გულში
ლამპარივით ანთია.

გაიხარეთ თქვენი მოდგმით,
ასე ძლიერ რომ გიყვართ.

ბედნიერების მწვერვალებზე
სწორედ ისინი.აგიყვანთ.

მათი კარგად ყოფნისთვის
თქვენ ყველაფერს აკეთებთ,
დაე ყველას შეეგნოს
ამას რატომ აკეთებთ.

ვისთვისაც სიკეთეს სთესთ
არ დაგრჩენოდნენ ვალში,
და თუ ვინმე ცდება თქვენთან
გამოეხედოთ თვალში.

სუფთა, სუფთა შინაგანად
და ოჯახიც წმინდა,
ამიტომაც ბატონ ლეოს
ჩვენ სულ წინსვლა გვინდა.

გლოცავთ სულით და გულით
საერთოდ და დღესაც,
თქვენი მფარველი იყოს
ღმერთიცა და ზეცაც.

თქვენი ლამაზი ოჯახით
იცოცხლეთ და იხარეთ,
ამ დალოცვილ მიწაზე
სულ იარეთ, იარეთ.

**მარგალიტა (ციცო) კარგარეთელი**
20.02.1998

# VI. პროფ. ლ. ჩიქავას დაბადებიდან 75 წლისთავისადმი მიძღვნილი მასალები

## 1. საკვირველია, როგორ ასწრებს ამდენს ღვაწლმოსილი მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე

გამოჩენილ ქართველ მეცნიერ-ეკონომისტს, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტს, დემოგრაფიისა და სოციოლოგიური კვლევის ინსტიტუტის დირექტორს, აკადემიკოს პაატა გუგუშვილის სახელობის უნივერსიტეტის რექტორს, საქართველოს სახელმწიფო სამსახურის მართვისა და მოსამსახურეთა მომზადების, გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების ცენტრის უფროსს, საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტს, მეცნიერების დამსახურებულ მოღვაწეს, ნიუ-იორკის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსს, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორ ლეო ჩიქავას დაბადებიდან 75 და სამეცნიერო მოღვაწეობის 55 წელი შეუსრულდა.

პროფესორ ლეო ჩიქავას მიერ განვლილი ღრმამნიშვნელოვანი ცხოვრებისა და სამეცნიერო მოღვაწეობის გზა ჭეშმარიტად ნათელი მაგალითია იმისა, თუ შემოქმედების რაოდენ მაღალ მწვერვალებს შეიძლება მიაღწიოს ჩვეულებრივ ტრადიციულ ქართულ ოჯახში დაბადებულმა ადამიანმა თავისი ნიჭიერებით, ალალი შრომით, დასახული მიზნის მისაღწევად მთელი ძალისხმევის მაქსიმალური მობილიზებით, ანუ, როგორც იტყვიან, წმინდანისებური მოთმინებითა და აქლემისებური ამგანიანობით, დღეისთვის იგი ქართული ეკონომიკური მეცნიერების ერთ-ერთი ბრწყინვალე წარმომადგენელი, მისი მშვენებაა.

უწინარეს ყოვლისა, გვინდა ხაზი გავუსვათ ბატონი ლეოს,

როგორც ეკონომიკური თეორიის მაღალკვალიფიციური სპეციალისტისა და უბადლო ლექტორის, ახალგაზრდობის გულისხმიერი აღმზრდელის ნაყოფიერ პედაგოგიურ მოღვაწეობას, რომელსაც იგი დიდი რუდუნებითა და მაღალი პასუხისმგებლობით ეწევა 1951 წლიდან მოყოლებული, როდესაც ასისტენტის რანგში პირველად შევიდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა აუდიტორიაში. შემდეგ, თითქმის სამი ათეული წლის განმავლობაში (ძირითადად პოლიტიკური ეკონომიის კათედრის გამგის რანგში) აქტიურ აღმზრდელობით-პედაგოგიურ საქმიანობას ეწეოდა თბილისის უცხო ენათა სახელმწიფო პედაგოგიურ და საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტებში.

ვისაც თუნდაც მცირეხნიანი ურთიერთობა მაინც ჰქონია ბატონ ლეოსთან, ალბათ, დაგვეთანხმება იმაში, რომ იგი, როგორც მაღალინტელექტუალური და ფართოდ ერუდირებული პიროვნება, აზროვნებს, მსჯელობს და წერს უაღრესად ნათლად, დახვეწილად, აკადემიურად. ამიტომ მრავალრიცხოვანი აღსაზრდელები მისგან იძენენ არა მარტო მეცნიერულ ცოდნას, არამედ ქცევის მდიდარ კულტურასაც.

და მაინც, პროფესორ ლეო ჩიქავას საზოგადოებრიობა იცნობს უმთავრესად როგორც ფართო შემოქმედებითი დიაპაზონის მაღალპროდუქტიულ მეცნიერს, უფრო ზუსტი იქნება თუ ვიტყვით, რომ მასში ჰარმონიულადაა შერწყმული მეცნიერი მკვლევარის, პედაგოგისა და მეცნიერების ორგანიზატორის მაღალი პროფესიული თვისებები. ლ. ჩიქავას ეკონომიკური მეცნიერების, ძირითადად ეკონომიკური თეორიისა და მაკროეკონომიკის, აგრეთვე, დემოგრაფიის აქტუალურ პრობლემებზე გამოქვეყნებული აქვს 150-ზე მეტი მეცნიერული ნაშრომი, მათ შორის ცალკე წიგნად – 19 მონოგრაფიული გამოკვლევა და სახელმძღვანელო. ისინი გამოირჩევიან პროფესიონალიზმით, მეცნიერული ანალიზის სიღრმით, მსჯელობის კონსტრუქციულობით, კვლევის ვექტორის ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პრიორიტეტებზე მიმართვით. ამ გამოკვლევებმა თვალსაჩინო წვლილი შეიტანეს ქართული ეკონომიკური აზრის განვითარებაში.

პროფ. ლ. ჩიქავას ნაშრომებში, რომელთა უმრავლესობა კარგადაა ცნობილი არა მარტო სწავლული ეკონომისტებისთვის, არამედ, საერთოდ, ეკონომიკური პრობლემებით დაინტე-

რესებულ მკითხველთა ფართო წრისთვისაც, ორიგინალურად არის გაშუქებული შრომის საზოგადოებრივი დანაწილების, წარმოების ტერიტორიული სპეციალიზაციისა და ეკონომიკური ეფექტიანობის, ეროვნული შემოსავლის სტურქტურის რეგიონულ თავისებურებათა, საზოგადოებრივ აღწარმოებაში არამატერიალური წარმოების სფეროს ადგილისა და როლის უაღრესად აქტუალური თეორიულ-მეთოდოლოგიური და პრაქტიკული მნიშვნელობის საკითხები.

ლ. ჩიქავას მეცნიერული და მეცნიერულ-ორგანიზაციული საქმიანობის ახალი, ღირსშესანიშნავი ეტაპია მისი მოღვაწეობა თავისივე თაოსნობით შექმნილ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის დემოგრაფიისა და სოციოლოგიური კვლევის ინსტიტუტში, რომელიც იუბილარის უნარიანი ხელმძღვანელობით მოკლე დროში გადაიქცა ქვეყნის წამყვან სამეცნიერო-კვლევით ცენტრად დემოგრაფიული პრობლემების შესწავლის დარგში.

უკანასკნელი 10 წლის მანძილზე, ეკონომიკის გლობალურ საკითხებთან ერთად, ლეო ჩიქავა განსაკუთრებით ინტენსიურად იკვლევს ეკონომიკური დემოგრაფიის პრობლემებს. ჭეშმარიტად ახალი სიტყვაა მეცნიერებაში მისი ახლახან დასტამბული ნაშრომი – **„დემოგრაფიული კატეგორიები და კანონები“**, რომელშიც სათანადო მეცნიერული სიღრმითაა გაშუქებული დემოგრაფიული კანონების არსი, თავისებურებანი, ობიექტური ხასიათი, კლასიფიკაცია (ზოგად, სპეციფიკურ და კერძო კანონებად დაჯგუფება, ძირითადი დემოგრაფიული კანონის გამოყოფა), შეცნობა, პრაქტიკული გამოყენება და სხვ.

აღსანიშნავია, რომ ბატონმა ლეომ ტიტანური შრომა გასწია მისი (და ყველა ჩვენგანის) სასიქადულო მასწავლებლების – აკადემიკოსების პაატა გუგუშვილისა და ვასილ ჩანტლაძის მიერ დაწყებული ნაშრომის – **„ეკონომიკური და დემოგრაფიული ტერმინოლოგია“**, რომელიც 40 ათასზე მეტ ტერმინს მოიცავს, სრულ კონდიციამდე მიყვანისა (დასრულებისა) და გამოცემისთვის.

ალბათ, გადაჭარბებული არ იქნება, თუ ვიტყვით, რომ ამით მან, ჯერ ერთი, თვალსაჩინო წვლილი შეიტანა ქართული ეკონომიკური მეცნიერების განვითარებაში და, მეორე, რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, ღირსეული პატივი მიაგო და ერთგვარი ძეგლი აუგო ოავის სახელოვან მასწავლებლებს.

პროფესორი ლეო ჩიქავა არასოდეს ყოფილა ეგრეთ წოდებული კაბინეტური ტიპის მეცნიერი. მას, როგორც ჭეშმარიტ მკვლევარსა და პატრიოტს, დიდად აღელვებს ქვეყნის ბედი, სამამულო ეკონომიკის მდგომარეობა და მისი განვითარების პერსპექტივები. სწორედ ამიტომ ყოველთვის ისწრაფვის კვლევის შედეგად მიღებული დასკვნებისა და რეკომენდაციების პრაქტიკაში დანერგვისკენ.

პროფესორ ლ. ჩიქავას მეცნიერულ გამოკვლევათა შედეგები გამოქვეყნებულია უცხოეთის (რუსეთი, იტალია, გერმანია, რუმინეთი, უნგრეთი, ჩეხეთი და ა. შ.) ავტორიტეტულ ჟურნალებსა და სხვა პერიოდულ გამოცემებში. 1972 წელს მან ლექციების ციკლი წაიკითხა ბერლინის, შვერინისა და როსტოკის (გერმანია) უნივერსიტეტების მრავალრიცხოვან აუდიტორიებში, რომელმაც დიდი ინტერესი გამოიწვია.

მნიშვნელოვანია ბატონი ლეოს დამსახურება უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტებისთვის სახელმძღვანელოების შექმნაში. მისი თანაავტორობითა და რედაქტორობით 1979-1981 წლებში გამოცემული პოლიტიკური ეკონომიის სახელმძღვანელოს (ორტომეული) საქართველოს განათლების სამინისტროს სპეციალური პრემია მიენიჭა.

როგორც სტუდენტთა, ისე პროფესორ-მასწავლებელთა შორის დიდი პოპულარობით სარგებლობს პროფესორ ლ. ჩიქავას მიერ 1998 წელს გამოცემული და დღეისთვის ბიბლიოგრაფიულ იშვიათობად ქცეული ორიგინალური დამხმარე სახელმძღვანელო – **„ეკონომიკური თეორიის მოკლე კურსი“**.

მართლაც გამორჩეული ქართველი მეცნიერ-ეკონომისტის ლეო ჩიქავას წვლილი ეკონომიკური მეცნიერების განვითარებაში ღირსეულად არის დაფასებული. იგი დაჯილდოებულია ღირსების ორდენით, ივ. ჯავახიშვილის საიუბილეო მედლით, საპატიო სიგელებით; არჩეულია ნიუ-იორკის მეცნიერებათა (საერთაშორისო) აკადემიის ნამდვილ წევრად – აკადემიკოსად.

ლეო ჩიქავა, როგორც ერთ-ერთი მაღალკვალიფიციური და ავტორიტეტული ქართველი სწავლული ეკონომისტი, პირველი და უცვლელი პრეზიდენტია საქართველოს მეცნიერ-ეკონომისტთა საზოგადოებრივი შემოქმედებითი ცენტრის ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიისა.

პროფესორი ლ. ჩიქავა მეცნიერულ მუშაობას შესანიშნავად უთავსებს ფართო საზოგადოებრივ მოღვაწეობას. იგი ინტენსიურ შემოქმედებით საქმიანობას ეწევა როგორც ჟურნალების „Общество и экономика“-ს (ქ. მოსკოვი), „მაცნეს“ (ეკონომიკის სერია), „მაკრო-მიკროეკონომიკის“, „ეკონომიკის“, „გადასახადების“, „ქართველის დედის“ სარედაქციო კოლეგიების წევრი, დემოგრაფიის სამთავრობო კომისიის წევრი, „საქართველოს ატლასის“ სარედაქციო კოლეგიის წევრი და ა.შ.

ბატონი ლეოს კოლეგები – ქართველი მეცნიერ-ეკონომისტები, ასევე, მისი მრავალრიცხოვანი მოწაფეები იცნობენ მას როგორც მაღალი რანგის პროფესიონალს, პრინციპულ და მომთხოვნ, მაგრამ ამავე დროს უაღრესად თბილ და კეთილმოსურნე პიროვნებას, ზნეობრივი სიწმინდით გამორჩეულ, უღალატო და მართალ კაცს. ხანდაზმულობის მიუხედავად, იგი დღესაც უშრეტი ენერგიით, დაუღალავად და მისთვის ჩვეული შემართებით ემსახურება თავის საყვარელ საქმეს. საკვირველია, როგორ ასწრებს ამდენი რამის გაკეთებას, თანაც, ზედმიწევნით გულმოდგინებითა და სიღრმისეულად. ბატონი ლეო თავისი ღრმაშინაარსიანი შემოქმედებით შესანიშნავი ნიმუში და მაგალითია ჩვენი ახალგაზრდობისთვის.

გულითადად ვულოცავთ პროფესორ ლეო ჩიქავას დაბადებიდან 75 და სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობის 55 წლისთავს. ვუსურვებთ მხნეობას, ოჯახურ ბედნიერებას და შემდგომ ხანგრძლივ ნაყოფიერ მოღვაწეობას ჩვენი ქვეყნისა და ხალხის საკეთილდღეოდ.

**ვლადიმერ პაპავა,** საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი;
**ვაჟა ლორთქიფანიძე,** ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი;
**ნუგზარ სანთელაძე,** ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

ის. გაზ. **„საქართველოს რესპუბლიკა“,** 20.02.2003

# 2. ქართული ეკონომიკური მეცნიერების მშვენება

**ღრმად პატივცემულო ბატონო ლეო,**

სულხან-საბა ორბელიანის სახელობის თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტის რექტორატი და ეკონომიკისა და მენეჯმენტის კათედრა გულითადად გილოცავთ ჩვენი დროის უდიდეს ეკონომისტს, დემოგრაფიისა და სოციოლოგიური კვლევის ინსტიტუტის დირექტორს, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორს, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტს დაბადებიდან 75-ე წლისთავს.

თქვენ ბრძანდებით ქართული ეკონომიკური მეცნიერების მშვენება და სიამაყე. მეცნიერი, რომელმაც ჩვენი ქვეყნის აქტუალური პრობლემებისადმი მიძღვნილი მრავალრიცხოვანი მეცნიერული შრომებით, მონოგრაფიებით, გამოკვლევებითა და სახელმძღვანელოებით უდიდესი წვლილი შეიტანა ქართული ეკონომიკური მეცნიერების განვითარებაში, ახალგაზრდობის აღზრდისა და მათი მაღალკვალიფიციურ სპეციალისტად ჩამოყალიბებაში.

გილოცავთ საიუბილეო თარიღს, გისურვებთ ხანგრძლივ სიცოცხლეს და ნაყოფიერ სამეცნიერო-პედაგოგიურ მოღვაწეობას ჩვენი ქვეყნის საკეთილდღეოდ.

**ვახტანგ სართანია**
სულხან-საბა ორბელიანის სახელობის
სახელმწიფო პედაგოგიური
უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი

**შორენა მაღლაკელიძე**
ეკონომიკისა და მენეჯმენტის
კათედრის გამგე, დოცენტი
20.02.2003

# 3. მეგობრობის ეტალონი

ჩემო ლეო, სტუდენტობის პირველი კურსიდანვე შენ ყველაზე წარმატებული იყავი ჩვენს შორის, ამიტომ არც ისაა გასაკვირი, რომ დღემდე ღირსეულად გიკავია ეს ადგილი საქართველოში ეკონომიკური მეცნიერების ყველა ფრონტზე.

ჩვენ ხომ ნახევარსაუკუნოვანი (ოოტა მეტიც) მეგობრობა გკაკავშირებს. როგორც თანაჯგუფელებმა ერთად გამოვიარეთ სტუდენტობის, ასპირანტობის (აკად. პ. გუგუშვილის მეცნიერული ხელმძღვანელობით), დოქტორანტობის წლები (თბილისსა თუ მოსკოვში) და ამის შემდეგაც ხელიხელჩაკიდებულნი ვემსახურებით ახალგაზრდობის აღზრდისა და ქართული ეკონომიკური მეცნიერების განვითარების კეთილშობილურ საქმეს. გულწრფელად მინდა ვაღიარო, რომ, შენს უბადლო ნიჭიერებასთან, შესამურ ორგანიზებულობასთან, მიზანსწრაფულ საქმიანობასა და საოცარ შრომისმოყვარეობასთან ერთად, ყოველთვის მხიბლავდა გამორჩეული კოლხური სიდინჯე, მაღალი ინტელექტი, მოკრძალება და სიკეთის უხვად ფრქვევა ყველგან და ყოველთვის. წარმოვიდგენ რა შენს არაორდინარულ მახასიათებელ თვისებებს, ყველა შენი თანამემამულე (კოლხი კაცი) შენსავით კრისტალური პიროვნება მგონია, ვამაყობ, რომ შენს გვერდით და შენთან მეგობრობაში გავატარე ჩემი ცხოვრებისა და მოღვაწეობის ყველაზე საუკეთესო წლები, ალბათ, არ შევცდები თუ ვიტყვი, რომ შენ სანიმუშო მეგობრობის ნამდვილი ეტალონი ხარ.

უკანასკნელ წლებში ძლიერ შემერყა ჯანმრთელობა, როგორც ჩანს, მალე გადავინაცვლებ მუდმივ სასუფეველში. დარწმუნებული ვარ, რომ არ დაივიწყებ ჩვენს ძმობასა და მეგობრობას. დამილოცნიხარ შენს ბედნიერ ოჯახთან ერთად.

მთელი არსებით გილოცავ საიუბილეო თარიღს – დაბადებიდან 75 წლისთავს და გისურვებ ახალ-ახალ მიღწევებს შემოქმედებითი მოღვაწეობის ამ რთულსა და კლდოვან ბილიკებზე.

პატივისცემითა და კეთილი სურვილებით, შენი ძმა და მეგობარი

**დიმიტრი ცისკარიშვილი**
20.02.2003

# 4. მეცნიერი, საზოგადო მოღვაწე

რაოდენ დიდი ბედნიერებაა ერთ ოჯახში ორი პროფესორი შვილის აღზრდა, ასეთი საგანგებო ხვედრი ერგოთ ზუგდიდის რაიონის სოფელ კოკის მკვიდრთ სახალხო მასწავლებელ ლავრენტი ჩიქავასა და საკოლმეურნეო შრომის აქტივისტს ანეტა ნარმანია-ჩიქავას. მათ სამი შვილი აღუზარდეს სამშობლოს, ქალიშვილი მზია ექიმია, იოსები და ლეო — პროფესორები.

ჩვენს წინაშეა ზუგდიდის ყოფილი მაზრის სახალხო განათლების ხელმძღვანელ, მოწინავე მასწავლებელთა ჯგუფური სურათი, გადაღებული 1926 წელს, ცნობილ პედაგოგებთან — შ. ფაქავასთან, აკ. ფიჩხაიასთან, ი. გოგიასთან, მ. პატარაიასთან, შ. დადიანთან, კ. ცხაკაიასთან და სხვებთან ერთად, სურათზე აღბეჭდილია კოკის დაწყებითი სკოლის გამგე-მასწავლებელი ლავრენტი ჩიქავა (1886-1947 წწ). დიდხანს იმუშავა მან ამ სკოლაში მასწავლებლად. ვინ იცის, რამდენ ახალგაზრდას აუნთო ცოდნის ლამპარი, რამდენი აზიარა იაკობ გოგებაშვილის უკვდავ „დედა ენას“.

მეორე ჯგუფური სურათი 1939 წელსაა გადაღებული მოსკოვში, სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე. სხვა მოწინავე მუშაკებთან ერთად, ცენტრალურ ადგილას დგას სოფელ კოკის კოლმეურნეობის გამგეობის წევრი, მებოსტნე ქალთა ბრიგადის ხელმძღვანელი, ნოვატორი მეაბრეშუმე ანეტა ნარმანია-ჩიქავა.

სწორედ ამ ამაგდარმა ადამიანებმა აღუზარდეს სამშობლოს სასახელო შვილები.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილემ სამეცნიერო მუშაობის დარგში ლ. ჩიქავამ სწავლისა და სამეცნიერო მოღვაწეობის სახელოვანი გზა განვლო. დაიბადა 1928 წელს. დაამთავრა ჯერ კოკის არასრული, შემდეგ კი ორსანტიის საშუალო სკოლა. 1950 წელს წარჩინებით დაასრულა თბილისის

სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტი. მან სტუდენტობის წლებშივე გამოავლინა მეცნიერული კვლევის უნარი და პროფესორ-მასწავლებელთა ყურადღება მიიპყრო.

საკანდიდატო დისერტაციის დაცვის შემდეგ 1954-1955 წლებში პოლიტეკონომიის კურსს კითხულობდა გორკის სახელობის სოხუმის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში, სხვადასხვა დროს მუშაობდა პოლიტეკონომიის კათედრის გამგედ ი. ჭავჭავძის სახელობის თბილისის უცხო ენათა სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტსა და საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში.

ლ. ჩიქავა, რომელმაც 1968 წელს წარმატებით დაიცვა სადოქტორო დისერტაცია, 1970 წელს პროფესორი გახდა. ამჟამად ის 100-ზე მეტი გამოქვეყნებული მეცნიერული შრომის ავტორია და ინტენსიურ მეცნიერულ-კვლევით მუშაობას ეწევა. პროფესორ ლ. ჩიქავას შრომები ეძღვნება პოლიტიკური ეკონომიისა და სახალხო მეურნეობის განვითარების აქტუალურ საკითხებს.

გასულ წელს ქართული ეკონომიკური მეცნიერების განვითარების საქმეში დიდი დამსახურებისთვის მას საქართველოს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის საპატიო წოდება მიენიჭა. 1979-1981 წწ. გამოცემული ორტომეულისთვის — **„ეკონომიკური თეორიის აქტუალური საკითხები“**, როგორც თანაავტორსა და ავტორთა კოლექტივის ერთ-ერთ ხელმძღვანელს, საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს ლაურეატის წოდება მიენიჭა. თსუ-ში ნაყოფიერი მეცნიერული მოღვაწეობისთვის დაჯილდოებულია ივ. ჯავახიშვილის საიუბილეო მედლით.

მეცნიერულ მუშაობასთან ერთად, ლ. ჩიქავა ეწევა აქტიურ საზოგადოებრივ მუშაობას. ის არის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის, თსუ-ის ეკონომიკის ფაკულტეტის სადოქტორო ხარისხის მიმნიჭებელი და საქართველოს შრომითი რესურსების სახელმწიფო კომიტეტის სამეცნიერო საბჭოს წევრი, ჟურნალ „ეკონომისტისა“ და „ბიულეტენის“, აგრეთვე, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ჟურნალ „მაცნეს“ სარედაქციო კოლეგიის წევრი, საზოგადოებრივ მეცნიერებათა

დარგში სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის საკოორდინაციო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე.

მასწავლებლის შვილი თვითონაც გულისსმიერი პედაგოგი და აღმზრდელია. მისი ხელმძღვანელობით არაერთი ეკონომისტი გახდა მეცნიერებათა კანდიდატი, დოქტორი. ბ-ნი ლეო უშურველად უნაწილებს თავის ცოდნას ყველას, ადამიანურ ჰუმანურობას ორგანულად უთავსებს პრინციპულობასა და მომთხოვნელობას.

დიდი წარმატებები ვუსურვოთ ჩვენს სახელოვან თანამემამულეს, ქართული ეკონომიკური მეცნიერების თვალსაჩინო წარმომადგენელს, პროფესორ ლ. ჩიქავას, რომლისგანაც საზოგადოებრიობა ასალ, კიდევ უფრო მნიშვნელოვან, მიღწევებს მოელის.

**კ. მიქაია**

იხ. გაზ. **„მებრძოლი“**, № 106 (9875), 3.09.1987
ქ.ზუგდიდი

# 5. მეცნიერისა და აღმზრდელის აღიარება

სასიხარულო ცნობა მოვიდა ამ დღეებში საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში, ნაყოფიერი სამეცნიერო-პედაგოგიური და საზოგადოებრივი მოღვაწეობისთვის ინსტიტუტის პოლიტიკური ეკონომიის კათედრის გამგე, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ლეო ლეონტის ძე ჩიქავა სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს მიერ დაჯილდოვდა – „სსრ კავშირის უმაღლესი სკოლის წარჩინებული მუშაკის სამკერდე ნიშნით“.

პროფესორი ლეო ჩიქავა პირველია პოლიტექნიკური ინსტიტუტის მრავალათასიან კოლექტივში ეს საპატიო ჯილდო რომ დაიმსახურა.

ორ ათეულ წელზე მეტია, რაც ლ. ჩიქავა დაუღალავად ემსახურება ახალგაზრდა თაობის აღზრდის კეთილშობილურსა და საპატიო საქმეს რესპუბლიკის უმაღლეს სასწავლებლებში – სოხუმის მ. გორკის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიურ, თბილისის ი. ჭავჭავაძის სახელობის უცხო ენათა სახელმწიფო პედაგოგიურ და საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტებში. ლექციების კურსს კითხულობს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სახალხო მეურნეობის ხელმძღვანელ მუშაკთა და სპეციალისტთა კვალიფიკაციის ამაღლების ფაკულტეტზე.

პროფ. ლეო ჩიქავა მრავალი თვალსაჩინო ნაშრომის ავტორია. გამოქვეყნებული აქვს 60-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი, მათ შორის 8 წიგნებისა და ბროშურების სახით. მისი სტატიები გამოქვეყნებულია ცენტრალურ ჟურნალ-გაზეთებში. ამავე დროს არის პოლიტიკური ეკონომიის დამსმარე სახელმძღვანელოებისა და მეთოდურ თვალსაჩინოებათა კრებულების თანაავტორი.

გარდა სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობისა, პროფ. ლეო ჩიქავა აქტიური საზოგადოებრივი მუშაკია. არის მრავალი სამეცნიერო საბჭოსა და ჟურნალების „ეკონომისტისა“ და „ბიულეტენის“ სარედაქციო კოლეგიების წევრი; საქ. კპ ცკ-

ის აგიტაციისა და პროპაგანდის განყოფილების ლექტორია ჯგუფის ეკონომიკის სექციის სელმძღვანელი, სპი-ს პარტკაბინეტის მეთოდსაბჭოს თავმჯდომარე და საზოგადოება „ცოდნის“ საინსტიტუტო ორგანიზაციის თავმჯდომარის მოადგილე და მრავალი სხვ.

მიმდინარე წლის იელისში, დაბადების 50 წელთან დაკავშირებით, ავტორიტეტული აღმზრდელი და მეცნიერი პროფესორი ლეო ჩიქავა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით დაჯილდოდა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

* * *

პატივცემულო ლეო ლეონტის ძევ, გაზეთ „ლენინელის“ რედაქცია, თავის მრავალათასიან მკითხველთან ერთად, გულითადად გილოცავთ დამსახურებულ ჯილდოს, რომელიც ჭეშმარიტი მოქალაქის, მამულიშვილისა და ყველაზე კეთილშობილური პროფესიის — აღმზრდელის ამაგის დიდი აღიარებაა.

გისურვებთ ხანგრძლივ, ბედნიერ სიცოცხლეს და მრავალ შემოქმედებით წარმატებებს.

**ც. არსენიძე**
იხ. სპი-ს მრავალტირაჟიანი გაზეთი
**„ლენინელი“**, 1978 წ. 30 დეკემბერი.

# VII. ლ. ჩიქავას დაბადების 80 წლისთავისადმი მიძღვნილი მასალები

## 1. ქართველ მეცნიერ-ეკონომისტთა თაყვანცემა

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტს, ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტს, ნიუ-იორკის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსს, რამდენიმე დარგობრივი აკადემიის ნამდვილ წევრს, პ. გუგუშვილის სახელობის უნივერსიტეტის რექტორს, სახელმწიფო სამსახურის მართვის ცენტრის უფროსს, თბილისის სახელმწიფო უნივერისტეტის პროფესორსა და რექტორის მრჩეველთა საბჭოს წევრის, მეცნიერების დამსახურებულ მოღვაწეს, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორს, საერთაშორისო და საქართველოს ღირსების ორდენების კავალერს, ცნობილ საზოგადო მოღვაწეს ლეო ჩიქავას დაბადებიდან 80 და მეცნიერულ-პედაგოგიური მოღვაწეობის 60 წელი შეუსრულდა.

შეიძლება ვინმეს შეცდომად მოეჩვენოს იუბილარის მიერ განვლილი ცხოვრების რვაათეული წლიდან ექვსი ათეული წლის მეცნიერული მოღვაწეობისადმი მიძღვნა, მაგრამ ეს სრული ჭეშმარიტებაა. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა სამეცნიერო საზოგადოების გაერთიანებულმა სამეცნიერო საბჭომ სწორედ 60 წლის წინათ მისცა გამოსაქვეყნებლად რეკომენდაცია მის საუნივერსიტეტო კონკურსში გამარჯვებულ პირველ მეცნიერულ გამოკვლევას. სიმბოლურია ისიც, რომ ამ ნაშრომით იხსნება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა სამეცნიერო შრომების კრებულის მეხუთე ტომი.

ამ სტრიქონების ავტორებს კარგად გვაქვს გაცნობიერებული წინამდებარე პუბლიკაციის სათაურად გამოტანილი ფორმულირების შინაარსობრივი დატვირთვის მნიშვნელობა. ჩვენ ღრმად ვართ დარწმუნებული იმაში, რომ ძალიან გაგვიჭირდე-

ბა ისეთი სწავლული ეკონომისტის პოვნა, რომელიც თუნდაც ოდნავ შეიტანს ეჭვს იუბილარის მეცნიერული (და არა მარტო მეცნიერული) დამსახურების ესოდენ მაღალ შეფასებაში, ისე როგორც თავის დროზე არავის შეჰქონდა ეჭვი მისი (ისე როგორც ყველა ჩვენთანაგის) ლეგენდარული მასწავლებლის, ქართული ეკონომიკური მეცნიერების რაინდის, აკადემიკოს პაატა გუგუშვილის შემოქმედებისთვის ანალოგიური სტატუსის მინიჭებაში.

მრავალრიცხოვან ქართველ სწავლულ ეკონომისტთა შორის პროფ. ლ. ჩიქავას თვალსაჩინო ადგილი უჭირავს არა მარტო იმიტომ, რომ დღეისთვის მისნაირი მეცნიერებათა დოქტორის 40 წლიანი სტაჟის მქონე ჩვენს დარგს სხვა არავინ ჰყავს, არამედ, განსაკუთრებით იმიტომ, რომ იგი, როგორც ორიგინალური მეცნიერული გამოკვლევებისა და არაორდინარული სახელმძღვანელოების ავტორი, ასევე, მეცნიერების შესანიშნავი ორგანიზატორი, 14 წელია რაც პრეზიდენტის რანგში სათავეში უდგას და მიზანსწრაფულად წარმართავს მისივე თაოსნობით დაარსებული ქართული ეკონომიკური მეცნიერების შტაბის — საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის ღრმაშინაარსიან, ფრიად ნაყოფიერ შემოქმედებით საქმიანობას. ამით იგი ქართველ სწავლულ ეკონომისტთა თავკაცად გვეელინება და, რაც მთავარია, ამ მისიას ბრწყინვალედ ასრულებს.

პროფ. ლ. ჩიქავას ცხოვრება და მოღვაწეობა ნათელი მაგალითია იმისა, ადამიანმა მოელი თავისი შემოქმედება და ძალისხმევა თუ როგორი გულმოდგინებითა და სიყვარულით უნდა ჩააქსოვოს მშობლიური ერისა და ქვეყნისადმი უანგარო სამსახურში. ამის საილუსტრაციოდ საკმარისია მისი სამეცნიერო ნაშრომების ბიბლიოგრაფიისთვის, რომელიც 160-ზე მეტ დასახელებას მოიცავს, თვალის თუნდაც ოდნავ გადავლება. თავის დროზე მკითხველთა ფართო წრეში აღიარება და მაღალი შეფასება პოვეს მისმა მონოგრაფიულმა გამოკვლევებმა: „კვების მრეწველობის ადგილი და როლი შრომის საერთოსაკავშირო დანაწილებაში“, 1965, 27 ნ.თ.; „არამატერიალური წარმოების სფეროს პოლიტეკონომიური ასპექტები“, 1986,

23 ნ.თ.; „დემოგრაფიული კატეგორიები და კანონები“, 2002, 5 ნ.თ.; „ინოვაციური ეკონომიკა“, 2006, 28 ნ.თ. ასევე სახელმძღვანელომ – „ეკონომიკური თეორიის მოკლე კურსი“, 2005, 28,5 ნ.თ. და სხვ.

უამრავ სხვა დამსახურებაზე რომ არაფერი ვთქვათ, იუბილარს საამაყოდ ისიც ეყოფოდა, რომ, ჯერ ერთი, არაჩვეულებრივი ძალისხმევის ფასად, რეალობად აქცია მისი მასწავლებლის აკად. პ. გუგუშვილის სანუკვარი ოცნება საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სისტემაში დემოგრაფიისა და სოციოლოგიის ინსტიტუტის დაარსების თაობაზე და 17 წლის განმავლობაში თავად ედგა მას სათავეში; და მეორე, დაასრულა აკადემიკოსების პ. გუგუშვილისა და ვ. ჩანგლაძის მიერ დაწყებული ქართულ-რუსული და რუსულ-ქართული (40 ათ. ტერმინის მომცველი) ეკონომიკური და დემოგრაფიული ტერმინოლოგია და მაღალ პოლიგრაფიულ დონეზე გამოსცა იგი 2001 წელს. ეს ნაშრომი ქართული ეკონომიკური ლიტერატურის საუკეთესო შენაძენია.

იუბილარს მნიშვნელოვანი წვლილი აქვს შეტანილი მეცნიერ-ეკონომისტთა მომზადებაშიც მისი მეცნიერული ხელმძღვანელობით დაცულია 5 სადოქტორო და 38 საკანდიდატო დისერტაცია, ოფიციალური ოპონირებით კი – 50-ზე მეტი. ბ-ნი ლეოს ოფიციალური ოპონირებით სადოქტორო დისერტაციების დაცვა ყოველთვის იყო მაღალპროფესიონალურ დონეზე მეცნიერული პაექრობის ნიმუში. იგი ხასიათდებოდა დისერტანტების მიმართ მაღალი მომთხოვნელობისა და პრინციპულობის ობიექტურობასა და ჰუმანურობასთან ოპტიმალური შეხამებით, რაც მის ავტორიტეტს სისტემატურად სძენდა ახალ-ახალ იმპულსს.

იუბილარს, მრავალ სხვა გამორჩეულ თვისებასთან ერთად, ახასიათებს მეცნიერული განსწავლულობის, უზადო პროფესიონალიზმისა და ორატორული ხელოვნების ერთმანეთისგან განუყოფლობა, მათი ორიგინალური სინთეზი. ამის მეოხებით მას არაერთხელ მოუსიბლავს არა მარტო საქართველოს, არამედ საზღვარგარეთის ქვეყნების ფრიად მაღალკვალიფიციური აუდიტორიებიც კი. საილუსტრაციოდ საკმარისია გავიხსენოთ

1972 წელს მისი ლექციების ციკლი ბერლინის, შვერინისა და როსტოკის (გერმანია). უნივერსიტეტებსა და უმაღლეს პარტიულ სკოლებში, რომელსაც მაღალი შეფასება მისცა გერმანიის იმდროინდელმა პრესამ.

1973 წელს ქ. ლუინოში (იტალია) გამართულ ეკონომისტთა საერთაშორისო კონგრესზე საქართველოს ეკონომიკური განვითარების პრობლემებზე იუბილარის მიერ წაკითხულ მოხსენებას და თვით მის ავტორს საგანგებო და უაღრესად თბილი პუბლიკაცია მიუძღვნა იტალიის გაზეთმა „უნიტამ".

არც ისაა ნაკლებად საყურადღებო, რომ 1983 წელს ლომონოსოვის სახ. მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტთან არსებულ საზოგადოებრივ მეცნიერებათა მასწავლებლების კვალიფიკაციის ამაღლების ინსტიტუტში ეკონომიკის სპეციალობით გამართულ სამეცნიერო კონფერენციაზე (მოკავშირე რესპუბლიკებიდან 150 მონაწილეს შორის) სწორედ მის მოხსენებას ხვდა წილად პირველი ადგილი. მკითხველი, ალბათ, დაგვეთანხმება იმაში, რომ ასეთი რამ არ ხდება შემთხვევით. ამით ბ-ნმა ლეომ სახელი და დიდება მოუტანა არა მარტო თავისთავს, არამედ, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, ქართულ ეკონომიკურ სკოლას და საერთოდ მშობლიურ ქვეყანას.

პროფ. ლეო ჩიქავა ცნობილი საზოგადო მოღვაწეცაა. საკმარისია ითქვას, რომ იგი დიდ დროსა და ენერგიას ახმარს ეკონომიკური პროფილის ჟურნალების („ობშესტვო ი ეკონომიკა" — ქ. მოსკოვი, „მაცნე" — ეკონომიკის სერია, „ეკონომიკა", „საქართველოს ეკონომიკა", „კომენტარი", „დემოგრაფია", „გადასახადები", „ახალი ეკონომისტი", „ფინანსები და კრედიტი" და სხვ.) სარედაქციო კოლეგიების წევრობას. 14 წელი ხელმძღვანელობდა პოლიტიკური ეკონომიის კათედრებს საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტსა და თბილისის უცხო ენათა სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში. თავისი აქტიური მოღვაწეობის 23 წელი მოახმარა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის სისტემაში ჯერ ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის სამეცნიერო მუშაობის დარგში დირექტორის მოადგილის, ხოლო შემდეგ — დემოგრაფიისა და სოციოლოგიის ინსტიტუტის დირექტორის თანამდებობებ-

ზე მუშაობას, ამ პერიოდში იგი იყო არაერთი საერთაშორისო კონფერენციისა და სიმპოზიუმის მოწვევის ორგანიზატორი და თავკაცი. მისი ინიციატივითა და უშუალო მონაწილეობით სისტემატურად წარედგინებოდა რეკომენდაციები ხელისუფლების ორგანოებს ცხოვრებაში გასატარებლად.

რად ღირს თუნდაც იმის გახსენება, რომ საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენისა და დამოუკიდებლობის აღიარებისადმი მიძღვნილ დეკლარაციას, იმდროინდელი (1991 წ.) უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს სხვა წევრების ხელმოწერასთან ერთად, თქვენი ხელწერაც ამშვენებს. ეს უდიდესი ისტორიული მნიშვნელობის ფაქტია, რომელიც საამაყოდ დარჩება არა მარტო თქვენს შთამომავლობას, არამედ საერთოდ ჩვენს მომავალ თაობებსაც.

ქართველ ეკონომისტთა (და არა მარტო ეკონომისტთა) საზოგადოება იუბილარს იცნობს როგორც ზედმიწევნით უმწიკვლო პიროვნებას, უღალატო კაცსა და საიმედო მეგობარს, მუდამ დაუზარელ, უშრეტი ენერგიის პატრონ, გულისსმიერ და ერუდირებულ ადამიანს, გარშემო მყოფთა მიმართ უხმაუროდ სიკეთისა და სითბოს უხვად მფრქვეველ სახელოვან მეცნიერს, ამაგდარ პედაგოგს, ოჯახში – უაღრესად ყურადღებიან მეუღლეს, ორი შვილის მამასა და ხუთი შვილიშვილის (მ.შ. პატარა ლეოს) უსაყვარლეს ბაბუას.

ძალიან გვიხარია ის, რომ განვლილი ცხოვრების წლებით დატვირთვის მიუხედავად, იგი საკმაოდ მხნედ გრძნობს თავს და ჩვეული სიდარბაისლით, თითქმის ჭაბუკური ენერგიით მუხლჩაუხრელად განაგრძობს თავის სათაყვანებელ საქმეს – მეცნიერულ-კვლევით და პედაგოგიური მოღვაწეობას. ერის ამ სასახელო შვილს კიდევ ერთხელ ვულოცავთ საიუბილეო თარიღს და ვუსურვებთ, დღეგრძელობასთან ერთად, კვლავაც წარმატებულ მოღვაწეობას მშობლიური ქვეყნისა და ქართველი ერის საკეთილდღეოდ.

**ნოდარ ჭითანავა**
**ვაჟა ლორთქიფანიძე**
**გიორგი შუბლაძე**
20 თებერვალი, 2007 წელი.

# 2. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიური საბჭო, ჰუმანიტარულ და საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილება

**ღრმად პატივცემულო ბატონო ლეო!**

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდიუმი და საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილება გულითადად მოგესალმებათ და გილოცავთ თქვენ, ცნობილ ქართველ მეცნიერ-ეკონომისტს, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტს, ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტს, ნიუ-იორკის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსს, მეცნიერების დამსახურებულ მოღვაწეს, აკად. პ. გუგუშვილის სახელობის უნივერსიტეტის რექტორს, სახელმწიფო სამსახურის მართვისა და მოსამსახურეთა მომზადების, გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების ცენტრის უფროსს, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორს, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორსა და რექტორის მრჩეველთა საბჭოს წევრს, ღირსების ორდენის კავალერს დაბადების 80 და მეცნიერულ-პედაგოგიური მოღვაწეობის 60 წლისთავს.

გასული საუკუნის უკანასკნელ მეოთხედში ქართული ეკონომიკური მეცნიერება საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიაში წარმოდგენილი იყო ისეთი შთამბეჭდავი და საყოველთაოდ აღიარებული სახეებით, როგორებიც იყვნენ აკადემიკოსები პაატა გუგუშვილი, ვასილ ჩანტლაძე, ირაკლი მიქელაძე, ავთანდილ გუნია და აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ვალერიან მელქაძე. დღეისთვის ამ ფრიად საპატიო და ამავე დროს უაღრესად საპასუხისმგებლო მისიის შესრულება, თქვენს უმცროს კოლეგებთან – ვლ. პაპავასთან და ა. სილაგაძესთან ერთად, გიწევთ თქვენ და სრულიად გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ თქვენი სასიქადულო მასწავლებლების მიერ მყარად დამ-

კვიდრებულ ტრადიციებს არა მარტო არ ღალატობთ, არამედ ყოველმხრივ აღრმავებთ, ანვითარებთ და ამდიდრებთ კიდეც.

ძირითადად ეკონომიკური თეორიის, მომსახურების სფეროს, საქართველოს ეკონომიკისა და დემოგრაფიის აქტუალურ პრობლემებზე თქვენს მიერ ქართულ, რუსულ, ინგლისურ და ჩეხურ ენებზე გამოქვეყნებული 160-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი საკმაოდ კარგადაა ცნობილი არა მარტო ჩვენს ქვეყანაში, არამედ მის ფარგლებს გარეთაც. საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში ძალიან პოპულარულია თქვენს მიერ გამოცემული დამხმარე სახელმძღვანელო – **„ეკონომიკური თეორიის მოკლე კურსი“**. სპეციალისტთა დასკვნით, იგი სავსებით შეესაბამება საერთაშორისო სტანდარტებს. თანაც, გამართული ქართული ენითაა დაწერილი და სტუდენტებს ეადვილებათ მისი გაგება.

ჩვენზე განსაკუთრებით დიდი შთაბეჭდილება მოახდინა თქვენმა ახლახან გამოქვეყნებულმა კაპიტალურმა მონოგრაფიულმა გამოკვლევამ – **„ინოვაციური ეკონომიკა“**, რომლის ძირითადი არაორდინარული დასკვნები სავსებით სრულად იყო წარმოდგენილი თქვენს მიერ აკადემიის პრეზიდიუმის წევრებისთვის გაკეთებულ საჯარო მოხსენებაში. თქვენმა ღრმამეცნიერულმა და ყოველმხრივ დასაბუთებულმა მსჯელობამ ნათელი წარმოდგენა შეგვიქმნა 21-ე საუკუნისა და უფრო შორეული მომავლის სრულიად ახალი შინაარსის მატარებელი ეკონომიკის არსზე.

თქვენი მეცნიერული მოღვაწეობის ყველაზე საუკეთესო პერიოდი საქართველოს მეცნიერებათაა ეროვნულ აკადემიასთანაა დაკავშირებული. 7 წელიწადი იმუშავეთ ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის დირექტორის სამეცნიერო მუშაობის დარგში მოადგილედ, ხოლო 17 წელიწადი – თქვენივე თაოსნობით დაფუძნებული დემოგრაფიისა და სოციოლოგიური კვლევის ინსტიტუტის დირექტორად. თქვენი თავკაცობით ეს დაწესებულება უმოკლეს პერიოდში იქცა ჩვენს ქვეყანაში მეცნიერების შედარებით ასალი დარგის – დემოგრაფიის განვითარების მძლავრ კერად. ეს გამოვლინდა როგორც მეცნიერული გამოკვლევებისა და ამის საფუძველზე მიღებული შედეგების

პუბლიკაციებში, ისე მეცნიერთა კადრების მომზადებაში. ჩვენთვის კარგადაა ცნობილი, რომ თქვენი მაღალკვალიფიციური მეცნიერული ხელმძღვანელობითა და კონსულტირებით ამ ინსტიტუტში ესოდენ მცირე პერიოდში დაცულ იქნა 4 სადოქტორო და 9 საკანდიდატო დისერტაცია.

კვლევის შედეგების პუბლიკაციის, ასევე, საერთაშორისო სიმპოზიუმებსა და სამეცნიერო კონფერენციებში აქტიური მონაწილეობით თქვენ წარმატებით გაგაქეთ ქართული ეკონომიკური მეცნიერების მიღწევები მსოფლიო არენაზე. ამის ნათელი დადასტურებაა თქვენი 1998 წელს ნიუ-იორკის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრად არჩევა, ხოლო 2004 წელს საერთაშორისო ბიოგრაფიული ცენტრის (კემბრიჯი) მიერ საერთაშორისო ღირსების ორდენით დაჯილდოება და ამ ორგანიზაციის საპატიო წევრად არჩევა.

ქართველი ინტელიგენცია თქვენ დიდ პატივს გცემთ და ავტორიტეტად გაღიარებთ არა მარტო იმიტომ, რომ უხვპროდუქტიული მეცნიერი, მეცნიერების შესანიშნავი ორგანიზატორი და დიდი გამოცდილების მქონე პედაგოგი ხართ, არამედ იმიტომაც, რომ აქტიური საზოგადო მოღვაწეც ბრძანდებით. რომ არაფერი ვთქვათ რუსეთსა და საქართველოში ეკონომიკური პროფილის 10 ჟურნალის რედკოლეგიების წევრობაზე, 14 წლის განმავლობაში საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის რანგში ქართველ სწავლულ ეკონომისტთა თავკაცობასა და მრავალ სხვა საზოგადოებრივ დატვირთვაზე, რად ღირს თუნდაც იმის გახსენება, რომ საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენისა და დამოუკიდებლობის აღიარებისადმი მიძღვნილ დეკლარაციას, იმდროინდელი (1991 წ.) უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს სხვა წევრების ხელმოწერასთან ერთად, თქვენი ხელწერაც ამშვენებს. ეს უდიდესი ისტორიული მნიშვნელობის ფაქტია, რომელიც საამაყოდ დარჩება არა მარტო თქვენს შთამომავლობას, არამედ საერთოდ ჩვენს მომავალ თაობებსაც. თუმცა, ჩვენი ქვეყნის წინსულა-განვითარებაში თქვენი ადგილი და როლი საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის აქტის დადასტურებით როდი შემოიფარგლება. ქართველი ერის მიერ ცივილიზებულ ერთა

შორის ღირსეული ადგილის დასამკვიდრებლად განსაკუთრებული მნიშვნელობა ქვეყნის მთავარ საგკივართა გარშემო თქვენს ნაფიქრალ-ნააზრევსა და ამ მიმართულებით შემუშავებულ პრაგმატული ხასიათის რეკომენდაციებს აქვს. აი, რატომაა საჭირო, რომ იცოცხლოთ კიდევ დიდხანს და თქვენი უკიდეგანო ინტელექტუალური შესაძლებლობანი სრულად მოასმაროთ მშობლიური ერისა და ქვეყნის აღმშენებლობის კეთილშობილურ საქმეს.

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიური საბჭოსა და ჰუმანიტარულ და საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების სახელით აკადემიის წევრები

**თამაზ გამყრელიძე, შოთა ნადირაშვილი, გურამ თევზაძე, მარიკა ლორთქიფანიძე, ფრიდონ თოდუა, ოთარ ჯაფარიძე, ოთარ ნათიშვილი, დავით მუსხელიშვილი, თენგიზ ონიანი,ლევან ალექსიძე, ჯუმბერ ლომინაძე, ვლადიმერ პაპავა, გურამ გველესიანი, ავთანდილ სილაგაძე, მინდია სალუქვაძე, ჯონი ხეცურიანი, გურამ ხარაგიშვილი, ვახტანგ შამილაძე, ერეკლე გამყრელიძე, კიაზო ფიცხელაური, როინ მეტრეველი, დავით ჩარკვიანი.**

20.02.2008

# 3. ქართველ ეკონომისტთა სამაგალითო ლიდერი

ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორ, პროფესორ, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტ ლეო ჩიქავასთან ჩემი უშუალო ურთიერთობა იწყება გასული საუკუნის 80-იან წლებში, როცა ის დაინიშნა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილედ, სადაც მე იმ დროს ასპირანტურის კურსდამთავრებული უკვე უფროს მეცნიერ თანამშრომლად ვმუშაობდი. აღსანიშნავია, რომ მისი მოსვლა ინსტიტუტში ახალი სამეცნიერო "სისხლის გადასხმის" ტოლფასი იყო, რადგანაც საბჭოთა კავშირში, უძრაობის პერიოდში დამკვიდრებული ტრადიციის თანახმად, საქმიანი სამეცნიერო კრიტიკა ერთობ დათრგუნული იყო. ბატონი ლეო იყო პირველი, ვინც ინსტიტუტში წამოიწყო სამეცნიერო ნაშრომების მაღალპროფესიული, საქმიანი განხილვა. იმ დროს ბევრისთვის კრიტიკა პირადი შეურაცხყოფის ტოლფასი იყო და მათი რეაქცია ბატონი ლეოს მეცნიერული და მოქალაქეობრივი პოზიციის მიმართ თვალშისაცემი აგრესიულობით გამოირჩეოდა: როცა ადამიანს საკმარისი სამეცნიერო არგუმენტები არა აქვს, იგი, როგორც წესი, თავად გადადის შეტევაზე, თანაც არც თუ ყოველთვის დასაშვები ეთიკური ნორმების დაცვით. მიუხედავად ამისა, ბატონი ლეო ბოლომდე ინარჩუნებდა სიდარბაისლესა და მეცნიერული კრიტიკის აღებულ კურსს, რაც უდიდესი მაგალითის მიმცემი იყო მეცნიერ-ეკონომისტთა ახალგაზრდა თაობისთვის.

სულ მალე მას შემდეგ, რაც პროფესორი ლეო ჩიქავა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილედ მოვიდა, ის გახდა ერთი მეტად უხერხული დაპირისპირების "მსხვერპლი". საქმე ის არის, რომ უკვე არაერთი ათეული წელი მიდიოდა აბსოლუტურად უაზრო, მათი ღირსებისთვის შეუფერებელი და მეცნიერებისთვის ხელშემშლელი დაპირისპირება წამყვან

ქართველ ეკონომისტებს შორის. დღეს არა მარტო ძნელია, არამედ აბრიც კი არა აქვს იმის გარკვევას, თუ ვინ იყო და რამდენად იყო მართალი ამ დაპირისპირებაში. რაც შეეხება ბატონ ლეოს, ბედმა ის ამ დაპირისპირების ეპიცენტრში მოახვედრა, როცა ის როგორც აკადემიკოსი პაატა გუგუშვილის მოწაფე და აკადემიკოსი ავთანდილ გუნიას მოადგილე ამ უკანასკნელმა დააყენა არჩევანის წინაშე, თუ ვის მხარეზე უნდა დამდგარიყო. სამწუხაროდ, ეს ცნობილი ეკონომისტები უკვე ძალზედ დიდი ხანი იყვნენ დაპირისპირებულ ეკონომისტთა სხვადასხვა ბანაკის ლიდერები, თუმცა, იმ დროს ფორმალურად „გამარჯვებულის" (თუ კი ეს სიტყვა ამ კონტექსტში გამოსადეგია) როლში აკადემიკოსი ავთანდილ გუნია იყო, რომელსაც ინსტიტუტის დირექტორის პოსტზე ამ ინსტიტუტის დამაარსებელი აკადემიკოსი პაატა გუგუშვილი ჰყავდა შეცვლილი. ბატონმა ლეომ სცადა შეერიგებინა ორი აკადემიკოსი, თუმცა, მისი ეს მცდელობა, როგორც მოსალოდნელი იყო, სამწუხაროდ, წარუმატებელი აღმოჩნდა. მთავარი კი მაინც ისაა, რომ ბატონმა ლეომ არამარტო არ უღალატა თავის მასწავლებელს, არამედ ამით მან ქართველ ეკონომისტებში ხსენებული გაუმართლებელი დაპირისპირების შემდგომ თაობებში შესაძლო გაგრძელებას დაუსვა წერტილი. სამაგიეროდ იმის გამო, რომ ბატონი ლეო გვერდზე არ დაუდგა აკადემიკოს ავთანდილ გუნიას აკადემიკოს პაატა გუგუშვილთან დაპირისპირებაში, ის მოგვიანებით „დაისაჯა" კიდეც, როცა მოქმედმა დირექტორმა ხელი შეუშალა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიაში არჩევასა და ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის დირექტორად გახდომაში.

პროფესორი ლეო ჩიქავას ერთგულება მისი მასწავლებლის აკადემიკოს პაატა გუგუშვილისადმი იმაშიც გამოიხატა, რომ ამ უკანასკნელის გარდაცვალების შემდეგ ბატონმა ლეომ იტვირთა საქართველოში დემოგრაფიული მეცნიერების გაძღოლა: მისი ძალისხმევით საქართველოს მეცნიერებათა აკადემიაში გაიხსნა შესაბამისი ინსტიტუტი, რომლის პირველი დირექტორი წლების განმავლობაში სწორედ ბატონი ლეო გახლდათ.

თანამედროვე ქართველ ეკონომისტთა შორის ძნელად თუ მოიძებნება მეორე ისეთი, რომელიც ისევე კარგად ფლობდეს ქართულ ლიტერატურულ ენას როგორც ბატონი ლეო. აქედან გამომდინარე, არც ის უნდა იყოს გასაკვირი, რომ სწორედ მან იტვირთა მისი მასწავლებლების აკადემიკოსების პაატა გუგუშვილისა და ვასილ ჩანტლაძის ეკონომიკური ტერმინოლოგიის ხელნაწერის სახით დატოვებული მემკვიდრეობის თავმოყრა, განახლება, შევსება და გამოცემა. ეს წიგნი ქართველ ეკონომისტთა სხვადასხვა თაობების ერთობლივი შრომის თვალსაჩინო ნიმუშია.

მუდამ დაუღალავი, ბუნებით შემოქმედი, უდიდესი პასუხისმგებლობის გრძნობით აღსავსე, ბრწყინვალე ორატორი, შესანიშნავი მასწავლებელი და მეგობარი, სწორედ ასე აღიქვამენ პროფესორ ლეო ჩიქავას მისი კოლეგები და სტუდენტი-ასალგაზრდობა. დარწმუნებული ვარ, რომ ის კიდევ არაერთხელ შემოგვთავაზებს მის კოლეგებს ახალ მეცნიერულ პუბლიკაციებს და ამით გაამდიდრებს ქართულ ეკონომიკურ აზრს.

**ვლადიმერ პაპავა**
ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი, საქართველოს მეცნიერებათა
ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტი

# 4. გამორჩეული ქართველი მეცნიერ-ეკონომისტი

ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ლეო ჩიქავა საქართველოში იმ გამორჩეულ მეცნიერ-ეკონომისტთა თაობას განეკუთვნება, რომლებმაც წარუშლელი წვლილი შეიტანეს ეროვნული მეცნიერების განვითარებაში.

ბატონი პროფესორი როგორც ფიზიკურად, ისე შემოქმედების თვალსაზრისით კელავ ახალგაზრდულად გამოიყურება, სხვაგვარად როგორ შეიძლება შეუასდეს სულ ახლახან გამოცემული აქტუალური ნაშრომის – **„ინოვაციური ეკონომიკის“** ავტორი?

ცნობილი მეცნიერის მიერ გამოქვეყნებული ნაშრომების ისტორიული ანალიზი მეტად საინტერესოა, მაგრამ შორს წაგვიყვანს. მის მონოგრაფიებსა და სახელმძღვანელოებზე რომ არაფერი ვთქვათ, განა შეიძლება საქართველოში ეკონომიკური პრობლემების კვლევა, აკადემიკოსებთან პ. გუგუშვილთან და ვ. ჩანტლაძესთან ერთად, ბატონი ლეოს თანააავტორობით გამოცემული სამაგიდო წიგნის **„ეკონომიკური ტერმინოლოგიის“** გარეშე? ანდა, არსებობს დემოგრაფიაში რაიმე მნიშვნელოვანი პრობლემა, რომელსაც მისი კალამი ავტორიტეტულად არ შესებოდეს?

ერთეულების ხვედრია უამრავი სტუდენტისა და მომავალი მეცნიერის მაღალ-პროფესიონალურ დონეზე აღზრდა-დაკვალიანება. ამ მხრივ, ბატონი ლეოს მოღვაწეობა სამაგალითოა ქართველ სწავლულ-ეკონომისტთათვის.

თვალსაჩინოა პროფესორ ლეო ჩიქავას ორგანიზაციული მუშაობის შედეგები კათედრის გამგის, სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მეთაურის, დისერტაციების დაცვის საბჭოს თავმჯდომარისა თუ ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტის თანამდებობაზე მუშაობისას.

ბატონი ლეო ჩიქავა გამოირჩევა ინტელექტუალური და გვერდში დგომის უნარით, დასვეწილი მეტყველებით, ღრმა მეცნიერული ცოდნით, მოწესრიგებული გარეგნობით, ახლებუ-

რი აზროვნებით, შესანიშნავი ოჯახით.

ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ ლეო ჩიქავას მრავალმხრივი სამეცნიერო მოღვაწეობის შედეგები ღირსეულად და დამსახურებულად დაფასდა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრად არჩევით.

80 წლის იუბილე ფრიად მნიშვნელოვანია, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც დაგროვილი მდიდარი ცოდნით კვლავაც შეგწევს ახალი შემოქმედებითი წარმატებების მიღწევის უნარი. მჯერა, რომ პროფესორ ლეო ჩიქავას მომავალი შემოქმედებითი საქმიანობა სწორედ ამ მიმართულებით წარიმართება.

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტს, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორ ლეო ჩიქავას ვულოცავ დაბადებიდან 80 წლის საიუბილეო თარიღს, ვუსურვებ ჯანმრთელობას და ახალ შემოქმედებით წარმატებებს.

ღრმა პატივისცემით

**ავთანდილ სილაგაძე**
საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული
აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, პროფესორი
2008 წელი

# 5. ჩვენი მასწავლებელი და მეგობარი

ჩემი ცხოვრებისა და მოღვაწეობის მიზანდასახულობა დიდად განაპირობა იმან, რომ თბილისის მაშინდელი მეთხუთმეტე საშუალო სკოლის პირველი კლასის მერხიდან ემეგობრობდი ჩემთვის ერთ-ერთ ყველაზე ძვირფას ადამიანთან, დიდი სიმონ ჯანაშიას ვაჟთან — ლაშა ჯანაშიასთან. როგორც ჩანს, ამ მეგობრობამ ჩამოაყალიბა ჩემი შემდგომი ცხოვრების ინტერესთა სფერო, რის გამოც, ჩვენ ერთად დავიწყეთ სწავლა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტზე. აქ ჩვენ გვმოძღვრავდნენ ქართული წარსულის ცნობილი მკვლევარები — ნიკოლოზ ბერძენიშვილი, შოთა მესხია, მაქსიმე ბერძნიშვილი, გიორგი ნიორაძე, მარიამ ლორთქიფანიძე, ალექსანდრე (ლალი) ჯავახიშვილი, ოთარ ჯაფარიძე და სხვ. მაგრამ ჩვენ გვქონდა ბედნიერება, მეცნიერების ამ კორიფეებთან ერთად, მოგვესმინა შედარებით ახალგაზრდა თაობის წარმომადგენელთა ლექციებიც, რამაც წარუშლელი კვალი დატოვა და დიდად გამოგვადგა ჩვენს შემდგომ სამეცნიერო მუშაობაში. ასეთთა შორის პირველ რიგში მინდა დავასახელო ლეო ჩიქავა, ამჟამად უკვე ღვაწლმოსილი მეცნიერი და ცნობილი საზოგადო მოღვაწე.

მესამე კურსზე, იმ შორეულ 1952 წელს, ლექციების კურსის წასაკითხად შემოვიდა სანდომიანი ქართველი კაცი — ლეო ჩიქავა, რომელიც, როგორც შემდეგ გაირკვა, ჩვენზე სულ ორი წლით იყო უფროსი, ე.ი. გახლდათ 24 წლის ყმაწვილი.

გულახდილად უნდა ვაღიარო, რომ თავდაპირველად ჩვენ მას დიდი ენთუზიაზმით არ შევხვედრივართ. ამის მიზეზი, როგორც ჩანს, პირველ რიგში ის იყო, რომ მასწავლებლის რანგში შემოვიდა თითქმის ჩვენი ტოლი პიროვნება. ამასთან ერთად, ჩვენში დიდ ინტერესს არ იწვევდა თვით საგნის — პოლიტიკური ეკონომიის შინაარსიც, რომელიც იმ პერიოდში, დიალექტიკურ მატერიალიზმთან ერთად, აუცილებელ ლექციათა კურსის ჩამონათვალით იყო გათვალისწინებული.

საგნისა და მისი ლექტორისადმი ასეთი ერთგვარი გულგრილი დამოკიდებულება დიდხანს არ გაგრძელებულა. თანდათან ყველაფერი შეიცვალა და, როგორც იტყვიან, თავის კალაპოტში ჩადგა. ლეო ჩიქავამ, მისთვის დანათლული ნიჭიერებით, ფართო ერუდიციითა და ადამიანური მომხიბველობით, შეძლო დავეინტერესებინეთ მეცნიერების ამ ჩვენთვის ნაკლებად მიმზიდველ დარგში. დღევანდელი თვალსაწიერით თუ შევხედავ, სრულიად გულწრფელად მინდა ვთქვა, რომ ეკონომიკურ მეცნიერებაში მაშინ შეძენილი ცოდნა დღესაც მაძლევს საშუალებას უფრო ღრმად ვიაზროვნო და უკეთ გავერკვე საქართველოს უძველესი საზოგადოების სოციალ-ეკონომიკურ პრობლემებში.

ამჟამად ბატონი ლეო როგორც საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტი და მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, ჩვენი განუყრელი მეგობარია. მე და ჩემს თანაკურსელებს დიდ სიამოვნებას გვგვრის ის, რომ ჩვენი ყოფილი მასწავლებლის – დღეისთვის ღვაწლმოსილი მეცნიერისა და დიდად დაფასებული საზოგადო მოღვაწის გვერდიგვერდ გვიწევს საქმიანობა ჩვენი ქვეყნისა და ერის საკეთილდღეოდ.

ამ ბრწყინვალე მამულიშვილს ვულოცავ დაბადებიდან 80 წლის საიუბილეო თარიღს და ვუსურვებ დიდხანს სიცოცხლესა და ჯანმრთელობას, რომელიც ღვთის წყალობით არ აკლია, მისი მსგავსი მოაზროვნე პიროვნებები საქართველოს ძალიან სჭირდება და იმედი მაქვს ჩვენი იუბილარიც კიდევ დიდხანს შეძლებს თავის ქვეყანაზე ფიქრსა და ზრუნვას.

**კიაზო ფიცხელაური**
საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული
აკადემიის წევრ-კორესპონდენტი,
ისტორიულ მეცნიერებათა
დოქტორი, პროფესორი
20.02.2008.

საქართველოში დაინახა და შეაფასა ახალგაზრდა და მსოფლიოში სულ უფრო სწრაფად განვითარებადი მეცნიერების — დემოგრაფიის მნიშვნელობა. მან ენერგიულად გააგრძელა და ახალი სიცოცხლე მიანიჭა მისი დიდი მასწავლებლის, აკადემიკოს პაატა გუგუშვილის მიერ დაწყებულ საქმეს და უდიდესი ძალისხმევით შეძლო ჯერ (1990 წელს) დემოგრაფიის სოციალ-ეკონომიკური პრობლემების კვლევის ცენტრის, ხოლო 1991 წელს, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სისტემაში, დემოგრაფიისა და სოციოლოგიური კვლევის ინსტიტუტის ჩამოყალიბება. მხოლოდ მის თავდადებას, უშრეტ ენერგიასა და შეუპოვრობას შეეძლო ამის გაკეთება, თანაც მაშინ, როდესაც ქვეყანაში საყოველთაო ნგრევის, ქაოსისა და სამოქალაქო დაპირისპირების ატმოსფერო სუფევდა. მისი ავტორიტეტითა და ღვაწლით, ინსტიტუტი სულ მოკლე დროში იქცა თანამედროვე დემოგრაფიული კვლევების სერიოზულ, საერთაშორისოდ აღიარებულ ცენტრად. ამაში მას ხელი ვერ შეუშალა იმანაც, რომ როგორც მაშინ, ისევე დღესაც, ბევრს არ ესმის დემოგრაფიული პრობლემების გადაწყვეტის უდიდესი მნიშვნელობა დამოუკიდებელი ქვეყნის მდგრადი განვითარებისა და მისი ეროვნული უსაფრთხოების საიმედო სისტემის შექმნაში. ბატონმა ლეომ დროს მაშინაც გაუსწრო.

მეცნიერული კვლევის დიდ ნიჭსა და ერუდიციასთან, საგანგებო ორგანიზატორულ უნართან ერთად, ბატონმა ლეომ ასეთი გრანდიოზული ღვაწლის გაწევა, უპირველეს ყოვლისა, განუმეორებელი ადამიანური, პიროვნული თვისებების შემწეობითაც შეძლო. მის ბევრ სხვა, უაღრესად კეთილშობილურ თვისებასთან ერთად, ჩემი აზრით, ყველაზე გამორჩეული მისი დიდი კეთილმოსურნეობა და ადამიანების სიყვარულია. ის ქრისტიანული თავდადებითა და სიყვარულით პასუხობს იმათაც, ვინც შესაძლოა ამას მისგან არც იმსახურებდეს. უაღრესად პრინციპული და შეუვალია, როცა ამას სამართლიანობა მოითხოვს, მაგრამ საოცრად კეთილი და მზრუნველია ყველას მიმართ. მე წილად მხვდა დიდი ბედნირება, მისგან უსვად მიმეღო სითბო და თანადგომა მაშინ, როდესაც ახლადჩამოყალიბებულ ინსტიტუტში მეცნიერ-თანამშრომლად მიმი-

რობა. მათი ერთ-ერთი ბრწყინვალე წარმომადგენელი ბატონი ლეო ბრძანდება.

სიახლის ძიება პროფესორ ლეო ჩიქავას მეცნიერული შემოქმედებისთვის ყოველთვის მთავარი დამახასიათებელი თვისება იყო. უთუოდ, თანამედროვე, მასშტაბური აზროვნების ნიმუშია მისი ერთ-ერთი ფუნდამენტური ნაშრომიც – **„ინოვაციური ეკონომიკა“**. ქართველ მეცნიერთაგან ის ერთ-ერთი ყველაზე პირველი შეეჭიდა იმ პრობლემათა კვლევასა და განხილვას, საჯარო პოლემიკისთვის წამოწევას, რომლებიც დღეს, თანამედროვე, 21-ე საუკუნის მსოფლიო მეცნიერებისა და თუ გნებავთ მსოფლიო პოლიტიკის წინაშე დგას, ის ერთ-ერთი პირველი ასაბუთებს მეცნიერულად, რომ ინოვაციური, ანუ ცოდნაზე დამყარებული ეკონომიკა, ეს არის ცივილიზაციის ახალი ეტაპი, რომელშიც მსოფლიო საზოგადოება თანდათან შედის. დღევანდელ პოსტინდუსტრიულ საზოგადოებაში მთავარ სიმდიდრედ, მართლაც, ცოდნა და განათლება ითვლება.

დღეს მსოფლიო მეცნიერება და პოლიტიკური აზრი დაკავებულია ახალი პოლიტიკური იდეოლოგიებისა და თეორიების ძიებით. კრიტიკულად იაზრებენ ლიბერალურ დემოკრატიას, კონსერვატიზმს, გათანამედროვებულ სოციალ-დემოკრატიას. სულ რამდენიმე წლის წინ ახალმა დემოკრატებმა შეერთებულ შტატებში, ახალმა ლეიბორისტებმა დიდ ბრიტანეთში, გერმანიის, იტალიის, საფრანგეთისა და სხვა ქვეყნების მეცნიერებმა, პოლიტოლოგებმა, ეკონომისტებმა, სოციოლოგებმა განაცხადეს ის, რის შესახებაც ბატონი ლეოც შესანიშნავად წერს, რომ კაპიტალიზმი ტრანსფორმირდა **„ცოდნის ეკონომიკაში“**, რომელიც დაფუძნებულია ინოვაციურ ტექნოლოგიებზე, მაღალკვალიფიციური, საერთაშორისო მასშტაბით კონკურენტუნარიანი, მობილური სპეციალისტების მომზადებასა და საერთოდ მეწარმეობის წახალისებაზე. უაღრესად თანამედროვე და აქტუალურია ბატონი ლეოს მიერ ამ ნაშრომში მოცემული ორიგინალური კონცეფცია კვალიფიციური სამუშაო ძალისა და საერთოდ ცოდნის სახმარი და საცვლელი ღირებულების შესახებ.

უფრო ადრე კი, ბატონმა ლეომ, ერთ-ერთმა პირველმა

საქართველოში დაინასა და შეაფასა ახალგაზრდა და მსოფლიოში სულ უფრო სწრაფად განვითარებადი მეცნიერების – დემოგრაფიის მნიშვნელობა. მან ენერგიულად გააგრძელა და ახალი სიცოცხლე მიანიჭა მისი დიდი მასწავლებლის, აკადემიკოს პაატა გუგუშვილის მიერ დაწყებულ საქმეს და უდიდესი ძალისხმევით შეძლო ჯერ (1990 წელს) დემოგრაფიის სოციალ-ეკონომიკური პრობლემების კვლევის ცენტრის, ხოლო 1991 წელს, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სისტემაში, დემოგრაფიისა და სოციოლოგიური კვლევის ინსტიტუტის ჩამოყალიბება. მხოლოდ მის თავდადებას, უშრეტ ენერგიასა და შეუპოვრობას შეეძლო ამის გაკეთება, თანაც მაშინ, როდესაც ქვეყანაში საყოველთაო ნგრევის, ქაოსისა და სამოქალაქო დაპირისპირების ატმოსფერო სუფევდა. მისი ავტორიტეტითა და ღვაწლით, ინსტიტუტი სულ მოკლე დროში იქცა თანამედროვე დემოგრაფიული კვლევების სერიოზულ, საერთაშორისოდ აღიარებულ ცენტრად. ამაში მას ხელი ვერ შეუშალა იმანაც, რომ როგორც მაშინ, ისევე დღესაც, ბევრს არ ესმის დემოგრაფიული პრობლემების გადაწყვეტის უდიდესი მნიშვნელობა დამოუკიდებელი ქვეყნის მდგრადი განვითარებისა და მისი ეროვნული უსაფრთხოების საიმედო სისტემის შექმნაში. ბატონმა ლეომ დროს მაშინაც გაუსწრო.

მეცნიერული კვლევის დიდ ნიჭსა და ერუდიციასთან, საგანგებო ორგანიზატორულ უნართან ერთად, ბატონმა ლეომ ასეთი გრანდიოზული ღვაწლის გაწევა, უპირველეს ყოვლისა, განუმეორებელი ადამიანური, პიროვნული თვისებების შემწეობითაც შეძლო. მის ბევრ სხვა, უაღრესად კეთილშობილურ თვისებასთან ერთად, ჩემი აზრით, ყველაზე გამორჩეული მისი დიდი კეთილმოსურნეობა და ადამიანების სიყვარულია. ის ქრისტიანული თავდადებითა და სიყვარულით პასუხობს იმათაც, ვინც შესაძლოა ამას მისგან არც იმსახურებდეს. უაღრესად პრინციპული და შეუვალია, როცა ამას სამართლიანობა მოითხოვს, მაგრამ საოცრად კეთილი და მზრუნველია ყველას მიმართ. მე წილად მხვდა დიდი ბედნირება, მისგან უხვად მიმეღო სითბო და თანადგომა მაშინ, როდესაც ახლადჩამოყალიბებულ ინსტიტუტში მეცნიერ-თანამშრომლად მიმი-

ღო და მაშინაც, როდესაც მისი მკაცრი, მომთხოვნი, მაგრამ უაღრესად კეთილმოსურნე ხელმძღვანელობით შევძელი ინსტიტუტში დამეცვა ჯერ საკანდიდატო, ხოლო შემდეგ სადოქტორო დისერტაციები. ყურადღებას, თანადგომას, ზრუნვას მისგან ვგრძნობ დღესაც. დარწმუნებული ვარ, ამასვე გრძნობენ მისი უამრავი მოწაფეები, კოლეგები, მეგობრები. ის დღესაც ყველას შემართების, შეუპოვრობის, ქვეყნისთვის თავდადებული მოღვაწეობის დიდ გაკვეთილებს გვაძლევს.

ბატონო ლეო, უდიდესი პატივისცემითა და სიყვარულით გილოცავთ იუბილეს. დარწმუნებული ვარ, თქვენი დიდად გამორჩეული ნიჭი, ენერგია და შემოქმედება კიდევ ბევრ წარმატებას მოუტანს ქართულ მეცნიერებას, ქართულ სახელმწიფოს.

ღმერთმა დიდი ბედნიერება, ჯანმრთელობა და სიყვარული მოგანიჭოთ კიდევ მრავალი წლის მანძილზე, თქვენს შესანიშნავ ოჯახთან ერთად.

**ვაჟა ლორთქიფანიძე**
ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი, საქართველოს დემოგრაფთა
ასოციაციის პრეზიდენტი
22.12.2007

# 7. გამორჩეული მეცნიერი, აღმზრდელი და საზოგადო მოღვაწე

გამორჩეულ მეცნიერს, აღმზრდელსა და საამაყო მამულიშვილს, სახელმოხვეჭილ ეკონომისტსა და საზოგადო მოღვაწეს, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტს, მეცნიერების დამსახურებულ მოღვაწეს, საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტს ლეო ჩიქავას დაბადებიდან 80 წლისთავი შეუსრულდა.

ლეო ჩიქავა სამეცნიერო ასპარეზზე გამოვიდა ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც ქართული ეკონომიკური მეცნიერების ჩამოყალიბება-განვითარების კეთილშობილურ საქმეს შეჭიდებულნი იყვნენ ისეთი ცნობილი მეცნიერები, როგორებიც იყვნენ პროფესორები პაატა გუგუშვილი, ნიკოლოზ ქოიავა, ვასილ ჩანტლაძე, ირაკლი მიქელაძე, ნიკოლოზ იაშვილი, ვალერიან მელქაძე, ივანე ჯაში, პეტრე ქღენტი და სხვ.

ბატონი ლეოს სასახელოდ უნდა ითქვას, რომ იგი არა მარტო ამოუდგა გვერდში მეცნიერების ამ რაინდებს ქართული ეკონომიკური მეცნიერების განვითარებისთვის შემოქმედებით საქმიანობაში, არამედ სრულიად ახალგაზრდამ საზოგადოების ყურადღება მიიპყრო, დიდი ავტორიტეტი მოიხვეჭა და ანგარიშგასაწევი ძალა გახდა.

პროფესორი ლეო ჩიქავა გამორჩეული ქართველი ეკონომისტია, მისი პოპულარობა არა მხოლოდ მეცნიერთა წრეში, ფართო საზოგადოებაშიცაა აღიარებული.

ლეო ჩიქავა ერთ-ერთი უთვალსაჩინოესი ფიგურაა ქართულ ეკონომიკურ მეცნიერებაში, თავისი ნათლად გამოკვეთილი თვისებებით.

ბატონი ლეო ფართო დაპაზონის მეცნიერ-მკვლევარია. იგი ავტორია მრავალრიცხოვანი გამოქვეყნებული მონოგრაფიის, სახელმძღვანელოს, დამხმარე სახელმძღვანელოს და სამეცნიერო სტატიისა, რომლებიც ეხება მიკრო, მაკრო, მეზო და მეგაეკონომიკის მრავალ აქტუალურ საკითხს. მის კალამს ეკუთვ-

ნის 160-ზე მეტი გამოქვეყნებული ნაშრომი. იგი ავტორია ეკონომიკური თეორიის, საზოგადოებრივი აზრის განვითარების, დემოგრაფიის, ქართული ეკონომიკური ტერმინოლოგიის და სხვა საკითხებზე გამოქვეყნებული საფუძვლიანი გამოკვლევებისა. საყოველთაოდ ცნობილი და აღიარებულია ლ. ჩიქავას გამოკვლევები დემოგრაფიულ პრობლემებზე. მკითხველთა განსაკუთრებით დიდ ინტერესს იწვევს 2006 წელს მის მიერ გამოცემული მონოგრაფია – „ინოვაციური ეკონომიკა" და ა.შ.

პროფ. ლ. ჩიქავას ნაყოფიერი მუშაობა აღსანიშნავია აგრეთვე იმ მხრივ, რომ მან ჩვენს სტუდენტ-ახალგაზრდობას მისცა მშობლიურ ენაზე დაწერილი მაღალკვალიფიციური დამხმარე სახელმძღვანელო ეკონომიკურ თეორიაში.

პროფ. ლ. ჩიქავამ საკმაოდ დიდი მუშაობა გასწია, აგრეთვე, ეკონომიკის ტერმინოლოგიის დამუშავების ხაზით. მიიღო აქტიური მონაწილეობა რუსულ-ქართული და ქართულ-რუსული ეკონომიკური ტერმინოლოგიის შემუშავებაში.

მისი ნაშრომები მართლაც გამორჩეულია გამოყენებული ლიტერატურის სიუხვისა და მეცნიერული სიღრმის თვალსაზრისით. ისინი ყურადღებას იქცევენ კვლევა-ძიების მაღალი დონით და წერის საკუთარი სტილით, მრავალმხრივი განათლებითა და აზროვნების სიღრმით.

ბატონი ლეო ერთ-ერთი პოპულარული და აღიარებული ქართველი ეკონომისტია, აქტიური მონაწილეობა აქვს მიღებული მრავალი რესპუბლიკური, საკავშირო თუ საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მუშაობაში. იგი აქტიურად მონაწილეობს ეკონომიკისა და დემოგრაფიის პრობლემებზე გამართულ დისკუსიებში და თვალსაჩინო წვლილი შეაქვს მეცნიერული ჭეშმარიტების დადგენაში.

ლეო ჩიქავა როგორც მეცნიერულ, ისე პედაგოგიურ სარბიელზე ერთგულებითა და მაღალი ზნეობრიობის პრინციპით მოღვაწეობს. გამორჩეული მეცნიერი და საზოგადო მოღვაწეა. დიდი პოპულარობით სარგებლობს არა მარტო საქართველოში, არამედ უცხოეთშიც, იცნობენ როგორც მეცნიერს და მეცნიერების ორგანიზატორს.

ბატონ ლეოს როგორც მეცნიერისა და მეცნიერების ორგანიზატორის დამსახურებათა შორის განსაკუთრებით ხაზგასმას საჭიროებს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სისტემაში დემოგრაფიისა და სოციოლოგიური კვლევის ინსტიტუტის დაარსება. ბატონი ლეო საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის ერთ-ერთი დამაარსებელი, მისი პირველი და უცვლელი პრეზიდენტია. არის მრავალი ახალი სამეცნიერო თუ ორგანიზაციული ღონისძიებების წამომწყები და თავკაცი.

ნახევარ საუკუნეზე მეტია რაც ლეო ჩიქავა ლექციებს კითხულობს განუწყვეტელი სტაჟით, დიდი ცოდნითა და ენთუზიაზმით. მან აღუზარდა თეორიული და პრაქტიკული ცოდნით შეიარაღებული მრავალი მუშაკი ქვეყნის ეროვნული მეურნეობისა და კულტურის სხვადასხვა დარგს. მრავალი მისი აღზრდილი მუშაობს სხვადასხვა დარგის ხელმძღვანელ პოსტებსა და საპასუხისმგებლო თანამდებობებზე.

პროფ. ლეო ჩიქავას უდიდესი წვლილი მიუძღვის სწავლულ ეკონომისტთა კადრების მომზადების უაღრესად კეთილშობილურ საქმეში. დღეისთვის სწავლულ ეკონომისტთა შორის ბევრია მისი ყოფილი ასპირანტი და მაძიებელი, რომლებიც ქართული ეკონომიკური მეცნიერების განვითარების და სტუდენტი-ახალგაზრდობის აღზრდის უაღრესად პასუხსაგებ საქმეს ისეთივე კეთილსინდისიერებით ეკიდებიან, როგორც მათი დიდი მასწავლებელი ბატონი ლეო. მისი უშუალო ხელმძღვანელობით საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაციები მოამზადა და დაიცვა 40-ზე მეტმა ასპირანტმა და მაძიებელმა.

ლეო ჩიქავა ეწევა აქტიურ საზოგადოებრივ მოღვაწეობას, იყო და არის მრავალი სამეცნიერო საბჭოს წევრი. მიღებული აქვს ჯილდოები. მიენიჭა საქართველოს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის საპატიო წოდება, დაჯილდოებულია ღირსების ორდენით.

მეტად მნიშვნელოვანი და საინტერესოა მისი ღრმაშინაარსიანი კრიტიკული, მაგრამ უაღრესად კორექტული და ობიექტური რეცენზიები საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაციებზე. დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ ბ-ნი ლეოს პიროვნული ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მასასიათებელია მა-

ღალმომთხოვნელობასთან პუმანური დამოკიდებულებისა და მიმტევებლობის შეხამება.

ბატონი ლეო არავის უნახავს გაბრაზებული და გაბოროტებული, თავის მოწინააღმდეგეს არასოდეს შეკამათებია აღშფოთებით. ადამიანურ ურთიერთობებში საიმედო და უღალატო კაცია. გამოირჩევა ადამიანებთან ურთიერთოებების სამაგალითო სტილით. იგი მისაბაძი ხასიათით, მაღალი ზნეობრიობითა და სხვა მაღალი ადამიანური ღირსებებით შემკული პიროვნებაა. ნიჭიერებით გამოირჩეული ძლიერი კაცური კაცია სუფთა ბიოგრაფიით.

ლეო ჩიქავა ეკუთვნის დიდი მამულიშვილისა და მეცნიერის პაატა გუგუშვილის გამორჩეულ მოწაფეთა იმ კოჰორტას, რომელიც დგას ეკონომიკური მეცნიერების განვითარების საფარაჯოზე.

გადაჭარბებული არ იქნება თუ ვიტყვი, რომ თავის უაღრესად შინაარსიანი და მრავალწახნაგოვანი მეცნიერული მემკვიდრეობის მეოხებით მან მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ქართული ეკონომიკური მეცნიერების განვითარებაში.

დიდხანს იცოცხლე და იდღეგრძელე ბატონო ლეო!

**ამირან ჯიბუტი**
ეკონომიკურ მეცნიერებათა
დოქტორი, პროფესორი.
20.02.2008.

# 8. ჩემი მეგობარი — ლეო ჩიქავა დიდი მეცნიერი, დიდი პედაგოგი, დიდი საზოგადო მოღვაწეა

ჩემი და ლეო ჩიქავას ნაცნობობა, რომელიც სტუდენტობის დროიდან დაიწყო, მერე და მერე მეგობრობაში — ადამიანთა სულიერი ერთიანობის უმაღლეს ფორმაში გადაიზარდა. მე დღეს ხმამაღლა შემიძლია ვთქვა: ჩვენი მეგობრობა ეფუძნება მსოფლმხედველობრივ ერთიანობას, ცხოვრებისა და მუშაობის მეტნაკლებ იდენტურობას და პირად სიმპატიებს. ჩვენი ჭეშმარიტი მეგობრობის მამოძრავებელი მოტივი იყო, არის და შემდგომშიც იქნება არა ურთიერთსარგებლიანობა, არამედ ურთიერთსიყვარული.

მეგობრობა, როგორც ცნობილია, არახალია. მეგობრობის იდეა შორეულ წარსულში იშვა. მის ცნებას ხანგრძლივი ისტორია აქვს. მეგობრობის მწყობრი ლოგიკური მოძღვრება მოცემულია არისტოტელეს „ნიკომაქეს ეთიკაში", ბერძენ და რომაელ სტოელებთან. ახალ დროში მეგობრობის ფსიქოლოგიური ასპექტი გაშუქებული აქვს მიშელ მონტენს, ხოლო რაციონალურ-გამოყენებითი ასპექტი — ჰელვეციუსს. ჩვენ, მე და ბატონმა ლეომ, ეს და მასშემდგომდროინდელი „მეგობრობის" განვითარების ისტორიაც ვიცით და ამიტომაც არამარტო ვიცავთ მეგობრობის ფასეულობის პრინციპებს, არამედ ვართ რეალური მეგობრობის მაგალითის მიმცემიც.

ამიტომ ქვემოთ რასაც ვიტყვი ჩემს მეგობარზე — ბატონ ლეო ჩიქავაზე, ვიტყვი ჭეშმარიტების საზღვრებში. ლეო ჩიქავამ — ჯერ კიდევ სკოლის მოსწავლემ, აგრეთვე, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტმა და ასპირანტმა როგორც სწავლაში, ისე ადამიანებთან ურთიერთობასა და საზოგადოებრივ საქმიანობაში ფართოდ გაითქვა სახელი საქართველოს მასშტაბით; შემდეგ კი როგორც უმაღლესი სასწავლებლის პედაგოგმა, მეცნიერების კანდიდატმა და დოცენტმა — ყოფილი სსრ კავშირის ყვე-

ლა რესპუბლიკაში; შემდეგ და შემდეგ როგორც მეცნიერების დოქტორმა და პროფესორმა – მთელ მსოფლიოში.

ესოდენ დიდი წარმატება ბალღობიდან მოყოლებული ასაკის ყველა მონაკვეთში ლეო ჩიქავას მოუტანა წიგნისადმი სიყვარულმა. იგი ყოველთვის წიგნთან იყო, წიგნი კი მასთან. საიდან და როდის არ ვიცი, მაგრამ ვიცი ის, რომ ბატონმა ლეომ სკოლის მერხიდანვე კარგად იცოდა ალფონს დოდეს ნათქვამი: „წიგნები – საუკეთესო მეგობრები არიან, ცხოვრების ყოველ მონაკვეთში შეგიძლია მათ მიმართოთ, წიგნები არასოდეს ღალატობენ“, იცოდა, აგრეთვე, შეგონებანი ჯორდანო ბრუნოსი – „ყოველი კარგი წიგნი თვალწინ გვიშლის ახალ სამყაროს“, სამუელ სმაილსისა – „წიგნებს აქვს უკვდავების უნარი. წიგნი ადამიანის საქმიანობის ყველაზე უფრო დღეგრძელი ნაყოფია“, ფრენსის ბეკონისა – „წიგნები აზრის ხომალდებია, ქამთა ტალღებში რომ მიცურავენ და ზრუნვით გადასცემენ ძვირფას ტვირთს თაობიდან თაობას“. იცოდა, იცოდა წიგნზე სხვა სწავლულთა შეხედულებანიც და მისი პირადი საოჯახო ბიბლიოთეკაც საოცრად მდიდარი იყო ყმაწვიოლკაცობამდეც, აგრეთვე, ყმაწვილკაცობის, ზრდასრულობის, ასპირანტობის, დოცენტობის დროსაც. მისი პირადი ბიბლიოთეკა განსაკუთრებით გამდიდრდა შემდეგ და შემდეგ თვით ბატონი ლეოს, როგორც მეცნიერების დოქტორის, პროფესორის მიერ დაწერილი და გამოქვეყნებული აურაცხელი პუბლიცისტური და წმინდა სამეცნიერო ხასიათის სტატიებით, რეფერატებით, ლექციათა კურსებით, დამხმარე სახელმძღვანელოებით, სახელმძღვანელოებით, მონოგრაფიებით.

ქართულ და უცხო ენებზე გამოქვეყნებული ბატონი ლეოს ნაშრომები უმთავრესად ეძღვნება ეკონომიკურ თეორიას, საქართველოს ეკონომიკას, დემოგრაფიას. მათ შორის განსაკუთრებით დიდმნიშვნელოვანია 2005 და 2006 წლებში გამოცემული წიგნები: „ეკონომიკური თეორიის მოკლე კურსი“ და „ინოვაციური ეკონომიკა“. ჩვენი აზრით, როგორც ერთი, ისე მეორე მსოფლიო ეკონომიკური ლიტერატურის არსენალის ძვირფასი შენაძენია.

წიგნის, დიახ წიგნის სიყვარულმა გახადა ბატონი ლეო

არამარტო დიდ მეცნიერად, არამედ, აგრეთვე, დიდ საზოგადო მოღვაწედაც. იგი არის რამდენიმე საერთაშორისო და ადგილობრივი ეკონომიკური პროფილის ჟურნალის სარედაქციო კოლეგიის წევრი. ინტენსიურად მონაწილეობს „ყოველთა ქართველთა მსოფლიო კონგრესის“, ეკონომიკისა და დემოგრაფიული საზოგადოებების, აგრეთვე, მიზნობრივი სამთავრობო კომისიების მუშაობაში, სადისერტაციო სამეცნიერო საბჭოების საქმიანობაში და ა.შ. ასევე, ეწევა ნაყოფიერ პედაგოგიურ მუშაობას საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში, დროდადრო საზღვარგარეთის ქვეყნებშიც.

წიგნის, დიახ, წიგნის სიყვარულმა, წიგნთან სამარადჟამოდ დამეგობრებამ აამაღლა ბატონი ლეოს ავტორიტეტი და გახადა იგი ჯერ არაერთი უმაღლესი სასწავლებლის დოცენტი, შემდეგ პროფესორი, კათედრის გამგე, რექტორი. სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე, დირექტორი; საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, ნიუ-იორკის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი, საქართველოს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე... ასეთ სიმაღლეებზე, და, რაც იშვიათია, ყველგან უმწიკვლოდ, სახელოვნად, ერის ღირსების სადიდებლად სიარული მეფის, კიდევ მეტი, უფლისწულის ნაბიჯებით ადამიანთა მოდგმის წარმომადგენლთა წინსვლის იშვიათი, გამონაკლისი ხვედრია და ამიტომაც, აქვე გულახდილად და ხმამაღლა მინდა ვუთხრა ყველას, ყველას: გალაკტიონ ტაბიძის მიერ მხოლოდდამხოლოდ ლეო ჩიქავას ოდენა ადამიანების მიმართებით ნათქვამი: „ვინც წრფელი გულით, პატიოსნებით რაიმეს შექმნის, იყო და არის შემოქმედი ახალი ქვეყნის“.

ლეო ჩიქავა თავის განსწავლულობით, ღმერთის მიერ ბოძებული იზიკური და სულიერი სიმშვენიერით ტიპური კოლხია, ტიპური ქართველია. ეს ის კაცია, რომელმაც იცხოვრა, ცხოვრობს დღესაც და იცხოვრებს კიდევ მრავალ ათეულ წელიწადს ქრისტეს ათივე მცნების ფარგლებში, ეს ის კაცია, რომელიც მოღვაწეობს შოთა რუსთაველის შეგონებებით: „თუ თავი შენი შენ გახლავს, ღარიბად არ იხსენები“, „სიცრუე და

ორპირობა ავნებს ხორცსა მერმე სულსა“; „ბოროტსა სძლია კეთილმან, არსება მისი გრძელია“. „არ იცი ვარდი უეკლოდ არავის მოუკრეფია?“

არა, ბატონი ლეოს გზა ია-ვარდებით ყოველთვის მოფენილი არ ყოფილა, იყო წინააღმდეგობანიც. მას ვარდი ყოველთვის უეკლოდ არ მოუკრეფია – მას ეკალიც ბევრჯერ უგემნია, მაგრამ რადგანაც შოთას სიტყვები – „უხვად გასცემდეთ, გავსებდეთ, სიძუნწე უმეცრელია:, აგრეთვე – „სჯობს სახელისა მოხვეჭა ყოველსა მოსახვეჭელსა“ არც არასოდეს დავიწყნია. იგი და არა მარტო იგი, არამედ მისი მონაგარიც, მისი ოჯახი მთლიანად დიდების შერავანდედითაა მოსილი. მე აქვე, როცა ლეო ჩიქავას ფენომენზე ვსაუბრობ, ისიც მინდა ვთქვა, რომ მან ყველა თანამდებობაზე მუშაობის დროს უხვად გამოავლინა სიბრძნის, სიდინჯის, პასუხისმგებლობის, შემწყნარებლობის, შორსმჭვრეტელობის თვისებები. მით უფრო ამიტომაც ვამბობ, ბატონი ლეო ჭეშმარიტად დიდი ადამიანია, დიდია, დიდია, რადგან მან შესძლო უფლის მიერ ბოძებული დროის დაპატრონება; მან შესძლო ყოველგვარ გარემოებაში ეკეთებინა ის, რაც ადამიანთა უმრავლესობას სარგებლობას მოუტანს; მან შესძლო მის გარემოცვაში მყოფი ადამიანებისთვის სიკეთე მადლიერებასა და უმადურობაზე ფიქრის გარეშე ეკეთებინა; რომ მან შესძლო მის გარშემო შეკრებილ სწავლულ მეგობართა მხარდაჭერით, უამრავ გზასაცდენილ ქართველთა გზაზე დაყენება; მან შესძლო, აგრეთვე, მის ირგვლივ მყოფნი, ვისაც კი ეს ესაჭიროებოდა, დაემოძღვრებინა ბრძნული ნათქვამებით: დავით აღმაშენებლისა – „კაცთმონიჭებული პირველი სიმდიდრე წიგნთმოძღვრებაი არს“, შოთა რუსთაველისა – „თუ ლხინი გვინდა ღმერთთანგან ჭირიც შევიწყნაროთა“, არჩილ მეფისა – „უშვილოთა სჯობს სიკვდილი უგუნურ შვილთა ყოლასა“, სულხან-საბა ორბელიანისა – „კაცი სახელის მძებნელი, უკვდავად შემირაცხია, მკვდრად იგი თქმულა ვის კაი სახელი ზედ არ აცხია“, ვახტანგ მეექვსისა – „კაცმან უნდა თავის საქმე ყველა ღვთითა მოივარგოს, ამ სოფელსა ხელი ჰყაროს, იქაც ბარგი დაიბარგოს, მოყვარეთ და ამხანაგთა თავის რიგით რამე არგოს, სახელის ხე საჩრდილობლად

წყლის პირსა სადმე დარგოს“.

უამრავ სხვა წარმატებებზე რომ არაფერი ვთქვათ, მე პირადად ასეთი ერთ-ერთი ხის დარგვად მიმაჩნია საქართველოს ბეზნესის მეცნიერებათა აკადემიისა და სრულიად საქართველოს საზოგადოება „კოლხეთის“ სააქტო დარბაზში „გლობალიზაცია და ახალი მსოფლიო წესრიგის“ თაობაზე 8-თვიანი დისკუსიის ერთ-ერთ სხდომაზე ლეო ჩიქავას მიერ წაკითხული მოხსენება თემაზე: „გლობალიზაცია და შრომის საერთაშორისო დანაწილება“. მინდა, მინდა ყველამ იცოდეს ის, რომ იმ ხალხმრავალ სხვადასხვა დარგის მეცნიერებით გადაჭედილ დარბაზში ეს მოხსენება საგანგებო, შეიძლება ითქვას, გამორჩეული ყურადღებით იქნა მოსმენილი. ბატონმა ლეომ გლობალიზაცია დიდ-პატარისთვის საოცრად გასაგებად განიხილა როგორც ისტორიული და ობიექტური პროცესი, რომელიც ადეკვატურად ასახავს შრომის საზოგადოებრივი დანაწილების თანამედროვე ტენდენციებს; მან დაასაბუთა, რომ გლობალიზაცია სცილდება ეკონომიკური ურთიერთობის საზღვრებს – მოიცავს პოლიტიკას, იდეოლოგიას, მორალს, რელიგიას, აჩქარებს ადამიანებს, სახელმწიფოს შორის, აგრეთვე, სხვადასხვა ქვეყნის ადამიანთა შორის ურთიერთობათა გაფართოებას; ჰქმნის ერთიან საინფორმაციო სივრცეს, ხელს უწყობს კაპიტალის, საქონლის, სამუშაო ძალის მსოფლიო ბაზრის ფორმირებას; ეკოლოგიური და სოციალური პრობლემების ინტერნაციონალიზაციას. გლობალიზაციასთან მიმართებით დაასურათხატა რა განვითარებული და განვითარებადი, დიდი და პატარა ქვეყნების სამომავლო ტენდენციები, ბატონმა ლეომ დარბაზს სრულყოფილად წარმოუდგინა გლობალიზაციის დადებითი და უარყოფითი მხარეები, მათ შორის დადებითის გავრცობისა და უარყოფითის აღმოფხვრის გზებიც. ბატონი ლეოს პორტრეტის დასურათხატებისთვის ვიტყვი იმასაც, რომ იმ დღეს მან გამოავლინა, ჯერ ერთი, ორატორობის უდიდესი ნიჭი, მეტყველების მაღალი კულტურა, აზრის გადმოცემის დიდი ოსტატობა, მეორე, გამოავლინა იშვიათად ნახული ცოდნა, არა მარტო ეკონომიკის, არამედ, აგრეთვე, ფილოსოფიის, ისტორიის, მხატვრული ლიტერატურის, სოციოლოგიისა; მესამე,

გამოავლიანა, აგრეთვე, იშვიათად ნახული ცოდნა მსოფლიოს განვითარებული და განვითარებადი ქვეყნების სტატისტიკისა. ყოველივე ეს, ასე მოკლედ თქმულიც მაძლევს იმის საფუძველს ისევ-ისე აქაც ხმამაღლა ვთქვა: იმ დღეს ლეო ჩიქავას მოხსენების მოსმენა ეს არ იყო იმ დარბაზში მყოფთათვის ადრე ნახული ჩვეულებრივი სადისკუსიო მოხსენების მოსმენა-განხილვა, ეს იყო ჭეშმარიტად თეატრალურ სანახაობაზე მაღლა მდგარი მეცნიერული სჯა-ბაასი, მომაჯადოებელი, თეატრალიზებული საგანმანათებლო სანახაობა, რომლის მსგავსი პირადად მეც მანამდე არ მინახავს.

ისე კაცმა, რომ თქვას, უშეცდომო თურმე დედამიწის ზურგზე არავინ ყოფილა. ერთხელ ჩემსა და ლეოს შორის მოხდა რაღაც გაუგებრობა, შეცდომის დაშვება, გადაცდენა. კოლმეურნეობის თავმჯდომარისა არ იყოს, შეცდომის დამშვების გვარსა და სახელს აქ არ დავასახელებ, რათა ვინმეს არ ეწყინოს, და ვიტყვი იმას, რომ ამაზე ზოგიერთებმა ხითხითი დაიწყეს, თქვეს მათ შორის შავმა კატამ გაირბინაო, მაგარამ კატა შავი ნამდვილად არ ყოფილა, თეთრი, თეთრი იყო და უფალმა როგორც კი თითი დაგვიქნია, მე და ლეომ უმალ განვაგრძეთ ქრისტესმიერი მეგობრობა.

დაბოლოს, მეგობრებთან ბატონ ლეოს პირადი ურთიერთობის შესახებ. სიბრძნის კრებულში ოქროს ასოებითაა ჩაწერილი: „ადამიანი სამყაროს მოდელია“-ო, „ადამიანი სამყაროს ღერძია“-ო, „ყოველი ადამიანი წილადია, სადაც ჭეშმარიტი მნიშვნელობა – მრიცხველია, ხოლო თავის თავზე წარმოდგენა – მნიშვნელი“-ო. მე კი ამ ბრძნულ გამონათქვამების გადასახედიდან ვამბობ: ლეო ჩიქავა არამარტო ჩემი საძმოსა და სამეგობროს, არამარტო სამეგრელოსა და კოლხეთის, არამედ საერთოდ საქართველოს ერისკაცების საკრებულოთა ერთ-ერთი სამაგალითო მოდელია, ერთ-ერთი შესაიმედო ღერძია, ერთ-ერთი ისეთი წილადიცაა, რომლის მრიცხველისა და მნიშვნელის ნაწარმოები უზადო სიყვარულია, ადამიანის უიშვიათესი სული და გულია.

ლეო ჩიქავას ძვალ-რბილში ჩაკირულია გალაკტიონ ტაბიძის მარგალიტი სიტყვები: „უსიყვარულოდ. . . მზე არ სუფევს

ცის კამარაზე, სიო არ დაჰქრის, ტყე არ კრთება სასიხარულოდ. . . უსიყვარულოდ არ არსებობს არც სილამაზე, არც უკვდავება არ არსებობს უსიყვარულოდ". არც ჩემი სხეული ძვალ-რბილია უამისოდ და ჩვენ – მე და ლეოს გაცნობიდან, შეიძლება ითქვას, სტუდენტობის დროიდან დღემდე გვიყვარს ერთმანეთი. ჩვენ იმ დროიდან ვმეგობრობთ, იმ დროიდან ვძმაკაცობთ, იმ დროიდან გვაქვს კაცურ-კაცური ურთიერთობა ერთმანეთთან. ბატონი ლეო იყო ჩემი არაერთი წიგნის რეცენზენტი, ლეო იყო ჩემი სადოქტორო დისერტაციის ოფიციალური ოპონენტი, მაგრამ ისეთი რეცენზენტი და ოპონენტი, რომელიც ჭეშმარიტების ფარგლებს არც არასოდეს სცილდება. ბატონი ლეო ლხინსა და ჭირშიც ჩემს გვერდით იდგა ყოველთვის, არა როგორც რიგითი მოყვასი, არამედ როგორც ქრისტესმიერი ძმა, როგორც ლხინისა და ჭირის სუფრების თავკაცი – თამადა, ნაღდი თამადა. ბატონი ლეო რომ არა, აბა სხვა ვინ შეძლებდა ჩემი სიდედრის დანაბარების აღსრულებას – კახური წარაფით სავსე 19 ჭიქის აწევა-დაცლას; თუ ბატონი ლეო არა, აბა სხვა ვინ შესძლებდა ჩემი ქალიშვილის ქორწილში ესოდენ თეატრალიზებულ, ესოდენ დიდ ქორწილში თამადობას? მერედა, განა მარტო ჩემთან მიმართებაშია ლეო ასეთი? იგი სამეცნიერო-კვლევითი და პედაგოგიური, აგრეთვე, საზოგადოებრივი მოღვაწეობიდან თავისუფალ დროს არც თუ ისე იშვიათად, თითქმის ყოველთვის, საზეიმო ვითარებაში ატარებს ნათესავებთან, მეგობრებთან, ძმაკაცებთან, მეზობლებთან. მისი სახე ყოველთვის ღიმილითაა გაბადრული. იგი თავისი იუმორით, კოლხური მოფერების მანერით იზიდავს და კურნავს ადამიანებს. . .

მთავარი, აქ რისი უთქმელობაც არ ეგების, ისაა, რომ როგორც ლეო ჩიქავას ნებისმიერი სასამსახურო სხდომა, რომელსაც იგი ატარებს, ასევე, ნებისმიერი ლხინისა თუ ჭირის სუფრა, რომელსაც იგი მეთაურობს და თამადობს, აკადემიაა, აგრეთვე, თეატრალური საგანმანათებლო დადგმაცაა. ბატონი ლეო აქაც და იქაც სიყვარულს აფრქვევს, გვეფერება, ფეისურათხატებს სახელოვან წინაპრებს, ქართულ ტრადიციებს, საქართველოს ისტორიას; ფვაიმედებს, ფვაკვალიანებს საქარ-

თველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის, სამამულო მეურნეობის აღორძინებისთვის, ქვეყნის სრულფასოვანი დამოუკიდებლობისთვის, დმეოგრაფიული და ნებისმიერი სხვა ეროვნული პრობლემების დროის მოგებით გადწყვეტისთვის. . .

ღმერთო, ღმერთო! მუხლს ვიყრი შენს წინაშე და გევედრები, ჩემი ასეთი მეგობარი მიმყოფე სამზეოში დიდხანს, დიდხანს; ამრავლე ასეთი მამულიშვილები შენს ყოფილ სამოსახლოში – ედემ, წალკოტ, სამოთხე საქართველოში; საიქიოში კი არა, აქ, აქ სააქაოში მე და ლეო ჩიქავას გვათქმევინე – საქართველო ოდესღაც კი არა, დღესაც დიდიაო.

**ალექსანდრე კუჭუხიძე**
სრულიად საქართველოს საზოგადოება „კოლხეთი“-სა
და ბიზნესის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი,
მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, პროფესორი.
20 თებერვალი, 2008 წელი.

# 9. მკაცრი, მაგრამ ობიექტური ოპონენტი

მე არ მეგულება ქართველ (და არა მარტო ქართველ) სწავლულ ეკონომისტთა შორის ბატონ ლეოს სტილის ოფიციალური ოპონენტი, რომელიც ასე ზედმიწევნითა და სიღრმისეულად განიხილავდეს როგორც სადოქტორო, ასევე საკანდიდატო დისერტაციებს. ასეთი დასკვნის საფუძველს მაძლევს ის, რომ ვარ მონაწილე რამდენიმე დისერტაციის (მ.შ. ჩემი სადოქტორო დესერტაციის) დაცვისა რომელთა პირველი ოფიციალური ოპონენტი ბრძანდებოდა ბატონი ლეო.

ღვაწლმოსილი მეცნიერი – ლეო ჩიქავა არის უაღრესად პრინციპული, მომთხოვნი, მკაცრი, მაგრამ ამავე დროს ობიექტური და სამართლიანი. ამიტომ ღირსეული დისერტანტები ცდილობდნენ, რომ მათი ოფიციალური ოპონენტი ყოფილიყო ბატონი ლეო. ერთ-ერთ ასეთ შემთხვევას განეკუთვნება მეცნიერების რაინდად აღიარებული ვალერიან მელქაძის სადოქტორო დისერტაციის ოფიციალურ ოპონენტად ბატონი ლეოს მიწვევა, რომლის დაცვა წარიმართა მაღალ მეცნიერულ დონეზე.

ბატონი ლეო კატეგორიულად მოითხოვდა, რომ საკანდიდატო დისერტაციის პირველ თავში დისერტანტს წარმოედგინა პრობლემის სათანადო მეცნიერული გაშუქება და გამოევლინა მომზადების შესაბამისი თეორიული დონე. მე ვარ მოწმე, როცა ოფიციალური ოპონენტი ლეო ჩიქავა სადოქტორო ხარისხის მაძიებელს საყვედურობდა პრობლემის დამუშავების არასათანადო მეცნიერულ-თეორიული დონის თაობაზე.

თუ როგორი იყო ბატონი ლეოს რეცენზია ჩემს სადოქტორო დისერტაციაზე, მოვიტან ზოგიერთ ამონარიდს ამ რეცენზიიდან. იგი იწყება ასე: „დისერტაციების დაცვისა და სამეცნიერო ხარისხების მინიჭების ამჟამად მოქმედი დებულების თანახმად, მეცნიერებათა დოქტორის ხარისხი შეიძლება მიენიჭოს პიროვნებას სამეცნიერო მოხსენების სახით წარმოდგენილ ნაშრომზეც. მაგრამ ეს შეიძლება მოხდეს ვამონაკლისის

სახით, მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა ავტორის მიერ საუძ-ვლიანად და მრავალმხრივ შესწავლილი დიდმნიშვნელოვანი მეცნიერული პრობლემების კვლევის შედეგები ნათლადაა ასა-ხული მის მიერ გამოქვეყნებულ ფუნდამენტურ ნაშრომებში და მათ აქვთ დიდი თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელო-ბა.

სწორედ ასეთ გამონაკლისად და ასეთ საგანგებო შემთხვევად შეიძლება მივიჩნიოთ ეკონომიკურ მეცნიერება-თა კანდიდატის გიორგი შალვას ძე შუბლაძის მიერ სამეცნიე-რო მოხსენების სახით წარმოდგენილი ნაშრომი. . .

განსახილველი დისერტაციის უპირველეს და უმთავრეს ღირსებად მიმაჩნია ის, რომ მასში მაღალმეცნიერულ და პროფესიულ დონეზეა გაშუქებული საკვლევი პრობლემის თე-ორიულ-მეთოდოლოგიური ხასიათის გლობალური, თანაც, ათეული წლების მანძილზე სწავლულ ეკონომისტთა შორის კავშირის მასშტაბით სადისკუსიო საკითხთა ფართო წრე. აღ-სანიშნავია, რომ ამ მეცნიერულ კამათში დისერტანტი არ ერი-დება მაღალტიტულოვან ავტორიტეტებს, კრიტიკულად (თუმცა უაღრესად კორექტულად და მაღალ აკადემიურ სტილში) განი-ხილავს მათ შეხედულებებს, სათანადო არგუმენტების მოშვე-ლიებით ასაბუთებს ზოგიერთი მათგანის უსაფუძვლობას და გვთავაზობს საკუთარ, ორიგინალურ მოსაზრებებს. ამასთან, რუს ავტორებს იგი აკრიტიკებს არა მარტო ქართულ ენაზე გამოცემულ ნაშრომებში, როგორც ეს გვჩვევია საერთოდ ქარ-თველ სწავლულ ეკონომისტებს, არამედ რუსულ ე.ი. მათთვის გასაგებ ენაზე გამოქვეყნებულ ნაშრომებშიც. . .

ვფიქრობ, გადაჭარბებული არ იქნება თუ ვიტყვი, რომ დისერტანტი არა მარტო საქართველოში, კავშირის მასშტა-ბითაც ერთ-ერთი პირველთაგანია სწავლულ ეკონომისტთა შორის, რომელმაც სოლიდური გამოკვლევები მიუძღვნა მარ-თვის ეკონომიკური პრობლემების შესწავლას და საფუძველი ჩაუყარა ეკონომიკური პროფილის უმაღლესი სასწავლებლე-ბის სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო დისციპ-ლინათა შორის მის დამკვიდრებას“.

აღნიშნულ დადებით მხარეებთან ერთად პირველმა ოფიცი-

ლი შენიშვნა, რომელთა ნაწილი გათვალიწინებულ იქნა ჩემს შემდგომ მეცნიერულ საქმიანობაში.

ყოველთვის ასეთი ორიგინალური ხელწერის მქონე მეცნიერი იყო ბ-ნი ლეო და ასეთად დარჩა დღემდე. იუბილარს ვუსურვებ დღეგრძელ ცხოვრებას. ღეე მის მადლიან კალამს ძალიან დიდსანს არ შეშრობოდეს მელანი.

**გიორგი შუბლაძე**
ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი, საქართველოს ეკონომიკურ
მეცნიერიებათა აკადემიის
აკადემიკოს მდივანი
20.02.2008.

# 10. მისი ძალა შეუპოვრობაა

*ცხოვრება მოვალეობაა,*
*თუნდაც ერთი წამი*
*გრძელდებოდეს იგი.*
**გოეთე**

დიდ სიამოვნებას მანიჭებს შესაძლებლობა დაბადების 80 წლის იუბილესთან დაკავშირებით მივესალმო საყოველთაოდ აღიარებულ მეცნიერ-ეკონომისტსა და საზოგადო მოღვაწეს აკადემიკოს ლეო ჩიქავას. ამ საპატიო მისიის შესრულებას მიადვილებს ის, რომ არ მჭირდება დიდი ფიქრი და ტვინის ჭყლეტა იუბილარის რაღაც გადამეტებულ, ლამაზ ფერებში წარმოსადგენად, რამდენადაც მის მიერ განვლილი ღრმაშინაარსიანი გზა იმდენად საინტერესო და ნაყოფიერია, რომ იგი ზღვა მასალას მოიცავს. მთავარია ამ მასალის ჯეროვან დონეზე გააზრება-გაანალიზება და იუბილარის მრავალგანზომილებიანი მოღვაწეობისთვის ადეკვატური შეფასების მიცემა.

ღირსეული მამულიშვილის, მეცნიერულ-პროფესიული საქმიანობითა და მოქალაქეობრივი მრწამსით გამორჩეული ადამიანის შესახებ საგანგებო წიგნის შექმნა, მისი ღვაწლის სამზეოზე გამოტანა უთუოდ მისასალმებელი და დასაფასებელი ფაქტია. იგი განსაკუთრებით ასალგაზრდობას წაადგება.

დიდი რუდუნებით განვლილი ეს გზა თაობებისთვის იმის ნათელი მაგალითია, თუ როგორ უნდა ემსახურო სამშობლო ქვეყანას, საზოგადოებას, როგორ არ უნდა დაუშვა ზნეობრივ კომპრომისებზე წასვლა. ხომ ცნობილია, რომ როცა მეცნიერი ზნეობრივ დათმობებზე მიდის, ამით იგი ღალატობს არჩეულ გზას, ისეთ წმინდა საქმეს, როგორიც მეცნიერებაა.

ამ წერილის ეპიგრაფად დიდი გოეთეს სიტყვები ადამიანის მოვალეობის თაობაზე სწორედ იმიტომ წავუმძღვარეთ, რომ იგი სავსებით შეესატყვისება ბატონი ლეო ჩიქავას მთელ ცხოვრებას, არა მარტო როგორც მეცნიერის, არამედ, ასევე,

როგორც საზოგადო მოღვაწისაც. მაღალი პასუხისმგებლობის გარეშე მას ერთი დღეც არ უცხოვრია და ასე გრძელდება დღემდე.

იუბილარს გამოვლილი აქვს დიდ მოძღვართა ნამდვილი მოწაფის საკმაოდ მძიმე, შრომის ოფლით მორწყული გზა, რამაც გადამწყვეტი როლი შეასრულა იმაში, რომ ეს მოწაფე შემდგომში ღირსეული მოძღვარი გამხდარიყო. „ვინც მოწაფე არ ყოფილა, ის მოძღვარი არ იქნების". ბევრი თვალისთვის შეუმჩნეველის დანახვა, – ეს მისი მეორადი პროფესიაა.

ლეო ჩიქავა . . . ეს სახელი და გვარი ქართულ ეკონომიკურ მეცნიერებაში რამდენიმე ათეული წელია ღირსეულად ეღერს, რითაც მისი მეგობრები და ახლობლები ვამაყობთ. მაგრამ რამდენი შრომისა და უძილო ღამეების შედეგია ყოველივე ეს!?

სწორედ შეუპოვარი შრომაა ის ერთადერთი ფენომენი, რომელიც საფუძვლად უდევს იუბილარის წარმატებებსა და აღიარებას. „ჩემი ერთადერთი ძალა შეუპოვრობაა!" ამ სიტყვების ავტორი წესით ბატონი ლეო უნდა ყოფილიყო. თუმცა ისინი უფრო ადრეა ნათქვამი.

ლეო ჩიქავას სულისკვეთების ადამიანებისთვის თვითაღზრდა ყველაზე აუცილებელი, მაგრამ ყველაზე მძიმე სამუშაოა. მისი დევიზია: „თუ ვერ გაიმარჯვებ საკუთარ თავზე – დამარცხდები საკუთარ თავთან".

ამასთან, იუბილარის ცხოვრების გზა სახელოვანი და ღირსეულია, უპირველეს ყოვლისა, იმიტომ, რომ იგი ჭეშმარიტი მეცნიერებისთვის უკომპრომისო ბრძოლაა, განვლილი ყოველგვარი ზურგის ქარისა და პროტექციის გარეშე. ჩემთვის კარგადაა ცნობილი ის მეტად კრიტიკული მეცნიერული ნაშრომები, უკომპრომისო გამოსვლები, რომლებითაც იგი მიიკვლევდა გზას. ამაში მას საოცრად შველოდა მისი ერთერთი გამორჩეული თვისებაც: უკიდურეს ექსტრემალურ სიტუაციაშიც არ დაიბნეს და გაწონასწორდეს. ყალბი, არამეცნიერული მონოგრაფიებისა თუ სტატიებისადმი თავისი შეურიგებელი დამოკიდებულებით მან დამსახურებულად მოიპოვა ღირსეული მეცნიერის, საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა

აკადემიის პრეზიდენტის, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის საპატიო ტიტულები. იგი ამჟამადაც ჩვეული შეუვალობითა და შრომისმოყვარეობით დგას ქვეყნის ეკონომიკური მეცნიერების სამსახურში.

საქარველოს ეკონომიკის ახლებური ჩამოყალიბებისა და გაენითარების რიგ საჭირბოროტო პრობლემასთან ერთად, სერიოზულ ყურადღებას იმსახურებს მეცნიერის შრომები ისეთ აქტუალურ და საშურ პრობლემაზე, როგორიცაა დემოგრაფიული ვითარება ქვეყანაში. ქართული ეკონომიკური მეცნიერების პატრიარქის – ბატონი პაატა გუგუშვილის შემდეგ, ეკონომიკასთან ამ უაღრესად მჭიდროდ დაკავშირებულ საკითხს ესოდენ ღრმად, ვფიქრობ, არავინ შეხებია.

მრჩება შთაბეჭდილება, რომ დღეს ქვეყანაში მიმდინარე ძირეული ეკონომიკური რეფორმების დროს, მაქსიმალურად არ არის გამოყენებული იუბილარის შრომები, განსაკუთრებით მისი ბოლო ფუნდამენტური გამოკვლევა – „ინოვაციური ეკონომიკა“, რომელიც, დარწმუნებული ვარ, ძალიან მალე უფრო ეფექტურად ჩადგება ეკონომიკის სამსახურში როგორც ჩვენს ქვეყანაში, ისე მის ფარგლებს გარეთ. დრო, მომავალი ყველაფერს თავის ადგილს მიუჩენს, რადგანაც იგი თითოეული პიროვნების ღვაწლის ყველაზე პირუთვნელი და სამართლიანი შემფასებელია.

დიდ ინტერესს იწვევს მისი ამ ახალი მონოგრაფიის ბოლო თავი, რომელიც ეძღვნება ბუნების დაცვისა და ეკოლოგიის საკითხებს, ეს განსაკუთრებით დასაფასებელია, რადგანაც, დღეს, როცა ეკოლოგიური კატაკლიზმების პირისპირ ვდგავართ, აღნიშნულ უმწვავეს პრობლემას ეკონომიკურ ასპექტში იშვიათად თუ ვინმე შეხებია.

აკადემიკოს ლეო ჩიქავას შრომებს კარგად იცნობენ საქართველოს საზღვრებს გარეთაც. იგი აქტიურად მონაწილეობს საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებებში.

იუბილარი გამორჩეული ლექტორი, სტუდენტთა, მაგისტრანტთა და ასპირანტთა შეუდარებლი აღმზრდელია. მისი მეცნიერული ხელმძღვანელობით მომზადდა რამდენიმე ათეული

საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაცია. იგი დღესაც წარმატებით წარმართავს ახალგაზრდა მეცნიერთა მომზადების ეროვნულ საქმეს.

საგულისხმოა, რომ პროფესორ ლეო ჩიქვას საქართველოს ყველა კუთხეში იცნობენ როგორც სამშობლო-ქვეყანაზე საოცრად შეყვარებულ მოღვაწესა და მამულიშვილს, სამშობლოსი, რომელზე უკეთ მას არასოდეს უცხოვრია. იგი შემოსავლისა და გამდიდრების წყაროდ მას არასოდეს უქცევია.

მუდამ საყოველთაო ინტერესსა და მოწონებას იმსახურებდა ბატონი ლეოს ლექციები ეკონომიკისა და დემოგრაფიის პრობლემებზე. მას ხშირად იწვევენ ლექციის წასაკითხად სხვადასხვა სოლიდურ უწყებებსა და ორგანიზაციებში.

ამასთან დაკავშირებით მახსენდება 80-იან წლებში საქართველოს რესპუბლიკის პროკურორის, აწგანსვენებული ანზორ ბარაბაძის დავალება ჩემდამი. ერთხელ მიმიხმო და მითხრა: „დემოგრაფიის თემატიკაზე პროფესორ ლეო ჩიქავს ლექციებს დიდი გამოხმაურება აქვს დედაქალაქში, როგორც ზუგდიდელს, თქვენ მასთან, ალბათ, ახლო ურთიერთობა გაკავშირებთ. იქნებ ვთხოვოთ პროკურატურის კოლექტივის სახელით აპარატის მუშაკებისთვის წაგვიკითხოს ლექცია“. ჩემი პირადი ჩარევა საჭიროდ არ ჩავთვალე და მიზანშეწონილად მივიჩნიე ეს მიწვევა ყოფილიყო ოფიციალური. ბატონი ლეოს ტელეფონი და რესპუბლიკის პროკურორის დავალება გადავეცი კადრების სამმართველოს უფროსს, რომლის მეშვეობითაც მოხდა მისი მოწვევა პროკურატურაში. ლექციამ დიდი ინტერესი გამოიწვია. მასში მსოფლიო დემოგრაფიის პრობლემებიდან ისეთი ფაქტები იყო მოხმობილი, პროკურორებსა და გამომძიებლებს არც წაეკითხათ და არც გაეგონათ. ლექციის დასასრულს ორატორი ტაშით დააჯილდოვეს. ლექცია ოსტატურად იყო დაკავშირებული მართლწესრიგის პრობლემებთან. საინტერესოდ წაკითხულმა ლექციამ ბევრი შეკითხვა დაბადა. აპარატის მუშაკები დიდხანს იყვნენ ამ ლექციის შთაბეჭდილების ქვეშ და ხშირად იგონებდნენ მას.

რესპუბლიკის პროკურორმა ამ ლექციის თაობაზე ჩემთან არაერთხელ ჩამოაგდო სიტყვა. ყოველგვარ მოლოდინს გადაა-

ჭარბაო, მითხრა ღიმილით ამ იშვიათად მომღიმარმა და სიტყვაძვირმა კაცმა. როგორც მასხოვს, ბატონმა ანზორმა რამდენიმე ხნის შემდეგ კადრებში თვითონ დარეკა და დავალება მისცა ორგანიზაცია გაეკეთებინათ მორიგი ლექციისთვის უფრო ფართო მასშტაბით, – რესპუბლიკის წამყვანი რაიონების პროკურატურის მუშაკთა მონაწილეობით, ასეთი ლექცია შესდგა პროკურატურის სააქტო დარბაზში. რამდენიმე რაიონის პროკურატურიდან ბატონმა ლეომ მოწვევა მიიღო.

ბატონი ლეო ჩიქავას ცხოვრებიდან და მოღვაწეობიდან სხვა მრავალი მაგალითის მოტანა შეიძლება, მაგრამ აღნიშნულიც საკმარისია მისი მაღალი ერუდირებულობისა და გამორჩეული ნიჭიერების დასახასიათებლად.

როცა რაიმეს ვამბობ ან ვწერ ისტორიული კოლხეთის რომელიმე გამოჩენილ პიროვნებაზე, შორეულ წინაპრებზე თუ მათ შთამომაელებზე, რომლებიც გამოირჩევიან აზროვნებითა და მჭერმეტყველებით, ძალაუნებურად თვალწინ წარმომიდგება ამ კუთხის ისტორიული წარსული თავისი აღიარებული ცენტრით – ფაზისის აკადემიითა და იქ მოღვაწე ბრძენკაცებით. ამ ასოციაციებს იწვევს ჩემში დაფიქრება ისეთ ისტორიულ პიროვნებათა ღვაწლზე, როგორებიც იყვნენ დავით აღმაშენებლის სულიერი მამა – ჭყონდიდელი, ჭეშმარიტი გმირი და რაინდი ცოტნე დადიანი, დიდი მწერალი და მოაზროვნე კონსტანტინე გამსახურდია, მათემატიკური მეცნიერების გიგანტი ილია ვეკუა, ფილოსოფოსი პეტრე შარია და მრავალი სხვა.

ამჯერადაც, როცა მომეცა საბაბი ვისაუბრო ბატონი ლეო ჩიქავას წარმატებებზე ეკონომკურ მეცნიერებაში, მის მგზნებარე ერუდიციასა და მჭერმეტყველებაზე მეცნიერულ პაექრობებში და საჯარო გამოსვლებში, ჩემდაუნებურად გონებაში კვლავ ამოტივტივდება ის აზრი, რომ დღევანდელი იუბილარიც იმ კუთხის შვილი ბრძნადება, სადაც ჯერ კიდევ მეოთხე საუკუნეში არსებობდა ფაზისის რიტორიკული სკოლა, რომლის აღზრდილი – ბერძენი ფილოსოფოსი და რიტორი – თემისტოსი ასე მისწერს ერთ თავის აღსაზრდელს: „მეც, ჩემო კარგო ახალგაზრდავ, რიტორიკის ნაყოფნი მოვწყეიტე გაცილებით უფრო უჩინარ ალაგას, ვიდრე ეს ჩვენი ადგილია, არა

წყნარსა და ელინურ ალაგას, არამედ პონტოს ბოლოში, ფაზისის მახლობლად, სადაც თესალიიდან წამოსულმა „არგომ“ დაისადგურა“.

ძალმოსილია გენეტიკური მემკვიდრეობა, ათეულ საუკუნეებსაც კი გააღწევს იგი! . . .

ამ საზეიმო ვითარებაში შეუძლებელია არაფერი ვთქვა თანადგომისა და თანაალმობის ზეგარდმო ნიჭზე, რომლითაც ვანგებამ დააჯილდოვა იუბილარი. ამიტომაც ჰყავს მას უამრავი მადლიერი და კეთილისმყოფელი, უანგარო ერთგული მეგობარი, მოწაფე და მიმდევარი მეცნიერებაში თუ ცხოვრებაში. „ადამიანი გრძნობს თავისი ცხოვრების აზრსა და მიზანს მხოლოდ მაშინ, როცა იგი სხვებს სჭირდებათ“ – ეს უძველესი სიბრძნე ბატონ ლეოზეა ზედგამოჭრილი.

საქვეყნო წარმატებებს, როგორც წესი, საფუძვლად უდევს პიროვნული, ოჯახური ბედნიერება. მტკიცედ შემიძლია ვთქვა, რომ ჭეშმარიტად ქართული ოჯახი, ღირსეული შვილები ის ფაქტორი გახლდათ, რომელიც მეცნიერს ზურგს უმაგრებდა და ძალას მატებდა ახალ-ახალი გამარჯვებებისთვის. იგი ოჯახის ავტორიტეტი და თავკაცია – დიდად მზრუნველი მეუღლე, მამა და ბაბუა.

საყოველთაოდ ცნობილია ბატონი ლეოს განსაკუთრებული პატივისცემა და სიყვარული დედისადმი. აქ კი მაპატიეთ, მაგრამ უნდა გავიმეორო ის, რაც ვუთხარი 80-წლისთავის იუბილეზე მის უფროს ძმას – იოსებ ჩიქავას, რომლისადმი მოკრძალება და პატივისცემა შეიძლება სანიმუშო მაგალითი იყოს დედის საზიარო უბის თაყვანისცემისა:

„ . . . შენი პიროვნული თვისებები და ღირსებანი სათავეს იღებს დედისგან, ნარმანიების სახელოვან ოჯახში გაზრდილი ქალბატონისგან, რომლის შრომისმოყვარეობა და შეუპოვრობა (მკითხველო, ალბათ გენიშნა ამ წერილის სათაური), არისტოკრატული მანერები ბევრ ქალბატონს შეშურდებოდა. თუმცა ამით სრულიად არ ვაქცევ ჩრდილში მამას, რომელსაც, როგორც სახელოვან და დამსახურებულ პედაგოგს, თანამედროვენი ზნეობრიობის ეტალონად თვლიდნენ.

ფიზიკურად წარმოსადეგი და მომხიბველელი ქალბატონი

ანეტა ჩიქავა-ნარმანიასი შემკული იყო დედა ქალისა და საუკეთესო დიასახლისის საუკეთესო თვისებებით, რომელსაც სოფელში უხდებოდა ცხოვრება.

ბუნების მოყვარული, გამზრდელი, მიწის მომფერებელი, რომლისგანაც სოფელ კოკის გამორჩეული მიწათმოქმედი მამაკაცებიც კი იზიარებდნენ ბაღ-ვენახის გაშენებისა და მოვლა-პატრონობის მისეულ გამოცდილებას, ოიანასოფელი მანდილოსნები კი ვარდ-ყვავილების გამოყვანისა და გახარების ხელოვნებას.

ყველამ იცოდა, რომ სოფლის ნახირში ყველაზე მოვლილი და საუკეთესო ხარ-ძროხა ქალბატონი ანეტასი გახლდათ. ასე იყო ოჯახის ფრინველიც – შერჩეული ჯიშისა და ულამაზესი ბუმბულით შემოსილი“.

ნურავინ იფიქრებს საიუბილეო თემას გავცდით. დედა და ბავშვობა ხომ ყველაზე პირველყოფილი და წმინდაა ადამიანის ცხოვრებაში, მით უფრო 80 წლის კაცის გადასახედიდან. კაცისა, რომელიც ქართული მენტალიტეტით ნასაზრდოები ადათ-წესებისა და სოფლის ფენომენის თაყვანისმცემელია.

ვინმეს გაზვიადებულად რომ არ მოეჩვენოს ჩემი მოგვარე ქალბატონის, ჭეშმარიტი ქართველი დედის სიდიადის წარმოჩენა ჩემს მიერ, მხოლოდ ერთ ფაქტს მოვიყვან: იუბილარის გამზრდელი ძმა, ამჟამად ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი იოსებ ჩიქავა წლების მანძილზე იყო კომუნისტური პარტიის ზუგდიდის რაიკომის პირველი მდივანი, ლეგენდარული, მოუსყიდველი, შეუვალი ხელმძღვანელი. პარტიის ცეკას კორუმპირებული „აპარატჩიკები“, რომლებიც ყველა ქალაქიდან და რაიონიდან შემოსავალს ღებულობდნენ, ვერ ურიგდებოდნენ ზუგდიდის – ამ მსუყე ლუკმის დაკარგვას და მისი ხელმძღვანელის მიმართ თხზავდნენ და თხზავდნენ სხვადასხვა ბრალდებებს, რის გამოც ბატონმა იოსებმა პოსტი დატოვა. დედამ, როცა გაიგო, რომ მის შვილს პატიოსნებისა და სამართლიანობის გამო გაუსწორდნენ, იგი განრისხდა: „როგორ, მე შვილები გავზარდე მართალ და პატიოსან ადამიანებად და ვინც ამას დანაშაულად მითვლის, მე თვითონ უნდა გაეცე პასუხიო. მას გაუგია, თუ ვინ იყვნენ კონკრეტული პრო-

ვოკატორები, შეუძენია ცეცხლსასროლი იარაღი და ემზადებოდა ანგარიშის გასასწორებლად. თუ არა შვილების ძალისხმევა დედის შესაჩერებლად და დასამშვიდებლად, მართლაც ვინ იცის რა მოხდებოდა.

მისი უსაყვარლესი ქალიშვილის ქალბატონ მზიას სახლში თვითონ მომისმენია დიდი ქალბატონისგან: „ხელი რომ არ შეეშალათ, მე მტკიცედ მქონდა გადაწყვეტილი შურისძიება იმათ მიმართ, ვინც ჩემი შვილის წინააღმდეგ პირველებმა აღმართეს ხელი. შეიძლება ვინმემ თქვას, ეს არ ეკადრება დედას, რომელიც სიცოცხლის შემოქმედიაო, მაგრამ ეს არ არის ასე! არ დავინდობდი ბოროტ სიცოცხლეს“.

უნდა დავეთანხმო განრისხებულ დედას. ასეთი ადამიანები კონკრეტულად ერთ დედას კი არა, ზოგადად ყველა დედას აიძულებენ უარი თქვან ბუნებისგან ნაკარნახევი სიკეთის, სამართლიანობისა და პატიოსნების შემქმნელის უუნქციაზე, რათა კაცობრიობის მოდგმა არ გააგრძელონ უღირსმა შვილებმა, თაობებმა.

. . . დასასრულ, არ შემიძლია უშუალოდ შენ არ მოგმართო ჩემო ძმაო და მეგობარო ლეო! გილოცავ და გილოცავ ამ განუმეორებელ დღეს! არ ვიცი როგორ მოვახერხე, მაგრამ ამ მოსალოცით 75 წლის კოკი ნარმანიამ ვცადე გაგსაუბრებოდი 80 წლის ლეო ჩიქავას. ეს ასაკი ბევრს ჰგონია დასასრული. ჩვენც ასე გვეგონა ახალგაზრდობაში. აბა ჩვენ გვკითხონ დღეს. ადამიანის ბიოლოგიური უნარის მიხედვით ეს მხოლოდ შუა დღეა ნორმალურად წარმართული სიცოცხლისა. თითქოს გუშინ იყო იგი – ჩვენი ახალგაზრდობა. თბილისში, ჩვენი საერთო ახლობელი კაცის - კარლო ნარმანიას სტუდენტურ ბინაში რომ ვიკრიბებოდით, ნარდს რომ ვთამაშობდით და დროს კულტურულად ვატარებდით.

იმათთვის, ვისაც 7-8 ათეული წელი ძალზე ხანგრძლივი ჰგონია, დღეებზე გადავიანგარიშოთ ჩვენი განვლილი სიცოცხლე. იმ დღისთვის, როცა მე 70-ის გავხდი, მიცხოვრია 27405 დღე და ღამე, შენ კი ოთხმოცისას – 29230. რამდენი დაგვრჩა? შენცა და მეც კიდევ იმდენი გვაქვს, რომ ამის დასათვლელად არ გვცალია.

ეს წლები, ეს დღეები ჩვენი ყველაზე ძვირფასი განძია, რამდენადაც სწორედ ამ წლებმა და დღეებმა გაგვრწვთნეს და მოგვამზადეს იმისთვის, რომ ამ ასაკში კვლავ გავაგრძელოთ შრომა ადამიანების, საზოგადოების საკეთილდღეოდ. ამის დასტური თუნდაც თქვენი ბოლო პერიოდის შრომებია, რითაც შესაშურად ასრულებთ ბრძენკაცის ნათქვამს, რომ „ადამიანმა სიბერეში (ოჰ, როგორ არ მიყვარს ეს სიტყვა!) მეტი უნდა გააკეთოს, ვინემ ახალგაზდობაში".

ასე მგონია, ჩვენმა თაობამ, რომელსაც წარმავალსა და მარადიულს შორის არჩევანში ეკავა რა სწორი პოზიცია, თავდაუზოგავ გარჯასთან ერთად, აჩვენა უანგარო და უღალატო ძმობისა და მეგობრობის კარგი მაგალითი.

მეც დარჩენილ წლებს, ყოველ დღესა და წუთს იმას ვახმარ, რომ თუნდაც მცირედი წვლილი შევიტანო მძიმედ დაავადებული ბუნების გადარჩენაში, უმწვავესი ეკოლოგიური პრობლემების დაძლევაში. ბოლო ხანებში გატაცებული ვარ ალტერნატიული მედიცინით, რომელიც მრავალგზის ადასტურებს, რომ ოფიციალური მედიცინის საშუალებები გათვლილია მხოლოდ დაავადებათა სიმპტომების გაყუჩებისთვის. ორგანიზმი ტკივილით სიგნალს იძლევა, რომ შველა სჭირდება, რაც შესაძლებელია მხოლოდ ნამდვილი მიზეზების დადგენით. ამ ტკივილის ჩაქრობა ეს არის დაავადებათა ქრონიკულში გადაზრდის მთავარი პირობა. მხოლოდ ბუნებაა ნამდვილი მკურნალი. ადამიანს – ამ ურთულეს მოსიარულე ეკოსისტემას მხოლოდ მილიონი წლების მანძილზე გამომუშავებული იმუნიტეტი თუ იხსნის.

ამ განყენებულ თემას შემთხვევით კი არ შევეხე – თქვენგან თანადგომას მოველი, თანაც სერიოზულს.

ვიცი ამ საიუბილეო დღეებში დახარჯული წლების პერიპეტიებზე ხარ დაფიქრებული. ალბათ, შენს თვალწინ კინოკადრებივით გარბიან ადამიანები, რომლებთანაც ერთად გაიარე ეს წუთისოფელი. გული მტკივა იმაზე, ვინც ჩვენს შორის უკვე არ არის. რა დაგავიწყებს მირიან ნარმანიას, გიგლა ჯვებენავას, გრიშა ნარმანიას და მრავალ სხვათა მოსიყვარულე თვალებს. ისინი ამ დღეს ვერ მოგილოცავენ, მათი სითბო დაგაკლდება,

თითქოს უკვე აღარაფერი გაქვთ საერთო . . . იმათ სათქმელს სხვა გეტყვით, მაგრამ იმათნაირად კი არა, სხვანაირად.

არ შემიძლია მადლობა არ გითხრათ იმ გულთბილობისთვის, რაც ჩემს მიმართ გამოგიჩენიათ სხვადსხვა დროს და სხვადასხვა ვითარებაში. ჩემს ცხოვრებაში არ ყოფილა ჭირი თუ ლხინი, რომ ძმები ლეო და იოსებ ჩიქავები ჩემს გვერდით არ ყოფილიყვნენ ჩემი ზურაბის კინოროლის პრემიერის ბედნიერი დღეებით დაწყებული მისი სიცოცხლის უკანასკნელ დღეთა უბედურებით დამთავრებული. ასე აკეთებთ არა მარტო ჩემთან . . .

როგორც ზუგდიდში, ისე მთლიანად საქართველოში აღიარებულია, რომ მეცნიერული და საზოგადოებრივი მოღვაწის რეგალიებითა და ყველაზე ადამიანური თვისებებით დახუნძლულნი, თავმდაბლობითა და კაცთმოყვარეობით გამორჩეულნი, მუდამ ადამიანთა სამსახურში დგახართ როგორც ქრისტიანნი, მოყვასისთვის ერთგულნი და თავდადებულნი.

თქვენ ჩემთვის უახლოესი და უძვირფასესი ადამიანები ხართ, რომლებმაც ჩემი ოჯახური ტრაღედია გაითავისეთ, გამამხნევეთ და არ მიმატოვეთ სვეგამწარებული კაცი.

გმადლობთ ყველაფრისთვის. დანარჩენს თქვენი 90 წლის იუბილეზე ვიტყვით. ამჯერად კი ერთხელ კიდევ გილოცავთ! არ გაგნელებოდეთ წინაპრებისა და საქართველოს სიყვარული. უფალი იყოს თქვენი და თქვენი ოჯახების შემწე და მფარველი!

**კოკი ნარმანია**
საქართველოს დამსახურებული იურისტი,
პროკურატურის საპატიო მუშაკი,
საზოგადოებრივი მოძრაობის „უკან დედაბუნებისკენ“ პრეზიდენტი.
20.02.2008.

# 11. ჩვენი სასიქადულო მასწავლებელი და გულითადი მეგობარი

**ღრმად პატივცემულო ბატონო ლეო!**

ოჯახის წევრებთან, მეგობრებთან, კოლეგებთან, ამხანაგებთან, ყველა ახლობელთან, ჩვენც – თქვენი ყოფილი ასპირანტებისა და სამეცნიერო ხარისხის მაძიებელთა მცირერიცხოვანი ჯგუფი იმერეთიდან (ინეზა წერეთელის, ალეკო ახალაძისა და ვახტანგ გოგისვანიძის შემადგენლობით), უდიდესი მადლიერების გრძნობით, ღრმა პატივისცემითა და აღმატებული სურვილებით გილოცავთ სახელოვან იუბილეს - დაბადებიდან 80 და მეცნიერულ-პედაგოგიური და საზოგადოებრივი მოღვაწეობის 60 წლისთავს.

ორიოდე ათეული წლის წინათ, ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად ქუთაისიდან თბილისში (საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტში) მივლინებულ ახალგაზრდებს, როგორც იტყვიან, ბედმა გაგვიღიმა და ქართველ სწავლულ ეკონომისტთა წრეში თქვენისთანა საყოველთაოდ აღიარებული, ფრიად მაღალავტორიტეტიანი სპეციალისტი დაგვენიშნა მეცნიერ-ხელმძღვანელად. ცხადია, იმთავითვე ყოველივე ამის სრულად აღქმა და გაცნობიერება ჩვენ არ შეგვეძლო. ეს შესაძლებელი გახდა მას შემდეგ, რაც დავიწყეთ საკანდიდატო მინიმუმით გათვალისწინებული საგნების მომზადება და საკვალიფიკაციო ნაშრომებზე ინტენსიური მუშაობა. დღევანდელი თვალსაწიერიდან რომ ვუყურებთ, შეიძლება ითქვას, რომ ორივე ეს რთული ამოცანა დროულად და საკმაოდ წარმატებულად გადავჭერით, რომელშიც „ლომის წილი" თქვენ გედოთ. თქვენი როლი ხომ ჩასაბარებელი საგნების ათვისების შემწეობით, საერთო კონსულტაციითა და ჩვენს მიერ წარდგენილი ტექსტების შეფასება-შესწორებებით არ შემოიფარგლებოდა. კარგად გვახსოვს, თუ როგორ გვეხმარებოდით ლიტერატურული წყაროების მოძიებასა და შესაბამისი ფაქტობრივი მასალის მოპოვებაში, მათი მეცნიერული გაანა-

ლიზებისთვის საჭირო ხერხებისა და მეთოდების ათვისებაში, ეკონომიკური მოვლენებისა და პროცესების ურთიერთკავშირის განზოგადებისა და მეცნიერული დასკვნების გაკეთებისთვის საჭირო უნარ-ჩვევების გამომუშავებაში.

ახლაც თვალწინ გვიდგას ჩვენი საკვალიფიკაციო ნაშრომების ექსპერტებისა და ოფიციალური ოპონენტების გაბრწყინებული თვალები, რომელიც დაკავშირებული იყო მეცნიერ-ხელმძღვანელის რანგში თქვენი სახელისა და გვარის გაგონებასთან. მათ შორის არაერთს უთქვამს წინასწარვე, რომ ბ-ნი ლეოს ხელში გავლილი და მის მიერ რეკომენდებული ნაშრომი არ შეიძლება წაყენებულ მოთხოვნებს არ აკმაყოფილებდეს, ამიტომ სიამოვნებით გავეცნობი და დასკვნასაც დროულად წარმოვადგენო.

არც იმის უთქმელობა იქნება, რომ ჩვენი ოფიციალური ურთიერთობა ყოველთვის შაქარივით ტკბილი არ ყოფილა. იგი რიგ შემთხვევაში იყო საკმაოდ მკაცრი და პრინციპული, მაგრამ ობიექტური და სამართლიანი, საბოლოო ჯამში, მიმართული ჩვენდა საკეთილდღეოდ. თქვენგან ჩვენ დავალებულნი ვართ არა მარტო იმით, რომ ეკონომიკურ მეცნიერებას გვაზიარეთ, ამ რთულ დარგში ცოდნა შეგვძინეთ და შემდგომი დამოუკიდებელი მუშაობისთვის გზა დაგვილოცეთ, არამედ იმითაც, რომ თქვენთან საქმიანმა ურთიერთობამ ბევრი რამ შეგვძინა წერის, მეტყველების, მსჯელობისა და აზრევნების კულტურის სრულყოფის თვალსაზრისითაც. სწორედ თქვენისთანა მრავალმხრივ განსაწავლულ და ღვთისნიერ ადამიანებთან თანამშრომლობა იყო საწინდარი იმისა, რომ თითოეული ჩვენგანი ჩამოვყალიბებულიყავით მაღალი ჰუმანური იდეალების მატარებელ, სისპეტაკით გამორჩეულ, ზნეობრივად სანიმუშო, კეთილ და თბილ, ქართული ტრადიციების მატარებელ, მშობლიური ქვეყნის პატრიოტ და ტოლერანტ ადმიანებად.

თქვენს აღზრდილებს — ყოვილ ასპირანტებსა და მაძიებლებს გვეამაყება ის, რომ ჩვენი (როგორც მეცნიერ-ხელმძღვანელისა და მოწაფის) ურთიერთობა მომდევნო ეტაპებზე მეგობრობაში გადაიზარდა და ერთმანეთს არ ვივიწყებთ ჭირსა თუ ლხინში. თქვენ კარგად იცით, რომ ჩვენი (ე.ი. თქვენი მოწაფეების) ოჯახების კარები ყოველთვის ღიაა თქვენთვის როგორც საპატიო სტუმრისა და მეცნიერული ნათლიისთვის.

ქართული ტრადიციების მატარებელი თქვენი ოჯახი სანიმუშო და მისაბაძია თითოეული ჩვენთაგანისთვის. ჩვენ ვიცით, რომ თქვენი ორივე შვილი და მათი მეუღლეები, როგორც აკადემიური დოქტორები, აქტიურად მონაწილეობენ ქვეყნის აღმშენებლობით საქმიანობაში, ხოლო შვილიშვილები (მ.შ. პატარა ლეო) სახელოვანი ბაბუას კვალს მიჰყვებიან და გვჯერა, რომ დიდებას მოუტანენ თავიანთ ერსა და ქვეყანას.

ბ-ნო ლეო, ქუთათურებს კარგად გვახსოვს და არც არასოდეს დაგვავიწყდება ის დიდი წვლილი, რაც მიგიძღვით ქუთაისის სახელმწიფო ტექნიკური უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტის დაფუძნება-ჩამოყალიბებაში, საერთაშორისო მნიშვნელობის სამეცნიერო კონფერენციებისა და სიმპოზიუმების ჩატარებაში, სამეცნიერო კრებულების გამოცემაში და ა.შ. გარკვეული ზომით თქვენი დამსახურებაცაა ის, რომ დღეისთვის ამ სასწავლებლის ეკონომიკის ფაკულტეტის მრავალი კურდამთავრებული წარმატებით საქმიანობს როგორც ჩვენი ქვეყნის, ისე საზღვარგარეთის წამყვან ფირმებსა და ბანკებში, ნაწილი კი სამეცნიერო საქმიანობას ეწევა.

ჩვენთან ერთად, გესალმებიან და საიუბილეო თარიღს გილოცავენ ა. წერეთლის სახ. ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სწავლული ეკონომისტები, ეკონომიკის ფაკულტეტის სტუდენტები და კურსდამთავრებულები, რომლებიც დიდ პატივს მიაგებენ თქვენს პიროვნებას.

ბ-ნო ლეო, ვერ წარმოიდგენთ, თუ რაოდენ გვიხარია ის ამბავი, რომ წელთა სიმრავლის მიუხედავად, სრულ ფორმაში ბრძანდებით და ჩვეული შემართებით ემსახურებით თქვენს საყვარელ საქმეს – მეცნიერულ კვლევა-ძიებასა პედაგოგიურ მოღვაწეობას.

ღმერთმა ძალიან, ძალიან დიდხანს ჯანმრთელად და მხნედ გვიმყოფოს თქვენი თავი როგორც ჩვენდა საიმედოდ, ისე ერისა და ქვეყნის სადიდებლად.

თქვენი მადლიერი მოწაფეები, ეკონომიკის აკადემიური დოქტორები:

**ინეზა წერეთელი, ალეკო ახალაძე, ვახტანგ გოგისვანიძე**

ქ. ქუთაისი. 20.02.2008

# 12. მერნდა ბედნიერება, რომ მასთან მეთანამშრომლა

გამოჩენილ ქართველ მეცნიერ-ეკონომისტს ბატონ ლეო ჩიქავას დაბადებიდან 80 წელი შეუსრულდა. დიდ აკაკის თუ დავესესსებით, სამშობლოსადმი ერთგულება და დიდი მამულიშვილობა მეღავნდება არა მარტო ბრძოლის ველზე, არამედ ჩვენს ყოველდღიურობაშიც, როდესაც ადამიანი მთელ თავის ნიჭს, უნარს, ენერგიასა და ძალისხმევას მაქსიმალურად აქსოეს მშობლიური ერისა და ქვეყნის კეთილდღეობისთვის მიმართულ საქმიანობაში. სწორედ ასეთ ადამიანთა რიცხვს განეკუთვნება ღვაწლმოსილი მეცნიერი, ახალგაზრდობის უბადლო აღმზრდელი და კეთილშობილი პიროვნება – ბატონი ლეო ჩიქავა.

მის მცენიერულ მოღვაწეობასა თუ დამსახურებაზე ბევრია დაწერილი და კიდევ ბევრს დაწერენ გამოჩენილი მეცნიერები, იუბილარის მეგობრები, კოლეგები. მე მინდა, შეძლებისდაგვარად, სსვა კუთხით მივუდგე ამ არაორდინარული პიროვნების ცხოვრებას.

ყველა დიდი წარმატება ოჯახური გარემოდან იწყება. ოჯახური ტრადიციების დაცვა საფუძველია მომავალი ცხოვრებისა და მას დიდი სიყვარულით ესაჭიროება მოპყრობა. ამ გზიდან თავისი ცხოვრების არცერთ საფეხურზე არ გადაუხვევია ბატონ ლეოს. აი მაგალითიც: იგი ერთ-ერთ კოლეგასთან ერთად, მიელინებაში იმყოფებოდა ხობში. ოფიციალური დავალების შესრულების შემდეგ, მასპინძლებმა სადილზე მიიპატიჟეს. მან აუხსნა, რომ „ოთხი თვის უნახავი დედა აქედან სულ ოციოდე კილომეტრზეა და ის მინდა ვინახულოო“. შეპირდნენ, ერთ საათში გაგიშვებთო. კოლხურმა ადათ-წესმა მაინც თავისი ქნა და ამასობაში დაღამდა. როცა სუფრის თავკაცმა ბატონ ლეოს მიმართა: „ სულ ორი სადღეგრძელო დამრჩა და მერე შეგიძლიათ წაბრძანდეთო“, მისი პასუხი ასეთი იყო: „უკვე არსად არ მეჩქარება და ჩემთვის მნიშვნელობა არა აქვს იმას, თუ როდის დამთავრდება ეს შესვეედრაო“. ყველას გაუკვირდა. მან ასეთი კომენტარი გააკეთა: „დედა, რომელიც 90 წელს გადაცილებულია, უკვე დაძინებული იქნება, რომ მიეალ უნდა გავაღვიძო,

აფორიაქდება, ძილი გაუტყდება, შეიძლება წნევა აუწიოს და, სიამოვნების ნაცვლად, შეეაწუხებო, ამიტომ ამაღამ მუგდიდში დავრჩები დასთან და დილით მოვინახულებო".

ამ თითქოს უმნიშვნელო ისტორიაში კარგად ჩანს ბატონი ლეოს დამოკიდებულება ოჯახთან, უფროს-უმცროსობასთან და ბოლოს, რაც მთავარია, — დედასთან, რომელსაც იგი უდიდეს პატივს მიაგებდა. ოჯახური ტრადიციების პატივისცემა დღესაც სამაგალითოდ გრძელდება ლეო ჩიქავას დიდ ოჯახში, შვილებსა და შვილიშვილებში. და, მართლაც, მოსკოვსა თუ თბილისში მეცნიერებაში ფართო ნაბიჯით მოაბიჯებს ბატონი ლეოს შთამომავლობა.

ამ სტრიქონების ავტორს მქონდა ბედნიერება ბატონი ლეოს ხელმძღვანელობით, წლების განმავლობაში მემუშავა სახელმწიფო სამსახურის მართვისა და მოსამსახურეთა მომზადების, გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების ცენტრში, რომლის საქმიანობაში მან უდიდესი წვლილი შეიტანა. წარმოუდგენელი და დაუჯერებელი იყო, თუ როგორ ახერხებდა სახელმწიფო, საზოგადოებრივი, სამეცნიერო და პედაგოგიური საქმეებით დახუნძლული ბატონი ლეო ჩვეულ აკადემიურ სტილში დროულად გადაეწყვიტა ცენტრთან დაკავშირებული ნებისმიერი საკითხი, ხმის აუმაღლებლად მიეცა ნებისმიერი დავალება თანამშრომლებისთვის და უზრუნველეყო მათი დროული შესრულება, გამოენახა დრო მათი პირადი პრობლემების გადასაწყვეტად და არ მიეტოვებინა ისინი გაჭირვებაში.

მასთან მუშაობა თითოეული ჩქვენგანისთვის გახლდათ დიდი სკოლა ადამიანებთან ურთიერთობებისა და ურთიერთპატივისცემისა. ამიტომ აღარაა გასაკვირი, რომ ათი წლის წინათ საქართველოში ეკონომიკურ მეცნიერებათა ერთ-ერთი ქურუმის — ბატონი ლეო ჩიქავას 70 წლის იუბილე გადაიქცა ეკონომიკური მეცნიერების დღესასწაულად და რამდენიმე ორგანიზაციამ ცალცალკე ჩაატარა იგი, რომელიც დააგვირგვინა საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიამ.

ბ-ნი ლეო ჩიქავას მთელ მოღვაწეობას წითელ ზოლად გასდევს მემკვიდრეობითობისადმი უდიდესი სიფრთხილე და პატივისცემა. მისი დაცვა და გაფრთხილება ხომ მომაელის საფუძველია. ამ ჭრილში ლეო ჩიქვას მეცნიერულ-ორგანიზაციული

საქმიანობის ახალი, ღირსშესანიშნავი ეტაპი იყო, დემოგრაფიისა და სოციოლოგიის განყოფილების ბაზაზე, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სისტემაში დემოგრაფიისა და სოციოლოგიური კელევის ინსტიტუტის შექმნა, რომლითაც მან გააგრძელა გზა დიდი პაატა გუგუშვილისა, ვალი მოიხადა თავისი მასწავლებლისა და ქვეყნის წინაშე, გადააქცია რა. აღნიშნული დაწესებულება წამყვან სამეცნიერო-კვლევით ცენტრად, რაც ასე პაერივით სჭირდება დემოგრაფიულ კრიზისში მყოფ ჩვენს სამშობლოს.

მემკვიდრეობითობის დაცვის თვალსაზრისით, ასევე, აღსანიშნავია აკადემიკოსების პაატა გუგუშვილისა და ვასილ ჩანტლაძის მიერ დაწყებული ნაშრომის – „ეკონომიკური და დემოგრაფიული ტერმინოლოგია“ – დასრულება.

მიუხედავად იმისა, რომ დღეს რიგ შემთხვევაში ნაცარწაყრილი ობოლი ნაკვერცხლებივით დაფარულია დიდი მეცნიერების ნამოღვაწარი, ბ-ნი ლეო ჩიქავა ისევ მუხლჩაუხრელად აგრძელებს თავის სამეცნიერო-პედაგოგიურ მოღვაწეობას, რადგანაც სჯერა, რომ დროთა ვითარება გადაყრის ცივ ნაცარს და მეცნიერებაში მარგალიტებივით გაბნეული მიღწევები ნაკვერცხლებივით აინთება, ჩადგება ხალხის სამსახურში და გადაიქცევა იმ ნასკვად, რომელიც შემაერთებელია წარსულის, აწმყოსა და მომავლისა.

ფიქრი იმაზე, რომ იუბილარისადმი მიძღვნილი სტატიებითა და გამოსვლებით მოხერხდება მისი ნაშრომ-ნაღვაწის სრული შეფასება, არარეალურია, რამდენადაც ის უზარმაზარი, ტიტანური შრომა, რომელსაც იგი ინტენსიურად, ახალგაზრდული ენერგიით ეწევა, ის მეცნიერული ნოვაციები, რომლის მოწმენიცა ვართ, უფრო მომავალი თაობების შესაფასებელია და დაძველება არ უწერია.

მაშ, დიდხანს სიცოცხლე, ჯანმრთელობა და ოჯახური ბედნიერება ვუსურვოთ უაღრესად თბილ, მოსიყვარულე, ყურადღებიან, გამორჩეული ხასიათის მართალ კაცს, უებრო პიროვნებას – ბატონ ლეო ჩიქავას.

**ავთანდილ შარაბიძე**
ქ. თბილისი, 2008 წელი.

# 13. მეცნიერების მწვერვალზე ამაღლებული

უდიდესი ეკონომისტი და მოაზროვნე კარლ მარქსი წერდა: „მეცნიერებაში არ არის ფართო შარაგზა და მხოლოდ მას შეუძლია მიაღწიოს მის მწვერვალებს, ვისაც არ აშინებს დაღლა მის კლდოვან ბილიკებზე ასვლისას“.

მეცნიერების მწვერვალზე ამაღლება იშვიათი ხვედრი, უდიდესი მიღწევა და ბედნიერებაა ადამიანისთვის. იგი ღირსშესანიშნავი მოვლენაა მთელი საზოგადოებისთვისაც, რადგან მეცნიერული აზრი, ცოდნა უმნიშვნელოვანესი საზოგადოებრივი სიკეთეა. ამჯერად მინდა რამდენიმე მტრიხით წარმოგიდგინოთ ბატონი ლეო ჩიქავას ამაღლება ამ მწვერვალზე.

ბატონმა ლეომ სწორედ თავისი ინტელექტის ენერგიით, დიდი შრომითა და გარჯით შესძლო ეკონომიკური მეცნიერების საფეხურების გავლა და მის მწვერვალზე ამაღლება. მთამსვლელი თუ პირქუშ და მრისხანე მწვერვალს ახალგაზრდული მგზნებარებით, გამბედაობითა და მოხერხებით იპყრობს, მეცნიერების მწვერვალზე ასვლა, ყოველივე ამასთან ერთად, უდიდეს მოთმინებას, უფრო ხანგრძლივ შრომასა და ოფლს, მეტ ინტელექტუალურ ძალას მოითხოვს. სანაცვლოდ მიღებული ჯილდოც მეტად ძვირფასია – საკუთარი შინაგანი შემეცნებითი მოთხოვნილების – ჭეშმარიტების მაძიებლის სურვილის დაკმაყოფილება სინამდვილის საიდუმლოებებში წვდომით, ახალი ცოდნის დაუფლებით, რასაც მოაქვს საზოგადოების მიერ აღიარება, დაფასება და პატივისცემა.

ბატონი ლეო ჩიქავა ერთ-ერთი გამორჩეული ორიგინალური მოღვაწეა ქართულ ეკონომიკურ მეცნიერებაში, რითაც მან მიაღწია ეკონომიკურ მეცნიერებათა ოლიმპს – არის საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრი, ნიუ-იორკის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი, საერთაშორისო ჟურნალის – „ობშესტვო ი ეკონომიკა“ რედკოლეგიის წევრი, ეკონომიუკრ მეცნიერებათა დოქტორი,

პროფესორი და სხვა რეგალიებით დამშვენებული. მისი რეგალიები კი ნაღდია, დამსახურებების ნამდვილი სახეა.

ფართოდ არის ცნობილი ბატონი ლეო ჩიქავას ნაშრომები ეკონომიკური თეორიის საკვანძო პრობლემებზე, განსაკუთრებით საზოგადოების ცხოვრების სულ უფრო მზარდი როლის მქონე მომსახურების სფეროს თავისებურებებზე, მეცნიერულ-ტექნოლოგიური (ინოვაციური) საქმიანობის პროდუქტებზე, მის ბუნებაზე, ადგილზე ეკონომიკისა და საზოგადოების ცხოვრების განვითარებაში. ბატონმა ლეომ შემოდგომ განავითარა მისი და ბევრი სხვა ქართველი ეკონომისტის მასწავლებლის აკადემიკოს პაატა გუგუშვილის კვლევები დემოგრაფიული პრობლემების, მოსახლეობის დინამიკის კანონზომიერებათა შესახებ, საერთოდ, და თანამედროვე ეტაპზე საქართველოს მოსახლების აღწარმეობის მწვავე სირთულეების გარშემო, კერძოდ, თავისი პუბლიკაციებით სიცხადე შეიტანა ამ საკითხებში და საზოგადოებას შეუქმნა ნათელი წარმოდგენა საქართველოში გამწვავებული დემოგრაფიული კრიზისის საფრთხეზე, შეიმუშავა რეკომენდაციები მისი დაძლევისთვის.

ბატონი ლეო ჩიქავას წვლილი დიდია საქართველოში ეკონომისტთა კადრების – უმაღლესი კვალიფიკაციის ეკონომისტების, მკვლევარების – მეცნიერებათა კანდიდატებისა და დოქტორების მომზადებაში, რომლებიც მოღვაწეობენ სამეცნიერო დაწესებულებებში, უმაღლეს სასწავლებლებში, ხელისუფლების ორგანოებში, არასამთავრობო თუ სხვა ეკონომიკურ ორგანიზაციებში, საზღვარგარეთ. მრავალჯერ მსმენია, რომ ყოველთვის დაუვიწყარი, მიმზიდველი, ნათელი, ღრმაშინაარსიანია მისი ლექციები, მოხსენებები, საჯარო გამოსვლები. ასევე სიღრმით, სიცხადით, ტექსტის რაფინირებით გამოირჩევა მის მიერ დაწერილი სახელმძღვანელოები.

ბატონმა ლეომ დიდი ღვაწლი დასდო ქართულ ეკონომიკურ მეცნიერებას იმითაც, რომ არის საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის შექმნის (1994 წ.) ინიციატორი და უცვლელი პრეზიდენტი. მისი დამსახურებაა, რომ ურთულეს პირობებში დაფუძნდა და ეწევა საქმიანობას ეს აკადემია ქართული ეკონომიკურ აზროვნების გადარჩენისთვის, მისი მომა-

ვალი აღორძინებისთვის. იგი ძალ-ღონეს არ იშურებს ამისთვის, მიუსედავად დიდი სიძნელეებისა და წინააღმდეგობებისა მეცნიერებისადმი ნიჰილისტური დამოკიდებულების ადამიანთა მოქმედების გამო, რაც არაა ადვილად დასაძლევი.

მისი დიდი დამსახურებაა თავისი საზღვარგარეთ გამოქვეყნებული ნაშრომებითა და უცხოელ სამეცნიერო ცენტრებთან კავშირით ქართული ეკონომიკური აზრის ღირსეული წარმოჩენა საერთაშორისო ასპარეზზე.

ბატონ ლეო ჩიქავას კვლევები არასდროს ყოფილა მოწყვეტილი ცხოვრების სინამდვილის პროცესებსა და პრობლემებს, განყენებული დებულებების შემცველი. ისინი, მეცნიერების განვითარებასთან ერთად, ემსახურება ქვეყნის ეკონომიკისა და სოციალური სფეროს წინსვლას ხალხის საკეთილდღეოდ.

ბატონი ლეო ჩიქავა ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთი გამორჩეული საზოგადო მოღვაწეა, მუდამ ტრიალებდა და ტრიალებს საზოგადოების ცხოერების შუაგულში, აქტიურად მონაწილეობს მწვავე პრობლემების გადაწყვეტის გზების ძიებაში, ხელისუფლებისთვის მეცნიერული რეკომენდაციების შემუშავებასა და დასახული ღონისძიებების განხორციელებაში. ამასთან, იგი პრინციპულად იცავს მეცნიერული დასკვნების ხელისუფლების მიერ გამოყენების აუცილებლობის თვალსაზრისს, ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირების მეცნიერებაზე დაფუძნების იდეას. იგი თავის ძალისხმევას ახმარს ამ მიდგომის პრაქტიკაში დანერგვას, ჩვეული ტაქტით, გაბედულად გამოდის ვოლუნტარისტული გადაწყვეტილებების, ლიბერალიზმის პრინციპის პროფანაციისა და მისი ნიღბით ანარქიული მოქმედებების აღსაკვეთად.

არ შეიძლება ბატონი ლეო ჩიქავას სრული შემოქმედებითი პორტრეტის შექმნის პრეტენზია მქონდეს, მით უფრო ამ მცირე წერილში. მაგრამ გვერდს ვერ ავუვლი მის პიროვნულ მომხიბელელობას – კეთილმოსურნეობას, გულისხმიერებას, ტოლერანტობას, თავაზიანობასა და სისადავეს. მასთან ურთიერთობა – თანამშრომლობა, შეხვედრა, საუბარი, კამათი მიმზიდველი და სიამოვნების მომგვრელია. მასთან ყოველთვის თავისუფლად, დაუძაბავად გრძნობ თავს, ზოგიერთების-

გან განსხვავებით, რომლებიც ბარიერებს უქმნიან ადამიანებს ურთიერთობისას, ემიჯნებიან მათ მიუწვდომლობით, თითქოს თავიანთ უპირატესობას უსვამენ ხაზს, თუმცა, ამით ფაქტობრივად საწინააღმდეგოს ავლენენ. ბატონი ლეოს დემოკრატიულობა სრულიად ხალასი, საღი, ადამიანურია, მაღალზნეობრივი თვისებების, მისი სულიერი და ინტელექტუალური სიმაღლის დადასტურებაა.

ნიჭთან და დიდებულ სასიათთან ერთად, ბატონი ლეო ბუნებამ ფიზიკური მონაცემებით – მომხიბლველობით, მარადიული ახალგაზრდული იერით და სიცოცხლისუნარიანობითაც დააჯილდოვა. ეულოცავ მას საიუბილეო თარიღს, დაე, იყოს იგი ამ ქვეყნის მშვენებად დიდხანს.

**გიორგი მალაშხია**
ეკონოიკურ მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი, საქართველოს ეკონომიკურ
მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი,
საქართველოს სახელმწიფო პრემიის
ლაურეატი მეცნიერებისა და ტექნიკის დარგში,
საერთაშორისო ჟურნალის – **„Homo esperans“**
(სანკტ-პეტერბურგი) სარედაქციო კოლეგიის წევრი.
27 დეკემბერი, 2007 წ.

# 14. სიბერის სიბრძნე და მშვენიერება

ცოტაა იმ პირთა წრე, ვის ცხოვრებასა და, შესაბამისად, ცხოვრების სხვა კომპონენტებთან ერთად, ადამიანი ასაკსაც გამუდმებით აღევნებს თვალს. ესაა მშობლები, დედმამიშვილები, შვილები, შვილიშვილები, ცოტა კიდევ სხვა და აუცილებლად მასწავლებლები.

სულ ვფიქრობ, მე რომ პირველ კლასში ვიყავი, მე რომ სტუდენტი გავხდი, მე რომ პროფესორი გავხდი და ა.შ. მაშინ ჩემი მასწავლებელი ჩემი ეხლანდელი ხნოვანების, მეტის, ან ნაკლების ყოფილა. მუდმივად ადარებ თავს. ამასთან, ყოველთვის გინდა, რომ განსაკუთრებულად მიულოცო დღესასწაულები, დაბადების დღე, რაც უფრო ხშირად არ ხერხდება, თუ არა საიუბილეო თარიღები.

ჩემი და ბევრი სხვა თაობის ეკონომისტების მასწავლებლის პროფესორ ლეო ჩიქავას საიუბილეო თარიღის აღსანიშნავად ქაღალდად და კალმად ქცეულ კომპიუტერს მეც მივმართე და ავკრიფე: „ბატონ ლეო ჩიქავას ვულოცავ საიუბილეო თარიღს – დაბადებიდან 80 წლისთავს და ვუსურვებ სიბერეში ევლოს ისეთივე ნაბიჯებით, როგორც დღემდე იარა ცხოვრებაში, იმ მანძილზე – რამდენიც გულით სწადია და იმდენხანს – სანამ არ მობეზრდება“. როცა ზემოთქმულის გაგრძელებაზე დავფიქრდი, ეჭვმა შემიპყრო სიტყვა „სიბერესთან“ დაკავშირებით. ხომ არ ეწყინება იუბილარს? იქნებ ეს სიტყვა „მოხუცებულობით“ შევცვალო, ან სულაც გვერდი ავუარო ამ ასაკობრივ მომენტს და ბატონ ლეოს შობიდან წელთააღრიცხვის 80 წლის თემა მსუბუქ, ემოციურ-მოფერებით, ან საერთოდ აკადემიურ სტილში (სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობის შეფასება-ანალიზში) გადავიტანო-მეთქი.

ამ ორჭოფობაში სრულიად ერთმნიშვნელოვნად გადავწყვიტე, რომ ჩვენს დროში, როდესაც მსოფლიოს განვითარებულ ქვეყნებში ასე მწვავედ დადგა დაბერების საკითხი, ხოლო საქართველოში ამ მდგომარეობას ბოლო ოთხი წელი დაემატა

ასალგაზრდობა-მოხუცებულობის დამოკიდებულების ხელოვნურად პოლიტიზებული, სშირად დისკრიმინაციამდე მისული, გამწვავება — სწორედ სიბერის სიკეთესა და მნიშვნელობაზე მელაპარაკა ბატონი ლეოს მაგალითზე.

უპირველეს ყოვლისა, მინდა განვასხვავო სიბერე და მოხუცებულობა. ჩემი წარმოდგენით, სიბერე ცხოვრების რაოდენობრივი, ხოლო მოხუცებულობა სულიერი დაღლილობის ზომის მაჩვენებელია. მე მომწონს სენტენცია, რომ მოხუცებულობა ასაკი კი არა, არამედ სურვილია. ბატონი ლეო ასალგაზრდული შემართებისა და მოქმედების პიროვნებაა. ასეთ შემთხვევაში, როგორც სიმღერაშია ნათქვამი, „წლები წარმოადგენს სიმდიდრეს“.

ქრისტიანული მოძღვრების მიხედვით ადამიანს 7 ასაკობრივი პერიოდი აქვს: ჩვილობა, ბავშვობა, ყმაწვილობა, სიჭაბუკე, ახალგაზრდობა, მოწიფულობა, სიბერე.

ქრისტესშობამდე, ძველ რომში, 17 წლის ასაკი ითვლებოდა დიდობაში შესვლის ზღვრად. 17 წლამდე ითვლებოდა ჩვილობად, ბავშვობად (პუერიტია); 17 წლიდან 46 წლამდე - ახალგაზრდობად (ადულესცენტია, იუვენტუს); 46-დან 60 წლამდე - ჭარმაგობის ასაკად (აეტასსენიორუმ); 60 წლიდან, რომაელების აზრით, დგებოდა სიბერე (სენეცტუს).

საბჭოთა კავშირის დროს მოხუცებულობის ზღვარი პენსიის განსაზღვრისთვის დადგენილი იყო ქალებისთვის 55, სოლო მამაკაცებისთვის 60 წელი. დღევანდელ საქართველოში ეს ზღვარი განისაზღვრება 65 წლის ასაკით.

საქართველოს მოსახლეობაში 65 წლისა და უფრო მეტი ასაკის მოსახლეობის წილი 14%-მდეა. საქართველოს დემოგრაფიული დაბერება, ყველა პროგნოზით, კიდევ უფრო გაიზრდება და არსებული ფაქტორების კარდინალური ცვლილებების გარეშე თავის პიკს მიაღწევს მაშინ, როდესაც სიბერის ასაკში შეველენ ისინი, ვინც დღეს 20-სა და 40 წელს შორის ასაკისაა. ამდენად, სიბერის საკითხი საქართველოში არამარგო საზოგადოებრივი, არამედ ეროვნული საკითხიცაა.

ყველა ასაკობრივი დაყოფა პირობითია და რაღაც ფორმალურ მიზანს ემსახურება საზოგადოებაში: სამხედრო სამსახუ-

რი, სკოლაში წასვლა, პასუხისმგებლობა, თანამდებობისთვის შესაფერისობის განსაზღვრა და სხვ.

ყველა ეტაპის დასაწყისი და დასასრული ადამიანის ცხოვრებაში შემოსაზღვრულია დროში. ერთადერთი პერიოდია სიბერე, რომელსაც ზედა ზღვარი კაცისგან განსაზღვრული არა აქვს და ვინც ამას მოინდომებს ის იმ საქმეში ერევა, რომელიც ვერასდროს გამოუვა. თუმცა, ამით დანაშაულს თუ თავს აარიდებს, დიდ შეცდომებს მაინც ვერ გაექცევა. ასაკობრივი ცენზის დადგენით მოინდომეს სიბერის შემოსაზღვრა მეცნიერებაში, პედაგოგიურ საქმიანობაში . . . ასეთი რამ გასული საუკუნის 80-იან წლებში დაიწყო „გაახალგაზრდავებულმა“ სკკპ პოლიტბიურომ და ეს გაგრძელდა 90-იანი წლების დასაწყისშიც („თანამდებობისთვის შეუფერებლად“ მიჩნეულ იქნა 65-70 წელზე მეტი ასაკის ადამიანები). ასე მოხდა ბოლო ოთხი წლის განმავლობაში („თანამდებობისთვის შეუფერებლად“ მიჩნეულ იქნა 45-50 წელზე მეტი ასაკის ადამიანები). შედეგად მივიღეთ გაფუჭებული საქმე და ადამიანის უფლების დარღვევა – ასაკობრივი დისკრიმინაცია ინტელექტუალურ სფეროში.

სიბერე თავისთავად იმსახურებს თანაგრძნობას, მაგრამ პატივისცემას იმსახურებს მაშინ, თუ თავისი თავის დაცვა შეუძლია. აქ რამდენიმე გზაა. უმთავრესია ოჯახი და შემდეგ – საზოგადოება. ოჯახიდან უარყოფილს ვერ შველის საზოგადოების ყურადღება, ხოლო საზოგადოებიდან უარყოფილი, ოჯახით გადარჩენილი.

ბატონ ლეოს მოუწია ამ უსამართლო დამოკიდებულების გამოცდა. პირველად, როცა ასაკობრივი ცენზი სხვას ეხებოდა, მან ამით კი არ ისარგებლა, არამედ ახალი ეროვნულ საჭიროებებზე ორიენტირებული დემოგრაფიის ინსტიტუტი შექმნა და მას ჩაუდგა სათავეში. როდესაც ასაკობრივი ცენზი მას შეეხო არ გატეხილა, არ გაბოროტებულა. აქ უზარმაზარი როლი, რა თქმა უნდა, ეკუთვნის მის მიერ შექმნილ ოჯახს - მეუღლეს, ქალ-ვაჟს, რძალ-სიძეს, შვილიშვილებს.

ბატონმა ლეომ საზოგადოებრივი მდგომარეობისა და ყურადღების შენარჩუნება შეძლო არა მარტო წარსული დამსახურებების წყალობით, უფრო სწორად არა იმდენად, რამ-

ღენადაც მიმდინარე, ყოველდღიური საქმიანობითა და, პროფესიული ტერმინით თუ ვიტყვით, კონკურენტუნარიანობის შენარჩუნებით. წარსულისთვის ამბობენ მადლობას, მაგრამ ეს არაა საკმარისი, რომ ამიტომ არსებობდეს დღეს პროფესიული მოთხოვნა. სამწუხაროდ, ჩვენი წარსულიდან დიდი ენერგია დაისარჯა ისეთ საკითხებზე, რომლებმაც საბაზრო ფასეულობა დაკარგა.

სიბერეს არა აქვს ზედა ზღვარი, მაგრამ თვითონ წარმოადგენს ისეთი მოვლენის ზღვარს, როგორიცაა სიბრძნე. ბრძენი მხოლოდ ჭარმაგი შეიძლება იყოს. ჭკვიანი სხვაა – ბრძენი სხვა. ბრძენი რომ გახდე, ცხოერება უნდა ისწავლო და თან საკუთარი განელილი გზით. ცხოერების გამოცდილება არც წიგნით, არც მოყოლით არ ისწავლება. ამიტომაა ხშირად მრავალ ქართულ, თუ უცხოურ უნიეერსიტეტ დამთავრებული ნასწავლია, მაგრამ ყეყეჩი, ხოლო უსწაელელი გლეხი კი – ბრძენი.

ახალგაზრდამ უნდა გაიაროს ცხოერებისეული შორი გზა, რომელიც ჭარმაგს უკვე გავლილი აქვს. ახალგაზრდას სამომავლოდ ხანგრძლივობით უფრო დიდ დროზე აქვს იმედი, ხანდაზმულს ნაკლებზე, მაგრამ ეს მოგადად. კერძოდ კი ცხოერება დიდი რისკია: „ესვრიან მწიფეს, მკვახე ვარდება“.

ახალგაზრდობა ასე ითვლის: მე ოცისა ვარ, ის სამოცის, ამიტომ მე მასზე ორმოცი წლით მეტს მაინც ვიცხოვრებო და იყურება მომავლისკენ, სადაც ვერ ხედავს უფროსი ასაკის ადამიანების საჭიროებას. ახალგაზრდობა ცდება: კალენდარულად რომელ ასალ წელს შეეგებები ეს ერთია, მაგრამ თუ რამდენ ახალ წელს შეეგებები ჯამში – ეს სხვაა. ამ გაგებით, ხანდაზმული წინაა. ის 40 ახალი წლის შეეგებებით გისწრებს. ამასთან, მან იცის ცხოერება და აქვს ის ცოდნა, რომელიც მხოლოდ ნაცხოვრები წლებით მიიღება. შეძლებ შენ ახალგაზრდა ამდენი გზის გაელას? და შეძლებ ამას თუ მოხუცებს არ მოუსმინე? მოხუცს ფიზიკა ნასწაელი აქვს, შენ უნდა ისწავლო. მან ისწავლა ცხოერება, შენ უნდა ისწავლო. თუ საკითხი ეხება 2-ჯერ 2-ს, მაშინ, ვისაც ეს ნასწავლი აქვს, იმის უპირატესობა აშკარაა, მით უმეტეს, თუ ვისაც ჯერ არ უსწაელია, უარს იტყ-

ვის იმის მოწაფეობაზე, ვინც ეს იცის.

აბსტრაქტულად დარჩენილ სიცოცხლეს ის მნიშვნელობა აქვს, რომ შეიძლება მომავალში სასიცოცხლო გარემო იყოს კომფორტული, უფრო მეტი იყოს ჰუმანიზმი, თორემ, ერთი ადამიანის ადამიანური ურთიერთობების თანაბარ მდგომარეობაში გადასახედიდან, 20 წელიწად სიცოცხლეს ყველა ეპოქაში 100 წელი სიცოცხლე ჯობია.

თუ მოხუცებზე უარს იტყვი, შენ ბრძენზე ამბობ უარს და შეიძლება დადგეს დრო, როდესაც ყველაზე რთულ მომენტში აღარავინ იქნება, ვისგანაც შეგეძლება რომ ისწავლო და ელემენტალური რჩევის მიუღებლობის გამო დაიღუპო.

ადამიანები სხვადასხვაგვარად ბერდებიან. ვინც მუდმივად მუშაობს და დაკავებულია საქმითა და ოჯახით თანდათანობით, შეუმჩნეველად ბერდება, ვინც ეწევა არათანმიმდევრულ ცხოვრებას, უცებ ბერდება. შეხვდები ახალგაზრდაა და მეორე შეხვედრაზე უკვე დაბერებულ-დაჩაჩანაკებულია. გონება – ყველაზე დიდი რამაა, რაც ღმერთმა მისცა ადამიანს. ბატონი ლეო, რაც მე ვიცნობ, უფრო მეტიც – რაც ცნობილია, მუდმივად ეწევა პედაგოგიურ და სამეცნიერო საქმიანობას. ამასთან, ამ საქმიანობაშიც იხარჯება ზედმეტად, ვინემ საკუთრივ ამისთვისაა საჭირო. ეს ზედმეტი დატვირთვა საქმის ორგანიზაციასა და ხელმძღვანელობაზე მოდის. კათედრის გამგე, სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე, რედაქტორი, ინსტიტუტის დირექტორი. . . ამიტომაც ბატონი ლეოს ასაკი ჩვენთვის მხოლოდ სტატისტიკური მაჩვენებელია და არა ფაქტოროლოგიური მდგომარეობა. არგუმენტად მოვიტან ორ განსხვავებულ შემთხვევას: მის მონოგრაფიას „ინოვაციური ეკონომიკა“ (რომლის განხილვა ეკონომისტთა საზოგადოებამ მოაწყო ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში 2006წ. 20 აპრილს) და მის უბადლო თამადობას (აქ შემთხვევებს შეგნებულად არ მივუთითებ, რომ ვინც იქ არ იყო მას გული არ დაწყდეს. აგრეთვე, არც ჩემს გულის დასაწყვეტად მინდა გავიხადო საქმე იმის გაგებით, სადაც მე არ ვიყავი). ორივე, მართალია სხვადასხვა თანაფარდობით, მაგრამ ერთიღროულად ითხოვს გონებისა და სხეულის სიჯანსაღეს.

ახალგაზრდას მოხუცი თანატოლივით უნდა უყვარდეს, მოხუცს ახალგაზრდა კი – შვილივით.

ყველა ეტაპზე ადამიანი არკვევს, ვინ არის იგი და ვინ შეიძლება რომ გახდეს, სიბერის ჟამის გარდა. ამ დროს ადამიანი ფიქრობს თუ რა შეასრულა ან ვერ შეასრულა მან ცხოვრებაში და დინჯად აგრძელებს საქმის კეთებას მომავალ თაობებზე ორიენტაციით. რგავს სეჭეჭურს არა კონკრეტულად სათავისო, არამედ სამომავლო შედეგის იმედით.

ეს შედეგი ის უნდა იყოს, რომ მომავალი თაობა უკეთესი იყოს. ეს ხალხის ოცნებაა ზოგადად და კონკრეტულად: „სწორედ ის უნდა მამულსა, რომ შვილი სჯობდეს მამასა". მაგრამ ეს სწორად უნდა იქნას გაგებული. შვილი მამას უნდა ჯობდეს შესაბამის პერიოდებში შესაბამისი თვისებებით. ჭაბუკმა შვილმა კი არ უნდა აჯობო, ჭიდაობაში მამას, არამედ ის უფრო ძლიერი უნდა იყოს იმაზე, ვინემ მამა იყო ჭაბუკობაში.

მე ახალგაზრდობას მოხუცების არა სინანულით, შეცოდებით, არამედ ტრადიციების გამო პატივისცემისკენ მოვუწოდებ. და თუ ეს უკანასკნელიც არაა საკმარისი არგუმენტი, მივანიშნებ პრაქტიკული, პრაგმატული მოსაზრებით უარყოფასთან შედარებით პატივისცემის უფრო მომგებიანობაზე.

სიბერეს ნუ დავადანაშაულებთ. თავისთავად სიბერე, ისევე როგორც ახალგაზრდობა, არაა დანაშაული, თუმცა სიბერე უფრო დინჯი და ჭკვიანია, ვინემ ახალგაზრდობა, სამაგიეროდ, ახალგაზრდობა ფიზიკურად უფრო ძლიერია და უფროსებზე მეტი ცონის მიღებისა და უფრო ბრძენად ჩამოყალიბების პერსპექტივა აქვს.

არსებობს საქმეები, რომლებიც ახალგაზრდებმა უნდა აკეთონ, არსებობს ისეთი საქმეები, რომლებიც ქალების გასაკეთებელია, ისეთიცაა, რაც მოხუცებმა უნდა აკეთონ, მაგრამ უმრავლეს შემთხვევაში ეს არც ასაკობრივი და არც გენდერული საკითხია. ბევრ საქმეში შედეგი მაშინ მიიღწევა, თუ საქმეს ყველა აკეთებს, სადაც ადამიანის ყველა პოზიტიური შესაძლებლობის გაერთიანებაა საუკეთესო შედეგის მომტანი. მაგალითად, მეცნიერება, სახელმწიფო მოხელეობა...

ბუნებრივია, როდესაც ყველა ასაკის ადამიანი ცხოვრობს

პარალელურად და ავსებს ერთმანეთს ყველგან და ყველა სფეროში. ექსპერიმენტმა – „მხოლოდ ახალგაზრდები ხელისუფლებაში“ უფრო მალე მოგვცა უარყოფითი შედეგი, ვიდრე ექსპერიმენტმა „მხოლოდ ხანდაზმულები ხელისუფლებაში“. თუ წყდება მემკვიდრეობითობა, განახლება – შედეგი ადრე თუ გვიან უარყოფითია.

ბატონი ლეო ცდილობს შეამსუბუქოს რადიკალიზმის უარყოფითი შედეგები მეცნიერებაში. ამას ემსახურება მისი ინიციატივით შექმნილი საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემია. მართალია, ასეთი საზოგადოებრივი ორგანიზაცია ვერ მოახდენს საქართველოში თუნდაც მარტო 2007 წელს ეკონომიკური პროფილის ორი სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის გაუქმებით მეცნიერ-ეკონომისტთა მატერიალურ მდგომარეობაში რაიმენაირ კომპენსაციას (რომელთაგანაც ბევრი არაა ახალგაზრდა), მაგარმ ის ამსუბუქებს მათ მდგომარეობას. სიბერეს ამსუბუქებს სიბრძნე და პატივისცემა.

ბატონი ლეოსთვის სიბერე (მაინც მეეჭვება, ასე ხშირად უნდა გამომეყენებინა თუ არა ეს სიტყვა) არა მარტო მსუბუქია, არამედ ადვილიცაა იმიტომ, რომ ის მუდამ ახალგაზრდებთანაა და ახალგაზრდებსაც ის უყვარს, ახალგაზრდობა მას ყურს უგდებს, პატივს სცემს.

ციცერონის სიტყვებით, სიბერის გვირგვინი ავტორიტეტია.

ბატონი ლეოს ავტორიტეტი დიდი და მზარდია, რამეთუ ის სულით ახალგაზრდაა. სულით ახალგაზრდა სიბერე კი ვერ ითმენს მიზნის ჩაქრობას და ისიც გაათკეცებული ენერგიით აგრძელებს საქმის კეთებას – ღმერთმა გაუმარჯოს!

პროფესორი
**მიხეილ ჯიბუტი**

# 15. ცნობილი ქართველი მეცნიერ-მკვლევარი, პროფესიონალი ორგანიზატორი და უღალატო ერისკაცი

ადამიანისა და მისი ოჯახის, ერისა და საზოგადოების ფორმირებისა და განვითარების ძირეული უჯრედის, როლი და პასუხისმგებლობა ცივილიზაციის განვითარების შესაბამისად განუწყვეტლივ იზრდებოდა. ბუნებრივია, მომავალშიც გაიზრდება. იზრდებოდა, ასევე, ადამიანის ინტელექტუალური დონე და შრომის შედეგიანობაც.

ისტორიული ქარტეხილების, მ.შ. ბარბაროსული მოქმედებების შედეგად, ძალიან ბევრი კულტურული ერი და სახელმწიფო გაქრა მსოფლიო რუკიდან. დაიკარგა ბევრი, ძალიან ბევრი კულტურული განძეულობა, ხელოვნების ნიმუშები, იმ დროისთვის ისტორიული მნიშვნელობის ჩანაწერები და ა.შ. ზოგიერთმა ერმა და სახელწიფომ გაუძლო ისტორიულ გამოცდებს, შეინარჩუნა და განავითარა კიდეც საუკუნეების განმავლობაში დამკვიდრებული ცხოვრებისეული ტრადიციები. მათ შორისაა, უძველესი საქართველოს უმშვენიერესი და დიდი ტრადიციების მქონე რეგიონი – კოლხეთი და საერთოდ დასავლეთ საქართველო. კოლხური ოჯახი გამოირჩევა მაღალი კულტურით, სანიმუშო ადათ-წესებითა და საოჯახო მეურნეობის შესაშური ორგანიზაციით.

ჩემი განუყრელი მეგობარი – ლეო ჩიქავა სწორედ ასეთი ოჯახის შთამომავალია. როგორც ცნობილია, ლეოს წინაპართა ოჯახი და საოჯახო მეურნეობა შორეული წარსულიდან კოლხების მიერ შემონახული ტრადიციების მიხედვით საქმიანობდა და ძალზე წარმატებით საქმიანობს ამჟამადაც. ბ-ნ ლეოს არ ჰქონდა უფლება და არც უცდია უარეყო ყოველივე ზემოთაღნიშნული. მით უმეტეს, ლეოს მხარს უმაგრებდა უფროსი ძმა ბ-ნი იოსები, ცნობილი საზოგადო მოღვაწე – ხელმძღვანელი პარტიული მუშაკი, შემდეგში და ამჟამადაც წარმატებული მეცნიერ-მკვლევარი ისტორიკოსი. ლეოს ოჯახში დამ-

კვიდრებული ტრადიციების უზადო დაცვით გაიზარდნენ მისი შვილები, ამჟამად კი პირადი მაგალითისა და თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად იზრდებიან მისი შვილიშვილები.

ბატონ ლეოს 1946 წლის პირველ სექტემბერს შევხვდი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტზე. ის უკვე II კურსის ფრიადოსანი სტუდენტი იყო, ხოლო მე მეორე მსოფლიო ომის მონაწილე, ვეტერანი. დემობილიზაციის შემდეგ აღმაღგინეს ეკონომიკის ფაკულტეტის II კურსზე. მიუხედავად ასაკობრივი სხვაობისა, მეგობრული ურთიერთობა ადვილად დავამყარეთ. ლეო კარგი სამეგობრო სტუდენტი იყო. აღსანიშნავია, რომ ომის შემდეგ არა მხოლოდ სტუდენტი ახალგაზრდობა, არამედ საერთოდ, ახალგაზრდები და უფროსი თაობის წარმომადგენლებიც კარგად მეგობრობდნენ ერთმანეთთან.

ეკონომიკის ფაკულტეტის ხუთივე კურსზე 1300-მდე სტუდენტი სწავლობდა. მათ შორის 250 — მეორე კურსზე. ყველანი ვმეგობრობდით, არა მარტო თანაკურსელები, მთლიანად ხუთივე კურსისა და სხვა ფაკულტეტების სტუდენტებიც.

თითქმის ყველა სტუდენტი, განსაკუთრებით ომგადახდილნი, დაინტერესებულნი იყვნენ კარგად ესწავლათ, შეეძინათ ცოდნა. ბ-ნმა ლეომ ცოდნით დაინტერესებულთა შორის იმთავითვე მიი ცია ყურადღება. ლეოსნაირად სწავლას დაწაფებულ სტუდენტებთან მუშაობა გააძლიერა ფაკულტეტისა და პოლიტიკური ეკონომიის კათედრის ხელმძღვანელობამ. ამან თავისი გამოხატულება, უპირველეს ყოვლისა, წარჩინებული სტუდენტების სამეცნიერო წრეებში გაერთიანებაში პოვა. სულ მალე ლეო გახდა ეკონომიკის ფაკულტეტის პოლიტიკური ეკონომიის სტუდენტთა სამეცნიერო წრის თავმჯდომარე, ხოლო შემდეგ — ფაკულტეტის სტუდენტთა სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე. იგი დაკისრებულ მოვალეობებს სანიმუშოდ ასრულებდა, რითაც დიდი ავტორიტეტი მოიხვეჭა პროფესორ-მასწავლებელთა წინაშე.

დიდ მოწონებას იმსახურებდა ლეოს მოხსენებები სტუდენტთა სამეცნიერო წრეში, აგრეთვე სტუდენტთა საფაკულტეტო და საუნივერსიტეტო კონფერენციებზე.

ასე დამთავრდა უნივერსიტეტში ჩვენი სწავლის პროცესი. ლეომ და სხვა რიგმა სტუდენტმაც უნივერსიტეტი წარჩინებით დავამთავრეთ და ასპირანტურაში სწავლის გაგრძელების უფლება მოვიპოვეთ.

უაკულტეტზე ასპირანტურაში პოლიტიკური ეკონომიის სპეციალობით მხოლოდ 4 ადგილი გამოყვეს. განცხადება კი შვიდმა კურსდამთავრებულმა შეიტანა. მათ შორის იყვნენ ბ-ნი ლეო და თქვენი მონა-მორჩილი – პ. გარუჩავაც. 7 კონკურენტი იყო 4 ადგილზე. მიუხედავად კონკურენტობისა, გამოცდებისთვის მომზადების პერიოდში შვიდივე, განსაკუთრებით სამნი, ბ-ნი ლეოს ჩათვლით, ერთად ვემზადებოდით, ურთიერთდახმარებით ვამოწმებდით ჩვენი მომზადების დონეს, რაც ჩვენს შორის მეგობრობის გაგრძელების საუკეთესო მაგალითი იყო. დადგა ნანატრი გამოცდების დღეც. გამოცდები წარმატებით ჩავაბარეთ. ასპირანტურაში ჯერ ოთხი ჩაირიცხა, ცხადია, ბ-ნი ლეოც, საბოლოოდ კი შვიდივე.

დაიწყო სწავლების ახალი ეტაპი – ასპირანტურის ფორმით, ჩვენ თითქმის ყველანი ერთად მეგობრულად ვმუშაობდით, ძირითადად ბიბლიოთეკებში. ავირჩიეთ კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად საჭირო თემები.

ბ-ნმა ლეომ, ისე როგორც სხვა ასპირანტებმა, საკანდიდატო მინიმუმით გათვალისწინებული ყველა საგამოცდო საგანი წარმატებით ჩააბარა. ასევე, დროულად დაასრულა მუშაობა საკვალიფიკაციო ნაშრომზე და წარადგინა იგი ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად.

მეტად საინტერესოდ და წარმატებით ჩაიარა დისერტაციის დაცვამ. საინტერესო დისკუსიის შემდეგ სპეციალისტების, კერძოდ, ოფიციალური ოპონენტებისა და დისერტაციების საფაკულტეტო დაცვის სამეცნიერო საბჭოს წევრთა მოსაზრებების ურთიერთშეჯერების საფუძველზე, სამეცნიერო საბჭომ ბ-ნ ლეოს მიანიჭა ძიებული სამეცნიერო ხარისხი. ეს იყო პირველი დისერტაცია ეკონომიკის ფაკულტეტზე 1950 წლის კურსდამთავრებულთაგან.

ყოველივე ამით დაიწყო ბ-ნი ლეოს დამოუკიდებელი საქმი-

ანობის — პედაგოგიური, სამეცნიერო-კველვითი და საზოგადოებრივ-ორგანიზაციული მოღვაწეობის, ანუ ცხოვრების ახალი — უმაღლესი ეტაპი. ბუნებრივია, იგი რთული და სიძნელეებით დატვირთული, მაგრამ, ამასთან ერთად, უაღრესად საპასუხისმგებლო და საინტერესო საქმიანობის ეტაპი იყო.

სადაც კი უმუშავია, უმოღვაწია ბ-ნ ლეოს: ეს იყო მ. გორკის სახელობის სოხუმის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტი, საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი, თბილისის უცხო ენათა სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია, მისივე ძალისხმევით შექმნილი დემოგრაფიისა და სოციოლოგიური კვლევის ინსტიტუტი და ა.შ. ყველგან გამოავლინა მაღალი პროფესიონალიზმი, საქმის შესრულების სათანადო ნიჭი, უნარი და პასუხისმგებლობა, სიახლეების ძიებისა და დანერგვის დაუოკებელი სურვილი, მხოლოდ სიკეთის, დიახ, სიკეთის ფრქვევა, დაუშრეტელი ენერგია და საქმიანი ავტორიტეტი.

ბ-ნი ლეო წარმატებული პროფესიონალი ორგანიზატორია. ორგანიზატორული საქმიანობის უნარ-ჩვევები ბ-ნმა ლეომ მემკვიდრეობით მიიღო, ხოლო შემდეგ პრაქტიკული საქმიანობის პროცესში სრულყო. როგორც ცნობილია, სკოლაში სწავლის დროს მოსწავლეთა უმრავლესობას ორგანიზატორული საქმიანობა ნაკლებად აინტერესებს. ლეო სკოლაში დავალებებს არ გაურბოდა. ამიტომ მოსწავლის დონეზე მან შესძლო რამდენადმე დაუფლებოდა ორგანიზატორული საქმიანობის უნარ-ჩვევებს. სტუდენტობის წლებში ლეო დაინტერესდა სპეციალობის მიხედვით დატვირთულიყო ორგანიზაციული საქმიანობით, რაც აუცილებლად გამოადგებოდა დამოუკიდებელი მუშაობის დროს. შედეგიც ხელშესახები იყო. როგორი რთულიც არ უნდა ყოფილიყო დავალება ბ-ნი ლეო მას ყოველთვის პასუხისმგებლობით ეკიდებოდა. გარდა გამოცდილებისა, ორგანიზატორული საქმიანობა ამა თუ იმ ფორმით დამატებითი ცოდნის მიღების წყარო და საშუალებაც იყო. ყოველივე ეს უმეტესად სტუდენტთა სამეცნიერო საქმიანობასთან იყო დაკავშირებული. იმ წლებში სტუდენტთა ორგანიზაციული გაერთიანებების მუშაობა ხელს უწყობდა მომავალი სპეციალის-

ტების პროფესიონალ-ორგანიზატორებად ჩამოყალიბებას.

ბ-ნი ლეოს ორგანიზატორული საქმიანობის ნიჭი, დაინტერესება, ნიჭის გამოელენა-გაუმჯობესება, ბუნებრივია, დადებითად მოქმედებდა ხელმძღვანელის ორგანიზატორული უნარ-ჩვევების სრულყოფაზე. უმაღლესი სასწავლებლის ლექტორი ლექციებისა და პრაქტიკული მეცადინეობის პროცესში სტუდენტებს, გარდა თეორიული ცოდნისა, პრაქტიკულ-ორგანიზაციული მუშაობის ჩვევების შესახებაც ესაუბრება. ორგანიზატორული მუშაობის ერთ-ერთი მეტად რთული და აუცილებელი ასპექტია ადამიანებთან მუშაობის ორგანიზაცია. ეს მომავალი მეცნიერი იქნება თუ პრაქტიკული სამეურნეო ხელმძღვანელი მუშაკი, მას უსათუოდ დასჭირდება კოლექტივთან ორგანიზატორული მუშაობის აუცილებელი მეთოდები და მათი გამოყენების უნარიანობის გამომუშავება და ა.შ.

რომ არა დიდი ორგანიზატორული ნიჭი და გამოცდილება, ბ-ნი ლეო ვერ შეძლებდა დემოგრაფიისა და სოციოლოგიური კვლევის ინსტიტუტის საკმაოდ შეზღუდულ დროში ჩამოყალიბებასა და მის წარმატებით ფუნქციონირებას გასული 17 წლის განმავლობაში, მით უმეტეს, აუცილებელი მატერიალური-ტექნიკური ბაზისა და ფინანსური რესურსების უქონლობის პირობებში.

მაღალ თეორიულ მომზადებასთან ერთად, დიდი პრაქტიკული გამოცდილებაც იყო საჭირო ცნობილი მეცნიერებისა და აღმზრდელების – პ. გუგუშვილისა და აკად. ვ. ჩანტლაძის დავალებით ეკონომიკური ტერმინოლოგიის გამოცემისთვის. ეს იყო ძალზე საპასუხისმგებლო დავალება. ბატონმა ლეომ დავალება ბრწყინვალედ შეასრულა. 2001 წელს საზოგადოებამ მიიღო განახლებული, შევსებული, კარგად გააზრებული ქართული ეკონომიკური და დემოგრაფიული რუსულ-ქართული და ქართულ-რუსული ტერმინოლოგია. ყოველივე ეს მან გააკეთა ყოველგვარი ხმაურისა და აურზაურის გარეშე.

ბ-ნი ლეო, ქართველ სწავლულ ეკონომისტთა შორის, ერთ-ერთი წარმატებული მეცნიერ-მკვლევარია. მისი ეკონომიკური აზროვნება გაწვდა საქართველოს ეკონომიკური პრობლემების თითქმის ყველა სფეროს, როგორც თეორიული, ისე

პრაქტიკული თვალსაზრისით. მას არ სჩვევია, როგორც ეს ახასიათებთ ცალკეულ მეცნიერ-ეკონომისტებსა და პრაქტიკოს მუშაკებს, მ.შ. სახელმწიფო მოხელეებს, საკუთარ თავს გაუწიოს რეკლამა და გაბვიადებულად წარმოუდგინოს საზოგადოებას საკუთარი მიღწევები.

ბ-ნი ლეოს მეცნიერული კვლევის სფერო საკმაოდ ვრცელი და მრავალფეროვანია. იგი მოიცავს როგორც ეკონომიკური თეორიის აქტუალური პრობლემების გამოკვლევას, ისე დარგობრივი ეკონომიკის, კერძოდ, საქართველოს ტრადიციული დარგის – კვების მრეწველობის განვითარებისა და ეკონომიკური ეფექტიანობის საკვანძო პრობლემების შესწავლას. მისი მეცნიერული კვლევაძიების სფეროში თვალსაჩინო ადგილი უკავია არამატერიალური წარმოების სფეროს ძირითად პრობლემებს. მას არ დაეიწყნია სტუდენტებისთვის, და არა მარტო მათთვის, ეკონომიკური თეორიის დამხმარე სახელმძღვანელოს მიწოდებაც. იუბილარი წლების განმავლობაში იკვლევდა და ამჟამადაც იკვლევს დემოგრაფიულ კატეგორიებსა და კანონებს, ასევე, მრავალ სხვა აქტუალურ პრობლემას.

მისი მეცნიერული პროდუქცია საკმაოდ ტევადი და მრავალფეროვანია. გამოქვეყნებული აქვს 165 ნაშრომი 300-ზე მეტი ნაბეჭდი თაბახის მოცულობით. ცხადია, ყველა შრომის შეფასება მოგონებებში შეუძლებელია ამიტომ მე ბოლო წლებში გამოქვეყნებულ ორიოდე წიგნზე მივიქცევ ყურადღებას. კერძოდ, 2001 წელს ბ-ნმა ლეომ როგორც უკვე აღვნიშნეთ, მკითხველს მიაწოდა ცნობილი მეცნიერების პ. გუგუშვილისა და ვ. ჩანტლაძის გასული საუკუნის 40-იან წლებში გამოშვებული პირველი ქართული ეკონომიკური ტერმინოლოგიის განახლებული და შევსებული სრულიად ახალი ვარიანტი, რომელმაც დიდი მოწონება და აღიარება დაიმსახურა საქართველოს ეკონომისტთა შორის. საყურადღებოა ისიც, რომ აღნიშნულ ტერმინოლოგიაში ვრცლადაა წარმოდგენილი დემოგრაფიული ტერმინებიც, ამიტომაც ჰქვია ნაშრომს „ეკონომიკური და დემოგრაფიული ტერმინოლოგია“.

ბ-ნმა ლეომ 2006 წელს გამოაქვეყნა 28 პირობითი ნაბეჭდი თაბახის მოცულობის მაღალ დონეზე შესრულებული ნაშრომი

– „ინოვაციური ეკონომიკა“. თვით ცნება „ინოვაციური ეკონომიკა“ შეღარებით ახალი კატეგორიაა, რომელსაც ნახევარი საუკუნეა რაც სწავლობენ ცალკეული მეცნიერებები. „ინოვაციური ეკონომიკა“ თანამედროვე ცივილიზაციისა და კიდევ უფრო შორეული მომავლისთვის გარდაუვალი, მეტად პერსპექტიული მოვლენაა, რთული, მაგრამ დიდი ეფექტის მომტანი პროცესია. ამიტომ აქტუალურია მოელენის, შესაბამისი პროცესების განვითარების თეორიული საფუძვლების ღრმა მეცნიერული შესწავლა და შესაბამისი პრაქტიკული საკითხების კონკრეტული ღონისძიებების შემუშავება-განხორციელება. ეს საერთო-საკაცობრიო მოვლენაა. იგი შეეხება ყველა ქვეყანას – დიდსა და პატარას, ეკონომიკურად განვითარებულსა თუ ნაკლებად განვითარებულს, შესაბამისი რესურსებით როგორც მდიდარ, ისე ღარიბ ქვეყნებსაც. ამიტომ პროცესები ისე უნდა განვითარდეს, რომ ყველა ქვეყანამ მათი შესაძლებლობების ფარგლებში მიიღოს მისი კუთვნილი სიკეთე. აი, რატომაა აუცილებელი ყველამ მოამზადოს გარემო-პირობები ამ მიმართულებით მოვლენებისა და პროცესების ნორმალურად განვითარების უზრუნველსაყოფად.

მსოფლიოს განვითარებულ ქვეყნებში „ინოვაციური ეკონომიკის“ მეცნიერული კვლევა თითქმის ნახევარი საუკუნის წინ დაიწყეს. საქართველოში ამ პრობლემის ცალკეულ საკითხებზე მოსაზრებები გამოითქმებოდა მეცნიერ-ეკონომისტთა მიერ, მაგრამ პრობლემა დღემდე არსებითად შეუსწავლელი იყო.

ბ-ნმა ლეომ „ინოვაციური ეკონომიკის“ პრობლემის კვლევა უფრო ფართო სპექტრში დაიწყო. იგი უფრო კომპლექსური და სიღრმისეულია. განცხადება, რომ XXI საუკუნე ცოდნის საუკუნეა, უფრო ზუსტად, ცოდნაზეა ორიენტირებული, არ არის საკმარისი. სანამ იგი ყოველმხრივ, ინოვაციური ეკონომიკის ერთიმეორესთან დაკავშირებული პრობლემების მიხედვით არ იქნება შესწავლილი და არ შემუშავდება როგორც მსოფლიო მასშტაბითა და ცალკეული ქვეყნების მიხედვითაც შესაბამისი გარემო პირობების შესაქმნელად საჭირო კონკრეტული ღონისძიებები, სასურველ შედეგებს ვერ მივიღებთ. მაგალითად,

საქართველოს სინამდვილეში, თუ ხელისუფლებას ვერ დავარწმუნებთ და დავაინტერესებთ „ინოვაციური ეკონომიკის“ უპირატესობაში, მისი განვითარების გარდუვალობაში, არ ვაიძულებთ ხელი შეუწყოს მის განვითარებას, ქვეყანა ვერ დააღწევს თავს თანამედროვე ეკონომიკურ კრიზისს. იმედია ბ-ნი ლეო კვლავაც გააგრძელებს ამ პრობლემაზე მუშაობას. ჩემი აზრით, მიზანშეწონილია შეიქმნას მეცნიერთა ჯგუფები ინოვაციური ეკონომიკის განვითარების ერთმანეთთან დაკავშირებული პრობლემების მიხედვით. რაც დააჩქარებს პროცესების განვითარებას, ცხადია, დააჩქარებს მოსალოდნელი ეფექტის მიღებასაც.

ბ-ნი ლეოს მეცნიერული ნაშრომების უმეტესი ნაწილი ხასიათდება საკვლევად აღებული პრობლემების თუ ცალკეული საკვანძო საკითხების შესწავლისა და მისეული მართებული გადაწყვეტის მაღალი დონით. ლეო ერთ-ერთი გამორჩეულთაგანია ჩვენი და მომდევნო თაობებს შორისაც. იგი როგორც მეცნიერ-მკვლევარი და დაუღალავი პროფესიონალ-ორგანიზატორი თანამედროვე საქართველოს (არა მხოლოდ საქართველოს) მეცნიერ-მკვლევარ ეკონომისტთა შორის ერთ-ერთი სტაჟიანი ლიდერია.

ისმის კითხვა, როგორ შესძლო ბ-ნმა ლეომ ცხოვრებისეულ, არცთუ იშვიათად საერთო, უმეტესად მისგან დამოუკიდებელ მძიმე და რთულ გარემო პირობებში, ასეთი წარმატებების მიღწევა?

ჩვენი აზრით, ყოველივე განაპირობა შემდეგმა ფაქტორებმა:

1. ბ-ნი ლეო, რაც უკვე არაერთხელ აღინიშნა, შთამომავალია ძირძველი ქართული მდიდარი ტრადიციების მქონე ოჯახისა. მანვე შექმნა შესაბამისი ტრადიციების ოჯახი, რომელიც წარსულშიც ტრადიციულად და ახლაც ცხოვრობს და იღწვის მხოლოდ და მხოლოდ საკუთარი ალალი შრომით. ასეთ პირობებში ყოველგვარი შრომა, მათ შორის, მეცნიერული ნაყოფიერია. ასეთ ოჯახს უფალი მფარველობს, სოლო ოჯახის ანგელოზები მხარს უჭერენ;

2. როგორც უკვე ითქვა, ბ-ნმა ლეომ კარგი ცოდნა მიიღო

საშუალო სკოლაში. როცა ვიკრიბებოდით მეგობრები, ყოველთვის დიდი პატივისცემით იხსენებდა სკოლის მასწავლებლებს როგორც მის დამკვალიანებლებს. ზოგიერთი კი, თუმც იშვიათად, უკმაყოფილო იყო ამა თუ იმ საგნის მასწავლებლით. ამიტომაც ბ-ნ ლეოს არ გასჭირვებია უნივერსიტეტში სწავლა, ცხადია, ძირითადად თავისი მუყაითი, კარგად ორგანიზებული მეცადინეობის შედეგად. გასათვალისწინებელია ჩვენი ფაკულტეტის ცნობილი მეცნიერებისა და პედაგოგების როლიც. გარემო ისეთი იყო, რომ ვერ ვბედავდით უპასუხისმგებლოდ მოვქცეულიყავით, ისეთი ცნობილი პროფესორ-ლექტორების ხელში, როგორებიც იყვნენ: ფილიპე გოგიჩაიშვილი, გიორგი გესტმანი, ნიკოლოზ ქოიავა, პაატა გუგუშვილი, ვასილ ჩანტლაძე, იოსებ ბაჯაძე, სერგი ბერაძე, ირაკლი მიქელაძე, ნიკოლოზ იაშვილი და სხვ.

იმჟამინდელი სწავლით დაინტერესებული სტუდენტები ძალიან ხშირად ვესწრებოდით როგორც საუნივერსიტეტო და საფაკულტეტო სამეცნიერო კონფერენციებს, ისე სხვა ღონისძიებებს, სადაც გამოდიოდნენ ცნობილი ქართველი მეცნიერები — აკადემიკოსები და პროფესორები: გიორგი ახვლედიანი, აკაკი შანიძე, ნიკო ბერძენიშვილი, შალვა ნუცუბიძე, პეტრე შარია და სხვ. მათთან გარდა ცოდნისა, აღვიქვამდით ბევრ სხვა სასურველ უნარ-ჩვევებსაც. ყოველივემ დადებითად იმოქმედა ჩვენს მომავალზე, მათ შორის ბ-ნი ლეოს მომავალზე;

3. ბ-ნი ლეო სწავლისა და ორგანიზაციულ-მეცნიერული მუშაობის პროცესში კარგად დაეუფლა საკუთარი თავის მართვას. ეს აუცილებელია, თუ გინდა მაღალ წარმატებებს მიაღწიო, ცხოვრებაც მოაწესრიგო და ქვეყანას, ერს სიკეთე მოუტანო. ეს ყველას როდი შეუძლია, აუცილებელი კი ნამდვილადაა. სხვაგვარად ეფექტურად ვერ გამოიყენებ საკუთარ ფიზიკურ და ინტელექტუალურ შესაძლებლობებს. ბ-ნმა ლეომ კარგად განსაზღვრა ცხოვრებისეული გრძელვადიანი მიზნები და მის საფუძველზე მოკლევადიანი და მიმდინარე ამოცანებიც. წარმატებით განახორციელა მათი შესრულებაც;

4. ბ-ნ ლეოს საერთოდ აღიარებული და მოსაწონი ცხოვრებისეული ჩვევები ახასიათებს: მისთვის მიუღებელია პოპულიზმი.

ღრმადაა დარწმუნებული, რომ მხოლოდ სიმართლით ცხოვრებაა სახელისა და დიდების საფუძველი. ვერ ურიგდება სიყალბეს, თვალთმაქცობას, სიცრუეს, სხვების შეურაცხყოფასაც კი.

უნივერსიტეტში სწავლისას იყო ასეთი შემთხვევა: იმ დროს უნივერსიტეტში ფუნქციონირებდა „სტუდენტთა, ასპირანტთა, პროფესორ-მასწაულებელთა და მოსამსახურეთა გაერთიანებული პროფკავშირი". ერთსელ ამ ორგანიზაციის საერთო კრებაზე, რომელსაც 300-ზე მეტი წევრი ესწრებოდა, სხვა საკითხებთან ერთად, განიხილებოდა ასპირანტებთან მუშაობის საკითხიც. ჩვენ ასპირანტურის მესამე კურსზე ვიყავით. ერთ-ერთმა მეორე კურსელმა, რომელიც ჩვენი მეგობარი იყო, მისი დაუდევრობით ვერ შესძლო შეესრულებინა გრაფიკით გათვალისწინებული სამუშაო და რომ დაეცვა საკუთარი თავი, ჩამორჩენის გამართლება სცადა მეცნიერ-ხელმძღვანელის, დამსახურებული, საქმის ერთგული და მომთხოვნი, უაღრესად პუნქტუალური ადამიანის გულგრილობითა და უყურადღებობით. შეიქმნა არასასიამოვნო ვითარება, ყველამ იცოდა, რომ ასპირანტი ტყუოდა, რეაგირებას კი არ ახდენდნენ. აი მაშინ ბ-ნი ლეო და მე გამოვედით და ვამხილეთ მეგობარი სიცრუეში. ასპირანტი იძულებული გახდა ბოდიში მოეხადა. ჩვენი მოქმედების გამო ასპირანტს, იცოდა რა, რომ მართლები ვიყავით, არც მაშინ და არც შემდეგ ჩვენი მისამართით საყვედური არ გამოუთქვამს, დავრჩით მეგობრებად.

ბ-ნი ლეო ყოველთვის იცავდა და ამჟამადაც იცავს სიმართლესა და პატიოსნებას;

5. ბ-ნ ლეოს ყოველთვის ჰქონდა და ამჟამადაც აქვს მიზნასწრაფული აზროვნება, კარგი საზოგადოებრივი ხედვა, მომავლის სწორად განჭვრეტის, პერსპექტივის სწორად განსაზღვრის, საკუთარი მოქმედებისა და აუცილებელი ამოცანების დასახვის მოსაწონი უნარი. ამიტომ იგი არასდროს ჩამორჩენილა და, ალბათ, არც მომავალში ჩამორჩება მოელენების განვითარებას;

6. ბ-ნი ლეო შესანიშნავი სამეგობრო კაცია. ვერ წარმოუდგენია მეგობრისადმი ღალატი და არა მხოლოდ მეგობრისად-

თუ მეგობრის, საერთოდ ნებისმიერი ქართველის, საერთოდ ნორმალური ადამიანის წარმატებები. გაჭირვებაში მყოფთ ყოველთვის გვერდში უდგას, ლხინში ყოველთვის მხარდამჭერია.

და ბოლოს, ბ-ნი ლეო თავისი სამშობლოს, ერის, თავისი კუთხის, დედმამიშვილის, ცხადია, გვარისა და ოჯახის მოსიყვარულე და პატრიოტია. მას კარგად აქვს გაცნობიერებული ის, რომ ერის კაცად აღიარება არის არა ფორმალური პატივისცემა, არამედ ადამიანის ჭეშმარიტად დიდი დამსახურების შედეგი.

ბ-ნი ლეო, სადაც კი წასულა – ყოფილი სსრ კავშირის რესპუბლიკებში თუ ევროპის ბევრ სახელმწიფოში სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობის მისაღებად და სხვა მიზნებითაც, მისი შესაძლებლობის ფარგლებში, ყოველთვის ცდილობს ყველას გააცნოს საქართველოს წარსული, თანამედროვე მდგომარეობა და ინტელექტუალური პოტენციალი.

ძალზე სასიამოვნოა, რომ ბ-ნ ლეოს, მიუხედავად განვლილი ცხოვრებისეული წლებისა, ფიზიკურად, ცხადია, გონებრივადაც და მეცნიერული და საზოგადოებრივი საქმიანობის შესრულების შესაძლებლობით როგორც დიდი ცოდნისა და გამოცდილების მქონე პიროვნებას, ჯერ კიდევ დიდხანს შეუძლია დიდი სარგებლობა მოუტანოს ქვეყანას, ერს, ასევე, თავის ოჯახს.

ღმერთმა უმრავლოს საქართველოს, ქართველ ერს ლეო ჩიქავასნაირი ერისკაცები.

პროფესორი
**პავლე გარუჩავა**
20.02.2008

# 16. სასიქადულო მასწავლებლების ღირსეული მოწაფე და თაობების დიდებული მასწავლებელი

აკადემიკოსი ლეო ჩიქავა ერთ-ერთი მისი ბოლოდროინდელი უაღრესად საინტერესო, ღრმამეცნიერული მონოგრაფიის: **„ინოვაციური ეკონომიკის“** წინასიტყვაობაში აღნიშნავს, რომ ამ ნაშრომს უძღვნის თავისი სასიქადულო მასწავლებლების, აკადემიკოსების პაატა გუგუშვილისა და ვასილ ჩანტლაძის 100 წლისთავს. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, ამაში ყველა საღად მოაზროვნე ეკონომისტი, და არამარტო ეკონომისტი, ვინც ბატონ ლეოს იცნობს, დამეთანხმება იმაში, რომ ბ-ნი ლეო ბრძანდება ამ საყოველთაოდ აღიარებული დიდი მეცნიერებისა და გამოჩენილი პედაგოგების ღირსეული მოწაფე როგორც მეცნიერი, პედაგოგი და მრავალი თაობის სტუდენტი ახალგაზრდობის, ასპირანტების, მაგისტრანტების, დოქტორანტების აღმზრდელი, სამოცწლიანი სამეცნიერო-პედაგოგიური და საზოგადოებრივი მაღალნაყოფიერი მოღვაწეობის შემოქმედი, მრავალრიცხოვანი პირველხარისხოვანი მეცნიერული შრომების, მონოგრაფიების, სახელმძღვანელოების, სტატიების ავტორი. ამიტომ, სავსებით სამართლიანია მისი აღიარება თანამედროვე ქართული ეკონომიკური მეცნიერების პატრიარქად, როგორც თავის დროზე ამ რანგში აღიარებული იყვნენ ფილიპე გოგიჩაიშვილი, პაატა გუგუშვილი და ვასილ ჩანტლაძე.

ბ-ნი ლეოსთვის დამახასიათებელია მეცნიერული ინტერესების მრავალფეროვნება, აზროვნების დიდი მასშტაბი და სიღრმე, მეტყველებისა და წერის მაღალი კულტურა. მის მრავალ იშვიათ თვისებათა შორის აღსანიშნავია ის, რომ იგი ყოველთვის უკიდურესად დატვირთულია მეცნიერული, პედაგოგიური, საზოგადოებრივი და მეგობრული საქმიანობით და ამავე დროს მას ყოველთვის აქვს თავისუფალი დრო განათლებითა და მეცნიერებით დაინტერესებული ნებისმიერი პიროვნების დასახმარებლად, საკონსულტაციოდ, რეალური მეცნიერული ხელმძღვანელობისთვის. ძნელი დასაჯერებელია, მაგრამ რეალობაა ის, რომ მეცნიერული და პედაგოგიური მუშაობით

ეს ძალზე დატვირთული პიროვნება მრავალფეროვან ინტენსიურ საზოგადოებრივ მოღვაწეობას ეწევა მთელი თავისი ხანგრძლივი მოღვაწეობის მანძილზე. იგი ერთდროულად ასრულებდა და ასრულებს ათეულობით საზოგადოებრივ დავალებას, თანაც თითოეულს – უდიდესი პასუხისმგებლობითა და გულმოდგინებით. ყოველივე ეს პარადოქსულადაც კი გამოიყურება გამორჩეული მეცნიერისთვისაც კი, მაგრამ, ბრძენი სოკრატეს პარადოქსებისა არ იყოს, იგი ისეთი პარადოქსია, რომელსაც ბატონი ლეოს პიროვნული ფენომენი ხსნის და არა თუ თეორემად, არამედ აქსიომადაც კი წარმოგვიდგენს. მისთვის დამახასიათებელია რთული, ძნელად გასაგები აზრების, პრობლემების, პარადიგმების, ერთი შეხედვით პარადოქსების, ყველასთვის მისაწვდომი, გასაგები ენით, ლაკონურად გადმოცემა. ამაში მეღავნდება მისი პედაგოგიური ხელოვნება. აღნიშნულის ნათელი დადასტურებაა მთელი მისი 60-წლიანი შემოქმედება, დაწყებული სრულიად ახალგაზრდობის წლებიდან – სტუდენტობიდან (როდესაც აქვეყნებდა სამეცნიერო ნაშრომებს და საზოგადოებრივი დავალებით კითხულობდა ლექციებს წარმოება-დაწესებულებებში) დღემდე, მრავალი აკადემიის აკადემიკოსობამდე.

ბ-ნი ლეოს მაღალნიჭიერებისა და მდიდარი გამოცდილების იმავდროულად მეცნიერული სიახლის შეგრძნება-შემეცნების განსაკუთრებული ალღოსა და უნარის, მათი მუდამ სრულყოფა-განვითარების ნათელი დადასტურება და ნაყოფია მისი ბოლოდროინდელი ნაშრომები: მეცნიერული თვალსაზრისით – **„ინოვაციური ეკონომიკა“** 2006 წ., ხოლო სასწავლო პედაგოგიური თვალსაზრისით – **„ეკონომიკური თეორიის მოკლე კურსი“** 2005 წ., რომლებშიც ერთნაირად კარგად ჩანს აზროვნების მასშტაბი და სიღრმე, ახალგაზრდული ენერგია და გონების სიცინცხლე, გამოცდილებით შეძენილი სიბრძნე. ბ-ნი ლეო თავისი პიროვნული თვისებებით ნამდვილად ადასტურებს გენიალური ლეონარდო და ვინჩის შეგონებას: **„სიბრძნე გამოცდილების ღვიძლი შვილია“**; თანდაყოლილი ნიჭიერების მუდმივი წვრთნა მისი ბუნებრივი მდგომარეობაა. სწორედ ამით შესძლო აკადემიკოსმა ლეო ჩიქავამ გამოჩენილი ქართველი მეცნიერ-ეკონომისტების ფ. გოგიჩაიშვილის, პ. გუგუშვილის, ვ. ჩანტლაძის, ნ. ქოიავას, ირ. მიქელაძის, ი. ბაჯაძის, ნ. იაშ-

ვილის, ე. მელქაძის და სხვათა მიერ ქართულ ეკონომიკურ მეცნიერებაში დამკვიდრებული მდიდარი ტრადიციების ღირსეული გამგრძელებლის სახელის მოპოვება.

ძალიან ძნელია ბ-ნი ლეოს მრავალწახნაგოვანი მეცნიერული და პედაგოგიური შემოქმედების თუნდაც ზოგადად დახასიათება. ეს სპეციალური კვლევის საგანია ამიტომ მე ეს არ დამისახავს მიზნად. ამჯერად ჩემი მიზანია შემოვიფარგლო ბ-ნი ლეოს ერთ-ერთი ბოლოდროინდელი ზემოთ ხსენებული მონოგრაფიის – **„ინოვაციური ეკონომიკა“** – მოკლე მიმოხილვით. ჩემი ღრმა რწმენით, ეს ნაშრომი არის მისი ავტორის ნახევარსაუკუნოვანი უაღრესად ნაყოფიერი მეცნიერული კვლევის, პედაგოგიური მოღვაწეობისა და მრავალმხრივი საზოგადოებრივი საქმიანობის თავისებური და, ამასთან, წარმატებული შეჯამება. ამ ნაშრომში ნათლად ჩანს ბ-ნი ლეოს, როგორც ბრწყინვალე შემოქმედის, ყველა ღირსება: აზროვნების სიღრმე და მასშტაბი, კვლევისა და პედაგოგიური მუშაობის მდიდარი გამოცდილება, რთული პრობლემების ადვილად გადაწყვეტისა და მკითხველისთვის მიმზიდველად მიწოდების უნარი, წერის მაღალი კულტურა, დიდი მოღვაწეობისთვის დამახასიათებელი პრინციპულობა, უბრალოება და სისადავე. აღნიშნულის დასადასტურებლად მოვიყვან ამონარიდს ნაშრომის წინასიტყვაობიდან: **„ცხადია, საკუთარ მოსაზრებებს აბსოლუტურ ჭეშმარიტებად არ ვთვლი, თუმცა, რასაც ვწერ იმის სისწორეში ღრმად ვარ დარწმუნებული. სათანადო არგუმენტების მოშველიებით თუ დამისაბუთებენ, რომ ვცდები, არც ამის აღიარება და ჩემს შეხედულებებში სათანადო კორექტივებების შეტანა გამიჭირდება“** (გვ. 6). აი, ეს არის ბ-ნი ლეო: უაღრესად პრინციპული, ობიექტური, მომთხოვნი საკუთარი თავისა და სხვებისადმი, თავისი შეხედულებების ბოლომდე დამცველი და იმავდროულად, საჭიროებისა თუ აუცილებლობის შემთხვევაში, დამთმობი და კომპრომისული, ყველაფერში ტაქტიანი და ინტელიგენტური, უბრალო და თავმდაბალი, როგორიც უნდა იყოს ნამდვილი მეცნიერი, პედაგოგი და საზოგადო მოღვაწე.

როცა ამ მონოგრაფიას კითხულობ, ერთი შეხედვით, რჩება შთაბეჭდილება, თითქოს საქმე ეხებოდეს თანამედროვე საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების არა

ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს და რთულ პრობლემას, არამედ ჩვეულებრივ და ადვილ საკითხებს, რომლებსაც ავტორი მსუბუქად და ლაღად, ყოველგვარი ძალდატანებისა და თითქოს დიდი ძალისხმევის გარეშე გადმოგვცემს. ეს გარკვეული გაგებით ასეც არის და სწორედ ეს არის ბ-ნი ლეოს კვლევისა და მეცნიერული ნაშრომების შექმნის მისეული მეთოდი, რომ რთული პრობლემები გადმოგვცეს ყველასთვის ადვილად გასაგები, ლაკონური ენით, რაც მეცნიერულ კვლევაში მისი დიდი გამოცდილების, ნათელი გონებისა და წერის მაღალი კულტურის შედეგია. ბატონი ლეოს ეს წიგნი, და საერთოდ მთელი შემოქმედება არის გენიალური არისტოტელეს ერთი თეზისის დადასტურება, რომ: **„მნიშვნელოვანია არა ის, რას ვამბობთ, არამედ უფრო ის, თუ როგორ ვამბობთ“**. ბ-ნი ლეო ყოველთვის ძალიან კარგად ამბობს თავის უაღრესად მნიშვნელოვან სათქმელს. სწორედ ეს არის მისი შემოქმედების, ხატოვნად რომ ვთქვათ, სავიზიტო ბარათი. მის ნაშრომებში ვერ იპოვით შინაარსსმოკლებულ მაღალფარდოვან წინადადებებს, ხელოვნურ კონსტრუქციებს, ნაძალადევ, არაბუნებრივ ამროვნებას, ე.წ. „ტვინის ჭყლეტას“. პირიქით, ყველაფერი ბუნებრივად, პაერეოვნად, ჰარმონიულად და თითქოს თავისთავად, სინქრონულად მიმდინარეობს. სწორედ ამაში ჩანს წლების განმავლობაში ინტენსიური მეცნიერული მუშაობის, დიდი გამოცდილების მაღალნიჭიერების განმსაზღვრელი როლი რთული პრობლემების ასეთი ფორმით, ასე თავისუფლად გაშუქებაში.

ასეთია საერთო შთაბეჭდილება მონოგრაფიაზე. რაც შეეხება ავტორის უფრო კონკრეტულ მეცნიერულ მიღწეევებს, ზოგიერთი მათგანი შეიძლება ასე ჩამოვაყალიბოთ:

1. უპირველეს ყოვლისა, პრობლემაზე არსებული სირთულეების კრიტიკული ანალიზი და საკუთარი დასაბუთებული დამოკიდებულება კვლევის ობიექტისადმი – ინოვაციური ანუ ცოდნაზე დამყარებული ეკონომიკისადმი, რომელიც, ბ-ნი ლეოს სიტყვებით თუ ვიტყვით, **„არსებითად ცვლის საზოგადოების ევოლუციის, მისი ეკონომიკური განვითარების პარადიგმას“**;

2. საკუთრივ ცოდნის ეკონომიკისა და ცოდნაზე დამყარებული ეკონომიკის საერთო და განმასხვავებელ ნიშან-თვისებებზე, მათი განვითარების კანონზომიერებებზე ავტორისეული მოსაზრებების დასაბუთებულობა;

3. ცოდნის ეკონომიკის განვითარების მსრივ საქართველოში არსებული მდგომარეობისა და მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის სხვადასხვა ასპექტების, განსაკუთრებით ეკოლოგიურის, ანალიზი და შეფასება;

4. ღრმა თეორიული და წინააღმდეგობრივი პრაქტიკული ინოვაციური ეკონომიკური პრობლემების პარადიგმების, როგორც სინამდვილის მეცნიერული ცნებით ამსახველი მკაცრი ეკონომიკური თეორიის, ერთი შესედვით პარადოქსების უბრალო, თითქოსდა მარტივი ენით ახსნითა და გადმოცემით, რომელიც მეტყველებს აკადემიკოსი ლეო ჩიქავას ხელოვნებაზე – რთული მეცნიერული პრობლემები გადმოსცეს ყველასთვის ადვილად გასაგები ენით, რაც, თავის მხრივ, პრობლემების სრულყოფილად ფლობისა და ნათელი აზროვნების დამადასტურებელია;

5. ავტორისეული დამაჯერებელი დასაბუთება, რომ: ა) ინოვაციური ეკონომიკის ახალ წარმოების წესად, ახალ ეკონომიკურ წყობილებად აღიარება მეცნიერულ საფუძველს მოკლებულია; ბ) შრომის, კაპიტალისა და ინფორმაციის (ინოვაციის) პოლიტიკური ეკონომიების არსებობის დაშვების უსაფუძვლობა; გ) ინოვაციური ეკონომიკის განსხვავებული ეკონომიკური მართვის შესახებ მოსაზრების მიუღებლობა; დ) ბიზნესისგან მეწარმეობის შინაარსობრივი განსხვავების მცდელობის არადამაჯერებლობა; ე) ინოვაციური ციკლის რგოლების, ეტაპების ავტორისეული დახასიათება; ვ) ცოდნის ავტორისეული განსაზღვრება (გვ. 40), იქვე „ცოდნისა“ და „ქონების“ არსებითი განსხვავების ავტორისეული დასაბუთება, დაგროვილი და ახალი ცოდნის ურთიერთობის დიალექტიკის ახსნა, დაგროვილი ცოდნის ახალი ცოდნის წყაროდ აღიარება; ზ) ინოვაციური ეკონომიკის, როგორც ცივილიზაციის ახალი საფეხურის, შინაარსის ავტორისეული ინტერპრეტაცია ძირითადი მახასიათებლების მიხედვით; თ) „ინოვაციური სექტორისა“ და „ინტელექტუალური სექტორის“ საერთო და განმასხვავებელი ნიშნების ჩამოყალიბება.

მართალია, მთელ ნაშრომში უაღრესად საინტერესოდ და, ამავე დროს, ორიგინალურად არის გადმოცემული საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების თანამედროვე და პერსპექტიული ინოვაციური ეკონომიკის რთული პრობლე-

მები, მაგრამ წიგნში მაინც, ჩემი აზრით, განსაკუთრებით გამოირჩევა მე-5 თავი: „ეკონომიკის ინტელექტუალიზაცია და მისი პერსპექტივები საქართველოში“, სადაც ფართო მეცნიერული ხედვითა და საქართველოს უაღრესად კონკრეტული ამოცანების ღრმა გააზრებით არის გაშუქებული და შეფასებული ეკონომიკის ინტელექტუალიზაციის არსებული დონე, მისი დაბალი მაჩვენებლების გამომწვეული ობიექტური და სუბიექტური მიზეზები, ინტელექტუალიზაციისა და ინოვაციური ეკონომიკის განვითარების დიდი შესაძლებლობანი და დასახული და დასაბუთებულია ამ შესაძლებლობების ამოქმედებისა და სინამდვილედ ქცევის რეალური გზები და მიმართულებები.

არ შეიძლება გვერდი ავუაროთ წიგნის ბოლოს თანდართულ გლოსარიუმს. აქ არა თუ საკუთრივ ეკონომიკური, არამედ ფართო სოციალური და, მნიშვნელოვანწილად, ზოგადმეცნიერული ტერმინები და ცნებებია საფუძვლიანად განმარტებული. ხშირ შემთხვევაში, ლაკონურად, მოკლე მეცნიერული სტატიის ფორმით გადმოცემულია მათი ძირითადი შინაარსი. რა თქმა უნდა, ბატონი ლეო ძირითადად ეყრდნობა ტერმინებსა და ცნებებზე, მეცნიერებაში ჩამოყალიბებული ცოდნის დღეისათვის მიღწეულ დონეს, მაგრამ ამას არ სჯერდება და ხშირად გვთავაზობს მისეულ ინტერპრეტაციას, მათ ავტორისეულ გააზრებას. აქაც, ყველაფრისადმი შემოქმედებითი მიდგომის ერთგულებას ამყღავნებს იგი.

ნათქვამის საილუსტრაციოდ უბრალოდ ჩამოვთვლი არაეკონომიკურ, ზოგად მეცნიერულ ტერმინებს, მაგალითად: **აზროვნება, აღმოჩენა, ახალი ტექნოლოგია, განათლება, გამოგონება, გენური ინჟინერია, დისტანციური სწავლება, ევროკავშირი, თაოსნობა, ინოვაცია, ინტელექტი, ინტერნეტი, ინფორმატიკა, ინფორმაცია, ინფორმაციული საზოგადოება, ინფორმაციული ტექნოლოგია, კიბერნეტიკა, კომპიუტერიზაცია, კომპიუტერული პროგრამა, მეცნიერება, მეცნიერებათმცოდნეობა, მეცნიერებატევადობა, მეცნიერების სოციოლოგია, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი, მეხსიერება, ნოოსფერო, ნოუ-ჰაუ, საავტორო უფლება, ტექნიკურ სიახლეთა საარსებო ციკლი, ტექნოპოლისი, ფუნდამენტური და გამოყენებითი გამოკვლევები, ცოდნა** და სხვ. ფრიად საყურადღებოა ამ ტერმინების გაშუქების დონე და ორიგინალობა.

უნდა აღინიშნოს, რომ გლოსარიუმის, აქ განსილული ტერმინების, ცნებების მაღალი ფასეულობა ის არის, რომ მოცემულია არა უბრალოდ, თუნდაც ღრმამეცნიერული განმარტება, განსაზღვრება, არამედ, უმეტეს შემთხვევაში, ტერმინების, ცნებების არსის დასაბუთება, სათანადო (შესაბამისი) მაგალითებით, ინფორმაციით მოცემულ განსაზღვრებათა ცხადყოფა და შედეგად მიღწეულია დამჯერებლობის მაღალი ხარისხი. გლოსარიუმი მთლიანად ხასიათდება ენციკლოპედიური ლაკონურობითა და ღრმა მეცნიერული დასაბუთებულობით.

მკითხველი გლოსარიუმს რომ გადაშლის, ერთი შეხედვით, შეიძლება დარჩეს შთაბეჭდილება, რომ განმარტებები თითქოს ზედმეტად ვრცელია, მაგრამ ვინც ყურადღებით წაიკითხავს დარწმუნდება, რომ აქ ყველაფერი რიგზეა, უფრო მეტიც, საოცარიც კია – როგორ შესძლო ავტორმა თითოეული ტერმინისა, თუ ცნების, არა თუ განსაზღვრების არსის, არამედ თითქმის მთელი შინაარსის გადმოცემა სათანადო დასაბუთებითა და, ხშირ შემთხვევაში, შესაბამისი ილუსტრაციითაც. ჩემი აზრით, აქ მხოლოდ ერთი ახსნა არსებობს – ბატონი ლეოს ღრმა, მასშტაბური აზროვნება და მისი, როგორც ადრეც აღვნიშნე, მოკლედ, ლაკონურად გადმოცემის განსაკუთრებული უნარი, ხელოვნება. სწორედ ამაშია მისი, როგორც მეცნიერის, თავისებურება, განსაკუთრებულობა. ბატონი ლეოს განსაკუთრებულობაა, აგრეთვე, და ეს უფრო დიდი იშვიათობაა, 80 წლის ასაკში არათუ უაღრესად თანამედროვედ, არამედ დროის წინსწრებით აზროვნება, რაც მისი ხანგრძლივი ფიზიკური და ინტელექტუალური სიცოცხლის ფაქტორი და გარანტიაა, რასაც, მის მრავალათასიან გულშემატკივართან ერთად, მეც დიდი სიხარულითა და სიყვარულით ვუსურვებ.

უფალს ვთხოვ კიდევ დიდხანს გვიმყოფოს საღ-სალამათად ეს შემოქმედი პიროვნება, რამეთუ მას ჯერ კიდევ ბევრი სასარგებლო საქმის გაკეთება ძალუძს თავისი მშობლიური ქვეყნის საკეთილდღეოდ.

პროფესორი
**გურამ ყუფუნია**
20.02.2008

# 17. პიროვნება – კოლორიტი, მეცნიერი - ცნობილი, საზოგადო მოღვაწე - ჩინებული

ცნობილი მეცნიერი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, პროფესორი ლეო ჩიქავა არის უშრეტი შემოქმედებითი ენერგიის მქონე პიროვნება. უშურველად მინდა აღვნიშნო, რომ მისი ნაფიქრი და ნააზრევი დიდად ეხმარება სწავლულ ეკონომისტებსა და სხვა დაინტერესებულ პირებს ეკონომიკური მეცნიერების რთული პრობლემების გაცნობიერებასა და შემეცნებაში.

პროფესორ ლეო ჩიქავას მეცნიერული მოღვაწეობის გაცნობიერებისთვის აუცილებელია მისი მრავალრიცხოვანი და მრავალფეროვანი ნაშრომების გაცნობა და განსჯა.

ის ავტორია ორასამდე სამეცნიერო ნაშრომისა, მათ შორის რამდენიმე მონოგრაფიისა და ეკონომიკურ თეორიაში უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტებისთვის სახელმძღვანელოსი. პროფესორ ლეო ჩიქავას ნაშრომთა შორის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია უახლოეს პერიოდში გამოცემული ერთგვარი შემაჯამებელი ორიგინალური კაპიტალური ნაშრომი – **„ინოვაციური ეკონომიკა“**, რომელიც გამორჩეულ ადგილს იმსახურებს ქართულ ეკონომიკურ ლიტერატურაში.

პროფესორ ლეო ჩიქავას მეცნიერული შემოქმედება ცხოვრების ყველა ეტაპზე პრობლემების ახლებური გაშუქების მაგალითსა და გამოცდილებას გვაძლევს. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ მისი მეცნიერული ნაშრომები აკადემიკოსების, პაატა გუგუშვილის, ვასილი ჩანგლაძის, ირაკლი მიქელაძის, ვალერიან მელქაძის ნაშრომებთან ერთად, არის მნიშვნელოვანი საძირკველი ქართული ეკონომიკური მეცნიერების განვითარებისთვის.

პროფესორ ლეო ჩიქავას მეცნიერული ნააზრევი მხოლოდ წარსული და აწმყო კი არა მომავალია, რამეთუ ისტორია იმდენად წარსულისთვის არ იწერება, რამდენად აწმყოსა და მომავლისთვის. ეკონომიკურ მეცნიერებას, შეუძლია იამაყოს იმით, რომ ჰყავს ისეთი მკვლევარი მეცნიერი და პედაგოგი, როგორიც პროფესორი ლეო ჩიქავაა. ეს არა მარტო პირადად ჩემი, არამედ ქართველ სწავლულ ეკონომისტთა საერთო აზრია, რაც სრულებით არაა გასაკვირი, რამდენადაც ჭეშმარიტება მხოლოდ ერთია.

პროფესორი ლეო ჩიქავა პირნათლად ასრულებს თავის ქვეყნიურ ვალს, რის შესახებაც მისი მეცნიერული შემოქმედება მეტყველებს. მართალია, მის მეცნიერულ ღვაწლს ყველა ერთნაირად, ობიექტურად არ აცნობიერებს, მაგრამ ეს მათი პრობლემაა და არა ბ-ნი ლეოსი. ცნობილია, რომ ქრისტე მაცხოვარმა მთელ კაცობრიობაში თორმეტი მოციქული შეარჩია, მაგარამ ერთი მათ შორის იუდა აღმოჩნდა.

პროფესორ ლეო ჩიქავას როგორც მეცნიერის ფენომენს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ეკონომიკური მეცნიერების განვითარებაში. დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ ეს დიდი მნიშვნელობა დაკავშირებულია მის უბადლო ნიჭიერებასთან, ფართო ერუდიციასთან და მაღალ ინტელექტთან, რომელიც აშკარად ჩანს მის მრავალ მეცნიერულ ნაშრომში. თამამად შეიძლება ითქვას, რომ მისი ზოგიერთი მეცნიერული ნაშრომი რომელიმე უცხო ენაზე რომ გადაითარგმნოს, ის მსოფლიოში ცნობილ მეცნიერ-ეკონომისტთა შორის ღირსეულ ადგილს დაიკავებს.

დიდია პროფესორ ლეო ჩიქავას დამსახურება ეკონომიკის სხვადასხვა დარგში ახალგაზრდა სპეციალისტთა მომზადების სფეროში. მისი ხელმძღვანელობით მომზადებულია 50-მდე ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატი და ერთ ათეულზე მეტი ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი. იგი გამორჩეულია როგორც ლექტორი. ის ჩვენი ქვეყნის უმაღლეს სასწავლებლებში კითხულობს ლექციების კურსს სხვადასხვა საკანში.

ყოველივე აღნიშნულთან ერთად, გვაქვს სურვილი, რომელიც გვინდა ასეთი წინადადებით დავაფიქსიროთ. პროფესორ

ლეო ჩიქავას მეცნიერულ ნაშრომებში დასმული და განხილული პრობლემების ღრმად გააზრებისა და ლოგიკურად სწორი დასკვნების გაკეთებისთვის მიზანშეწონილია, მისი რჩეული ნაშრომები კრებულის სახით ორ ნაწილად დაუხანებლად სტამბური წესით გამოიცეს.

დასასრულს, მინდა გულწრფელად ვუსურვო ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორ ლეო ჩიქავას ხანგრძლივი სიცოცხლე და ბედნიერი ცხოვრება და მოღვაწეობა გამთლიანებულ, აღორძინებულ, მშვიდობიან საქართველოში.

**პარმენ ლემონჯავა**
ეკონომიკურ მეცნიერებათა
დოქტორი, პროფესორი
20.02.2008

# 18. ძმარ, ძმითა ჟარ ამაჟი

საყვარელი ძმის — ლეო ჩიქავას საიუბილეო — 80 წლის მრგვალმა თარიღმა ამაღებინა ხელში კალამი, რათა სოლიდური გადასახედიდან მიმოვავლო თვალი ჩვენს საშურ ძმობასა და სიყვარულით ყანვლილ გზას.

ლეოს მეცნიერულ მოღვაწეობასა და მის შედეგებს მე არ შევეხები, ამაზე ბევრი მეცნიერ-მკვლევარი და მეგობარი მოგვითხრობს წინამდებარე საიუბილეო კრებულში. მე სხვა მიმართულებით წარვმართავ ჩემს სათქმელს.

იდგა 1928 წლის თოვლიანი ზამთარი. 20 თებერვლის ღამეს დედას დაეწყო მშობიარობის ტკივილები და გამთენიისას დაიბადა ვაჟი — ანეტა და ლავრენტი ჩიქავების ოჯახში, მეოთხე შვილი. მე მხოლოდ ექვსი წელი მისრულდებოდა და როგორც ყველაზე უფროსს, ახალდაბადებული ძამია, ყურბალიშზე დამაგრებული შემომიწვინეს თბილ ლოგინში. დღევანდელი დღესავით მახსოვს მშობიარობის ტკივილებით გამწარებული დედის კვნესა-წუხილი. მშობიარობა სოფლის პირობებში (ოჯახში) საშიშიც და რთულიც იყო. სოფლის ბებია-ქალთან უმალ აფრინეს უფროსი ბიძაშვილი. თუმცა, დიდი თოვლისა და ყინვის გამო ეზარებოდა და აჯანჯლებდა ჩაცმასა და წასვლას, მაგრამ ბოლოს მაინც გავარდა და მოიყვანა მშობიარობის დამხმარე — პრაქტიკოსი ბებია-ქალი. მას ექიმ-გინეკოლოგისნაირი დაფასება ჰქონდა სოფლის მოსახლეობაში. ჩვენ უფროსები — მე და ჩემი მომდევნო დები დიდი რუდუნებით ვეხმარებოდით დედას ლეოს ფეხის ადგმაში, დაიკები დიდი ყურადღებით იყენენ პატარა ძამიკოსადმი, მაგრამ მაინც მოხდა კინაღამ გამოუსწორებელი შემთხვევითი უბედურება. ბავშვები შემოდგომის პირზე შეკრებილან ჩალა-ფუჩეჩით გატენილ სასიმინდეში (მეორე სართულზე) და თამაშის დროს — ქანაობისას ჩამოვარდა ლეო და დაეცა ქვაფენილზე. ბედზე გადარჩა ცოცხალი. წივილ-კივილსა და ორომტრიალში, მხოლოდ 15-20 წუთის შემდეგ აღუდგა სუნთქვა და გონს მოვიდა.

შვიდწლედში (ჩვენივე სოფელში) ოთხივე და-ძმა ერთდრო-

ულად ესწავლობდით (მამაჩვენი ამავე სკოლის დაწყებითი კლასების მასწავლებელი იყო და არ გვაკლებდა კონტროლსა და დახმარებას).

გულწრფელად აღვნიშნავ, რომ ჩემი მომდევნო და — ნათელა ყველასგან გამორჩეული ბავშვი იყო თავისი ფიზიკური და გონებრივი მონაცემებით, თანაც, ულამაზესი, მაგრამ ბედმა არ დააცალა და 18 წლის ასაკში, მძიმე ავადმყოფობის შემდეგ, 1942 წელს გარდაიცვალა.

ჩვენს სოფელში საშუალო სკოლა არ იყო და მე ზუგდიდის (იმჟამად ერთადერთ) საშუალო სკოლაში მომიწია სწავლამ. უმცროსები კი — მეზობელი სოფლის (ორსანტიის) საშუალო სკოლაში სწავლობდნენ ფრიადებზე. 1938 წელს მე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩავირიცხე და სამი კურსის დამთავრებისთანავე გამიწვიეს არმიაში — ომში, სადაც დავყავი 1945 წ. აგვისტომდე. ომიდან ჩემი დაბრუნების მეორე დღეს ჰქონდა ლეოს პირველი მისაღები გამოცდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტზე. (ომის წლებში, ჯერ კიდევ არასრულწლოვან ლეოს დააწვა ოჯახის მოვლის მთელი სიმძიმე და თურმე დღე და ღამეს ასწორებდა ყანების მოვლასა და მოსავლის მოყვანაში. აქედან გამოყვა შრომის მოყვარეობა).

საშუალო სკოლაში გამორჩეული მოსწავლეები იყვნენ ლეო და ჩვენი თანასოფელი და ახლობელი კოტე თორია. როგორც მითხრეს, ამ ბეჯითმა მოსწავლეებმა კოლმეურნეობის ბიბლიოთეკიდან „მოიპარეს“ საკითხავი წიგნები, რაც გამოიძია და გამაფრთხილებელი ზომები მიიღო სკოლის დირექტორმა ქ-ნმა მ. ჯოლოგუამ. სწავლამოწყურებულ მოსწავლეებს ეს „დანაშაული“ აპატიეს.

უნიეერსიტეტში ლეო გამოირჩეოდა სიბეჯითითა და გონიერებით, მისი უახლოესი და უსაყვარლესი მეგობრები იყვნენ შემდგომში გორის პედაგოგიური ინსტიტუტის კათედრის გამგე პროფ. ვიქტორ პაველიაშვილი, პროფესორები გივი ჭანუყვაძე, დიმიტრი ცისკარიშვილი, გიორგი ადეიშვილი, პაველ გარუჩავა, შალვა შელია, მწერალი ნოდარ დუმბაძე და სხვ.

ომიდან დაბრუნებულმა ფორსირებული წესით დავამთავრე

უნივერსიტეტი (1946 წ.) და აქაურმა მდგომარეობამ მიკარნახა (მამა დამბლით ლოგინად იყო ჩავარდნილი) მივშველებოდი დედას ოჯახისა და უმცროსების მოვლაში. ამ დროს, შინაურ თათბირზე, გადავწყვიტეთ ლეოს გაეგრძელებინა სწავლა ასპირანტურაში. მოტივი ის იყო, რომ „რკინა მაშინ იჭედება კარგად, როცა გახურებულია“ და ამდენად უპირატესობა ლეოს ვარგუნეთ. გადაწყვეტილება მართებული გამოდგა. მალე (1947 წ.) მამა გარდაიცვალა და ოჯახის მიელი სიმძიმე დედაჩვენსა და ჩემზე გადმოვიდა. შრომას გვიმსუბუქებდა ის, რომ სტუდენტები: მზია და ლეო ბეჯითად სწავლობდნენ და ამით გვახარებდნენ. მალე ორივემ უმაღლესი დაამთავრა და ლეო ასპირანტურაში ჩაირიცხა.

აქ ერთი ნიშანდობლივი მომენტი უნდა გავიხსენო. სამამულო ომი ახალდამთავრებული იყო და, ცხადია, ეკონომიურად ჭირდა. პირველი კატეგორიის აგარაკებზე დასვენების საშუალება ნაკლებად იყო და და-ძმა - მზია და ლეო ზაფხულში დასასვენებლად მესტიის რაიონის ერთ-ერთ სოფელში – ხაიშში გავამგზავრეთ, სადაც ისვენებდა ჩემი სტუდენტობისა და შემდგომ უკვე ცხოვრებისეული მეგობრის, უდაოდ ჭკვიანი და საშური სამეურნეო ხელმძღვანელის დურუ მაქაცარიას ოჯახი. აგარაკზე ყოფნის დროს, ტყე-ღრეში ხეტიალისას, სვანეთის მთების ვიწრო ბილიკზე ლეოს შეეფეთა მელატურა, რომელსაც კბილებით მიჰყავდა ზვარაკი – დედალი. იგი არ დაიბნა და გაეკიდა უკან გაქცეულ მელიას და გააგდებინა ნადავლი. როგორც ცნობილია, კურდღელი, ჩვეულებრივ, თარსი ფეხისაა, ხოლო მელას ხალხი ფეხბედნიერად მიიჩნევს და ლეოსაც ასე აუხდა იგი.

ამ პერიოდში სვანეთში მყოფმა ენგურ ტყე-მრეწვ. მეურნეობის მუშათა მომარაგების განყოფილების უფროსის მოადგილემ, ეკონომისტმა კირილე გოგოხიამ, რომელიც განთქმული იყო თავისი გონება-მახვილობითა და იუმორით. უმალვე გაიგო ზემოაღნიშნული ამბავი და გაუკეთა თავისებური კომენტარი. იგი დაინტერესებული იყო ეკონომიკური პრობლემებით და ხშირად კითხვებს უსვამდა ამ დარგში დასპეციალებულ ლეო ჩიქავას. როცა პაექრობისას ვერ დაუმტკიცებდა თავის

აზრს, იტყოდა ხოლმე: „აბა, რა გაეწყობა, ისეთ კაცს როგორ მოვუგებ მელატურასაც რომ აჯობა და მოპოვებული ნადაელი აართვაო“. მართლაც, ცბიერ მელას ლეოს გონიერებამ აჯობა და ბეჯითი მეცადინეობით მან უნივერსიტეტის არა მარტო ეკონომიკის ფაკულტეტი, არამედ ასპირანტურაც წარმატებით დაამთავრა და 1954 წელს საკანდიდატო დისერტაცია დაიცვა. გაიარა ასისტენტის, უფროსი მასწავლებლის, დოცენტის, პროფესორის, ინსტიტუტის დირექტორის თანამდებობები.

დიდია აკად. პაატა გუგუშვილის ღვაწლი ლეოს მეცნიერულ წინსვლაში, მის კვალიფიციურ სპეციალისტად ჩამოყალიბებაში, რაც ერთი წუთითაც არ ავიწყდება მადლიერ მოწაფეს. იგი ამ მხრივ, უნდა ითქვას, სანიმუშოა, რამდენადაც, დიდებული მეცნიერისა და მასწავლებლის ამ ქვეყნიური ცხოვრებიდან წასვლის შემდეგ, მან არაფერი დაიშურა მისი სახელის უკვდავსაყოფად, მისი მეცნიერული ღვაწლის სათანადოდ დასაფასებლად და დაუსრულებელი მეცნიერული ნაშრომების გამოცემის თუ ღირსეული იუბილეების გადახდის ორგანიზების თვალსაზრისით. მათ შორის უნდა აღინიშნოს საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის სისტემაში დემოგრაფიისა და სოციოლოგიური კვლევის ინსტიტუტის დაარსება, რომლის ინიციატორი და წლების მანძილზე მისი უცვლელი დირექტორი თვითონ იყო.

ბ-ნ პაატას გულწრფელ თაყვანისმცემელთა პლეადას, ასევე განეკუთვნებოდნენ: ბექირბი ხასაია, გივი ჭანუყვაძე, ვახტანგ კახეთელიძე, რეზო გოგოხია, დიმიტრი ცისკარიშვილი და სხვ.

1958 წელს ლეო დაოჯახდა ცნობილი მოღვაწისა და მეცნიერის ივ. კვეკვესქირის ქალიშვილ თამარიზე. ქორწილი გადავიხადეთ დედ-მამისეულ ოჯახში – სოფ. კოკში. ვიხსენებ ქორწილის თამადობაში თუ როგორ ეცილებოდნენ ერთმანეთს ჩვენი საყვარელი მეგობრები: მ. ნარმანია, გ. ჯვებენავა და სხვ., მაგრამ მირიან ნარმანიას თამადობის კლასიკამ აჯობა და დიდებულად გაიმართა მოლხენა. შედეგიც კარგი მივიღეთ, ჩ ვეძინათ სასახელო შვილები: გია და მედეა (ორივე მეცნიერ ებათა კანდიდატი), რომლებმაც ასევე სასახელო ოჯახები

შექმნეს: რძალი – დალი ბერულავა, დიდებული ადამიანი და კეთილშობილი თვისებებით აღსავსე პიროვნება, სპეციალობით მედიკოსი. ასევე სასახელო და საყვარელი ადამიანია მედეას მეუღლე ალეკო სიჭინავა – კარგი მეცნიერ-პედაგოგი და მოქალაქე, სამი დარჩეული ვაჟის მამა.

ლეოს შეუპოვარი, თავდადებული, ბეჯითი და ნაყოფიერი მეცნიერული მუშაობა იმით დაგვირგვინდა, რომ მან, სადოქტორო დისერტაციის წარმატებით დაცვის შემდეგ, დიდსანს იმუშავა საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში პოლიტიკური ეკონომიის კათედრის გამგედ და ბევრი ღირსშესანიშნავი ნაშრომი შექმნა, რისი ადეკვატური პასუხი და დაფასება იყო 1997 წელს მისი არჩევა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტად. იგი როგორც ანგარიშგასაწევი მეცნიერ-ეკონომისტი მისმა კოლეგებმა ერთსულოვნად აირჩიეს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტად, რომელიც ბევრ ეროვნულ, სასიკეთო საქმეს აკეთებს.

მეცნიერებაში გაუგებარი, საზიანო რეფორმების მსხვერპლი გახდა არაერთი ნაყოფიერი მეცნიერი და ამ ხელაღებით ნაბიჯს მოჰყვა ლეოს (75 წლის მეცნიერის) განთავისუფლება ინსტიტუტის დირექტორობიდან. მთავარი ისაა, რომ თვითონ ეს მეტად საჭირო დარგი – მეცნიერება შემეცნებითია და მეცნიერთა გაყრით დააკნინეს და პერსპექტივა დაუკარგეს, მაგრამ ვინღაა განმკითხავი?

80 წელი არც ისე ცოტაა და არც ბევრია მოაზროვნე მეცნიერისთვის. მას ცხოვრება და მეცნიერული მოღვაწეობა ჯერ კიდევ წინა აქვს. ამიტომ მტკიცე ჯანმრთელობა მრავლობა და არაერთი ათეული წლის სიცოცხლე და ნაყოფიერი მოღვაწეობა მინდა ვუსურვო, რათა კიდევ ბევრი რამ გააკეთოს ჩვენი ქვეყნისა და ერის საკეთილდღეოდ.

რაც შეეხება ჩვენს ძმობას, მის სიტკბოებასა და სიწმინდეს, ის ცხოვრებით გამოცდილი და დადასტურებულია რვა ათეული წლის მანძილზე ნამდვილი, უანგარო, ერთგული და ხალასი ძმური სიყვარულით, რაც განაპირობა ჩვენი დედ-მამისეული ოჯახის უდიდესმა შრომისმოყვარეობამ, ქართული ტრადიციებისადმი უსაზღვრო პატივისცემამ და სიკეთის უშურ-

ველმა დანერგვამ ჩვენს ძვალ-რბილში. დედ-მამის შემდეგ, მხოლოდ ძმას არ შეშურდება ძმის წარმატება, და — ძმებისა და პირიქით. ასე გვზრდიდნენ ჩვენი მშობლები და ასევე ვზრდით ჩვენს მონაგარს: შვილებს, შვილიშვილებსა და შვილთაშვილებს.

აღიარებულია, რომ შრომამ შექმნა ადამიანი და ვინც კეთილსინდისიერ შრომასა და ცხოვრებას არ აფასებს ის ადამიანობას აღვილად კარგავს. ეს ჩვენი დედ-მამის ოჯახის შვილების გენში ზის და მას ვერაფერი შეცვლის, ვინაიდან შრომა აკეთილშობილებს ადამიანს.

ბედნიერად იყავი ჩემო ლეო, ჩემო საფიცარო და საამაყო ძმაო! აფსუს, რომ ჩვენი ძვირფასი მშობლები ვერ მოესწრნენ შენი შრომის ესოდენ თვალსაჩინო შედეგებს.

ასიც მოგველოცოს ჩემო ძმაო, არც ისაა შორს.

შენი უფროსი ძმა
**იოსებ ჩიქავა**

# 19. ჩემი საყვარელი ბაბუა

მყავს ღვთისნიერი, ყოველმხრივ გამორჩეული და საყვარელი ბაბუა. რაც თავი მახსოვს, იგი სულ მუდამ ჩემს გვერდითაა, ხშირად მეთამაშება ჭადრაკს, დამკას, ნარდს, კარტს და ა.შ., მართობს, მიყვება საინტერესო ამბებს და მიღვიძებს ცოდნის შეძენის სურვილს.

ბაბუა ჩემთვის მისაბაძი პიროვნებაა. მხედველობაში მაქვს არა მარტო ის, რომ მან დიდ წარმატებებს მიაღწია თავის ცხოვრებასა და მოღვაწეობაში: გახდა ცნობილი მეცნიერი, აკადემიკოსი (როგორც აქ, ისე აშშ-ში), ჩვენი ოჯახის ბიბლიოთეკის თაროები გადატვენილია მის მიერ დაწერილი წიგნებით, იცნობენ და აფასებენ როგორც საქართველოში, ისე მის ფარგლებს გარეთ. იგი არის უაღრესად ყურადღებიანი, კეთილი, თბილი და ჩემი სურვილების ამსრულებელი. ბაბუა იმასაც მტკივნეულად განიცდის, დედა რომ მიწყრება ცუდად ჭამის გამო.

არამარტო მიყვარს ჩემი ბაბუა, არამედ მეამაყება კიდეც, რომ ვარ მისი შვილიშვილი. მიხარია ისიც, რომ ბაბუას სახელსა და გვარს ვატარებ: თუმცა ისიც კარგად ვიცი, რომ ეს დიდ პასუხისმგებლობას მაკისრებს. ყველაფერს გავაკეთებ, რათა იმედები არ გავუცრუო და ვასახელო როგორც ბაბუა, ისე ჩემი მშობლები.

ძალიან მინდა, რომ დიდხანს მყავდეს ჩემი საყვარელი ბაბუა.

პატარა **ლეო ჩიქავა** (12 წლის)
15.09.2007.

# VIII. ლ. ჩიქავას მიერ გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომები
## (ბიბლიოგრაფია)

## 1. წიგნები და ბროშურები


1. სსრ კავშირის ძირითადი ეკონომიკური ამოცანა და მისი გადაჭრის გზები. თბილისი, 1959, 5,0.

2. მანქანა-ტრაქტორთა სადგურები და მათი როლი კოლმეურნეობების განვითარებასა და განმტკიცებაში. თსუ გამომც., 1954, 1,5.

3. შრომის სამოგადოებრივი დანაწილება. სპი, 1964, 4,7.

4. საქართველოს კვების მრეწველობის ადგილი და როლი შრომის საერთო-საკავშირო დანაწილებაში. თბილისი, 1965, 27,0.

5. საქართველოს კვების მრეწველობის ტერიტორიული სპეციალიზაციისა და ეკონომიკური ეფექტიანობის საკითხები (რუს. ენაზე). თსუ გამომც., 1968, 6,1.

6. ხალხის კეთილდღეობის ამაღლების დიადი პროგრამა „საქართველო", 1972, 4,2.

7. პოლიტიკური ეკონომია. ნაწ. II (თვალსაჩინოებანი). სპი, 1975, 17,0. (თანაავტორობით).

8. მეათე ხუთწლედის ძირითადი ამოცანა და მისი გადაჭრის გზები. თბილისი, 1977, 4,4.

9. სსრ კავშირის ეკონომიკური სისტემა. „საბჭოთა საქართველო", 1979, 8,4.

10. მეთოდურ თვალსაჩინოებათა კრებული (პოლიტიკური ეკონომია). თსუ გამომც., 1979, 18,0.

11. მეთერთმეტე ხუთწლედის ძირითადი ამოცანები და მათი განხორციელების გზები. თბილისი, 1981, 3,6.

12. საქართველო ერთიან სახალხომეურნეობრივ კომპლექსში. „ცოდნა", 1984, 2,0.

13. შრომის მწარმოებლურობა და მისი ამაღლების გზები. თბილისი, 1985, 4,7.

14. შრომის მწარმოებლურობა და მისი ამაღლების გზები. (რუსულ ენაზე). თბილისი, 1986, 4,5.

15. არამატერიალური წარმოების სფეროს პოლიტეკონომიური ასპექტები. „მეცნიერება", 1987, 23,0.

16. კრიტიკული დემოგრაფიული სიტუაცია საქართველოში: არსი, მიზეზები, დაძლევის გზები. „მეცნიერება", თბილისი, 1995, 2,0.

17. ეკონომიკური თეორიის მოკლე კურსი. დამხმარე სახელმძღვანელო. გამომც. „სიახლე", თბილისი, 1997, 28,5.

18. ეკონომიკური და დემოგრაფიული ტერმინოლოგია (თანაავტორობით), რუსულ-ქართული და ქართულ-რუსული, თბ., 2001, 38.5.

19. დემოგრაფიული კატეგორიები და კანონები. თბილისი, 2002, 5,0.

20. ეკონომიკური თეორიის მოკლე კურსი. დამსმარე სახელმძღვანელო. მეორე შევსებული გამოცემა. თბილისი, 2006, 28,5.

21. ინოვაციური ეკონომიკა. გამომც. „სიახლე", თბილისი, 2006, 28,4.

## 2. საჟურნალო სტატიები

22. მტს-ების როლი საკოლმეურნეო წარმოების განვითარებაში. ესი-ს შრომები. ტ. 8, 1954, 1,5.

23. მაქსიმალურად გამოვიყენეოთ მძლავრი ტექნიკა, ჟ. „საქ. კომუნისტი", 1954, № 6. 0,6.

24. საგრაქტორო სამუშაოთა თვითღირებულება და მისი შემცირების გზები. ჟ. „საქ. კოლმეურნე", 1954, № 8. 0,3.

25. სსრ კავშირის ეკონომიკური საფუძველი. თსუ, შრომების კრებული, 5, 1950, 1,0.

26. სახალხო მეურნეობის გეგმაზომიერი პროპორციული განვითარების კანონი. ჟ. „საქ. ეკონომისტი", 1958, № 4, 1,0.

27. ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტი და მისი სტრუქტურა სოციალიზმის დროს. ჟ. „საქ. ეკონომისტი", 1960, № 1, 1,0.

28. დროის მაქსიმალური მოგება — შეიდწლედის ძირეული პრობლემა. ჟ. „საქ. ეკონომისტი“, 1958, №6, 1,0.

29. შრომის ნაყოფიერების ამაღლება. ჟ. „საქ. ეკონომისტი“, 1961, №4, 1,0.

30. ტექნიკური პროგრესის როლი შეიდწლედის ძირეული პრობლემების გადაჭრაში. სპი-ს შრომების კრებული, 1960. 1,0.

31. კაპიტალდაბანდებათა ეკონომიკური ეფექტიანობის შესახებ. ჟ. „საქ. ეკონომისტი“, 1962, №7, 1,0.

32. მრეწველობაში შრომის ნაყოფიერების ამაღლება — სიუსეის მიღწევის გზა. ჟ. „საქ. ეკონომისტი“, 1961, №1, 1,0.

33. კვების მრეწველობა და მისი როლი კელავწარმოებაში. ჟ. „საქ. ეკონომისტი“, 1961, №7, 1,0.

34. შრომის საზოგადოებრივი დანაწილების არსი. ჟ. „საქ. ეკონომისტი“, 1963, №2, 1,0.

35. საქართველოს კვების მრეწველობის დარგობრივი სტურქტურა, ჟ. „საქ. ეკონომისტი“, 1963, №11, 1,0.

36. შრომის საზოგადოებრივი დანაწილება. ჟ. „საქ. კომუნისტი“, 1964, №2. 1,0.

37. საქართველოს კვების მრეწველობის პროდუქციის მოხმარების ტერიტორიული გაადგილება. ჟ. „საქ. ეკონომისტი“, 1964, №5, 1,0.

38. ტერიტორიული სპეციალიზაციის ეფექტიანობა (რუსულ ენაზე). ჟ. „Плановое хозяйство“, 1965, №11. 0,3.

39. საქართველოს კვების მრეწველობის სანედლეულო ბაზის გაფართოების პერსპექტივები. ჟ. „საქ. ეკონომისტი“, 1965, №5, 1,0.

40. სსრ კავშირში შრომის ნაყოფიერების ზრდის ტემპები. სპი-ს შრომები, ტ. 3, 1967, 1,0.

41. რესპუბლიკის ეკონომიკის შემდგომი განვითარებისთვის. ჟ. „საქ. კომუნისტი“, 1967, №11. 1,0.

42. მეურნეობის მსოფლიო სოციალისტური სისტემა. ჟ. „საქ. სახ. მეურნეობა“, 1968, №11. 1,0.

43. მოხმარების საზოგადოებრივი ფონდების სოციალურ-ეკონომიკური ბუნება. ჟ. „საქ. სახ. მეურნეობა“, 1969, №8. 1,1.

44. დაგეგმვისა და ეკონომიკური სტიმულირების ახალი სისტემა. ჟ. „საქ. ეკონომისტი“, 1967, № 1, 1,0.

45. წარმოების ტერიტორიული ორგანიზაციის ეკონომიკური ეფექტიანობის საკითხისთვის. ესი-ს შრომები, ტ. XV, 1966. 1,2.

46. ქვეყნის სოციალისტური ინდუსტრიალიზაციის შესახებ. ჟ. „საქ. სახ. მეურნეობა“, 1970, № 4. 1,0.

47. სოციალისტურ წარმოებით ურთიერთობათა განვითარება სოფლის მეურნეობაში. ჟ. „საქ. სახ. მეურნეობა“, 1970, № 12. 0,4.

48. ძირითადი ეკონომიკური კანონის მოქმედების თავისებურებანი თანამედროვე ეტაპზე. ჟ. „საქ. სახ. მეურნეობა“, 1971, № 11. 1,0.

49. საქართველოს ეკონომიკის განვითარების ახალი მიჯნები. ჟ. „სკოლა და ცხოვრება“, 1971, № 1. 1,5.

50. ეკონომიკური დისციპლინების სწავლებისა და ეკონომისტთა მომზადების სრულყოფისთვის. ჟ. „საქ. სახ. მეურნეობა“, 1970, № 12. 1,0.

51. სსრ კავშირის შექმნის მნიშვნელობა საბჭოთა ეკონომიკის აღმავლობისთვის. ჟ. „მაცნე“, 1972, № 4.1,2.

52. კაპიტალი და ზედმეტი ღირებულება. კაპიტალიზმის ძირითადი ეკონომიკური კანონი. იხ. „პოლიტიკური ეკონომია“, ნაწ. I, დამხმარე სახელმძღვანელო. „განათლება“, 1974. 2,3.

53. მოკავშირე რესპუბლიკების ეკონომიკური განვითარების დონეთა „გამოთანაბრების“ საკითხისთვის. ჟ. „ეკონომისტი“, 1975, № 2. 1,0.

54. ეკონომიკური პოლიტიკა თანამედროვე ეტაპზე (მოწინავე). ჟ. „ეკონომისტი“, 1975, № 2, 1,0.

55. ფორმაციის ძირითადი ეკონომიკური კანონის მოქმედების თავისებურებანი. ჟ. „საქ. კომუნისტი“, 1967. № 4. 1,0.

56. წარმოებით ურთიერთობათა სრულყოფა თანამედროვე ეტაპზე. ჟ. „ეკონომისტი“, 1967, № 7. 1,0.

57. სსრ კავშირში ეკონომიკური სისტემის საფუძვლების შესახებ. ჟ. „ეკონომისტი“, 1977, № 7. 0,6.

58. ძირითადი ეკონომიკური კანონის ნივთიერ და რაოდე-

ნობრივ მაჩვენებლებში გამოხატვისთვის. ჟ. „ეკონომისტი“, 1977, № 12, 1,0.

59. ახალი კონსტიტუცია და სოციალიზმის ეკონომიკური თეორიის საკითხები. ჟ. „ეკონომისტი“, 1978, № 1. 1,0.

60. საბჭოთა კონსტიტუცია და სოციალიზმის ეკონომიკური თეორიის საკითხები. ჟ. „ეკონომისტი“, 1978. № 3, 1,0.

61. სოციალიზმის ძირთადი ეკონომიკური კანონის გაგების საკითხისთვის (რუს ენაზე). ჟ „Экономические науки“, 1979, № 6. 1,0.

62. შრომის მისედვით განაწილება. მოსმარების საზოგადოებრივი ფონდები. იხ. „ეკონომიკური თეორიის აქტუალური საკითხები“, ნაკვეთი I, თსუ, 1978. 2,5.

63. ხალხის კეთილდღეობის ამაღლება პარტიის ეკონომიკური პოლიტიკის უმაღლესი მიზანია. იხ. „ეკონომიკური პოლიტიკის აქტუალური საკითხები“. „მეცნიერება“, 1978. 2,3.

64. თანამედროვე მეცნიერების საფუძვლები. იხ. „ორგანიზატორული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური მუშაობის საფუძვლები“. სპი., 1979, 2,0.

65. ორი მსოფლიო სისტემის ეკონომიკური შეჯიბრება თანამედროვე ეტაპზე. ჟ. „ეკონომისტი“, 1980, № 1, 0,9.

66. ვ.ი. ლენინის მიერ სოციალისტური წარმოების მიზნის დასაბუთება. ჟ. „ეკონომისტი“, 1980, № 4, 0,9.

67. საზოგადოებრივი წარმოების მართვის აქტუალური პრობლემები. ჟ. „ეკონომისტი“, 1980, № 5, 0,5.

68. ორი მსოფლიო სისტემის შეჯიბრება. იხ. „ეკონომიკური თეორიის აქტუალური საკითხები“, ნაკვეთი II, თსუ, 1980. 2,0.

69. კვების მრეწველობა. საქართველოს ენციკლოპედია, ტ. 5, 1980. 0,3.

70. სსრ კავშირის საგარეო ეკონომიკური პოლიტიკა. ჟ. „ეკონომისტი“, 1981, № 1, 1,0.

71. წარმოების ეკონომიკური ეფექტიანობის ამაღლების ამოცანები. ჟ. „ეკონომისტი“, 1981, № 1, 1,0.

72. სოციალისტური წარმოების უზენაესი მიზნის შესახებ მოძღვრების განვითარება (რუსულ ენაზე). ჟ. „Экономические науки“, 1981, № 6.

73. სოციალისტურ საზოგადოებაში მწარმოებლური და არამწარმოებლური შრომის გაგებისთვის. ჟ. „ეკონომისტი“, 1982, 5, 1,0.

74. ეკონომიკური თეორიის აქტუალური საკითხების კვლევა (რუსულ ენაზე). ჟ. „Экономические науки“, 1982, № 11. 0,6.

75. რესპუბლიკის ეკონომიკის განვითარების ტემპები და მასშტაბები. თსუ., 1983. 1,0.

76. არაწარმოებრივი სფეროს სოციალურ-ეკონომიკური ეფექტიანობის საკითხისთვის. ჟ. „ეკონომისტი“, 1983, № 8. 0,8.

77. ხალხის კეთილდღეობის ამაღლების პროგრამა. ჟ. „ეკონომისტი“, 1983, № 12, 0,9.

78. ეკონომიკური ზრდის საკვანძო პრობლემა. ჟ. „ეკონომისტი“, 1984, № 7. 1,0.

79. არამატერიალური წარმოების როლი ძირითადი ეკონომიკური კანონის რეალიზაციაში. ჟ. „ეკონომისტი“, 1984, № 12. 1,0.

80. მეცნიერებისა და წარმოების ინტეგრაციის ახალი ფორმები (ჩეხურ ენაზე). პრაღის უმ. ტექ. სასწ. შრომები. 1984. 1,0.

81. სსრ კავშირის ეკონომიკის ზრდის ტემპები და მასშტაბები (ჩეხურ ენაზე). პრაღის უმ. ტექ. სასწ. შრომები. 6 (V.2), 1985. 0,7.

82. მიზანი — შრომის მწარმოებლურობის მაღალი დონე. ჟ. „საქ. კომუნისტი“, 1985, № 8. 0,8.

83. ეკონომიკის სოციალური ორიენტაციის გაძლიერება ახალ ხუთწლედში. ჟ. „მაცნე“ (ეკონომიკის სერია), 1986, № 3. 1,0.

84. ჩვენი ზოგიერთი მოსაზრება, სასურველობა. ჟ. „ეკონომისტი“, 1985, № 11. 0,6.

85. არაწარმობრივი სფეროს როლი შრომის მწარმოებლურობის ამაღლებაში. ჟ. „ეკონომისტი“, 1986, № 3. 0,9.

86. ეკონომიკის მართვის რადიკალური გარდაქმნა. ჟ. „ეკონომისტი“, 1989, № 1. 1,0.

87. მეცნიერება — უშუალო მწარმოებლური ძალა. ჟ. „მაცნე“ (ეკ. მეცნ. სერია), 1993, № 2. 0,8.

88. საქართველოს მოსახლეობის კვლავწარმოების სო-

ციალურ-ეკონომიკური საფუძვლები. ჟ. „ეკონომისტი“, 1990, № 8, 1,0.

89. საქართველოს მოსახლეობის სტრუქტურულ ცვლილებათა ტენდენციები. სამეცნ. შრ. კრებული, 1990. 0,6.

90. დემოგრაფიულ მეცნიერებათა სისტემა და კლასიფიკაცია. ჟ. „საქ. მეცნ. აკადემიის მაცნე“, ეკონომიკის სერია. ტ. I, 1993. 1,5.

91. დემოგრაფიული ვითარება კავკასიაში. ჟ. „ეკონომიკა“, 1994, № 8-9, 0,7.

92. პრივატიზაციის გადაუდებელ ღონისძიებათა შესახებ. ჟ. „ეკონომიკა“, 1994, № 9-12.

93. მოკვდაობის შემცირების ეკონომიკური ეფექტი (თანაავტორობით). ჟ. „ეკონომიკა“, 1995, № 1-3.

94. სოციალურ-ეკონომიკურ ფაქტორთა გავლენა მოსახლეობის აღწარმოებაზე. ჟ. „ეკონომიკა“, 1995, № 1-3.

95. დემოგრაფიული ვითარების გაჯანსაღების ეკოლოგიური ასპექტები საქართველოში. ჟ. „ეკონომიკა“, 1994, № 7-8.

96. საქართველოს მინერალური და ჰიდროენერგეტიკული რესურსები. ჟ. „მაკრო-მიკრო ეკონომიკა“, 1994, № 1.

97. დემოგრაფიული ვითარების გამწვავება საქართველოში და მისი სოციალურ-ეკონომიკური ასპექტები. საერთაშორისო სამეცნიერო სიმპოზიუმის მასალების კრებული. თბილისი, 1997.

98. საბაზრო ეკონომიკა: სოციალურ წინააღმდეგობათა პრობლემა (რუს. ენაზე). ჟ. „Общество и экономика“. М., 1998, № 2.

99. უმუშევრობა საქართველოში და მისი სოციალურ-ეკონომიკური შედეგები. ჟ. „მაკრო-მიკრო ეკონომიკა“, 1998, № 6.

100. დემოგრაფიული კრიზისი საქართველოში და სახელმწიფო დემოგრაფიული პოლიტიკა. ჟ. „მაკრო-მიკრო ეკონომიკა“, 1998, № 11.

101. ქართველმა ერმა დემოგრაფიული სიბერის განვითარებულ ღონეს მიაღწია. ჟ. „მაკრო-მიკრო ეკონომიკა“, 1999, № 11.

102. დემოგრაფიული პროცესები: მეცნიერული ანალიზი და დემოგრაფიული პოლიტიკა (რუსულ ენაზე). ჟ „Общество и экономика“. М., 1999, № 3-4.

103. მოსახლეობის აღწარმობის ნეგატიური ტენდენციები საქართველოში და მათი ნორმალიზების ძირითადი მიმართულებანი. ჟ. „ეკონომიკა“, 1999, № 8-9.

104. საქართველოს ეროვნული ეკონომიკის სოციალური ორიენტირებულობის საკითხისთვის (რუსულ ენაზე). ჟ. „Общество и экономика“. М., 1999, № 10-11.

105. დემოგრაფიული ვითარება იმერეთში. ქუთაისის ტექნიკური უნივერსიტეტი. III საერთაშორისო კონფერენციის მასალები – „რეგიონის განვითარების სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები“. ქუთაისი, 1999.

106. საქართველოს ეროვნული ეკონომიკის სოციალური ორიენტირებულობის შესახებ (რუსულ ენაზე) – „გარდამავალი საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები (დსთ-ს ქვეყნების პრაქტიკიდან)“. მოსკოვი, 2000.

107. მოსახლეობის დემოგრაფიული დაბერება საქართველოში და მისი ნეგატიური სოციალურ-ეკონომიკური შედეგები (ქართულ და ინგლისურ ენებზე), კრებული – „მოსახლეობის დაბერების სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები“ თბილისი, 2000.

108. დემოგრაფიული ვითარება აღმოსავლეთ საქართველოს მაღალმთიანეთში და მისი ნორმალიზების ძირითადი მიმართულებანი წიგნში – „საბაზრო ეკონომიკის ფორმირებისა და ფუნქციონირების პრობლემები საქართველოში“. სოციალურ-ეკონომიკური და რეგიონული პრობლემების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის შრომების კრებული, ტ. VI, თბილისი, 2000.

109. სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის მოდელები და საქართველო. ეკონომისტთა III რესპ. კონფერენციის მასალები. თსუ-ს სოხუმის ფილიალი. თბილისი, 2000.

110. მსოფლიოს მოსახლეობის აღწარმოების რეგიონული თავისებურებანი. იხ. საქართველოს ეკონომიკა XXI სკ. კარიბჭესთან: პრობლემები, პერსპექტივები. თბილისი, 2000.

111. საქართველოს ეკონომიკის სოციალური არაორიენტირებულობის განმსაზღვრელი ფაქტორები. საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის შრომები. ტ. I, თბილისი, 2000.

112. ჩვენი პლანეტის მოსახლეობის აღწარმოების რეგიონული თავისებურებანი. ჟ. „მაკრო-მიკრო ეკონომიკა“, 2001, №5.

113. მოსახლეობის აღწარმოების ნეგატიური ტენდენციები საქართველოში და მათი სოციალურ-ეკონომიკური შედეგები. დემოგრაფიისა და სოციოლოგიური კვლევის ინსტიტუტის შრომები, ტ. I, თბილისი, 2001.

114. მოსახლეობის აღწარმოების ტენდენციები პოსტსაბჭოთა სივრცის ქვეყნებში (რუს. ენაზე) წიგნში: „სოციალური პოლიტიკა პოსტსოციალისტურ საზოგადოებაში“ – ამოცანები, წინააღმდეგობანი, მექანიზმები. მოსკოვი.2001.

115. საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პრიორიტეტული მიმართულებანი. ეკონომისტთა მეხუთე რესპუბლიკური კონფერენციის მოხსენებათა კრებული. თბილისი, 2002.

116. უკანასკნელ ათწლეულში დემოგრაფიული სიტუაციის გამწვავება საქართველოში (რუს. ენაზე). საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პოლიტოლოგიის ინსტიტუტის წელიწდეული. თბილისი, 2002.

117. ადამიანისეული პოტენციალის განვითარების ინდექსი. საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის შრომები, ტ. III, თბილისი, 2003.

118. რამ შეიძლება დააინტერესოს უცხოელი პარტნიორები საქართველოში? ჟ. „კომენტარი“, 2003, № I.

119. გლობალიზაცია და შრომის საერთაშორისო დანაწილება. საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა აკადემია – „მოამბე“, ტ. X, თბილისი, 2003.

120. მოსახლეობის აღწარმოების თავისებურებანი საქართველოსა და აზერბაიჯანში. ჟ. „ეკონომიკა“, 2004, № 5-6.

121. მოსახლეობის აღწარმოების ტენდენციები და პერსპექტივები სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში. ჟ. „სოციალური ეკონომიკა“, 2004, №4.

122. სპეციფიკური დემოგრაფიული კანონები. ჟ. „დემოგრაფია“, 2004, №6.

123. ცოდნა როგორც სპეციფიკური საქონელი და მისი გადამწვეტი როლი ინოვაციურ ეკონომიკაში. საქართველოს

ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის შრომები, ტ. IV, თბილისი, 2004.

124. მწვავე დემოგრაფიული ვითარება და აქტიური დემოგრაფიული პოლიტიკის აუცილებლობა საქართველოში. დემოგრაფიისა და სოციოლოგიური კვლევის ინსტიტუტის შრომები, ტ. II, თბილისი, 2004.

125. ცოდნა როგორც საქონელი და მისი თავისებურებანი. ჟ. „კომენტარი", 2004, № 4.

126. რა გვიჩვენა მოსახლეობის 2002 წლის აღწერამ? (თანაავტორობით) – ამავე კრებულში.

127. საქართველოს დემოგრაფიული კატასტროფა ემუქრება. ჟ. „მისია", 2005, № 2.

128. ინოვაციური ეკონომიკის განვითარების აწმყო და მომავალი საქართველოში. ეკონომიკ. მეცნიერებათა აკადემიის შრომები, ტ. V, თბილისი, საგამომც. ფირმა „სიახლე", 2005.

129. ახალი ეკონომიკა: არსი და ძირითადი მახასიათებლები, ჟ. „ახალი ეკონომისტი", 2007, № 1.

130. ქართულ გენოფონდს გადაშენების საფრთხე ემუქრება, ჟ. „სოციალური ეკონომიკა", 2007, № 1.

131. Тенденции и перспективы демографического развития в странах Южного Кавказа. Кавказ и глобализация. Журнал социально-политических и эконмических исследований, Том 1 (2), 2007. Швеция.

132. თანამედროვეობის აქტუალური დემოგრაფიული პრობლემები (ამავე კრებულში).

133. როგორ უნდა ვწერდეთ ეკონომიკურ ტერმინებს (ამავე კრებულში).

134. სიღარიბე და მისი დაძლევის ძირითადი მიმართულებები. ჟ. „სოციალური ეკონომიკა", 2008, № 1.

135. უთანასწორობა შემოსავლის განაწილებაში და მისი განმსაზღვრელი ფაქტორები. ჟ. „ეკონომიკა", 2008, № 1.

136. „გადამეტმოსახლეობის ბომბი" და მასთან დაკავშირებული ნეგატიური მოვლენები. საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის შრომები, ტომი მეექვსე, 2008.

# 3. მოხსენებათა თეზისები

137. კაპიტალიზმის არათანაბარზომიერი ეკონომიკური განვითარების კანონი. თსუ, 1949. 0,2.

138. კოლმეურნეობათა განმსხვილება და მათი ორგანიზაციულ-სამეურნეო განმტკიცება. თსუ, 1951. 0,3.

139. საქართველოში მარცვლეულის წარმოების რენტაბელობის საკითხისთვის. სმეი-ს შრომები, 1978. 0,3.

140. ვ. ი. ლენინი შრომის ნაყოფიერების შესახებ. თბილისი, უცხო ენათა ინსტიტუტი, 1978. 0,3.

141. სსრ კავშირის შექმნის მნიშვნელობა საბჭოთა კავშირის ხალხების ეკონომიკური და კულტურული აღმავლობისთვის, თბილისი, უცხო ენათა ინსტიტუტი, 1972. 0,3.

142. საზოგადოებრივი წარმოების ქვედანაყოფებს შორის თანაფარდობა მეათე ხუთწლედში. თბილისი, უცხო ენათა ინსტიტუტი, 1972. 0,3.

143. სოციალიზმის ძირითადი ეკონომიკური კანონის მოქმედების თავისებურებანი თანამედროვე ეტაპზე. სპი, 1975. 0,1.

144. საქართველოს მრეწველობაში შრომის მწარმოებლურობის ამაღლების გზები და რეზერვები. ეკონომ. და სამ. ინსტიტუტი, 1985. 0,2.

145. მეცნიერების უშუალო მწარმოებლურ ძალად გადაქცევის ინტენსიფიკაცია და სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარება. ეკონომ. და სამ. ინსტიტუტი, 1986. 0,2.

146. საბაზრო ეკონომიკის თეორიული საფუძვლები. კონიუნქტ. ინსტიტუტის ფილიალი, 1991. 0,3.

147. საკუთრებითი ურთიერთობანი საბაზრო ეკონომიკის პირობებში. ეკონომიკის სამეცნ. კვლ. ინსიტუტი, 1994. 0,2.

148. დასაქმებისა და უმუშევრობის პრობლემები ქ. თბილისის მაგალითზე. თბილისი ეკონომიკ. ფორუმი, II სერია, თბილისი, 1998. 0,1.

149. ნეგატიური ტენდენციები მოსახლეობის აღწარმოებაში და მათი სოციალურ-ეკონომიკური შედეგები. საქართველოს მოსახლეობის 1999 წლის საყოველთაო აღწერა და დემო-

გრაფიული პრობლემები (სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის მასალები), თბილისი, 1998.

## 4. რეცენზიები

150. კლეხობის სოციალისტური აღმრდის შესახებ. ეკ. და სამ. ინსტ. შრომები, 1952. 0,5.

151. ნაშრომები მტს-ებისა და კოლმეურნეობათა ეკონომიკის საკითხებზე. ჟ. „საქ. კომუნისტი", 1955, № 3. 0,5.

152. მონოგრაფია მოწინავე კოლმეურნეობის შესახებ. ჟ. „საქ. კოლმეურნე", 1956, № 3. 0,2.

153. ნაშრომები ეკონომიკის საკითხებზე. ჟ. „საქ. ეკონომისტი", 1958, № 8. 0,2.

154. ვ. ი. ლენინი ქიმიური მრეწველობის მნიშვნელობაზე. ჟ. „საქ. ეკონომისტი", 1960, № 10.0,4.

155. ლითოფონის წარმოებაში ფასწარმოქმნის საკითხები. ჟ. „საქ. ეკონომისტი", 1961, № 12. 0,4.

156. საქართველოს კვების მრეწველობაში ფასწარმოქმნის საკითხები. ჟ. „საქ. ეკონომისტი", 1971, № 12. 0,6.

157. სასარგებლო გამოკვლევა მელიორაციის საკითხებზე. ჟ. „საქ. სახ. მეურნ.", 1971, № 6. 0,6.

158. პოლიტიკური ეკონომიის საგნისა და მეთოდის საკითხისთვის ჟ. „საქ. ეკონომისტი", 1975, № 7. 0,4.

159. სუბტროპიკული მეურნეობის განვითარების საკითხები. ჟ. „საქ. ეკონომისტი", 1977, № 2. 0,4.

160. ეკონომიკური კანონების მოქმედებისა და გამოყენების მექანიზმისადმი სისტემური მიდგომა (რუსულ ენაზე), ჟ. „Экономические науки", 1982, № 10. 0,4.

161. ეკონომიკური თეორიის აქტუალურ პრობლემაზე საინტერესო გამოკვლევა. ჟ. „მაცნე" (ეკ. და სამ. სერია). 0,1.

162. უაღრესად საყურადღებო და სასარგებლო ნაშრომი, ჟ. „სოციალური ეკონომიკა", 2004, № 2. 0,3.

163. საქართველოს ენერგეტიკული უსაფრთხოება და მისი ამაღლების გზები. ჟ. „სოციალური ეკონომიკა", 2005, № 1. 0,2.

# თეოფოროვნაბოლი

ლეო ჩიქავა (შუაში) მშობლებთან, ძმასთან და დებთან ერთად. 1933 წ.



ლეო ჩიქავა (უკანა რიგში, მარცხნიდან მეორე) საშუალო სკოლის პედაგოგებთან და თანაკლასელებთან ერთად. 1964 წ.



ლეო ჩიქავა (მეორე რიგში, მარჯვნიდან მეცხრე),თავის ამხანაგებთან და პროფესორ-მასწავლებლებთან ერთად. 1950 წ.

ლეო ჩიქავა მეუღლესთან ერთად. 1958 წ.

ლეო ჩიქავა ოჯახის წევრებთან ერთად. 2001 წ.

ლეო ჩიქავა. 1975 წ.



ლეო ჩიქავა (მარჯვნიდან პირველი) ცოლ-შვილთან და
დის ოჯახთან ერთად. კისლოვოდსკი. 1976 წ.

ლეო ჩიქავა (მარჯვნიდან მეორე) თანაკლასელებთან –
კ. თორიასა და ბ. ნაჭყებიასთან ერთად.



ლეო ჩიქავა შვილიშვილთან – პაგარა ლეოსთან ერთად.




ლეო ჩიქავა შვილიშვილებთან ერთად. 2007 წ.



ლეო ჩიქავა. 1964 წ.



ლეო ჩიქავა (კათედრაზე) გ. ადეიშვილის სადოქტორო დისერტაციის დაცვაზე ოფიციალური ოპონენტის რანგში.

ლეო ჩიქავა სპი-ს სტუდენტთა სამეცნიერო წრის წევრებთან ერთად. 1978 წ.

ლეო ჩიქავა აკად. პ. გუგუშვილის სახ უნივერსიტეტის
სტუდენტებთან ერთად. 2004 წ.



ლეო ჩიქავა. კურორტი საირმე. 1974 წ.

ლეო ჩიქავა სპი-ს სამეცნიერო კონფერენციაზე. 1980 წ.



ლეო ჩიქავა (მარცხნიდან პირველი) აკად. ირ. მიქელაძესთან და აკადემიის წევრ-კორესპონდენტ ვ. მელქაძესთან ერთად. 1971 წ.

ლეო ჩიქავა. 2006 წ.

ლეო ჩიქავა და ავთანდილ შარაბიძე. 2002 წ.

ლეო ჩიქავა (მარცხნიდან მეხუთე), თავის მეგობრებთან და პროფესორ-მასწავლებლებთან ერთად. 1970 წ.

ლეო ჩიქავა. 1973 წ.

ლეო ჩიქავა (უკანა რიგში მარჯვნიდან მეხუთე) თანაკურსელებთან და პროფესორ-მასწავლებლებთან ერთად. უნივერსიტეტის დამთავრების 10 წლისთავი. 1960 წ.



ლეო ჩიქავა (მარცხნიდან მეექვსე), თავის კოლეგებთან და
სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქთან ილია მეორესთან ერთად.

# ს ა რ ჩ ე ვ ი

**რედაქტორებისგან** ..... 3

**I. ავტობიოგრაფიული ნარკვევი** ..... 5
1. ბავშვობა და ყრმობა ..... 5
2. სტუდენტობის წლები ..... 24
3. ასპირანტურა და საკანდიდატო დისერტაციის დაცვა ..... 47
4. შრომითი საქმიანობის პირველი ნაბიჯები ..... 54
5. დოქტორანტურა და სადოქტორო დისერტაციის დაცვა ..... 64
6. კათედრის გამგედ მუშაობის პერიოდი ..... 92
7. ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტში ..... 121
8. დემოგრაფიისა და სოციოლოგიური კელევის ინსტიტუტში ..... 130
9. საზოგადოებრივი დატვირთვა ..... 145

**II. ზოგი რამ ლეო ჩიქავას უახლეს ნაფიქრალ-ნააზრევთაგან** ..... 157
1. თანამედროვეობის აქტუალური დემოგრაფიული პრობლემები ..... 157
2. Тенденции и перспективы демографического развития в странах Южного Кавказа ..... 193
3. როგორ უნდა ვწერდეთ ეკონომიკურ ტერმინებს ..... 204

**III. ჟურნალისტთა მიერ ლეო ჩიქავასგან სხვადასხვა დროს აღებული ინტერვიუები** ..... 211
1. როგორი სახელმწიფო უნდა იყოს საქართველო - უნიტარული თუ ფედერალური? ..... 211

2. ეს გზა საქართველოს ეკონომიკისთვის
თვითმკვლელობის ტოლფასია ..... 218
3. „საქართველო ის სიმდიდრეა, რომელიც
მსოფლიოს ჯერ არ აღმოუჩენია“ ..... 221
4. რა გვიჩვენა მოსახლეობის 2002 წლის აღწერამ? ..... 227
5. „Земля ощущает руку хозяина“ ..... 236
6. „Что нам угрожает“ ..... 240
7. Белые пятна экономики ..... 245
8. მეცნიერის მკათათვე ..... 251

**IV. დასკვნები და რეცენზიები ლეო ჩიქავას ნაშრომებზე ..... 259**
1. პროფ. ნ. პაიჭაძე, დოც. ი. კვირიკაძე, დოც. ი. ლეკავა –
დასკვნა ლეო ჩიქავას სადოქტორო დისერტაციაზე:
„საქართველოს კვების მრეწველობის ტერიტორიული
სპეციალიზაციისა და ეკონომიკური
ეფექტიანობის საკითხები“,
თბილისი, 1967 ..... 259
2. პროფ. აპოლონ ნუცუბიძე –
სასარგებლო მონოგრაფიული გამოკვლევა ..... 273
3. აკად. ა. გუნია, პროფ. გ. ადეიშვილი –
საინტერესო გამოკვლევა აქტუალურ პრობლემაზე ..... 280
4. პროფ. რ. კაკულია – რეცენზია პროფ. ლეო ჩიქავას
ნაშრომზე: „ეკონომიკური თეორიის
მოკლე კურსი“, თბ., 1997 ..... 286
5. პროფ. თ. ბერიძე – რეცენზია ლ. ჩიქავას ნაშრომზე:
„ეკონომიკური თეორიის მოკლე კურსი ..... 289
6. პროფ. შ. დათუსანი, დოც. ბ. ურუშაძე –
ეკონომიკური თეორიის მნიშვნელოვანი შენაძენი ..... 292
7. აკად. ა. გუნია, პროფ. ნ. პაიჭაძე, პროფ. ნ. სანთელაძე –

დაკვნა პროფ. ლეო ჩიქავას მიერ
გამოქვეყნებულ ნაშრომებზე .....295
8. პროფ. ა. ჯიბუტი – ნაშრომი დემოგრაფიულ
პრობლემებზე – მნიშვნელოვანი მეცნიერული
სიახლეებით .....308
9. პროფ ა. ჯიბუტი, პროფ. პ. ლემონჯავა –
ორიგინალური და ფრიად საინტერესო გამოკვლევა .....313
10. პროფ. თ. ჩიკვაიძე – ფუნდამენტური გამოკვლევა.....319
11. პროფ ა. ჯიბუტი – „ინოვაციური ეკონომიკა“.....321
12. პროფ. ე კანდელაკი – ქართული ეკონომიკური
მეცნიერების ძვირფასი შენაძენი .....323
13. ჟურნალისტი ნატო ცისკარიშვილი – სამაგიდო წიგნი....327
14. პროფ. გ. იასეშვილი – საქართველოს ეკონომიკურ
მეცნიერებათა აკადემიის ნაშრომები, ტომი V .....333
15. ინოვაციური ეკონომიკის აწმყო და
მომავალი საქართველოში (ფრაგმენტები
ლ. ჩიქავას სტატიიდან, რომელიც დაბეჭდილია
სემა-ს შრომების V ტომში) .....336

**V. პროფ. ლ. ჩიქავას დაბადებიდან 70 წლის
იუბილესთან დაკავშირებული მასალები .....344**
1. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა
აკადემიის აკადემიკოსის, ეკონომკურ მეცნიერებათა
დოქტორის, პროფ. ნ. ჭითანავას შესავალი სიტყვა .....344
2. პროფ. ნ. სანთელაძე, ლეო ჩიქავას
ცხოვრება და მოღვაწეობა .....348
3. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმი,
საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილება.....360
4. საქართველოს ეკონომიკის სამინისტრო.....362

5. საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემია.....364
6. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის დემოგრაფიისა
და სოციოლოგიური კვლევის ინსტიტუტი.....366
7. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის
პ. გუგუშვილის სახ. ეკონომიკის ინსტიტუტი.....370
8. ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტი.....372
9. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ეკონომიკური
თეორიისა და მარკეტინგის საფუძვლების კათედრა.....374
10. ქუთაისის ტექნიკური უნივერსიტეტი.....377
11. საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან არსებული
ფინანსების მეცნიერულ-კვლევითი ინსტიტუტი.....378
12. გორის სახელმწიფო ეკონომიკურ-ჰუმანიტარული
ინსტიტუტი.....380
13. აგროსამრეწველო კომპლექსის ეკონომიკისა და
მართვის მეცნიერულ-კვლევითი ინსტიტუტი.....383
14. მარკეტინგის მეცნიერულ-კვლევითი ინსტიტუტი.....385
15. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის
ვ. გულისაშვილის სახ. სამთო მეტყევეობის
ინსტიტუტი; საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის
სატყეო მეურნეობის ეკონომიკის, ტაქსაციისა
და ხე-ტყის დამზადების კათედრა.....387
16. საქართველოს პოლიტიკურ მეცნიერებათა აკადემია....389
17. ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტის მიკროეკონომიკისა
და მენეჯმენტის ფაკულტეტი.....390
18. ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტის მრეწველობის, სოფლის მეურნეობისა
და შრომის ეკონომიკის კათედრა.....392

19. საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის, საქართველოს საინჟინრო-ეკონომიკური ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოსა და გაზეთ „განათლება, მეცნიერება, ბიზნესი“-ს სარედაქციო საბჭო ..... 395
20. იუბილარისადმი პროფ. გ. ადეიშვილის მისალმება ..... 396
21. იუბილარისადმი პროფ. რ. ასათიანის მისალმება ..... 400
22. იუბილარისადმი პროფ. მ. როკეტლიშვილის მისალმება ნიუ-იორკიდან ..... 402
23. ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ინფორმატიკოს-ბიზნესმენის სპეციუკულტეტი ..... 404
24. საქართველოს ეკონომიკური ფორუმი; საქართველოს სოციალისტური პარტია ..... 405
25. ვ. პაპავა, ნ. სანთელაძე, რ.კაკულია – მართლაც რჩეული მეცნიერი ..... 407
26. გაზეთ „საქართველოს“ რედაქცია – ღვაწლმოსილი მეცნიერი ..... 411
27. ბატონ ლეოს ..... 413

**VI. პროფ. ლ. ჩიქავას დაბადებიდან 75 წლისთავისადმი მიძღვნილი მასალები** ..... 415
1. ვ. პაპავა, ვ. ლორთქიფანიძე, ნ. სანთელაძე – საკვირველია, როგორ ასწრებს ამდენს ღვაწლმოსილი მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე ..... 415
2. ვ. სართანია, შ. მაღლაკელიძე – ქართული ეკონომიკური მეცნიერების მშვენება ..... 420
3. დ. ცისკარიშვილი, მეგობრობის ეტალონი ..... 421
4. კ. მიქაია, მეცნიერი, საზოგადო მოღვაწე ..... 422
5. ც. არსენიძე, მეცნიერისა და აღმზრდელის აღიარება ..... 425

**VII. ლ. ჩიქავას დაბადების 80 წლისთავისადმი მიძღვნილი მასალები** ..... 427
1. ნ. ჭითანავა, ვ. ლორთქიფანიძე, გ. შუბლაძე – ქართველ სწავლულ ეკონომისტთა თავკაცი ..... 427
2. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიური საბჭო, ჰუმანიტარულ და საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილება ..... 432
3. ვლ. პაპავა – ქართველ ეკონომისტთა სამაგალითო ლიდერი ..... 436
4. ა. სილაგაძე – გამოჩენილი ქართველი მეცნიერ-ეკონომისტი ..... 439
5. კ. ფიცხელაური – ჩვენი მასწავლებელი და მეგობარი ..... 441
6. ვ. ლორთქიფანიძე – პიროვნება, რომლის მიმართ გამსჭვალული ვარ დიდი სიმპატიითა და პატივისცემით ..... 443
7. ა. ჯიბუტი – გამორჩეული მეცნიერი, აღმზრდელი და საზოგადო მოღვაწე ..... 447
8. ა. კუჭუხიძე – ჩემი მეგობარი – ლეო ჩიქავა დიდი მეცნიერი, დიდი პედაგოგი, დიდი მოღვაწეა ..... 451
9. გ. შუბლაძე – მკაცრი, მაგრამ ობიექტური ოპონენტი ..... 459
10. კ. ნარმანია – მისი ძალა შეუპოვრობაა ..... 462
11. ი. წერეთელი, ა. ახალაძე, ვ. გოგისვანიძე – ჩვენი სასიქადულო მასწავლებელი და გულითადი მეგობარი ..... 472
12. ა. შარაბიძე – მქონდა ბედნიერება, რომ მასთან მეთანამშრომლა ..... 475
13. გ. მალაშხია – მეცნიერების მწვერვალზე ამაღლებული ..... 478
14. მ. ჯიბუტი – სიბერის სიბრძნე და მშვენიერება ..... 482
15. პ. გარუჩავა – ცნობილი ქართველი მეცნიერ-მკვლევარი, პროფესიონალი ორგანიზატორი და უღალატო ერისკაცი ..... 489

16. გ. ყუჟუნია – სასიქადულო მასწავლებლების ღირსეული მოწაფე და ოიაობების დიდებული მასწავლებელი ..... 500
17. პ. ლემონჯავა – პიროვნება - კოლორიტი, მეცნიერი - ცნობილი, საზოგადო მოღვაწე – ჩინებული ..... 507
18. ი. ჩიქავა – ძმაო ძმითა ვარ ამაყი ..... 510
19. ლ. ჩიქავა (უმცროსი) – ჩემი საყვარელი ბაბუა ..... 516

**VIII. ლეო ჩიქავას გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომები (ბიბლიოგრაფია)** ..... 517
1. წიგნები და ბროშურები ..... 517
2. საჟურნალო სტატიები ..... 518
3. მოხსენებათა თეზისები ..... 527
4. რეცენზიები ..... 528

**ფოტოალბომი** ..... 529

საგამომცემლო უზრუნველყოფა:
საგამომცემლო სახლი „ინოვაცია“

| | |
|---|---|
| დირექტორი: | ზაურ ნაჭყებია |
| ტექნიკური რედაქტორი: | ლევან ბოჭორიშვილი |
| ოპერატორი: | სოფო ძილიფთარი |
| კორექტორები: | ძეთევან წახნაკია<br>გვანცა შანავა |


მისამართი: თბილისი, ძმები კაკაბაძეების ქ. №22
ტელ: (899) 56-14-57; 98-39-30; 98-71-25; 92-25-23.

**Email: inovacia@caucasus.net**